



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი

სამართლის სადოქტორო პროგრამა

ხატია თანდილაშვილი

დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა ინტერნაციონალიზაციის გზაზე მდგარ
ქართულ სისხლის სამართლის პროცესში

სადისერტაციო ნაშრომი

სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

გიორგი თუმანიშვილი, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ნაშრომი შესრულებულია ფოლკსვაგენის
ფონდის ფინანსური მხარდაჭერით



თბილისი
2021

აბსტრაქტი

XX საუკუნეში ვიქტიმოლოგიის ჩამოყალიბებამ დასაბამი დაუდო დაზარალებულის ინტერესებისა და საჭიროებების კვლევას. ამასთან ერთად, დაიწყო მსხვერპლთა დაცვის აქტიური მოძრაობები. შეიქმნა მსხვერპლის მხარდამჭერი ორგანიზაციები, ასევე დაარსდა ფორუმები. განვითარებულმა მოვლენებმა საერთაშორისო საზოგადოების ყურადღებაც მიიქცია და უკვე 1985 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო დეკლარაცია „დანაშაულისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი პრინციპების შესახებ“. მიუხედავად იმისა, რომ დეკლარაცია მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის იყო, მან მაინც დიდი გავლენა იქონია სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. იგი ერთგვარი ბიძგი იყო სახელმწიფოებისათვის, რომ დაზარალებულისთვის მიეჩინათ სათანადო ადგილი. 1985 წლის შემდეგ არაერთი რეკომენდაცია, კონვენცია თუ დირექტივა იქნა მიღებული ისეთი ორგანიზაციების მიერ, როგორცაა გაერო, ევროპის საბჭო და ევროკავშირი. დღესდღეობით დაზარალებულის კუთხით ევროპული სახელმწიფოებისათვის ყველაზე მნიშვნელოვან სამართლებრივ აქტს წარმოადგენს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU „დაზარალებულის უფლებების, მხარდაჭერისა და დაცვის მინიმალური სტანდარტებისა და ჩარჩო გადანყვეტილების 2001/220/JI ჩანაცვლების შესახებ“.

საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განვევრინა ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორცაა გაერო და ევროპის საბჭო. გარდა ამისა, 2014 წელს საქართველომ ევროკავშირთან დადო ასოცირების შესახებ შეთანხმება, რომლითაც ივალდებულა „თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროში“ ევროკავშირთან თანამშრომლობა, სადაც ერთ-ერთ ძირითად ასპექტს დაზარალებულის უფლებები წარმოადგენს. ამასთან, საქართველო მიეკუთვნება იმ სახელმწიფოთა რიცხვს, რომელზეც ვრცელდება სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იურისდიქცია. შესაბამისად, საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობა და წევრობის შედეგად აღებული ვალდებულებები საქართველოს აიძულებს ეროვნულ დონეზე დანერგოს საერთაშორისო სტანდარტები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში 2004-2005 წლებში დაიწყო სისხლის სამართლის რეფორმა. მის ერთ-ერთ მთავარ მიზანს სისხლის სამართლის კანონმდებლობის საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა წარმოადგენდა. უშუალოდ სისხლის სამართლის პროცესის რეფორმა კი მიმართული იყო შეჯიბრებითობის პრინციპის განმტკიცებისა და მართლმსაჯულების სისტემაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების გაძლიერებისკენ. 2010 წელს ძალაში შევიდა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლითაც პროცესი კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემიდან გადავიდა ანგლო-ამერიკულ სისტემაზე, ამით შეჯიბრებითობის პრინციპი ჩაენაცვლა ინკვიზიციურობის პრინციპს. შედეგად შეიცვალა როგორც პროცესის მხარეების, ისე პროცესის სხვა მონაწილეების, მათ შორის დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობაც. თუ 2010 წლამდე მოქმედ სსსკ-ით დაზარალებული პროცესის აქტიურ მონაწილედ გვევლინებოდა და მას კერძო და სუბსიდიურ ბრალმდებლადაც შეეძლო გამოსვლა, ახალი სსსკ-ის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულს აღარ გააჩნია მხარის სტატუსი. დაზარალებული პროცესში წარმოდგენილია მონწილის სახით, მას ენიჭება მონწილის უფლებები და ეკისრება მონწილის ვალდებულებები. თუმცა მონწილისგან განსხვავებით სარგებლობს სხვა დამატებითი უფლებებითაც.

შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომის მიზანია გამოავლინოს, თუ რამდენად შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობა საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებს, რამდენად სათანადო აღიარებას ჰპოვებს დაზარალებული საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში, გათვალისწინებულია თუ არა მისი საჭიროებები და მოთხოვნები და მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში ხომ არ არსებობს დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციის საფრთხე.

კვლევის მიზნებისთვის გამოყენებულია როგორც აღწერილობითი, ისე ანალიტიკური, შედარებით-სამართლებრივი, ნორმატიულ-დოგმატიკური, სტატისტიკური და ემპირიული მეთოდები.

კვლევა შედგება ხუთი თავისგან. პირველ თავს წარმოადგენს შესავალი. მეორე თავი შეეხება ვიქტიმოლოგიას და მის მნიშვნელობას სისხლის სამართლის პროცესში

დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის. მესამე თავში განალიზებულია საერთაშორისო და რეგიონალურ დონეზე დაზარალებულის მიმართ ჩამოყალიბებული სტანდარტები. კვლევის მეოთხე თავში განხილულია დაზარალებულის ცალკეული უფლებები. ნაშრომის მეხუთე თავში კი შეჯამებულია კვლევის შედეგები, წარმოდგენილია დასკვნა და რეკომენდაციები.

აღსანიშნავია, რომ კვლევას აქვს დიდი სამეცნიერო მნიშვნელობა, ვინაიდან იგი წარმოადგენს პირველ მასშტაბურ კვლევას, რომელიც შეეხება სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის სამართლებრივ მდგომარეობას. კვლევაში წარმოდგენილი დასკვნები კი იძლევა იმის საშუალებას, რომ საქართველის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელდეს რიგი ცვლილებები და იგი შესაბამისობაში მოვიდეს საერთაშორისო სტანდარტებთან.

Abstract

The development of victimology in the 20th century encouraged the research on the interests and needs of crime victims. At the same time crime victims movements started their activities. Victim support services and forums were created. All these events gained attention on an International level and already in 1985 the United Nations adopted the Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power. Despite of the recommendatory nature of the declaration, it had contributed to a large extent to the strengthening of the legal standing of crime victims. It was an impulse for the states to give victims an appropriate standing. After 1985 many recommendations, conventions and directives were adopted by the organizations such as UN, Council of Europe and European Union. At the present moment the Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 establishing minimum standards on the rights, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA represents the most important legal instrument for the European states.

After gaining the independence, Georgia became the member of the International organizations, such as the UN and the Council of Europe. In 2014 Georgia signed the Association Agreement with the EU and therefore took the obligation to cooperate with the EU „in the area of Freedom, Security and Justice“. One of the main aspects of the cooperation is crime victims' rights. Besides, Georgia belongs to the states, which are under the jurisdiction of the International Criminal Court. Therefore the membership of the International organizations and the obligations resulting therefrom, force Georgia to comply with the International standards. Because of these facts, in 2004-2005 Georgia started criminal law reform. One of the main goals was to bring the criminal legislation into compliance with European and International standards. The reform of the criminal procedure law was intended to establish an adversarial system and to promote human rights. In 2010 new criminal procedure code came into force, which changed the continental legal system with Anglo-American legal system, therefore the inquisitorial principle was substituted by the adversarial principle. It caused the changes of legal standing of the participants in criminal proceedings, among them of the victim. In contrast to the previous criminal procedure code,

where the victim was an active participant and could participate as a private or an ancillary prosecutor, the new criminal procedure code does not grant the victim party status. Victim has a witness status, therefore she/he enjoys the rights and obligations of the witness, but in difference to the witness, she/he can enjoy additional rights.

The present paper aims to find out, to what extent does Georgian legislation correspond to the International and European standards; whether the crime victim is appropriately recognized; whether her/his needs are considered and whether there is any risk of her/his secondary victimisation.

The research is based on the descriptive, analytical, comparative, normative-dogmatic, statistical and empirical methods.

The Paper consists of five chapters. The first one is the introduction. In the second chapter victimology and its meaning for the strengthening of the legal standing of crime victim are discussed. The third chapter analyses International and European standards regarding crime victims. In the fourth chapter victim's rights are discussed. In the fifth chapter the research results are summarized and the conclusion and recommendations are introduced.

The research has a big scientific importance because it represents the first wide research regarding the legal position of crime victims in criminal proceedings. The research results enable to amend the criminal legislation in order to bring it into accordance with the International standards.

ს ა რ ჩ ე ვ ი

აბსტრაქტი	ii
გამოყენებული შემოკლებანი	xiv
I. შესავალი.....	1
II. ვიქტიმოლოგიის მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის სათანადო სამართლებრივი მდგომარეობის უზრუნველყოფისთვის	11
1. ვიქტიმოლოგიის, როგორც სამეცნიერო დარგის განვითარება	11
2. ვიქტიმოლოგიის შესწავლის საგანი	16
3. ვიქტიმოლოგიის ამოცანები	18
4. დაზარალებულის ვიქტიმიზაცია	20
4.1. პირველადი ვიქტიმიზაცია	20
4.1.1. ფიზიკური ზიანი.....	21
4.1.2. ფსიქოლოგიური (ემოციური) ზიანი.....	21
4.1.3. მატერიალური (ფინანსური) ზიანი.....	23
4.2. მეორეული ვიქტიმიზაცია.....	23
4.3. მესამეული ვიქტიმიზაცია	27
4.4. მეოთხეული ვიქტიმიზაცია	28
4.5. ხელახალი ვიქტიმიზაცია	28
5. დაზარალებულის საჭიროებები	29
5.1. პატივისცემითა და ღირსებით მოპყრობის საჭიროება.....	29
5.2. ინფორმაციის საჭიროება	32
5.3. სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის საჭიროება	34
5.4. დამნაშავესთვის ადეკვატური სასჯელის შეფარდების საჭიროება.....	35
5.5. დაცვის საჭიროება	36
5.6. მხარდაჭერის საჭიროება.....	37
5.7. კომპენსაციის საჭიროება	38

5.8.	აღდგენით მართლმსაჯულებაში მონაწილეობის საჭიროება	40
6.	შეჯამება.....	42
III.	დაზარალებულის მიმართ არსებული საერთაშორისო სტანდარტები	43
1.	გაერო.....	43
1.1	1985 წლის დეკლარაცია დანაშაულის და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი პრინციპების შესახებ	43
1.2.	დანაშაულის და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების განხორციელებისა და მხარდაჭერის შესახებ კონვენციის პროექტი...	46
1.3.	სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალები და ჰიბრიდული სასამართლოები	48
2.	ევროპის საბჭო.....	50
2.1.	რეკომენდაცია REC R(85)11 და რეკომენდაცია REC(2006)8.....	51
2.2.	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო	54
2.3.	ევროპის საბჭოს სხვა სამართლებრივი ინსტრუმენტები.....	57
3.	ევროკავშირი	57
3.1.	ევროკავშირის კომპეტენცია დაზარალებულის შესახებ რეგულაციების შემუშავების კუთხით	57
3.2.	2001 წლის ჩარჩო გადანყვეტილება	59
3.2.1.	2001 წლის ჩარჩო გადანყვეტილების მიღების ისტორია	59
3.2.2.	ჩარჩო გადანყვეტილების, როგორც სამართლებრივი ინსტრუმენტის ბუნება	60
3.2.3.	2001 წლის ჩარჩო გადანყვეტილების მიზანი და შინაარსი.....	61
3.2.4.	2001 წლის ჩარჩო გადანყვეტილების აღსრულება	62
3.3.	2012 წლის დირექტივა	64
3.3.1.	გზა 2012 წლის დირექტივის მიღებამდე.....	64
3.3.2.	2012 წლის დირექტივის მიზანი და შინაარსი	67

3.3.3. 2012 წლის დირექტივის მიღწევები.....	68
3.3.4. 2012 წლის დირექტივის აღსრულება.....	69
3.4. ევროკავშირის სხვა სამართლებრივი ინსტრუმენტები.....	70
4. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო	72
5. შეჯამება.....	74
IV. დაზარალებულის ცალკეული უფლებები საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით.....	76
1. დაზარალებულის ცნება	80
1.1 საერთაშორისო სტანდარტი.....	80
1.2 საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა	81
1.3 დაზარალებულის უფლებამონაცვლე	82
1.3.1. საერთაშორისო სტანდარტი	82
1.3.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა.....	83
1.4 დაზარალებულის სტატუსის მოპოვება	84
1.4.1. საერთაშორისო სტანდარტი	84
1.4.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა.....	87
1.4.2.1. პროკურორის მიერ პირის დაზარალებულად ცნობის მექანიზმი	87
1.4.2.2. დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებული პრაქტიკა.....	93
1.4.2.2.1. პირველადი ინფორმირების პრობლემა.....	98
1.4.2.2.2. წინასაგამოძიებო მოქმედებები როგორც გამოწვევა.....	100
2. პატივისცემითა და ღირსეულად მოპყრობის უფლება	103
2.1. საერთაშორისო სტანდარტი.....	103
2.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა	106
3. საინფორმაციო ხასიათის უფლებები	111
3.1. დაზარალებულის ინფორმირება პოლიციასთან პირველივე კონტაქტისთანავე.....	114
3.1.1. საერთაშორისო სტანდარტი	114

3.1.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა.....	117
3.2. დაზარალებულის ინფორმირება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით	120
3.2.1. საერთაშორისო სტანდარტი	120
3.2.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა.....	123
3.3. დანაშაულის შეტყობინების შესახებ წერილობითი ცნობის მიღების უფლება.....	126
3.3.1. საერთაშორისო სტანდარტი	126
3.3.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა.....	126
3.4. საქმის მასალების გაცნობის უფლება	128
3.4.1. საერთაშორისო სტანდარტი	128
3.4.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა.....	129
3.5. სათარჯიმნო და მთარგმნელობითი მომსახურების მიღების უფლება	133
3.5.1. საერთაშორისო სტანდარტი	133
3.5.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა.....	139
3.6. სასამართლო სხდომებზე დასწრების უფლება.....	142
3.6.1. საერთაშორისო სტანდარტი	142
3.6.2. აშშ-ს კანონმდებლობა და პრაქტიკა	142
3.6.3. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა.....	149
4. სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის უფლებები	150
4.1. საერთაშორისო სტანდარტი.....	150
4.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა	153
4.2.1. მოწმის სახით ჩვენების მიცემა	153
4.2.2. პროკურორის მიერ დაზარალებულთან კონსულტაციის გავლა.....	154
4.2.3. ზიანის შესახებ ჩვენების მიცემის უფლება	157
5. მაკონტროლებელი უფლებები	162
5.1. საერთაშორისო სტანდარტი.....	162
5.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა	163
5.2.1. პროკურორის დადგენილებების გასაჩივრების უფლება	163

5.2.1.1. დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით დადგენილებების გასაჩივრების უფლება.....	163
5.2.1.2. გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილების და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის დადგენილების გასაჩივრება	165
5.2.1.2.1. პროკურორის დადგენილების გასაჩივრება ზემდგომ პროკურორთან.....	166
5.2.1.2.2. ზემდგომი პროკურორის დადგენილების გასაჩივრება სასამართლოში	167
6. დაცვითი უფლებები	173
6.1. საერთაშორისო სტანდარტი.....	173
6.1.1. ინდივიდუალური შეფასება.....	176
6.1.2. დაზარალებულის დაცვა vs. ბრალდებულისთვის სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფა.....	180
6.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა	186
7. მხარდაჭერის მიღების და წარმომადგენლობითი უფლებები	193
7.1. მხარდაჭერის სერვისებზე წვდომის უფლება	193
7.1.1. საერთაშორისო სტანდარტი	193
7.1.2 საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა.....	199
7.2. ადვოკატის ყოლის უფლება	205
7.2.1. საერთაშორისო სტანდარტი	205
7.2.1.1. წმინდა შეჯიბრებითი ქვეყნები	206
7.2.1.2. ნახევრად შეჯიბრებითი სისტემის მქონე ქვეყნები (სკანდინავიის ქვეყნები)	209
7.2.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა.....	212
8. სამოქალაქო სამართლებრივი მოთხოვნების განხორციელების უფლებები	223
8.1. კომპენსაციის უფლება	223
8.1.1. კომპენსაციის მიღება დამნაშავესგან	223
8.1.1.1.საერთაშორისო სტანდარტი	223
8.1.1.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა.....	226

8.1.2. სახელმწიფო კომპენსაცია	230
8.1.2.1. სახელმწიფო კომპენსაციის დაარსება და განვითარება	231
8.1.2.2. საერთაშორისო სტანდარტი	234
8.1.2.2.1. ევროპის საბჭო.....	234
8.1.2.2.1.1 ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლთა კომპენსაციის შესახებ ევროპული კონვენცია	234
8.1.2.2.2. გაერო.....	236
8.1.2.2.2.1. გაეროს 1985 წლის დეკლარაცია	236
8.1.2.2.3. ევროკავშირი	237
8.1.2.2.3.1. ღირეფტივა დაზარალებულის კომპენსაციის შესახებ.....	237
8.1.2.2.3.2. ღირეფტივა ტრეფიკინგის წინააღმდეგ	239
8.1.2.2.3.3. ღირეფტივა ტერორიზმის წინააღმდეგ	239
8.1.2.2.4. საერთაშორისო პრაქტიკა	240
8.1.2.3 საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა.....	244
8.2. ჩამორთმეული ქონების უკან დაბრუნების უფლება	248
8.2.1. საერთაშორისო სტანდარტი	248
8.2.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა.....	248
8.3. განუელი ხარჯების ანაზღაურების უფლება	249
8.3.1. საერთაშორისო სტანდარტი	249
8.3.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა.....	250
9. აღდგენით მართლმსაჯულებაზე წვდომის უფლება.....	251
9.1. აღდგენითი მართლმსაჯულების მიმოხილვა	252
9.2. საერთაშორისო სტანდარტი.....	255
9.2.1. 2001 წლის ჩარჩო გადანყვეტილება	255
9.2.1.1. აღდგენითი მართლმსაჯულების განმარტება და გამოწვევები	256
9.2.1.2. 2001 წლის ჩარჩო გადანყვეტილებით დადგენილი სტანდარტი	257
9.2.2. 2012 წლის ღირეფტივა.....	258
9.2.2.1. აღდგენითი მართლმსაჯულების განმარტება	260

9.2.2.2. აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართ მოქმედი სტანდარტი	263
9.3. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა	266
10. უფლებების დარღვევის გასაჩივრების უფლება.....	269
10.1. შეჯიბრებითი სისტემის მქონე ქვეყნები	269
10.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა.....	274
V. დასკვნა და რეკომენდაციები.....	276
ბიბლიოგრაფია	291

გამოყენებული შემოკლებანი

ქართულ ენაზე:

ადამიანის უფლებათა დაცვის
ევროპული კონვენცია

ამკ

ამშ

გაერო

გაეროს 1985 წლის დეკლარაცია

გვ.

დანვ.

ევროპის საბჭოს 1985 წლის

რეკომენდაცია

ევროპის საბჭოს 1999 წლის

რეკომენდაცია

ადამიანის უფლებათა და ძირითად
თავისუფლებათა დაცვის ევროპული
კონვენცია

არასრულწლოვანთა

მართლმსაჯულების კოდექსი

ამერიკის შეერთებული შტატები

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

დანაშაულის და ხელისუფლების
ბოროტად გამოყენების

მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების
განხორციელების ძირითადი

პრინციპების შესახებ გაერთიანებული
ერების ორგანიზაციის 1985 წლის
დეკლარაცია

გვერდი

დანვრილებით

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის
1985 წლის რეკომენდაცია Rec R(85)11

წვერი სახელმწიფოების მიმართ
სისხლის სამართალსა და სისხლის
სამართლის პროცესში

დაზარალებულის სამართლებრივი
მდგომარეობის შესახებ

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის
რეკომენდაცია No.R(99)19 წვერი

ევროპის საბჭოს 2006 წლის რეკომენდაცია	სახელმწიფოების მიმართ, რომელიც ეხება მედიაციას სისხლის სამართლის საქმეებზე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)8 ნვერი სახელმწიფოების მიმართ დაზარალებულის დახმარების შესახებ
ევროპის საბჭოს 1983 წლის კონვენცია	ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლთათვის კომპენსაციის მინიჭების შესახებ ევროპული კონვენცია
ეუთო	ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
იხ.	იხილეთ
მაგ.	მაგალითად
რედ.	გამოცემის რედაქტორი
საია	საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
სსკ	საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
სსსკ	საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
შეად.	შეადარეთ
შსს	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
ძვ.წ.	ძველი წელთაღრიცხვით
2001 წლის ჩარჩო გადაწყვეტილება	საბჭოს 2001 წლის 15 მარტის ჩარჩო გადაწყვეტილება 2001/220/JHA სისხლის სამართლის პროცესში

2004 წლის დირექტივა	დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საბჭოს 2004 წლის 29 აპრილის დირექტივა 2004/80/EC
2012 წლის დირექტივა/დირექტივა	დაზარალებულის კომპენსაციის შესახებ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის დირექტივა 2012/29/EU დაზარალებულის უფლებების, მხარდაჭერისა და დაცვის მინიმალური სტანდარტებისა და ჩარჩო გადანყვეტილების 2001/220/JI ჩანაცვლების შესახებ

ინგლისურ ენაზე:

ABA	American Bar Association
Ala. Const.	The Constitution of the State Alabama
Alaska Const.	The Constitution of the State of Alaska
APCJ	Applied Psychology in Criminal Justice
Ariz. Const.	The Constitution of the State Arizona
Art.	Article
Aust. N. Z. J. Criminol.	Australian & New Zealand Journal of Criminology
Brit. J. Crimonol.	The British Journal of Criminology
Can. Community LJ.	Canadian Community Law Journal
Can. Crim. Law Rev.	Canadian Criminal Law Review
Cardozo L. Rev.	Cardozo Law Review
CDPC	European Committee on Crime Problems
Chap. L. Rev.	Chapman Law Review

CoE	Council of Europe
Colo. Const.	The Constitution of the State of Colorado
Common Mark. Law Rev	Common Market Law Review
CPS	Crown Prosecution Service
Criminology & Pub.Pol'Y	Criminology & Public Policy
Crime Delinq.	Crime & Delinquency
Crim. Justice Policy Rev.	Criminal Justice Policy Review
CrimLF	Criminal Law Forum
Crim. Law. Q.	Criminal Law Quarterly
Crim. Law Rev.	Criminal Law Review
Curr. Issues Crim. Justice	Current Issues in Criminal Justice
CVRA	Crime Victims' Rights Act
ECCC	Extraordinary Chambers in the Courts of Cambodia
ECJ	European Court of Justice
ECmHR	European Commission of Human Rights
ECtHR	European Court of Human Rights
Ed.	Editor
Eds.	Editors
EFRJ	European Forum for Restorative Justice
EJIL	European Journal of International Law
EPRS	European Parliamentary Research Service
EU	European Union
EuCLR	European Criminal Law Review
Eur. J. Criminol.	European Journal of Criminology
Eur. J. Crime Crim. Law. Crim. Justice	European Journal of Crime, Criminal Law and Criminal Justice
Fem. Leg. Stud.	Feminist Legal Studies

FJLR	Flinders Journal of Law Reform
Fla. Const.	The Constitution of the State Florida
Fordham Int. Law J.	Fordham International Law Journal
FRA	European Union Agency for Fundamental Rights
Framework Decision of 2011	Council Framework Decision 2001/220/JHA of 15 March 2001 on the standing of victims in criminal proceedings
GAO	United State Government Accountability Office
Ger. Law J.	German Law Journal
Hasting L.J.	Hasting Law Journal
Hum. Rights Law Rev.	Human Rights Law Review
IAC	International Annals of Criminology / Annales Internationales de Criminologie
IACtHR	Inter-American Court of Human Rights
ICC	International Criminal Court
ICTR	International Criminal Tribunal for Rwanda
ICTY	International Criminal Tribunal for the Former Yugoslavia
Idaho Const.	The Constitution of the State Idaho
IJC	Internet Journal of Criminology
IJCA	International Journal for Court Administration
Ind. Const.	The Constitution of the State Indiana
Ind. Organ. Psychol.	Industrial and Organizational Psychology

INTERVICT	International Victimology Institute Tilburg
Int. Rev. Red Cross	International Review of the Red Cross
IRV	International Review of Victimology
Iss.	Issue
J. Crim. Law Criminol.	Journal of Criminal Law and Criminology
JCJ	Journal of Criminal Justice
JCJ &SD	International Journal for Crime, Justice and Social Democracy
JCRED	Journal of Civil Rights and Economic Development
J.Law & Soc	Journal of Law and Society
JSMP	Judicial System Monitoring Programme
Kan. Const.	The Constitution of the State Kansas
La. Const.	The Constitution of the State Louisiana
LCLR	Lewis & Clark Law Review
Marq. L. Rev.	Marquette Law Review
Mich. Const.	The Constitution of the State Michigan
Miss. Const.	The Constitution of the State Mississippi
Mod. Law Rev.	Modern Law Review
Mont. Const.	The Constitution of the State Montana
N.M. Const.	The Constitution of the State New Mexico
NCVLI	National Crime Victim Law Institute
Neb. Const.	The Constitution of the State Nebraska
Nev. Const.	The Constitution of the State Nevada
NILQ	Northern Ireland Legal Quarterly
NSW Government	The Government of New South Wales
NYIL	Netherland Yearbook of International Law

OFOVC	Office of the Federal Ombudsman for Victims of Crime
Ohio State J. Crim. Law	Ohio State Journal of Criminal Law
Okla. Const.	The Constitution of the State Oklahoma
Or. Const.	The Constitution of the State Oregon
OVC	Office for Victims of Crime
p.	page
pp.	pages
par.	paragraph
Psychol. Crime Law	Psychology, Crime & Law
QHR	Qualitative Health Research
Recommendation No. R (85) 11	Recommendation No. R (85) 11, of the Committee of Ministers to member states on the position of the victim in the framework of criminal Law and procedure
Recommendation No. R (97) 14	Recommendation No. R (97) 14 of the Committee of Ministers to Member States on the establishment of independent national institutions for the promotion and protection of human rights
Recommendation Rec (2006)8	Recommendation Rec (2006)8 of the Committee of Ministers to Member States on assistance to crime victims
Rutgers Law J.	Rutgers Law Journal
S.C. Const.	The Constitution of the State South Carolina
Soc. & Legal Stud.	Social and Legal Studies
Soviet L. & GOV'T	Soviet Law and Government

Tenn. Const.	The Constitution of the State Tennessee
TEU	Treaty on the European Union
TFEU	Treaty on the Functioning of the European Union
UN	United Nations
UNAFEI	United Nations Asia and Far East Institute for the Prevention of Crime and Treatment of Offenders
UN ODCCP	United Nations Office for Drug Control and Crime Prevention
UNODC	United Nations Office on Drugs and Crime
UNSW Law Journal	The University of New South Wales Law Journal
Utah Const.	The Constitution of the State Utah
Utah L. Rev.	Utah Law Review
U. W Austl. L. Rev.	University of Western Australia Law Review
Vt. Law Rev.	Vermont Law Review
Victims' Directive	Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 establishing minimum standards on the rights, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA
Wake For. Law Rev.	Wake Forest Law Review
Wm. & Mary L. Rev.	William & Mary Law Review

გერმანულ ენაზე:

Abs.	Absatz
BKA	Bundeskriminalamt
Bd.	Band
DGStZ	Deutsch-Georgische Strafrechtszeitschrift
dStPO	Deutsche Strafprozessordnung
EuR	Zeitschrift Europarecht
Hrsg.	Herausgeber
H.	Heft
Jg.	Jahrgang
S.	Seite
ZIS	Zeitschrift für Internationale Strafrechtsdogmatik
öStPO	Österreichische Strafprozessordnung

ფრანგულ ენაზე:

AFPAD	Association de Familles de Personnes Assassinées ou Disparues
Cah. dr. europ.	Cahiers de droit européen
CIPS	Les Cahiers Internationaux de Psychologie Sociale
FIDH	Fédération Internationale Pour les Droits Humains
JIDV	Journal International de Victimologie

Rev. dr. pén.

RFSP

RIDP

RSC

T.

Revue de Droit Pénal et de Criminologie

Revue Française de Science Politique

Revue International de Droit Pénal

Revue de Science Criminelle et de Droit
Pénal Comparé

Tome

პორტუგალიურ ენაზე:

APAV

Associação Portuguesa de Apoio à Vítima

I. შესავალი

საუკუნეების მანძილზე დაზარალებულები თვითონ ახორციელებდნენ მართლმსაჯულებას, ისინი თვითონ იყვნენ ბრალმდებელნი და სასჯელის შემფარდებლებიც.¹ მოგვიანებით ბრალმდებლის ფუნქცია სახელმწიფომ შეითავსა და დაზარალებულის „ოქროს ხანა“ წარსულს ჩაბარდა.² დაზარალებულის პროცესიდან გარიყვა განსაკუთრებით გაძლიერდა მე-19 საუკუნეში. ამის საფუძველი გახდა განმანათლებელთა მოღვაწეობა, განსაკუთრებით კი ჩემბარე ბეკარიას 1764 წლის ნაშრომი „ესე დანაშაულებსა და სასჯელებზე“. მისი აზრით, საზოგადოება იქმნებოდა სოციალური ხელშეკრულების საფუძველზე და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ფუნქცია უნდა ყოფილიყო საზოგადოების დაცვა იმათგან, ვინც დაარღვევდა მოცემულ ხელშეკრულებას,³ შესაბამისად, სისხლის სამართლის მართლმსაჯულება ფოკუსირებული უნდა ყოფილიყო დამნაშავეზე.⁴ ბეკარია დანაშაულს განიხილავდა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად, სადაც ადგილი არ რჩებოდა დაზარალებულისთვის, როგორც კერძო ინტერესების მქონე პირისთვის.⁵ ბეკარიას იდეამ დიდი წარმატება მოიპოვა თანამედროვე სამართლებრივ სისტემებში.⁶ სახელმწიფოებმა დანაშაული მიიჩნიეს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად.⁷ ისინი ინტერესდებოდნენ მხოლოდ დამნაშავეთ, შედეგად, დაზარალებული საერთოდ გამოირიცხა სისხლის სამართლის პროცესის ღირებულებათა სისტემიდან. იგი გახდა მხოლოდ და მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესის დაწყების საფუძველი, ანუ მხოლოდ ობიექტი.⁸

¹ *Bassiouni, M. C.*: International Recognition of Victims' Rights, *Hum. Rights Law Rev.*, Vol. 6, Iss. 2, 2006, pp. 206-207.

² *Bednarova, J.*: The Heart of the Criminal Justice System: A Critical Analysis of the Position of the Victim, *IJC*, 2011, p. 7.

³ *Belof, D.E.*: Victims' Rights: A Documentary and Reference Guide, California, 2012, p. 14.

⁴ *Mills, L.G.*: The Justice of Recovery: How the State Can Heal the Violence of Crime, *Hasting L.J.*, Vol. 57, Iss. 3, 2005, p. 459.

⁵ *Belof, D.E.*: Victims' Rights: A Documentary and Reference Guide, California, 2012, p. 14.

⁶ იქვე.

⁷ *Cyr, K.*: Empowerment et Système de Justice Pénal: L'expérience des Victimes D'actes Criminels, Montréal, 2008, p. 31.

⁸ *Belof, D. E.*: The Third Model of Criminal Process: The Victim Participation Model, *Utah L. Rev.*, No. 2, 1999, p. 290; *Schneider, H.J.*: Viktimologie: Wissenschaft vom Verbrechensopfer, Tübingen, 1975, S. 184; *Groenhuijsen, M.S.*: Victims' Rights and Restorative Justice: Piecemeal Reform of the Criminal Justice System or a Change of Paradigm? ნაშრომში: *Kaptein, H., M. Malsch M.* (eds.): Crime, Victims and Justice: Essays on Principles and Practice,

თუმცა მე-20 საუკუნის 70-80-იანი წლებიდან განვითარებულმა ისეთმა მოვლენებმა, როგორცაა ვიქტიმოლოგიის განვითარება, მსხვერპლთა მოძრაობების ჩამოყალიბება, ვიქტიმოლოგიის მსოფლიო საზოგადოების დაარსება და შემდეგ უკვე დაზარალებულის უფლებების შესახებ საერთაშორისო ინსტრუმენტების მიღება,⁹ თვალსაჩინო გახადა, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის მხოლოდ ამ მიმართულებით ფუნქციონირება ვეღარ პასუხობდა საზოგადოების დაკვეთას.¹⁰ გამოიკვეთა, რომ დაზარალებულის ინტერესების სისტემატიური ხელყოფა იწვევდა მის მეორეულ ვიქტიმიზაციას, რაც დაზარალებულზე დანაშაულივით მძიმე კვალს ტოვებდა. 1982 წელს, აშშ-ში დაზარალებულის საკითხებზე შექმნილმა სამუშაო ჯგუფის წევრმა, რობერტ გრეისონმა აღნიშნა, რომ „დანაშაულის მსხვერპლად ქცევა დაუფინყარი კომპარია, მაგრამ შემდეგ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის მსხვერპლად ქცევა უპატიებელი პარადიაა. ამით დამნაშავე და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა ერთმანეთის პარტნიორები ხდებიან“.¹¹ შესაბამისად, დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაცია სახელმწიფოს დამნაშავედ აქცევს, ოღონდ დამნაშავისგან განსხვავებით, მას თავის ქმედებაზე პასუხისმგებლობა არ ეკისრება. გარდა ამისა, გამოვლინდა, რომ დაზარალებულის გარიყვა საფრთხეს უქმნის მთლიანად სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებას. თუ დაზარალებული არ ისურვებს პოლიციისთვის დანაშაულის შეტყობინებას ან შემდგომში არ ისურვებს საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობას, გაიზრდება დაურეგისტრირებელ და გაუხსნელ დანაშაულთა მაჩვენებელი, რაც პირდაპირ საფრთხეს შეუქმნის საზოგადოების კეთილდღეობას.¹²

აღნიშნული მოვლენების ფონზე საერთაშორისო დონეზე თანდათანობით დაიწყო პარადიგმების ცვლილება. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველ

Hampshire, 2004, p. 65; *Braun, K.*: Victim Participation Rights: Variation Across Criminal Justice Systems, Cham, 2019, p. 203.

⁹ *Karstedt, S.*: From Absence to Presence, from Silence to Voice: Victims in International and Transitional Justice since the Nuremberg Trials, IRV, Vol. 17, 2010, p. 10.

¹⁰ *Wergens, A.*: The Role and Standing of the Victim in the Face of Criminal Procedure Sweden, RIDP, Vol. 73, Iss. 1, 2002, p. 260.

¹¹ *President's Task Force on Victims of Crimes, (US)*: Final Report, 1982, p. 9.

¹² *Beloof, D.E.*: Victims' Rights: A Documentary and Reference Guide, California, 2012, pp. 50-51.

მუხლში განმტკიცდა, რომ „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით.“, ხოლო მე-6 მუხლის თანახმად, „ყველას სადაც უნდა იმყოფებოდეს, აქვს უფლება ცნონ მისი სამართალსუბიექტობა.“ შესაბამისად, დაინციო მოთხოვნა, რომ დაზარალებული მისი ღირსებიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის პროცესში ცნობილი ყოფილიყო სამართალსუბიექტად, ანუ იგი პროცესში წარმოჩენილი ყოფილიყო არა მხოლოდ მტკიცებულებად (მონწმე), არამედ აქტიურ სუბიექტად, რომელსაც მინიჭებული ექნებოდა მისი ინტერესების შესაბამისი უფლებები.¹³ ვინაიდან ადამიანის ღირსება სისხლის სამართლის პროცესის განუყოფელი ნაწილია, იგი სახელმწიფოს ავალდებულებს ისეთი კანონმდებლობის მიღებას, რომელშიც გარანტირებული იქნება ადამიანის უფლებები და თავისუფლებები. ღირსების აბსოლუტური ბუნებიდან გამომდინარე, დაუშვებელია, სისხლის სამართლის პროცესში მოქმედმა ნორმებმა გამოიწვიოს პროცესის მონაწილეების ჩაგვრა. ადამიანი არასდროს არ უნდა იქნეს გამოყენებული რაიმე მიზნის მიღწევის საშუალებად, ანუ დაუშვებელია მისი ობიექტად ქცევა.¹⁴ როგორც თავდაპირველად სახელმწიფოსგან მომდინარე ჩაგვრის აღკვეთა გახდა ბრალდებულისთვის უფლებების მინიჭებისა და სისხლის სამართლის პროცესში სამართლიანი სასამართლოს პრინციპის შემოღების საფუძველი,¹⁵ ისევე უნდა გახდეს დაზარალებულის ჩაგვრის, მისი უფლებების დარღვევისა და მისი მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება მისთვის სათანადო უფლებების მინიჭების საფუძველი.¹⁶

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შემდეგ დაზარალებულთან დაკავშირებით მიღებულ იქნა მრავალი საერთაშორისო აქტი და ჩამოყალიბდა პრეცედენტული სამართალი, რომლებშიც სწორედ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის იდეა ჰპოვებს გამოხატულებას. მაგალითად, დანაშაულის და

¹³ *Dearing, A.*: Justice for Victims of Crime: Human Dignity as the Foundation of Criminal Justice in Europe, 2017, pp. 258, 268-270; *Wemmers, J.A.*: Victims' Rights are Human Rights: The Importance of Recognizing Victims as Persons, *Temida*, Vol. 15, Iss. 2, 2012, p. 80; *European Forum for Victim Services*, Statement of Victims' Rights in the Process of Criminal Justice, 1996, p. 4, <<https://victimsupport.eu/activeapp/wp-content/uploads/2012/09/VSE-Statement-of-Victims-Rights-in-the-Process-of-Criminal-Justice21.pdf>>, [13.05.2020].

¹⁴ *De La Cuesta, J.L.*: The Principle of Humanity in Penal Law, *RIDP*, Vol. 82, Iss. 3, 2011, pp. 457-458, 473-474.

¹⁵ იქვე, pp. 457- 458.

¹⁶ *Dearing, A.*: Justice for Victims of Crime: Human Dignity as the Foundation of Criminal Justice in Europe, 2017, pp. 258, 268-270.

ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი პრინციპების შესახებ გაეროს 1985 წლის დეკლარაციაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მსხვერპლები არიან არა მხოლოდ ისინი, ვისაც დანაშაულის შედეგად მიაღდათ ზიანი არამედ ისინიც, ვისი ფუნდამენტური უფლებებიც არსებითად დაირღვა.¹⁷ იმავენაირად განმარტავს მსხვერპლს გაეროს კონვენციის პროექტი, რომელიც შეეხება მსხვერპლთათვის მართლმსაჯულებისა და მხარდაჭერის განხორციელებას. აღნიშნულის პირველი მუხლის მიხედვით, მსხვერპლს წარმოადგენს არა მხოლოდ ის, ვისაც მიაღდა ზიანი, არამედ ისიც, ვისი ფუნდამენტური უფლებებიც დაირღვა.¹⁸ შესაბამისად, გამოდის, რომ ორივე სამართლებრივი აქტი დანაშაულს მიიჩნევს მსხვერპლის უფლებების დარღვევად.

„სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1985 წლის რეკომენდაციაშიც ჩანს, რომ დანაშაული აღარ უნდა იქნეს გაგებული როგორც სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ქმედება. რეკომენდაცია იწყება შემდეგი სიტყვებით: „ვითვალისწინებთ რა, რომ ტრადიციულად სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა გაგებული იყო, როგორც სახელმწიფოსა და დამნაშავეს შორის ურთიერთობა, ვითვალისწინებთ, რომ მოცემული სისტემა დაზარალებულს არათუ უმსუბუქებდა, არამედ უმატებდა პრობლემებს [...]“.¹⁹ შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერიც წარმოადგენს ბიძგს იმისკენ, რომ დანაშაული გაგებულ იქნეს როგორც სახელმწიფოსა და დაზარალებულის წინააღმდეგ მიმართული ქმედება და როგორც დაზარალებულის უფლებების დარღვევა.

ადამიანის უფლებების მოდელით დანაშაულის გაგებას ხელი შეუწყო ევროპისა და ამერიკის რეგიონალური სასამართლოების გადანაცვებილებმაც.

¹⁷ *Holder, R.L.: Seeing the State: Human Rights Violations of Victims of Crime and Abuse of Power*, ნაპროში: *Weber, L., Fishwick, E., Marmo, M.* (eds.): *The Routledge International Handbook of Criminology and Human Rights*, New York, 2016, p. 421.

¹⁸ *The Draft UN Convention on Justice and Support for Victims of Crime and Abuse of Power*, Art.1.

¹⁹ *FRA: Victims' Rights as Standards of Criminal Justice: Justice for Victims of Violent Crime*, Part 1, Luxembourg, 2019, p. 15; *FIDH: Victims' Rights before the ICC*, 2007, p. 7, <https://www.fidh.org/IMG/pdf/4-CH-I_Background.pdf>, [12.05.2020].

ჯერ კიდევ 1988 წელს, ადამიანის უფლებების ინტერ-ამერიკულმა სასამართლომ, საქმეში *ველასკეზ როდრიგეზი ჰონდურასის წინააღმდეგ*, დაადგინა რომ ადამიანის უფლებების დარღვევის დროს, სახელმწიფო ვალდებულია ჩაატაროს გამოძიება. ხოლო, თუ უფლებების დარღვევა დარჩება დაუსჯელი და არ მოხდება დაზარალებულის უფლებებში აღდგენა, მაშინ სახელმწიფო დაარღვევს მის ვალდებულებას, რომელიც ყველა ადამიანისთვის ამერიკის კონვენციით გარანტირებული უფლებებით სარგებლობის უზრუნველყოფაში მდგომარეობს.²⁰

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიხედვითაც, სახელმწიფო ვალდებულია მოახდინოს ადამიანის უფლებების დარღვევების კრიმინალიზაცია,²¹ რათა თავიდან იქნეს აცილებული დანაშაულის დაუსჯელობა.²² შესაბამისად, სისხლის სამართალი წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმს, დანაშაული კი ადამიანის უფლებების დარღვევას.²³

საერთაშორისო დონეზე საბოლოო სიტყვა „დაზარალებულის უფლებების, მხარდაჭერისა და დაცვის მინიმალური სტანდარტებისა და ჩარჩო გადანყვეტილების 2001/220/JI ჩანაცვლების შესახებ“ ევროპარლამენტისა და საბჭოს 2012 წლის 25 ოქტომბრის 2012/29/EU დირექტივამ თქვა, რომელიც პირდაპირ მიუთითებს, რომ დანაშაული წარმოადგენს არა მხოლოდ საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებას, არამედ დაზარალებულის უფლებების დარღვევასაც.²⁴ სწორედ ამიტომ, დირექტივა მოითხოვს, რომ დაზარალებულმა სისხლის სამართლის პროცესში დაიკავოს საკვანძო ადგილი.²⁵

²⁰ IACtHR: *Velásquez-Rodríguez v. Honduras*, 29/07/1988, §176; *FRA: Victims' Rights as Standards of Criminal Justice: Justice for Victims of Violent Crime*, Part 1, Luxembourg, 2019, p. 18.

²¹ ECtHR, *Z and Others v. the United Kingdom*, Appl. No. 29392/95, 10/05/2001, § 73.

²² ECtHR, *X and Y v. the Netherlands*, Appl. No. 8978/80, 26/03/1985, §§ 22-30.

²³ *FRA: Victims' Rights as Standards of Criminal Justice: Justice for Victims of Violent Crime*, Part 1, Luxembourg, 2019, p. 17.

²⁴ *Victims' Directive*, Recital 9.

²⁵ *European Commission: DG Justice Guidance Document related to the Transposition and Implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 Establishing Minimum Standards on the Rights, Support and Protection of Victims of Crime, and Replacing Council Framework Decision 2001/220/JHA*, Ref. Ares (2013)3763804 - 19/12/2013, p. 7.

სწორედ საერთაშორისო დონეზე განვითარებულმა მოვლენებმა მოამზადეს ნიადაგი იმისთვის, რომ სისხლის სამართლის პროცესში გაძლიერებულიყო დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა. დღესდღეობით დიდხნიანი უარყოფის შემდეგ,²⁶ დაზარალებულის უფლებები წარმოადგენს მართლმსაჯულების სისტემებისთვის აქტუალურ საკითხს. როგორც კონტინენტური ევროპის, ისე საერთო სამართლის ქვეყნები ახორციელებენ რეფორმებს დაზარალებულის საჭიროებების უკეთესად დაკმაყოფილების მიზნით.²⁷

საქართველო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განეწინააღმდეგა მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციებში. იგი 1992 წელს განეწინააღმდეგა გაეროში,²⁸ ხოლო 1999 წელს - ევროპის საბჭოში, რომლითაც აიღო ვალდებულება ჩამოაყალიბოს დემოკრატიული სახელმწიფო, სადაც დაცული იქნება ადამიანის უფლებები.²⁹ გარდა ამისა, 2014 წელს საქართველომ ევროკავშირთან დადო ასოცირების შესახებ შეთანხმება, რომლითაც ივალდებულა „თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სფეროში“ ევროკავშირთან თანამშრომლობა, სადაც ერთ-ერთ ძირითად ასპექტს დაზარალებულის უფლებები წარმოადგენს.³⁰ გარდა ამისა, საქართველო მიეკუთვნება იმ სახელმწიფოთა რიცხვს, რომელზეც ვრცელდება სისხლის სამართლის საერთაშორისო

²⁶ *McEvoy, K., McConnachie, K.*: Victims and Transitional Justice: Voice, Agency and Blame, Soc. & Legal Stud., Vol. 22, 2013, pp. 492-493.

²⁷ *Rauschenbach, M., Scalia, D.*: Victims and International Criminal Justice: A Vexed Question? Int. Rev. Red Cross, Vol. 90, No. 870, 2008, p. 442; *Wergens, A.*: The Role and Standing of the Victim in the Face of Criminal Procedure Sweden, RIDP, Vol. 73, Iss. 1, 2002, p. 260; *Karstedt, S.*: From Absence to Presence, from Silence to Voice: Victims in International and Transitional Justice since the Nuremberg Trials, IRV, Vol. 17, 2010, p. 10; *Magistrates' Courts Division of the United Kingdom: Criminal Courts Review: Lord Auld Report on the Review of Criminal Justice System, 2001*, §§ 70-71, <<https://zakon.co.uk/admin/resources/downloads/2001-lord-auld-report-on-the-review-of-criminal-justice-system-interpreters-chapters-155-161.pdf>>, [12.05.2020].

²⁸ გაეროში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებით: <http://www.ungeorgia.ge/geo/გაერო_საქართველოში/საქართველო_და_გაერო#.XYewqi2B2u4>, [29.06.2020];

გაეროს წევრ სახელმწიფოებთან დაკავშირებით: <<https://www.un.org/en/member-states/>>, [16.06.2020].

²⁹ „ევროპის საბჭოს წესდების“ რატიფიცირების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 02 აპრილის დადგენილება; Statute of the Council of Europe, Art. 2; Charter of the United Nations and Statute of the International Court of Justice, Preamble.

³⁰ ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანების და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, მე-13 მუხლი; TFEU, Art. 82 (2c).

სასამართლოს იურისდიქცია.³¹ შესაბამისად, საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობა და წევრობის შედეგად აღებული ვალდებულებები საქართველოს აიძულებს ეროვნულ დონეზე დანერგოს საერთაშორისო სტანდარტები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოში 2004-2005 წლებში დაიწყო სისხლის სამართლის რეფორმა, რომლის ფარგლებშიც შემუშავდა სისხლის სამართლის რეფორმის სტრატეგია. მის მთავარ მიზანს სისხლის სამართლის კანონმდებლობის საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა წარმოადგენდა. უშუალოდ სისხლის სამართლის პროცესის რეფორმა კი მიმართული იყო შეჯიბრებითობის პრინციპის განმტკიცებისა და მართლმსაჯულების სისტემაში ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების გაძლიერებისკენ.³² 2010 წელს ძალაში შევიდა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომლითაც პროცესი კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემიდან გადავიდა ანგლო-ამერიკულ სისტემაზე, ამით შეჯიბრებითობის პრინციპი ჩაენაცვლა ინკვიზიციურობის პრინციპს. შედეგად შეიცვალა როგორც პროცესის მხარეების, ისე პროცესის სხვა მონაწილეების, მათ შორის დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობაც. თუ 2010 წლამდე მოქმედ სსსკ-ით დაზარალებული პროცესის აქტიურ მონაწილედ გვევლინებოდა და მას კერძო და სუბსიდიურ ბრალმდებლადაც შეეძლო გამოსვლა,³³ ახალი სსსკ-ის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულს აღარ გააჩნია მხარის სტატუსი. დაზარალებული პროცესში წარმოდგენილია მოწმის სახით, მას ენიჭება მოწმის უფლებები და ეკისრება მოწმის ვალდებულებები. თუმცა მოწმისგან განსხვავებით

³¹ „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების“ რატიფიკირების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 16 ივლისის დადგენილება; სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წევრ სახელმწიფოებთან დაკავშირებით:

https://asp.icc-cpi.int/en_menus/asp/states%20parties/pages/the%20states%20parties%20to%20the%20rome%20statute.aspx, [15.03.2020].

³² Criminal Justice Reform Inter-Agency Coordination Council, Criminal Justice Reform Strategy, 10th Session of ICC, p. 4, https://www.justice.gov.ge/Multimedia/Files/sabchoebi/Criminal_Justice_Reform_Strategy_ENG.pdf, [16.06.2020].

³³ 1998 წლის სსსკ, 25-ე და 27-ე მუხლები; თუმანიშვილი, გ.: სისხლის სამართლის პროცესი: ზოგადი მიმოხილვა, თბილისი, 2014, გვ. 170-171; თუმანიშვილი გ.: დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში, სამართლის ჟურნალი, N2, 2009, გვ. 75.

სარგებლობს სხვა დამატებითი უფლებებითაც.³⁴ აღსანიშნავია, რომ დაზარალებულისთვის მხარის სტატუსის ჩამორთმევა არ მოდის არც საქართველოს კონსტიტუციასთან³⁵ და არც საერთაშორისო რეგულაციებთან შეუსაბამობაში, თუმცა მნიშვნელოვანია იმის დადგენა, არსებული საერთაშორისო სტანდარტებისა და საერთაშორისო პრაქტიკის ფონზე, რამდენად ძლიერია საქართველოში დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა. წინამდებარე ნაშრომის მიზანია გამოავლინოს, თუ რამდენად შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობა საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებს, რამდენად სათანადო აღიარებას ჰპოვებს დაზარალებული საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში, გათვალისწინებულია თუ არა მისი საჭიროებები და მოთხოვნები და მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში ხომ არ არსებობს მისი მეორეული ვიქტიმიზაციის საფრთხე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე კვლევა მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ მსხვერპლად ქცეული ფიზიკური პირის სამართლებრივი მდგომარეობის შესწავლისკენ. იგი არ მოიცავს დაზარალებულ იურიდიულ პირსა და სახელმწიფოს.

დასახული ამოცანებიდან გამომდინარე, კვლევა განხორციელებულია რამდენიმე მიმართულებით. პირველ რიგში გაანალიზებულია ვიქტიმოლოგიის მნიშვნელოვანი ასპექტები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დაზარალებულის ვიქტიმიზაციის სახეებსა და დაზარალებულის საჭიროებებს. გარდა ამისა, მიმოხილულია საერთაშორისო სასამართლოები, ასევე საერთაშორისო და ევროპული სამართლებრივი აქტები, რომლებმაც განაპირობეს საერთაშორისო დონეზე დაზარალებულის პრობლემატიკის წინ წამოწევა და სახელმწიფოებისთვის დაადგინეს ის პრინციპები და სტანდარტები, რომელთა საფუძველზე დაზარალებულს უნდა მიენიჭოს რიგი უფლებები. კვლევის ძირითადი ნაწილი კი ეთმობა დაზარალებულის ცალკეული უფლებების შესწავლას. ნაშრომში გაანალიზებულია საერთაშორისო ინსტრუმენტებით დადგენილი ცალკეული უფლებები, მიმოხილულია ცალკეული ქვეყნების როგორც კანონმდებლობა, ისე პრაქტიკა, შემდეგ კი წარმოჩენილია საქართველოში არსებული ნორმატიული მდგომარეობა და პრაქტიკა.

³⁴ სსსკ, 56-58-ე მუხლები.

³⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/8/594 საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ხათუნა შუბითიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 30/09/2016, სარეზოლუციო ნაწილი; ECJ, György Katz, v. István Roland Sós, C-404/07, 9/10/2008.

ასევე შესწავლილია, თუ რა მიმართულებით აკმაყოფილებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა საერთაშორისო სტანდარტებს და რა მიმართულებით საჭიროებს დახვეწას.

კვლევის მეთოდოლოგია აერთიანებს სხვადასხვა მეთოდებს. კვლევაში გამოყენებულია როგორც აღწერილობითი, ისე ანალიტიკური, შედარებით-სამართლებრივი, ნორმატიულ-დოგმატური, სტატისტიკური და ემპირიული მეთოდები. აღნიშნული მეთოდების გამოყენებით გაანალიზებულ იქნა სამეცნიერო ლიტერატურა; საქართველოს კანონმდებლობა; საგამოძიებო, სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებისა და სასამართლო პრაქტიკა; საერთაშორისო ინსტრუმენტები; საერთაშორისო და ევროპული სასამართლოების პრეცედენტული სამართალი; ცალკეულ სახელმწიფოთა კანონმდებლობა და პრაქტიკა. გარდა ამისა, წინასწარ შედგენილი კითხვარის გამოყენებით ჩატარებულ იქნა ინტერვიუები პრაქტიკოს იურისტებთან და უშუალოდ დანაშაულის მსხვერპლებთან, რომელთაგანაც მიღებული ინფორმაცია დამუშავდა მეირინგის მეთოდით.³⁶ ასევე გამოთხოვილ იქნა საჯარო ინფორმაცია სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში მონაწილე უწყებებიდან.

კვლევა შედგება ხუთი თავისგან. პირველ თავს წარმოადგენს შესავალი, სადაც წარმოჩენილია თემის აქტუალობა, ნაშრომის მიზანი და ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია და კვლევის მოსალოდნელი შედეგები.

კვლევის მეორე თავი შეეხება ვიქტიმოლოგიას. ვიქტიმოლოგიური ასპექტების გაანალიზების გარეშე რთულია დაზარალებულის უფლებებზე საუბარი. სწორედ ვიქტიმოლოგიის განვითარებამ გამოიწვია სისხლის სამართლის პროცესში დანაშაულის მსხვერპლისთვის ყურადღების მიქცევა. შესაბამისად, მოცემულ თავში გაანალიზებულია ვიქტიმოლოგიის არსი. დიდი ყურადღება ეთმობა მსხვერპლად ქცევას, ანუ ვიქტიმიზაციას. გაანალიზებულია ვიქტიმიზაციის სახეები. ასევე შესწავლილია დაზარალებულის საჭიროებები, ვინაიდან სწორედ დაზარალებულის საჭიროებები წარმოადგენს

³⁶ მეირინგის მეთოდით ინფორმაციის დამუშავებასთან დაკავშირებით: <<https://eo-vmw-jwpa.ku.de/journalistik/methoden/methoden-der-empirischen-sozialforschung/inhaltsanalyse/qualinhaltsanalyse/qualitative-inhaltsanalyse-auswertungsverfahren-nach-mayring/>>, [11.06.2020].

ინტიკატორს იმისა, თუ რა მოცულობით უნდა იყოს დაზარალებული სისხლის სამართლის პროცესში ჩართული.

კვლევის მესამე თავი ეხება საერთაშორისო და რეგიონალურ დონეზე დაზარალებულის მიმართ არსებულ პოლიტიკას. მოცემულ თავში გაანალიზებულია გაეროს, ევროპის საბჭოს, ევროკავშირისა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ის სამართლებრივი აქტები, სასამართლოები თუ სასამართლო პრაქტიკა, რომლებიც ადგენენ დაზარალებულის მიმართ საერთაშორისო სტანდარტებს და რომლებიც საქართველოში დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრისა და გაუმჯობესებისთვის სახელმძღვანელო პრინციპებს წარმოადგენენ. განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება ევროკავშირის 2012 წლის დირექტივაზე, ვინაიდან საერთაშორისო დონეზე სწორედ იგი წარმოადგენს დაზარალებულის უფლებების კუთხით სახელმძღვანელო სამართლებრივ აქტს.

კვლევის მეოთხე თავი ეძღვნება დაზარალებულის ცალკეულ უფლებებს. თითოეულ უფლებასთან მიმართებით გაანალიზებულია საერთაშორისო და ევროპული სტანდარტები, ასევე უცხო სახელმწიფოებში მოქმედი კანონმდებლობა თუ პრაქტიკა და სწორედ მათთან შედარებით გზით წარმოჩენილია, თუ რამდენად აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა.

კვლევის მეხუთე თავში შეჯამებულია კვლევის შედეგები, წარმოდგენილია დასკვნა და რეკომენდაციები.

II. ვიქტიმოლოგიის მნიშვნელობა სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის სათანადო სამართლებრივი მდგომარეობის უზრუნველყოფისთვის

ვიქტიმოლოგიის ჩამოყალიბებითა და ვიქტიმოლოგიების დიდი აქტიურობის შედეგად, სისხლის სამართლის პროცესში თანდათან დაიწყო ადგილის დამკვიდრება იქამდე სრულიად გარიყულმა ფიგურამ - დანაშაულის მსხვერპლმა. ვიქტიმოლოგებმა ყურადღება გაამახვილეს მსხვერპლად გახდომის პროცესზე და გამოავლინეს ვიქტიმიზაციის სახეები. გარდა ამისა, შეისწავლეს მსხვერპლის საჭიროებები. აღნიშნულმა კვლევებმა კი შესაძლებელი გახდა სისხლის სამართლის პროცესში ისეთი რეფორმების ინიცირება, რომლებიც უპასუხებდა დაზარალებულის საჭიროებებს. ვიქტიმოლოგიის დიდი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მოცემულ თავში საუბარი იქნება ვიქტიმოლოგიის განვითარებაზე, მისი შესწავლის საგანსა და ამოცანებზე. გარდა ამისა, განხილული იქნება ვიქტიმიზაციის სახეები და დაზარალებულის საჭიროებები.

1. ვიქტიმოლოგიის, როგორც სამეცნიერო დარგის განვითარება

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა სამეცნიერო დარგი „კრიმინოლოგია“, რომელიც შეისწავლიდა დანაშაულსა და დამნაშავის პიროვნებას.³⁷ მაგალითად, მე-18 საუკუნის კლასიკოსები, რომელთა რიცხვსაც მიეკუთვნება იტალიელი კრიმინოლოგი *ჩეზარე ბეკარია* (1738-1794), იკვლევდნენ სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესისა და სასჯელის აღსრულებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ისინი განსაკუთრებით დაინტერესებულნი იყვნენ დამნაშავის ბრალეულობისა და მისი პასუხისმგებლობის საკითხით. მე-18 საუკუნის პოზიტივისტები კი, რომლებსაც მიეკუთვნება იტალიელი კრიმინოლოგი *ჩეზარ ლამბროსო* (1835-1909), ფოკუსირებულნი იყვნენ დამნაშავის პიროვნებაზე. მათთვის დანაშაული გამონწვეული იყო დამნაშავის პიროვნების

³⁷ Kury, H.: Entwicklungslinien und Zentrale Befunde der Viktimologie, ნაშრომში: Hartmann, J. (Hrsg.): Perspektiven Professionellen Opferhilfe: Theorie und Praxis eines Interdisziplinären Handlungsfelds, Wiesbaden, 2010, S. 52.

პრობლემებით, რისი საფუძველიც შეიძლება გენეტიკა ან ბავშვობაში სოციალიზაციის პროცესის დარღვევა ყოფილიყო.³⁸

კრიმინოლოგიაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, დანაშაულის მსხვერპლი დანაშაულის ჩადენისას სტატიკურ, უძრავ ელემენტს წარმოადგენდა,³⁹ ამიტომ მეცნიერთა უმეტესობა საჭიროდ არ მიიჩნევდა მის შესწავლას. მხოლოდ რამდენიმე მეცნიერი, კერძოდ გერმანელი იურისტი, *ლუდვიგ ფოიერბახი* (1804-1872), იტალიელი კრიმინოლოგი *ენრიკო ფერი* (1856- 1929), შოლანდიელი კრიმინოლოგი *ვილემ ნაკელი* (1910-1983) და ამერიკელი კრიმინოლოგი *ედვინ საზერლენდი* (1883–1950) იყვნენ მსხვერპლის საკითხის შესწავლით დაკავებულნი. დანაშაულის მსხვერპლის პრობლემატიკა წარმოჩენილ იქნა 1835 წელს პარიზსა და 1900 ბრიუსელში გამართულ კრიმინოლოგიის საერთაშორისო კონგრესებზე, თუმცა ვერც ამ მოვლენებმა დაუდეს დასაბამი მსხვერპლის შემსწავლელი მეცნიერების განვითარებას.⁴⁰

სამეცნიერო დონეზე დანაშაულის მსხვერპლის მიმართ დიდი ინტერესი მხოლოდ მე-20 საუკუნის 40-იან წლებში, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გაჩნდა.⁴¹ ამის საფუძველს წარმოადგენდა კრიმინოლოგების სურვილი, რომ უკეთესად შეესწავლათ დანაშაული. მათ არ ამოძრავებდათ მსხვერპლის მიმართ ემპათია ან თანაგრძნობა, ისინი მხოლოდ და მხოლოდ ცდილობდნენ დაედგინათ დანაშაულის მსხვერპლის როლი დანაშაულის ჩადენაში და ამით უკეთეს სამართლებრივ მდგომარეობაში ჩაეყენებინათ ბრალდებული.⁴²

³⁸ *Burgess, A.C., Regehr, C., Roberts, A.R.*: Victimology: Theories and Applications, 2nd Edition, Burlington, 2013, p. 4; *Van Dijk, J.J.M., Wemmers, J.A.*: Victimology: Services and Rights for Victims of Domestic and International Crimes, ნაშრომში: *Natarajan, M.* (ed.): Introduction to International Crime and Criminal Justice, New York, 2011, p. 33; *McEvoy, K., McConnachie, K.*: Victimology in Transitional Justice: Victimhood, Innocence and Hierarchy, Eur. J. Criminol., Vol. 9, Iss. 5, 2012, p. 529.

³⁹ *Schneider, H.J.*: Kriminologie, Berlin, 1987, S. 751.

⁴⁰ *Kury, H.*: Entwicklungslinien und Zentrale Befunde der Viktimologie, ნაშრომში: *Hartmann, J.* (Hrsg.): Perspektiven Professionellen Opferhilfe: Theorie und Praxis eines Interdisziplinären Handlungsfelds, Wiesbaden, 2010, S. 53; *Wemmers, J.A.*: Victimology: A Canadian Perspective, Toronto, 2017, pp. 17-18; *Sautner, L.*: Viktimologie: Die Lehre von Verbrechensopfern, Wien, 2014, S. 6.

⁴¹ *Gilinskij, J., Ivanov, L.*: Victimology in the USSR: Theoretical Approach and Empirical Research, ნაშრომში: *Kaiser, G., Kury, H., Albrecht, H.J.* (eds.): Victims and Criminal Justice: Victimological Research: Stocktaking and Prospects, Freiburg, 1991, p. 160; *Kury, H.*: Entwicklungslinien und Zentrale Befunde der Viktimologie, ნაშრომში: *Hartmann, J.* (Hrsg.): Perspektiven Professionellen Opferhilfe: Theorie und Praxis eines Interdisziplinären Handlungsfelds, Wiesbaden, 2010, S. 53.

⁴² *Wemmers, J.A.*: Victimology: A Canadian Perspective, Toronto, 2017, p. 20.

პირველი მეცნიერი, რომლის ნაშრომებმაც ვიქტიმოლოგიური რევოლუცია მოახდინეს, იყო გერმანელი კრიმინოლოგი, *ჰანს ფონ ჰენტიგი* (1887 – 1974).⁴³ მან 1941 წელს გამოსცა სტატია „შენიშვნები დამნაშავესა და მსხვერპლს შორის ინტერაქციის შესახებ“, ხოლო 1948 წელს გამოაქვეყნა წიგნი „დამნაშავე და მისი მსხვერპლი“ (The Criminal and His Victim),⁴⁴ რომელშიც გამოიყენა აშშ-სა და გერმანიაში მკვლევლობასთან დაკავშირებით არსებული მონაცემები და ამ გზით წარმოაჩინა მსხვერპლსა და დამნაშავეს შორის არსებული მჭიდრო კავშირი.⁴⁵ *ჰენტიგის* თანახმად, დანაშაულის მსხვერპლი დანაშაულის ჩადენის პროცესში არა პასიურ, არამედ აქტიურ სუბიექტს წარმოადგენდა. მისი მოსაზრებით, იგი დანაშაულის გამომწვევეც კი იყო⁴⁶. მისი აზრით, მსხვერპლი მონაწილეობას ღებულობს დანაშაულის წარმოქმნასა და დასრულებაში. ამ მიდგომით ჰენტიგმა უარყო მსხვერპლის სტატიკური ცნება და შემოიტანა მისი დინამიკური მოძღვრება.⁴⁷ იგი თვლიდა, რომ მსხვერპლისა და დამნაშავის სოციალურმა და ფსიქოლოგიურმა ასპექტებმა შეიძლება დიდი როლი ითამაშოს დანაშაულის ჩადენაში,⁴⁸ შესაბამისად, მსხვერპლის როლის შესწავლა ხელს შეუწყობდა დანაშაულის პრევენციას.⁴⁹

⁴³ *Van Dijk, J.J.M.*: Introduction Victimology, ნაშრომში: *Van Dijk, J. J. M., Van Kaam, R.G.H., Wemmers, J.A.* (eds.): *Caring for Crime Victims: Selected Proceedings of the Ninth International Symposium on Victimology*, Amsterdam, 1997, p. 1.

⁴⁴ *Cornil, P.*: Contribution de la „Victimologie“ aux Sciences Criminologiques, Rev. dr. pén., No. 7, 1959, p. 587.

⁴⁵ *Van Dijk, J.J.M.*: Introduction Victimology, ნაშრომში: *Van Dijk, J. J. M., Van Kaam, R.G.H., Wemmers, J.A.* (eds.): *Caring for Crime Victims: Selected Proceedings of the Ninth International Symposium on Victimology*, Amsterdam, 1997, p. 1; *Ostroumov, S.S., Frank, L.V.*: On Victimology and Victimization, Soviet L. & GOV'T, Vol. 15, Iss. 3, 1976, p. 80.

⁴⁶ ჰენტიგის მიდგომა ცნობილია, როგორც „მსხვერპლის პროვოკაციის“ თეორია (victim precipitation). მას იზიარებდნენ მენდელსონი, ვოლფგანგი, შეიფერი, ამირი და სხვები. აღნიშნული მიდგომიდან განვითარდა მსხვერპლის ტიპოლოგიები, დანაშაულის სრულიად უდანაშაულოდან (completely innocent) დამთავრებული იმ მსხვერპლებით, რომლებსაც უფრო დიდი წვლილი მიუძღოდათ დანაშაულის ჩადენაში, ვიდრე თვითონ დამნაშავეს. ვინაიდან აღნიშნული მიდგომა ხაზს უსვამდა მსხვერპლების ბრალეულობას და მათ უარყოფითად წარმოაჩენდა, დღეს „მსხვერპლის პროვოკაციის“ ნაცვლად გამოიყენება „მსხვერპლის მიერ გამარტივების“ კონცეფცია, რომლის მიხედვით, მსხვერპლის არაგამიზნული ქმედებები ხელს უწყობს მის ვიქტიმიზაციას.

⁴⁷ *შალიკაშვილი, მ.*: ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი, 2011, გვ. 8; *Fattah, E.A.*: The Vital Role of Victimology in the Rehabilitation of Offenders and Their Reintegration into Society, 12th International Training Course Visiting Experts' Papers, Resource Material Series No. 56, p. 72; *Schneider, H.J.*: Kriminologie, Berlin, 1987, S. 752; *Drapkin, I.*: Viktimologie: Das Judische und Deutsche Volk, ნაშრომში: *Schneider, H.J.* (Hrsg.): Das Verbrechensopfer in der Strafrechtspflege: Psychologische, Kriminologische, Strafrechtliche und Strafverfahrensrechtliche Aspekte, Berlin, 1982, S. 4.

⁴⁸ *Wemmers, J.A.*: Introduction à la Victimologie, Montréal, 2003, pp. 27-28.

⁴⁹ *შალიკაშვილი, მ.*: ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი, 2011, გვ. 8; *Schneider, H.J.*: Kriminologie, Berlin, 1987, S. 752; *Drapkin, I.*: Viktimologie: Das Judische und Deutsche Volk,

ჰენტიგთან ერთად, ვიქტიმოლოგიის დაარსებაში დიდი წვლილი მიუძღვის ებრაელ კრიმინოლოგს *ბენიამენ მენდელსონს* (1900-1998),⁵⁰ იგი დაიბადა რუმინეთში, სადაც სწავლობდა სამართალს და მუშაობდა ადვოკატად. სწორედ ადვოკატად მუშაობის პერიოდში, ბრალდებულის ვერსიის მოსმენის შემდეგ დაასკვნა, რომ მსხვერპლს დიდი როლის თამაში შეუძლია დანაშაულის ჩადენაში.⁵¹ ამიტომ 1937 წლიდან დაიწყო მსხვერპლის სამეცნიერო კვლევა.⁵² *მენდელსონმა* მსხვერპლის შესახებ შეაგროვა მონაცემები და კვლევის შედეგები იმავე წელს გამოაქვეყნა ბელგიურ ჟურნალში „Revue de Droit Pénal et de Criminologie“ („სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის ჟურნალი“). შემდეგ 1940 წელს იტალიურ ჟურნალში „Giustizia Penale“ („სისხლის სამართლის მართლმსაჯულება“) გამოაქვეყნა სტატია „Rape in Crimology“ („გაუპატიურება კრიმინოლოგიაში“). ვიქტიმოლოგიისთვის განსაკუთრებულ თარიღად მიიჩნევა 1947 წელი, ვინაიდან სწორედ ამ წლის 29 მარტს ბუქარესტში (რუმინეთი) გამართულ ფსიქიატრთა კონგრესზე მოხსენებით გამოვიდა მენდელსონი, სადაც პირველად ისაუბრა „მსხვერპლის შემსწავლელ მეცნიერებაზე“, რომელიც შემდგომში „ვიქტიმოლოგიად“⁵³ მოინათლა.⁵⁴ 1956 წელს კი ჟურნალში „Revue Internationale de Criminologie et Police

ნაშრომში: *Schneider, H.J.* (Hrsg.): Das Verbrechensopfer in der Strafrechtspflege: Psychologische, Kriminologische, Strafrechtliche und Strafverfahrensrechtliche Aspekte, Berlin, 1982, S.4; *Cortina, L., Rabelo, C., Holland, K.*: Beyond Blaming the Victim: Toward a more Progressive Understanding of Workplace Mistreatment, Ind. Organ. Psychol., Vol. 11, Iss. 1, 2018, p. 82; *Van der Aa, S.*: Introduction to Victimology and Victims' Rights, ნაშრომში: *Superior Council of Magistracy of Romania*: Strengthening Judicial Cooperation to Protect Victims of Crime, 2014, p. 7.

⁵⁰ *Van Dijk, J.J.M.*: Introduction Victimology, ნაშრომში: *Van Dijk, J.J.M., Van Kaam, R.G.H., Wemmers, J.A.* (eds.): Caring for Crime Victims: Selected Proceedings of the Ninth International Symposium on Victimology, Amsterdam, 1997, p. 1.

⁵¹ *Wemmers, J.A.*: Introduction à la Victimologie, Montréal, 2003, p. 28; *Van Dijk, J.J.M.*: Introduction Victimology, ნაშრომში: *Van Dijk, J.J.M., Van Kaam, R.G.H., Wemmers, J.A.* (eds.): Caring for Crime Victims: Selected Proceedings of the Ninth International Symposium on Victimology, Amsterdam, 1997, p. 1.

⁵² *Ben-David, S.*: Needed: Victim's Victimology, ნაშრომში: *Friday, P.C., Kirchhoff, G.F.* (eds.): Victimology at the Transition From the 20th to the 21st Century, Festschrift for Hans Joachim Schneider, Düren, Maastricht, 2000, p. 55.

⁵³ სიტყვა ვიქტიმოლოგია (victimology) წარმოადგენს ცნებას, რომელიც შედგება ორი ნაწილისგან: პირველი ნაწილი მომდინარეობს ლათინური სიტყვისგან „Victima“, რომელიც ნიშნავს მსხვერპლს, ხოლო მეორე ნაწილი მომდინარეობს ბერძნული სიტყვისგან „logos“, რომელიც ნიშნავს ცოდნის სისტემას, სწავლების, მეცნიერების მიმართულებას და დისციპლინას.

⁵⁴ *Dussich, J.P.J.*: Victimology: Past, Present and Future, UNAFEI, Resource Material Series No. 70, 2006, p. 116; *Wemmers, J.A.*: Introduction à la Victimologie, Montréal, 2003, p. 29; *Schneider, H.J.*: Kriminologie, Berlin, 1987, S. 752-753; *Drapkin, I.*: Viktimologie: Das Jüdische und Deutsche Volk, ნაშრომში: *Schneider, H.J.* (Hrsg.): Das Verbrechensopfer in der Strafrechtspflege: Psychologische, Kriminologische, Strafrechtliche und Strafverfahrensrechtliche Aspekte, Berlin, 1982, S. 4.

Technique“ („საერთაშორისო უურნალი კრიმინოლოგიისა და პოლიციური ტექნიკის შესახებ“) ფრანგულ ენაზე გამოაქვეყნა ნაშრომი „A New Branch of the Bio-Psycho-Social Science: Victimology“ („Une Nouvelle Branche de la Science Biopsychosociale: la Victimologie“ – „ბიო-ფსიქო-სოციალური მეცნიერების ახალი განშტოება: ვიქტიმოლოგია“), სადაც ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით,⁵⁵ პირველად გამოჩნდა სიტყვა „ვიქტიმოლოგია“. აღნიშნულში *მენდელსონმა* წარმოადგინა „ვიქტიმოლოგიის“ დეტალური განმარტება და მოითხოვა კრიმინოლოგიისგან დამოუკიდებელი სამეცნიერო დარგის დაარსება.⁵⁶ გემოაღნიშნული მეცნიერების გარდა ვიქტიმოლოგიის განვითარებას თავისი ვიქტიმოლოგიური კვლევებით კიდევ მრავალმა მეცნიერმა⁵⁷ შეუწყო ხელი.⁵⁸ მათი დამსახურებით დაარსდა ვიქტიმოლოგიური უურნალი სახელწოდებით: *Victimology: An International Journal* (ვიქტიმოლოგია: საერთაშორისო უურნალი),⁵⁹ შეიქმნა

⁵⁵ შენიშვნა: მეცნიერება არ არის შეთანხმებული მასზე, თუ პირველად ვინ გამოიყენა სიტყვა ვიქტიმოლოგია. ზოგიერთი ვიქტიმოლოგი თვლის, რომ იგი პირველად მენდელსონმა 1947 წელს, ბუქარესტში კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას გამოიყენა, ზოგიერთი ვიქტიმოლოგი კი მიიჩნევს, რომ აღნიშნული ტერმინი პირველად ამერიკელმა ფსიქიატრმა, ფრედერიკ ვერტჰამმა, 1949 თავის წიგნში „The Show of Violence“ („ძალადობის შოუ“) გამოიყენა, რომელშიც აღნიშნა, რომ დამნაშავეს ფსიქოლოგიის შესაცნობად მნიშვნელოვანი იყო მსხვერპლის შემეცნება, შესაბამისად, საჭირო იყო ვიქტიმოლოგიის დაარსება. ზოგიერთი ვიქტიმოლოგი კი მიიჩნევს, რომ სიტყვა ვიქტიმოლოგია პირველად გამოიყენა გერმანელმა კრიმინოლოგმა ჰანს ფონ ჰენტიგმა, გერმანულ გაზეთში „Kölner Zeitung“.

⁵⁶ *შალიკაშვილი, მ.*: კრიმინოლოგია, მესამე გამოცემა, თბილისი, 2017, გვ. 190; *Dussich, J.P.J.*: The Evolution of International Victimology and Its Current Status in the World Today, RV/JV, No. 1, 2015, p. 42; *Dussich, J.P.J.*: Victimology: Past, Present and Future, UNAFEI, Resource Material Series No. 70, 2006, p. 116; *Wemmers, J.A.*: Introduction à la Victimologie, Montréal, 2003, pp. 28-29; *Newburn, T.*: Criminology, 3rd Edition, Abingdom, New York, 2016, p. 368; *Wemmers, J.A.*: Victimology: A Canadian Perspective, Toronto, 2017, p. 18.

⁵⁷ შენიშვნა: მოცემულ მეცნიერებს მიეკუთვნებიან: ჰენრი ელენბერგერი, შტეფენ შეიფერი, ჰანს იოხიმ შნაიდერი, რობერტ ელიასი, ნილს კრისტი, მარვინ ვოლფგანგი, ისრაელ დრაფკინი, ემილიო ვიანო, ებეტ ფატაჰ, სარა მარჯერი ფრაი, კიოჩი მიაზავა, გერდ ფ. ქირხჰოფი, სარა ბენ დევიდი, იან ვან დაიკი, ჯონ დასიჩი, ლიროი ლამბორნი, ჯო-ენ ვემერსი, ჰელმუტ ქარი, მარკ ხრუნჰაუსენ, ირვინ ვოლერი, ჯო-ენ ვემერსი, ჰელმუტ ქერი, ლიროი ლამბორნი, ნილს კრისტი, იან ვან დაიკი.

⁵⁸ *Van Dijk, J.J.M.*: Introduction Victimology, ნაშრომში: *Van Dijk, J.J.M., Van Kaam, R.G.H., Wemmers, J.A.* (eds.): Caring for Crime Victims: Selected Proceedings of the Ninth International Symposium on Victimology, Amsterdam, 1997, p. 1; *Schneider, H.J.*: Viktimologie: Wissenschaft vom Verbrechensopfer, Tübingen, 1975, S. 184; *Wemmers, J.A.*: Victimology: A Canadian Perspective, Toronto, 2017, pp. 19-20; *Amir, M.*: Victim Precipitated Forcible Rape, J. Crim. Law Criminol., Vol. 58, Iss. 4, 1968; *Dussich, J.P.J.*: The Evolution of International Victimology and Its Current Status in the World Today, RV/JV, No. 1, 2015, pp. 43-44; მეცნიერ გერდ ფერდინარდ კირხჰოფთან დაკავშირებით: <<https://www.gerdkirchhoff.de/kirchhoff/index.aspx?page=14>>, [12.05.2020]; მეცნიერ ჯონ დასიჩთან დაკავშირებით: <<http://www.fresnostate.edu/socialsciences/criminology/faculty/dussich.html>>, [12.05.2020]; *Wemmers, J.A.*: Victims' Rights are Human Rights: The Importance of Recognizing Victims as Persons, Temida, Vol. 15, Iss. 2, 2012, p. 78.

⁵⁹ *Wemmers, J.A.*: Introduction à la Victimologie, Montréal, 2003, pp. 32-33; *Schneider, H.J.*: Kriminologie, Berlin, 1987, S. 753-754.

ვიქტიმოლოგიის საერთაშორისო საზოგადოება,⁶⁰ რომელიც ყოველ სამ წელიწადში ერთხელ მართავს ვიქტიმოლოგიის საერთაშორისო სიმპოზიუმს, სადაც განიხილება ისეთი საკითხები, როგორცაა დაზარალებულის უფლებები, დაზარალებულის კომპენსაცია, დანაშაულის ჩადენაში მსხვერპლის როლი, ვიქტიმიზაციის პრევენცია, ხელახალი ვიქტიმიზაცია, დაზარალებულის მხარდაჭერა და სხვა.⁶¹

ვიქტიმოლოგიის განვითარებაში ასევე დიდი წვლილი შეიტანა მსხვერპლის მხარდამჭერი მოძრაობების გააქტიურებამ, რომელთა დამსახურებითაც ყურადღება გამახვილდა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში დაზარალებულის კუთხით არსებულ ხარვეზებზე.⁶² მსხვერპლის მხარდამჭერი მოძრაობების გარდა, ჩამოყალიბდა მსხვერპლის მხარდამჭერი ორგანიზაციები, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ დაზარალებულის უფლებების დაცვაში.⁶³

2. ვიქტიმოლოგიის შესწავლის საგანი

ვიქტიმოლოგიის ჩამოყალიბების დღიდან, მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა იმის დადგენა, თუ რომელი კატეგორიის მსხვერპლები უნდა შეესწავლა ვიქტიმოლოგიას: მხოლოდ დანაშაულის მსხვერპლები თუ სახელმწიფოს მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლებიც, უბედური შემთხვევის მსხვერპლებიც თუ სხვა კატეგორიის მსხვერპლებიც. აღსანიშნავია, რომ ამ ფუნდამენტურ საკითხზე დღემდე არ არის ერთგვაროვანი ხედვა ჩამოყალიბებული, აზრთა სხვადასხვაობამ კი გამოიწვია ვიქტიმოლოგიის სხვადასხვა მიმართულებების განვითარება. ეს მიმართულებებია: საყოველთაო ვიქტიმოლოგია (general victimology), სისხლის სამართლის ვიქტიმოლოგია

⁶⁰ *Wemmers, J.A.*: Introduction à la Victimologie, Montréal, 2003, pp. 32-33.

⁶¹ ვიქტიმოლოგიის მსოფლიო საზოგადოებასთან დაკავშირებით: <http://www.worldsocietyofvictimology.org/welcome/what-we-do/>, [12.05.2020].

⁶² *McGarry, R., Walklate, S.*: Victims: Trauma, Testimony and Justice, London, New York, 2015, p. 20; *Beloolf, D.E.*: Victims' Rights: A Documentary and Reference Guide, California, 2012, pp. 21-24.; *Cassell, P.G., Mitchell, N.J., Edwards, B.J.*: Crime Victims' Rights during Criminal Investigations? Applying the Crime Victims' Rights Act before Criminal Charges Are Filed, *J. Crim. Law Criminol.*, Vol. 104, Iss. 1, 2014, p. 63; *Cassell, P. G.*: Treating Crime Victims Fairly: Integrating Victims into the Federal Rules of Criminal Procedure, *Utah L. Rev.*, No. 4, 2007, p. 865.

⁶³ ორგანიზაცია „Weisser Ring“-თან დაკავშირებით: <https://weisser-ring.de/weisser-ring/der-verein>, [12.05.2020]; *Wemmers, J.A.*: Introduction à la Victimologie, Montréal, 2003, pp. 49-50; *Bassiouni, M. C.*: International Recognition of Victims' Rights, *Hum. Rights Law Rev.*, Vol. 6, Iss. 2, 2006, p. 210.

(penal victimology) და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ვიქტიმოლოგია (victimology of human rights).⁶⁴

საყოველთაო ვიქტიმოლოგიის თანახმად, ვიქტიმოლოგიამ უნდა შეისწავლოს ყველა ტიპის მსხვერპლი, იქნება ეს დანაშაულის მსხვერპლი, უბედური შემთხვევის მსხვერპლი თუ ბუნებრივი კატასტროფების მსხვერპლი (მსხვერპლი ფართო გაგებით⁶⁵).⁶⁶ სისხლის სამართლის ვიქტიმოლოგიის თანახმად, ვიქტიმოლოგია უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ დანაშაულის მსხვერპლის შესწავლით (მსხვერპლი ვიწრო გაგებით⁶⁷), წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება ვიქტიმოლოგიას გაუჭირდეს ობიექტურობის შენარჩუნება.⁶⁸

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ვიქტიმოლოგიის მომხრეები მიიჩნევენ, რომ ვიქტიმოლოგია უნდა შემოიფარგლოს იმ მსხვერპლების კვლევით, რომლებიც ადამიანის ხელით გახდნენ მსხვერპლები. მათში იგულისხმებიან როგორც დანაშაულის, ისე სახელმწიფოს მიერ ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლები, მაგალითად, გენოციდის, წამების, მონობის მსხვერპლები. შესაბამისად, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ვიქტიმოლოგია გამორიცხავს ბუნებრივი კატასტროფებისა და სხვა ისეთ მსხვერპლებს, რომლებიც ადამიანის ქმედების შედეგად არ გამხდარან მსხვერპლები.

⁶⁴ *Wemmers, J.A.*: A Short History of Victimology, ნაშრომში: *Hagemann, O., Schäfer P., Schmidt, S.* (eds.): *Victimology, Victim Assistance and Criminal Justice: Perspectives Shared by International Experts at the Inter-University Centre of Dubrovnik, Mönchengladbach*, 2010, pp. 39-42.

⁶⁵ *Bock, M.*: *Kriminologie: Für Studium und Praxis*, 5. Auflage, München, 2019, S. 350-351; *Göppingen, H.*: *Kriminologie*, 6. Auflage, München, 2008, S. 175-176.

⁶⁶ *Wemmers, J.A.*: A Short History of Victimology, ნაშრომში: *Hagemann, O., Schäfer P., Schmidt, S.* (eds.): *Victimology, Victim Assistance and Criminal Justice: Perspectives Shared by International Experts at the Inter-University Centre of Dubrovnik, Mönchengladbach*, 2010, pp. 39-42; *Mendelson, B.*: *La Victimologie*, *Science Actuelle*, Rev. dr. pén., No. 7, 1959, pp. 622-623; *Groenhuijsen, M.S.*: *International Protocols on Victims' Rights and Some Reflections on Significant Recent Developments in Victimology*, ნაშრომში: *Snyman, R., Davis L.* (eds.): *Victimology in South Africa*, Pretoria, 2005, p. 348.

⁶⁶ *Bock, M.*: *Kriminologie: Für Studium und Praxis*, 5. Auflage, München, 2019, S. 350-351; *Göppingen, H.*: *Kriminologie*, 6. Auflage, München, 2008, S. 175-176.

⁶⁷ *Bock, M.*: *Kriminologie: Für Studium und Praxis*, 5. Auflage, München, 2019, S. 350-351; *Göppingen, H.*: *Kriminologie*, 6. Auflage, München, 2008, S. 175-176.

⁶⁸ *Wemmers, J.A.*: A Short History of Victimology, ნაშრომში: *Hagemann, O., Schäfer P., Schmidt, S.* (eds.): *Victimology, Victim Assistance and Criminal Justice: Perspectives Shared by International Experts at the Inter-University Centre of Dubrovnik, Mönchengladbach*, 2010, pp. 39-42.

აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ვიქტიმოლოგიის მიდგომა მსხვერპლში სწორედ იმ პირებს მოიაზრებს, რომლებიც მოცემულია გაეროს 1985 წლის დეკლარაციაში და ამით იგი საერთაშორისო მიდგომებს ეხმიანება. შესაბამისად, დღეს გაბატონებულია ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ვიქტიმოლოგია.⁶⁹

3. ვიქტიმოლოგიის ამოცანები

ვიქტიმოლოგიას სხვადასხვა ამოცანები გააჩნია. პირველ რიგში იგი იკვლევს მსხვერპლის ტიპოლოგიებს. აღნიშნულ კვლევას დიდი მნიშვნელობა აქვს ვიქტიმიზაციის პრევენციისთვის. გარდა ამისა, იგი შეისწავლის დანაშაულის მსხვერპლის როლს დანაშაულის ჩადენისას, კერძოდ, ვიქტიმოლოგიას სურს პასუხი გასცეს კითხვას, უწყობს თუ არა ხელს მსხვერპლის ქცევა დანაშაულის ჩადენას. გარდა ამისა, ვიქტიმოლოგიას სურს დაადგინოს, იწვევს თუ არა მსხვერპლად გახდომის შიში მსხვერპლად გახდომას.⁷⁰

ვიქტიმოლოგები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ დანაშაულის მსხვერპლისთვის მიყენებული ზიანის ირგვლივ არსებულ საკითხებს. მათ სურთ გაიგონ, განიცდიან თუ არა მსხვერპლები ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ ზიანს და თუ განიცდიან, მაშინ რა მოცულობით. გარდა ამისა, ვიქტიმოლოგია იკვლევს, თუ რატომ ცვლის დანაშაულით მიყენებული ტრავმები მსხვერპლის ცხოვრებას; რატომ ხდება ზოგიერთი მათგანი ასოციალური; რატომ რეაგირებს დანაშაულზე ყოველი ადამიანი სხვადასხვანაირად და ახდენს თუ არა გავლენას მსხვერპლის პიროვნული და სოციალური მახასიათებლები დანაშაულზე რეაქციაზე და შემდეგ ტრავმული მდგომარეობიდან გამოსვლაზე. მოცემული კვლევების მთავარი მიზანია მსხვერპლების დახმარება, რათა მათ შეძლონ დანაშაულით მიყენებული ტრავმების დაძლევა.⁷¹

⁶⁹ *Groenhuijsen, M.S.*: International Protocols on Victims' Rights and Some Reflections on Significant Recent Developments in Victimology, ნაშრომში: *Snyman, R., Davis L.* (eds.): *Victimology in South Africa*, Pretoria, 2005, p. 347; *Wemmers, J.A.*: A Short History of Victimology, ნაშრომში: *Hagemann, O., Schäfer P., Schmidt, S.* (eds.): *Victimology, Victim Assistance and Criminal Justice: Perspectives Shared by International Experts at the Inter-University Centre of Dubrovnik, Mönchengladbach*, 2010, pp. 39-42.

⁷⁰ *Schwind, H.D.*: *Kriminologie und Kriminalpolitik: Eine Praxisorientierte Einführung mit Beispielen*, 23. Auflage, Heidelberg, 2016, S. 415; *Schneider, H.J.*: *Kriminologie*, Berlin, 1987, S. 759.

⁷¹ *Karmen, A.*: *Crime Victims: An Introduction to Victimology*, 9th Edition, Boston, 2016, p. 2.

ასევე მსხვერპლის კეთილდღეობაზე ზრუნვას ემსახურება მსხვერპლისადმი მოპყრობის მეთოდების ჩამოყალიბება და მხარდაჭერის პროგრამებზე მუშაობა. ვიქტიმოლოგებისათვის მნიშვნელოვანია დაადგინონ, იღებენ თუ არა მსხვერპლები სათანადო მომსახურებას, აქვთ თუ არა წვდომა თავშესაფრებზე და ეძლევათ თუ არა რეაბილიტაციის საშუალება.⁷²

ვიქტიმოლოგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს მსხვერპლის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების შესწავლა. საზოგადოებამ ზოგიერთი მსხვერპლი, რომელიც შემზარავი დანაშაულის მსხვერპლი გახდა, შეიძლება გმირად შერაცხოს და მას მემორიალი დაუდგას, ზოგიერთ მათგანს კი შეიძლება დასცინოს და აბუჩად აიგდოს. ვიქტიმოლოგები კი იკვლევენ, თუ რატომ ხდება ასე.⁷³

და ბოლოს, ვიქტიმოლოგების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა.⁷⁴ ისინი აქტიურად მუშაობენ სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის სათანადო აღიარებაზე და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მათთვის კომპენსაციის მინიჭების საკითხზე.⁷⁵ ამასთან, ვიქტიმოლოგები შეისწავლიან, თუ როგორ ეპყრობიან მსხვერპლებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში ჩართული სახელმწიფო უწყებები და საჯარო მოხელეები, განსაკუთრებით პოლიციელები, პროკურორები, მოსამართლეები, პენიტენციური დაწესებულების მოხელეები და შეწყალების კომისიის (ან შეწყალებაზე უფლებამოსილი სხვა ორგანოების) წევრები.⁷⁶ უნდა აღინიშნოს, რომ ვიქტიმოლოგიამ არაერთი ხელშესახები ცვლილება მოახდინა სისხლის სამართლის პროცესში მსხვერპლის უფლებების დაცვის კუთხით. პირველი ასეთი წარმატება იყო გაეროს 1985

⁷² *Schneider, H.J.*: Kriminologie, Berlin, 1987, S. 759; *Karmen, A.*: Crime Victims: An Introduction to Victimology, 9th Edition, Boston, 2016, p. 2.

⁷³ *Karmen, A.*: Crime Victims: An Introduction to Victimology, 9th Edition, Boston, 2016, p. 2.

⁷⁴ შენიშვნა: ჯერ კიდევ 1975 წელს, იტალიის ქალაქ ბელაჯიოში გამართულს სემინარზე სახელწოდებით „ვიქტიმოლოგიის საერთაშორისო სემინარი“, განსახილველ საკითხს წარმოადგენდა სისხლის სამართლის პროცესში დანაშაულის მსხვერპლის უფლებრივი მდგომარეობა. 1979 წელს კი ქალაქ მიუნსტერში (გერმანია) ჩატარდა ვიქტიმოლოგიის საერთაშორისო სიმპოზიუმი, სადაც ყურადღება გამახვილდა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მსხვერპლის მოპყრობის საკითხზე.

⁷⁵ *Schwind, H.D.*: Kriminologie und Kriminalpolitik: Eine Praxisorientierte Einführung mit Beispielen, 23. Auflage, Heidelberg, 2016, S. 415.

⁷⁶ *Karmen, A.*: Crime Victims: An Introduction to Victimology, 9th Edition, Boston, 2016, p. 2.

წლის დეკლარაციის მიღება, რამაც ჩაუყარა საფუძველი მსხვერპლის უფლებების დაცვას საერთაშორისო დონეზე. ამის შემდეგ ვიქტიმოლოგიის დამსახურებით არაერთმა სახელმწიფომ გააძლიერა სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებები. ზოგიერთმა მათგანმა შემოიღო დაზარალებულის კოდექსები.⁷⁷ სახელმწიფოებმა დაიწყეს გაეროს დეკლარაციის ეროვნულ დონეზე აღსრულება. ზოგიერთ სახელმწიფოში დაარსდა ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლებისთვის სახელმწიფო კომპენსაციის პროგრამებიც, ამოქმედდა დანაშაულის მიერ კომპენსაციის გადახდის ინსტიტუტი და დაიწყო აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამები.⁷⁸

4. დაზარალებულის ვიქტიმიზაცია

4.1. პირველადი ვიქტიმიზაცია

პირველადი ვიქტიმიზაცია გულისხმობს დანაშაულის შედეგად მსხვერპლად გახდომას. მსხვერპლად გახდომას ყოველთვის თან ახლავს გარკვეული სახის ზიანი. აღსანიშნავია, რომ დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანი თავისი ბუნებით რადიკალურად განსხვავდება უბედური შემთხვევებისგან, ბუნებრივი კატასტროფებისგან, ან ავადმყოფობისგან მიყენებული ზიანისგან. დანაშაულით ვიქტიმიზაციის სიმძიმეს განაპირობებს ის, რომ იგი წარმოადგენს ადამიანის მიერ განხორციელებული უკანონო ქმედების შედეგს. მსხვერპლისთვისაც სწორედ ის ფაქტია დამთრგუნველი, რომ მას სხვა ადამიანი მიზანმიმართულად აყენებს ზიანს.⁷⁹ გარდა ამისა, სხვა სახის ზიანისგან განსხვავებით, დანაშაულით მიყენებული ზიანის დროს პროცესში ჩართულია მთელი რიგი ინსტიტუციები: პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო, სასჯელაღსრულების დაწესებულებები, სოციალური სერვისები და სხვა ორგანოები, რომლებიც

⁷⁷ იხ. ინგლისსა და უელსში მოქმედი დაზარალებულის კოდექსი: <https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/974376/victims-code-2020.pdf>, [29.06.2021].

⁷⁸ *Burgess, A.C., Regehr, C., Roberts, A.R.*: Victimology: Theories and Applications, 2nd Edition, Burlington, 2013, p. 5; *Lamborn, L.L.*: The Impact of Victimology on the Criminal Law in the United States, Can. Community LJ., Vol. 8, 1985, pp. 25-26.

⁷⁹ *Herman, S.*: Parallel Justice for Victims of Crime, Washington, DC, 2010, p. 17.

პასუხისმგებელი არიან მართლმსაჯულების განხორციელებაზე.⁸⁰

ვიქტიმილოგიაში განასხვავებენ სამი სახის ზიანს, კერძოდ, ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ (ემოციურ) და მატერიალურ (ფინანსურ) ზიანს.

4.1.1. ფიზიკური ზიანი

დაზარალებულს შეიძლება მიადგეს ფიზიკური ზიანი. აღნიშნული, როგორც წესი, სახეზეა ძალადობრივი დანაშაულის დროს. ფიზიკური ზიანი სხვადასხვა სახის შეიძლება იყოს, მაგალითად პირს შეიძლება მიაყენონ მსუბუქი დაზიანებები ან პირიქით, სასიკვდილო ჭრილობები.⁸¹

ფიზიკური ზიანის სიმძიმის განსაზღვრა დამოკიდებულია მსხვერპლის პიროვნებაზე და დანაშაულის ირგვლივ არსებულ გარემოებებზე. მაგალითად, მიყენებული ზიანის შემდეგ ერთმა მსხვერპლმა შეიძლება შეძლოს მუშაობა, მეორემ ვერა. ასევე, თითის დაკარგვას სავალალო შედეგები მოაქვს პიანისტისთვის, სხვა პროფესიის წარმომადგენლისთვის თითის დაკარგვა შეიძლება არ იყოს ესეთი ტრავმირებადი მოვლენა. გარდა ამისა, ფიზიკური ზიანის დროს დიდ როლს თამაშობს დრო. მიყენებული ტრავმების შედეგები თავიდანვე არ ჩანს ხოლმე და უცნობია, დრო მის სასარგებლოდ თუ საუარესოდ იმოქმედებს. აღსანიშნავია, რომ ხშირად ფიზიკური ზიანი იწვევს მატერიალურ ზიანსაც.⁸²

4.1.2. ფსიქოლოგიური (ემოციური) ზიანი

ვიქტიმიზაციას როგორც წესი თან ახლავს ფსიქოლოგიური (ემოციური) ზიანი. ხშირად ფსიქოლოგიური ზიანი გაცილებით უფრო მძიმეა, ვიდრე სხვა ფიზიკური ან მატერიალური ზიანი. დაკარგული ნივთები შეიძლება სხვა ნივთებით ჩანაცვლდეს, მოტეხილი ფეხი შეხორცდება, მაგრამ ფსიქოლოგიური ტრავმა ადამიანში მუდმივად რჩება. დანაშაულის შემდეგ მსხვერპლები განიცდიან შიშს, დაბნეულობას, ბრახს,

⁸⁰ *Finkelhor, D.*: Developmental Victimization: The Comprehensive Study of Childhood Victimization, ნაშრომში: *Davis R.C., Lurigio A.J., Herman, S.* (eds.): Victims of Crime, 3rd Edition, New York, 2007, p. 10.

⁸¹ *McGarry, R., Walklate, S.*: Victims: Trauma, Testimony and Justice, London, New York, 2015, pp. 35-36.

⁸² *Wemmers, J.A.*: Introduction à la Victimologie, Montréal, 2003, p. 69.

იმედგაცრუებას, სირცხვილს. ისინი საკუთარ თავს ადანაშაულებენ დანაშაულის ჩადენაში.⁸³ მსხვერპლებს ემართებათ დეპრესია. ზოგიერთ მათგანს უვითარდება პოსტტრავმული სტრესული აშლილობა (PTSD). მათ უჩნდებათ დაუცველობის განცდა, უქრებათ ნდობა ახლობლებისა და საზოგადოების მიმართ. ზოგიერთი მათგანი ასოციალურიც კი ხდება და თავის მოკვლაზე იწყებს ფიქრს. ისინი საკუთარ თავს უსვამენ კითხვას: „რატომ მაინცდამაინც მე?“. მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობიდან გამოსავალს არაერთი მსხვერპლი ნარკოტიკებსა და ალკოჰოლში ეძებს. გარდა ამისა, კვლევებით დასტურდება, რომ დანაშაული ადამიანში იმხელა აგრესიას იწვევს, რომ მსხვერპლს დანაშაულის ჩადენის მიდრეკილება უჩნდება. სწორედ ამიტომ, ძალიან ხშირად მსხვერპლი დამნაშავედ იქცევა ხოლმე.⁸⁴

დანაშაულის მსხვერპლს დანაშაულის შედეგად ასევე შეიძლება განუვითარდეს სტოქჰოლმის სინდრომი, რაც გამოიხატება იმაში, რომ დანაშაულის მსხვერპლი სიმპათიას ავლენს დამნაშავის მიმართ. ასევე პირიქით, დამნაშავეც გამოხატავს სიმპათიას მსხვერპლის მიმართ. ამასთან, დანაშაულის მსხვერპლი უარყოფით დამოკიდებულებას ავლენს სახელმწიფოს წარმომადგენლებისა და სამართლებრივი წესრიგის მიმართ. სწორედ სტოქჰოლმის სინდრომს აქვს ადგილი ოჯახში ძალადობის შემთხვევებში. მიუხედავად იმისა, რომ მსხვერპლს ჩაგრავენ და ცუდად ეპყრობიან, იგი დამნაშავის მიმართ სიმპათიისა⁸⁵ თუ სიყვარულის გამო, ღუმილს არჩევს და მასთან ერთად აგროძლებს ცხოვრებას.⁸⁶

⁸³ Cyr, K., Wemmers, J.A.: Empowerment des Victimes d'actes Criminels, Revue Criminologie, Vol. 44, No. 2, 2011, pp. 125-126; Laxminarayan, M.S.: Measuring Crime Victims' Pathways to Justice: Developing Indicators for Costs and Quality of Access to Justice, Acta Criminologica – Southern African Journal of Criminology, Vol. 23, Iss. 1, 2010, p. 63.

⁸⁴ შალიკაშვილი, მ.: ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი, 2011, გვ. 32; Herman, S.: Parallel Justice for Victims of Crime, Washington, DC, 2010, pp. 17-20; McGarry, R., Walklate, S.: Victims: Trauma, Testimony and Justice, London, New York, 2015, pp. 35-36; Victim Support: Understanding Victim of Crime: The Impact of the Crime and Support Needs, 2017, p. 4, <https://victimsupport.eu/activeapp/wp-content/uploads/2017/06/VS_Understanding-victims-of-crime_web.pdf>, [13.05.2020]; Shapland, J., Hall, M.: What Do We Know about the Effects of Crime on Victims? IRV, 2007, Vol. 14, p. 178; Lurigio, A.J.: Are All Victims Alike? The Adverse, Generalized and Differential Impact of Crime, Crime Delinq., Vol. 33, Iss. 4, 1987, p. 453.

⁸⁵ შალიკაშვილი, მ.: ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი, 2011. გვ. 155.

⁸⁶ Oliveira, E.: Nouvelle Victimologie: Le Syndrome de Stockholm, Archives de Politique Criminelle, Vol. 27, No.1, 2005, p. 167; De Visscher, P.: Les Premiers Pas d'une Vie Nouvelle Baptême ou Bizutage? Rites Bénéfiques Ou Traumatisants? CIPS, Vol. 107, No. 3, 2015, p. 523; Wemmers, J.A.: Introduction à la Victimologie, Montréal, 2003, pp. 66-68.

მსხვერპლებს დანაშაულით მიღებულ ტრავმებთან გამკლავებისთვის კვირები, თვეები, ზოგჯერ წლებიც კი სჭირდებათ. დანაშაული უფრო რთულად გადააქვთ იმ ადამიანებს, რომლებსაც რთულ ცხოვრებისეულ მოვლენებთან უნვეთ გამკლავება, მაგალითად ესეთი მოვლენა შეიძლება იყოს განქორწინება ან ახლობლის გარდაცვალება. მდგომარეობის დაძლევისთვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს მსხვერპლის პიროვნებას, მის სოციალურ ურთიერთობებსა და მისდამი გამოვლენილ თანადგომას.⁸⁷

4.1.3. მატერიალური (ფინანსური) ზიანი

მატერიალური (ფინანსური) ზიანი შეიძლება იყოს ორი სახის: მატერიალური დანაკარგი, რომელიც გამომდინარეობს უშუალოდ დანაშაულიდან⁸⁸, მაგალითად მოპარული ქონება⁸⁹ და მათი აღდგენისთვის გაღებული თანხა და მატერიალური დანაკარგი, რომელიც ირიბად არის დაკავშირებული დანაშაულთან. ასეთი შეიძლება იყოს დასაფლავების ხარჯები, სამედიცინო მკურნალობის ხარჯები ან სამსახურის გაცდენით მიუღებელი შემოსავალი.⁹⁰

4.2. მეორეული ვიქტიმიზაცია

მეორეული ვიქტიმიზაციის კონცეფცია 1980 წელს შემოიტანა პოლიციელმა და ფსიქიატრმა მარტინ სიმონსმა. მეორეული ვიქტიმიზაცია გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, როდესაც მსხვერპლები დანაშაულის შემდეგ ვერ იღებენ სათანადო მხარდაჭერასა და აღიარებას ვერც ახლობლებისგან და ვერც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისგან.⁹¹ ამგვარი დამოკიდებულების გამო მსხვერპლებს უყალიბდებათ უარყოფისა და მარტოობის განცდა. ისინი მიიჩნევენ, რომ დანაშაული მათი

⁸⁷ McGarry, R., Walklate, S.: Victims: Trauma, Testimony and Justice, London, New York, 2015, pp. 35-36.

⁸⁸ ძირითადად საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისას: სსკ, მუხლი 177: ქურდობა, მუხლი 178: ძარცვა, მუხლი 179: ყაჩაღობა, მუხლი 180: თაღლითობა და სხვა.

⁸⁹ შალიკაშვილი, მ.: არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი, 2013, გვ. 85.

⁹⁰ Wemmers, J.A.: Introduction à la Victimologie, Montréal, 2003, p. 69.

⁹¹ Cyr, K.: Empowerment et Système de Justice Pénal: L'expérience des Victimes D'actes Criminels, Montréal, 2008, p. 42; Hall, M.: Victims of Crime: Culture, Politics and Criminal Process in the Twenty-first Century, NILQ, Vol. 68, Iss. 4, 2017, p. 474.

პირადი საქმეა, რაც თავისთავად ხელს უშლის ტრავმული მდგომარეობიდან დროულად გამოსვლას.⁹²

შეიძლება გასაკვირი იყოს, რომ ახლობლებთან მსხვერპლი ვერ პოულობს ნუგეშსა და სითბოს, თუმცა ეს რეალობაა. ახლობლები, როგორც წესი, მას ადანაშაულებენ მსხვერპლად გახდომაში. საზოგადოებისგან ასეთი დამოკიდებულება „სამართლიანი სამყაროს“ კონცეფციით აიხსენება. კერძოდ, ადამიანებს უნდათ სწამდეთ, რომ სამყარო სამართლიანია და რომ კარგი რამ ემართებათ კარგებს, ცუდი ცუდებს. შესაბამისად, თვითგადარჩენისა და საკუთარი რწმენის შენარჩუნებისთვის, ადამიანები სრულიად გაუცნობიერებლად იჩენენ მსხვერპლისადმი დაუნდობლობას.⁹³

დისერტაციის მიზნებისთვის უფრო მნიშვნელოვანია მეორეული ვიქტიმიზაცია, რომელიც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისგან გარიყვის შედეგად ემართება მსხვერპლს. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა წარმოადგენს დაზარალებულის იმედს და თუ იგი მას გაუცრუებს იმედებს, მაშინ ეს უკანასკნელი უფრო დიდ ტკივილს იღებს, ვიდრე დანაშაულის შედეგად მიიღო. სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლების არასათანადო ქცევამ და დამოკიდებულებამ შეიძლება კიდევ უფრო დაამძიმოს დანაშაულის მსხვერპლის მდგომარეობა.⁹⁴ ხოლო პირიქით, თუ დაზარალებული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში იგრძნობს აღიარებას, მაშინ უფრო მარტივად შეძლებს დანაშაულით მიყენებული ტრავმების დაძლევას და შეუნარჩუნდება რწმენა, რომ საზოგადოება სოლიდარულია. შესაბამისად, მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვა ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მსხვერპლის დაცვა პირველადი ვიქტიმიზაციისგან.⁹⁵

⁹² *Wemmers, J.A.*: Introduction à la Victimologie, Montréal, 2003, p. 80.

⁹³ *Pemberton, A.*: Just-World Victimology: Revisiting in the Study of Victims of Crime, ნაშრომში: *Morosawa, H., Dussich, J.J.P., Kirchhoff, G.F.* (eds.): *Victimology and Human Security: New Horizons*, Oisterwijk, 2011, p. 45; *Pemberton, A.*: Empathy for Victims in Criminal Justice: Revisiting Susan Bandes in *Victimology*, ნაშრომში: *Conway, H., Stannard, J.* (eds.): *The Emotional Dynamics of Law and Legal Discourse*, Oxford, 2016, p. 124.

⁹⁴ *Laxminarayan, M.S.*: Interactional Justice, Coping and the Legal System: Need of Vulnerable Victims, *IRV*, Vol. 19, Iss. 2, 2013, p. 146; *Moriarty, L.*: Victim Participation at Parole Hearings: Balancing Victim, Offender, and Public Interest, *Criminology & Pub.Pol'Y*, Vol. 4, No. 2, 2005, p. 386.

⁹⁵ *European Forum for Victim Services*: Statement of Victims' Rights in the Process of Criminal Justice, 1996, p. 4, <<https://victimsupport.eu/activeapp/wp-content/uploads/2012/09/VSE-Statement-of-Victims-Rights-in-the-Process-of-Criminal-Justice21.pdf>>, [13.05.2020].

გარდა ამისა, მეორეული ვიქტიმიზაცია პირდაპირ კავშირშია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ფუნქციონირებასთან. როგორც წესი, დაზარალებული წარმოადგენს დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების უმნიშვნელოვანეს წყაროს. უმეტეს შემთხვევაში, სწორედ მისი შეტყობინების საფუძველზე იწყება გამოძიება,⁹⁶ ხოლო ზოგიერთი დანაშაულის შემთხვევაში (მაგალითად გაუპატიურება) დაზარალებული წარმოადგენს ერთადერთ მონემს, შესაბამისად, მის ჩვენებას აქვს საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა. ამიტომ, თუ დაზარალებული მართლმსაჯულების სისტემისგან იქნება გარიყული, იგი შემდგომში აღარ განაცხადებს დანაშაულს და აღარ ითანამშრომლებს საგამოძიებო ორგანოებთან, რაც გამოიწვევს ქვეყანაში კრიმინოგენური სიტუაციის გაუარესებას. ამით ქვეყანაში დაიკარგება უსაფრთხოებისა და დაცულობის განცდა და მოსახლეობა იცხოვრებს მუდმივ შიშში.⁹⁷

დღეს, დაზარალებულის მიმართ მოქმედი საერთაშორისო ინსტრუმენტებისთვის სწორედ მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებაა ამოსავალი წერტილი. ისინი ითვალისწინებენ, რომ სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობა არც თუ ისე უმტკივნეულო პროცესია და მან შეიძლება გავლენა მოახდინოს დაზარალებულის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. მაგალითად, სასამართლოში ჩვენების მიცემა, დამნაშავესთან შეხვედრა ან პოლიციასთან ურთიერთობა შეიძლება იყოს დაზარალებულში სტრესის გამომწვევი მიზეზი.⁹⁸ შესაბამისად, სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულს ისეთი უფლებრივი მდგომარეობა უნდა ჰქონდეს, რომ გამოირიცხოს მისი მეორეული ვიქტიმიზაცია. ამისთვის კი აუცილებელია, რომ დაზარალებულის საჭიროებები სათანადოდ იქნეს გათვალისწინებული.⁹⁹ აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობაც, კერძოდ არასრულწლოვანთა

⁹⁶ შალიკაშვილი, მ.: ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი, 2011, გვ. 135.

⁹⁷ *Be loaf, D.E.*: Victims' Rights: A Documentary and Reference Guide, California, 2012, pp. 50-51; *Fenwick, H.*: Procedural 'Rights' of Victims of Crime: Public or Private Ordering of the Criminal Justice Process? *Mod. Law Rev.*, Vol. 60, No. 3, 1997, pp. 320-321.

⁹⁸ *Orth, U.*: The Effects of Legal Involvement on Crime Victims' Psychological Adjustment, ნაშრომი: *Oswald, M.E., Bieneck, S., Hupfeld- Heinemann, J.* (eds.): *Social Psychology of Punishment of Crime*, Chichester, 2009, pp. 432-434.

⁹⁹ *Wieczorek, I.*: A Needed Balance between Security, Liberty and Justice: Positive Signals Arrive from the Field of Victims' Rights, *EuCLR*, Jg. 2, H. 2, 2012, S. 148.

მართლმსაჯულების კოდექსი იცნობს მეორეული ვიქტიმიზაციის ცნებას. ამკ-ს მე-3 მუხლის მე-15 ნაწილის მიხედვით, მეორეული ვიქტიმიზაცია არის ის ზიანი, რომელიც არასრულწლოვან დაზარალებულს ან არასრულწლოვან მონემს შეიძლება მიადგენს მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობით.

საქართველოში დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციის ნათელ მაგალითს წარმოადგენს სანდრო გირგვლიანის საქმე. აღნიშნულში 28 წლის ბიჭი მოკლულ იქნა ხელისუფლების მაღალჩინოსნების მიერ და საქმის შედეგებისადმი პოლიტიკური ინტერესის გამო, სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადია გამოირჩეოდა განსაკუთრებული მიკერძოებულობით. დაზარალებულის უფლებამონაცვლე, სანდრო გირგვლიანის დედა, ქალბატონი ირინა ენუქიძე, სრულიად გამოთიშული იყო პროცესიდან. მას არ აწვდიდნენ მინიმალურ ინფორმაციასაც კი. სასამართლო არ აძლევდა საკმარის დროს საქმის მასალების გასაცნობად და არასდროს აკმაყოფილებდა დაზარალებულის შუამდგომლობას მტკიცებულებების გამოთხოვის შესახებ.¹⁰⁰ მოკლულის დედა, ირინა ენუქიძე დაულაღავად იბრძოდა სამართლიანობის აღდგენისთვის, თუმცა იგი მალევე გარდაიცვალა. საზოგადოება იმ აზრზეა, რომ ქალბატონი ირინა ენუქიძე სახელმწიფოს მხრიდან გამოვლენილ უსამართლობას შეეწირა.¹⁰¹

მეორეული ვიქტიმიზაციის ასევე თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს აშშ-ში 1995 წელს ოკლაჰომას ქალაქის დაბომბვის საქმე. 1995 წლის 19 აპრილს ოკლაჰომას ქალაქში მოხდა ტერორისტული აქტი. ალფრედ ჰ. მურას ფედერალური შენობის წინ აფეთქდა ბომბი, რამაც გამოიწვია შენობის ჩრდილო ნაწილის სრულიად ჩამონგრევა. დანაშაულის შედეგად გარდაიცვალა 169 ადამიანი, მათ შორის 19 ბავშვი, დაობლდა 30 ბავშვი და 219 ბავშვმა დაკარგა ერთი მშობელი, დაშავდა 850 ადამიანი, უსახლკაროდ დარჩა 462 ადამიანი, 7000 ადამიანი კი უმუშევარი დარჩა.¹⁰² მიუხედავად ესეთი მძიმე დანაშაულისა,

¹⁰⁰ თანდოლაშვილი, ბ.: ეფექტიანი გამოძიების სტანდარტები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გირგვლიანის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, DGStZ, No. 3, 2018, გვ. 71-72, <<http://www.dgstz.de/storage/documents/4UjQJqPUJ23tBBvvp44QGCR56WKDn0Hxpa5jh8iK.pdf>>, [13.05.2020]; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ენუქიძე და გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ, საჩივარი No. 25091/07, 26/04/2011, გვ. 257-277.

¹⁰¹ ირინა ენუქიძეს გარდაცვალებასთან დაკავშირებით: <<https://www.radiotavisupleba.ge/a/1554110.html>>, [13.05.2020].

¹⁰² *Be loaf, D.E.: Victims' Rights: A Documentary and Reference Guide*, California, 2012, p. 121.

გარდაცვლილი დაზარალებულების ოჯახის წევრებს, რომლებიც მოწმის სახით უნდა დაკითხულიყვნენ, იმ დროისათვის მოქმედი კანონმდებლობა არ აძლევდა სასამართლო სხდომებზე დასწრების უფლებას. დაზარალებულებმა სასამართლოში შეიტანეს საჩივარი და მოითხოვეს სხდომებზე დასწრება, მარგამ მათი საჩივარი არ დაკმაყოფილდა, რის გამოც ისინი პროცესებს თვალს ვერ ადევნებდნენ და არ მიეცათ შესაძლებლობა, რომ სასჯელის შეფარდების სხდომაზე გაეკეთებინათ განცხადებები. აღნიშნულმა მიდგომამ გამოიწვია მათი მეორეული ვიქტიმიზაცია.¹⁰³

4.3. მესამეული ვიქტიმიზაცია

მესამეულ ვიქტიმიზაციასთან დაკავშირებით ლიტერატურაში გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება. მაგალითად, *კიფლი* და *ლაშნეკი* მიიჩნევენ, რომ მესამეული ვიქტიმიზაციის დროს საქმე გვაქვს „თვითვიქტიმიზაციასთან“. მსხვერპლი ითავისებს მსხვერპლის როლს და ეს როლი ხდება მისი პიროვნების განუყოფელი ნაწილი.¹⁰⁴ განცდილი პირველადი და მეორეული ვიქტიმიზაციის შემდეგ, მსხვერპლს ეკარგება ნდობა როგორც ახლობლების, ისე სისხლის სამართლის სისტემის მიმართ და არსებობს მისი ხელახალი ვიქტიმიზაციის რისკები.¹⁰⁵

ბაურმანი და *შედლერი* მესამეულ ვიქტიმიზაციას განმარტავენ, როგორც „მესამე პირების მიერ ინსტრუმენტალიზაციას“, ანუ როცა მესამე პირები თავიანთი მიზნებისთვის (კარიერული წინსვლა, მედიის პოპულარიზაცია) იყენებენ მსხვერპლს და ამით მას ზიანს აყენებენ. ამ შემთხვევაში მსხვერპლი იქცევა ინსტრუმენტალიზირებულ ობიექტად.¹⁰⁶

¹⁰³ *Beloff, D.E.*: Victims' Rights: A Documentary and Reference Guide, California, 2012, p. 130. აღსანიშნავია, რომ მოცემული საქმის შემდეგ განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილება და დაზარალებულებს მიენიჭათ სასამართლო სხდომებზე დასწრების უფლება.

¹⁰⁴ *Metzner, C.*: Sekundäre Viktimisierung bei Sexualisierter Gewalt. Strukturodynamiken und Präventionsansätze, Frankfurt am Main, 2018, S. 54-55.

¹⁰⁵ *შალიკაშვილი, მ.*: ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი, 2011, გვ. 33-34; ცნება „ვიქტიმიზაციასთან“ დაკავშირებით: <http://www.krimlex.de/artikel.php?BUCHSTABE=&KL_ID=202>, [13.05.2020].

¹⁰⁶ *Metzner, C.*: Sekundäre Viktimisierung bei Sexualisierter Gewalt. Strukturodynamiken und Präventionsansätze, Frankfurt am Main, 2018, S. 54-55.

4.4. მეოთხეული ვიქტიმიზაცია

ვიქტიმოლოგიაში ასევე გამოყოფენ მეოთხეულ ვიქტიმიზაციას. იგი წარმოადგენს ისეთ შემთხვევას, როდესაც საზოგადოების ან პირთა გარკვეული ჯგუფის მიერ ხდება პირის მსხვერპლად გახდომის ფაქტის უგულებელყოფა.¹⁰⁷ მაგალითად, მეოთხეულ ვიქტიმიზაციასთან გვაქვს საქმე, როცა გაუპატიურების მსხვერპლს არ უჯერებენ და მის ბრალდებებს არასწორ ბრალდებებს უწოდებენ.¹⁰⁸

4.5. ხელახალი ვიქტიმიზაცია

ვიქტიმოლოგიურმა კვლევებმა აჩვენეს, რომ დანაშაულის მსხვერპლების დიდი ნაწილი განმეორებით კიდევ ხდება დანაშაულის მსხვერპლი, მათ შორის, იმავე დანაშაულის მსხვერპლი.¹⁰⁹ ასეთ შემთხვევას ხელახალი ვიქტიმიზაცია ეწოდება. ხელახალ ვიქტიმიზაციას, როგორც წესი, განაპირობებს მსხვერპლის პიროვნება, მისი სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლები და მისი ქცევა. მაგალითად, ხელახალი ვიქტიმიზაცია უფრო ხშირია ახალგაზრდების, კაცების, დაუქორწინებელი პირებისა და ის ადამიანების შემთხვევაში, რომლებიც საღამოობით გარეთ ატარებენ დროს. ხელახალი ვიქტიმიზაციის რისკები იზრდება, როცა ადამიანი იმყოფება მისთვის უცხო ადგილას ან ისეთ ადგილას, სადაც ბევრი დაუქორწინებელი მამაკაცია, ან როცა საკუთრების დასაცავად არ იღებს უსაფრთხოების სათანადო ზომებს, როცა იგი ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელია და მეგობრობს იმავე კატეგორიის ხალხთან, ან როცა იგი ურთიერთობს დამნაშავეებთან და კრიმინალურ სამყაროსთან.¹¹⁰

¹⁰⁷ *Berndt, A.F.*: Der Täter-Opfer Ausgleich aus Sicht des Opfers: Theorie und Praxis einer Alternativen Strafrechtlichen Intervention unter Einbeziehung Konsistenztheoretischer Ausnahmen, Kriminalwissenschaftliche Schriften, Bd. 53, 2016, S. 123.

¹⁰⁸ *Haas, U.I.*: 25 Jahre Gewaltprävention im Vereinten Deutschland – Bestandsaufnahme und Zukunftsperspektiven – Opfer von Gewalt (Bericht), 2016, S. 23-24,

<https://www.gewalt-praevention.info/html/download.cms?id=87&datei=Haas-I-87.pdf> >, [13.05.2020].

¹⁰⁹ *Van Dijk, J. M.*: Attitude of Victims and Repeat Victims Toward the Police: Results of the International Crime Victims Survey, Crime Prevention Studies, Vol. 12, 2001, pp. 27-52.

¹¹⁰ *Cyr, K.*: Empowerment et Système de Justice Pénal: L'expérience des Victimes d'actes Criminels, Montréal, 2008, p. 52.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო დონეზე ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებაც უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, ევროკავშირის 2012 წლის დირექტივაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ დაზარალებული დაცული უნდა იქნეს ხელახალი ვიქტიმიზაციისგან.¹¹¹ საქართველოშიც, ამკ-ს მე-3 მუხლის მე-16 ნაწილში განმტკიცდა ხელახალი ვიქტიმიზაციის ცნება, რომლის მიხედვით ხელახალ ვიქტიმიზაციას აქვს ადგილი, როცა ახალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან დანაშაულის შედეგად არასრულწლოვან დაზარალებულს ადგება ზიანი.

5. დაზარალებულის საჭიროებები

ვიქტიმოლოგიურმა კვლევებმა აჩვენეს, რომ დაზარალებულს დანაშაულის შედეგად წარმოეშვება რიგი საჭიროებები,¹¹² რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაცია. აღნიშნული საჭიროებები შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად: პატივისცემითა და ღირსებით მოპყრობის საჭიროება, ინფორმაციის საჭიროება, სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის საჭიროება, დამნაშავესთვის ადეკვატური სასჯელის შეფარდების საჭიროება, დაცვის საჭიროება, მხარდაჭერის საჭიროება, კომპენსაციის საჭიროება და აღდგენით მართლმსაჯულებაში მონაწილეობის საჭიროება.

5.1. პატივისცემითა და ღირსებით მოპყრობის საჭიროება

მრავალი კვლევა აღნიშნავს, რომ დაზარალებულის კმაყოფილებისთვის გადამწყვეტია, თუ როგორ ეპყრობიან მას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლები. მათთვის მნიშვნელოვანია, რომ მათ ეპყრობოდნენ პატივისცემით, თანაგრძნობით, ღირსებითა და გამგებიანად. უფრო მეტიც, მსხვერპლებისთვის პატივისცემით მოპყრობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თვითონ

¹¹¹ Victims' Directive, Recital 9.

¹¹² Tampe, E.: Verbrechensopfer, 1992, S. 94-96.

პროცესის შედეგები.¹¹³ მაგალითად, ქურდობის მსხვერპლები აცნობიერებენ, რომ პოლიციამ შეიძლება ვერ იპოვოს დამნაშავე, მაგრამ როცა პოლიციელები შემთხვევის ადგილზე მიდიან და დაზარალებულს პატივისცემით ელაპარაკებიან და საქმის გამოძიების სურვილს ამჟღავნებენ, მას ეუფლება კმაყოფილების განცდა. მართლაც, რეალობაში რთულია ყველა პროცესის წარმატებით დასრულება, სამაგიეროდ შესაძლებელია დაზარალებულისადმი პატივისცემით მოპყრობა¹¹⁴ და ამ გზით იმის აღიარება, რომ დაზარალებულებიც ადამიანები არიან, რომლებსაც უწევთ დანაშაულით მიყენებულ ტრავმებთან გამკლავება.¹¹⁵

დაზარალებულისადმი პატივისცემით მოპყრობა მნიშვნელოვანია ორი მიმართულებით. პირველი, დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებისთვის და მეორე, სისხლის სამართლის სისტემის ეფექტურად ფუნქციონირებისთვის.

როგორც უკვე აღინიშნა, მეორეული ვიქტიმიზაციით დაზარალებულს შეიძლება უფრო დიდი ზიანი მიაღვეს ვიდრე უშუალოდ დანაშაულით. დანაშაულის შემდეგ დაზარალებული სახელმწიფოსგან ელოდება დახმარებას და როცა იგი სათანადო პასუხს ვერ იღებს, იგი თავს თვლის უპატივცემულო მოპყრობის მსხვერპლად, რის შედეგადაც უქრება ნდობა სისტემის მიმართ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არასათანადო მოპყრობა დაზარალებულის თვალში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემას აცლის ლეგიტიმურობას.¹¹⁶

მეორეული ვიქტიმიზაცია პირდაპირ კავშირშია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებასთან. სწორედ დაზარალებულის მიერ პოლიციისათვის შეტყობინებით იწყება სისხლის სამართლის პროცესი და სწორედ იგი ეხმარება სახელმწიფოს კრიმინალთან ბრძოლაში და საზოგადოებაში უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. შესაბამისად, თუ დაზარალებული არ იქნება კმაყოფილი სისხლის

¹¹³ *Antonsdóttir, H.F.*: 'A Witness in My own Case': Victim-survivors' Views on the Criminal Justice Process in Iceland, *Fem. Leg. Stud.*, Vol. 26, Iss. 3, 2018, p. 308.

¹¹⁴ *Wemmers, J.A.*: Introduction à la Victimologie, Montréal, 2003, pp. 79-89.

¹¹⁵ *O'Connell, M.*: Victims' Rights: Integrating Victims in Criminal Proceedings, Commissioner for Victims' Rights, South Australia, p. 12, <http://www.voc.sa.gov.au/sites/default/files/OConnell_Integrating%20Victims.pdf>, [13.05.2020].

¹¹⁶ *Wemmers, J.A.*: Introduction à la Victimologie, Montréal, 2003, pp. 79-89.

სამართლის მართლმსაჯულების სისტემით და თუ იგი არ ითანამშრომლებს სახელმწიფოსთან, გაუარესდება კრიმინოგენური მდგომარეობა და საფრთხის ქვეშ დადგება საზოგადოების უსაფრთხოება.¹¹⁷ დაზარალებულები, რომლებიც ნაკლებად კმაყოფილები არიან პოლიციით, აცხადებენ, რომ თუ მომავალში ისევ გახდებიან დანაშაულის მსხვერპლები, აღარ იჩქარებენ პოლიციისთვის დანაშაულის შეტყობინებას. კვლევებიც ადასტურებს, რომ წარსულში გამხდარი მსხვერპლები პოლიციაში უფრო ნაკლებად აცხადებენ დანაშაულის შესახებ, ვიდრე ისინი, რომლებიც პირველად გახდნენ მსხვერპლები. ისინი ღუმილს არჩევენ რადგან „პოლიცია მაინც ვერაფერს გააკეთებს“. ამასთან, მათ უარყოფითი დამოკიდებულება უყალიბდებათ პოლიციის მიმართ.¹¹⁸ შესაბამისად, დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებისა და სისხლის სამართლის სისტემის სათანადო ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია დაზარალებულის პატივისცემით მოპყრობა.¹¹⁹

თუმცა ისმის კითხვა - რა იგულისხმება პატივისცემით მოპყრობაში? პატივისცემით მოპყრობა ძალზედ ფართო ცნებაა და მიბმულია სისხლის სამართლის პროცესის სამართლიანობაზე, ე.წ. „პროცედურულ სამართლიანობაზე“.¹²⁰ ვიქტიმოლოგიაში გამოვლენილია რამდენიმე ასპექტი, რომელიც დიდ როლს თამაშობს პროცედურული სამართლიანობის კუთხით. ეს შეიძლება იყოს დადგენილი წესების შესაბამისად მოქმედება; პროცესის ყველა მონაწილის ინტერესების გათვალისწინება და მიუკერძოებელი გადანყვეტილებების მიღება.¹²¹ დაზარალებულის კონტექსტში იგი გულისხმობს მისი საჭიროებების დაკმაყოფილებას. მაგალითად, სწორედ პატივისცემის გამოხატულებაა, როცა დაზარალებულს აწვდიან ინფორმაციას; როცა უზრუნველყოფენ

¹¹⁷ *Weisser Ring Stiftung*: Belastungen von Opfern in Ermittlungsverfahren, Forschungsbericht, Nierstein, 2017, S. 12.

¹¹⁸ *Wemmers, J.A.*: Introduction à la Victimologie, Montréal, 2003, pp. 79-89.

¹¹⁹ *Weisser Ring Stiftung*: Belastungen von Opfern in Ermittlungsverfahren, Forschungsbericht, Nierstein, 2017, S. 12.

¹²⁰ *Wemmers, J.A.*: Victims in the Criminal Justice System, Amsterdam, 1996, p. 54; *Wemmers, J.A., Cyr, K.*: What Fairness Means to Crime Victims: A Social Psychological Perspective on Victims-Offender Mediation, *APCJ*, Vol. 2, Iss. 2, 2006, p. 105.

¹²¹ *Orth, U.*: The Effects of Legal Involvement on Crime Victims' Psychological Adjustment, ნაშრომში: *Oswald, M.E., Bieneck, S., Hupfeld-Heinemann, J.* (eds.): Social Psychology of Punishment of Crime, Chichester, 2009, pp. 432-434.

მის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას; როცა დაზარალებულს აქვს კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა; როცა მასთან გადიან კონსულტაციას; როცა უზრუნველყოფილია მისი დაცვა და სხვა.¹²²

პროცედურულ სამართლიანობაზე ასევე დიდ გავლენას ახდენს პროცესში ჩართულ უწყებებთან ურთიერთობისას სამართლიანობის განცდა. დაზარალებულები ყურადღებას აქცევენ, თუ რამდენად პატივისცემითა და ზრდილობიანად ეპყრობიან. მაგალითად უსამართლო მოპყრობის მაგალითებია, როდესაც დაზარალებულს ადანაშაულებენ, უხეშ შენიშვნებს აძლევენ ან როდესაც დანაშაულს აუფასურებენ.¹²³

დაზარალებულისთვის სამართლიანად მოპყრობის გამოხატულებაა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი. მაგალითად, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით გაუპატიურების მსხვერპლს უყალიბდება განცდა, რომ მას დაუჭერეს და მისი რეპუტაცია ისევ ამაღლდა. ამის საპირისპიროდ კი გამამართლებელმა განაჩენმა დაზარალებულს შეიძლება მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენოს.¹²⁴

5.2. ინფორმაციის საჭიროება

დაზარალებულის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინტერესს ინფორმაციის მიღება წარმოადგენს. მას სურს იცოდეს, რა უფლებები აქვს სისხლის სამართლის პროცესში, სურს ინფორმირებული იყოს პროცესის მიმდინარეობისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. დაზარალებულებისთვის მნიშვნელოვანია ჰქონდეთ ინფორმაცია კომპენსაციის მიღების შესაძლებლობაზე, ასევე უნდათ იცოდნენ, თუ როგორ უნდა გამოვიდნენ პროცესში მონაწილე. გარდა ამისა, დაზარალებულისთვის შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი იყოს მიიღოს ინფორმაცია პენიტენციური დაწესებულებიდან მსჯავრდებულის გათავისუფლების შესახებ, ვინაიდან მსჯავრდებულის გათავისუფლების შემდეგ შეიძლება

¹²² *Wemmers, J.A.*: Introduction à la Victimologie, Montréal, 2003, pp. 79-89.

¹²³ *Orth, U.*: The Effects of Legal Involvement on Crime Victims' Psychological Adjustment, ნაშრომში: *Oswald, M.E., Bieneck, S., Hupfeld-Heinemann, J.* (eds.): Social Psychology of Punishment of Crime, Chichester, 2009, pp. 432-434; *Laxminarayan, M.S., Henrichs, J., Pemberton, A.*: Procedural and Interactional Justice: A Comparative Study of Victims in the Netherlands and New South Wales, *Eur. J. Criminol.*, Vol. 9, Iss. 3, 2012, p. 262.

¹²⁴ *Garkawe, S.*: The Role of the Victim during Criminal Court Proceedings, *UNSW Law Journal*, Vol. 17, No. 2, 1994, p. 602; *Moffett, L.*: Meaningful and Effective? Considering Victims' Interests through Participation at the International Criminal Court, *CrimLF*, Vol. 26, Iss. 2, 2015, pp. 257-258.

მან თავი ვეღარ იგრძნოს დაცულად და თავის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შეიძლება ცხოვრება სხვანაირად დაგეგმოს. ემპირიული კვლევები ადასტურებს, რომ სისხლის სამართლის პროცესით კმაყოფილება პირდაპირ კავშირშია მიღებული ინფორმაციის მასშტაბთან.¹²⁵ დაზარალებულები აცხადებენ, რომ როდესაც მათ არ აწვდიან ინფორმაციას, არ გადიან მათთან კონსულტაციას ან როცა იძულებულები არიან პროცესს უყურონ გარედან, ეს მათში იწვევს დიდ ტკივილს, გაუგებრობას, დამცირების შეგრძნებას, რასაც მივყავართ დაზარალებულის მეორეულ ვიქტიმიზაციამდე. ხოლო პირიქით, როდესაც დაზარალებულებს აწვდიან ინფორმაციას, ისინი თავს გრძნობენ აღიარებულად, რაც ხელს უწყობს ტრავმული მდგომარეობიდან გამოსვლას.¹²⁶ გარდა ამისა, ინფორმაციის მიწოდების შედეგად დაზარალებულებს უჩნდებათ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემასთან თანამშრომლობის სურვილი, რაც საქმეზე ჭეშმარიტების დადგენისთვის უდიდეს როლს თამაშობს.¹²⁷

ინფორმაციის მიწოდების მნიშვნელობას ჯერ კიდევ 80-იან წლებში უსვამდა ხაზს *ჰანს იობიმ შნაიდერი*. მისი აზრით, დაზარალებული ინფორმირებული უნდა იყოს პროცესის მიმდინარეობის შესახებ; მან უნდა იცოდეს, თუ რა როლს თამაშობს იგი პროცესში; მას უნდა გააცნონ „თამაშის წესები“; მას ასევე უნდა განუმარტონ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები და მათი მნიშვნელობა.¹²⁸

დაზარალებულის ინფორმირებულობის საჭიროება გათვალისწინებულ იქნა არაერთ საერთაშორისო ინსტრუმენტში. პირველად გაეროს 1985 წლის დეკლარაციაში ხაზგასმით აღინიშნა, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს მსხვერპლის ინფორმირებულობას და 1985 წლიდან მოყოლებული საერთაშორისო ორგანიზაციები სახელმწიფოებს

¹²⁵ *Pemberton, A., Aarten, P.G.M., Mulder, E.*: Beyond Retribution, Restoration and Procedural Justice: The Big Two of Communion and Agency in Victims' Perspectives on Justice, *Psychol. Crime Law*, Vol. 23, No. 7, 2017, p. 683; *Garkawe, S.*: The Role of the Victim during Criminal Court Proceedings, *UNSW Law Journal*, Vol. 17, No. 2, 1994, p. 601.

¹²⁶ *Van Dijk, J.J.M., Groenhuijsen, M.S.*: Benchmarking Victim Policies in the Framework of European Union Law, ნაშრომში: *Walklate, S.* (ed.): *Handbook of Victims and Victimology*, New York, 2007, p. 372.

¹²⁷ *Antonsdóttir, H.F.*: 'A Witness in My own Case': Victim-survivors' Views on the Criminal Justice Process in Iceland, *Fem. Leg. Stud.*, Vol. 26, Iss. 3, 2018, pp. 324-326.

¹²⁸ *Schneider H.J.*: *Kriminologie*, Berlin, 1987, S. 782-783.

მუდმივად მოუწოდებენ, რომ სისხლის სამართლის პროცესში უზრუნველყონ დაზარალებულის ინფორმირება.¹²⁹

5.3. სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის საჭიროება

მრავალი ვიქტიმოლოგიური კვლევა აჩვენებს, რომ დაზარალებულებს სურთ სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ უყალიბდებათ განცდა, რომ არიან პროცესის ობიექტები და არა სუბიექტები.¹³⁰ როგორც წესი, დაზარალებულს სურს როგორც აქტიური, ისე პასიური მონაწილეობა. პასიური მონაწილეობისას დაზარალებულს სურს, რომ ინფორმირებული იყოს სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობის შესახებ.¹³¹ როგორც წესი, პასიური მონაწილეობისას მას არ სურს შუამდგომლობების დაყენება და გადაწყვეტილებების თავად მიღება, იგი ამას დამატებით ტვირთად აღიქვამს.¹³²

აქტიური მონაწილეობის შემთხვევაში, დაზარალებულისთვის მნიშვნელოვანია გამოხატვის შესაძლებლობის ქონა.¹³³ მას სურს, რომ ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებამდე მასთან გაიარონ კონსულტაცია და ამ ფორმით დააფიქსიროს მისი ხედვები. მას ასევე სურს, რომ ილაპარაკოს სასამართლოში, მოჰყვეს თავისი ისტორია, რასაც ერთის მხრივ დაზარალებულისთვის თერაპიული მნიშვნელობა აქვს, ხოლო მეორეს მხრივ, მოსამართლეს ეხმარება სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში. აქტიური მონაწილეობის შემთხვევაში, დაზარალებულს ასევე სურს, რომ მიეცეს გადაწყვეტილებების მიღებაზე კონტროლის შესაძლებლობა. დაზარალებულის აღნიშნული საჭიროება სისხლის სამართლის პროცესში, როგორც წესი, გამოიხატება მისთვის გასაჩივრების უფლების მინიჭებით.¹³⁴

¹²⁹ Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power, Art. 6 (a); Recommendation No. R (85) 11; Framework Decision 2001/220/JHA, Art. 4; Victims' Directive, Art. 4, 6.

¹³⁰ *Wemmers, J.A.*: Introduction à la Victimologie, Montréal, 2003, pp. 79-89.

¹³¹ იქვე.

¹³² იქვე.

¹³³ იქვე.

¹³⁴ იქვე.

5.4. დამნაშავესთვის ადეკვატური სასჯელის შეფარდების საჭიროება

შეიძლება დამნაშავესთვის სასჯელის შეფარდება არ იყოს ყველა დამარალბულისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საჭიროება,¹³⁵ მაგრამ პრაქტიკაში ბევრ მსხვერპლს სურს, რომ დამნაშავეს შეეფარდოს ადეკვატური სასჯელი. ადეკვატური სასჯელი ყოველი დანაშაულის შემთხვევაში სხვადასხვაა. მაგალითად, გაუპატიურების მსხვერპლები ძირითადად მოითხოვენ, რომ დამნაშავეს შეეფარდოს თავისუფლების აღკვეთა.¹³⁶

ხშირად დამარალბულები შეფარდებული სასჯელის ზომით განსაზღვრავენ, თუ რამდენად სერიოზულად და მნიშვნელოვნად მიიჩნია სასამართლომ ჩადენილი დანაშაული და რამდენად გაითვალისწინა მისთვის მიყენებული ზიანი.¹³⁷ მაგალითად, 2001 წელს დამარალბულის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაცია ვაისერმა რინგმა (Weisser Ring) ჩაატარა კვლევა, რომლის თანახმად, ზოგადად მსხვერპლები უკმაყოფილოები არიან დანიშნული სასჯელით. მათი აზრით, შეფარდებული სასჯელი არ არის ადეკვატური, ანუ არ შეესაბამება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ისინი თავს ვერ გრძნობენ უსაფრთხოდ და უწევთ მუდმივ შიშში ცხოვრება.¹³⁸

დამარალბულებს ასევე სურთ, რომ სასამართლომ დამნაშავეს მსჯავრდებითა და სამართლიანი სასჯელის შეფარდებით დაადასტუროს მათთვის მიყენებული ზიანი. ფსიქოლოგიური კუთხით ასეთი აღიარება მნიშვნელოვანია დანაშაულის შედეგად მიღებული ტრავმების დაძლევისა და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებისთვის.¹³⁹ მაგალითად, სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილ იქნა საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ მიღებული რამდენიმე გადაწყვეტილება, საიდანაც იკვეთება, რომ

¹³⁵ Roberts, E.: Paradigms and Paradoxes of Victimology, ნაშრომში: Sumner, C., Israel, M., O'Connell, M., Sarre, R. (eds.): International Victimology: Selected Papers from the 8th International Symposium, Canberra, 1996, p. 21.

¹³⁶ Orth, U.: Strafgerechtigkeit und Bewältigung Krimineller Viktimisierung: Eine Untersuchung zu den Folgen des Strafverfahrens bei Opfern von Gewalttaten, 1. Auflage, Mainz, 2001, S. 118.

¹³⁷ Garkawe, S.: The Role of the Victim during Criminal Court Proceedings, UNSW Law Journal, Vol. 17, No. 2, 1994, p. 602.

¹³⁸ Orth, U.: Strafgerechtigkeit und Bewältigung Krimineller Viktimisierung: Eine Untersuchung zu den Folgen des Strafverfahrens bei Opfern von Gewalttaten, 1. Auflage, Mainz, 2001, S. 119, 133.

¹³⁹ Garkawe, S.: The Role of the Victim during Criminal Court Proceedings, UNSW Law Journal, Vol. 17, No. 2, 1994, p. 601. Malone, L.: In the Aftermath: Listening to People Bereaved by Homicide, Probation Journal: The Journal of Community and Criminal Justice, Vol. 54, Iss. 4, 2007, p. 388.

სასამართლო დამნაშავეისთვის სასჯელის შეფარდებისას დიდ ყურადღებას ამახვილებს სასჯელის ისეთ მიზანზე, როგორცაა სამართლიანობის აღდგენა. აღნიშნული მოითხოვს, რომ სასჯელის დანიშვნისას გათვალისწინებულ იქნეს დანაშაულის სიმძიმე.¹⁴⁰ დანაშაულის სიმძიმის განსაზღვრა კი წარმოუდგენელია დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების გარეშე.

სასჯელის შეფარდება მიიჩნევა დაზარალებულის ფსიქოლოგიურ რეპარაციად, რომელიც აკმაყოფილებს და აქრობს დაზარალებულის შურისძიების სურვილს. უნდა აღინიშნოს, შურისძიების სურვილი წარმოადგენს ძალადობრივი დანაშაულის დაძლევის მნიშვნელოვან ელემენტს. დაზარალებულებს არა მხოლოდ დანაშაულის ჩადენიდან პირველ კვირებში, არამედ წლების შემდეგაც ამოძრავებთ შურისძიების სურვილი. შესაბამისად, შურისძიების სურვილი არ წარმოადგენს ამორალურ სურვილს და თუ დაზარალებულს მას ამორალურად დაანახებენ, ამან შეიძლება გაართულოს მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა და ხელი შეუშალოს ტრავმების დაძლევაში.¹⁴¹

5.5. დაცვის საჭიროება

დაზარალებულს ასევე გააჩნია უსაფრთხოების საჭიროება. მას სურს დაცული იყოს ხელახალი ვიქტიმიზაციისა და შურისძიებისგან. დანაშაულის შემდეგ დაზარალებულებში უსაფრთხოების განცდა დაქვეითებულია და სწორედ ამიტომ მათში მომეტებულია დაცვის

¹⁴⁰ ბოლნისის რაიონული სასამართლო, საქმე N 1/81-18, 22/06/2018 (მოსამართლე: თეა ლეონიძე); ზუგდიდის რაიონული სასამართლო, საქმე N 1/536-18, 06/03/2019 (მოსამართლე: ნატრული აკობია); თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N 1ბ/188-19, 26/02/2019 (მოსამართლე: ნინო სანდოძე); თბილისის სააპელაციო სასამართლო, საქმე N 1ბ/1182-18, 7/02/2019 (მოსამართლე: მაია თეთრაული); თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N 1/5356-19, 12/02/2020 (მოსამართლე: ხათუნა ხარჩილავა); თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N 1/75-20, 18/02/2020 (მოსამართლე: ლავრენტი მალლაკელიძე); თბილისის საქალაქო სასამართლო, საქმე N 1/645-19, 19/11/2019 (მოსამართლე: მაია ქოქიაშვილი); თელავის რაიონული სასამართლო, საქმე N 1/263-18, 17/04/2019 (მოსამართლე: მამუკა წიკლაური); ქუთაისის საქალაქო სასამართლო, საქმე N 1/308-19, 18/10/2019 (მოსამართლე: ნანა ჯობაძე).

¹⁴¹ Orth, U.: Strafgerichtsbarkeit und Bewältigung Krimineller Viktimisierung: Eine Untersuchung zu den Folgen des Strafverfahrens bei Opfern von Gewalttaten, 1. Auflage, Mainz, 2001, S. 115-117.

საჭიროება.¹⁴² დაზარალებულთა გარკვეული ნაწილი სწორედ იმიტომ მიმართავს პოლიციას, რომ თავი იგრძნოს დაცულად.¹⁴³

დაზარალებულის დაცვის კუთხით განსაკუთრებით პრობლემურია სისხლის სამართლის პროცესში ჯვარედინი დაკითხვა. არცთუ ისე იშვიათად, დაცვის მხარე ირჩევს დაზარალებულის დადანაშაულების სტრატეგიას, რომელსაც სურს დაზარალებული წარმოაჩინოს უნდო პიროვნებად. ასეთი სტრატეგია დაზარალებულის ფსიქიკურ და სოციალურ მდგომარეობაზე უარყოფითად აისახება.¹⁴⁴

სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის დაცვაში ასევე მოიაზრება მისი პირადი ცხოვრების დაცვა. ხშირად დაზარალებულებს არ სურთ, რომ მათი სახელები და მისამართები გაჟღერდეს სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას. ასევე არ სურთ, რომ მედიამ გააშუქოს მათი საქმე. შესაბამისად, დაზარალებულს შეიძლება მოუნდეს, რომ სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას სხდომები დაიხუროს ან სულ მცირე, ჩვენება მისცეს დახურულ სხდომაზე.¹⁴⁵

5.6. მხარდაჭერის საჭიროება

როგორც უკვე მრავალგზის აღინიშნა, დანაშაული იწვევს მსხვერპლის ტრავმირებას. ხშირად მსხვერპლის ოჯახის წევრები და ახლობლები ცდილობენ მის დახმარებას, თუმცა დანაშაულით შეიძლება ეს უკანასკნელნიც იქნენ ტრავმირებულნი. შესაბამისად, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მსხვერპლისთვის საჭიროა მხარდაჭერის სერვისებზე ხელმისაწვდომობა. დანაშაულის მსხვერპლს ესაჭიროება პროფესიონალური დახმარება და ეს საჭიროება დამოკიდებულია დანაშაულის სახეობაზე, მსხვერპლის პიროვნებასა და მის ირგვლივ არსებულ გარემოზე. გარდა ამისა, მნიშვნელობა აქვს მხარდაჭერის სახეობასაც. მაგალითად, მსხვერპლთან პირისპირ

¹⁴² *Wergens, A.*: Human Rights for Victims of Non-state Crime: Taking Victims Seriously, Oisterwijk, 2014, p. 81; *Garkawe, S.*: The Role of the Victim during Criminal Court Proceedings, UNSW Law Journal, Vol. 17, No. 2, 1994, p. 601.

¹⁴³ *Wemmers, J.A.*: Introduction à la Victimologie, Montréal, 2003, pp. 79-89.

¹⁴⁴ *Schneider, H.J.*: Kriminologie, Berlin, 1987, S. 783.

¹⁴⁵ *Garkawe, S.*: The Role of the Victim during Criminal Court Proceedings, UNSW Law Journal, Vol. 17, No. 2, 1994, p. 602.

გასაუბრებით უფრო მარტივია დანაშაულის შედეგად მიყენებული ფსიქოლოგიური ზიანის დადგენა, ვიდრე სატელეფონო საუბრით. თუმცა ძირითადად ქალებს, მართო მცხოვრებ პირებს, განქორწინებულებს და ასაკოვან ადამიანებს უფრო ესაჭიროებათ პროფესიონალური მხარდაჭერა.¹⁴⁶

საინტერესოა, თუ რას გულისხმობს პროფესიონალური მხარდაჭერა. დღეს მსოფლიოში არსებობს მხარდაჭერის სხვადასხვა ორგანიზაციები, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით მუშაობენ. თუმცა, ძირითადად მათ ფუნქციას დაზარალებულისთვის ინფორმაციის მიწოდა და რჩევების მიცემა (მაგალითად, როგორ შეუძლიათ კომპენსაციის მოთხოვნა), ემოციური მხარდაჭერა (მაგალითად სასამართლოში წაყოლა და მის გვერდზე ყოფნა), იურიდიული დახმარება ან აღდგენით მართლმსაჯულებაში ჩაბმა წარმოადგენს.¹⁴⁷

კვლევები ადასტურებს, რომ მხარდაჭერის საჭიროება გაცილებით უფრო მაღალია განვითარებად სახელმწიფოებში, ვიდრე განვითარებულ სახელმწიფოებში. ამის მიზეზი ნაწილობრივ არის ის, რომ განვითარებად ქვეყნებში, ზოგადად არ არის მხარდაჭერის საერთო სტანდარტები შემუშავებული და სოციალური სერვისებიც ნაკლებად ხელმისაწვდომია.¹⁴⁸

5.7. კომპენსაციის საჭიროება

როგორც წესი, დაზარალებულს დანაშაულის შემდეგ სურს აღდგეს ის მდგომარეობა, როგორშიც იმყოფებოდა დანაშაულის ჩადენამდე. თავისთავად პრაქტიკაში გამორიცხულია იმავე მდგომარეობის აღდგენა, მაგრამ ყველაზე ხშირად რესტიტუცია მიიღწევა კომპენსაციის მიღების გზით.

¹⁴⁶ *Wemmers, J.A.*: Introduction à la Victimologie, Montréal, 2003, pp. 79-89.

¹⁴⁷ დაზარალებულის მხარდაჭერასთან დაკავშირებით: <<https://www.victimsupport.org.uk/help-and-support/how-we-can-help>>, [13.05.2020].

¹⁴⁸ *Van Dijk, J.J.M., Groenhuijsen, M.S.*: Benchmarking Victim Policies in the Framework of European Union Law, ნაშრომში: *Walklate, S.* (ed.): Handbook of Victims and Victimology, New York, 2007, p. 373.

დაზარალებულს კომპენსაცია შეიძლება ესაჭიროებოდეს დანაშაულის შედეგად დაკარგული ქონების აღდგენის, განეული სამედიცინო ხარჯების ან პროცესში მონაწილეობით წარმოქმნილი ხარჯების ანაზღაურებისთვის.¹⁴⁹

საერთაშორისო პრაქტიკით არსებობს კომპენსაციის მიღების სამი გზა, დამნაშავესგან, სახელმწიფოსგან და სადაზღვეო კომპანიებისგან.

აღსანიშნავია, რომ დამნაშავეს მიერ კომპენსაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა პოლიცია შეძლებს სავარაუდო დამნაშავეს გამოვლინებას. თუმცა, ეს არც თუ ისე ხშირი შემთხვევაა. შესაბამისად, დაზარალებულთა უმეტესობას არ აქვს შესაძლებლობა, რომ დამნაშავესგან მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. გარდა ამისა, თუ სასამართლო გაამართლებს ბრალდებულს, დაზარალებულისთვის რთული ხდება კომპენსაციის მიღება. და ბოლოს, თუნდაც დამნაშავეს ვინაობა იყოს ცნობილი, ხშირად მას არ აქვს კომპენსაციის გადახდისთვის საჭირო თანხა.¹⁵⁰

გარკვეულ შემთხვევებში დამნაშავესგან მიღებული კომპენსაცია ხშირად სიმბოლურ ხასიათსაც ატარებს. ხანდახან დაზარალებულისთვის მნიშვნელოვანი არის არა ის, რომ დამნაშავემ სრულად აანაზღაუროს ზიანი, არამედ ის, რომ გამოთქვას კომპენსაციის გადახდის სურვილი და ზიანის ანაზღაურების გზით აღიაროს ჩადენილი დანაშაული. ზიანის ანაზღაურების შემდეგ დაზარალებულს აღარ უნევს მსხვერპლად გახდომის გამო თავის მართლება, რითაც უმარტივდება ტრავმების დაძლევა. ამიტომ, როდესაც დაზარალებულს შეუძლია აირჩიოს, თუ ვისგან სურს კომპენსაციის მიღება, დამნაშავესგან, სახელმწიფოსგან თუ სადაზღვეო კომპანიისგან, იგი უპირატესობას ანიჭებს დამნაშავესგან კომპენსაციის მიღებას.¹⁵¹ როდესაც დაზარალებული დამნაშავესგან ვერ იღებს კომპენსაციას, გამოსავალი სახელმწიფო კომპენსაცია შეიძლება იყოს.¹⁵²

¹⁴⁹ *Wemmers, J.A.*: Introduction à la Victimologie, Montréal, 2003, pp. 79-89.

¹⁵⁰ იქვე.

¹⁵¹ იქვე.

¹⁵² იქვე.

5.8. აღდგენით მართლმსაჯულებაში მონაწილეობის საჭიროება

დაზარალებულები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემიდან თავს ხშირად გარიყულად და უარყოფილად გრძნობენ. ზოგჯერ მსხვერპლის ინტერესები პირდაპირ კონფლიქტშიც მოდის სახელმწიფოს ინტერესებთან. აღნიშნული ნაწილობრივ გამომდინარეობს დანაშაულის ცნებიდან. დანაშაული, როგორც წესი, მიიჩნევა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად, რის გამოც სახელმწიფო იკავებს მსხვერპლის ადგილს. შესაბამისად, ტრადიციული სისხლის სამართლის მართლმსაჯულება ვერ უზრუნველყოფს დაზარალებულის ზოგიერთი მნიშვნელოვანი საჭიროების დაკმაყოფილებას, ამიტომ მას უჩნდება აღდგენით მართლმსაჯულებაში მონაწილეობის სურვილი.¹⁵³ აღდგენით მართლმსაჯულებაში კი იგულისხმება ისეთი მიდგომა, რომელიც დაზარალებულისა და დამნაშავეს ნებაყოფლობითი მონაწილეობის გზით მიმართულია დანაშაულის შედეგად დამდგარი ზიანის გამოსწორებისაკენ.¹⁵⁴ მაგალითად, აღდგენითი მართლმსაჯულების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს მედიაცია.¹⁵⁵

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენების გზით ხდება ინფორმაციის საჭიროების დაკმაყოფილება. დაზარალებულებს უჩნდებათ კითხვები დანაშაულის და დამნაშავეს შესახებ, მაგალითად რატომ მოხდა დანაშაული. აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად, მათ სჭირდებათ ნამდვილი ინფორმაცია და არა სპეკულაციები და სამართლებრივად რაფინირებული ინფორმაცია, რომელიც უღერდება სასამართლოში ან საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას. ნამდვილი ინფორმაციის მიღება კი მოითხოვს დამნაშავესთან უშუალო ურთიერთობას, რომელსაც უზრუნველყოფს აღდგენითი მართლმსაჯულება. გარდა ამისა, დანაშაულით მიყენებული ტრავმების დაძლევისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტს წარმოადგენს დაზარალებულისთვის მისი ისტორიის მოყოლის შესაძლებლობის მიცემა და ამით

¹⁵³ Zehr, H. The Little Book of Restorative Justice, New York, 2015, pp. 21-22.

¹⁵⁴ ერცენი, ი., ჯავახიშვილი, ჯ., ჯავახიშვილი, ლ.: აღდგენითი მართლმსაჯულების სახელმძღვანელო საუნივერსიტეტო და პროფესიული სწავლებისათვის, 2020, გვ. 22-25, <http://www.library.court.ge/upload/aRdgeniTi_marTlmsajulebis_saxelmZRvanelo.pdf>, [10.06.2021].

¹⁵⁵ იქვე, გვ. 83-87.

საზოგადოებრივი აღიარების მოპოვება. ხშირად დაზარალებულისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ მან მოუყვეს თავისი ისტორია დამნაშავეს და გააგებინოს, თუ რა ზიანი მიაღდა მას დამნაშავეს ქმედებით. ამასთან, დაზარალებულები ხშირად მიიჩნევენ, რომ ვიქტიმიზაციით მათ დაკარგეს კონტროლი საკუთარ ცხოვრებაზე, საკუთარ სხეულზე, საკუთარ ემოციებსა და საკუთარ ქონებაზე. აღდგენით მართლმსაჯულებაში დაზარალებულის უშუალო ჩართულობა და მისთვის შესაძლებლობის მიცემა, რომ თვითონ განსაზღვროს თავისი საჭიროებები, იწვევს მის გაძლიერებას და მას უბრუნდება საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის ქონის განცდა. და ბოლოს, დაზარალებულისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს დამნაშავესგან რესტიტუციის მიღებას არა მხოლოდ რეალური დანაკარგის ანაზღაურების თვალსაზრისით,¹⁵⁶ არამედ რესტიტუციის სიმბოლური ხასიათის გამო.¹⁵⁷ როდესაც დამნაშავე ანაზღაურებს ზიანს, იგი მოცემული ქმედებით გამოხატავს, რომ საკუთარ თავზე აიღო პასუხისმგებლობა და რომ მსხვერპლმა საკუთარი თავი არ უნდა დაადანაშაულოს. რესტიტუცია წარმოადგენს მიყენებული ზიანის დადასტურებას, რაც დაზარალებულის ერთ-ერთ საბაზისო საჭიროებას წარმოადგენს. ზიანის დადასტურების სხვა მაგალითს წარმოადგენს დამნაშავეს მიერ ბოდიშის მოხდა, რასაც დაზარალებულისთვის დიდი თერაპიული მნიშვნელობა აქვს.¹⁵⁸ ვინაიდან აღდგენითი მართლმსაჯულების თეორია და პრაქტიკა მიმართულია ზემოაღნიშნული საჭიროებების დაკმაყოფილებებისკენ,¹⁵⁹ როგორც წესი, დაზარალებულს მასში ჩართვის დიდი ინტერესი აქვს. უფრო მეტიც, ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ დაზარალებულებს იმდენად არ ამოძრავებთ შურისძიებისა და სასჯელის სურვილი, როგორც აღდგენით მართლმსაჯულებაში მონაწილეობის სურვილი.¹⁶⁰

¹⁵⁶ *Miers, D.*: An International Review of Restorative Justice, Home Office, Crime Reduction Research Series Paper No. 10, 2001, p. 4.

¹⁵⁷ *St-Loius, J.P., Wemmers, J.A.*: La Justice Réparatrice telle que Conçue par les Victimes et les Adolescents Contrevenants, JIDV, No. 20, T. 7, No. 2, 2009, p. 135; *Sherman, L. W., Strang, H.*: Restorative Justice: The Evidence, The Smith Institute, London, 2007, p. 12.

¹⁵⁸ *Zehr, H.*: The Little Book of Restorative Justice, New York, 2015, pp. 21-23; *Naylor, B.*: Effective Justice for Victims of Sexual Assault: Taking Up the Debate on Alternative Pathways, UNSW Law Journal, Vol. 33, Iss. 3, 2010, p. 668.

¹⁵⁹ *Zehr, H.*: The Little Book of Restorative Justice, New York, 2015, p. 23.

¹⁶⁰ *Roberts, E.*: Paradigms and Paradoxes of Victimology, ნაშრომში: *Sumner, C., Israel, M., O'Connell, M., Sarre, R.* (eds.): International Victimology: Selected Papers from the 8th International Symposium, Canberra, 1996, p. 21.

6. შეჯამება

მოცემულ თავში განხილული საკითხების შეჯამების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ მე-20 საუკუნიდან მოყოლებული ვიქტიმოლოგია, როგორც სამეცნიერო დარგი, დღითიდღე უფრო იხვეწება და უფრო მეტ აღიარებას ჰპოვებს. მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ვიქტიმოლოგიის განვითარებით შესაძლებელი გახდა დანაშაულის მსხვერპლთან დაკავშირებული საკითხების უფრო მასშტაბური კვლევა.

კვლევამ ცხადყო, რომ ვიქტიმოლოგების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაა.

ასევე გამოვლინდა, რომ დაზარალებულმა შეიძლება განიცადოს სხვადასხვა სახის ვიქტიმიზაცია, კერძოდ, პირველადი, მეორეული, მესამეული, მეოთხეული და ხელახალი ვიქტიმიზაცია. მათ შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ეფექტური ფუნქციონირებისთვის, კერძოდ, სახელმწიფოები ვალდებული არიან გაატარონ ისეთი რეფორმები, რომლებიც შესაძლებელს გახდის მსხვერპლის მეორეული თუ სხვა სახის ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებას.

ნაშრომის მოცემულ თავში ასევე გამოიკვეთა, რომ დაზარალებულს გააჩნია რიგი საჭიროებები, კერძოდ, პატივისცემითა და ღირსებით მოპყრობის საჭიროება, ინფორმაციის საჭიროება, სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის საჭიროება, დამნაშავისთვის ადეკვატური სასჯელის შეფარდების საჭიროება, დაცვის საჭიროება, მხარდაჭერის საჭიროება, კომპენსაციის საჭიროება და აღდგენით მართლმსაჯულებაში მონაწილეობის საჭიროება. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა კი ვალდებულია დააკმაყოფილოს დაზარალებულის ყველა ეს საჭიროება.

III. დაზარალებულის მიმართ არსებული საერთაშორისო სტანდარტები

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ვიქტიმოლოგიის განვითარებითა და მე-20 საუკუნის 70-იან წლებში დანაშაულის მსხვერპლის მხარდამჭერი ორგანიზაციების მიერ დაწყებული მოძრაობების შედეგად გაცნობიერებულ იქნა, რომ დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობის გაძლიერებისთვის საჭირო იყო საერთაშორისო დონეზე სათანადო ინსტრუმენტების შექმნა. შედეგად გაერომ, ევროპის საბჭომ და ევროკავშირმა დაიწყეს როგორც რბილი, ისე იმპერატიული სამართლის შემუშავება.¹⁶¹ გარდა ამისა, შეიქმნა სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალები და ჰიბრიდული სასამართლოები, დაარსდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კი ჩამოაყალიბა პრეცედენტული სამართალი. ყველა ზემოაღნიშნული გარემოებების დამსახურებით, „დავინწყებულ მხარედ“ მიჩნეულ დაზარალებულს პროცესში უფრო და უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება.¹⁶² საერთაშორისო დონეზე მიმდინარე მოვლენებმა პრაქტიკულად გამოიწვია სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმა. მათი მეშვეობით იცვლება შეჯიბრებითი მოდელიც, რომელიც ნაკლებად იყო დაზარალებულზე მორგებული მოდელი. შესაბამისად, დაზარალებულის სამართლებრივ მდგომარეობაზე სრული სურათის შესაქმნელად, მნიშვნელოვანია საერთაშორისო დონეზე არსებული რეგულაციებისა და პრაქტიკის მიმოხილვა.

1. გაერო

1.1 1985 წლის დეკლარაცია დანაშაულის და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი პრინციპების შესახებ

1985 წლის 25 ნოემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად მიიღო დეკლარაცია დანაშაულის და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის

¹⁶¹ Lindgren, M., Nikolić-Ristanović, V.: Crime Victims: International and Serbian Perspective, Belgrade, 2011, p. 30; Wemmers, J.A.: Victims' Rights are Human Rights: The Importance of Recognizing Victims as Persons, Temida, Vol. 15, Iss. 2, 2012, p. 71.

¹⁶² APAV: IVOR Report: Implementing Victim-Oriented Reform of the Criminal Justice System in the European Union, 2016, p. 195, <<https://www.apav.pt/ivor/images/ivor/PDFs/IVOR-Repot-WebVersion.pdf>>, [10.05.2020].

მართლმსაჯულების განხორციელების ძირითადი პრინციპების შესახებ.¹⁶³ დეკლარაცია დანაშაულის მსხვერპლის მაგნა კარტად მიიჩნევა, ვინაიდან სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი საერთაშორისო დონეზე დაზარალებულის უფლებების სამართლებრივ მოწესრიგებას.¹⁶⁴ ამასთან, დეკლარაციის ერთსულოვნად მიღებამ დაადასტურა, რომ დანაშაულის მსხვერპლის უფლებები წარმოადგენს ისეთ საკითხს, რომელიც სცდება ქვეყნების კულტურულ, სოციალურ, ეკონომიკურ თუ რელიგიურ თავისებურებებს.¹⁶⁵

გაერომ მოცემული დეკლარაციის მიღებით მიზნად დაისახა, რომ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო საზოგადოებას დახმარებოდა დანაშაულის მსხვერპლისთვის მართლმსაჯულებისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფაში.¹⁶⁶ ამიტომ, დეკლარაციით დანაშაულის მსხვერპლისთვის გარანტირებულია ისეთი უფლებები, როგორცაა პატივისცემითა და აღიარებით მოპყრობა, მხარდაჭერის სერვისებზე რეფერირების უფლება, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემისა და ამ სისტემაში დანაშაულის მსხვერპლის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება, სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობისა და მისი მდგომარეობის შესახებ შეტყობინებების მიღების უფლება, ფიზიკური უსაფრთხოებისა და პირადი ცხოვრების დაცვის უფლება, დამნაშავესა და სახელმწიფოსგან კომპენსაციის მიღების უფლება.¹⁶⁷ რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დეკლარაცია დანაშაულს მიიჩნევს, როგორც მსხვერპლის

¹⁶³ *Edwards, I.*: An Ambiguous Participant: The Crime Victim and Criminal Justice Decision-Making, *Brit. J. Criminol.*, Vol. 44, Iss. 6, 2004, pp. 967–982; *Wemmers, J.A.*: Victims' Rights are Human Rights: The Importance of Recognizing Victims as Persons, *Temida*, Vol. 15, Iss. 2, 2012, p. 71; Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power; *Groenhuijsen, M.S.*: The Development of International Policy in relation to Victims of Crime, *IRV*, Vol. 20, Iss. 1, 2014, pp. 31-32.

¹⁶⁴ *Groenhuijsen, M.S.*: International Protocols on Victims' Rights and Some Reflections on Significant Recent Developments in Victimology, ნაშრომში: *Snyman, R., Davis L.* (eds.): *Victimology in South Africa*, Pretoria, 2005, p. 334; *Groenhuijsen, M.S.*: The Draft UN Convention on Justice and Support for Victims of Crime: With Special Reference to Its Provisions on Restorative Justice, *IAC*, Vol. 46, Iss. 1/2, 2008, pp. 121-122; *Van Genugten, W.J.M., Groenhuijsen, M.S., Van Gestel, R.A.J., Letscher, R.M.*: Loopholes, Risks and Ambivalences in International Lawmaking: The Case of a Framework Convention on Victims' Rights, *NYIL*, Vol. 37, 2006, p. 114.

¹⁶⁵ *Garwake, S.*: The Need for a Victims Convention, *The Victimologist*, Vol. 9, Iss. 2, 2005, p. 4.

¹⁶⁶ *Wemmers, J.A.*: Victims' Rights are Human Rights: The Importance of Recognizing Victims as Persons, *Temida*, Vol. 15, Iss. 2, 2012, p. 75.

¹⁶⁷ *Lindgren, M., Nikolić-Ristanović, V.*: *Crime Victims: International and Serbian Perspective*, Belgrade, 2011, p. 100; *Wemmers, J.A.*: Victims' Rights are Human Rights: The Importance of Recognizing Victims as Persons, *Temida*, Vol. 15, Iss. 2, 2012, pp. 75-76; *FRA*: *Victims of Crime in the EU: The Extent and Nature of Support for Victims*, Luxembourg, 2014, p. 22.

უფლებების დარღვევად, რითაც კიდევ უფრო უსვამს ხაზს პროცესში მსხვერპლის მონაწილეობის აუცილებლობას.¹⁶⁸

დეკლარაციას არ აქვს შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი, იგი მიეკუთვნება რბილი სამართლის კატეგორიას. შესაბამისად, იმ სახელმწიფოების მიმართ, რომლებიც არ გაითვალისწინებენ დეკლარაციის დებულებებს, არ მოქმედებს აღსრულების იძულების მექანიზმი.¹⁶⁹

მიუხედავად იმისა, რომ დეკლარაცია მსხვერპლის უფლებების დაცვის კუთხით წარმოადგენდა ისტორიულ ნაბიჯს, მეცნიერებაში გამოთქმულია მოსაზრებები მის ნაკლოვანებებთან დაკავშირებით. კერძოდ, იგი არ არის საკმარისად კონკრეტული და შეიცავს აბსტრაქტულ და ზოგად დებულებებს.¹⁷⁰ სწორედ აღნიშნულმა ბუნდოვანებამ გამოიწვია პრაქტიკაში მისი იმპლემენტაციის პრობლემა. გაერო შესაბამისი რეზოლუციისა¹⁷¹ და სახელმძღვანელოების მიღებით¹⁷² არაერთხელ შეეცადა ხელი შეეწყოს იმპლემენტაციის პროცესისთვის,¹⁷³ თუმცა პრაქტიკაში დეკლარაციის აღსრულება სათანადოდ ვერ ხორციელდებოდა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში დანაშაულის მსხვერპლის უფლებებს მაინც არ ენიჭებოდათ პრიორიტეტი.¹⁷⁴

¹⁶⁸ *Holder, R.L.*: Seeing the State: Human Rights Violations of Victims of Crime and Abuse of Power, ნაშრომში: *Weber, L., Fishwick, E., Marmo, M.* (eds.): The Routledge International Handbook of Criminology and Human Rights, New York, 2016, p. 421.

¹⁶⁹ *Wemmers, J.A.*: Victims' Rights are Human Rights: The Importance of Recognizing Victims as Persons, *Temida*, Vol. 15, Iss. 2, 2012, pp. 76-77.

¹⁷⁰ იქვე.

¹⁷¹ *ECOSOC*: Implementation of the Conclusions and Recommendations of the Seventh United Nations Congress on the Prevention of Crime and the Treatment of Offenders.

¹⁷² *UN ODCCP*: Guide for Policy Makers on the Implementation of the United Nation Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power, New York, 1999; *UN ODCCP*: Handbook on Justice for Victims on the Use and Application of the Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power, New York, 1999.

¹⁷³ *Brienen, M., Hoegen E., Groenhuijsen, M.S.*: Evaluation and Meta-Evaluation of the Effectiveness of Victim-oriented Legal Reform in Europe, *Criminologie*, Vol. 33, No.1, 2000. pp. 129-130; *Wemmers, J.A.*: Victims' Rights are Human Rights: The Importance of Recognizing Victims as Persons, *Temida*, Vol. 15, Iss. 2, 2012, p. 76.

¹⁷⁴ *Groenhuijsen, M.S.*: The Draft UN Convention on Justice and Support for Victims of Crime: With Special Reference to Its Provisions on Restorative Justice, *IAC*, Vol. 46, Iss. 1/2, pp. 121-122.

1.2. დანაშაულის და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების განხორციელებისა და მხარდაჭერის შესახებ კონვენციის პროექტი

გაეროს 1985 წლის დეკლარაციის მიღების შემდეგ საერთაშორისო დონეზე კვლავ მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა დანაშაულის მსხვერპლის უფლებრივი გაძლიერებისთვის. სწორედ ამიტომ 2005 წელს ვიქტიმოლოგმა *სემ გარკეივმა* წამოაყენა წინადადება დანაშაულის მსხვერპლის კონვენციის მიღების შესახებ. იგი რამდენიმე არგუმენტით ამყარებდა თავის იდეას. პირველ რიგში მიიჩნევდა, რომ დეკლარაცია არ წარმოადგენს ეფექტურ სამართლებრივ ინსტრუმენტს, ვინაიდან იგი რბილი სამართლის კატეგორიას მიეკუთვნება და სახელმწიფოების მიმართ არ გააჩნია მბოჭავი ძალა. მისგან განსხვავებით, კონვენცია სამართლის იმპერატიულ ინსტრუმენტს წარმოადგენს და მისი დარღვევის შემთხვევაში, სახელმწიფოს დაეკისრებოდა პასუხისმგებლობა, რაც თავის მხრივ კონვენციის იმპლემენტაციასაც გააადვილებდა. გარდა ამისა, *გარკეივი* თვლიდა, რომ დეკლარაციისგან განსხვავებით, კონვენცია ეროვნულ სასამართლოებს დაეხმარებოდა კანონმდებლობის განმარტებასა და სასამართლო პრაქტიკის განვითარებაში. ამასთან, იმ სახელმწიფოს, რომელიც თავს შეიკავებდა კონვენციის რატიფიცირებისგან, საერთაშორისო საზოგადოება მოსთხოვდა ახსნა-განმარტებას, რაც სახელმწიფოსთვის თავისთავად არასასიამოვნო პროცესი იქნებოდა. და ბოლოს, *გარკეივის* მოსაზრებით, დანაშაულის მსხვერპლთა მიმართ მოჰყრობა მიეკუთვნება ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხს, ვიქტიმიზაციის შემდეგ მათ სჭირდებათ განსაკუთრებული დაცვა და მხარდაჭერა. შესაბამისად, დრო იყო მბოჭავი ძალის არმქონე დეკლარაციიდან საერთაშორისო საზოგადოება გადასულიყო მბოჭავი ძალის მქონე ინსტრუმენტზე.¹⁷⁵

გარკეივის იდეას მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა, მაგალითად, პროფესორი *ჯან ხენუხტენი* თვლიდა, რომ კონვენციის პროექტის მომზადება და მისი მიღება რამდენიმე წელი გაგრძელდებოდა და ამ პერიოდში გაეროში დაზარალებულის დასაცავად არაფერი გაკეთდებოდა. გარდა ამისა, ქვეყნების თავისებურებების გათვალისწინებით, კონვენციის ტექსტზე და შინაარსზე შეთანხმების მიღწევა რთული იქნებოდა. უფრო მეტიც, კონსესუსის

¹⁷⁵ *Garwake, S.*: The Need for a Victims Convention, *The Victimologist*, Vol. 9, Iss. 2, 2005, pp. 4-5.

მიღწევის საჭიროებას შეიძლება საბოლოოდ უშინაარსო დებულებების მიღებაც გამოენჯია.¹⁷⁶

მოცემული წინააღმდეგობის მიუხედავად, კონვენციის მიღების იდეას მხარი დაუჭირა ვიქტიმოლოგიის მსოფლიო საზოგადოებამ და ტილბურგის უნივერსიტეტის ვიქტიმოლოგიის საერთაშორისო ინსტიტუტმა, რომლებმაც ექსპერტებთან მრავალი შეხვედრის შემდეგ შეიმუშავეს კონვენციის პროექტი „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია დანაშაულის და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების განხორციელებისა და მხარდაჭერის შესახებ“.¹⁷⁷ კონვენციის პროექტი მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც იგი მსხვერპლად მიიჩნევის მათ, ვისი უფლებებიც დაირღვა. იგი გარკვეულ ნოვაციებსაც ითვალისწინებს. მაგალითად, მან შემოიტანა მონყვლადი მსხვერპლების ცნება (ასაკის, სქესის, შეზღუდული შესაძლებლობების ან სხვა მახასიათებლის გამო), რითაც დაადასტურა, რომ ყველა მსხვერპლი ერთნაირი არ არის და დანაშაული ყველა მსხვერპლზე სხვადასხვანაირ გავლენას ახდენს. გარდა ამისა, პროექტში ხაზი გაესვა როგორც დანაშაულის პრევენციის, ისე ვიქტიმიზაციისა და ხელახალი ვიქტიმიზაციის შემცირების აუცილებლობას. კონვენციის პროექტში ყურადღება გამახვილდა სამართლიან მოპყრობაზე, მართლმსაჯულებისადმი წვდომაზე, ინფორმაციის მიწოდებაზე, კომპენსაციასა და აღდგენით მართლმსაჯულებაზე. ბოლოს კი გაეროს 1985 წლის დეკლარაციისგან განსხვავებით, კონვენციის პროექტმა გაითვალისწინა კონვენციის იმპლემენტაციისა და მონიტორინგის მექანიზმი.¹⁷⁸

¹⁷⁶ *Groenhuijsen, M.S.*: The Draft UN Convention on Justice and Support for Victims of Crime: With Special Reference to Its Provisions on Restorative Justice, IAC, Vol. 46, Iss. 1/2, 2008, p. 122.

¹⁷⁷ *Wemmers, J.A.*: Victims' Rights are Human Rights: The Importance of Recognizing Victims as Persons, *Temida*, Vol. 15, Iss. 2, 2012, p. 79. *Van Genugten, W.J.M., Groehuijsen, M.S., Van Gestel, R.A.J., Letscher, R.M.*: Loopholes, Risks and Ambivalences in International Lawmaking: The Case of a Framework Convention on Victims' Rights, *NYIL*, Vol. 37, 2006, pp. 142-143; The Draft UN Convention on Justice and Support for Victims of Crime and Abuse of Power.

¹⁷⁸ *Groenhuijsen, M.S.*: The Draft UN Convention on Justice and Support for Victims of Crime: With Special Reference to Its Provisions on Restorative Justice, IAC, Vol. 46, Iss. 1/2, 2008, pp. 122-125.

კონვენციის პროექტის შემუშავებიდან მრავალი წლის გასვლის შემდეგ, კონვენცია ჯერ ისევ არ არის მიღებული, თუმცა საერთაშორისო დონეზე კვლავ მიმდინარეობს მის მისაღებად მოლაპარაკებები.¹⁷⁹

1.3. სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალები და ჰიბრიდული სასამართლოები

გაეროს დაარსების დღიდან შეიქმნა არაერთი სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი და ჰიბრიდული სასამართლო, რომელთა მიზანი იყო საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული დანაშაულების გამოძიება. აღნიშნული სასამართლოები დაზარალებულის კუთხით მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მათ წინ წამოწიეს დაზარალებულის უფლებების საკითხი და სახელმწიფოებს უბიძგეს მისთვის უფლებების მინიჭებისკენ.¹⁸⁰ სწორედ ამიტომ, აუცილებელია რამდენიმე მათგანის მიმოხილვა.

უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ტრიბუნალებს წარმოადგენენ ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალები (ICTY, ICTR), რომლებიც გაეროს უშიშროების საბჭომ დაარსა 1993 და 1994 წლებში.¹⁸¹ აღსანიშნავია, რომ ტრიბუნალების სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულებს არ ჰქონდათ ისეთი უფლებები მინიჭებული, რომლითაც ზემოქმედებას მოახდენდნენ პროცესის შედეგებზე, ისინი მხოლოდ მონმის სტატუსით სარგებლობდნენ, თუმცა ტრიბუნალების წესდებები ითვალისწინებდა მონმის დაცვასა და მხარდაჭერას, განსაკუთრებით მაშინ, როცა პროცესში მონაწილეობდა მონყვლადი მონმე. პროცესში ასევე შესაძლებელი იყო დაზარალებულის ფსიქოლოგიური და ფიზიკური რეაბილიტაცია.¹⁸² ასევე ტრიბუნალების ზოგიერთ გადანყვეტილებაში ყურადღება მიექცა

¹⁷⁹ UNODC: The Criminal Justice Response to Support Victims of Acts of Terrorism, New York, 2011, pp. 3, 5; გაეროს 1985 წლის დეკლარაციის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით:

<https://www.tilburguniversity.edu/research/institutes-and-research-groups/intervict/research/projects/finalized/undeclaration>, [14.05.2020].

¹⁸⁰ Kirchengast, T.: Victims and the Criminal Trial, London, 2016, pp. 18-19.

¹⁸¹ დგებუადე, გ.: დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის მოდელი საერთაშორისო სისხლის სამართალში და მისი განვითარება ანგლოამერიკული და გერმანული სისხლის სამართლის სისტემების ზეგავლენით, თბილისი, 2017, გვ. 51-52, http://press.tsu.ge/data/image_db_innova/giorgi_dgebuadze.pdf, [14.05.2020].

¹⁸² Kirchengast, T.: Victims and the Criminal Trial, London, 2016, p. 19.

უშუალოდ დაზარალებულებს. სასჯელი განმარტებულ იქნა, როგორც „ადამიანის უფლებების მიძიმე დარღვევის დასჯის გამოხატულება [.....] დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანისა და ტანჯვის აღიარება“.¹⁸³

სიერა ლეონეს სპეციალური საერთაშორისო სასამართლოც, რომელიც შეიქმნა 2002 წელს, სიერა ლეონეს ტერიტორიაზე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და სიერა ლეონეს ეროვნული სამართლის დარღვევების გამოძიებისთვის,¹⁸⁴ მოქმედებდა ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალებში მოქმედი წესების მსგავსად. დაზარალებული პროცესში არ მონაწილეობდა დამოუკიდებელ სუბიექტად, თუმცა პროცესი ითვალისწინებდა დაზარალებულისა და მოწმეების დაცვას, რის უზრუნველსაყოფადაც სასამართლოს შიგნით შეიქმნა დაზარალებულისა და მოწმის გაერთიანება.¹⁸⁵ აღნიშნულის კომპეტენციაში შედიოდა დაზარალებულისა და მოწმეების მხარდაჭერა და კონსულტაცია, ასევე სექსუალური ძალადობის მსხვერპლებისა და ბავშვების რეაბილიტაცია.¹⁸⁶

საერთაშორისო დონეზე დაზარალებულის უფლებების განვითარებისთვის ასევე აღსანიშნავია გაეროსა და კამბოჯას ხელისუფლების შეთანხმების საფუძველზე დაარსებული კამბოჯას სასამართლოს საგანგებო პალატები (ECCC). მოცემული პალატების მიმართ მოქმედი საპროცესო ნორმები დაზარალებულს რიგ უფლებებს ანიჭებს. მაგალითად, მას შეუძლია პროცესში მონაწილეობა მიიღოს როგორც მოწმემ, დაზარალებულმა ან სამოქალაქო მხარემ. აღსანიშნავია, რომ საგანგებო პალატების დაარსებისას, კამბოჯას ეროვნული საპროცესო სამართლის მიხედვით, დანაშაულის მსხვერპლი პროცესიდან გამორიყული რჩებოდა და ვერანაირი უფლებით ვერ სარგებლობდა. მას მხოლოდ დანაშაულის შესახებ შეეძლო განაცხადის გაკეთება. საგანგებო პალატების შემთხვევაში კი მას შეუძლია პროცესში ჩაერთოს როგორც დაზარალებული და ისარგებლოს გარკვეული უფლებებით. რაც შეეხება სამოქალაქო

¹⁸³ ICTY, Prosecutor v. *Nikolić*, Case No. IT-02-60/1, 2/12/2003, § 86; *Evans, C.*: The Right to Reparation in International Law for Victims of Armed Conflict, Cambridge, 2012, p. 90.

¹⁸⁴ *Horn, R., Charters, S., Vahidy, S.*: The Victim-Witness Experience in the Special Court for Sierra Leone, IRV, Vol. 15, Iss. 3, 2009, p. 279.

¹⁸⁵ Statute of the Special Court for Sierra Leone, Art. 16, par. 4, Article 17 par. 2. *Frulli, M.*: The Special Court for Sierra Leone: Some Preliminary Comments, EJIL, Vol. 11, No. 4, 2000, p. 857.

¹⁸⁶ *Kirchengast, T.*: Victims and the Criminal Trial, London, 2016, p. 24.

მხარის ინსტიტუტს, მისი შემოტანა საგანგებო პალატების პროცესში ემსახურებოდა ორ მიზანს: პირველი, რომ მსხვერპლს მისცემოდა პროცესში პროკურატურასთან ერთად მონაწილეობის შესაძლებლობა და მეორე, მსხვერპლს მიეღო კომპენსაცია.¹⁸⁷

ასევე აღსანიშნავია აღმოსავლეთ ტიმორის სპეციალური პანელები, რომლებიც 2000 წელს შეიქმნა აღმოსავლეთ ტიმორში გაეროს გარდამავალი ადმინისტრაციის მიერ.¹⁸⁸ სასამართლოს წესები ჩამოყალიბდა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესების მიხედვით, შესაბამისად დაზარალებულს გააჩნია რიგი საპროცესო უფლებები. მაგალითად, მას შეუძლია მოითხოვოს გამოძიების დაწყება, მას აქვს უფლება, რომ სხდომებზე მოუსმინონ და ასევე შეუძლია გაასაჩივროს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარი.¹⁸⁹

და ბოლოს უნდა აღინიშნოს 2000 წელს კოსოვოში გაეროს მონაწილეობით დაარსებული საერთაშორისო პანელები. მოცემული ჰიბრიდული სასამართლოს მიმართ მოქმედებდა კოსოვოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც დაზარალებულს მრავალ უფლებას ანიჭებს. მაგალითად დაზარალებულს გააჩნია სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების უფლებამოსილება, აქვს საქმის მასალების გაცნობის უფლება, შეუძლია მასალებს გადაუღოს ფოტო ან გადაიღოს მათი ასლი. დაზარალებულს შეუძლია სასამართლოში წარადგინოს მტკიცებულებები, ასევე შეუძლია პროკურორს მოსთხოვოს მოწმის გამოძახება, მას აქვს ადვოკატის ყოლის უფლებაც.¹⁹⁰

2. ევროპის საბჭო

ევროპის საბჭო გაეროსთან ერთად აქტიურად იყო დაკავებული დაზარალებულის უფლებებზე ზრუნვით. ამის დასტურს წარმოადგენს 1981 წელს დანამაულთან

¹⁸⁷ Internal Rules of the Extraordinary Chambers in the Court of Cambodia (Rev. 9), Rule 23; *Kirchengast, T.: Victims and the Criminal Trial*, London, 2016, p. 24.

¹⁸⁸ *JSMP: Digest of the Jurisprudence of the Special Panels for Serious Crimes*, Dili, Timor Leste, 2007, p. 6, <https://www.locjkt.or.id/Timor_E/new/pdf/Digest%20of%20the%20Jurisprudence.pdf>, [14.05.2020]; *Reiger, C.: Hybrid Attempts at Accountability in Timor Leste*, ნაშრომში: *Roht-Arriaza, N. (ed.): Transitional Justice in the Twenty-First Century: Beyond Truth versus Justice*, Cambridge, 2006, p. 159.

¹⁸⁹ *Kirchengast, T.: Victims and the Criminal Trial*, London, 2016, pp. 26-27.

¹⁹⁰ *Ochoa J.C.S.: The Rights of Victims in Criminal Justice Proceedings for Serious Human Rights Violations*, Graduate Institute of International and Development Studies, Vol. 12, Leiden, Boston, 2013, p. 214; *Kirchengast, T.: Victims and the Criminal Trial*, London, 2016, pp. 27-28.

დაკავშირებული პრობლემების შემსწავლელი ევროპული კომიტეტის (European Committee on Crime Problems - CDPC) მიერ სპეციალური კომიტეტის შექმნა, რომელსაც მიენიჭა სამი ძირითადი ფუნქცია:

1. დაზარალებულის კომპენსაციის საკითხზე ევროპული კონვენციის მომზადება;
2. სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობის შესწავლა;
3. ვიქტიმიზაციასთან დაკავშირებული პრობლემების, ასევე ვიქტიმიზაციის პრევენციისა და დაზარალებულის მხარდამჭერი პროგრამების შესწავლა.

მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში სპეციალურმა კომიტეტმა დაიწყო კონვენციების, რეზოლუციებისა და რეკომენდაციების შემუშავება და უკვე 1983 წელს მიღებულ იქნა კონვენცია დაზარალებულთა კომპენსაციის შესახებ.¹⁹¹ იმავე წელს სპეციალურმა კომიტეტმა დაიწყო სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ რეკომენდაციაზე მუშაობა, რომელიც უკვე 1985 წელს მიღებულ იქნა მინისტრთა კომიტეტის მიერ.¹⁹² მას მოსდევდა დანაშაულთან დაკავშირებული პრობლემების შემსწავლელი ევროპული კომიტეტის მიერ შემუშავებული 1987 და 2006 წლების რეკომენდაციები დაზარალებულის დახმარების შესახებ.¹⁹³ მოცემული რეკომენდაციების ღირებულებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია მათი განხილვა.

2.1. რეკომენდაცია Rec R(85)11 და რეკომენდაცია Rec(2006)8

დანაშაულთან დაკავშირებული პრობლემების შემსწავლელი ევროპული კომიტეტის სპეციალური კომიტეტის მუშაობის მნიშვნელოვან ნაყოფს წარმოადგენს 1985 წლის რეკომენდაცია Rec R(85)11 სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის

¹⁹¹ ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლთა კომპენსაციის შესახებ ევროპული კონვენცია ცალკე იქნება განხილული ნაშრომის თავი IV-ის ქვეთავში 8.1.2.2.1.1.

¹⁹² *Brienen, M., Hoegen E.: Victim of Crime in 22 European Criminal Justice Systems: The Implementation of Recommendation (85)11 of the Council of Europe on the Position of the Victim in the Framework of Criminal Law and Procedure*, Nijmegen, 2000, pp. 10-11.

¹⁹³ Recommendation No. R (87) 21 of the Committee of Ministers to Member States on Assistance to Victims and the Prevention of Victimisation; Recommendation Rec (2006) 8 of the Committee of Ministers to Member States on Assistance to Crime Victims.

პროცესში დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ, რომელიც 1985 წლის 28 ივნისს იქნა მიღებული მინისტრთა კომიტეტის მიერ.¹⁹⁴

რეკომენდაციის მიღება განაპირობა ევროპის საბჭოში დაზარალებულის გაძლიერებისკენ მიმართულმა კამპანიამ. იგი კარგად ასახავს ევროპის საბჭოს მთავარ მიზანს, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის გაძლიერებაში მდგომარეობს.¹⁹⁵ რეკომენდაცია შედგება ორი ძირითადი ნაწილისგან. პირველ ნაწილში მოცემულია 16 სახელმძღვანელო პრინციპი, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს სისხლის სამართლის პროცესის შესაბამის ეტაპზე ჩართულმა სახელმწიფო უწყებამ, იქნება ეს პოლიცია, პროკურატურა თუ სასამართლო.¹⁹⁶ მეორე ნაწილში ევროპის საბჭო მოუწოდებს სახელმწიფოებს, სისხლის სამართლის პროცესში მედიაციისა და შერიგების უპირატესობების გადასინჯვას და მხარს უჭერს დაზარალებულთან დაკავშირებული დებულებების ეფექტურობაზე კვლევების ჩატარებას.¹⁹⁷

ევროპის საბჭოს 1985 წლის რეკომენდაციაშიც ჩანს, რომ დანაშაული აღარ უნდა იქნეს გაგებული, როგორც სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული ქმედება. რეკომენდაცია იწყება შემდეგი სიტყვებით: „ვითვალისწინებთ რა, რომ ტრადიციულად სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა გაგებული იყო, როგორც სახელმწიფოსა და დამნაშავეს შორის ურთიერთობა, ვითვალისწინებთ, რომ მოცემული სისტემა დაზარალებულს არათუ უმსუბუქებდა, არამედ უმატებდა პრობლემებს [...]“.¹⁹⁸ შესაბამისად, აღნიშნული ჩანაწერიც წარმოადგენს ბიძგს იმისკენ, რომ დანაშაული გაგებულ იქნეს როგორც სახელმწიფოსა და დაზარალებულის წინააღმდეგ მიმართული ქმედება და როგორც დაზარალებულის უფლებების დარღვევა.

¹⁹⁴ Recommendation No. R (85) 11 of the Committee of Ministers to Member States on the Position of the Victim in the Framework of Criminal Law and Procedure.

¹⁹⁵ *Brienen, M., Hoegen E.*: Victim of Crime in 22 European Criminal Justice Systems: The Implementation of Recommendation (85) 11 of the Council of Europe on the Position of the Victim in the Framework of Criminal Law and Procedure, Nijmegen, 2000, p. 9.

¹⁹⁶ იქვე, p. 1.

¹⁹⁷ იქვე, pp. 1, 12.

¹⁹⁸ *FRA*: Victims' Rights as Standards of Criminal Justice: Justice for Victims of Violent Crime, Part 1, Luxembourg, 2019, p. 15.

რეკომენდაციაში ასევე ხაზგასმულია, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა პირველ რიგში მიმართულია სახელმწიფოსა და დამნაშავეს შორის ურთიერთობის მოწესრიგებაზე, ხოლო დაზარალებული მეორეხარისხოვნად არის წარმოდგენილი, შესაბამისად, ევროპის საბჭომ აუცილებლად მიიჩნია, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში დაზარალებულის ინტერესების სათანადოდ გათვალისწინება.¹⁹⁹ თუმცა, რეკომენდაციაში ასევე აღინიშნა, რომ დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინებით არ უნდა მომხდარიყო მართლმსაჯულების სისტემის სხვა მიზნების ხელყოფა. ამ მიზნებში მოიაზრება სოციალური ნორმების დაცვა, დამნაშავეს უფლებების პატივისცემა, დამნაშავეს რესოციალიზაციაზე ზრუნვა და დაზარალებულსა და დამნაშავეს შორის შერიგება.²⁰⁰

ევროპის საბჭომ დამატებით, 1987 წელს მიიღო რეკომენდაცია R(87)21 დაზარალებულის დახმარებისა და ვიქტიმიზაციის პრევენციის შესახებ.²⁰¹ აღნიშნული რეკომენდაცია არეგულირებდა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გარეთ დაზარალებულთა დახმარების საკითხს და მოიცავდა ისეთ ქვესაკითხებს, როგორცაა მხარდაჭერის სერვისები, დანაშაულის მსხვერპლთა კატეგორია, საზოგადოებრივი ცნობიერება, მონიტორინგი, მედიაცია, დაზარალებულის თანხმობის გარეშე მესამე პირებისთვის დაზარალებულთან დაკავშირებული ინფორმაციის გამხელის დაუშვებლობა და სხვა.²⁰² აღნიშნული რეკომენდაცია 2006 წელს ჩაანაცვლა დაზარალებულის დახმარების შესახებ რეკომენდაცია Rec(2006)8-მა. მიუხედავად რეკომენდაციის არამბოჭავი ხასიათისა, 2006 წლის რეკომენდაცია დღეს ევროპის საბჭოს ერთ-ერთ

¹⁹⁹ CDPC.: Report on the Standing and Right of Victims in Criminal Proceedings, 2010, p. 4; *Brienen, M., Hoegen E., Groenhuijsen, M.S.*: Evaluation and Meta-Evaluation of the Effectiveness of Victim-oriented Legal Reform in Europe, *Criminologie*, Vol. 33, No.1, 2000, p. 128.

²⁰⁰ *Dünkel, F.*: The Victim in Criminal Law: On the Way from an Offender-Related to a Victim-Related Criminal Justice? ნაშრომში: *Fattah, E., Parmentier, S.* (eds.): *Victim Policies and Criminal Justice on the Road to Restorative Justice: Essays in Honour of Tony Peters*, Leuven, 2001, p. 175; *Brienen, M., Hoegen E.*: *Victim of Crime in 22 European Criminal Justice Systems: The Implementation of Recommendation (85) 11 of the Council of Europe on the Position of the Victim in the Framework of Criminal Law and Procedure*, Nijmegen, 2000, p. 10.

²⁰¹ Recommendation No. R (87) 21 of the Committee of Ministers to Member States on Assistance to Victims and the Prevention of Victimisation.

²⁰² CDPC.: Report on the Standing and Right of Victims in Criminal Proceedings, 2010, p. 4.

მნიშვნელოვან ინსტრუმენტად მიიჩნევა.²⁰³ ამის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს ის, რომ რეკომენდაციაში დაკონკრეტებულია ევროკავშირის 2001 წლის ჩარჩო გადაწყვეტილებაში²⁰⁴ განმტკიცებული უფლებები.

2006 წლის რეკომენდაციის განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში ვლინდება, რომ მან შემოიტანა ხელახალი და მეორეული ვიქტიმიზაციის ცნებები. კერძოდ, რეკომენდაციის 1.2 პუნქტის თანახმად, ხელახალი ვიქტიმიზაცია გულისხმობს ისეთ მდგომარეობას, როდესაც ერთი და იგივე ადამიანი, დროის გარკვეულ მონაკვეთში ხდება ერთზე მეტი დანაშაულის მსხვერპლი. რეკომენდაციის 1.3 პუნქტის თანახმად კი, მეორეული ვიქტიმიზაცია გულისხმობს ისეთი სახის ვიქტიმიზაციას, რომელიც გამომწვეულია არა პირდაპირ დანაშაულის შედეგად, არამედ დაზარალებულისადმი ინსტიტუციებისა და ინდივიდების არასათანადო პასუხით. გარდა ამისა, 2006 წლის რეკომენდაცია ხაზს უსვამს დაზარალებულის უფლებების აღიარებისა და პატივისცემის აუცილებლობას, განსაკუთრებით მისი ისეთი უფლებებისა, როგორცაა უსაფრთხოების, ღირსების, პირადი ცხოვრების და არადისკრიმინაციული მოპყრობის უფლება. გარდა ამისა, რეკომენდაცია სახელმწიფოებს მოუწოდებს გაატარონ ღონისძიებები, რათა თავიდან იქნეს აცილებული დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაცია და მოითხოვს, რომ აღნიშნული ღონისძიებების გატარება არ იყოს დამოკიდებული დამნაშავის იდენტიფიცირებაზე, დაკავებაზე, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასა ან მსჯავრდებაზე. რეკომენდაცია ასევე უსვამს ხაზს ინფორმაციის მიწოდების, კომპენსაციის, მედიაციის, პროცესში ჩართულ უწყებებს შორის კოორდინირებისა და თანამშრომლობის მნიშვნელობას.²⁰⁵

2.2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ევროპის საბჭომ 1950 წელს მიიღო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომელიც წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს. კონვენციის მოქმედება ვრცელდება მის

²⁰³ *Wolhuter, L., Olley, N., Denham, D.:* Victimology: Victimisation and Victims' Rights, Abingdom, New York, 2009, p. 121.

²⁰⁴ ევროკავშირის 2001 წლის ჩარჩო გადაწყვეტილებაზე დეტალური საუბარი იქნება ნაშრომის თავი III-ის § 3.2-ში.

²⁰⁵ *CDPC: Report on the Standing and Right of Victims in Criminal Proceedings*, 2010, p. 6.

ხელშეკვერელ მხარეებზე, ანუ ევროპის საბჭოს ყველა 47 წევრ სახელმწიფოზე. მაღალი ხელშეკვერელი მხარეები ვალდებულნი არიან თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყონ კონვენციით გარანტირებული უფლებები და თავისუფლებები.²⁰⁶ თუ სახელმწიფოები არ შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებას, მაშინ მსხვერპლს შეუძლია მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რომელიც დაადგენს, სახეზე იყო თუ არა კონვენციის დარღვევა. აღსანიშნავია, რომ მსხვერპლისთვის აღნიშნული მექანიზმის უზრუნველყოფა წარმოადგენს საერთაშორისო დონეზე მსხვერპლის აღიარებისა და მის მნიშვნელოვან ფიგურად მიჩნევის თვალსაჩინო გამოვლინებას.²⁰⁷

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიხედვით, სახელმწიფო ვალდებულია მოახდინოს ადამიანის უფლებების დარღვევის კრიმინალიზაცია,²⁰⁸ რათა თავიდან იქნეს აცილებული დანაშაულის დაუსჯელობა.²⁰⁹ შესაბამისად, სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სისხლის სამართალი წარმოადგენს ადამიანის უფლებების დაცვის მექანიზმს, დანაშაული კი ადამიანის უფლებების დარღვევას.²¹⁰ ადამიანის უფლებების დარღვევით, დაზარალებულს პროცესში დამოუკიდებელი ინტერესები და მიზნები წარმოეშვება, რომელიც განსხვავდება პროკურატურის ინტერესებისა და მიზნებისგან. სწორედ ამიტომ, არ შეიძლება დაზარალებული მიჩნეულ იქნეს პროკურატურის ოპონენტად ან თანამოაზრედ,²¹¹ ანუ არ შეიძლება იგი პროკურატურის და საჯარო ინტერესის ნაწილად იქნეს განხილული.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თანახმად, დანაშაულის შედეგად დაზარალებულს პირველ რიგში წარმოეშვება უფლებებში აღდგენის უფლება,²¹² რაც

²⁰⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, პირველი მუხლი; *CoE: The History of the Court*, pp. 24-26, <https://www.echr.coe.int/Documents/Anni_Book_Chapter01_ENG.pdf>, [18.05.2020].

²⁰⁷ *Kirchengast, T.: Victims and the Criminal Trial*, London, 2016, p. 21.

²⁰⁸ ECtHR, *Z and Others v. the United Kingdom*, Appl. No. 29392/95, 10/05/2001, § 73.

²⁰⁹ ECtHR, *X and Y v. the Netherlands*, Appl. No. 8978/80, 26/03/1985, §§ 22-30; ECtHR, *Stubbing and Others v. the United Kingdom*, Appl. No. 22083/93, 22095/93, 22/10/1996, §§ 61-65; ECtHR, *A. v. the United Kingdom*, Appl. No. 25599/94, 23/09/1998, §§ 19-24; ECtHR, *Osman v. the United Kingdom*, Appl. No. 23452/94, 28/10/1998, §§ 115-116; ECtHR, *M.C v. Bulgaria*, Appl. No. 39272/98, 4/12/2003, §§ 150-153, 166; ECtHR, *I.C. v. Romania*, Appl. No. 36934/08, 24/05/2016, §§ 51-52; ECtHR, *K.U v. Finland*, Appl. No. 2872/02, 2/12/2008, §§ 45-51.

²¹⁰ *FRA: Victims' Rights as Standards of Criminal Justice: Justice for Victims of Violent Crime*, Part 1, Luxembourg, 2019, p. 17.

²¹¹ ECtHR, *Berger v France*, Appl. No. 48221/99, 3/12/2002, § 38; ECtHR, *Perez v France*, Appl. No. 47287/99, 12/02/2004, § 68.

²¹² ECtHR, *Husayn (Abu Zubaydah) v. Poland*, Appl. No. 7511/13, 24/07/2014, §§ 540-541.

მოიცავს დანაშაულზე რეაგირებას და დაზარალებულის წვდომას სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე.²¹³ მართლმსაჯულებაზე წვდომა გულისხმობს სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულისთვის გარკვეული როლის მინიჭებას და მონაწილეობის შესაძლებლობის უზრუნველყოფას. სისხლის სამართლის მართლმსაჯულება კი მაშინ არის ხელმისაწვდომი, როცა დაზარალებული წარმოდგენილია პროცესის მნიშვნელოვან ეტაპებზე და აქვს ხმის უფლება.²¹⁴ კონვენციით მართლმსაჯულებაზე წვდომა გარანტირებულია კონვენციის მე-13 მუხლით (სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალებების უფლება).²¹⁵ დაზარალებულს ასევე შეუძლია მოითხოვოს ეფექტური გამოძიების ჩატარება კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება)²¹⁶ და მე-3 მუხლების (წამების აკრძალვა) საფუძველზე.²¹⁷ კონვენციის მე-6 მუხლი (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) კი მხოლოდ მაშინ ვრცელდება დაზარალებულზე, თუ იგი პროცესში ჩაერთვება სამოქალაქო მოთხოვნების (კომპენსაციის მიღების) დაკმაყოფილების მიზნით, თუმცა ზოგადად სამართლიანი სასამართლოს პრინციპი მოითხოვს, რომ დაზარალებულის ინტერესები პროცესში იქნეს გათვალისწინებული და ბრალდებულის უფლებებთან დაბალანსებული.²¹⁸

²¹³ ECtHR, *G.I.E.M. S.r.l. and Others v. Italy*, Appl. No. 1828/06, 34163/07, 19029/11, 28/11/2018, § 260; ECtHR, *Aksoy v. Turkey*, Appl. No. 21987/93, 18/12/1996, § 98; ECtHR, *Aydin v. Turkey*, Appl. No. 23178/94, 25/11/1997; ECtHR, *Mentes and Others v. Turkey*, Appl. No. 23186/94, 28 /11/1997; დამნაშავის დასჯაზე, როგორც მსხვერპლისთვის სამართლიანობის აღდგენაზე, ასევე ხაზია გასმული 2011 წელს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებულ სახელმძღვანელო პრინციპებში, რომელიც ეხება დაუსჯელობის აღმოფხვრას (*Guideline of Committee of Ministers on Eradication Impunity for Serious Human Rights Violation*, p. 5).

²¹⁴ *FRA: Proceedings that Do Justice: Justice for Victims of Violent Crime*, Part II, Luxembourg, 2019, p. 69.

²¹⁵ ECtHR, *Aksoy v. Turkey*, Appl. No. 21987/93, 18/12/1996, §§ 95-100; ECtHR, *Aydin v. Turkey*, Appl. No. 23178/94, 25/11/1997, §§ 103-109; ECtHR, *Mentes and Others v. Turkey*, Appl. No. 23186/94, 28 /11/1997, §§ 89-92; ECtHR, *A v. Croatia*, Appl. No. 55164/08, 14/10/2010, §§ 78, 87; ECtHR, *I.P. v. the Republic of Moldova*, Appl. No. 33708/12, 28/04/2015, §§ 36, 42; ECtHR, *Tanli v. Turkey*, Appl. No. 26129/95, 10/04/2001, §§ 171; ECtHR, *İlhan v. Turkey*, Appl. No. 22277/93, 27/06/2000, §§ 94-103.

²¹⁶ ECtHR, *Kolevi v. Bulgaria*, Appl. No. 1108/02, 5/11/2009, § 201; ECtHR, *Ramsahai and Others v. the Netherlands*, Appl. No. 52391/99, 15/05/2007, § 324; ECtHR, *Dink v. Turkey* Appl. No. 2668/07, 6102/08, 30079/08, 7072/09 7124/09, 14 /09/2010, § 64; ECtHR, *Kaya v. Turkey*, Appl. No. 22729/93, 19/02/1998, §§ 86-92; *Victim Support Europe: EU Handbook for Policy and Best Practice in relation to Victims of Crime*, 2012, p. 33, <<http://victimsupporteurope.eu/activeapp/wp-content/files/mf/1353929035EUHandbook.pdf>>, [26.06.2020].

²¹⁷ ECtHR, *Gäfgen v. Germany*, Appl. No. 22978/05, 1/06/2010, § 117; ECtHR, *Nachova and Others v. Bulgaria*, Appl. No. 43577/98, 43579/98, 6/07/2005, §§ 93-97.

²¹⁸ ECtHR, *Mihova v. Italy*, Appl. No. 25000/07, 30/03/2010, § 7; ECtHR, *Doorson v the Netherlands*, Appl. No. 20524/92, 26/03/1992, § 70; ECtHR, *Öneryıldız v Turkey*, Appl. No. 48939/99, 30/11/2004, § 96; ECtHR, *Giuliani and Gaggio v Italy*, Appl. No. 23458/02, 24/03/2011, § 306; *Moffett, L.: Meaningful and Effective? Considering Victims' Interests through Participation at the International Criminal Court*, *CrimLF*, Vol. 26, Iss. 2, 2015, p. 262; *Vitkauskas*,

2.3. ევროპის საბჭოს სხვა სამართლებრივი ინსტრუმენტები

ზემოვანხილული სამართლებრივი ინსტრუმენტების გარდა, ევროპის საბჭოს მიღებული აქვს სხვა სამართლებრივი აქტებიც, რომლებშიც განმტკიცებულია დებულებები დაზარალებულის უფლებების შესახებ. მათ შორის აღსანიშნავია 1999 წლის რეკომენდაცია სისხლის სამართლის საქმეებში მედიაციის შესახებ,²¹⁹ 2018 წლის რეკომენდაცია სისხლის სამართალწარმოებაში აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ²²⁰ და რეკომენდაცია მოწმის დაშინებისა და ბრალდებულის უფლებების შესახებ.²²¹ ევროპის საბჭოს ასევე მიღებული აქვს კონვენციები ცალკეულ დანაშაულებთან დაკავშირებით. დანაშაულის მსხვერპლის კონტექსტში მნიშვნელოვანია ტერორიზმის,²²² სექსუალური ექსპლუატაციის,²²³ ტრეფიკინგისა²²⁴ და სამედიცინო სფეროში ჩადენილი დანაშაულების შესახებ კონვენციები.²²⁵

3. ევროკავშირი

3.1. ევროკავშირის კომპეტენცია დაზარალებულის შესახებ რეგულაციების შემუშავების კუთხით

მე-20 საუკუნის 90-იან წლებში ევროკავშირი მიიჩნევდა, რომ მას არ ჰქონდა უფლებამოსილება, ჩარეულიყო წევრი სახელმწიფოების სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში. აღნიშნული მიდგომა ვრცელდებოდა დაზარალებულის მიმართაც. მაგალითად, როდესაც დანაშაულის მსხვერპლის მხარდამჭერმა

D., Dikov, G., Protecting the Right to a Fair Trial under the European Convention on Human Rights, Council of Europe Human Rights Handbooks, Strasbourg, 2012, p. 7.

²¹⁹ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია NR (99)19 წევრი სახელმწიფოების მიმართ, რომელიც ეხება მედიაციას სისხლის სამართლის საქმეებზე, 15/09/1999.

²²⁰ Recommendation CM/Rec(2018)8 of the Committee of Ministers to Member States Concerning Restorative Justice in Criminal Matters, 3/10/2018.

²²¹ Recommendation No. R (97)13 of Committee of Ministers to Member States Concerning Intimidation of Witnesses and the Rights of the Defence, 10/09/1997.

²²² Council of Europe Convention on the Prevention of Terrorism; Council of Europe Convention on Laundering, Search, Seizure and Confiscation of the Proceeds from Crime and on the Financing of Terrorism.

²²³ Council of Europe Convention on the Protection of Children against Sexual Exploitation and Sexual Abuse.

²²⁴ Council of Europe Convention on Action against Trafficking in Human Beings.

²²⁵ Council of Europe Convention on the Counterfeiting of Medical Products and Similar Crimes Involving Threats to Public Health; *CDPC: Report on the Standing and Right of Victims in Criminal Proceedings*, 2010. pp. 4-6, 8-9.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა ბრიუსელს მიმართეს ფინანსური მხარდაჭერისთვის, მათ უარი მიიღეს იმ საფუძვლით, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულება არ იყო „ევროპის საქმე“.²²⁶ თუმცა მალევე შვედი ევროკომისარი, ანიტა გროდინი, დარწმუნდა, რომ იმ დაზარალებულის ბედი, რომელიც დანაშაულის მსხვერპლი ხდებოდა საზღვარგარეთ, განსხვავდებოდა იმ დაზარალებულის ბედისგან, რომელიც მსხვერპლი ხდებოდა თავის საცხოვრებელ ქვეყანაში. დაზარალებულისთვის პრობლემას წარმოადგენდა ენობრივი ბარიერი, სამართლებრივი რეგულაციების უცოდინრობა და სასამართლო პროცესებში მონაწილეობის მიღების შეუძლებლობა. ევროკავშირმა პრობლემის მოსაგვარებლად იპოვა გამოსავალი. „უცხოელი“ დაზარალებულების სპეციფიკური საჭიროებები მიაბა თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცეში შეუზღუდავი მიმოსვლის თავისუფლებას და ევროკავშირის კომპეტენცია გაავრცელა დაზარალებულის მიმართაც. თუმცა, თუ ევროკავშირში მხოლოდ უცხო სახელმწიფოში გამხდარი მსხვერპლის საკითხი მონესრიგდებოდა, შეიძლება ეს უკანასკნელი ჩვეულებრივ მსხვერპლთან შედარებით პრიორიტეტულ მდგომარეობაში ჩაყენებულიყო, რაც თავისთავად შეენინააღმდეგებოდა ევროკავშირის პრინციპებს. სწორად ამიტომ ევროკავშირის კომპეტენცია გაავრცელდა ყველა მსხვერპლის მიმართ.²²⁷

ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლით, უკვე ნორმატიულ დონეზე მონესრიგდა დაზარალებულის უფლებებზე მინიმალური სტანდარტების დადგენის კომპეტენცია. კერძოდ, ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 82-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ტრანსნაციონალური ბუნების მქონე სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით სასამართლო გადაწყვეტილებების ორმხრივი აღიარებისა და საპოლიციო და იუსტიციური თანამშრომლობის გამართვის მიზნით,

²²⁶ *APAV: Project Victims in Europe: Implementation of the EU Framework Decision on the Standing of Victims in the Criminal Proceedings in the Member States of the European Union*, 2009, p. 7, <https://apav.pt/apav_v3/images/pdf_english/reportVinE.pdf>, [18.05.2020].

²²⁷ *Groenhuijsen, M.S., Pemberton, A.*: The EU Framework Decision for Victims of Crime, *Eur. J. Crime Crim. Law. Crim. Justice*, Vol. 17, Iss. 1, 2009, pp. 44-45; *Groenhuijsen, M.S., Pemberton, A.*: Developing Victim's Rights within the European Union: Past, Present and Future, ნაშრომში: *Morosawa, H., Dussich, J.J.P., Kirchhoff, G.F.* (eds.): *Victimology and Human Security: New Horizons*, Nijmegen, 2012, p. 538; *APAV: Project Victims in Europe: Implementation of the EU Framework Decision on the Standing of Victims in the Criminal Proceedings in the Member States of the European Union*, 2009, pp. 7-8, <https://apav.pt/apav_v3/images/pdf_english/reportVinE.pdf>, [18.05.2020].

ევროპარლამენტსა და საბჭოს შეუძლიათ *inter alia* დაზარალებულის უფლებებზე მინიმალური წესების დადგენა.²²⁸

3.2. 2001 წლის ჩარჩო გადაწყვეტილება

3.2.1. 2001 წლის ჩარჩო გადაწყვეტილების მიღების ისტორია

1998 წელს საბჭომ და კომისიამ მიიღეს სამოქმედო გეგმა ამსტერდამის ხელშეკრულებაში თავისუფლების, უსაფრთხოების და მართლმსაჯულების სფეროსთან დაკავშირებით განმტკიცებელი დებულებების საუკეთესო გზით იმპლემენტაციის შესახებ, რომლითაც ოფიციალურად დაიწყო საუბარი დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.²²⁹ 1999 წელს ტამპერეში გაიმართა შეხვედრა, რომლის შემდეგ კომისიამ გამოაქვეყნა შეტყობინება „დაზარალებული ევროკავშირში: მოსაზრებები პრინციპებისა და ღონისძიებების შესახებ“. აღნიშნული შეტყობინება შეეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორცაა ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება, დაზარალებულის მხარდაჭერა, სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა და დაზარალებულის კომპენსაცია. ტამპერეს დასკვნის 32-ე პუნქტის თანახმად, მოცემული შეტყობინების გათვალისწინებით, უნდა შემუშავებულიყო დაზარალებულის დაცვის მინიმალური სტანდარტები.²³⁰ 2000 წლის 15 ივნისს ევროპულმა პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მოიწონა კომისიის შეტყობინება და მოითხოვა დაზარალებულის მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის ღონისძიებების გატარება. საბოლოოდ პორტუგალიამ წარმოადგინა „სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის სამართლებრივი

²²⁸ *Lenaerts, K.*: The Principle of Mutual Recognition in the Area of Freedom, Security and Justice, The Fourth Annual Sir Jeremy Lever Lecture All Souls College, University of Oxford, 2015, p. 9; *EPRS: The Victims' Rights Directive 2012/29/EU: European Implementation Assessment*, 2017, p. 10, <<https://www.statewatch.org/news/2017/dec/ep-study-victims-directive.pdf>>, [18.05.2020].

²²⁹ Action Plan of the Council and the Commission on How Best to Implement the Provisions of the Treaty of Amsterdam on an Area of Freedom, Security and Justice, par. 19, 51.

²³⁰ Europäischer Rat, Schlussfolgerungen des Vorsitzes, Tampere, Abs. 32, <<https://www.consilium.europa.eu/media/21051/tampere-europaischer-rat-schlussfolgerungen-des-vorsitzes.pdf>>, [16.06.2020].

მდგომარეობის შესახებ“ ჩარჩო გადაწყვეტილების საინიციატივო წინადადება.²³¹ 2000 წლის ივლისში საბჭო ევროპარლამენტთან გადიოდა კონსულტაციებს. ევროპარლამენტმა დადებითად შეაფასა საინიციატივო წინადადება, შედეგად 2001 წლის 15 მარტს საბჭომ მიიღო „სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ ჩარჩო გადაწყვეტილება, რომელიც ძალაში შევიდა 2001 წლის 22 მარტს.²³²

3.2.2. ჩარჩო გადაწყვეტილების, როგორც სამართლებრივი ინსტრუმენტის ბუნება

ზოგადად ჩარჩო გადაწყვეტილება, როგორც სამართლებრივი ინსტრუმენტი, შემოიტანა ამსტერდამის ხელშეკრულებამ და იგი გამოიყენებოდა თავისუფლების, უსაფრთხოების და მართლმსაჯულების სივრცეში სისხლის სამართლის პროცესის ჰარმონიზაციის მისაღწევად.²³³ ჩარჩო გადაწყვეტილება წევრი სახელმწიფოებისთვის მიზნის მიღწევის კუთხით სავალდებულო ძალის მქონე იყო, თუმცა სახელმწიფოს ჰქონდათ თავისუფლება, თვითონვე განესაზღვრათ, თუ რა ფორმითა და რა საშუალებების გამოყენებით მიაღწევდნენ მიზანს.²³⁴

ჩარჩო გადაწყვეტილების ბუნებიდან გამომდინარე, მისი მიღება დაზარალებულის უფლებების დაცვის კუთხით ისტორიულ ნაბიჯს წარმოადგენდა. იგი საერთაშორისო დონეზე იყო მბოჭავი ძალის მქონე პირველი სამართლებრივი ინსტრუმენტი, ანუ მასში განმტკიცებული დებულებები პირველად გახდა სახელმწიფოებისთვის შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონე.²³⁵ როგორც უკვე აღინიშნა, 2001 წლამდე საერთაშორისო

²³¹ Initiative of the Portuguese Republic with a View to Adopting a Council Framework Decision on the Standing of Victims in Criminal Procedure.

²³² Hanloser, M.: Das Recht des Opfers auf Gehör im Strafverfahren, Europäische Hochschulschriften, Bd./Vol. 5008, Berlin, 2010, S. 63-64.

²³³ იქვე; Rozmus, M., Topa, I., Walczak. M.: Harmonisation of Criminal Law in the EU Legislation – The Current Status and the Impact of the Treaty of Lisbon, 2010, p. 2.

²³⁴ Hanloser, M.: Das Recht des Opfers auf Gehör im Strafverfahren, Europäische Hochschulschriften, Bd./Vol. 5008, Berlin, 2010, S. 64.

²³⁵ შენიშვნა: გამონაკლისს წარმოადგენს ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლთა კომპენსაციის შესახებ ევროპული კონვენცია. თუმცა მოცემული ინსტრუმენტი მხოლოდ ერთ კონკრეტულ საკითხს არეგულირებდა, შესაბამისად არ ვრცელდებოდა ყველა მსხვერპლზე. გარდა ამისა, მისი მოქმედება დამოკიდებული იყო ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების მიერ მის ხელმოწერასა და რატიფიცირებაზე. მაგალითად,

დონეზე არსებობდა რბილი სამართლის სხვადასხვა სამართლებრივი ინსტრუმენტები, მაგალითად გაეროს 1985 წლის დეკლარაცია და ევროპის საბჭოს რეკომენდაციები, მაგრამ მათი არასავალდებულო ხასიათის გამო, პრაქტიკაში ნორმების იმპლემენტაცია დიდ სირთულეს წარმოადგენდა.²³⁶ გარდა ამისა, 2001 წლის ჩარჩო გადანყვეტილება სისხლის სამართლის სფეროში პირველი სამართლებრივი აქტი იყო, რომელიც უშუალო გავლენას ახდენდა ევროკავშირის მოქალაქეებზე.²³⁷ ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ *ჰუპინოს* საქმეზე მიღებული გადანყვეტილების შესაბამისად, მოქალაქეებს მიეცათ შესაძლებლობა, რომ ეროვნული სასამართლოებისთვის მოეთხოვათ შიდა კანონმდებლობის განმარტება ჩარჩო გადანყვეტილებაში განმტკიცებული დებულებების შესაბამისად.²³⁸ აღნიშნულმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ჩარჩო გადანყვეტილების დიდი ღირებულება.

3.2.3. 2001 წლის ჩარჩო გადანყვეტილების მიზანი და შინაარსი

2001 წლის ჩარჩო გადანყვეტილების პრეამბულის მე-8 პუნქტში ჩამოყალიბდა ჩარჩო გადანყვეტილების ძირითადი მიზანი, რომლის თანახმად, საჭირო იყო დაზარალებულის სამართლებრივ მდგომარეობასთან და მის უფლებებთან დაკავშირებით არსებული წესებისა და პრაქტიკის ჰარმონიზაცია. იქვე დაკონკრეტდა, თუ რომელი უფლებები მოითხოვდა განსაკუთრებულ ყურადღებას. მათ მიეკუთვნებოდა შემდეგი უფლებები: ღირსებით მოპყრობის უფლება, ინფორმაციის მიღების უფლება, გასაგებ ენაზე და გასაგები ფორმით კომუნიკაციის უფლება,²³⁹ სისხლის სამართლის სხვადასხვა

საქართველო დღემდე არ შეერთებია მოცემულ კონვენციას (იხ. ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლთა კომპენსაციის შესახებ ევროპული კონვენციის ხელმოწერი ქვეყნების სია:

<https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/116/signatures?p_auth=ZNHppMjE>, [29.06.2020]).

²³⁶ *Groenhuijsen, M.S., Pemberton, A.*: The EU Framework Decision for Victims of Crime, *Eur. J. Crime Crim. Law. Crim. Justice*, Vol. 17, Iss. 1, 2009, p. 43.

²³⁷ *Marguery, T.*: La Citoyenneté Européenne Joue-t-elle un Role dans l'espace Penal de Liberté, de Sécurité et de Justice?, *Cah. Dr. Europ.*, Vol. 46, No. 3-4, 2010, p. 405.

²³⁸ *Wolhuter, L., Olley, N., Denham, D.*: *Victimology: Victimisation and Victims' Rights*, Abingdom, New York, 2009, p. 122; *Lorenzmeier, S.*: Der Rahmenbeschluss als Handlungsform der Europäischen Union und seine Rechtswirkung, *ZIS*, No. 12, 2006, S. 578-579; *Weißer, B.*: Die Wirkung von EU-Rahmenbeschlüssen auf das Mitgliedstaatliche Recht: Zugleich Besprechung von EuGH EuZW2005, 433 („Pupino“), *ZIS*, No. 12, 2006, S. 562-563; ECJ, *Pupino*, C105/03, 16/06/2005.

²³⁹ Right to understand and to be understood.

სტადიაზე უსაფრთხოებისა და დაცვის უფლება, უფლება, რომ სისხლის სამართლის პროცესში გათვალისწინებულ იქნეს ის სირთულებები, რომლებიც წარმოიქმნება დანაშაულის ჩადენის ადგილისგან განსხვავებულ სახელმწიფოში ცხოვრებიდან.²⁴⁰

ჩარჩო გადანყვეტილება საერთო ჯამში ძალიან ჰგავს საერთაშორისო დონეზე მის მიღებამდე მოქმედ აქტებს. იგი შედგება 12 პუნქტიანი პრეამბულისა და 19 მუხლისგან.²⁴¹ ჩარჩო გადანყვეტილება შეიცავს დაზარალებულის ფუნდამენტურ უფლებებს, მაგალითად სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე პატივისცემისა და აღიარების უფლებას (მუხლი 2), მოსმენისა და მტკიცებულებების წარდგენის უფლებას (მუხლი 3), ინფორმაციის მიღების უფლებას (მუხლი 4), იურიდიული დახმარების უფლებას (მუხლი 5), უსაფრთხოებისა და დაცვის უფლებას (განსაკუთრებით პირადი ცხოვრების) (მუხლი 8), სახელმწიფოსა და დამნაშავისგან კომპენსაციის მიღების უფლებას (მუხლი 9), სახელმწიფოების ვალდებულებას, რომ მხარი დაუჭირონ მედიაციას ისეთ საქმეებში, რომლებსაც ისინი სათანადოდ მიიჩნევენ (მუხლი 10), სახელმწიფოს ვალდებულებას, რომ გააძლიეროს თანამშრომლობა სხვა სახელმწიფოებთან, რათა სისხლის სამართლის პროცესში უფრო ეფექტურად იქნეს დაცული დაზარალებულის ინტერესები (მუხლი 12), მხარდაჭერის მიღების უფლებას (მუხლი 13).²⁴²

3.2.4. 2001 წლის ჩარჩო გადანყვეტილების აღსრულება

2001 წლის ჩარჩო გადანყვეტილების აღსრულებისთვის სახელმწიფოებს ჰქონდათ ერთი წელი, ანუ დადგენილ სტანდარტებთან ეროვნული კანონმდებლობის მორგება უნდა მომხდარიყო ჩარჩო გადანყვეტილების მიღებიდან ზუსტად ერთი წლის თავზე - 2002 წლის მარტამდე. სახელმწიფოებს ამ პერიოდში კომისიისთვის უნდა წარედგინათ ანგარიში ჩარჩო გადანყვეტილების აღსრულების შესახებ. თუმცა არცერთ სახელმწიფოს ეს ვალდებულება არ შეუსრულებია. სახელმწიფოებმა მხოლოდ დამატებითი შეხსენების

²⁴⁰ *Groenhuisen, M.S., Pemberton, A.*: The EU Framework Decision for Victims of Crime, Eur. J. Crime Crim. Law. Crim. Justice, Vol. 17, Iss. 1, 2009, p. 45.

²⁴¹ *Wieczorek, I.*: A Needed Balance between Security, Liberty and Justice: Positive Signals Arrive from the Field of Victims' Rights, EuCLR, Jg. 2, H. 2, 2012, S. 148.

²⁴² *Groenhuisen, M.S., Pemberton, A.*: The EU Framework Decision for Victims of Crime, Eur. J. Crime Crim. Law. Crim. Justice, Vol. 17, Iss. 1, 2009, p. 45.

შემდეგ წარმოუდგინეს კომისიას ანგარიში, რომლითაც გამოვლინდა, რომ ყველა სახელმწიფო მიიჩნევდა, რომ სათანადოდ შეასრულა ჩარჩო გადანაცვებით დადგენილი მოთხოვნები. თუმცა 2004 წელს კომისიამ აღსრულების პროცესი უარყოფითად შეაფასა. კომისიის დასკვნით არცერთ სახელმწიფოს სათანადოდ არ ჰქონდა შესრულებული ვალდებულება.²⁴³

აღსრულების პრობლემა სხვადასხვა გარემოებებმა გამოიწვიეს. პირველ რიგში, ევროკავშირის დონეზე არ არსებობდა ფაქტის ნამდვილობის დადგენის პროცედურა. სახელმწიფოები წარმოადგენდნენ ანგარიშს, მაგრამ კომისიას არ ჰქონდა ბერკეტი გადაემოწმებინა, თუ რამდენად შეესაბამებოდა ანგარიშში მოცემული ინფორმაცია სიმართლეს. გარდა ამისა, კომისიას არ ჰქონდა შესაძლებლობა, ანგარიშის წარდგენის შემდეგ სახელმწიფოებისთვის მოეთხოვა დამატებითი ინფორმაციის წარდგენა. შესაბამისად, კომისია ეყრდნობოდა მხოლოდ და მხოლოდ კანონების ტექსტებს და ვერ სწავლობდა არსებულ პრაქტიკას. რეალურად კი არსებობდა შემთხვევები, როცა ჩარჩო გადანაცვებით დებულებები პრაქტიკაში ხორციელდებოდა, მაგრამ საკანონმდებლო დონეზე ცალკე არ იყო მონესრიგებული.²⁴⁴

გარდა ამისა, ჩარჩო გადანაცვებით ზოგიერთი დებულება ისე ფართოდ იყო ფორმულირებული, რომ რთული იყო შეფასება, სახელმწიფომ შეასრულა თუ არა ვალდებულება. მაგალითად, ჩარჩო გადანაცვებით მე-8 მუხლის პირველი პუნქტი მოითხოვდა, რომ დაზარალებული უზრუნველყოფილი ყოფილიყო „დაცვის სათანადო დონით“, თუმცა რთული იყო იმის დადგენა, თუ რა მიიჩნეოდა „სათანადო დონედ“.²⁴⁵

აღსრულების პრობლემა ასევე გამომდინარეობდა ჩარჩო გადანაცვებით ბუნებიდან. 2001 წლის ჩარჩო გადანაცვებით განსხვავებით, სხვა ჩარჩო გადანაცვებით დარეგულირებული საკითხები უფრო ვიწრო და კონკრეტული იყო, შესაბამისად, ეროვნულ დონეზე მათი აღსრულებაც შესაძლებელი იყო რამდენიმე

²⁴³ იქვე, p. 47.

²⁴⁴ იქვე, p. 49; *APAV: Project Victims in Europe: Implementation of the EU Framework Decision on the Standing of Victims in the Criminal Proceedings in the Member States of the European Union*, 2009, p. 12, <https://apav.pt/apav_v3/images/pdf_english/reportVinE.pdf>, [18.05.2020].

²⁴⁵ *Groenhuijsen, M.S., Pemberton, A.*: The EU Framework Decision for Victims of Crime, *Eur. J. Crime Crim. Law. Crim. Justice*, Vol. 17, Iss. 1, 2009, p. 50.

სამართლებრივი ნორმის შემოღებით.²⁴⁶ ხოლო დაზარალებულის შესახებ ჩარჩო გადანყვეტილება სრულიად განსხვავდებოდა მისი წინამორბედებისგან. მასში განმტკიცებული დებულებები გავლენას ახდენდა თითქმის მთლიან სისხლის სამართლის პროცესზე, შესაბამისად საჭირო იყო მასშტაბური საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება.²⁴⁷

ჩარჩო გადანყვეტილების იმპლემენტაცია ასევე შეაფერხა აღსრულებაზე ზემოქმედებისა და ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სანქციების დაწესების შეუძლებლობამ. კომისიას ასეთი უფლებამოსილება არ გააჩნდა და მისი ერთადერთი ბერკეტი იყო ვალდებულების დამრღვევი სახელმწიფოს საჯაროდ დასახელება და ამით მისი შერცხვენა („name and shame“).²⁴⁸

3.3. 2012 წლის დირექტივა

3.3.1. გზა 2012 წლის დირექტივის მიღებამდე

მას შემდეგ, რაც ლისაბონის ხელშეკრულებაში ცალკე პუნქტად გამოიყო, რომ ევროკავშირს შეუძლია დაზარალებულთან დაკავშირებით სამართლებრივი რეგულაციების შემუშავება,²⁴⁹ ამ საკითხზე დაიწყო კიდევ უფრო გაძლიერებული მუშაობა. 2010 წლის დეკემბერში ევროსაბჭომ შეიმუშავა სტოქჰოლმის პროგრამა, რომელშიც წარმოადგინა თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის განვითარების 5 წლიანი პროგრამა.²⁵⁰ პროგრამაში ყურადღება გამახვილდა

²⁴⁶ მაგ.: Council Framework Decision 2000/383/JHA of 29 May 2000 on Increasing Protection by Criminal Penalties and Other Sanctions against Counterfeiting in Connection with the Introduction of the Euro; Council Framework Decision 2001/500/JHA of 26 June 2001 on Money Laundering, the Identification, Tracing, Freezing, Seizing and Confiscation of Instrumentalities and the Proceeds of Crime; Council Framework Decision 2002/629/JHA of 18 July 2002 on Combating Trafficking in Human Beings.

²⁴⁷ *Groenhuijzen, M.S., Pemberton, A.*: The EU Framework Decision for Victims of Crime, *Eur. J. Crime Crim. Law. Crim. Justice*, Vol. 17, Iss. 1, 2009, pp. 50-51; *APA V: Project Victims in Europe: Implementation of the EU Framework Decision on the Standing of Victims in the Criminal Proceedings in the Member States of the European Union*, 2009, p. 13, <https://apav.pt/apav_v3/images/pdf_english/reportVinE.pdf>, [18.05.2020].

²⁴⁸ *Groenhuijzen, M.S., Pemberton, A.*: Developing Victim's Rights within the European Union: Past, Present and Future, ნაშრომში: *Morosawa, H., Dussich, J.J.P., Kirchhoff, G. F.* (eds.): *Victimology and Human Security: New Horizons*, Nijmegen, 2012, pp. 538 – 539.

²⁴⁹ TFEU, Art. 82 (2).

²⁵⁰ Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions: *Delivering an Area of Freedom, Security and Justice for Europe's*

დაზარალებულის უფლებებზე. ევროსაბჭომ აღნიშნა, რომ მათ, ვინც განსაკუთრებით მონყვლად კატეგორიას მიეკუთვნებიან და განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან, წარმოეშვებათ განსაკუთრებული მხარდაჭერისა და სამართლებრივი დაცვის საჭიროება. შესაბამისად, ევროსაბჭომ მიიჩნია, რომ აუცილებელი იყო ინტეგრირებული და კოორდინირებული მიდგომის შემუშავება, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო დაზარალებულის უფლებების სრული დაცვა და მხარდაჭერა. მან კომისიასა და წევრ სახელმწიფოებს მოუწოდა, გადაესინჯათ, თუ არსებობდა შესაძლებლობა, რომ 2001 წლის ჩარჩო გადანყვეტილებისა და დაზარალებულის კომპენსაციის შესახებ 2004 წლის დირექტივის²⁵¹ გაერთიანების გზით შემუშავებულიყო ერთიანი ახალი სამართლებრივი ინსტრუმენტი.²⁵² ამის შემდეგ, ევროკომისიამ დაიწყო მზადება ახალი ყოვლისმომცველი საკანონმდებლო აქტის შემუშავებაზე²⁵³ და 2011 წლის მაისში გამოაქვეყნა საკანონმდებლო წინადადებები, რომლებიც ცნობილია „დაზარალებულის უფლებების პაკეტის“ სახელით.²⁵⁴ კომისიამ დირექტივის მიღების მიზანი შემდეგნაირად ახსნა: ევროკავშირის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს თავისი მოქალაქეებისთვის თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სივრცის შეთავაზება, სადაც გარანტირებული უნდა იყოს მიმოსვლის თავისუფლება. აღნიშნული მოითხოვს, რომ ევროკავშირის მასშტაბით დაცული იყოს დაზარალებულის უფლებების მინიმალური დონე, რაც თავის მხრივ წარმოუდგენელია ორმხრივი ნდობის გარეშე. ეს ნიშნავს, რომ მართლმსაჯულების სისტემებს უნდა ჰქონდეთ სრული რწმენა, რომ სხვა წევრ სახელმწიფოში მოქმედებს მართლმსაჯულებისა და

Citizens: Action Plan Implementing the Stockholm Programme, COM (2010) 171 final, 20/4/2010, p. 2; Notices from European Union Institutions, Bodies, Offices and Agencies: European Council: The Stockholm Programme – An Open and Secure Europe Serving and Protecting Citizens, 04/05/2010.

²⁵¹ Council Directive 2004/80/EC of 29 April 2004 Relating to the Compensation to Crime Victims.

²⁵² Notices from European Union Institutions, Bodies, Offices and Agencies: European Council: The Stockholm Programme – An Open and Secure Europe Serving and Protecting Citizens, 04/05/2010, par. 2.3.4, p. 10.

²⁵³ Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions: Delivering an Area of Freedom, Security and Justice for Europe's Citizens: Action Plan Implementing the Stockholm Programme, COM (2010) 171 final, 20/04/2010, p. 14.

Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the European Economic and Social Committee and the Committee of the Regions: Commission Work Programme 2011, COM (2010) 623 final, 27/10/2010, p. 7; Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the Economic and Social Committee and the Committee of the Regions: Strengthening Victims' Rights in the EU, COM (2011) 274 final, 18/05/2011, p. 8.

²⁵⁴ Proposal for a Directive of the European Parliament and of the Council Establishing Minimum Standards on the rights, Support and Protection of Victims of Crime, COM (2011) 275 final, 18/05/2011, p. 2.

სამართლიანობის შესაბამისი სტანდარტი და მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ ნდობა იმისა, რომ სხვა ქვეყანაში დანაშაულის მსხვერპლად ქცევისას, იმოქმედებს იმავე დონის მინიმალური წესები.²⁵⁵ გარდა ამისა, კომისიამ აღნიშნა, რომ ის დაზარალებულები, რომლებსაც პატივისცემით მოეპყრობიან, რომლებსაც ექნებათ სათანადო მხარდაჭერა და რომლებიც თავს იგრძნობენ დაცულად, მაქსიმალურად სწრაფად შეძლებენ დანაშაულით მიღებული ტრავმების დაძლევას და მაქსიმალურად სწრაფად დაუბრუნდებიან ჩვეულებრივ ცხოვრებას. შესაბამისად, უფრო ნაკლებ შემოსავალს დაკარგავენ, უფრო ნაკლები სამედიცინო მკურნალობა დასჭირდებათ და რაც მთავარია, უფრო აქტიურად ჩაერთვებიან სისხლის სამართლის პროცესში, რაც გაზრდის სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და მსჯავრდების ალბათობას, რითაც შემცირდება დანაშაულის ჩადენა და დაუსჯელობა.²⁵⁶ საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ევროკავშირს მოცემული პაკეტით უნდოდა, რომ დაზარალებული გაეხადა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ცენტრალური ნაწილი.²⁵⁷

საბჭომ მოიწონა კომისიის მიერ წარმოდგენილი პაკეტი, ღირექტივის მიღებაზე მუშაობის გასაძლიერებლად მიიღო ბუდაპეშტის გზამკვლევი.²⁵⁸ საბოლოოდ 2012 წლის 25 ოქტომბერს მიღებულ იქნა „ღირექტივა 2012/29/EU დაზარალებულის უფლებების, მხარდაჭერისა და დაცვის მინიმალური სტანდარტებისა და ჩარჩო გადანაცვებილების 2001/220/JI ჩანაცვლების შესახებ“. როგორც უკვე ღირექტივის სახელწოდებიდან ჩანს, მან ჩანაცვლა 2001 წლის ჩარჩო გადანაცვებილება²⁵⁹ (ჩარჩო გადანაცვებილება, როგორც

²⁵⁵ *Blackstock, J.*: Protecting Victims: EU Competences and Mechanisms for Safeguards, Symposium: “Legal Perspectives on the Victim“, Nottingham Trent University, 2012, p. 7; *Öberg, J.*: Subsidiarity and EU Procedural Criminal Law, *EuCLR*, Vol. 5, Iss. 1, 2015, pp. 39-41.

²⁵⁶ *Blackstock, J.*: Protecting Victims: EU Competences and Mechanisms for Safeguards, Symposium: “Legal Perspectives on the Victim“, Nottingham Trent University, 2012, p. 7; *Meyer, F.*: Das Strafrecht im Raum der Freiheit, der Sicherheit und des Rechts, *EuR*, H. 2, 2011, S. 173.

²⁵⁷ Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the Economic and Social Committee and the Committee of the Regions: Strengthening Victims’ Rights in the EU, COM (2011) 274 final, 18/05/2011, p. 2.

²⁵⁸ *Irish Council for Civil Liberties*, Guide for Lawyers to the Victims Directive & the Criminal Justice (Victims of Crime) Act 2017, pp. 4-5, <<https://www.iccl.ie/wp-content/uploads/2018/11/5871-EU-Victims-Day-Proof-updated-v2.pdf>>, [26.06.2020]; Resolution of the Council on a Roadmap for Strengthening the Rights and Protection of Victims, in Particular in Criminal proceedings, 9-10/06/2011, p. 6.

²⁵⁹ *EPRS*: The Victims’ Rights Directive 2012/29/EU: European Implementation Assessment, 2017, p. 12, <<https://www.statewatch.org/news/2017/dec/ep-study-victims-directive.pdf>>, [18.05.2020].

სამართლებრივი ინსტრუმენტი, ლისაბონის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ აღარ მოქმედებს²⁶⁰).

3.3.2. 2012 წლის დირექტივის მიზანი და შინაარსი

დირექტივის მიღების მიზანი იყო ევროკავშირის მასშტაბით დაზარალებულის უფლებების გაძლიერება და იმ ნაკლოვანებების აღმოფხვრა, რომლებიც არსებობდა 2001 წლის ჩარჩო გადაწყვეტილებაში.²⁶¹ მას უნდოდა ევროკავშირში მსხვერპლად ქცეული ყველა პირისთვის, განურჩევლად მათი ეროვნებისა და მოქალაქეობისა, მიენიჭებინა ერთნაირი უფლებები.²⁶² სწორედ ამიტომ დირექტივა გასცდა დაზარალებულის უფლებების დაცვას მხოლოდ და მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესის შიგნით და მოიცვა ისეთი ასპექტებიც, რომლებიც ვრცელდება პროცესის გარეთაც. მთლიან ჯამში დირექტივამ დაარეგულირა ისეთი საკითხები, როგორცაა დაზარალებულის უფლებები, დაზარალებულის მხარდაჭერა და დაზარალებულის დაცვა.²⁶³ მოცემული საკითხები კი მოიცავს ისეთ ქვესაკითხებს, როგორცაა დაზარალებულის მიმართ პატივისცემით, თანაგრძნობით სავსე და პროფესიონალური მოპყრობა; დაზარალებულის დაცვა მეორეული და ხელახალი ვიქტიმიზაციისგან, დაშინებისა და შურისძიებისგან; დაზარალებულისთვის ადეკვატური მხარდაჭერის უზრუნველყოფა; დაზარალებულისთვის სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე სათანადო წვდომის უზრუნველყოფა და დაზარალებულისთვის კომპენსაციის მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა.²⁶⁴

დირექტივა შედგება 72 პუნქტიანი პრეამბულისგან და 32 მუხლისგან. დირექტივაში წარმოდგენილია სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებში ასახული უფლებები, თუმცა მან უფრო გაათავართოვა უფლებათა წრე და დაზარალებულს მიანიჭა ისეთი უფლებები,

²⁶⁰ *Biervert, B.*: ნაშრომში: *Becker, U., Hatje, A., Schoo, J., Schwarze, J.* (Hrsg.): EU-Kommentar, 4. Auflage, Baden-Baden, 2019, S. 3013-3014.

²⁶¹ *EPRS: The Victims' Rights Directive 2012/29/EU: European Implementation Assessment*, 2017, p. 12, <<https://www.statewatch.org/news/2017/dec/ep-study-victims-directive.pdf>>, [18.05.2020].

²⁶² *Justicia: European Rights Network*, Know your Rights on the Victims' Directive, 2014, p. 18, <http://eujusticia.net/images/uploads/pdf/Victims_Directive_36_page.pdf>, [16.06.2020].

²⁶³ *Wieczorek, I.*: A Needed Balance between Security, Liberty and Justice: Positive Signals Arrive from the Field of Victims' Rights, *EuCLR*, Jg. 2, H. 2, 2012, S. 152.

²⁶⁴ *Bahr, B., Melum, J.*: EU's 'Victims' Directive' – A Legal Act for a Cultural Change?, *IJCA*, Vol. 9, Iss. 1, 2017, p. 16.

რომლებიც მას სხვა ინსტრუმენტებით არ ჰქონდა მინიჭებული. ამ უფლებებში მოიაზრება ინდივიდუალური შეფასების უფლება, პოლიციის მიერ დაზარალებულის რეფერირება მხარდამჭერ ორგანიზაციებთან და სისხლისსამართლებრივი დევნის არდანწყებაზე ან შეწყვეტაზე პროკურორის გადანყვეტილების გასაჩივრების უფლება.²⁶⁵

3.3.3. 2012 წლის დირექტივის მიღწევები

როგორც უკვე ზევით აღინიშნა, ჩარჩო გადანყვეტილებისგან განსხვავებით, რომელიც მიმართული იყო მხოლოდ და მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობის მონესრიგებისკენ, დირექტივა ფოკუსირებულია დაზარალებულის უფლებებზე, მხარდაჭერასა და დაცვაზე, რაც სცდება სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებს. შესაბამისად, დირექტივა შეიცავს უფრო ბევრ მუხლს და იგი უფრო მოცულობითია, ვიდრე ჩარჩო გადანყვეტილება.²⁶⁶

გარდა ამისა, მთავარი პრინციპი, რომელიც დირექტივაში ჩაიღო, არის დაზარალებულის მიმართ ინდივიდუალური მიდგომა და ამით დაზარალებულებს შორის განსხვავების აღიარება. დაზარალებულები არ არიან თვისობრივად ერთი ჯგუფის წარმომადგენლები, პირიქით ისინი არიან ცალკეული ინდივიდები, რომლებსაც აქვთ განსხვავებული მოთხოვნილებები და საჭიროებები. სწორედ ამიტომ, დირექტივა სახელმწიფოებს ავალდებულებს განახორციელონ დაზარალებულის ინდივიდუალური შეფასება და მასთან ურთიერთობისას გაითვალისწინონ მისი პიროვნული მახასიათებლები, მაგალითად, სქესი, ასაკი, მონიფულობა, დამნაშავესთან ურთიერთობა და სხვა.²⁶⁷

²⁶⁵ *Victim Support Europe: EU Handbook for Policy and Best Practice in relation to Victims of Crime*, 2012, p. 5, <http://victimsupporteurope.eu/activeapp/wp-content/files_mf/1353929035EUHandbook.pdf>, [26.06.2020].

²⁶⁶ *Wieczorek, I.*: A Needed Balance Between Security, Liberty and Justice: Positive Signals Arrive from the Field of Victims' Rights, *EuCLR*, Jg. 2, H. 2, 2012, S. 152.

²⁶⁷ *Hilf, M.J.*: Neue Maßstäbe durch die Eu-RL über Mindeststandards für die Rechte, die Unterstützung und den Schutz von Opfern von Straftaten? ნაშრომში: *Sautner, L., Jesionek, U.* (Hrsg.): Opferrechte in Europäischer, Rechtsvergleichender und Österreichischer Perspektive, *Viktimologie und Opferrechte: Schriftenreihe der Weisser Ring, Forschungsgesellschaft* Bd. 8, Innsbruck, 2017, S. 23; *EFRJ*: Briefing Paper about the Regulation of Restorative Justice in the Directive 2012/29/EU, 2016, pp. 6-7, <<https://www.euforumrj.org/sites/default/files/2020-01/efrj-briefing-paper-rj-in-the-victims-directive.pdf>>, [30.06.2020].

ამასთან, დირექტივა კიდევ უფრო დიდ აქცენტს სვამს მეორეული და ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებაზე.²⁶⁸ სწორედ ამიტომ, მან ყურადღება გაამახვილა მონყვლად მსხვერპლებზეც, რომლებსაც მიეკუთვნებიან, მაგალითად, ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, სექსუალური ძალადობის მსხვერპლები, ტრეფიკინგის მსხვერპლები და ტერორიზმის მსხვერპლები. დირექტივა მოითხოვს მათ მიმართ განსაკუთრებულ მოპყრობას.²⁶⁹

და ბოლოს, დირექტივა დანაშაულს მიიჩნევს, როგორც დაზარალებულის უფლებების დარღვევას. მისი პრეამბულის მე-9 პუნქტში დანაშაული აღიარებულია, როგორც საზოგადოების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად, ისე დაზარალებულის უფლებების დარღვევად. აღნიშნული წარმოადგენს წინ გადადგმულ ნაბიჯს. 2001 წლის ჩარჩო გადანყვეტილებაში დანაშაული არ იყო განმარტებული, როგორც დანაშაულის მსხვერპლის უფლებების დარღვევა. სახელმწიფოებს მხოლოდ და მხოლოდ ევალებოდათ სისხლის სამართლის პროცესში დაეცვათ დაზარალებულის ლეგიტიმური ინტერესი. დირექტივა კი მოითხოვს, რომ სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის ინტერესები სათანადოდ იყოს გათვალისწინებული, განურჩევლად დანაშაულის კატეგორიისა და განურჩევლად იმისა, თუ ევროკავშირის რომელ წევრ სახელმწიფოში მოხდა დანაშაული.²⁷⁰

3.3.4. 2012 წლის დირექტივის აღსრულება

ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს დირექტივა უნდა აღესრულებინათ 2015 წლის 15 ნოემბრამდე. გარდა ამისა, დირექტივამ სახელმწიფოები დაავალდებულა 2017 წლის 16 ნოემბერს და შემდეგ ყოველ 3 წელიწადში ერთხელ წარედგინათ მონაცემები, თუ როგორ და რა მოცულობით სარგებლობდნენ დაზარალებულები დირექტივაში განსაზღვრული

²⁶⁸ *Hilf, M.J.*: Neue Maßstäbe durch die Eu-RL über Mindeststandards für die Rechte, die Unterstützung und den Schutz von Opfern von Straftaten? ნაშრომში: *Sautner, L., Jesionek, U.* (Hrsg.): Opferrechte in Europäischer, Rechtsvergleichender und Österreichischer Perspektive, Viktimologie und Opferrechte: Schriftenreihe der Weisser Ring, Forschungsgesellschaft Bd. 8, Innsbruck, 2017, S. 23.

²⁶⁹ Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the Economic and Social Committee and the Committee of the Regions: Stenghtening Victims' Rights in the EU, COM (2011) 274 final, 18/05/2011, pp. 6-7.

²⁷⁰ *Wemmers, J. A.*: Victims' Rights are Human Rights: The importance of Recognizing Victims as Persons, *Temida*, Vol. 15, Iss. 2, 2012, p. 79.

უფლებებით.²⁷¹ დღევანდელი მონაცემებით, ბევრმა სახელმწიფომ მოახდინა დირექტივის იმპლემენტაცია. მაგალითად, გერმანიასა და ავსტრიაში დირექტივამ გამოიწვია კანონმდებლობის ცვლილება და დაზარალებულის მხარდამჭერი ორგანიზაციებისთვის ფინანსების გამოყოფა. ინგლისსა და უელსში განახლდა დაზარალებულის კოდექსი,²⁷² დანიასა და შვედეთში კი მიიჩნიეს, რომ მათი კანონმდებლობა უკვე აკმაყოფილებდა დირექტივის მოთხოვნებს.²⁷³

თუმცა ბევრი სახელმწიფოსთვის დირექტივის სრულფასოვანი აღსრულება მაინც გამოწვევად რჩება. ამის მთავარ მიზეზს წარმოადგენს ის, რომ ძირითადად სისხლის სამართლის მართლმსაჯულება ორიენტირებულია ბრალდებულის უფლებებზე და დაზარალებული წარმოადგენს სრულიად ახალ ფიგურას. შესაბამისად, დირექტივის სტანდარტების დამკვიდრება მოითხოვს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების კულტურულ ცვლილებასაც. გარდა ამისა, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში დაზარალებულს პროცესში უკავია განსხვავებული სამართლებრივი პოზიცია, რის გამოც რიგ სირთულეებთან არის დაკავშირებული ერთიანი ევროპული სტანდარტის დამკვიდრება.²⁷⁴

3.4. ევროკავშირის სხვა სამართლებრივი ინსტრუმენტები

დღესდღეობით ევროკავშირში დაზარალებულის უფლებების დაცვის კუთხით ყველაზე მნიშვნელოვან ინსტრუმენტს ზემოგანხილული დირექტივა წარმოადგენს, თუმცა დირექტივასთან ერთად დაზარალებულის უფლებები სხვა აქტებითაც არის გარანტირებული. ასეთ ერთ-ერთ მნიშვნელოვან აქტს წარმოადგენს 2004 წლის დირექტივა დაზარალებულის კომპენსაციის შესახებ.²⁷⁵ მოცემული დირექტივის მიღების მიზანი იყო, რომ განზრახ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლთათვის ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოებში გარანტირებული ყოფილიყო სამართლიანი

²⁷¹ *Bahr, B., Melum, J.*: EU's 'Victims' Directive' – A Legal Act for a Cultural Change?, IJCA, Vol. 9, Iss. 1, 2017, p. 16.

²⁷² შენიშვნა: დირექტივის მიღებისას გაერთიანებული სამეფო ჯერ კიდევ იყო ევროკავშირის წევრი სახელმწიფო.

²⁷³ *Bahr, B., Melum, J.*: EU's 'Victims' Directive' – A Legal Act for a Cultural Change?, IJCA, Vol. 9, Iss. 1, 2017, p. 18.

²⁷⁴ იქვე, p. 17.

²⁷⁵ Council Directive 2004/80/EC of 29 April 2004 Relating to the Compensation to Crime Victims.

და ადეკვატური სახელმწიფო კომპენსაციის პროგრამა და დაზარალებულს კომპენსაციაზე წვდომა ჰქონოდა განურჩევლად იმისა, თუ ევროკავშირის რომელ წევრ სახელმწიფოში გახდებოდა მსხვერპლი.²⁷⁶

ევროკავშირში ასევე მონესრიგებულია დაზარალებულის მიმართ დაცვის ღონისძიებების გამოყენების საკითხიც. „დაზარალებულის უფლებების პაკეტი“, რომელიც კომისიამ შეიმუშავა, ღირეფტივის გარდა მოიცავდა კიდევ ორ სამართლებრივ ინსტრუმენტს. ესენია რეგულაცია 606/2013 სამოქალაქო სამართლის საქმეებში დაცვის ღონისძიებების ორმხრივი აღიარების შესახებ²⁷⁷ და ღირეფტივა 2011/99/EU სისხლის სამართლის საქმეებში ევროპული დაცვის ბრძანების შესახებ.²⁷⁸ მოცემული ინსტრუმენტების მიღებით ევროკავშირს სურდა, რომ მსხვერპლებს ევროკავშირში გადაადგილებისას მისცემოდათ სამოქალაქო და სისხლის სამართლის ფარგლებში მოქმედი დაცვის ღონისძიებებით სარგებლობის შესაძლებლობა.²⁷⁹

და ბოლოს, დაზარალებულის უფლებების შესახებ მუხლები მოცემულია ევროკავშირის ისეთ ღირეფტივებში, რომლებიც შეეხება უშუალოდ კონკრეტულ დანაშაულებს. ამ ღირეფტივებში მოიაზრება ადამიანით ვაჭრობის შესახებ ღირეფტივა (მუხლები 11-17),²⁸⁰ ბავშვის სექსუალური ექსპლუატაციის შესახებ ღირეფტივა (მუხლები 18-20),²⁸¹ და ღირეფტივა ტერორიზმის წინააღმდეგ (თავი V²⁸²).²⁸³

²⁷⁶ *EPRS: The Victims' Rights Directive 2012/29/EU: European Implementation Assessment*, 2017, p. 8, <<https://www.statewatch.org/news/2017/dec/ep-study-victims-directive.pdf>>, [18.05.2020]; *Millet, J.: Strengthening Victims' Rights: From Compensation to Reparation: For a New EU Victims' Rights Strategy 2020-2025*, Report of the Special Adviser, J. Millet, to the President of the European Commission, 2019, p. 17; 2004 წლის ღირეფტივასთან დაკავშირებით:

<https://e-justice.europa.eu/content_compensation_to_crime_victims-448-en.do>, [18.05.2020].

²⁷⁷ Regulation (EU) No 606/2013 of the European Parliament and of the Council of 12 June 2013 on Mutual Recognition of Protection Measures in Civil Matters.

²⁷⁸ Directive 2011/99/EU of the European Parliament and of the Council of 13 December 2011 on the European Protection Order.

²⁷⁹ *EPRS: The Victims' Rights Directive 2012/29/EU: European Implementation Assessment*, 2017, p. 12, <<https://www.statewatch.org/news/2017/dec/ep-study-victims-directive.pdf>>, [18.05.2020].

²⁸⁰ Directive 2011/36/EU of the European Parliament and of the Council of 5 April 2011 on Preventing and Combating Trafficking in Human Beings and Protecting Its Victims, and Replacing Council Framework Decision 2002/629/JHA.

²⁸¹ Directive 2011/93/EU of 13 December 2011 on Combating the Sexual Abuse and Sexual Exploitation of Children and Child Pornography, and Replacing Council Framework Decision 2004/68/JHA.

²⁸² Directive 2017/541 of 15 March 2017 on Combating Terrorism and Replacing Council Framework Decision 2002/475/JHA and amending Council Decision 2005/671/JHA.

²⁸³ *EPRS: The Victims' Rights Directive 2012/29/EU: European Implementation Assessment*, 2017, p. 13,

4. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დაარსება დაზარალებულისთვის რეკოლუციას წარმოადგენდა. მის დაარსებამდე, ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალებში დაზარალებული მხოლოდ მონმის სახით იყო წარმოდგენილი და მხოლოდ დაცვის ღონისძიებების მოთხოვნა შეეძლო. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ კი იგი აღიარა ცალკე სუბიექტად, მინიჭა მნიშვნელოვანი საპროცესო უფლებები და ამით დაზარალებული სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულების ცენტრში მოაქცია.²⁸⁴

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების 68-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაზარალებულს გააჩნია პირადი ინტერესი, შესაბამისად მას პროცესში უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი როლი და ადგილი. მისი მოსაზრებები და ინტერესები უნდა იქნეს გათვალისწინებული პროცესის სხვადასხვა ეტაპზე. მოცემული ნორმა ბრალდებულის უფლებებზეც ამახვილებს ყურადღებას და ამბობს, რომ დაზარალებულის მონაწილეობით არ უნდა დაირღვეს არც ბრალდებულის უფლებები და არც სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლო წარმოება.²⁸⁵

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების გარდა, დაზარალებულის შესახებ რეგულაციებს შეიცავს სასამართლოს პროცედურებისა და მტკიცების წესები. წესების თანახმად, დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს მის მიმართ დაცვის ღონისძიებების გამოყენება. მას ასევე შეუძლია მოითხოვოს რეპარაცია, რაც მოიცავს ზიანის ანაზღაურებას, რესტიტუციასა (პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება,

<<https://www.statewatch.org/news/2017/dec/ep-study-victims-directive.pdf>>, [18.05.2020].

²⁸⁴ *Moffett, L.*: Meaningful and Effective? Considering Victims' Interests through Participation at the International Criminal Court, *CrimLF*, Vol. 26, Iss. 2, 2015, p. 256; *Bahalaokwibuye, C.B.*: Analyse de Statut de la Victime et les Critères de sa Participation à la Cour Pénal Internationale au Regard de sa Jurisprudence dans l'affaire Le Procureur contre Thomas Lubanga Dyilo, *KAS African Law Study Library*, Vol. 1, Iss. 3, 2014, p. 619; *D'Hauteville, A.*: Rapport Introductif. La Problématique de la Place de la Victime dans le Procès Pénal, *Archives de Politique Criminelle*, Vol. 24, Iss. 1, 2002, p. 12.

²⁸⁵ *ICC: The Office of Public Counsel for Victims*: Representing Victims before the International Criminal Court: A Manual for Legal Representatives, The Hague, 2019, p. 39, <<https://www.icc-cpi.int/iccdocs/opcv/manual-victims-legal-representatives-fifth-edition.pdf>>, [18.05.2020]; ICC, Pre-Trial Chamber I, Decision on the Applications for Participation in the Proceedings of VPRS 1-6, ICC 01/04, 17/01/2006, par. 51.

მაგალითად საკუთრების აღდგენით) და რეაბილიტაციას.²⁸⁶ რაც შეეხება პროცესში მონაწილეობას, დაზარალებული კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით ახორციელებს თავის უფლებებს, მაგალითად წარადგენს მტკიცებულებებს ან აწარმოებს მონაწილეს დაკითხვას.²⁸⁷

დაზარალებულის ინტერესების დასაცავად სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რეგისტრატურის შიგნით შექმნილია ორი განყოფილება და ორი დამოუკიდებელი ბიურო. ესენია: დაზარალებულის მონაწილეობისა და რეპარაციის განყოფილება, რომელიც ახდენს დაზარალებულის ინფორმირებას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში მონაწილეობისა და რეპარაციის შესახებ და ეხმარება მათ კანონიერი წარმომადგენლის დანიშვნის საკითხებში; დაზარალებულისა და მონაწილის განყოფილება, რომელიც უზრუნველყოფს დაზარალებულისა და მონაწილის მხარდაჭერასა და დაცვას; დაზარალებულის საზოგადოებრივი ადვოკატის ბიურო, რომელიც დაზარალებულს სასამართლოში კანონიერ წარმომადგენლობას უწევს და დაზარალებულთა ფონდის დირექტორატი, რომელიც სასამართლოს ეხმარება დაზარალებულის რეპარაციის შესახებ ბრძანებების აღსრულებაში.²⁸⁸

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან ჩანს, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში დაზარალებულს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და მისი ესეთი ძლიერი პოზიცია სახელმწიფოებისთვისაც მაგალითს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოში პროცესი მიმდინარეობს შეჭიბვრებითი მოდელით, ჩანს, რომ დაზარალებულის აქტიური მონაწილეობით არ ირღვევა მხარეთა თანასწორობა და სამართლიანი სასამართლოს პრინციპი.²⁸⁹

²⁸⁶ ICC: Les Victimes devant la Cour, <<https://www.icc-cpi.int/iccdocs/PIDS/docs/VictimsFra.pdf>>, [18.05.2020].

²⁸⁷ Kirchengast, T.: Victims and the Criminal Trial, London, 2016, p. 29; Rules of Procedure and Evidence of the International Criminal Court, Rules 85-99; Dijk, J.V., Letschert, R.: Reconstructing Victim-Centred Justice on a Global Scale, ნაშრომში: Dijk, J.V., Letschert, R. (eds.): The New Faces of Victimhood: Globalization, Transnational Crimes and Victims Rights, Cham, 2011, pp. 313-315.

²⁸⁸ ICC: Victims before the International Criminal Court: A guide for the Participation of Victims in the Proceedings of the ICC, pp. 14-15, <https://www.icc-cpi.int/about/victims/Documents/VPRS_Victim-s_booklet.pdf> , [16.06.2020].

²⁸⁹ Kirchengast, T.: Victims and the Criminal Trial, London, 2016, p. 30.

5. შეჯამება

საერთაშორისო დონეზე მიმდინარე პოლიტიკის განხილვიდან ჩანს, რომ საერთაშორისო დონეზე დაზარალებულის მიმართ ინტერესი დღითიდღე იზრდება. დაზარალებულის სამართლებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული რეგულაციები 1985 წლიდან მოყოლებული სულ უფრო და უფრო ფართოვდება და უფრო მეტად ხდება დაზარალებულის ინტერესების გათვალისწინება. საერთაშორისო დონეზე თანხმობა მიღწეული იმასთან დაკავშირებით, რომ დაზარალებულს პროცესში უნდა მიენიჭოს მთელი რიგი უფლებები.²⁹⁰ შესაბამისად საერთაშორისო საზოგადოება რბილი სამართლიდან გადადის იმპერატიულ სამართალზე. გარდა ამისა, საერთაშორისო და ევროპულ სასამართლოებში ჩამოყალიბებული პრაქტიკა სახელმწიფოებისთვის წარმოადგენს ერთგვარ მაგალითს იმისა, რომ დაზარალებული სისხლის სამართლის პროცესში აღარ უნდა წარმოადგენდეს დავინყებულ ფიგურას და რომ მაქსიმალურად უნდა იქნეს მისი ინტერესები გათვალისწინებული. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს პროცესის რომელი მოდელი მოქმედებს ეროვნულ დონეზე, საერთაშორისო სტანდარტები ვრცელდება როგორც შეჯიბრებით, ისე ინკვიზიციურ სისხლის სამართლის პროცესზე. შესაბამისად, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან გაითვალისწინონ საერთაშორისო სტანდარტები. აღნიშნულის საფუძველზე მათ უნდა განახორციელონ სისხლის სამართლის პროცესის რეფორმები და სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულს მიუჩინონ სათანადო ადგილი.²⁹¹

როგორც უკვე ნაშრომის შესავალში აღინიშნა, საქართველო არის გაეროსა და ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფო.²⁹² ასევე, რატიფიცირებული აქვს სისხლის

²⁹⁰ *Groenhuijsen, M.S.*: Victim's Rights in the Criminal Justice System: A Call for more Comprehensive Implementation Theory, ნაშრომში: *Van Dijk, J.J.M., Van Kaam, R.G.H., Wemmers, J.A.* (eds.): *Caring for Crime Victims: Selected Proceedings of the Ninth International Symposium on Victimology*, Amsterdam, 1997, p. 87.

²⁹¹ *Kirchengast, T.*: Victims' Rights and the Right to Review: A Corollary of the Victim's Pre-Trial Rights to Justice, *IJCJ &SD*, Vol. 5, Iss. 4, 2015, p. 105.

²⁹² გაეროს წევრ სახელმწიფოებთან დაკავშირებით: <<https://www.un.org/en/member-states/>>, [16.06.2020]; „ევროპის საბჭოს წესდების“ რატიფიცირების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 1999 წლის 02 აპრილის დადგენილება; Statute of the Council of Europe, Art. 2.

სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება,²⁹³ ხოლო ევროკავშირთან დადებული აქვს ასოცირების შესახებ შეთანხმება.²⁹⁴ შესაბამისად, მასზეც ვრცელდება ის სტანდარტები, რომლებიც დაზარალებულის მიმართებით იქნა შემუშავებული. სწორედ ამიტომ, ნაშრომის შემდეგ თავში განხილული იქნება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა და დადგინდება საერთაშორისო სტანდარტებთან მისი შესაბამისობა.

²⁹³ „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების“ რატიფიცირების თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 16 ივლისის დადგენილება.

²⁹⁴ ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანების და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის.

IV. დაზარალებულის ცალკეული უფლებები საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით

საქართველოში 2004 წელს დაიწყო სისხლის სამართლის რეფორმა, რომელმაც მიზნად დაისახა საქართველოს სისხლის სამართალში საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების განმტკიცება.²⁹⁵ შედეგად დაიწყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე მუშაობა და 2010 წელს ძალაში შევიდა ახალი კოდექსი. თუმცა საქართველოში სრულიად საპირისპირო მოხდა. იმის ნაცვლად, რომ საქართველოს ფეხი აწყო საერთაშორისო დონეზე მიმდინარე პოლიტიკისთვის, სრულიად გაუმართლებლად, მკვეთრად შეიზღუდა დაზარალებულის უფლებები და იგი არათუ „საკვანძო ფიგურად“, არამედ პროცესიდან გარიყულ ფიგურად იქცა. კოდექსის პირვანდელი რედაქციით, დაზარალებულს მინიჭებული ჰქონდა მწირი უფლებები, მაგალითად, საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღების უფლება; განცდილი ზიანის შესახებ ჩვენების მიცემის უფლება; გამოძიებისა და სასამართლო განხილვის დროს საქმის საჭიროებისათვის დროებით ჩამორთმეული კუთვნილი ქონების უკან დაბრუნების უფლება; ზოგიერთი საპროცესო გადაწყვეტილებების ასლების მიღების უფლება და პროცესში მონაწილეობის შედეგად განეული ხარჯების ანაზღაურების უფლება.²⁹⁶

საქართველომ მხოლოდ 2012 წლის დირექტივის მიღების შემდეგ დაიწყო საერთაშორისო სტანდარტების გაზიარება. მან თავდაპირველად 2014 წელს განახორციელა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება,²⁹⁷ რომლითაც

²⁹⁵ თანდილაშვილი, ბ.: სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებები ევროპული და ქართული კანონმდებლობის მიხედვით, DGStZ, No. 2, 2017, გვ. 51, <http://www.dgstz.de/storage/documents/HLlfKffRj6fKu2z37r81AsxGIkyisXchAZW9ySTc.pdf>, [16.06.2020];

Criminal Justice Reform Inter-Agency Coordination Council, Criminal Justice Reform Strategy, 10th Session of ICC, p. 4, <https://www.justice.gov.ge/Multimedia/Files/sabchoebi/Criminal_Justice_Reform_Strategy_ENG.pdf>, [16.06.2020]; საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 19 ოქტომბრის N 914 განკარგულების საფუძველზე შექმნილი სამუშაო ჯგუფი: საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგია, თბილისი, 2005, გვ. 3, <http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%20pdf%2Fstrategy_2005.pdf>, [16.06.2020].

²⁹⁶ სსკ-ის 2009 წლის 03 ნოემბრის რედაქცია.

²⁹⁷ თანდილაშვილი, ბ.: დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა და ევროპული სტანდარტები, ნაშრომში: თუმანიშვილი, გ., ჯიშკარიანი, ბ., შრამი, ე. (რედ.): ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, თბილისი, 2019, გვ. 321-322; „საქართველოს სისხლს სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2014 წლის 24 ივლისის კანონი; „საქართველოს სისხლს სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“

დაზარალებულს მიეცა უფლება ზიანის შესახებ ჩვენება მისცეს საპროცესო შეთანხმების დამტკიცების განხილვის სხდომაზე. მას მიენიჭა დაზარალებულად ცნობაზე უარის შესახებ ან დაზარალებულად ცნობის დადგენილების გაუქმების შესახებ, ან გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის დადგენილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება; გამოძიების ეტაპზე საქმის მასალების გაცნობის უფლება; სხდომის დახურვის შესახებ შუამდგომლობის დაყენების მოთხოვნის უფლება; დანაშაულის შეტყობინების შესახებ წერილობითი ცნობის მიღების უფლება; ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების და მსჯავრდებულის მიერ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება. გარდა ამისა, პროკურორს დაეკისრა დაზარალებულისთვის უფლებების განმარტებისას ოქმის წარმოება.²⁹⁸ ამის შემდეგ, 2018 და 2021 წლებში სსსკ-ში განმტკიცდა მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორის საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმები. 2018 წლის 04 მაისის ცვლილების შედეგად უკვე საკანონმდებლო დონეზე მონესრიგდა პროკურატურის მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორის საქმიანობა. სსსკ-ის მე-3 მუხლს დაემატა 22¹ ნაწილი, რომელშიც განმტკიცდა მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ცნება. სსსკ-ს ასევე დაემატა თავი VII¹, რომელშიც მოცემულია ნორმები მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორის პროცესში ჩართვისა და მისი უფლება-მოვალეობების შესახებ (მუხლები 58¹ და 58²). გარდა ამისა, კოდექსს დაემატა 61¹ მუხლი, რომელშიც მოცემულია სისხლის სამართლის პროცესში მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორის მონაწილეობის გამომრიცხავი გარემოებები. ასევე გამომრიცხავ გარემოებებთან დაკავშირებით შევიდა ცვლილებები სსსკ-ის 62-ე და 63-ე მუხლებში. და ბოლოს, 2018 წლის 04 მაისის ცვლილებით სსსკ-ის 182-ე მუხლს დაემატა 4² ნაწილი,

საქართველოს 2018 წლის 4 მაისის კანონი; „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე განმარტებითი ბარათი (კანონის პროექტი: 24/04/2014), <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/12985>>, [16.06.2020]; „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე განმარტებითი ბარათი (კანონის პროექტი: 26/02/2018) <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/176070>>, [16.06.2020].

²⁹⁸ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე განმარტებითი ბარათი (კანონის პროექტი: 24/04/2014), <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/12985>>, [16.06.2020].

რომლითაც მოწმისა და დაზარალებულის სურვილის შემთხვევაში, დახურულ სასამართლო სხდომაზე მათი მონაწილეობით მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესს შეიძლება დასწრებოდა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი.²⁹⁹ 2021 წლის 22 ივნისის ცვლილებით კი სსსკ-ში მოწესრიგდა შსს-ს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის საქმიანობაც, ამიტომ ცვლილებები შევიდა კოდექსის 58¹, 58² მუხლებში და 182-ე მუხლის 4² ნაწილში. 58¹ მუხლში, რომელიც არეგულირებს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის საკითხს, პროკურორის ფუნქციებთან ერთად, გაიწერა გამომძიებლის ფუნქციებიც. 58² მუხლში კი გაიმიჯნა პროკურატურისა და შსს-ს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის უფლებები და მოვალეობები. კერძოდ, პირველი ნაწილით მოწესრიგდა პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის უფლებები და მოვალეობები, ხოლო 1¹ ნაწილით, რომელიც სსსკ-ს 2021 წლის 22 ივნისის ცვლილებებით დაემატა, მოწესრიგდა შსს-ს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის უფლებები და მოვალეობები. ბოლოს კი, 182-ე მუხლის 4² ნაწილში განხორციელებული ცვლილებებით, კანონმდებელმა დაადგინა, რომ მოწმისა და დაზარალებულის სურვილის შემთხვევაში, დახურულ სასამართლო სხდომაზე მათი მონაწილეობით მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესს შეიძლება დაესწროს მხოლოდ პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი.³⁰⁰ რაც შეეხება 2020 წლის 14 ივლისის ცვლილებას,³⁰¹ იგი შეეხება შებლუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. კერძოდ, ცვლილებით სსსკ-ის 58-ე მუხლს დაემატა 2¹ ნაწილი, რომლის მიხედვით, შებლუდული შესაძლებლობის მქონე დაზარალებულს ამავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ინფორმაცია (ინფორმაცია საპროცესო მოქმედებების ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ), უნდა მიენოდოს შებლუდვიდან გამომდინარე, სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით.³⁰²

²⁹⁹ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2018 წლის 04 მაისის კანონი.

³⁰⁰ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2021 წლის 22 ივნისის კანონი.

³⁰¹ ცვლილება ამოქმედდა 2021 წლის პირველი იანვრიდან.

³⁰² „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს 2020 წლის 14 ივლისის კანონი.

აღნიშნული ცვლილებები ნათლად გამოხატავს საქართველოს ნებას, რომ დაზარალებულის მიმართ მოქმედი კანონმდებლობა შესაბამისობაში მოიყვანოს საერთაშორისო სტანდარტებთან. თუმცა დაზარალებულის საჭიროებებისა და საერთაშორისო აქტების მიმოხილვის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ დაზარალებულს სისხლის სამართლის პროცესში სჭირდება სხვადასხვა კატეგორიის უფლებები, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოუდგენელია მისი მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება. მოცემული უფლებები შეიძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად: საინფორმაციო ხასიათის უფლებები, რომლებიც ემსახურება დაზარალებულის ინფორმირებას როგორც ზოგადად სისხლის სამართლის პროცესის, ისე კონკრეტულად მიმდინარე საქმის შესახებ; სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის უფლებები, რომლებიც დაზარალებულს შესაძლებლობას აძლევს აქტიურად ჩაერთოს სისხლის სამართლის პროცესში, მაკონტროლებელი უფლებები, რომლითაც შეუძლია გავლენა მოახდინოს საპროცესო გადაწყვეტილებებზე; დაცვითი უფლებები, რომლებიც სისხლის სამართლის პროცესში უზრუნველყოფს დაზარალებულის დაცვას მეორეული ვიქტიმიზაციისგან; მხარდაჭერის მიღების უფლება, რომლის მეშვეობითაც დაზარალებულს შეუძლია მიიღოს სხვადასხვა სახის მხარდაჭერა, რითაც გაუმარტივდება პროცესში მონაწილეობა და დანაშაულის შედეგად მიღებული ტრავმების დაძლევა; სამოქალაქო სამართლებრივი მოთხოვნების განხორციელების უფლებები, რომლითაც დაზარალებულს შეეძლება კომპენსაციის მიღება, განუული ხარჯების ანაზღაურება და ჩამორთმეული ქონების უკან დაბრუნება; აღდგენითი მართლმსაჯულებაში მონაწილეობის უფლება, რომლითაც დაზარალებულს უფლებებში აღდგენა შეეძლება არატრადიციული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გამოყენებით.³⁰³ შესაბამისად, ნაშრომის წინამდებარე თავში გაანალიზდება, თუ რამდენად ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობა მოცემულ მოთხოვნებს.

³⁰³ *Kilchling, M.*: Opferschutz innerhalb und außerhalb des Strafrechts, Berlin, 2018, S. 26-31, 42-48; *Sautner, L.*: Opferrechte im Strafprozess in Österreich, ნაშრომში: *Sautner, L., Jesionek, U.* (Hrsg.): Opferrechte in Europäischer, Rechtsvergleichender und Österreichischer Perspektive, Viktimologie und Opferrechte: Schriftenreihe der Weisser Ring, Forschungsgesellschaft Bd. 8, Innsbruck, 2017, S. 95-110.

1. დაზარალებულის ცნება

1.1 საერთაშორისო სტანდარტი

დაზარალებულის ცნება პირველად 1985 წლის დეკლარაციაში გამოჩნდა, რომლის თანახმად, მსხვერპლები არის პირები, რომელმაც ინდივიდუალურად ან კოლექტიურად განიცადეს ზიანი. ზიანში იგულისხმება როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური და ემოციური ზიანი და ეკონომიკური დანაკარგი. დეკლარაცია მსხვერპლში მოიაზრებს იმ პირებსაც, რომელთა ფუნდამენტური უფლებები არსებითად დაირღვა სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისას. დანაშაულში კი იგულისხმება ძალის ბოროტად გამოყენებაც.³⁰⁴ დაზარალებულის ცნება ევროპის საბჭოს 2006 წლის რეკომენდაციაშიც გამოჩნდა. იგი ძირითადად იმეორებს 1985 წლის დეკლარაციის განმარტებას, მაგრამ რიგი განსხვავებები მაინც არსებობს ამ ორ აქტს შორის. 2006 წლის რეკომენდაცია დაზარალებულში ხაზგასმით მხოლოდ და მხოლოდ ფიზიკურ პირებს მოიაზრებს და ასევე დაზარალებულად მიიჩნევს მხოლოდ მას, ვისაც ზიანი მიადგა და არა მას, ვისი ფუნდამენტური უფლებებიც დაირღვა.³⁰⁵ 2001 წლის ჩარჩო გადაწყვეტილებაც დაზარალებულს იმავენაირად განმარტავს, როგორც 2006 წლის რეკომენდაცია.³⁰⁶ მასვე უერთდება 2012 წლის დირექტივაც.³⁰⁷ ამასთან, დირექტივა უშვებს შესაძლებლობას, რომ მასში განმტკიცებული უფლებები სახელმწიფოებმა გაავრცელონ იურიდიულ პირებზეც.³⁰⁸

³⁰⁴ Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power, General Assembly of the United Nation, Art. 1.

³⁰⁵ Recommendation Rec (2006) 8, par. 1.1.

³⁰⁶ Framework Decision 2001/220/JHA, Art.1 (a).

³⁰⁷ Victims' Directive, Art. 2 (1a).

³⁰⁸ *European Commission*: DG Justice Guidance Document related to the Transposition and Implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 Establishing Minimum Standards on the Rights, Support and Protection of Victims of Crime, and Replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 - 19/12/2013, p. 9.

1.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა

სსსკ-ის მე-3 მუხლის 22-ე ნაწილში მოცემულია დაზარალებულის ცნება. აღნიშნულის თანახმად, „დაზარალებული შეიძლება იყოს სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიადგა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი“. შესაბამისად, მოცემული მუხლის თანახმად, იმისთვის რომ პირი პროცესში ჩაერთოს დაზარალებულად, იგი უნდა აკმაყოფილებდეს ოთხ წინაპირობას. პირველი, იგი უნდა იყოს ფიზიკური პირი, იურიდიული პირი, ან სახელმწიფო. მეორე, სახეზე უნდა იყოს ზიანი. ზიანი შეიძლება იყოს მორალური, ფიზიკური, ან ქონებრივი. დაუმთავრებელი დანაშაულის შემთხვევაში კი ის პირი მოიაზრება დაზარალებულად, რომელსაც შეიძლება მისდგომოდა ზიანი.³⁰⁹ მესამე, სახეზე უნდა იყოს დანაშაული. ვინაიდან პირის დაზარალებულად ცნობა ხდება სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას, დანაშაული გაგებულ უნდა იქნეს როგორც შესაძლო დანაშაული და არა როგორც უკვე სასამართლოს მიერ დადასტურებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.³¹⁰ დაზარალებულად ცნობისთვის სახელმწიფოს მხოლოდ ელემენტარულ დონეზე უნდა ჰქონდეს გამორკვეული (elementary degree), რომ დანაშაულს ჰქონდა ადგილი.³¹¹ მეოთხე ელემენტს წარმოადგენს მიზეზშედეგობრივი კავშირი დამდგარ ზიანსა და დანაშაულს შორის, კერძოდ ზიანი გამონვეული უნდა იყოს უშუალოდ დანაშაულის შედეგად (მაგ: გულ-მკერდის არემი მიყენებული ჭრილობა გამონვეული უნდა იყოს დაჭრის შედეგად, დეპრესია ან თვითმკვლელობის მცდელობა გამონვეული უნდა იყოს გაუპატიურების შედეგად, ფინანსური დანაკარგი კი ქურდობის შედეგად).³¹²

³⁰⁹ სსსკ, 56-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

³¹⁰ საია: დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში (საქართველოში არსებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და საერთაშორისო მიდგომები), თბილისი, 2016, გვ. 14, <<https://gyla.ge/files/news/2016%20წლის%20გამოცემა/dazaralebulis%20uflebebi.pdf>>, [26.06.2020].

³¹¹ შეად. აშშ-ში მოქმედ სტანდარტს: *Cassell, P.G., Mitchell, N.J., Edwards, B.J.*: Crime Victims' Rights during Criminal Investigations? Applying the Crime Victims' Rights Act before Criminal Charges Are Filed, *J. Crim. Law Criminol.*, Vol. 104, Iss. 1, 2014, p. 91.

³¹² შეად. აშშ-ში მოქმედ სტანდარტს: *U.S Department of Justice: Attorney General Guidelines for Victim and Witness Assistance*, 2011, pp. 8-9, <https://www.justice.gov/sites/default/files/olp/docs/ag_guidelines2012.pdf>, [16.06.2020]; *NCVLI: Fundamentals of Victims' Rights: An overview of the Legal Definition of Crime „Victim“ in the*

სსკ-ში მოცემული განმარტებიდან ჩანს, რომ იგი იყენებს დაზარალებულის ცნებას, რომელიც დამყარებულია ზიანის მოდელზე და რომელიც დღესდღეობით გაბატონებულია საერთაშორისო რეგულაციებში. აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობა სრულად ეხმიანება საერთაშორისო სტანდარტებს.³¹³

1.3. დაზარალებულის უფლებამონაცვლე

1.3.1. საერთაშორისო სტანდარტი

პირდაპირი მსხვერპლის გარდა, საერთაშორისო რეგულაციები ითვალისწინებენ არაპირდაპირ მსხვერპლსაც. ეს ისეთი შემთხვევაა, როდესაც პირდაპირ მსხვერპლს არ შეუძლია პროცესში მონაწილეობის მიღება და მის ნაცვლად ჩართულია მისი ნათესავი. არაპირდაპირი მსხვერპლის ინსტიტუტი გათვალისწინებულ იქნა ევროპის საბჭოს 2006 წლის რეკომენდაციაში, რომლის თანახმად, ცნება დაზარალებული, საჭიროების შემთხვევაში მოიცავს პირდაპირი მსხვერპლის ოჯახის წევრს ან მასზე დამოკიდებულ პირებს.³¹⁴ 2012 წლის დირექტივის თანახმად, დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში, მისი უფლებები უნდა მიენიჭოს მისი ოჯახის წევრს. გარდა ამისა, დირექტივა მოითხოვს, რომ აღნიშნული სტატუსით სარგებლობის შესაძლებლობა ასევე გარანტირებული იყოს არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლეებისთვისაც (პარტნიორი). იმის განსასაზღვრად კი, წარმოადგენს თუ არა ორი პირი ერთმანეთის მეუღლეს ან პარტნიორს, დირექტივის იმპლემენტაციის დოკუმენტმა დაადგინა შემდეგი კრიტერიუმი: “მათ უნდა ჰქონდეთ მყარი ინტიმური ურთიერთობა და სტაბილურად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში უნდა მისდევდნენ საერთო საოჯახო მეურნეობას”.³¹⁵

United States, Victim Law Bulletin, 2011, p. 2, <<https://law.lclark.edu/live/files/11824-fundamentals-of-victims-rights-an-overview-of-the>>, [16.06.2020].

³¹³ შეად. აშშ-ში მოქმედ სტანდარტს: *U.S. Department of Justice: Attorney General Guidelines for Victim and Witness Assistance*, 2011, pp. 8-9, <https://www.justice.gov/sites/default/files/olp/docs/ag_guidelines2012.pdf>, [16.06.2020]; *NCVLI: Fundamentals of Victims' Rights: An overview of the Legal Definition of Crime „Victim“ in the United States*, Victim Law Bulletin, 2011, p. 2, <<https://law.lclark.edu/live/files/11824-fundamentals-of-victims-rights-an-overview-of-the>>, [16.06.2020].

³¹⁴ Recommendation Rec (2006) 8, par. 1.1.

³¹⁵ *European Commission: DG Justice Guidance Document related to the Transposition and Implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 Establishing Minimum*

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც თავისი პრეცედენტული სამართლით მოითხოვს, რომ პირის გარდაცვალების შემთხვევაში კონვენციის ზოგიერთი მუხლებით (მაგალითად, კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები³¹⁶) გარანტირებული უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა ჰქონდეთ გარდაცვლილის ნათესავებს.³¹⁷

1.3.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა

საქართველოში ჯერ კიდევ 1998 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით იყო აღიარებული არაპირდაპირი მსხვერპლის ინსტიტუტი³¹⁸. იგი გადმოტანილ იქნა 2009 წლის სსსკ-ში. აღნიშნულის 56-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, იმ საქმეებში, რომელსაც მოჰყვა დაზარალებულის სიკვდილი, მისი უფლებები და მოვალეობები ეკისრება მის რომელიმე ახლო ნათესავს, რომელიც პროცესში ერთვება როგორც “დაზარალებულის უფლებამონაცვლე”. სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილში განმარტებულია ახლო ნათესავის ცნება, რომელშიც მოიაზრება მშობელი, შვილად ამყვანი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა და მეუღლე (მათ შორის განქორწინებული). მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს სასამართლოს პრაქტიკის შესაბამისად, მეუღლეში იგულისხმება არა მხოლოდ რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი, არამედ ფაქტობრივ ქორწინებაში მყოფი პირები, ანუ ისინი, ვისაც არ აქვთ ხელი მონერლი და მხოლოდ ერთობლივი თანაცხოვრებით შემოიფარგლებიან.³¹⁹ შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ ამ ნაწილში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს.

Standards on the Rights, Support and Protection of Victims of Crime, and Replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 - 19/12/2013, p. 10.

³¹⁶ ECtHR, *McCann and Others v. United Kingdom*, Appl. No. 18984/91, 27/09/1995; ECtHR, *De Donder and De Clippel v. Belgium*, Appl. No. 8595/06, 6/12/2011; ECtHR, *Varnava and Others v. Turkey*, Appl. No. 16064/90, 18/09/2009.

³¹⁷ *McBride, J.*: The Case Law of the European Court of Human Rights on Victims' Rights in Criminal Proceedings, p. 2, <<https://rm.coe.int/council-of-europe-georgia-european-court-of-human-rights-case-study-vi/16807823c4>>, [16.06.2020].

³¹⁸ 1998 წლის სსსკ, 68-ე მუხლი.

³¹⁹ საქართველოს უზენაეს სასამართლოს განჩინება საქმეზე # 2კ-43-I-03, 16/12/2003; *თანდილაშვილი, ბ.*: დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა და ევროპული სტანდარტები, ნაშრომში: *თუმანიშვილი, გ., ჯიშკარიანი, ბ., შრამი, ე.* (რედ.): ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, თბილისი, 2019, გვ. 323.

1.4. დაზარალებულის სტატუსის მოპოვება

1.4.1. საერთაშორისო სტანდარტი

როგორც საერთაშორისო აქტებით, ისე საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია ადამიანის უფლებები. ადამიანის უფლებების განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ადამიანს ბუნებით აქვს მინიჭებული. ისინი მას დაბადებიდან თან დაჰყვება და დაუშვებელია სახელმწიფოს მიერ მათი ჩამორთმევა.³²⁰ ადამიანის უფლებებიდან საკვანძო უფლებას წარმოადგენს ღირსების უფლება. საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადამიანის ღირსება ხელშეუვალია. იგი აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას მიეკუთვნება და დაუშვებელია მისი შეზღუდვა.³²¹ შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია ადამიანის ღირსება დაიცვას ნებისმიერ გარემოებაში. ამრიგად, ღირსების უფლება ვრცელდება დაზარალებულის მიმართაც. გაეროს 1985 წლის დეკლარაციის პირველი მუხლის თანახმადაც, მსხვერპლს უფლება აქვს, რომ პროცესში ღირსეულად და პატივისცემით ეპყრობოდნენ.³²² თუმცა ისმის კითხვა: როგორ უნდა იქნეს სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის ღირსება დაცული. ვინაიდან ღირსების უფლება ძალიან ფართო უფლებაა და იგი კონკრეტდება არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შესაბამისად, სისხლის სამართლის პროცესში ღირსება გამოხატულებას ჰპოვებს სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის საჭიროებების დაკმაყოფილებისა³²³ და მისთვის რეალიზებადი უფლებების მინიჭებით.³²⁴ დაზარალებულის საბაზისო საჭიროებაა მისი აღიარება.³²⁵ აღნიშნული დასტურდება

³²⁰ *Deutsches Institut für Menschenrechte: Menschenwürde: Der Grund der Menschenrechte*, Berlin, 2008, S. 24, <https://www.institut-fuer-menschenrechte.de/fileadmin/migrated/tx_commerce/studie_menschenwuerde_2008.pdf>, [22.07.2021].

³²¹ *ვოცირიძე, ე.*: ნაშრომში *ტურავა, კ.* (რედ.): საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, გვ. 109.

³²² *NCVLI: Use of the Term „Victim“ In the Criminal Proceedings*, Victim Law Article, 11th Edition of NCVLI News, 2009 (განახლებულია: 2014), p. 4, <<https://law.lclark.edu/live/files/21940-use-of-the-term-victim-in-crim-proc11th-edpdf>>, [16.06.2020].

³²³ *Wemmers, J.A.*: Introduction à la Victimologie, Montréal, 2003, pp. 79-89.

³²⁴ *NCVLI: Fundamentals of Victims' Rights: A Summary of 12 Commons Victims' Rights*, Victim Law Bulletin, 2011, pp. 1-2, <<https://law.lclark.edu/live/files/11823-fundamentals-of-victims-rights-a-summary-of-12>>, [16.06.2020].

³²⁵ *Groenhuijsen, M.*: For a Real Human Justice, ნაშრომში : *De La Cuesta, J.L.* (ed.): For a Real Human Justice /Pro una Justicia Realmente Humana, Vatican City, 2014, p. 66.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-6 მუხლითაც, რომლის თანახმად, ყველას აქვს უფლება, რომ იქნეს სამართალსუბიექტად ცნობილი. შესაბამისად, ღირსეულად მოპყრობა პრაქტიკაში გულისხმობს, რომ კანონმა დაზარალებული უნდა აღიაროს სამართალსუბიექტად. სწორედ აღნიშნული უფლება აძლევს დაზარალებულს პროცესში მონაწილეობისა და საპროცესო უფლებების ქონის შესაძლებლობას.³²⁶

დაზარალებულის სტატუსსა და მის აღიარებას ჯერ კიდევ 2000 წელს შეეხნენ ბრინენი და უხენი, რომლებმაც ევროპის 22 ქვეყანაში ჩაატარეს კვლევა იმის დასადგენად, თუ რამდენად განხორციელდა მოცემულ ქვეყნებში ევროპის საბჭოს 1985 წლის რეკომენდაციის აღსრულება. კვლევაში გაანალიზდა დაზარალებულად ცნობის სამი მოდელი. პირველის თანახმად, დაზარალებული ასეთად უნდა იქნეს მიჩნეული დანაშაულის შესახებ განაცხადის გაკეთებისთანავე, მეორე მოდელის თანახმად, დაზარალებული ასეთად მას შემდეგ უნდა იქნეს მიჩნეული, როცა იგი პროცესში შეიძენს ფორმალურ სტატუსს (მაგალითად, კერძო ბრალმდებელი ან სამოქალაქო მხარე). მესამე მოდელის თანახმად, მაშინ უნდა იქნეს აღიარებული, როცა სასამართლო ბრალდებულს დამნაშავედ ცნობს.³²⁷

მესამე მოდელის თანახმად, დანაშაულის მსხვერპლი მთლიანი პროცესის მანძილზე ინარჩუნებს სავარაუდო დაზარალებულის სტატუსს. მოცემული მსჯელობა დაკავშირებულია უდანაშაულობის პრეზუმფციასთან, რომლის თანახმად ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება, სანამ მისი დამნაშავეობა არ დადასტურდება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით. ბრალდებულის უდანაშაულოდ მიჩნევა საჭიროა მისი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად და იმისთვის, რომ მან პრაქტიკაში ეფექტურად შეძლოს მისი უფლებების გამოყენება. თუმცა, თუ გამოვიყენებთ „არა დაზარალებულის“ პრეზუმფციას, იგი დაზარალებულს უკეთეს მდგომარეობაში არ ჩააყენებს და მისი ინტერესების დაცვას არ მოემსახურება. პირიქით, იგი ხელს შეუშლის უფლებებით სარგებლობას და გააუარესებს სისხლის სამართლის პროცესში მის

³²⁶ *Wemmers, J.A.*: Victims' Rights are Human Rights: The Importance of Recognizing Victims as Persons, *Temida*, Vol. 15, Iss. 2, 2012, p. 80.

³²⁷ *Brienen, M., Hoegen E.*: Victim of Crime in 22 European Criminal Justice Systems: The Implementation of Recommendation (85) 11 of the Council of Europe on the Position of the Victim in the Framework of Criminal Law and Procedure, Nijmegen, 2000, p. 30.

სამართლებრივ მდგომარეობას. სწორედ ამიტომ, აღნიშნული მიდგომა უარყოფილი უნდა იქნეს. დაუშვებელია, რომ კანონმდებლობამ, რომელიც მიზნად ისახავს დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას, იგი მიიჩნიოს სავარაუდო დაზარალებულად.³²⁸ მეორე მოდელის თანახმად, დაზარალებულად აღიარება დამოკიდებული უნდა იყოს ფორმალურ სტატუსზე, მაგალითად. სუბსიდიურ ბრალმდებლად ან სამოქალაქო მხარედ ჩართვაზე და მხოლოდ ამის შემდეგ უნდა შეეძლოს დაზარალებულს უფლებებით სარგებლობა. აღნიშნული მიდგომა პრაქტიკაში პრობლემებს ქმნის. მაგალითად, დანაშაულის შეტყობინებისას დაზარალებულს არ მიეწოდება ინფორმაცია, ვინაიდან ამ დროს მას პროცესში არ გააჩნია ფორმალური სტატუსი. უფრო მეტიც, თუ დაზარალებულს თავიდანვე არ განემარტება მისი უფლებები, მატულობს რისკი იმისა, რომ იგი ვერც ფორმალურ სტატუსს მოიპოვებს.³²⁹ სწორედ ამიტომ, ბრინენი და უხენი მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მეორე მოდელიც ვერ უზრუნველყოფს დაზარალებულის ინტერესების დაცვას. შედეგად, საუკეთესო მოდელად მიიჩნევა პირველი მოდელი. იგი ყველაზე კარგად იცავს დაზარალებულის უფლებებსა და ინტერესებს. დანაშაულის შესახებ განაცხადის გაკეთების მომენტიდან პირის დაზარალებულად მიჩნევა მას აძლევს შესაძლებლობას, რომ ინფორმირებული იყოს მისი უფლებების შესახებ და მიიღოს ინფორმაცია პროცესის მიმდინარეობის შესახებ.³³⁰ აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოს 1985 წლის რეკომენდაციაც იზიარებს ამ მიდგომას.³³¹

გარდა ამისა, 2012 წლის დირექტივა დაზარალებულად მიიჩნევს ყველა ადამიანს, რომელიც აკმაყოფილებს დირექტივაში მოცემულ დაზარალებულის ცნებას, განურჩევლად იმისა, მიმდინარეობს თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა, დაკავებულია თუ არა ბრალდებული ან არის თუ არა იგი უკვე დამნაშავედ ცნობილი.³³² დირექტივა მოითხოვს, რომ მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილების მიზნით, ყველა

³²⁸ იქვე.

³²⁹ იქვე.

³³⁰ იქვე.

³³¹ იქვე.

³³² Victims' Directive, Recital 19; *European Commission*: DG Justice Guidance Document related to the Transposition and Implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 Establishing Minimum Standards on the Rights, Support and Protection of Victims of Crime, and Replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 - 19/12/2013, p. 10.

ადამიანი, რომელიც დანაშაულის შედეგად დაიჩაგრა, თავიდანვე, სირთულეების გარეშე, მიჩნეულ იქნეს დაზარალებულად და შესაძლობლობა ჰქონდეს ისარგებლოს თავისი უფლებებით. მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ ადამიანს, რომელსაც მიაღდა ტკივილი, აღიარონ მსხვერპლად, მოექცნენ პატივისცემით და მისი ყველა უფლება იქნეს დაცული.³³³ დაზარალებულის სტატუსის აღიარების პროცედურა მსხვერპლის მიერ აღიქმევა დამამცირებლად, მის მიმართ უპატივცემულობის გამოხატულებად და შეიძლება უფრო მეტი ზიანი გამოიწვიოს, ვიდრე იმან, რომ არანამდვილი მსხვერპლი გარკვეული დროის განმავლობაში დაზარალებულად იყოს მიჩნეული. ის გარემოება, რომ დაზარალებულებს შორის გამოერევიან არამსხვერპლები, თვითმარქვია მსხვერპლები, მიღებული და დაშვებულ უნდა იქნეს რეალური მსხვერპლების დიდ რაოდენობის ხარჯზე.³³⁴ აღნიშნული მსჯელობა ცხადყოფს, რომ დაზარალებული პროცესში ყოველგვარი ზედმეტი ფორმულობების გარეშე, პირდაპირ უნდა იქნეს დაშვებული.

1.4.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა

1.4.2.1. პროკურორის მიერ პირის დაზარალებულად ცნობის მექანიზმი

საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებული პირდაპირ არ დაიშვება. იგი მხოლოდ მას შემდეგ იქნეს სტატუსს, რაც პროკურორი მას ცნობს დაზარალებულად. კერძოდ, სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის სათანადო საფუძვლის არსებობისას პროკურორს გამოაქვს დადგენილება საკუთარი ინიციატივით ან ამ პირის მიერ შესაბამისი განცხადებით მიმართვის შემთხვევაში.“ შესაბამისად, დანაშაულის მსხვერპლი მხოლოდ მას შემდეგ ერთვება სისხლის სამართლის პროცესში, როცა მას პროკურორი ცნობს

³³³ *Pemberton, A., Vanfraechem. I.: Victims' Victimization Experiences and Their Need for Justice*, ნაშრომში: *Vanfraechem, I., Bolívar, D., Aersten, I. (eds.): Victims and Restorative Justice*, Abingdon, New York, 2017, p. 31.

³³⁴ *Hilf, M.J.: Neue Maßstäbe durch die Eu-RL über Mindeststandards für die Rechte, die Unterstützung und den Schutz von Opfern von Straftaten?* ნაშრომში: *Sautner, L., Jesionek, U. (Hrsg.): Opferrechte in Europäischer, Rechtsvergleichender und Österreichischer Perspektive, Viktimologie und Opferrechte: Schriftenreihe der Weisser Ring, Forschungsgesellschaft Bd. 8*, Innsbruck, 2017, S. 21-22; *Brienen, M., Hoegen E.: Victim of Crime in 22 European Criminal Justice Systems: The Implementation of Recommendation (85) 11 of the Council of Europe on the Position of the Victim in the Framework of Criminal Law and Procedure*, Nijmegen, 2000, p. 30.

დაზარალებულად. სწორედ დაზარალებულად ცნობის შემდეგ იძენს დანაშაულის მსხვერპლი დაზარალებულის სტატუსს და ამის შემდეგ წარმოეშვება მას საპროცესო უფლებები,³³⁵ იქამდე მას არანაირი უფლება არ გააჩნია, არც ინფორმაციის მიღების უფლება, არც საქმის მასალების გაცნობის უფლება და არც სხვა უფლებები, რომლებიც სსსკ-ით არის გათვალისწინებული. დაზარალებულის სტატუსის მინიჭებამდე, დანაშაულის მსხვერპლი პროცესიდან სრულიად გარიყულია და თუ პროკურორი გადაწყვეტს, (პროკურორის დადგენილების გასაჩივრების შემთხვევაში - ზემდგომი პროკურორი ან სასამართლო) რომ არ არსებობს მსხვერპლის დაზარალებულად ცნობის „სათანადო საფუძველი“, იგი მთლიანი პროცესის განმავლობაში დარჩება გარიყული.

პროკურორის მიერ პირის დაზარალებულად ცნობის ინსტიტუტი მომდინარეობს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან. იმ პერიოდში მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, პირის დაზარალებულად ცნობა შეეძლო როგორც საგამომძიებო ორგანოს, ისე სასამართლოს. საქმის მომკვლევე პირი, გამომძიებელი და პროკურორი იღებდნენ დადგენილებას, ხოლო სასამართლო განჩინებდა.³³⁶ აღნიშნული მექანიზმი გადმოტანილ იქნა 1998 წლის სსსკ-შიც, რომლის 68-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ისევ გამომძიებელს, პროკურორს ან სასამართლოს შეეძლო პირის დაზარალებულად ცნობა. 2009 წლის სსსკ-შიც შენარჩუნდა დაზარალებულად ცნობის ინსტიტუტი, თუმცა გარკვეული მოდიფიცირებით. პირის დაზარალებულად ცნობის კომპეტენცია პროკურორს მიეკუთვნა, სასამართლო კი მხოლოდ დადგენილების გასაჩივრების ნაწილში ერთვება.³³⁷

³³⁵ სსსკ, 56-ე მუხლის 5¹ ნაწილი.

³³⁶ ავტორთა კოლექტივი, *ფალიაშვილი, ა., თალაკვაძე, ლ.* (რედ.): საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 1988, გვ. 100.

³³⁷ სსსკ, 56-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

აღსანიშნავია, რომ დაზარალებულად ცნობის ინსტიტუტი უცნობია როგორც საერთო სამართლის,³³⁸ ისე კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებისთვის.³³⁹ პროცესში მსხვერპლის დაშვება ხდება მხოლოდ და მხოლოდ დაზარალებულის ცნების მიხედვით. როგორც წესი, მსხვერპლი დანაშაულის შესახებ განაცხადის გაკეთების შემდეგ ითვლება დაზარალებულად და იგი დამატებით აღიარებას არ საჭიროებს. სწორედ ამიტომ ყველა სახელმწიფოში ყურადღება მახვილდება დაზარალებულის ცნებასა და მის განმარტებაზე.³⁴⁰

დაზარალებულის სტატუსის მინიჭების ინსტიტუტის შემოღებასთან დაკავშირებით არ მოიპოვება ლიტერატურა, შესაბამისად, უცნობია, თუ რა იყო მისი შემოღების მიზანი.

³³⁸საკითხის დამუშავებისას ნაშრომის ავტორი შეეცადა უცხოურ ლიტერატურაში მოეპოვებინა ინფორმაცია, პირის დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით, თუმცა ასეთი ინფორმაციის მოძიება ვერ მოხერხდა, ამიტომ ივარაუდა, რომ მოცემული მექანიზმი საერთოდ არ არსებობს არც შეჯიბრებითი სისტემის მქონე ქვეყნებში (მაგალითად, აშშ და დიდი ბრიტანეთი) და არც კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში (მაგალითად გერმანია და საფრანგეთი). ამიტომ საკითხის დაზუსტების მიზნით 2019 წლის მიმართა აშშ-ში დაზარალებულის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციას „დაზარალებულის ეროვნული სამართლის ინსტიტუტს (NCVLI - National Crime Victim Law Institute), რომლის თანახმად, აშშ-ში მსხვერპლის პროცესში ჩართვისთვის არ არის გათვალისწინებული პროკურორის მიერ მისი დაზარალებულად ცნობა. 2019 წლის 16 მაისს კი მეილით მიმართა ინგლისსა და უელსში მსხვერპლის კომისრის ოფისს (Office of the Victims' Commissioner for England and Wales) და მათი პასუხის თანახმად, არც ინგლისსა და უელსში არ არის გათვალისწინებული პროკურორის თანხმობა იმისთვის, რომ მსხვერპლი ჩაერთოს პროცესში; შეად. *Cassell, P.G., Mitchell, N.J., Edwards, B.J.: Crime Victims' Rights During Criminal Investigations? Applying the Crime Victims' Rights Act before Criminal Charges Are Filed*, J. Crim. Law Criminol., Vol. 104, Iss. 1, 2014, p. 76.

³³⁹მართალია დაზარალებულად ცნობა გულისხმობს ფორმალური სტატუსის მინიჭებას და ამით იგი შეიძლება დაემსგავსოს *ბრინენ* და *უხენის* მიერ იდენტიფიცირებულ მეორე მოდელს, მაგრამ შინაარსობრივად იგი განსხვავდება სამოქალაქო მხარისგან და სუბსიდიური ბრალმდებლისგან.

³⁴⁰დაზარალებულის ცნება გერმანიაში: <https://e-justice.europa.eu/content_rights_of_victims_of_crime_in_criminal_proceedings-171-de-en.do?member=1>, [16.06.2020]; დაზარალებულის ცნება საფრანგეთში: <https://e-justice.europa.eu/content_rights_of_victims_of_crime_in_criminal_proceedings-171-fr-en.do?member=1>, [16.06.2020]; დაზარალებულის ცნება ბელგიაში: <https://e-justice.europa.eu/content_rights_of_victims_of_crime_in_criminal_proceedings-171-be-en.do?member=1>, [16.06.2020]; დაზარალებულის ცნება იტალიაში: <https://e-justice.europa.eu/content_rights_of_victims_of_crime_in_criminal_proceedings-171-it-en.do?member=1>, [16.06.2020]; დაზარალებულის ცნება ლუქსემბურგში: <https://e-justice.europa.eu/content_rights_of_victims_of_crime_in_criminal_proceedings-171-lu-en.do?member=1>, [16.06.2020]; დაზარალებულის ცნება ფინეთში: <https://e-justice.europa.eu/content_rights_of_victims_of_crime_in_criminal_proceedings-171-fi-en.do?member=1>, [16.06.2020]; დაზარალებულის ცნება შვედეთში: <https://e-justice.europa.eu/content_rights_of_victims_of_crime_in_criminal_proceedings-171-se-en.do?member=1>, [16.06.2020]; დაზარალებულის ცნება ირლანდიაში: <https://e-justice.europa.eu/content_rights_of_victims_of_crime_in_criminal_proceedings-171-ie-en.do?member=1>, [16.06.2020]; *Congressional Research Service: Crime Victims' Rights Act: A Sketch of 18 U.S.C §3771*, 2015, p. 1, <<https://fas.org/sgp/crs/misc/RS22518.pdf>>, [16.06.2020].

ამიტომ ნორმის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ნორმის მიზნის ორი ვერსიის ჩამოყალიბება. პირველი ვერსიის თანახმად, რომელიც ნაკლებად დამატერებელია, თუმცა ამართლებს მის შემოღებას არის ის, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის სისხლის სამართლის პროცესში მოქმედებდა ინკვიზიციური მოდელი. შესაბამისად, დაზარალებულიც ფართო უფლებამოსილებებით იყო აღჭურვილი. მაგალითად, მას შეეძლო მოეპოვებინა და სასამართლოში წარედგინა მტკიცებულებები, შეეძლო დაეყენებინა შუამდგომლობები, მოეთხოვა პროცესის მონაწილის აცილება, შეეტანა საჩივარი მომკვლევე პირის, გამოძიებლის, პროკურორის ან სასამართლო ქმედებაზე, ასევე შეეძლო სასამართლოს განჩინების ან განაჩინების გასაჩივრება.³⁴¹ შესაბამისად, შესაძლებელია, რომ კანონმდებლის მიზანი ყოფილიყო, პროცესში არ დაეშვა არაკეთილსინდისიერი დაზარალებული და ამით უზრუნველყო მართლმსაჯულების ეფექტური განხორციელება. მეორე, უფრო დამატერებელი ვერსიის თანახმად კი, საბჭოთა კავშირს სურდა სისხლის სამართლის პროცესზე კონტროლის განხორციელება, რაც მარტივი მისაღწევი იყო დაზარალებულად ცნობის მექანიზმის შემოღებით. ამ გზით მას შეეძლო პროცესიდან გამოერიცხა მისთვის არასასურველი დაზარალებული და მარტივად დაეკმაყოფილებინა საკუთარი ინტერესები. აღნიშნულ მიდგომას ამართლებს ის გარემოებაც, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა არ წარმოადგენდა დემოკრატიულ სახელმწიფოს და მისთვის ცნება „ადამიანის უფლებები“ უცხო იყო.

თუმცა სრულიად უცნობია, დღეს რა მიზანს ემსახურება აღნიშნული ნორმა. 2010 წლიდან საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში მოქმედებს შეჯიბრებითობის პრინციპი, რომელშიც დაზარალებულს არ აქვს ისეთი უფლებები მინიჭებული, რომლითაც პროცესზე კონტროლის განხორციელებას შეძლებს. გარდა ამისა, ის არგუმენტი, რომ ნორმა შესაძლებელს ხდის პროცესიდან გამორიცხოს არაკეთილსინდისიერი დაზარალებულები, ვერ იქნება გამართლებული იმ სახელმწიფოში, რომელიც მისივე კონსტიტუციის მე-4 მუხლის მიხედვით წარმოადგენს სამართლებრივ სახელმწიფოს და

³⁴¹ ავტორთა კოლექტივი, *ფალიაშვილი, ა., თალაკვაძე, ლ.* (რედ.): საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 1988, გვ. 101.

ამავე მუხლის მე-2 პუნქტების თანახმად კი იგი „[...] ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს“, რაც სისხლის სისხლის სამართლის პროცესში მოუწოდებს სახელმწიფოს დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციის პრევენციას.

დაზარალებულად ცნობის მექანიზმი შეუთავსებელია დაზარალებულის ღირსების უფლებასთან. როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველ მუხლში განმტკიცდა, რომ *„ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით.“*, ხოლო მე-6 მუხლის თანახმად, *„ყველას სადაც უნდა იმყოფებოდეს, აქვს უფლება ცნონ მისი სამართალსუბიექტობა.“* გაეროს 1985 წლის დეკლარაციის მე-4 მუხლის თანახმად, დანაშაულის მსხვერპლს აქვს უფლება, რომ მას სისხლის სამართლის პროცესში ეპყრობოდნენ ღირსეულად და პატივისცემით. მოცემული ნორმების ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის ღირსების დაცვის პირველი მნიშვნელოვანი გამოხატულება უნდა იყოს მისი სამართალსუბიექტად აღიარება. სამართალსუბიექტად აღიარება კი გულისხმობს მისი ავტონომიურობის აღიარებას და უფლებების მატარებელ პირად ცნობას.³⁴² საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში კი დაზარალებულად ცნობის მექანიზმი უშვებს შესაძლებლობას, რომ დაზარალებული არ იქნეს სამართალსუბიექტად აღიარებული და ვერ შეძლოს საპროცესო უფლებებით სარგებლობა. ამასთან, მსხვერპლის დაზარალებულად ცნობის შემთხვევაშიც კი, მოცემული მექანიზმი, თავდაპირველ ეტაპზე, სანამ მოხდება მსხვერპლის დაზარალებულად ცნობა, ეჭვქვეშ აყენებს მის სამართალსუბიექტობას, მაშინ როცა დანაშაულით ხდება დაზარალებულის უფლებების დარღვევა და სწორედ დარღვეული უფლება წარმოშობს სახელმწიფოს ვალდებულებას, რომ დაზარალებული ცნოს სისხლის სამართლის პროცესის სამართალსუბიექტად. ამას ადასტურებს, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-8 მუხლი, რომლის თანახმად, *„ყველას, ვისაც დაერღვა კონსტიტუციითა და კანონით მინიჭებული ძირითადი უფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება კომპეტენტური*

³⁴² *Dearing, A.*: Justice for Victims of Crime: Human Dignity as the Foundation of Criminal Justice in Europe, Cham, 2017, p. 260.

ეროვნული სასამართლოებისაგან“. ამასვე ადასტურებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-13 მუხლი, რომლის თანახმად „ყველას, ვისაც ამ კონვენციით გაცხადებული უფლება ან თავისუფლება დაერღვა, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება ეროვნული ხელისუფლების წინაშე, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა“. გარდა ამისა, ადამიანის ღირსება გვავალდებულებს ერთმანეთის მიმართ პატივისცემითა და მზრუნველობით მოპყრობას, ასევე ერთმანეთის მიმართ სოლიდარობის გამოხატვას.³⁴³ შესაბამისად, სისხლის სამართლის პროცესშიც დაზარალებულს აქვს უფლება, რომ მას ეპყრობოდნენ მზრუნველობითა და გულისხმიერად.³⁴⁴ დაზარალებულად ცნობის მექანიზმი კი, მზრუნველობითა და გულისხმიერად მოპყრობის ნაცვლად, განაპირობებს დაზარალებულის სრულ გარიყვას, რითაც დაზარალებულს ერთმევა შესაძლებლობა, რომ ისარგებლოს სსსკ-ით გარანტირებული უფლებებით. ამგვარი მოპყრობა იწვევს მისი სამართალსუბიექტობის უგულებელყოფას, რითაც ილახება მისი ღირსება.

დაზარალებულად ცნობის მექანიზმი ასევე წინააღმდეგობაში მოდის სოციალური სახელმწიფოს პრინციპთან. სოციალური სახელმწიფოს მოთხოვნაა, რომ სახელმწიფომ დაიცვას და სათანადო პირობები უზრუნველყოს იმ პირთათვის, რომლებიც საზოგადოების სხვა ჯგუფებთან შედარებით უფრო მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან.³⁴⁵ სისხლის სამართალი პროცესში უკეთესი პირობების შექმნა გამოიხატება დაზარალებულის აღიარებით და მისთვის უფლებების მინიჭებით. გარდა ამისა, თუ სოციალური სახელმწიფო ითვალისწინებს მსჯავრდებულის რესოციალიზაციას,³⁴⁶ ასევე ევალება სახელმწიფოს მსხვერპლის რეინტეგრაცია.

³⁴³ *Dearing, A.*: Justice for Victims of Crime: Human Dignity as the Foundation of Criminal Justice in Europe, Cham, 2017, p. 261.

³⁴⁴ იქვე, p. 266.

³⁴⁵ *ლოლაძე, ბ.*: სოციალური სახელმწიფო – საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის? ნაშრომი: *კორკელია, კ.* (რედ.): ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, თბილისი, 2012, გვ. 121-122; *Daimagüler, M.G.*: Der Verletzte im Strafverfahren: Handbuch für die Praxis, München, 2016, S. 281; *Degenhart, C.*: Staatsrecht I: Staatsorganisationsrecht: Mit Bezügen zum Europarecht, 28. Auflage, Hemsbach, 2012, S. 230-231; *Kleinert, T.*: Persönliche Betroffenheit und Mitwirkung: Eine Untersuchung zur Stellung des Deliktsofners im Strafrechtssystem, Berlin, 2008, S. 45.

³⁴⁶ *იშორია, ლ.*: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი: თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013, გვ. 483-484.

1.4.2.2. დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებული პრაქტიკა

იმ ფაქტთან ერთად, რომ სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილში მოცემული ნორმის მიზანი გაურკვეველია და იგი წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციურ პრინციპებთან და უფლებებთან, ასევე გაურკვეველი და ბუნდოვანია თვითონ ნორმაც. როგორც უკვე აღინიშნა, პროკურორი მაშინ ცნობს პირს დაზარალებულად, როცა არსებობს ამის სათანადო საფუძველი. შესაბამისად, ისმის კითხვა, რას ნიშნავს სათანადო საფუძველი? იგი ძალიან ფართო ცნებაა და შეუძლებელია მისი ერთგვაროვანი ინტერპრეტაცია. წესით, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპთან შესაბამისობაში მყოფი პრაქტიკის განვითარებისთვის „სათანადო საფუძვლის“ განმარტებისას ამოსავალი წერტილი უნდა იყოს სსსკ-ის მე-3 მუხლის 22-ე ნაწილში მოცემული დაზარალებულის ცნება. წესით, პროკურორებმა უნდა გადასინჯონ, სახეზე არის თუ არა დაზარალებულის ცნების ყველა ელემენტი და მათი არსებობის შემთხვევაში, პირი ცნონ დაზარალებულად. თუმცა პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ეს ესე არ არის. გაურკვეველი და ბუნდოვანი ნორმის გამო, საქართველოში ჩამოყალიბდა ურთიერთგამომრიცხავი პრაქტიკა. საქართველოს პროკურატურას არ აქვს ერთგვაროვანი მიდგომა,³⁴⁷ ამიტომ ყველა საქმე წყდება სხვადასხვანაირად.

³⁴⁷ დისერტაციაზე მუშაობისას საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, 2018 წელს ნაშრომის ავტორმა მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, სადაც კონკრეტულ სტატისტიკურ მონაცემებთან ერთად, მოითხოვა, დაზარალებულად დაკავშირებულ საკითხებზე პროკურატურის წარმომადგენლებთან გასაუბრება. ავტორის თხოვნა არ დაკმაყოფილდა (საქართველოს მთავარი პროკურატურის 2018 წლის 11 აპრილის წერილი N13/26513). 2019 წელს (2019 წლის 04 ოქტომბრის განცხადება N01/13-96654) კვლავ მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, ამჯერად უკვე მხოლოდ დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით პროკურორებთან გასაუბრების თხოვნით, თუმცა აღნიშნულ წერილზე ზეპირსიტყვიერად სთხოვეს, რომ წერილობით ჩამოეყალიბებინა კითხვები და პროკურატურა მისი შესაძლებლობის ფარგლებში გასცემდა პასუხს. ავტორის მომდევნო წერილში (2020 წლის 13 აპრილის განცხადება N 01/13-29983) დასმულ იქნა შემდეგი კითხვები: „1. იმისთვის, რომ პირი ცნოთ დაზარალებულად, რა წინაპირობების არსებობას მიიჩნევთ აუცილებლად? 2. რატომ არ ხდება ხოლმე პირის დაზარალებულად ცნობა დანაშაულის შესახებ შეტყობინების გაკეთებიდან მოკლე დროში? 3. რატომ უკავშირებს საქართველოს პროკურატურა დაზარალებულად ცნობას სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებას? 4. თქვენი აზრით, საჭირო არის თუ არა პროკურორის მიერ დადგენილებით პირის დაზარალებულად ცნობა? თუ წარმოგიდგენიათ, რომ ყოველგვარი დადგენილების გარეშე, პირი დანაშაულის შესახებ შეტყობინების გაკეთებისას უკვე მიიჩნეოდეს დაზარალებულად?“. საქართველოს პროკურატურამ მიიჩნია, რომ განცხადებაში დასმული კითხვები წარმოადგენდა კანონის განმარტებას, რაც ცილდება პროკურატურის კომპეტენციას (საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 14 აპრილის წერილი N13/21551). ავტორი კვლავ მიიჩნევს, რომ განცხადებაში ჩამოყალიბებული კითხვები შეეხება პროკურატურაში ჩამოყალიბებულ პრაქტიკას და პროკურატურა თავს არიდებს კითხვაზე პასუხის გაცემას.

მაგალითად, 2015 წელს ერთ-ერთ საქმეზე, დაზარალებულად ცნობაზე უარის თქმის დადგენილებაში მითითებულია, რომ „საქმეში მოპოვებული მტკიცებულებები არ გვაძლევს საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ გ.თ-ს მიადგა ზიანი, რაც გახდებოდა დაზარალებულად ცნობის საფუძველი“.³⁴⁸ აქედან ჩანს, რომ მოცემული პროკურორისთვის დაზარალებულად ცნობისთვის გადამწყვეტი იყო დანაშაულის მსხვერპლისთვის მიყენებული ზიანი.

განხილული შემთხვევისგან განსხვავებული ხედვა ვლინდება სისხლის სამართლის სხვა საქმეში, სადაც ზემდგომმა პროკურორმა იმ საფუძველით არ მიანიჭა პირს დაზარალებულის უფლებამონაცვლის სტატუსი, რომ „არ არსებობს ის წინაპირობები, რომელიც დააკმაყოფილებდა ვარაუდს, რომ შესაძლოა, ჩადენილი იყოს სისხლის სამართლის დანაშაული“. აღნიშნულმა პროკურორმა დაზარალებულად ცნობა დანაშაულის არსებობას მიაბა და არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მხოლოდ სასამართლოს კომპეტენციას მიეკუთვნება იმის გადამწყვეტა, ადგილი ჰქონდა თუ არა დანაშაულს.³⁴⁹

ნორმის ბუნდოვანებისა და არაერთგვაროვანი პრაქტიკიდან გამომდინარე ასევე დიდ პრობლემას წარმოადგენს სსკ-ის 115-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთან (თვითმკვლელობამდე მიყვანა) დაკავშირებით დაზარალებულად ცნობა. მიუხედავად იმისა, რომ საქმე ეხება დანაშაულის ერთი და იმავე კატეგორიას, პროკურატურა მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ წყვეტს ცნოს თუ არა მსხვერპლი ან მსხვერპლის ახლობელი დაზარალებულად ან დაზარალებულის უფლებამონაცვლედ.³⁵⁰ შესაბამისად, შესაძლებელია, რომ გარდაცვლილი შვილის დედა პროკურატურის დისკრიმინაციული მიდგომის საფუძველზე, ვერ ჩაერთოს პროცესში და საერთოდ ვერ მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ.

მაგალითად, 2013-2019 წლებში სახალხო დამცველის წინადადების საფუძველზე დაიწყო 107 საქმეზე გამოძიება და ამდენ საქმეში მხოლოდ ერთი პირი ცნეს

³⁴⁸ საია: დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში (საქართველოში არსებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და საერთაშორისო მიდგომები), თბილისი, 2016, გვ. 11, <<https://gyla.ge/files/news/2016%20წლის%20გამოცემა/dazaralebulis%20uflebebi.pdf>>, [16.06.2020].

³⁴⁹ იქვე, გვ. 14.

³⁵⁰ შეად. იქვე, გვ. 12.

დაზარალებულად.³⁵¹ ასევე სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შემთხვევაში პრობლემურია მსხვერპლის დაზარალებულად ცნობა.³⁵² სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ გასულ წლებში სამთაწყაროში, ნიგვზიანში, წინწყაროში, ქობულეთსა და ადიგენის სოფელ მოხეში მუსლიმი მოსახლეობის მიმართ ადგილი ჰქონდა სავარაუდო დანაშაულის ჩადენის ფაქტს. წინწყაროსა და ნიგვზიანში მომხდარ ინციდენტებთან დაკავშირებით გამოძიება შეწყდა, ვინაიდან სახეზე არ იყო სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება. დანარჩენ შემთხვევებში კი გამოძიება გრძელდება, თუმცა სახალხო დამცველის ანგარიშის გამოქვეყნების დროისათვის, დაზარალებულად არავინ იყო ცნობილი.³⁵³

გარდა ამისა, პროკურატურის ოფიციალური ვებ-გვერდზე ერთ დიაგრამაზე მოცემულია სტატისტიკური მონაცემები სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებასა და დაზარალებულად ცნობის შესახებ.³⁵⁴ აღნიშნული მიუთითებს, რომ პროკურატურა დაზარალებულად ცნობას უკავშირებს პირის ბრალდებულად ცნობას. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის ჩართვა მხოლოდ პირის ბრალდებულად ცნობის შემდეგ სრულიად გაუმართლებელია. ხშირად გამოძიების დაწყება და პირისთვის ბრალის წაყენება დროში ერთმანეთს არ ემთხვევა. არის შემთხვევები, როდესაც პირის ბრალდებულად ცნობა ხდება გამოძიების დაწყებიდან რამდენიმე თვის შემდეგ.³⁵⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი კი დაზარალებულს ანიჭებს რიგ უფლებებს, რომელთა გამოყენება მას გამოძიების დაწყებისთანავე შეუძლია. მაგალითად ინფორმაციის მიღების უფლება, საქმის მასალების გაცნობის უფლება, რომლებიც მიეკუთვნებიან უმნიშვნელოვანეს უფლებათა კატეგორიას. შესაბამისად,

³⁵¹ საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 14, <<https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf>>, [20.06.2021].

³⁵² საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 182, <<https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf>>, [20.06.2021].

³⁵³ საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 218, <<https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf>>, [20.06.2021].

³⁵⁴ საქართველოს პროკურატურის ოფიციალური ვებ-გვერდი, მონაცემები სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, დევნის შეწყვეტისა და პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ: <<http://pog.gov.ge>>, [18.05.2020].

³⁵⁵ ინტერვიუ ადვოკატ ლევან დვალისძე-მელითან, 27/02/2019.

სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის ჩართვა პირის ბრალდებულად ცნობის შემდეგ, ნიშნავს პროკურატურის მიერ დაზარალებულის უფლებების თვითნებურ შეზღუდვას და პროკურატურის მიერ ვალდებულებების შესრულებისაგან თავის არიდების მცდელობას. გარდა ამისა, საერთაშორისო რეგულაციები, განსაკუთრებით გაეროს 1985 წლის დეკლარაცია³⁵⁶ და 2012 წლის დირექტივა მოითხოვენ, რომ დაზარალებული ასეთად იქნეს მიჩნეული, მიუხედავად იმისა, მიმდინარეობს თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა, დაკავებულია თუ არა დამნაშავე ან დაედო თუ არა მას მსჯავრი.³⁵⁷ აღნიშნულ საკითხზე ყურადღებას სახალხო დამცველიც ამახვილებს და გაუმართლებლად მიიჩნევს მხოლოდ პირის ბრალდებულად ცნობის შემდეგ მსხვერპლისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭებას.³⁵⁸

მაგრამ სისხლისსამართლებრივი დევნის დანყების შემთხვევაშიც, მიმდინარე საქმეთა რაოდენობა აღემატება დაზარალებულად ცნობილ პირთა რაოდენობას, პროკურატურის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, 2019 წლის იანვარში სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1270 პირის მიმართ, ხოლო დაზარალებულად ცნობა მოხდა 1089 შემთხვევაში, ანუ 181 პირი არ იქნა დაზარალებულად ცნობილი, 2019 წლის თებერვალში დევნა დაიწყო 1551 პირის მიმართ, დაზარალებულად ცნობა კი მოხდა 1022 პირის, ანუ 529 პირი არ იქნა ასეთად ცნობილი. 2019 წლის მარტში დევნა დაიწყო 1566, დაზარალებულად კი ცნეს 1207 პირი, ანუ 359 არ ცნეს. ხოლო 2019 წლის აპრილში დევნა დაიწყო 1529 პირის მიმართ, ხოლო დაზარალებულად ცნეს 1113, ანუ დაზარალებულად ცნობის გარეშე დარჩა 416 პირი.³⁵⁹

უფრო მძიმე სურათი ვლინდება, როცა ერთმანეთს ვადარებთ დაზარალებულად ცნობილ პირთა რაოდენობას და რეგისტრირებულ და გახსნილ დანაშაულთა რაოდენობას.


³⁵⁶ Lindgren, M., Nikolić-Ristanović, V.: Crime Victims: International and Serbian Perspective, Belgrade, 2011, p. 20.

³⁵⁷ Victims' Directive, Recital 19.

³⁵⁸ საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 214, <<https://drive.google.com/file/d/19AjSGIOHEQkzj0HV-rxQ56sXgFxF0E6d7/view>>, [20.06.2021].

³⁵⁹ საქართველოს პროკურატურის ოფიციალური ვებ-გვერდი, მონაცემები სისხლისსამართლებრივი დევნის დანყების, დევნის შეწყვეტისა და პირის დაზარალებულად ცნობის შესახებ: <<http://pog.gov.ge>>, [18.05.2020].

ქვევით მოცემულია დიაგრამა, სადაც ასახულია სტატისტიკური ინფორმაცია 2016-2020 წლებში რეგისტრირებული დანაშაულის, გახსნილი დანაშაულისა და დაზარალებულად ცნობილ პირთა შესახებ.³⁶⁰



მოცემული სტატისტიკიდან ვლინდება, რომ რეგისტრირებული დანაშაული მკვეთრად აღემატება დაზარალებულად ცნობის მაჩვენებელს. აქ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ვიქტიმოლოგიაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში ითქვა, რომ არ არსებობს დანაშაული დაზარალებულის გარეშე, დანაშაულით ყოველთვის ხდება ვილაცის სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა.³⁶¹ შესაბამისად, წესით და რიგით, რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობა და დაზარალებულად ცნობილ პირთა რაოდენობა იდენტური უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, თუ ვინ გახდა დანაშაულის მსხვერპლი - ფიზიკური პირი, იურიდიული პირი თუ სახელმწიფო. ყველა შემთხვევაში

³⁶⁰ შსს, საქართველოში 2016-2017 წლებში რეგისტრირებული და გახსნილი დანაშაულის სტატისტიკა: <<https://info.police.ge/uploads/5a90003a68923.pdf>>, [02.08.2021]; შსს, საქართველოში 2018-2019 წელს რეგისტრირებული და გახსნილი დანაშაულის სტატისტიკა: <<https://info.police.ge/uploads/5e3a6b603887b.pdf>>, [02.08.2021]; შსს, საქართველოში 2020 წელს რეგისტრირებული და გახსნილი დანაშაულის სტატისტიკა: <<https://info.police.ge/uploads/60129cf62e974.pdf>>, [02.08.2021]; საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 19 აპრილის წერილი N13/23048; საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 28 ივლისის წერილი N13/45795.

³⁶¹ შალიკაშვილი, მ.: ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი, 2011, გვ. 15.

აუცილებელია, რომ საქმეში იდენტიფიცირებული და ჩართული იყოს დაზარალებული. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამეცნიერო ლიტერატურაში ჯერ კიდევ 1992 წელს ითქვა, რომ დანაშაულის ჩადენის მომენტშივე ხდება პირის ვიქტიმიზაცია, ამიტომ, ერთდროულად უნდა ხდებოდეს სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და მსხვერპლის დაზარალებულად ცნობა.³⁶² საქართველოში კი აღნიშნულის სრულიად საპირისპირო სურათი გვაქვს. პროცენტულად გამოდის, რომ 2016-2020 წლებში რეგისტრირებული დანაშაულის შემთხვევაში, საშუალოდ 26,5%-ში მოხდა პირის დაზარალებულად ცნობა, დანარჩენ 73,5%-ში დაზარალებული პროცესიდან სრულიად გარიყული დარჩა. კიდევ უფრო გაუგებარი სურათი გვაქვს გახსნილი დანაშაულის შემთხვევაში. დიაგრამიდან ჩანს, რომ განხილულ წლებში მთლიან ჯამში გახსნილია 104053 საქმე, ანუ ყველა მათგანში იდენტიფიცირებულია დამნაშავე, მაგრამ დაზარალებული გვყავს 66948 საქმეში, ანუ გახსნილ დანაშაულთა 64,3%-ში. შესაბამისად, გახსნილი დანაშაულის 35,7% -ში არ გვყავს დაზარალებული. ასეთი მიდგომა დაზარალებულის კუთხით სრულიად გაუმართლებელია.

საქართველოში მოქმედი მექანიზმის პრობლემური ხასიათი სხვა მიმართულებებითაც ვლინდება, რაზეც ქვევით იქნება საუბარი.

1.4.2.2.1. პირველადი ინფორმირების პრობლემა

სსსკ-ის 56-ე მუხლის 5¹ ნაწილის მიხედვით, დაზარალებულს პროკურორი მხოლოდ მაშინ განუმარტავს უფლებებს, როცა იგი მას დაზარალებულად ცნობს. სსსკ-ით პროკურორისთვის არ არის რაიმე ვადა დაწესებული, რომლის განმავლობაშიც მან თავისი ინიციატივით უნდა ცნოს მსხვერპლი დაზარალებულად. ერთადერთი ვადა რომელსაც კოდექსი იცნობს, მოქმედებს მაშინ, როდესაც მსხვერპლის დაზარალებულად ცნობა ხდება მსხვერპლის ინიციატივით. ამ შემთხვევაში, პროკურორი ვალდებულია მსხვერპლის მიერ განცხადების წარდგენიდან 48 საათის განმავლობაში მიიღოს დადგენილება დაზარალებულად ცნობის ან არცნობის შესახებ. ყველა სხვა შემთხვევაში პროკურორი დროში არ იზღუდება. სამწუხაროდ, მოცემულმა ნორმამ პრაქტიკაში დიდი

³⁶² ხატიაშვილი, გ.: სისხლის სამართლის პროცესის ევროპეიზაცია და დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, XII, 2019, გვ. 68, <<https://clr.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2020/05/goga-khatiashvili-gv.52-75.pdf>>, [14.07.2021].

წინააღმდეგობები წარმოშვა. პრაქტიკაში არ არსებობს ერთგვაროვანი მიდგომა, თუ როდის უნდა მოხდეს მსხვერპლის ცნობა დაზარალებულად, ამიტომ ზოგის ცნობა ხდება გამოძიების დაწყებისთანავე, ზოგის პირის ბრალდებულად ცნობის შემდეგ, ზოგის საერთოდ არ ხდება.³⁶³ შესაბამისად, ზოგ მსხვერპლს უკვე გამოძიების დაწყებისთანავე განემარტება, თუ რა უფლებები აქვს, ზოგს - პირის ბრალდებულად ცნობის შემდეგ, ზოგს კი საერთოდ არ განემარტება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ძალიან ბევრი მსხვერპლი რჩება ინფორმაციულ ვაკუუმში და თვეების განმავლობაში საერთოდ არ იცის, თუ რა უფლებები აქვს პროცესში, რაც ხელს უშლის მისთვის კანონით მინიჭებული უფლებების რეალიზაციაში.³⁶⁴

საკითხის მსგავსი მონესრიგება უხეშ შეუსაბამობაში მოდის საერთაშორისო სტანდარტებთან. 2012 წლის დირექტივის მე-4 მუხლი მოითხოვს, რომ დაზარალებულს გარკვეული ინფორმაცია მიენდოს დაუყოვნებლივ, შესაბამის უწყებებთან პირველივე კონტაქტისთანავე. ეს ინფორმაცია შეიძლება შეეხებოდეს მხარდაჭერის სერვისებზე წვდომას, დანაშაულის შესახებ განაცხადის გაკეთებას, დაცვის ღონისძიებებს, იურიდიულ დახმარებას, კომპენსაციის მიღებას, დოკუმენტების თარგმნასა და თარჯიმნის მომსახურებას, დაზარალებულის უფლებების დარღვევის შემთხვევაში გასაჩივრების პროცედურას, მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე შესაბამისი უწყებისა და მისი წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაციას, აღდგენით მართლმსაჯულებასა ან განუული ხარჯების ანაზღაურებას. დირექტივის თანახმად, დაზარალებულის ინფორმირება წარმოადგენს მისდამი პატივისცემით მოპყრობის უმნიშვნელოვანეს გამოხატულებას და თუ არ მოხდება მისი ინფორმირება, არსებობს მისი მეორეული ვიქტიმიზაციის რისკები.³⁶⁵

დირექტივის გარდა, დაზარალებულის კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილებაზე ამხვილებს ყურადღებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო და ამბობს, რომ დაზარალებული იმ მოცულობით უნდა იყოს პროცესში ჩართული, რაც აუცილებელია მისი

³⁶³ ინტერვიუ ადვოკატ ლევან დვალისძე-მელითან, 27/02/2019.

³⁶⁴ *თანდილაშვილი, ბ.*: დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა და ევროპული სტანდარტები, ნაშრომში: *თუმანიშვილი, გ., ჯიშკარიანი, ბ., შრამი, ე.* (რედ.): ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, თბილისი, 2019, გვ. 324.

³⁶⁵ Victims' Directive, Recital 26.

ინტერესების დაკმაყოფილებისთვის.³⁶⁶ რა თქმა უნდა დაზარალებულის უპირველესი ინტერესია, რომ მიიღოს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ, რათა შემდეგ შეძლოს მისი განხორციელება. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად მიიჩნევს, როცა არაპირდაპირი მსხვერპლი (მაგალითად, გაუჩინარებული ადამიანის დედა) გარკვეული პერიოდის განმავლობაში ინფორმაციულ ვაკუუმში რჩება.³⁶⁷

შესაბამისად, აუცილებელია, რომ გაუქმდეს პირის დაზარალებულად ცნობის მექანიზმი. ასეთ შემთხვევაში დაზარალებულს პოლიციასთან პირველივე კონტაქტისთანავე ექნება შესაძლებლობა, მიიღოს ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ, რითაც დაზარალებულები რეალურად შეძლებენ სსსკ-ით გარანტირებული უფლებებით სარგებლობას და მოცემული უფლებები აღარ იქნება მხოლოდ ქაღალდზე დანერგილი სიტყვები.

1.4.2.2.2. წინასაგამოძიებო მოქმედებები როგორც გამოწვევა

სსსკ-ის 100-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში, გამომძიებელი, პროკურორი ვალდებული არიან დაიწყონ გამოძიება. [...]“. შესაბამისად, სსსკ-ის მიხედვით, სისხლის სამართლის პროცესის პირველ ეტაპს წარმოადგენს გამოძიება. თუმცა პრაქტიკაში ეს ესე არ არის. ზოგჯერ, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის მიღებისას, გამომძიებელი იწყებს არა გამოძიებას, არამედ წინასაგამოძიებო მოქმედებებს. აღნიშნული ეტაპი წააგავს ძველად მოქმედი სსსკ-ით გათვალისწინებულ მოკვლევას. ამ დროს ხდება შეტყობინების ინიციატორი პირის გამოკითხვა, ღვება ოქმი. შემდეგ გამომძიებელი არეგისტრირებს წინასაგამოძიებო საქმეს (PRE), რომელშიც ხდება ფაქტზე რეაგირების მასალების თავმოყრა და თუ გამოიკვეთება

³⁶⁶ ECtHR, Siliadin v. France, Appl. No. 73316/01, 26/07/2005; ECtHR, C. N. and V. v. France, Appl. No. 67724/09, 11/10/2012; ECtHR, CN v. United Kingdom, Appl. No. 4239/08, 13/11/2012; ECtHR, Kyprianou v. Cyprus Appl. No. 73797/01, 15/12/2005; ECtHR, Kristiansen v. Norway, Appl. No.1176/10, 17/12/2015; ECtHR, Mocanu and Others v. Romania, Appl. No.10865/09, 17/09/2014; ECtHR, Bouyid v. Belgium, Appl. No. 23380/09, 28/09/2015.

³⁶⁷ ECtHR, Kurt v. Turkey, Appl. No. 15/1997/799/1002, 25/05/1998, § 133.

კონკრეტული დანაშაულის ნიშნები, მხოლოდ მაშინ ხდება გამოძიების დაწყება, ხოლო თუ არ გამოიკვეთება დანაშაულის ნიშნები, ხდება საქმის ჩამოწერა.³⁶⁸

წინასაგამოძიებო მოქმედებები ნამდვილად ზოგავს სახელმწიფო რესურსებს, ვინაიდან გამოძიების დაწყება დაკავშირებულია ბევრ ტექნიკურ და ბიუროკრატიულ საკითხთან. გამოძიების დაწყებისას ყველა საქმეს ენიჭება ინდივიდუალური ნომერი და ხდება პროგრამული დამუშავება, გამოძიების შეწყვეტისთვისაც პროკურორის დადგენილების მიღებაა საჭირო. შესაძლებელია დღის განმავლობაში საგამოძიებო ორგანოში 400-მდე შეტყობინება შევიდეს და ყველა მათგანზე რომ დაიწყოს გამოძიება, გამოიწვევს სტრუქტურების პარალიზებას.

თუმცა, მიუხედავად წინასაგამოძიებო მოქმედების დადებითი მხარისა, იგი ძალიან პრობლემურია დაზარალებულისთვის. პრობლემას წარმოადგენს ის, რომ გამოძიებლის მოქმედებები საპროცესო კოდექსის მოქმედების ფარგლებში არ ხვდება, შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმე ოფიციალურად არ არის დაწყებული და მსხვერპლს დაზარალებულის სტატუსი არ გააჩნია. შესაბამისად, მსხვერპლი წინასაგამოძიებო მოქმედებისას სრულიად უუფლებო ფიგურად რჩება. მას იმის უფლებაც კი არ აქვს, გაიგოს დაიწყება თუ არა გამოძიება. ეს კიდევ უფრო ამძიმებს დანაშაულის მსხვერპლის მდგომარეობას, რომელსაც უკვე დაწყებულ სისხლის სამართლის საქმეშიც კი უჭირს დაზარალებულის სტატუსის მიღება და იმ მწირი უფლებებით სარგებლობა, რაც სსსკ-ით აქვს მინიჭებული.

შეტამების სახით შეიძლება ითქვას, რომ დაზარალებულად ცნობის მექანიზმი წარმოადგენს დიდ პრობლემას. იგი წარმოადგენს საბჭოთა კავშირის საპროცესო სამართლიდან ჩარჩენილ ნორმას და არ შეესაბამება სამართლებრივ სახელმწიფოში მოქმედ სამართლებრივ წესრიგსა და საერთაშორისო სტანდარტებს. აღნიშნული მექანიზმით საქართველო დაზარალებულს პროცესის დაწყებისთანავე უცხადებს უნდობლობას და ახდენს არა მხოლოდ მის მეორეულ, არამედ მეოთხეულ ვიქტიმიზაციასაც, ვინაიდან დაზარალებულად არცნობა პირდაპირ მიუთითებს დანაშაულის მსხვერპლად გახდომის ფაქტის უგულებელყოფაზე.

³⁶⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 31 იანვრის განაჩენი N 1/1743-15, #074011114802, გვ. 9.

ასევე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სსსკ-ის მე-3 მუხლის მე-22 ნაწილში მოცემული დაზარალებულის ცნება პრაქტიკაში საერთოდ არ გამოიყენება, ანუ „სათანადო საფუძველი“ არასდროს არის დაზარალებულის ცნების იდენტური. შესაბამისად, დაზარალებულის ცნების არსებობასაც აზრი ეკარგება. წესით და რიგით, დაზარალებულის ცნების მიზანია, რომ საგამოძიებო და სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებს დაეხმაროს იმის გადაწყვეტაში, არის თუ არა პირი დაზარალებული. მაგრამ იმიტომ, რომ საქართველოს კანონმდებლობა დაზარალებულის ცნებასთან ერთად, პროკურატურას გაურკვეველ „სათანადო საფუძველი“ სტანდარტს უდგენს, პროცესში დაზარალებულად ჩართვა დამოკიდებულია პროკურორის ნება-სურვილზე და მის გაურკვეველ პოზიციაზე. აღნიშნული კი განაპირობებს პროკურატურის თვითნებობასა და დაზარალებულის უფლებების მასიურ დარღვევას. შესაბამისად, დაზარალებულად ცნობის მექანიზმი სსსკ-ის მე-3 მუხლის 22-ე ნაწილში მოცემულ დაზარალებულის ცნებას მკვედარ ნორმად ხდის, ვინაიდან ეს უკანასკნელი პრაქტიკაში ძირითადად არ გამოიყენება. სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილში განმტკიცებული ნორმა თავისი ბუნდოვანებიდან გამომდინარე ვერ აკმაყოფილებს განჭვრეტადობის მოთხოვნას, რაც განაპირობებს პროკურატურის მახინჯ პრაქტიკას და დაზარალებულის უფლებების მასიურ დარღვევას. იგი შეუსაბამობაში მოდის სოციალური სახელმწიფოს პრინციპთან, ასევე ლახავს დაზარალებულის ღირსებას, ინფორმაციის მიღების უფლებას და ხელს უშლის სხვა უფლებების რეალიზებაში. აქედან გამომდინარე, დაზარალებულად ცნობის მექანიზმი ახდენს მსხვერპლის მეორეულ და მეოთხეულ ვიქტიმიზაციას. შესაბამისად, აუცილებელია, რომ გაუქმდეს დაზარალებულად ცნობის მექანიზმი და პირი დაზარალებულად იქნეს მიჩნეული დანაშაულის შესახებ განაცხადის გაკეთების მომენტიდანვე. აღნიშნული მოდელი მისცემს მას შესაძლებლობას, რომ ინფორმირებული იყოს მისი უფლებების შესახებ და მიიღოს ინფორმაცია პროცესის მიმდინარეობის შესახებ.³⁶⁹ შეიძლება მოცემული იდეის მონინაალმდეგეების არგუმენტი იყოს, რომ პროვოკატორი მსხვერპლები ბოროტად გამოიყენებენ თავიანთ უფლებებს და საფრთხეს შეუქმნან სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ეფექტურ

³⁶⁹ *Brienen, M., Hoegen E.: Victim of Crime in 22 European Criminal Justice Systems: The Implementation of Recommendation (85) 11 of the Council of Europe on the Position of the Victim in the Framework of Criminal Law and Procedure, Nijmegen, 2000, p. 30.*

განხორციელებას, თუმცა მოცემული არგუმენტის საწინააღმდეგოდ უნდა აღინიშნოს, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში დაუშვებელია პროვოკატორი მსხვერპლების ხარჯზე კეთილსინდისიერი მსხვერპლების პროცესიდან გარიყვა და ამით პროცესის „ეფექტურობის“ შენარჩუნება.³⁷⁰ ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გამოძიების დაწყებისთანავე მსხვერპლის დაზარალებულად მიჩნევის მოდელი საერთაშორისო დონეზე მიიჩნევა საუკეთესო მოდელად და საქართველოში მოცემული მოდელის დამკვიდრებით საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი მოვა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში.³⁷¹

2. პატივისცემითა და ღირსეულად მოპყრობის უფლება

2.1. საერთაშორისო სტანდარტი

როგორც უკვე ნაშრომის თავი II-ის § 5.1-ში აღინიშნა, პატივისცემითა და ღირსეულად მოპყრობა წარმოადგენს დაზარალებულის საბაზისო საჭიროებას. კვლევების თანახმად, პატივისცემით, ღირსეულად და თავაზიანად მოპყრობა დაზარალებულში იწვევს აღიარების განცდას.³⁷² შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ორგანოების წარმომადგენლებთან ურთიერთობისას დაზარალებულები გრძნობდნენ თანადგომასა და მხარდაჭერას. მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებისთვის სწორედ რომ თავაზიანი მოპყრობა წარმოადგენს პირველ ნაბიჯს.³⁷³

მაგალითისთვის, პრაქტიკაში პატივისცემითა და თავაზიანად მოპყრობა გამოიხატება დაზარალებულისთვის საკმარისი დროის დათმობაში. დაზარალებულს არ

³⁷⁰ *Hilf, M.J.*: Neue Maßstäbe durch die Eu-RL über Mindeststandards für die Rechte, die Unterstützung und den Schutz von Opfern von Straftaten? ნაშრომში: *Sautner, L., Jesionek, U.* (Hrsg.): Opferrechte in Europäischer, Rechtsvergleichender und Österreichischer Perspektive, Viktimologie und Opferrechte: Schriftenreihe der Weisser Ring, Forschungsgesellschaft Bd. 8, Innsbruck, 2017, S. 21-22.

³⁷¹ *Brienen, M., Hoegen E.*: Victim of Crime in 22 European Criminal Justice Systems: The Implementation of Recommendation (85) 11 of the Council of Europe on the Position of the Victim in the Framework of Criminal Law and Procedure, Nijmegen, 2000, p. 30.

³⁷² *Cyr, K.*: Empowerment et Système de Justice Pénal: L'expérience des Victimes d'actes Criminels, Montréal, 2008, p. 27.

³⁷³ *Cyr, K.*: Empowerment et Système de Justice Pénal: L'expérience des Victimes d'actes Criminels, Montréal, 2008, p. 27; Loi du Québec sur l'aide aux Victimes d'actes Criminels, Art. 2.

უნდა გაუჩნდეს განცდა, რომ მას აჩქარებენ და უნდათ, რომ მალე წავიდეს. პატივისცემით მოპყრობა ასევე გამოიხატება დანაპირების შესრულებაში. მაგალითად, თუ პროცესში ჩართული მოხელე დაზარალებულს შეჰპირდება რომ დაურეკავს ან მიაწვდის ინფორმაციას, მან უნდა შეასრულოს თავის დანაპირები.³⁷⁴ თუმცა პრაქტიკაში დაზარალებულისადმი პატივისცემით მოპყრობა დიდ პრობლემას წარმოადგენს. როგორც წესი, სისხლის სამართლის პროცესში ჩართული მოხელეები ყურადღებას არ აქცევენ დაზარალებულისადმი მათ ქცევასა და დამოკიდებულებას. ისინი ძირითადად დაკავებულნი არიან ბრალდებულთა ან დანაშაულის ირგვლივ არსებულ გარემოებების გამოკვლევით, რის გამოც დაზარალებული ყურადღების მიღმა რჩება. დაზარალებულისთვის კი ასეთი დამოკიდებულება ასოცირდება უპატივცემულო მოპყრობასა და მის უარყოფასთან.³⁷⁵ სწორედ ამიტომ, დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია პასუხისმგებელი მოხელეების და უწყებების დამოკიდებულების შეცვლა და მათი მხრიდან დაზარალებულისადმი პატივისცემის გამოვლენა. ასევე, მათ დადებით განწყობას ზურგს უნდა უმაგრებდეს დაზარალებულთან დაკავშირებული საკითხების ცოდნა.³⁷⁶ შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ცოდნისა და დაზარალებულის საჭიროებების გააზრების გარეშე პრაქტიკაში რთულიც კი არის დამოკიდებულების შეცვლა.³⁷⁷

საერთაშორისო რეგულაციებში ღირსებითა და პატივისცემით მოპყრობის აუცილებლობა სათანადოდ იქნა გათვალისწინებული. ფაქტიურად არ არსებობს დაზარალებულთან დაკავშირებით მიღებული საერთაშორისო აქტი, რომ არ კეთდებოდეს აქცენტი პატივისცემით მოპყრობაზე. პირველად მასზე ჩანაწერი 1985 წლის დეკლარაციაში გაჩნდა. აღნიშნულის მე-4 მუხლის თანახმად, მსხვერპლებს აქვთ უფლება ეპყრობოდნენ პატივისცემითა და ღირსებით.³⁷⁸ ევროპის საბჭოს 1985 წლის რეკომენდაციაშიც ხაზგასმით

³⁷⁴ *Victim Support Europe: EU Handbook for Policy and Best Practice in relation to Victims of Crime*, 2012, p. 7, <http://victimsupporteurope.eu/activeapp/wp-content/files_mf/1353929035EUHandbook.pdf>, [26.06.2020].

³⁷⁵ *Weisser Ring Stiftung: Belastungen von Opfern in Ermittlungsverfahren*, Forschungsbericht, Nierstein, 2017, S. 60.

³⁷⁶ *Groenhuijsen, M.S.: The Draft UN Convention on Justice and Support for Victims of Crime: With Special Reference to Its Provisions on Restorative Justice*, IAC, Vol. 46, Iss. 1/2, 2008, p. 122.

³⁷⁷ *Victims' Directive*, Art. 25.

³⁷⁸ *Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power*, Art. 4.

არის აღნიშნული, რომ აუცილებელია პოლიციის წარმომადგენლების დატრენინგება, რათა შეძლონ დაზარალებულების თავაზიანად, კონსტრუქციულად და თანაგრძნობით მოპყრობა.³⁷⁹ ევროპის საბჭოს 2006 წლის რეკომენდაციაც ეხება ამ საკითხს და აღნიშნავს, რომ სახელმწიფოები ვალდებული არიან პატივი სცენ დაზარალებულის ღირსებასა და პირად ცხოვრებას.³⁸⁰ რაც შეეხება ევროკავშირის დონეზე მიღებულ აქტებს, 2001 წლის ჩარჩო გადანყვეტილების მე-2 მუხლი ეხება დაზარალებულის პატივისცემასა და აღიარებას. მოცემული მუხლის თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა მიმართონ ყველა ზომას, რათა სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულებს მოეპყრნენ ღირსეულად და პატივისცემით.³⁸¹ 2012 წლის დირექტივაშიც, კერძოდ, მის პრეამბულასა და მის პირველივე მუხლშივეა აღნიშნული, რომ დაზარალებულებს უნდა მოეპყრან პატივისცემით, თანაგრძნობითა და მაღალ პროფესიონალურ დონეზე, როგორც ინფორმაციის მიწოდებისას, ისე პროცესის ყველა სტადიაზე.³⁸² დირექტივა ხაზს უსვამს, რომ დაზარალებულის მეორეული ან ხელახალი ვიქტიმიზაციის არიდება შესაძლებელია, თუ პროცესი წარიმართება კოორდინირებულად, სადაც დაზარალებულებს მოექცევიან პატივისცემით და დაზარალებულს გაუჩნდება ნდობა მართლმსაჯულების სისტემის მიმართ.³⁸³

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო რეგულაციების მოთხოვნებმა ასახვა ჰპოვეს თანამედროვე სახელმწიფოების კანონმდებლობაში. მაგალითად, კანადაში, კვებეკის პროვინციაში 1988 წელს სწორედ 1985 წლის დეკლარაციის გავლენით მიიღეს კანონი დაზარალებულის დახმარების შესახებ, რომლის პირველი მუხლის თანახმად, დაზარალებულს უფლება აქვს ეპყრობოდნენ თავაზიანად, სამართლიანად და პატივისცემით.³⁸⁴ 2015 წელს კი კანადაში მიღებულ იქნა დაზარალებულის უფლებების ქარტია, რომლის პრეამბულაშივე აღნიშნულია, რომ დაზარალებული და მისი ოჯახის

³⁷⁹ Recommendation No. R (85) 11, par. I-A-1.

³⁸⁰ Recommendation Rec (2006) 8, par. 2.1.

³⁸¹ Framework Decision 2001/220/JHA, Art. 4; *Groenhuijsen, M.S., Pemberton, A.*: The EU Framework Decision for Victims of Crime, Eur. J. Crime Crim. Law. Crim. Justice, Vol. 17, Iss. 1, 2009, p. 45.

³⁸² Victims' Directive, Recital 9, 26, 61, Art.1.

³⁸³ იქვე, Recital 53.

³⁸⁴ *Cyr, K.*: Empowerment et Système de Justice Pénal: L'expérience des Victimes d'actes Criminels, 2008, p. 37; Loi du Québec sur l'aide aux Victimes d'actes Criminels, Art. 1.

წევრები იმსახურებენ თავაზიან, თანაგრძნობითა და პატივისცემით მოპყრობას, სწორედ ისეთს, როგორც შეესაბამება მათ ღირსებას.³⁸⁵ აშშ-ში დაზარალებულის უფლებების აქტივ ანიჭებს დაზარალებულს უფლებას, რომ ეპყრობოდნენ სამართლიანად და პატივისცემით, როგორც შეეფერება მის ღირსებასა და პირად ცხოვრებას.³⁸⁶ დიდ ბრიტანეთში დაზარალებულის კოდექსშიც დაზარალებულის მიმართ თავაზიანად და პატივისცემით მოპყრობის აუცილებლობაზე მრავალჯერ არის მითითებული. კოდექსი პატივისცემით მოპყრობას ავალდებულებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში ჩართულ ყველა უწყებასა თუ მოხელეს.³⁸⁷ ასევე მოითხოვს ავსტრალიაში დაზარალებულის მიმართ მოქმედი ქარტიები და დეკლარაციები, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების წარმომადგენლები დაზარალებულებს მოეცნენ პატივისცემით, თანაგრძნობითა და ღირსებით, ამასთან გაითვალისწინონ მათი კულტურული თავისებურებები.³⁸⁸

2.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა

სსსკ-ში ცალკე ნორმით არ არის მოცემული დაზარალებულისადმი პატივისცემითა და ღირსებით მოპყრობის უფლება. თუმცა სსსკ-ის მე-4 მუხლში პრინციპების დონეზე განმტკიცებულია პროცესის მონაწილეთა ღირსების ხელშეუვალობა. მოცემული ნორმის მიხედვით, პროცესის მონაწილეები ვალდებულნი არიან დაიცვან პროცესის სხვა მონაწილეების ღირსება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. თავისთავად აღნიშნული ნორმა ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი ქმნის საფუძველს იმისა, რომ დაზარალებულს მოეპყრონ პატივისცემითა და ღირსებით.

³⁸⁵ Charte Canadienne des Droits des Victims, Préambule, *Wemmers, J.A., Cyr, K.*: Les besoins des Victimes dans le Système de Justice Criminelle, Montréal, 2006, p. 16.

³⁸⁶ CVRA, a (8); *Cassell, P. G.*: Treating Crime Victims Fairly: Integrating Victims into the Federal Rules of Criminal Procedure, Utah L. Rev., No. 4. 2007, p. 875.

³⁸⁷ Code of Practice for Victims of Crime of England and Wales, Introduction, par. 1, Chapter 2: Adult Victims, par. 3.3, 9.1, Chapter 3: Children and Young People: par. 3.1, 9.2, Chapter 5: Duties on other Service Providers, par. 1.1, 1.49.

³⁸⁸ *O'Connell, M.*: Victims' Rights: Integrating Victims in Criminal Proceedings, Commissioner for Victims' Rights, South Australia, p. 3, <<https://aija.org.au/wp-content/uploads/2017/08/OConnell2.pdf>>, [22.07.2020].

პატივისცემითა და ღირსებით მოპყრობის შესახებ ჩანაწერი გვხვდება საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსში,³⁸⁹ რომლის 6.9 პუნქტის მიხედვით, „პოლიციელი უნდა დაეხმაროს დანაშაულის მსხვერპლს უშუალოდ საკუთარი ძალებით, მოექცეს მას გულისხმიერად და კორექტულად, პატივი სცეს მის ღირსებას, შეძლებისდაგვარად გაითვალისწინოს მისი ინტერესები, გამოხატოს მის მიმართ თანაგრძნობა და იზრუნოს იმაზე, რომ დაზარალებულმა მაქსიმალურად კომფორტულად და დაცულად იგრძნოს თავი და არავინ შელახოს მისი თავმოყვარეობა.“. თუ პოლიციელი დაარღვევს მოცემულ ნორმას, მას დაეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა.³⁹⁰

დაზარალებულისთვის აღნიშნული ჩანაწერი ძალიან მნიშვნელოვანია და მიუთითებს სახელმწიფოს მხრიდან დანაშაულის მსხვერპლზე ზრუნვაზე. თუმცა შსს არ ახორციელებს სტატისტიკურ აღწერას იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი დისციპლინური სამართალწარმოება დაინყო მოცემული მუხლით, ამიტომ უცნობია, თუ პრაქტიკაში რამდენად ეფექტურად მუშაობს ნორმა.³⁹¹

უშუალოდ დაზარალებულის შესახებ ჩანაწერს ვერ ვხვდებით „საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსში“.³⁹² კოდექსის მე-16 მუხლი არეგულირებს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეებთან ურთიერთობას. მისი პირველი ნაწილის თანახმად, პროკურორი პროცესის მონაწილეებთან ურთიერთობისას ხელმძღვანელობს მოცემული „კოდექსით, შიდაუნწყებრივი ნორმებითა და სტანდარტებით, რომელიც მიმართულია სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე მხარეთა მიმართ ეთიკური და პროფესიონალური ქცევის უზრუნველყოფისკენ“. მოცემული მუხლის მე-2 ნაწილი კი ძირითადად ეხება საქმის განმხილველ მოსამართლესთან ურთიერთობისას და პროცესის მონაწილეების მიმართ განსაკუთრებით კეთილგანწყობილი ან აშკარად ნეგატიური დამოკიდებულებების გამოხატვას.

³⁸⁹ საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსი დამტკიცებულია „საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზოგიერთ მოსამსახურეთა ქცევის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N 999 ბრძანებით.

³⁹⁰ საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსი, თავი 8.

³⁹¹ შსს-ს 2020 წლის 17 იანვრის წერილი N MIA 1 20 00131595.

³⁹² საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსი, დამტკიცებულია „საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2017 წლის 25 მაისის N 234 ბრძანებით.

რაც შეეხება მოსამართლეთა კორპუსს, საქართველოში მოსამართლეთა მიმართ მოქმედებს საქართველოს სამოსამართლეო ეთიკის წესები, რომლის მე-9 მუხლის მიხედვით, „მოსამართლე ღირსებითა და სათანადო თავაზიანობით უნდა ეპყრობოდეს პროცესის მონაწილეებსა და დამსწრე საზოგადოებას.[...]“.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს მოქმედი ეთიკის კოდექსები დაზარალებულს მეტნაკლებად ანიჭებს უფლებას, რომ პროცესის მონაწილეებისგან, განსაკუთრებით გამომძიებლისა და პროკურორისგან მოითხოვოს მისდამი პატივისცემით მოპყრობა, საქართველოში პატივისცემით მოპყრობა მაინც პრობლემას წარმოადგენს. ამას ადასტურებს საქართველოში 2010 წელს ჩატარებული კვლევა დანაშაულის შესახებ, რომელშიც ჩართული იყო ვიქტიმოლოგი, ჰოლანდიელი პროფესორი *იან ვან დაიკი*.³⁹³ კვლევის შემდეგ, საჯარო განცხადებებში დაიკმა აღნიშნა, რომ „ის ხალხი, ვინც გადაწყვიტა, პოლიციას დაკავშირებოდა, არ არის კმაყოფილი მათი საჩივრისადმი პოლიციის მიდგომით. უფრო მეტი მსხვერპლია აქ უკმაყოფილო პოლიციის მუშაობით, ვიდრე სხვა დასავლეთ ევროპულ ქვეყნებში. ასე რომ, პოლიციამ ამაზე უნდა იფიქროს, მან უნდა გამოასწოროს მსხვერპლთან მოპყრობის თავისი მეთოდები, უნდა იყოს უფრო მეტად ზრდილობიანი და ასევე უნდა მიაწოდოს უფრო მეტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას აკეთებს საქმესთან დაკავშირებით. და თუ ასე მოხდა, პოლიციაში წასული ადამიანების პროცენტული მაჩვენებელი გაიზრდება. ეს არის, მე ვფიქრობ, მნიშვნელოვანი მიზანი აქაური პოლიციისთვის მომავალ წლებში“.³⁹⁴

დაიკის გარდა, პატივისცემით მოპყრობის პრობლემაზე ყურადღებას ამახვილებენ თვით დანაშაულის მსხვერპლები. მათი თქმით, უპატივცემულო მოპყრობა ვლინდება ნებისმიერ ასპექტში, დანაშაულის შესახებ განაცხადის გაკეთებისას, მათთვის ინფორმაციის მიწოდებისას, სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებთან ურთიერთობისას თუ სხვა.³⁹⁵ მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში მსხვერპლ ქ.ვ.-ს მოპარეს საფულე, თუმცა გამომძიებელმა

³⁹³ 2010 წელს საქართველოში დანაშაულის შესახებ ჩატარებულ კვლევასთან დაკავშირებით: <<http://24blog.ge/news/story/16313-evropis-ert-erti-yvelaze-usaftrkho-sakhelmtsifo>>, [01.05.2021].

³⁹⁴ იან ვან დაიკის განცხადებასთან დაკავშირებით: <<https://www.radiotavisupleba.ge/a/2113138.html>>, [01.05.2021].

³⁹⁵ ინტერვიუ თაღლითობის მსხვერპლ ნ.ლ.-თან, 30/03/2020; ინტერვიუ სატრანსპორტო დანაშაულის მსხვერპლ მ.ლ.-თან, 02/10/2019.

მას დაანერჩინა, რომ მან დაკარგა საფულე. მოპარვა და დაკარგვა სამართლებრივად განსხვავებული მოვლენებია. მოპარვა შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, რომელიც აიძულებს საგამოძიებო ორგანოს გამოძიების დაწყებას, ხოლო დაკარგვა არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, ამიტომ არ იწყება გამოძიება. აღნიშნული შემთხვევიდან ჩანს, რომ პოლიციას არ სურს საქმის გამოძიებით თავის გადატვირთვა, ამიტომ იგი თავიდანვე იშორებს დანაშაულის მსხვერპლს, რითაც მის მიმართ უდიდეს უპატივცემულობას გამოხატავს.³⁹⁶ გარდა ამისა, უპატივცემულოდ მოპყრობამ შეიძლება მსხვერპლში გააქროს მართლმსაჯულების ორგანოებთან თანამშრომლობის სურვილი, რაც ხელს შეუშლის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ეფექტურ ფუნქციონირებას. შესაბამისად, სრულიად შესაძლებელია, რომ საქართველოში გაუხსნელ დანაშაულთა მაჩვენებელი პირდაპირ კავშირში იყოს უპატივცემულო მოპყრობასთან. მოცემული მსჯელობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სქესობრივი დანაშაულის შემთხვევაში, ვინაიდან, როგორც წესი, დაზარალებული წარმოადგენს საქმის ერთადერთ მონაწილეს და ის თუ არ ითანამშრომლებს საგამოძიებო ორგანოებთან, მაშინ ნაკლებია დანაშაულის გახსნის ალბათობა. სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლი კი მართლმსაჯულების ორგანოების გულგრილობითა და არათავაზიანი დამოკიდებულებით განიცდის დიდ სოციალურ ზიანს.³⁹⁷ სწორედ აქედან გამომდინარე შეიძლება მას არ მოუხდეს გამოძიებასთან თანამშრომლობა. აღნიშნულ მსჯელობას ამყარებს საქართველოში სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ (სსკ-ის 137-141-ე მუხლები) ჩადენილ დანაშაულთა სტატისტიკა. მაგალითად, 2018 წელს რეგისტრირებულ იქნა 405 დანაშაული, რომელთაგანაც გაიხსნა მხოლოდ 156, ანუ 38,52%.³⁹⁸ 2019 წელს რეგისტრირებულ იქნა 421 დანაშაული, რომელთაგანაც გაიხსნა 192, რაც შეადგენს რეგისტრირებული დანაშაულის 45,61%-ს, ანუ ნახევარზე ცოტა ნაკლებს.³⁹⁹ 2019 წელთან შედარებით კი 2020 წელს იკლო რეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვმა (342 დანაშაული), ასევე ოდნავ იკლო გახსნილ


³⁹⁶ ინტერვიუ ქურდობის მსხვერპლთან ქ.ვ.-თან, 12/10/2018.

³⁹⁷ შალიკაშვილი, მ.: ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი, 2011, გვ. 62-63.

³⁹⁸ შსს, საქართველოში 2018 წელს რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა, <<https://info.police.ge/uploads/5c595f186e358.pdf>>, [10.07.2021].

³⁹⁹ შსს, საქართველოში 2019 წელს რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა, <<https://info.police.ge/uploads/5e3a6b603887b.pdf>>, [10.07.2021].

დანაშაულთა რაოდენობამ (150 დანაშაული, ანუ 43,86%).⁴⁰⁰ მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ რეგისტრირებულ დანაშაულთა ნახევარზე მეტი გაუხსნელი რჩება. აღნიშნული მსჯელობა ვიზუალურად კარგად ჩანს ქვემოთდებარე დიაგრამაზე.



მოცემული ვითარებიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ სსსკ-ის მე-4 მუხლის დანაწესი გაძლიერდეს და კოდექსში ცალკე ნორმით განმტკიცდეს, რომ დაზარალებულს აქვს თავაზიანად და პატივისცემით მოპყრობის უფლება. აღნიშნულ ცვლილებას ექნება მნიშვნელოვანი სამართლებრივი და პრაქტიკული მნიშვნელობა.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ეთიკის კოდექსები მიღებულია მინისტრის ბრძანებით, ანუ იგი წარმოადგენს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტს, ხოლო სსსკ წარმოადგენს საქართველოს საკანონმდებლო აქტს.⁴⁰¹ ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, საქართველოს საკანონმდებლო აქტებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა საქართველოს

⁴⁰⁰ შსს, საქართველოში 2020 წელს რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა, <<https://info.police.ge/uploads/60129cf62e974.pdf>>, [10.07.2021].

⁴⁰¹ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, მე-7 და მე-13 მუხლები.

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ. შესაბამისად, თუ თავაზიანად და პატივისცემით მოპყრობის უფლება განმტკიცდება უფრო მაღალი იერარქიის მქონე აქტში, ამით კიდევ ერთხელ დადასტურდება უფლების დიდი მნიშვნელობა. ამასთან, დაზარალებულისათვის იგი გახდება უფრო განჭვრეტადი და ნათელი.

გარდა ამისა, სსსკ-ში მის განმტკიცებას დიდი მნიშვნელობა ექნება დაზარალებულის ინფორმირებისთვის. დღევანდელი პრაქტიკის მიხედვით, როდესაც ხდება პირის დაზარალებულად ცნობა, მას წერილობით განემარტება სსსკ-ით მინიჭებული უფლებები, შემდეგ ხელს აწერს უფლებების განმარტების ოქმს, რომლის ასლიც მასვე გადაეცემა. შესაბამისად, თუ კოდექსში განმტკიცდება მოცემული უფლება, ეს უფლება აისახება უფლებების განმარტების ოქმშიც და დაზარალებულს ეცოდინება, რომ მას აღნიშნული უფლება კანონით აქვს მინიჭებული. დღევანდელ პირობებში, როდესაც დაზარალებული, როგორც წესი, ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფება და ხშირად ისიც კი არ იცის, სსსკ რა უფლებებს ანიჭებს, რთული წარმოსადგენია, რომ მან იცოდეს, რომ ეთიკის კოდექსებით მას აქვს პატივისცემით მოპყრობის უფლება (გარკვეული მოდიფიცირებით) მინიჭებული.

3. საინფორმაციო ხასიათის უფლებები

როგორც უკვე ნაშრომის თავი II-ის § 5.2-ში აღინიშნა, დაზარალებულს გააჩნია ინფორმაციის მიღების საჭიროება. თუ იგი სისხლის სამართლის პროცესში არ არის სათანადოდ ინფორმირებული, ხდება მისი მეორეული ვიქტიმიზაცია, ხოლო პირიქით, თუ იგი იღებს მისთვის საჭირო ინფორმაციას, იგი თავს გრძნობს აღიარებულად და უმარტივდება დანაშაულით მიყენებულ ტრავმებთან გამკლავება.⁴⁰² გარდა ამისა, დაზარალებულისთვის საკმარისი ინფორმაციის მიწოდება წარმოადგენს წინაპირობას იმისა, რომ მან პროცესში შეძლოს თავისი კანონიერი ინტერესების დაცვა.⁴⁰³ მაგალითად, თუ დაზარალებულს არ ეცოდინება, რომ მას აქვს პროკურორის დადგენილების გასაჩივრების უფლება, თავისთავად იგი გასაჩივრების უფლებით ვერ ისარგებლებს.

⁴⁰² *Wemmers, J.A., Cyr, K.*: Les besoins des Victimes dans le Système de Justice Criminelle, Montréal, 2006, p. 16.

⁴⁰³ იხ. დაზარალებულისთვის ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით: <https://weisser-ring.de/experten/recht/strafrecht>, [17.06.2020].

ვინაიდან ინფორმაციის მიღების უფლება მიეკუთვნება პასიურ უფლებათა კატეგორიას, რომლითაც დაზარალებული გავლენას ვერ ახდენს პროცესის შედეგებზე და ასევე საფრთხის ქვეშ არ აყენებს ბრალდებულის უფლებებს,⁴⁰⁴ მან ასახვა პპოვა ჯერ კიდევ 1985 წლის დეკლარაციაში, შემდეგ ევროპის საბჭოს რეკომენდაციებში, ხოლო ბოლოს ევროკავშირის ჩარჩო გადანაცვლებასა და 2012 წლის დირექტივაში.⁴⁰⁵ ამასთან, სხვა აქტებისგან განსხვავებით, დირექტივა უფრო ვრცლად არეგულირებს მოცემულ საკითხს.

საერთაშორისო აქტების თანახმად, დაზარალებულს პროცესის სხვადასხვა ეტაპზე უნდა მიენდოს სხვადასხვა სახის ინფორმაცია. ეს ინფორმაცია შეგვიძლია დავყოთ შემდეგ კატეგორიებად: დაზარალებულის ინფორმირება პოლიციასთან პირველივე კონტაქტისთანავე და დაზარალებულის ინფორმირება მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის შესახებ.

დირექტივის მოთხოვნაა, რომ განურჩევლად იმისა, თუ რა სახის ინფორმაცია მიენოდება დაზარალებულს, იგი მას მიენდოს ამომწურავად და არა ზედაპირულად. მიწოდებულმა ინფორმაციამ დაზარალებულს უნდა მისცეს საშუალება, მიიღოს ინფორმირებული გადანაცვლება პროცესში შემდგომი მონაწილეობის შესახებ.⁴⁰⁶ პრაქტიკაში ხშირია, როდესაც პოლიცია თავისი ვალდებულებების მხოლოდ ფორმალური შესრულებით შემოიფარგლება. იგი დაზარალებულს ოქმზე ხელს აწერინებს მხოლოდ იმისთვის, რომ დაადასტუროს დაზარალებულისთვის ინფორმაციის მიწოდება. სინამდვილეში მის მიზანს არ წარმოადგენს დაზარალებულის სრული ინფორმირება.⁴⁰⁷ გარდა ამისა, არის შემთხვევები, როდესაც დაზარალებულს საერთოდ არ აწვდიან ინფორმაციას, მაგალითად 1992 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით, გამოკითხულ დაზარალებულთა მესხუთედმა ინფორმაცია მიიღო არა სახელმწიფო უწყებებისგან,

⁴⁰⁴ *Bednarova, J.*: The Heart of the Criminal Justice System: A Critical Analysis of the Position of the Victim, IJC, 2011, p. 11; *Fenwick, H.*: Procedural 'Rights' of Victims of Crime: Public or Private Ordering of the Criminal Justice Process? *Mod. Law Rev.*, Vol. 60, No.3, 1997, p. 318.

⁴⁰⁵ Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power, General Assembly of the United Nation, Art. 6(a); Recommendation No. R (85) 11; Framework Decision 2001/220/JHA, Art. 4; Victims' Directive, Art. 4, 6.

⁴⁰⁶ Victims' Directive, Recital 26.

⁴⁰⁷ *Brienen, M., Hoegen E., Groenhuijsen, M.S.*: Evaluation and Meta-Evaluation of the Effectiveness of Victim-oriented Legal Reform in Europe, *Criminologie*, Vol. 33, No.1, 2000, p. 134.

არამედ სხვა პირებისგან.⁴⁰⁸

გარდა ამისა, დირექტივის მოთხოვნაა, რომ შესაბამის უწყებებთან პირველივე კონტაქტისთანავე და შემდეგ ნებისმიერი ურთიერთობისას დაზარალებულთან კომუნიკაცია წარიმართოს ორივე მხარისთვის გასაგები ფორმით, ანუ აუცილებელია, რომ დაზარალებულმა გაიგოს და აღიქვას სამართალდამცავი თუ სხვა უწყების მიერ მიწოდებული ინფორმაცია და პირიქით, სამართალდამცავმა და სხვა ორგანოებმაც უნდა გაიგონ დაზარალებულის ნათქვამი. ამისთვის კი დაზარალებულს ინფორმაცია უნდა მიწოდდეს მარტივი და გასაგები ენით, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს დაზარალებულის მიერ შესაბამისი ენის ცოდნა, დაზარალებულის ასაკი, მონიჭეულობა, ინტელექტი, მისი ემოციური მდგომარეობა და მისი გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობები. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს, აქვს თუ არა დაზარალებულს კომუნიკაციის (მეტყველების ან სმენის) ან აღქმის (გაგების) პრობლემები.⁴⁰⁹ ასეთი პრობლემების არსებობის შემთხვევაში სახელმწიფოები ვალდებული არიან მიმართონ შესაბამის ღონისძიებებს. მაგალითად ასეთი ღონისძიება იქნება ყრუ-მუნჯი დაზარალებულისთვის ყრუ-მუნჯთა ნიშნების მცოდნე თარჯიმნის მომსახურების უზრუნველყოფა. გარდა ამისა, დირექტივა მოითხოვს, რომ საჭიროების შემთხვევაში, დაზარალებულს მიეცეს შესაძლებლობა, შესაბამის ორგანოებთან პირველი კონტაქტისას თან ახლდეს ადამიანი, რომელიც მას დაეხმარება კომუნიკაციაში.⁴¹⁰

და ბოლოს, ვინაიდან პირი მსხვერპლად მისი ნების გარეშე იქცევა, მან ხშირად არც კი იცის, თუ რა უფლებები აქვს პროცესში მინიჭებული. ინფორმაციის მოთხოვნისა და მოძიების ტვირთი არ უნდა დაანვეს დაზარალებულს, ანუ დაზარალებულს არ უნდა დასჭირდეს ძალისხმევის განევა ინფორმაციის მიღებისთვის. პირიქით, სახელმწიფომ და პროცესში ჩართულმა ყველა უწყებამ უნდა გაატარონ სათანადო ღონისძიებები იმისთვის, რომ დაზარალებულს ჩამოაშორონ ყველა დამატებითი ტვირთი და მართლმსაჯულების

⁴⁰⁸ *Weisser Ring Stiftung*: Belastungen von Opfern in Ermittlungsverfahren, Forschungsbericht, Nierstein, 2017, S. 13.

⁴⁰⁹ Victims' Directive, Recital 26-31, Art. 3; *Irish Council for Civil Liberties*, Guide for Lawyers to the Victims Directive & the Criminal Justice (Victims of Crime) Act 2017, pp. 18-19, <<https://www.iccl.ie/wp-content/uploads/2018/11/5871-EU-Victims-Day-Proof-updated-v2.pdf>>, [26.06.2020].

⁴¹⁰ Victims' Directive, Art. 3 (3).

სისტემასთან დაზარალებულის ურთიერთობა გახადონ რაც შეიძლება მარტივი და უმტკივნეულო. შესაბამისად, სწორედ სახელმწიფოს ეკისრება ვალდებულება, რომ დაზარალებულს პროაქტიურად მიაწოდოს ინფორმაცია ან სულ მცირე, დაზარალებულს შესთავაზოს ინფორმაციის მიწოდება. აღნიშნული წარმოადგენს დაზარალებულის საბაზისო საჭიროებას.⁴¹¹

3.1. დაზარალებულის ინფორმირება პოლიციასთან პირველივე კონტაქტისთანავე

3.1.1. საერთაშორისო სტანდარტი

2012 წლის დირექტივის მე-4 მუხლი მოითხოვს, რომ დაზარალებულს გარკვეული ინფორმაცია მიეწოდოს დაუყოვნებლივ, კომპეტენტურ უწყებასთან პირველივე კონტაქტისთანავე. მუხლი აკეთებს ამ ინფორმაციათა ჩამონათვალს, რომელსაც მიეკუთვნება ინფორმაცია:

- დანაშაულის შესახებ განაცხადის გაკეთების თაობაზე;
- სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ;
- თარჯიმნის მომსახურებისა და დოკუმენტების თარგმნის შესახებ;
- საქმესთან დაკავშირებით საკონტაქტო პირის მონაცემების შესახებ;
- დაცვის ღონისძიებებისა და მათი გამოყენებისათვის საჭირო პროცედურების შესახებ;
- ინფორმაცია პროცესში მონაწილეობის მისაღებად განეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ;
- იურიდიული დახმარების ან იურიდიული კონსულტაციის შესახებ;
- სისხლის სამართლის პროცესში ჩართული უწყებების მიერ უფლებების დარღვევის შემთხვევაში, გასაჩივრების მექანიზმის შესახებ;
- კომპენსაციის შესახებ;
- მხარდაჭერის შესაძლებლობისა და მხარდამჭერი სერვისების შესახებ;

⁴¹¹ *Victim Support Europe: Handbook for Implementation of Legislation and Best Practice for Victims of Crime in Europe*, Brussels, 2013, p. 9, http://victimsupporteurope.eu/activeapp/wp-content/files_mf/1385974688NewVersionVSEHandbookforImplementation.pdf, [16.06.2020].

- აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისების შესახებ;
- ევროკავშირის სხვა სახელმწიფოში ცხოვრების შემთხვევაში, ინფორმაცია იმ სპეციალური ღონისძიებების ან პროცედურების შესახებ, რომელიც მოქმედებს იმ ქვეყანაში დაზარალებულის ინტერესების დასაცავად, სადაც დაზარალებულს პირველად ჰქონდა ურთიერთობა სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებთან.

ღირექტივის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნულია, რომ მისაწოდებელი ინფორმაციის მოცულობა და დეტალები დამოკიდებული უნდა იყოს დაზარალებულის სპეციფიკურ საჭიროებებზე, მის პიროვნულ მახასიათებლებსა და დანაშაულის ბუნებაზე. დაზარალებულს დამატებითი დეტალები შეიძლება მიენოდოს პროცესის შემდგომ ეტაპებზე.

ღირექტივა არ განმარტავს კომპეტენტური ორგანოს ცნებას, მაგრამ ღირექტივის იმპლემენტაციის დოკუმენტი იძლევა ინფორმაციას, თუ ვინ შეიძლება ასეთში იქნეს მოაზრებული. მოცემული დოკუმენტის თანახმად, ცნება „კომპეტენტური ორგანო“ უფრო მოცულობითია ვიდრე 2001 წლის ჩარჩო გადანაცვებებში მოცემული „სამართალდამცავი ორგანოს“ (law enforcement authority) ცნება. კომპეტენტური ორგანო, რომელიც ჩართულია სისხლის სამართლის პროცესში, როგორც წესი, განისაზღვრება ეროვნული კანონმდებლობით. მაგალითად, შეიძლება სასაზღვრო ორგანოებიც იქნეს ასეთად მიჩნეული, თუ მას ეროვნული კანონმდებლობით მინიჭებული აქვს სამართალდამცავი ორგანოს სტატუსი. შესაბამისად, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უნდა გავრცელდეს ყველა საგამოძიებო და სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოზე.⁴¹²

ღირექტივის მე-4 მუხლიდან იკვეთება, რომ დაზარალებულს ინფორმაცია უნდა მიენოდოს არა მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესში არსებულ უფლებებზე, არამედ პროცესის გარეთ არსებულ უფლებებზეც. მაგალითად, მხარდაჭერის სერვისებზე, აღდგენით მართლმსაჯულებაზე და კომპენსაციის მიღების შესაძლებლობაზე. აღნიშნული მოთხოვნა გამომდინარეობს დაზარალებულის საჭიროებებიდან, რომლებიც დადგინდა

⁴¹² *Irish Council for Civil Liberties*, Guide for Lawyers to the Victims Directive & the Criminal Justice (Victims of Crime) Act 2017, pp. 16-17, <https://www.iccl.ie/wp-content/uploads/2018/11/5871-EU-Victims-Day-Proof-updated-v2.pdf>, [26.06.2020].

სხვადასხვა კვლევებით.⁴¹³ ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 90-იან წლებში *გარკევი* მიიჩნეოდა, რომ აუცილებელი იყო დაზარალებულის ინფორმირება მისთვის პროცესის გარეთ მინიჭებული უფლებების შესახებ, მაგალითად, ისეთი უფლებების შესახებ, როგორცაა კომპენსაციის მიღების უფლება, სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარების მიღების უფლება. პროცესის გარეთ არსებულ უფლებებზე მრავალი სახელმწიფო ახდენს დაზარალებულის ინფორმირებას, მაგალითად, აშშ-ში პოლიცია ვალდებულია დაზარალებულს მიაწოდოს ინფორმაცია არსებული სამედიცინო და სოციალური სერვისების შესახებ.⁴¹⁴ ამიტომ აუცილებელია, პროკურორებმაც იცოდნენ დაზარალებულის უფლებები, რათა ადეკვატურად და სათანადოდ მიაწოდონ ინფორმაცია.⁴¹⁵

მრავალ სახელმწიფოში დაზარალებულს თავიდანვე მიეწოდება რიგი ინფორმაცია. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 406d, 406h-k მუხლების თანახმად, დაზარალებულს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია შეძლებისდაგვარად ადრე, წერილობითი ფორმით და მისთვის გასაგებ ენაზე. გარდა ამისა, ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბროშურების სახითაც.⁴¹⁶ დაზარალებულის დაუყონებლივი ინფორმირების სტანდარტი ასევე მოქმედებს მრავალ სახელმწიფოში, მაგალითად ავსტრიაში⁴¹⁷ ბრიტანეთში,⁴¹⁸ საფრანგეთში,⁴¹⁹ ესპანეთში,⁴²⁰ ირლანდიაში, შვედეთში და სხვა⁴²¹. მრავალ სახელმწიფოში

⁴¹³ Lindgren, M., Nikolić-Ristanović, V.: *Crime Victims: International and Serbian Perspective*, Belgrade, 2011, pp. 110-111.

⁴¹⁴ Cassell, P.G., Mitchell, N.J., Edwards, B.J.: *Crime Victims' Rights during Criminal Investigations? Applying the Crime Victims' Rights Act before Criminal Charges Are Filed*, J. Crim. Law Criminol., Vol. 104, Iss. 1, 2014, p. 76.

⁴¹⁵ Garkawe, S.: *The Role of the Victim during Criminal Court Proceedings*, UNSW Law Journal, Vol. 17, No. 2, 1994, pp. 615-616.

⁴¹⁶ Weisser Ring Stiftung: *Belastungen von Opfern in Ermittlungsverfahren*, Forschungsbericht, Nierstein, 2017, S. 41; იხ. დაზარალებულისთვის ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით: <<https://weisser-ring.de/experten/recht/strafrecht>>, [17.06.2020];

⁴¹⁷ Bachinger, L.M., Pelikan, C.: *Victims' Experiences in Victim-Offender Mediation in Austria: the 'Real' Story*, ნაშრომში: Vanfraechen, I., Bolívar, D., Aersten, I. (eds.): *Victims and Restorative Justice*, Abingdon, New York, 2017, p. 87.

⁴¹⁸ Code of Practice for Victims of Crime of England and Wales, Adult victims: Part A, Victims' Entitlement, 1.8, p. 20.

⁴¹⁹ Code de Procédure Pénale de la France, Sous-titre III: Des droits des victims, Article 10-2.

⁴²⁰ Law of Spain on the Standing of Victims of Crime, Art. 5.

⁴²¹ The Criminal Justice (Victims of Crime) Act 2017 of Ireland, Section 7(1). *Crime Victims Helpline: Crime Victims' Rights*, 2018, p. 3, <<https://crimevictimshelpline.ie/wp-content/uploads/2018/06/Crime-Victims-Rights-Booklet-NALA-Approved.pdf>>, [17.06.2020].

ბროშურებიც არის ხელმისაწვდომი, სადაც მოცემულია დაზარალებულისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მაგალითად, მისი უფლებები ან ჩამონათვალი მხარდამჭერი სერვისების შესახებ. ეს ბროშურები დაზარალებულს შეუძლია შესაბამისი უწყებებიდან თან წაიღოს და ნებისმიერ დროს ამოიკითხოს მისთვის სასურველი ინფორმაცია.⁴²² ბროშურები მიმართულია იმისკენ, რომ დაზარალებულმა პრაქტიკაში რეალურად შეძლოს მისი უფლებებით სარგებლობა. ასევე აღსანიშნავია, რომ დაზარალებულის უფლებებზე ინფორმაცია ხელმისაწვდომია ელექტრონული ფორმითაც, კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოების ან დაზარალებულის საკითხზე მომუშავე ორგანიზაციების ვებ-გვერდებზე.⁴²³

3.1.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა

სსსკ-ის 56-ე მუხლის 5¹ ნაწილის თანახმად, დანაშაულის მსხვერპლს მხოლოდ მას შემდეგ განემარტება თავისი უფლებები, როცა მას პროკურორი ცნობს დაზარალებულად. აღსანიშნავია, რომ დროის კუთხით, დაზარალებულად ცნობა თითქმის არასდროს ხდება დანაშაულის შესახებ განაცხადის გაკეთებისას. პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა პირის დაზარალებულად ცნობა ხდება დანაშაულის შეტყობინებიდან თვეების შემდეგ.⁴²⁴ შესაბამისად, მოცემულ პერიოდში დანაშაულის მსხვერპლი რჩება ინფორმაციულ ვაკუუმში. მისთვის უცნობი რჩება, თუ რა სამართლებრივი მდგომარეობა უკავია სისხლის სამართლის პროცესში ან რისი მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს პროცესისგან. უფრო მეტიც, უსტატუსო დანაშაულის მსხვერპლმა, რომელსაც დაზარალებულად ცნობამდე არ გააჩნია დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების მოთხოვნის უფლება, შეიძლება არაინფორმირებულობის პირობებში განიცადოს ხელახალი ვიქტიმიზაცია. გარდა ამისა,

⁴²² Lindgren, M., Nikolić-Ristanović, V.: Crime Victims: International and Serbian Perspective, Belgrade, 2011, pp. 110-111.

⁴²³ უცხო სახელმწიფოების უწყებების ვებ-გვერდებზე დაზარალებულთან დაკავშირებით განთავსებული ინფორმაცია:

<https://www.bmjv.de/SharedDocs/Publikationen/DE/Opferfibel.pdf?__blob=publicationFile&v=15>, [17.06.2020];

<<https://www.justiz.gv.at/home/home/buergerservice/opferhilfe-und-prozessbegleitung/opfer-und-opferrechte~2c94848a542b5c16015581a118da5055.de.html>>, [17.06.2020];

<<https://www.canada.ca/fr/services/police/victimes.html>>, [17.06.2020]; <<https://infovictims.de/de/node/93/#node-98>>, [17.06.2020];

დაზარალებულის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან დაკავშირებით: <<https://victimsofcrime.org/help-for-crime-victims/get-help-bulletins-for-crime-victims/victims%27-rights>>, [17.06.2020].

⁴²⁴ მაგ. მსხვერპლ ნ.ლ.-ს საქმეზე გამოძიება დაიწყო 2019 წლის 8 ოქტომბერს და იგი დაზარალებულად ცნეს 2020 წლის 21 თებერვალს.

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა პირის დაზარალებულად ცნობა საერთოდ არ ხდება.⁴²⁵ შესაბამისად, მსხვერპლი ვერასდროს იგებს, თუ რა უფლებები აქვს მას პროცესში მინიჭებული. აღნიშნულიდან ჩანს, რომ დაზარალებულად ცნობა არის მსხვერპლის პირველადი ინფორმირების დამაბრკოლებელი გარემოება.

გარდა ამისა, დაზარალებულად ცნობის დროს, მას არ განემარტება პროცესის გარეთ არსებული უფლებები, მაგალითად ის, რომ მას შეუძლია სამოქალაქო სამართალწარმოების გზით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.⁴²⁶

ამასთან, დაზარალებულს მხოლოდ წერილობით განემარტება მისთვის მინიჭებული უფლებები, რაზეც შემდეგ აწერს ხელს. მხოლოდ წერილობითი განმარტება პრობლემურია, ვინაიდან საგამომძიებო ორგანოში არ არის ისეთი გარემო შექმნილი, სადაც დაზარალებულს შეეძლება უფლებების დეტალურად გაცნობა. გარდა ამისა, როგორც წესი, დაზარალებული არ არის იურისტი და თუნდაც ზედმიწევნით წაიკითხოს ჩამოთვლილი უფლებები, მისთვის უფლებების შინაარსი რთულად გასაგებია. ამიტომ გამოდის, რომ დაზარალებული ოქმზე ფორმალურად აწერს ხელს. წერილობით განმარტებას გამომძიებლები ხანდახან ბოროტადაც კი იყენებენ. მაგალითად, ისინი უფლებების განმარტების ოქმში თვითნებურად უთითებენ, რომ დაზარალებულს არ სურს შეატყობინონ საპროცესო მოქმედებების (სასამართლო სხდომების) ჩატარების დრო და ადგილი, ამით ისინი თავს არიდებენ სსსკ-ით დაკისრებული ვალდებულების შესრულებას. მათ იციან, რომ დაზარალებული არ წაიკითხავს ოქმს და პირდაპირ მოაწერს ხელს. როდესაც დაზარალებული აპროტესტებს შეუტყობინებლობას, გამომძიებლები უფლებების განმარტების ოქმზე უთითებენ, რომელზეც დაზარალებულმა თავისი ნებით მოაწერა ხელი. გამომძიებლების თვითნებობის გამო დაზარალებული პროცესიდან გარიყული რჩება და არც რაიმე ბერკეტი გააჩნია, რომ გამომძიებლის მოცემული ქმედება გაასაჩივროს.⁴²⁷

⁴²⁵ მაგ. მსხვერპლ მ.ნ.-ს დაარტყა ტაქსის მანქანამ. მსხვერპლმა მიიღო ფეხის მძიმე დაზიანება, რის გამოც დაჭირდა ოპერაცია. აღნიშნული ზიანის მიუხედავად არ მომხდარა მსხვერპლის დაზარალებულად ცნობა.

⁴²⁶ საქართველოს შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს IV განყოფილება, დაზარალებულისთვის უფლებების განმარტების ოქმი, დოკუმენტის N 00141228319.

⁴²⁷ ინტერვიუ ადვოკატ ლევან დვალისძე-მელითან, 27/02/2019.

რაც შეეხება უფლებების გასაგები ენით განმარტების უფლებას, საქართველოს კანონმდებლობა ცალკე არ გამოყოფს აღნიშნულ უფლებას, თუმცა სსსკ-ის 53-ე მუხლში განმტკიცებული ზოგადი წესის მიხედვით, ქართული ენის არმცოდნე დაზარალებულს უფლებების განმარტებისას უნდა მიეჩინოს თარჯიმანი, ხოლო კომუნიკაციის პრობლემების მქონე პირს უნდა მიეჩინოს ისეთი თარჯიმანი, რომელიც ფლობს შესაბამის უესტიკურ ენას. პრაქტიკაში როგორც წესი არ არის პრობლემური თარჯიმნის მომსახურებით სარგებლობა, თუმცა პრობლემურია ის, რომ არ ხდება უფლებების გაცნობის ოქმის წერილობით თარგმნა,⁴²⁸ რაც ქართული ენის არმცოდნე დაზარალებულს უზღუდავს სხვა უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობას (აღნიშნულზე ვრცლად არის საუბარი ნაშრომის თავი IV-ის § 3.5-ში).

ამასთან, საქართველოში დაზარალებულის უფლებების შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი არც ბროშურების და არც ელექტრონული ფორმით, რაც კიდევ უფრო ამაღლებს იმის ალბათობას, რომ დაზარალებული პროცესში ვერ გამოიყენებს თავის უფლებებს. მოცემულ მსჯელობას ამყარებს საერთო სასამართლოების სტატისტიკა, რომლის მიხედვით, 2014-2020 წლებში დაზარალებულს სასამართლოებისთვის ფაქტიურად არ მიუმართავს პროკურორის დადგენილების გასაჩივრების მიზნით.⁴²⁹ აღნიშნულის საფუძველი დიდი ალბათობით ინფორმაციის უქონლობა უნდა იყოს.

⁴²⁸ ინტერვიუ ადვოკატ ლევან დვალიშვილთან, 27/02/2019.

⁴²⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 04 აპრილის წერილი N 1-0192/8777; რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 02 აპრილის წერილი N 179/გ; ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 10 აპრილის წერილი N 275გ/ვ; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 05 აპრილის წერილი N 4320; ფოთის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 04 აპრილის წერილი N 2482; ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 03 აპრილის წერილი N 76; ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 02 აპრილის წერილი N 0927; ახალციხის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 04 აპრილის წერილი N 85; ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 05 აპრილის წერილი N 2634; გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 03 აპრილის წერილი N 46; გორის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 10 აპრილის წერილი N გ/ფ-3721; გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 02 აპრილის წერილი N 1288; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 03 აპრილის წერილი N 224; ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 05 აპრილის წერილი N 9-73; თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2018 წლის 11 აპრილის წერილი N 3456; თელავის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 02 აპრილის წერილი N 220; ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 11 აპრილის წერილი N 391; სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 03 აპრილის წერილი N 486; საჩხერის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 11 აპრილის წერილი N 1184; სენაკის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 04 აპრილის წერილი N 373; ცაგერის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 11 აპრილის წერილი N 177; ხაშურის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 05 აპრილის წერილი N 2360-1518; ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 05 აპრილის წერილი N 414/8; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 27

შეტამების სახით შეიძლება ითქვას, რომ სსსკ-ით საკითხის ამგვარი მოწესრიგება ვერ ჩაითვლება იმ პოლიტიკის პასუხად, რომელიც საერთაშორისო დონეზე მიმდინარეობს დაზარალებულის კუთხით. აუცილებელია რომ გაუქმდეს დაზარალებულად ცნობის ინსტიტუტი და დაზარალებულს თავიდანვე, სამართალდამცავ ორგანოებთან პირველივე კონტაქტისთანავე განემარტოს როგორც საპროცესო, ისე პროცესის გარეთ მინიჭებული უფლებები. ასევე აუცილებელია, რომ უფლებების განმარტება მოხდეს როგორც გეპირად, ისე წერილობით და ამით ქართული სისხლის სამართლის პროცესი შესაბამისობაში მოვიდეს საერთაშორისო სტანდარტებთან.⁴³⁰

3.2. დაზარალებულის ინფორმირება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით

3.2.1. საერთაშორისო სტანდარტი

როდესაც დაზარალებული პოლიციაში განაცხადებს დანაშაულს, მნიშვნელოვანია, რომ იგი რეგულარულად ინფორმირებული იყოს მიმდინარე საქმესთან დაკავშირებით, მათ შორის განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ, მიღებული საპროცესო გადაწყვეტილებებისა და სასამართლო სხდომების დროისა და ადგილის

იანვრის წერილი N 3-0409/3435960; რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 24 იანვრის წერილი N 104/გ; ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 03 თებერვლის წერილი N 121 გ/კ; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 29 იანვრის წერილი N 775-2; ფოთის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 28 იანვრის წერილი N 69; ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 24 იანვრის წერილი N 36; ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 28 იანვრის წერილი N 0239; ახალციხის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 30 იანვრის წერილი N 16; ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 31 იანვრის წერილი N 23; გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 23 იანვრის წერილი N 21; გორის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 29 იანვრის წერილი N გ/ფ-280; გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 18 თებერვლის წერილი N 18; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 24 იანვრის წერილი N 47; ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 30 იანვრის წერილი N 9-10; თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2020 წლის 28 იანვრის წერილი N 9/გ; თელავის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 27 იანვრის წერილი N 31; მცხეთის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 24 თებერვლის წერილი N 33; ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 29 იანვრის წერილი N 124; სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 10 თებერვლის წერილი N 155; საჩხერის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 30 იანვრის წერილი N 298; სენაკის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 30 იანვრის წერილი N 64; სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 24 იანვრის წერილი N 338; ცაგერის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 28 იანვრის წერილი N 90; ხაშურის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 30 იანვრის წერილი N 931; ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 30 იანვრის წერილი N 93/3.

⁴³⁰ Recommendation Rec (2006) 8, par. 6.2.

შესახებ.⁴³¹ ინფორმაციის რეგულარული მიწოდების გარეშე, დაზარალებულს შეიძლება შეეცმნას შთაბეჭდილება, რომ გამოძიება საერთოდ არ მიმდინარეობს და მისი განაცხადი სერიოზულად არ იქნა აღქმული. ბევრი დაზარალებულისთვის პოლიციისთვის დანაშაულის შეტყობინება და პოლიციელის უხერხულ კითხვებზე პასუხის გაცემა უკვე ტრავმირებადი მოვლენაა და დაუშვებელია, რომ ინფორმაციის მიწოდებლობით მისი მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდეს.⁴³² პრაქტიკაში სამწუხაროდ არის შემთხვევები, როდესაც დაზარალებულს არ მიეწოდება ინფორმაცია და გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას მედიისგან იღებს. აღნიშნული დაზარალებულში იწვევს მართლმსაჯულების სისტემის მიმართ უნდობლობას.⁴³³ ასევე არის შემთხვევები, როცა დაზარალებულთან დაკონტაქტება ხდება მხოლოდ მაშინ, როცა ეს გამოძიების ინტერესებში შედის. ამ დროსაც დაზარალებული დამცირებულად გრძნობს თავს, ვინაიდან ხედავს, რომ მისი ინტერესები უკანა ფლანგზე დგას.⁴³⁴ ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ დაზარალებულს მუდმივად მიეწოდოს ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის შესახებ. ასევე აუცილებელია, რომ ნებისმიერი საპროცესო გადაწყვეტილება, რომელიც მას ეცნობება, იყოს დასაბუთებული, ნათელი და მისთვის გასაგები. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება მისი მეორეული ვიქტიმიზაცია.⁴³⁵

ღირექტივის პრეამბულის 32-ე პუნქტის თანახმად, ინფორმაცია დამნაშავის გათავისუფლების ან გაქცევის შესახებ, დაზარალებულს, მისივე მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა მიეწოდოს სულ მცირე მაშინ, როცა არსებობს მისთვის ზიანის მიღგომის საფრთხე. მოცემული საფრთხის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს დანაშაულის ბუნება და სიმძიმე, ასევე დაზარალებულის დამინების რისკები. ასევე პირიქით, დაზარალებულს არ უნდა მიეწოდოს ინფორმაცია, დამნაშავის გათავისუფლების ან გაქცევის შესახებ, თუ არსებობს დამნაშავისთვის ზიანის მიყენების საფრთხე.

⁴³¹ Victims' Directive, Art. 6.

⁴³² *Victim Support Europe: EU Handbook for Policy and Best Practice in relation to Victims of Crime*, 2012, p. 23, <http://victimsupporteurope.eu/activeapp/wp-content/files_mf/1353929035EUHandbook.pdf>, [26.06.2020].

⁴³³ იქვე.

⁴³⁴ *O'Connell, M.: Victims' Rights: Integrating Victims in Criminal Proceedings*, Commissioner for Victims' Rights, South Australia, p. 11, <<https://aija.org.au/wp-content/uploads/2017/08/OConnell2.pdf>>, [22.07.2020].

⁴³⁵ *Victim Support Europe: EU Handbook for Policy and Best Practice in relation to Victims of Crime*, 2012, pp. 23-24, <http://victimsupporteurope.eu/activeapp/wp-content/files_mf/1353929035EUHandbook.pdf>, [26.06.2020].

პრაქტიკაში არის შემთხვევები, როცა დაზარალებულს არ სურს ინფორმაციის მიღება და პირიქით, აღნიშნულმა ინფორმაციამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე.⁴³⁶ ასეთი ინფორმაცია შეიძლება იყოს მსჯავრდებულის გათავისუფლება პენიტენციური დაწესებულებიდან. შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა დაზარალებულს უნდა ჰკითხონ, სურს თუ არა ინფორმაციის მიღება. ამის კითხვა შესაძლებელია თავიდანვე, პოლიციისთვის დანაშაულის შეტყობინებისას. დაზარალებულის გადანყვეტილება უნდა აისახოს სისხლის სამართლის საქმის მასალებში და ეს გადანყვეტილება უნდა ეცნობოს ყველა იმ უწყებას, რომელიც პასუხისმგებელია დაზარალებულის ინფორმირებაზე.⁴³⁷ აგრეთვე, როდესაც სახელმწიფო დაზარალებულს ინფორმაციას აწვდის მხოლოდ დაზარალებულის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, აუცილებელია, რომ დაზარალებული სათანადოდ იყოს ინფორმირებული იმ უფლებებისა თუ საგამოძიებო მოქმედებებისა და საპროცესო გადანყვეტილებების შესახებ, რომელთა შესახებ ინფორმირებაზეც თანხმდება ან ამბობს უარს, რადგან დაზარალებულთა უმრავლესობას თავდაპირველად არ ესმით უფლებათა შინაარსი.⁴³⁸

ასევე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, თუ ვინ უნდა მიაწოდოს დაზარალებულს ინფორმაცია. ბევრ ევროპულ სახელმწიფოში, დაზარალებულის ინფორმირება არის იმ უწყების ვალდებულება, რომელიც იღებს გადანყვეტილებას. მაგალითად, თუ საგამოძიებო ორგანო გადანყვეტს, რომ აღარ გააგრძელოს გამოძიება, მაშინ სწორედ მან უნდა შეატყობინოს დაზარალებულს აღნიშნული გადანყვეტილება. თუ პროკურორი გადანყვეტს, რომ არ დაიწყოს ან შეწყვიტოს დევნა, მაშინ სწორედ მან უნდა აცნობოს დაზარალებულს ამის შესახებ. თუ გადანყვეტილება მიიღო სასამართლომ, მაშინ სასამართლოს მოვალეობაში შევა დაზარალებულისთვის აღნიშნულზე ინფორმაციის მიწოდება. თუ პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ იქნა გადანყვეტილება

⁴³⁶ *Garkawe, S.*: The Role of the Victim during Criminal Court Proceedings, UNSW Law Journal, Vol. 17, No. 2, 1994, p. 614.

⁴³⁷ *Victim Support Europe*: EU Handbook for Policy and Best Practice in relation to Victims of Crime, 2012, p. 23, <<http://victimsupporteurope.eu/activeapp/wp-content/files/mf/1353929035EUHandbook.pdf>>, [26.06.2020].

⁴³⁸ *Garkawe, S.*: The Role of the Victim during Criminal Court Proceedings, UNSW Law Journal, Vol. 17, No. 2, 1994, p. 599.

მიღებული, მაშინ სწორედ იგი წარმოადგენს ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელ ორგანოს.⁴³⁹ თუმცა ზოგიერთ სახელმწიფოს სხვა მიდგომა აქვს და ინფორმაციის მიწოდებისთვის განსაზღვრული ჰყავს ერთი უწყება („one-stop-shop“).⁴⁴⁰ ზოგადად შეიძლება ეს უკანასკნელი მექანიზმი დაზარალებულისთვის ხელსაყრელი იყოს, ვინაიდან მას ყოველთვის ეცოდინება, ვის მიმართოს ინფორმაციისთვის. გარდა ამისა, როდესაც მას ერთ კონკრეტულ პირთან აქვს კონტაქტი, მათ შორის შეიძლება დამყარდეს ნდობა და ჩამოყალიბდეს კარგი ურთიერთობა, დაზარალებულსაც ყოველ ჯერზე არ მოუწევს თავისი ისტორიის გამეორება. თუმცა მოცემული მექანიზმის უარყოფით მხარეს ის წარმოადგენს, რომ პასუხისმგებელ უწყებას შეიძლება ყოველთვის არ ჰქონდეს განახლებული ინფორმაცია. გარდა ამისა, შეიძლება პრობლემას წარმოადგენდეს ინფორმაციის დროულად გაცვლა საქმეში ჩართულ უწყებებს შორის.⁴⁴¹ შესაბამისად, თითოეულმა სახელმწიფომ თვითონ უნდა გადანყვიტოს, რომელი მექანიზმის გამოყენებით იქნება შესაძლებელი დაზარალებულის სათანადო ინფორმირება.

3.2.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდების მხრივ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა უმეტესწილად იზიარებს საერთაშორისო მოთხოვნებს. სსსკ-ის 57-ე მუხლის შესაბამისად, დაზარალებულს უფლება აქვს იცოდეს ბრალდებულისთვის წარდგენილი ბრალდების არსი. გამოძიების ეტაპზე დაზარალებულს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს. ასევე დაზარალებულს უფლება აქვს, მოთხოვნის შემთხვევაში, მიიღოს ინფორმაცია ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიებისა და

⁴³⁹ *Victim Support Europe: EU Handbook for Policy and Best Practice in relation to Victims of Crime*, 2012, p. 24, <<http://victimsupporteurope.eu/activeapp/wp-content/files/mf/1353929035EUHandbook.pdf>>, [26.06.2020]; *Secretary of State for the Home Department (UK): Criminal Justice: The Way Ahead*, 2001, p. 69, <https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/250876/5074.pdf>, [18.05.2020].

⁴⁴⁰ *Victim Support Europe: EU Handbook for Policy and Best Practice in relation to Victims of Crime*, 2012, p. 24, <<http://victimsupporteurope.eu/activeapp/wp-content/files/mf/1353929035EUHandbook.pdf>>, [26.06.2020].

⁴⁴¹ იქვე.

ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვების შესახებ. თუმცა აღნიშნული უფლება შეიძლება შეიზღუდოს, თუ ინფორმაციის მიწოდებით ბრალდებულს/მსჯავრდებულს დაემუქრება რეალური საფრთხე. სსსკ-ის 58-ე მუხლის თანახმად, პროკურატურა ვალდებულია დაზარალებულს, ამ უკანასკნელის მოთხოვნის შემთხვევაში, წინასწარ შეატყობინოს, ისეთი საპროცესო მოქმედებების ჩატარების დრო და ადგილი, როგორცაა ბრალდებულის პირველი წარდგენა მაგისტრატ მოსამართლესთან, წინასასამართლო სხდომა, სასამართლოს მთავარი სხდომა, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის (საპროცესო შეთანხმების გაფორმების) თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის განხილვის სასამართლო სხდომა, სასჯელის შეფარდების სასამართლო სხდომა და სააპელაციო, ან საკასაციო სასამართლო სხდომა. პროკურატურა ასევე ვალდებულია დაზარალებულს შეატყობინოს საპროცესო შეთანხმების დადება (აღსანიშნავია, რომ საპროცესო შეთანხმების დადებამდე, პროკურატურა დაზარალებულთან გადის კონსულტაციას), ასევე მნიშვნელოვანია, რომ 2020 წლის 14 ივლისს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე დაზარალებულს საპროცესო მოქმედებების ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაცია უნდა მიენიჭოს მისი შეზღუდვიდან გამომდინარე, სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინებით.⁴⁴²

როგორც ვხედავთ, საქართველოში მოქმედებს დაზარალებულის მიერ ინფორმაციის მოთხოვნის მოდელი, რაც, როგორც უკვე ზევით იქნა განხილული, სრულიად მისაღები მოდელია. ასევე საინტერესოა, თუ ვინ არის ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელი უწყება თუ პირი. სსსკ-ის 58-ე მუხლში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ამავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედებების ჩატარების ადგილისა და დროის შესახებ ინფორმაციის მიმწოდებელ პირს წარმოადგენს პროკურორი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სხვა ინფორმაციის მიწოდებაც პროკურატურას ევალება, მაგრამ საპროცესო კანონმდებლობის ანალიზიდან ესე არ გამომდინარეობს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სსსკ-ის 56 მუხლის 5¹ ნაწილის მიხედვით, დაზარალებულს დადგენილებას აცნობს ან პროკურორი ან გამომძიებელი. შესაბამისად,

⁴⁴² სსსკ, 58-ე მუხლის 2¹ ნაწილი.

ამ ორიდან ერთ-ერთი განუმარტავს მას მის უფლებებს და ამ ორიდან ერთ-ერთ აწერს ხელს უფლებების განმარტების ოქმს. პრაქტიკაში როგორც წესი დაზარალებულს უფლებებს განუმარტავს და ოქმზე ხელს აწერს გამომძიებელი.⁴⁴³ შესაბამისად, ოქმის მიმღები ორგანო არის შინაგან საქმეთა სამინისტრო⁴⁴⁴ და არა პროკურატურა.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმად დაზარალებულს შეუძლია მიიღოს ინფორმაცია მსჯავრდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვების შესახებ. პატიმრობის კოდექსის 45-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია მსჯავრდებულის პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების შესახებ აცნობოს შინაგან საქმეთა სამინისტროს. არც კოდექსი და არც სხვა სამართლებრივი აქტი არ ავალდებულებს პენიტენციურ დაწესებულებას, რომ აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდოს პროკურატურასაც.⁴⁴⁵ შესაბამისად, რთული წარმოსადგენია, პროკურატურამ დაზარალებულს მიაწოდოს ინფორმაცია მსჯავრდებულის მიერ პენიტენციური დაწესებულების დატოვების შესახებ, როდესაც თვითონ არ ფლობს აღნიშნულ ინფორმაციას და არც კანონი უწესებს მოცემული ინფორმაციის ფლობის ვალდებულებას. ასევე აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობით არც პენიტენციურ დაწესებულებას ევალება დაზარალებულისთვის მსჯავრდებულის გათავისუფლების შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია კანონმდებლობით განისაზღვროს ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირი და ორგანო.

⁴⁴³ ინტერვიუ ადვოკატ ლევან დვალისძე-ილითან, 27/02/2019.

⁴⁴⁴ საქართველოს შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს IV განყოფილება, დაზარალებულისთვის უფლებების განმარტების ოქმი, დოკუმენტის N 00141228319, 24/02/2020.

⁴⁴⁵ სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2021 წლის 14 ივლისის წერილი N 164657/01.

3.3. დანაშაულის შეტყობინების შესახებ წერილობითი ცნობის მიღების უფლება

3.3.1. საერთაშორისო სტანდარტი

დანაშაულის შემდეგ დაზარალებულს სოციალურ და სამართლებრივ ურთიერთობებში სჭირდება ერთგვარი ცნობა, რომ მან ნამდვილად განიცადა ვიქტიმიზაცია და ამის შესახებ განაცხადა პოლიციაში. მაგალითად დანაშაულის შესახებ შეტყობინების დამადასტურებელი ცნობა მას შეიძლება დასჭირდეს სადაზღვეო კომპანიაში,⁴⁴⁶ ბანკში ან სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში წარსადგენად. 2012 წლის დირექტივამ გაითვალისწინა აღნიშნული საჭიროება და დაზარალებულს მიანიჭა უფლება მიიღოს დანაშაულის შეტყობინების წერილობითი დასტური, სადაც სულ მცირე, მოცემული უნდა იყოს საქმის ნომერი, დანაშაულის შეტყობინების დრო და ადგილი.⁴⁴⁷ ვინაიდან დირექტივა ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოზე ვრცელდება, მან ენობრივი ბარიერიც გაითვალისწინა და დაადგინა, რომ დაზარალებულს, რომელიც იმ ენას არ ფლობს, რომელიც შესაბამის სახელმწიფოში მოქმედებს, შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს, რომ განაცხადი გააკეთოს იმ ენაზე, რომელიც მას ესმის და მოთხოვნის შემთხვევაში, უფასოდ მიიღოს დანაშაულის შეტყობინების შესახებ წერილობითი ცნობის თარგმანი იმ ენაზე, რომელიც მას ესმის.⁴⁴⁸

3.3.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა

2014 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად, სსსკ-ში გაჩნდა ახალი ჩანაწერი, კერძოდ 101-ე მუხლს დაემატა 2¹ ნაწილი, რომლის თანახმად, „პირს, რომელიც დანაშაულის შესახებ განაცხადებს, უფლება აქვს მიიღოს დანაშაულის შესახებ შეტყობინების დამადასტურებელი წერილობითი ცნობა“. აღნიშნული ნორმის შემოღება მისასაღმებელია, ვინაიდან იგი ხელს უწყობს დაზარალებულის უკეთესად დაცვას, თუმცა პრაქტიკაში მისი აღსრულება პრობლემური რჩება.

⁴⁴⁶ Victims' Directive, Recital 24.

⁴⁴⁷ იქვე, Recital 24, Art. 5.

⁴⁴⁸ იქვე, Art. 5 (2, 3); *European Commission*: DG Justice Guidance Document related to the Transposition and Implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 Establishing Minimum Standards on the Rights, Support and Protection of Victims of Crime, and Replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 - 19/12/2013, p. 17.

პირველ რიგში უნდა აღნიშნოს, რომ დაზარალებულთა ფაქტიურად აბსოლუტურმა უმრავლესობამ არ იცის, რომ მას ეს უფლება გააჩნია. დანაშაულის შეტყობინებისას მას არ განემარტება, რომ გააჩნია აღნიშნული უფლება. შესაბამისად, აუცილებელია დანაშაულის შეტყობინებისას დანაშაულის მსხვერპლს განემარტოს რიგი უფლებები, მათ შორის მოცემული უფლებაც. ასევე აუცილებელია, განემარტოს, თუ რას გულისხმობს და რისთვის არის საჭირო დანაშაულის შეტყობინების დამადასტურებელი ცნობა.⁴⁴⁹

გარდა ამისა, არის შემთხვევები, როცა მსხვერპლმა მოითხოვა დანაშაულის შეტყობინების დამადასტურებელი ცნობა, მაგრამ მას დაუყონებლივ არ მისცეს. მაგალითად, აღნიშნულ შემთხვევას ჰქონდა ადგილი მსხვერპლ ნ.ლ.-ს საქმეში. გამომძიებელმა განაცხადა, რომ წერილობითი დასტურის გაცემისთვის სამდღიანი ვადა ჰქონდა, თუმცა კოდექსში აღნიშნული ვადა არ არის მოცემული. საბოლოოდ მსხვერპლის დაუინებელი მოთხოვნის შემდეგ, მას ცნობა მისცეს 2 დღის შემდეგ.⁴⁵⁰

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში არ არსებობს წერილობითი დასტურის ერთიანი ფორმა. ნ.ლ. საქმეში გამომძიებელს დამოუკიდებლად მოუწია ცნობის შედგენა,⁴⁵¹ სადაც მითითებულია, რომ ცნობა გაცემულია მოთხოვნის ადგილზე წარსადგენად. აქედანაც იკვეთება, რომ საგამომძიებო ორგანოებს ერთიანი შაბლონი არ გააჩნიათ და სავსებით შესაძლებელია, რომ მსხვერპლს იმიტომ არ აძლევდნენ ცნობას, რომ თითოეულ საქმეზე ცნობის სტრუქტურისა და შინაარსის მოთხოვნა გამომძიებლისგან ზედმეტ ძალისხმევას მოითხოვს. მას არ სურს ძალისხმევის განწევა, რასაც ხელს უწყობს ის გარემოება, რომ საქართველოში დაზარალებულთა უმრავლესობამ არ იცის, თუ რა უფლებები აქვს სისხლის სამართლის პროცესში.⁴⁵²

⁴⁴⁹ დანაშაულის შეტყობინებისას, დაზარალებულისთვის უფლებების განმარტების შესახებ ვრცლად არის საუბარი ნაშრომის თავი IV-ის § 3.1-ში.

⁴⁵⁰ ინტერვიუ თაღლითობის მსხვერპლს ნ.ლ-თან, 30/03/2020.

⁴⁵¹ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს პოლიციის IV განყოფილება, ცნობა N MIA 8 19 02691258, 10/10/2019.

⁴⁵² ნაშრომზე მუშაობისას ავტორმა ორჯერ, თავდაპირველად 2021 წლის 05 აპრილს და შემდეგ 2021 წლის 07 ივლისს მიმართა შსს განცხადებით, სადაც ითხოვდა ინფორმაციას იმასთან დაკავშირებით, ჰქონდა თუ არა შსს-ს შემუშავებული შეტყობინების დამადასტურებელი ცნობის ერთიანი ფორმა და დადებითი პასუხის შემთხვევაში, რომელი სამართლებრივი აქტით იყო იგი დამტკიცებული. ორივე განცხადებაზე ავტორმა მიიღო საპასუხო წერილი, თუმცა მოცემულ კითხვაზე პასუხი არც ერთ მათგანში არ იყო გაცემული (შსს-ს 2021 წლის 16 აპრილის წერილი N MIA 4 21 00954657, შსს-ს 2021 წლის 23 ივლისის წერილი N MIA 0 21 01933312).

რაც შეეხება განაცხადის დაზარალებულისთვის გასაგებ ენაზე გაკეთებას და ნათარგმნი წერილობითი დასტურის მიღების უფლებას, ამ უფლებას საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ იცნობს, რაც საქართველოზე, როგორც ევროკავშირთან ასოცირებული სახელმწიფოსთვის, რომელმაც ივალდებულა, რომ „თავისუფლების, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების“ საკითხებში ითანამშრომლოს ევროკავშირთან, რა თქმა უნდა უარყოფითად აისახება. საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე სათარჯიმნო და მთარგმნელობითი მომსახურების მიღების საკითხზე ცალკე იქნება საუბარი ნაშრომის თავი IV-ის § 3.5-ში.

აღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ საკანონმდებლო დონეზე დეტალურად მონესრიგდეს დანაშაულის შესახებ შეტყობინების დამადასტურებელი ცნობის გაცემის საკითხი და აღმოიფხვრას პრაქტიკაში არსებული პრობლემები.

3.4. საქმის მასალების გაცნობის უფლება

3.4.1. საერთაშორისო სტანდარტი

საქმის მასალების გაცნობის უფლება წარმოადგენს ინფორმაციის მიღების უფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოვლინებას. დაზარალებულს საქმის მასალების გაცნობა სჭირდება მისთვის მინიჭებული სხვა საპროცესო უფლებების გამოყენებისთვის,⁴⁵³ ასევე ზიანის ანაზღაურებისთვის სამოქალაქო წესით დავისას. საერთაშორისო აქტები ცალკე არ გამოყოფენ საქმის მასალების გაცნობის უფლებას, ვინაიდან იგი ერთიანდება ინფორმაციის მიღების უფლებაში, თუმცა აღნიშნული უფლება განმტკიცებულია მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში.⁴⁵⁴

⁴⁵³ *NCVLI: Meaningful Crime Victims' Rights Require Discovery of Case Information and Records*, p. 4, <<https://law.lclark.edu/live/files/22581-discovery-of-case-information-and-records>>, [20.06.2020].

⁴⁵⁴ *Sautner, L.*: Opferrechte im Strafprozess in Österreich, ნაშრომში: *Sautner, L., Jesionek, U.* (Hrsg.): Opferrechte in Europäischer, Rechtsvergleichender und Österreichischer Perspektive, *Viktimologie und Opferrechte: Schriftenreihe der Weisser Ring, Forschungsgesellschaft* Bd. 8, Innsbruck, 2017, S. 97; *Schöch, H.*: Opferrechte im Strafprozess in Deutschland, ნაშრომში: *Sautner, L., Jesionek, U.* (Hrsg.): Opferrechte in Europäischer, Rechtsvergleichender und Österreichischer Perspektive, *Viktimologie und Opferrechte: Schriftenreihe der Weisser Ring, Forschungsgesellschaft* Bd. 8, Innsbruck, 2017, S. 127; *Hilf, M., Schwander, M.*: Opferrechte im Strafprozess der Schweiz, ნაშრომში: *Sautner, L., Jesionek, U.* (Hrsg.): Opferrechte in Europäischer, Rechtsvergleichender und

3.4.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა

სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტების მიხედვით, დაზარალებულს საქმის მასალების გაცნობის უფლება გააჩნია გამოძიების ეტაპზე, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს, ხოლო იმავე მუხლის იმავე ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაზარალებულს წინასასამართლო სხდომამდე 10 დღით ადრე შეუზღუდავად შეუძლია საქმის მასალების გაცნობა.

სსსკ-ის თანახმად, გამოძიების ეტაპზე დაზარალებულს საქმის მასალების გაცნობის უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს. შესაბამისად, პრაქტიკაში გამოძიების ეტაპზე საქმის მასალების გაცნობა შესაძლებელია მხოლოდ პროკურორის ნებართვით. სამუხაროდ, კოდექსის ჩანაწერს „თუ არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს“ პრაქტიკაში ხანდახან ბოროტად იყენებენ და პროკურორი არა საქმიდან გამომდინარე, არამედ მისი ნება-სურვილიდან გამომდინარე წყვეტს გაცნოს თუ არა საქმე დაზარალებულს.⁴⁵⁵ აღნიშნული პრაქტიკის გამოსწორების მიზნით 2013 წელს მომზადდა კანონის პროექტი, რომელიც მოითხოვდა დაზარალებულისთვის საქმის მასალების სრულად ან ნაწილობრივ გაცნობისა და ასლების გადაღების უფლების მინიჭებას, თუმცა კოდექსში აღნიშნული ცვლილება არ განხორციელდა.⁴⁵⁶ სსსკ-ის ნაკლად ვერ ჩაითვლება, რომ იგი საქმის მასალების გაცნობის უფლებას ზღუდავს გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე. რა თქმა უნდა არის საქმეები, რომლებშიც ისეთი მტკიცებულებებია, რომ მათი გაცნობის შემთხვევაში შეიძლება დაზარალებულმა ბრალდებულს ზიანი მიაყენოს ან დაზარალებულმა მოწმეებზე იძალადოს, ან სხვაგვარად შეუქმნას საფრთხე გამოძიებას. ამიტომ სსსკ-ის ეს ჩანაწერი სრულიად მისაღებია და იგი არ უნდა გაუქმდეს. მოცემულ შემთხვევაში პრობლემა არა ნორმაში, არამედ მის ინტერპრეტაციასა და დამკვიდრებულ მახინჯ პრაქტიკაშია.

Österreichischer Perspektive, Viktimologie und Opferrechte: Schriftenreihe der Weisser Ring, Forschungsgesellschaft Bd. 8, Innsbruck, 2017, S. 157.

⁴⁵⁵ ინტერვიუ ადვოკატ, ლევან დვალისვილითან, 27/02/2019.

⁴⁵⁶ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, 19/11/2013, <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/2083578?publication=0>>, [20.06.2020].

საქართველოში დიდ პრობლემას წარმოადგენდა საქმის მასალების გაცნობა, ვინაიდან სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით მას არ შეეძლო საქმის მასალების ასლების მიღება. მოცემული ნორმატიული მოწესრიგება შეიცვალა 2020 წლის 18 დეკემბრის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომლის მიხედვით, დაზარალებულს მიენიჭა საქმის მასალების ასლების მიღების უფლება. კერძოდ სასამართლომ კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებულ უფლებასთან (პირის უფლება, გაეცნოს საჯარო დანესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას) შეუსაბამოდ მიიჩნია სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ბლანკეტურად გამორიცხავს დაზარალებულის შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმაცია გამოძიების მიმდინარეობის შესახებ და გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს ასლის სახით.⁴⁵⁷

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება დიდი მნიშვნელობის მატარებელია, ვინაიდან მან აღმოფხვრა პრაქტიკაში არსებული პრობლემები. საქმის მასალების გაცნობის კუთხით პირველი პრობლემა ის იყო, რომ სსსკ იმპერატიულად არ ითვალისწინებს ადვოკატის ყოლის უფლებას, ამიტომ პროკურატურა არ აძლევდა დაზარალებულის ადვოკატს საქმის მასალების გაცნობის უფლებას. აღნიშნულ უფლებას მხოლოდ და მხოლოდ დაზარალებულს აძლევდნენ. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დაზარალებული ხშირ შემთხვევაში იურისტი არ არის (მითუმეტეს სისხლის სამართლის მიმართულებით), შესაბამისად მისთვის რთული იყო იურიდიული ენის გაგება და საქმის დეტალების ჩანვდომა. აღნიშნული განსაკუთრებით რთული იყო დიდი საქმეების შემთხვევაში. თუ დაზარალებულს გაუმართლებდა და პროკურორი გულისხმიერი ადამიანი აღმოჩნდებოდა, მაშინ იგი დაზარალებულს ნებას რთავდა ადვოკატთან ერთად გაცნობოდა საქმის მასალებს, მაგრამ ეს ძალზედ იშვიათად ხდებოდა და ამგვარ გაცნობას არაფორმალურ სახეს აძლევდნენ. საქმის მასალების გაცნობის ოქმზე ხელს მაინც მხოლოდ დაზარალებული აწერდა და ადვოკატსაც აყვედრიდნენ მათ „კეთილგანწყობას“.⁴⁵⁸

⁴⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/3/1312 საქმეზე „კონსტანტინე გამსახურდია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 18/12/2020, სარეზოლუციო ნაწილი.

⁴⁵⁸ ინტერვიუ ადვოკატ, ლევან დვალიშვილთან, 27/02/2019.

როგორც უკვე აღინიშნა, საქმის მასალების გაცნობის უფლება მნიშვნელოვანია ზიანის ანაზღაურების კუთხითაც. მტკიცებულებების მოპოვების დროს გამომძიებლები და პროკურორები, როგორც წესი, ხელმძღვანელობენ სისხლის სამართლის პროცესის ინტერესებით. აღნიშნულში იგულისხმება ის, რომ ისინი მტკიცებულებებს მოიპოვებენ და მოწმეების გამოკითხვას ახდენენ მხოლოდ იმ ფარგლებში, რაც საჭიროა სისხლის სამართლის პროცესისთვის, შესაბამისად, პროკურორი საქმის ყველა დეტალზე არ ამახვილებს ყურადღებას და მოწმეებსაც ზოგიერთ ფაქტობრივ გარემოებაზე საერთოდ არ უსვამს კითხვას. დაზარალებულისთვის კი სისხლის სამართლის პროცესში ყურადღების მიღმა დარჩენილ დეტალებს დიდი მნიშვნელობა აქვს. 1998 წლის კოდექსისგან განსხვავებით, 2009 წლის სსსკ აღარ იცნობს სამოქალაქო სარჩელის ინსტიტუტს, შესაბამისად, ზიანის ანაზღაურებისთვის დაზარალებულს დავა უწევს სამოქალაქო სამართლებრივი გზით. აღნიშნული დავისას ხშირ შემთხვევაში საჭირო ხდება სისხლის სამართლის საქმის მასალების გამოთხოვა, სადაც მოწმეებს ან მსჯავრდებულს დაფიქსირებული აქვს საქმის მნიშვნელოვანი დეტალები. შესაბამისად, დაზარალებულს აქვს ლეგიტიმური ინტერესი, რომ იცოდეს რა კითხვები დაესვა მოწმეებს და ზოგადად რა მტკიცებულებები არსებობს საქმეში, რათა შემდეგ გამოიყენოს სამოქალაქო საქმეში. ბუნებრივია ამის ცოდნა საქმის მასალებზე რეალური წვდომის გარეშე წარმოუდგენელია. შესაბამისად, პრაქტიკაში შეუძლებელი იყო, რომ დაზარალებულს, ადვოკატის გარეშე მთლიანად წაეკითხა როგორც წესი მრავალტომიანი საქმე და განესაზღვრა, თუ რა დასჭირდებოდა სამოქალაქო საქმეში.⁴⁵⁹

ასევე დიდ პრობლემას წარმოადგენდა საქმის მასალების გაცნობის გარემო. საქართველოში საქმეთა აბსოლუტურ უმრავლესობაში, დაზარალებულს საქმის მასალებს აცნობენ გამომძიებელთან, პოლიციის შენობაში. გამომძიებლის სამუშაო ოთახი უნდა წარმოვიდგინოთ როგორც დარბაზი, სადაც განლაგებულია გამომძიებლების მრავალი სამუშაო მაგიდა. დარბაზის სტილის ოთახებს არ აქვს კარები, ისინი პირდაპირ კიბეებით უკავშირდებიან ქვედა და ზემო სართულს (პოლიციის გამჭვირვალე შენობები). ოთახებში ირევა ბევრი ხალხი, არის ხმაური, ზოგჯერ ტელევიზორიც არის ჩართული.

⁴⁵⁹ ინტერვიუ ადვოკატ ლევან დვალისვილთან, 27/02/2019.

დაზარალებული საქმის მასალებს ეცნობა ორიგინალში, გამომძიებლის სამუშაო მაგიდაზე, გამომძიებლის ინტენსიური მეთვალყურეობის ქვეშ, რაც დაზარალებულისთვის დამატებით უხერხულობას იწვევს. როგორც წესი, გამომძიებელს ბევრი საქმე აქვს და მაშინ, როცა დაზარალებული საქმის მასალებს ეცნობა, გამომძიებელს პარალელურ რეჟიმში უწევს თავისი საქმის კეთება. მას ხანდახან მაგიდიდან დოკუმენტების აღება სჭირდება ხოლმე ან კომპიუტერში მუშაობა.⁴⁶⁰ აღნიშნულ გარემოში რა თქმა უნდა რთულია კონცენტრაცია და საქმის მასალებიდან იმ დეტალების ამოკითხვა, რომელიც სამოქალაქო საქმისთვის მნიშვნელოვანია. აქვე კიდევ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ვსაუბრობთ დაზარალებულზე - ადამიანზე, რომელსაც არ აქვს იურიდიული განათლება და მისთვის იურიდიული ტერმინოლოგია სრულიად უცნობია. ამდენად, საქმის მასალების გაცნობა, რომელიც გულისხმობს საქმის მასალების სტრესულ გარემოში წაკითხვას და მაქსიმუმ ცარიელ ფურცელზე რაიმეს მონიშვნას, ვერ უზრუნველყოფს დაზარალებულის უფლებების დაცვას. სწორედ ამიტომ მისასაღებელია, რომ საკონსტიტუციო გადაწყვეტილების შემდეგ, დაზარალებულს შეუძლია საქმის მასალების ასლის მიღება და ყველა ამ პრობლემისთვის თავის არიდება.

საქმის მასალების გაცნობის უფლების კუთხით სხვა პრობლემას წარმოადგენს ის, რომ დაზარალებულს მოცემული უფლებით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ წინასასამართლო სხდომამდე 10 დღით ადრე, ამის შემდეგ მას პროცესში საერთოდ აღარ აქვს წვდომა მასალებზე. გარდა ამისა, მას არ აქვს წვდომა სასამართლო სხდომის ოქმებზე. დაზარალებული სასამართლო სხდომებს ვერ ესწრება მანამ, სანამ მოწმედ არ დაიკითხება. დაკითხვით კი იგი შეიძლება ყველაზე ბოლოს დაიკითხოს. შესაბამისად, გამოდის, რომ დაზარალებულმა საერთოდ არ იცის, სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას რა გარემოებები გააუღერეს მოწმეებმა. მოწმეებმა შეიძლება დამატებით განმარტონ გარემოებები ან ახალი გარემოებები დაასახელონ, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს სამოქალაქო საქმის განხილვისას, მაგალითად, მოწმემ შეიძლება დაასახელოს გვამის ადგილმდებარეობა ან მოპარული ნივთის ადგილმდებარეობა, ან პიროვნების ვინაობა. შესაბამისად, დაზარალებულს სამოქალაქო

⁴⁶⁰ ინტერვიუ ადვოკატ ლევან დვალისვილითან, 27/02/2019.

წესით დავისას არ ეცოდინება, სამოქალაქო სასამართლოს გამოათხოვინოს თუ არა მასალები, ვინაიდან არ იცის გამოადგება თუ არა. ამიტომ აუცილებელია, დაზარალებულს მიენიჭოს სასამართლო სხდომის ოქმების გაცნობის უფლება, როგორც ეს ევროკავშირის წევრ უმრავლეს სახელმწიფოში⁴⁶¹ და ასევე ევროკავშირის არაწევრ საერთო სამართლის ქვეყნებშია (მაგალითად, ავსტრალია⁴⁶² და ახალი ზელანდია⁴⁶³) შესაძლებელი.

3.5. სათარჯიმნო და მთარგმნელობითი მომსახურების მიღების უფლება

3.5.1. საერთაშორისო სტანდარტი

დაზარალებულების მიმართ თანასწორი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლებთან ნებისმიერი ურთიერთობისას დაზარალებულების ესმოდეთ და პირიქით, დაზარალებულებსაც ესმოდეთ მათი.⁴⁶⁴ შესაბამისად, დაზარალებულის უფლება სათარჯიმნო და მთარგმნელობით მომსახურებაზე წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს უფლებას.⁴⁶⁵ იმდენად მნიშვნელოვანს, რომ მან ჯერ კიდევ 2001 წლის ჩარჩო გადაწყვეტილებაში ჰპოვა ასახვა. აღნიშნული უფლება განმტკიცებულ იქნა მის მე-5 მუხლში და სახელმწიფოებისგან მოითხოვდა დაზარალებულებთან კომუნიკაციის პრობლემების მინიმუმამდე დაყვანას.⁴⁶⁶ მოგვიანებით, მან დირექტივაშიც ჰპოვა ასახვა და ჩარჩო გადაწყვეტილებისგან განსხვავებით, დირექტივამ უფრო ფართო რეგულაციები შემოიტანა.

⁴⁶¹ სასამართლო სხდომის ოქმების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით: <<https://fra.europa.eu/en/publications-and-resources/data-and-maps/comparative-data/victims-support-services/trial-rights>>, [11.06.2021].

⁴⁶² *NSW Government: Information for Victims of Crime*, 2008 (განახლებულია: 11/2019), pp. 1-2, <https://www.victimsservices.justice.nsw.gov.au/Documents/fs01_access-court-docs.pdf>, 23.06.2020).

⁴⁶³ ახალ ზელანდიაში სასამართლო სხდომის ოქმების გაცნობასთან დაკავშირებით: <<http://www.victimsinfo.govt.nz/after-sentencing/access-to-court-documents/>>, 23.06.2020).

⁴⁶⁴ Victims' Directive, Recital 34.

⁴⁶⁵ იქვე, Recital 21; *Ćopić, S.: Victims' Right to Interpretation and Translation in Criminal Proceedings in Serbia*, Belgrade, 2018, p. 2.

⁴⁶⁶ *European Commission: DG Justice Guidance Document related to the Transposition and Implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 Establishing Minimum Standards on the Rights, Support and Protection of Victims of Crime, and Replacing Council Framework Decision 2001/220/JHA*, Ref. Ares (2013)3763804 - 19/12/2013, p. 21.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის სამართლებრივ აქტებში სათარჯიმნო და მთარგმნელობითი მომსახურების მიღებაზე უფლების განმტკიცება პირდაპირ კავშირშია მიმოსვლის თავისუფლებასთან. დღეს ბევრი ადამიანი ცხოვრობს ემიგრაციაში, რის გამოც შესაძლებელია, რომ არ ფლობდნენ ან სათანადოდ არ ფლობდნენ იმ ქვეყნის სახელმწიფო ენას, სადაც ცხოვრობენ ან სადაც დანაშაულის მსხვერპლები გახდნენ. გარდა ამისა, ევროკავშირის მასშტაბით თავისუფალი გადაადგილების პირობებში, სავსებით შესაძლებელია, რომ ტურისტები საზღვარგარეთ გახდნენ დანაშაულის მსხვერპლები. დირექტივა კი მოითხოვს, რომ ევროკავშირის მასშტაბით ყველა დაზარალებული თანაბრად იყოს დაცული.⁴⁶⁷

2012 წლის დირექტივა შეიცავს ოთხ მუხლს, რომელიც მნიშვნელოვანია სათარჯიმნო და მთარგმნელობითი მომსახურების მიღების უფლების კუთხით. ესენია მე-3 მუხლი - გასაგებ ენაზე კომუნიკაციის უფლება; მე-4 მუხლი - კომპეტენტურ ორგანოებთან პირველივე ურთიერთობისთანავე ინფორმაციის მიღების უფლება; მე-5 მუხლი - დაზარალებულის უფლებები დანაშაულის შესახებ განაცხადის გაკეთებისას და მე-7 მუხლი - სათარჯიმნო და მთარგმნელობითი მომსახურების მიღების უფლება.⁴⁶⁸

როგორც უკვე აღინიშნა, დაზარალებულის მიერ მისი უფლებების რეალიზებისთვის, აუცილებელია, რომ შესაბამის სახელმწიფო უწყებებს მისი ესმოდეთ და დაზარალებულსაც მათი ესმოდეს. სწორედ ამიტომ, დირექტივის მე-3 მუხლი სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ გაატარონ ისეთი ღონისძიებები, რომელიც შესაძლებელს გახდის დაზარალებულთან მარტივ და გასაგებ ენაზე კომუნიკაციას. აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება როგორც ზეპირ, ისე წერილობით კომუნიკაციაზე.⁴⁶⁹

დირექტივის მე-4 მუხლი მოითხოვს, რომ კომპეტენტურ ორგანოებთან პირველივე კონტაქტისთანავე, დაზარალებულს მიეწოდოს ინფორმაცია მისი უფლებების შესახებ. შესაბამისად, დაზარალებულს *inter alia* უნდა მიეწოდოს ინფორმაცია სათარჯიმნო და

⁴⁶⁷ *EPRS: The Victims' Rights Directive 2012/29/EU: European Implementation Assessment*, 2017, pp. 9-10, <<https://www.statewatch.org/news/2017/dec/ep-study-victims-directive.pdf>>, [18.05.2020].

⁴⁶⁸ *Ćopić, S.: Victims' Right to Interpretation and Translation in Criminal Proceedings in Serbia*, Belgrade, 2018, p. 2.

⁴⁶⁹ იქვე, p. 4.

მთარგმნელობითი მომსახურების მიღების უფლებაზე და მისი გამოყენების შესაძლებლობებზე.⁴⁷⁰

დირექტივის მე-5 მუხლი მოითხოვს, რომ დაზარალებულს, რომელიც გადანყვეტს, რომ დანაშაული განაცხადოს შესაბამის სახელმწიფო უწყებაში და რომელიც არ საუბრობს იმ ენაზე, რომელზეც საუბრობენ შესაბამის სახელმწიფო უწყებაში, მიეცეს შესაძლებლობა, რომ განაცხადი გააკეთოს მისთვის გასაგებ ენაზე და ენობრივი ბარიერის აღმოსაფხვრელად მიიღოს სათანადო დახმარება. გარდა ამისა, დირექტივა მოითხოვს, რომ ასეთმა დაზარალებულმა, მოთხოვნის შემთხვევაში, უფასოდ მიიღოს მისი განაცხადის თარგმანი.⁴⁷¹

სათარჯიმნო და მთარგმნელობითი მომსახურების მიღების უფლებას ეძღვნება დირექტივის მე-7 მუხლი. მოცემული მუხლი სახელმწიფოებს სთხოვს უზრუნველყონ, რომ დაზარალებულებმა, რომლებსაც არ ესმით სისხლის სამართლის პროცესის ენა, მოთხოვნის შემთხვევაში, უფასოდ ისარგებლონ სათარჯიმნო და მთარგმნელობითი მომსახურებით. დირექტივა მოითხოვს, რომ დაზარალებულისთვის თარჯიმნის მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს მთლიანი პროცესის დროს, ანუ, როგორც საგამოძიებო ორგანოსთან, ისე სასამართლოსთან ურთიერთობისას და შესაბამისი საპროცესო მოქმედებების განხორციელებისას, რათა დაზარალებულმა შეძლოს პროცესში მონაწილეობა. დირექტივა უშვებს შესაძლებლობას, რომ ზეპირი თარგმანა განხორციელდეს საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, მაგალითად, ტელეფონის, ვიდეო კონფერენციებით ან ინტერნეტით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა თარჯიმნის ადგილზე ყოფნა საჭიროა იმისთვის, რომ დაზარალებულმა სათანადოდ შეძლოს პროცესის გაგება.⁴⁷²

სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დაზარალებულს უფასოდ მიეწოდოს იმ ინფორმაციის თარგმანი, რომელიც მნიშვნელოვანია სისხლის სამართლის პროცესში მისი უფლებების გამოყენებისთვის. მაგალითად, დირექტივა მოითხოვს, რომ დაზარალებულს,

⁴⁷⁰ იქვე.

⁴⁷¹ იქვე.

⁴⁷² Victims' Directive, Art. 7 (1, 2); *Ćopić, S.: Victims' Right to Interpretation and Translation in Criminal Proceedings in Serbia*, Belgrade, 2018, p. 2.

მის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, გადაეცეს პროცესის შემაჯამებელი გადანწყვეტილება ან გადაეცეს მოცემული გადანწყვეტილების დასაბუთება, ან დასაბუთების მოკლე შეჯამება. აღნიშნული მოთხოვნა არ მოქმედებს იმ გადანწყვეტილებების მიმართ, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით, არ მოითხოვს დასაბუთებას. მათ მიეკუთვნება ნაფიც მსაჯულთა მიერ განხილული საქმე და გადანწყვეტილებები, რომელთა სამოტივაციო ნაწილი საიდუმლოდ იქნა გამოცხადებული.⁴⁷³ გარდა ამისა, დირექტივა მოითხოვს, რომ დაზარალებულს, რომელსაც აქვს სასამართლო სხდომების დროისა და ადგილის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება და რომელიც არ ფლობს პროცესის ენას, მოთხოვნის შემთხვევაში, მისთვის გასაგებ ენაზე მიიღოს აღნიშნული ინფორმაცია.⁴⁷⁴

ამასთან, დირექტივის თანახმად, დაზარალებულს უნდა შეეძლოს დასაბუთებული მოთხოვნის წარდგენა, რომ ესა თუ ის საპროცესო დოკუმენტი მიჩნეულ იქნეს მნიშვნელოვან დოკუმენტად და მოხდეს მისი თარგმნა. თუმცა დირექტივა არ მოითხოვს მნიშვნელოვნად მიჩნეული დოკუმენტის იმ ნაწილების თარგმნას, რომლებიც არ არის გადამწყვეტი პროცესში დაზარალებულის აქტიური მონაწილეობისთვის.⁴⁷⁵ დირექტივა უშვებს შესაძლებლობას, რომ მნიშვნელოვანი დოკუმენტები წერილობითის ნაცვლად ზეპირად ითარგმნოს, თუ ეს არ დაარღვევს სამართლიანი სასამართლოს პრინციპს.⁴⁷⁶

⁴⁷³ Victims' Directive, Art. 7 (3); *European Commission*: DG Justice Guidance Document related to the Transposition and Implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 Establishing Minimum Standards on the Rights, Support and Protection of Victims of Crime, and Replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 - 19/12/2013, p. 22; *Del Pozo Triviño, M.*: The Right of Gender Violence Victims and Survivors to Quality Translation and Interpreting According to Legislation, ნაშრომში: *Liimatainen, A., Nurmi, A., Kivilehto, M., Salmi, L., Viljanmaa, A., Wallace, M.* (eds): Legal Translation and Court Interpreting: Ethical Values, Quality, Competence Training, Berlin, 2018, pp. 32-34.

⁴⁷⁴ Victims' Directive, Art. 7 (4); *European Commission*: DG Justice Guidance Document related to the Transposition and Implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 Establishing Minimum Standards on the Rights, Support and Protection of Victims of Crime, and Replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 - 19/12/2013, p. 22.

⁴⁷⁵ Victims' Directive, Art. 7 (5); *European Commission*: DG Justice Guidance Document related to the Transposition and Implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 Establishing Minimum Standards on the Rights, Support and Protection of Victims of Crime, and Replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 - 19/12/2013, p. 22.

⁴⁷⁶ Victims' Directive, Art. 7 (6); *European Commission*: DG Justice Guidance Document related to the Transposition and Implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 Establishing Minimum Standards on the Rights, Support and Protection of Victims of Crime, and Replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 - 19/12/2013, p. 22.

მნიშვნელოვანია, რომ დაზარალებულისთვის სათარჯიმნო და მთარგმნელობითი მომსახურების მიღებაზე უარის თქმისას, დირექტივა დაზარალებულს ანიჭებს მოცემული გადანყვეტილების გასაჩივრების უფლებას. თუმცა ეს უფლება სახელმწიფოებს არ აკისრებს ვალდებულებას, რომ საჩივრის განხილვისთვის შემოიღონ ცალკე მექანიზმი. იგი შესაძლებელია ჩაჯდეს გასაჩივრების იმ მექანიზმში, რომელიც ეროვნულ დონეზე უკვე არსებობს.⁴⁷⁷ და ბოლოს, დირექტივა მოითხოვს, რომ პროცესში სათარჯიმნო და მთარგმნელობით მომსახურებასთან დაკავშირებულმა საკითხებმა, მაგალითად, თარგმანზე უარის გადანყვეტილების გასაჩივრებამ, არ გამოიწვიოს პროცესის გაჭიანურება. თუმცა დაუშვებელია დაზარალებულის მიერ ე.წ. „იმვითა ენაზე“ საუბარი აღქმულ იქნეს, როგორც პროცესის გაჭიანურების საფუძველი და ამის გამო მას უარი ეთქვას სათარჯიმნო და მთარგმნელობითი მომსახურების განევაზე.⁴⁷⁸

დირექტივა ასევე ამახვილებს ყურადღებას იმ ადამიანებზე, რომლებსაც კომუნიკაციის პრობლემები გააჩნიათ და თარჯიმნის მომსახურების აუცილებლობას მათზეც ავრცელებს.⁴⁷⁹

ევროკავშირის მასშტაბით ეროვნულ დონეზე ყველა სახელმწიფომ აღასრულა დირექტივის მოთხოვნები და სათარჯიმნო და მთარგმნელობითი მომსახურების მიღებაზე დაზარალებულის უფლებამ ყველა სახელმწიფოს კანონმდებლობაში ჰპოვა ასახვა.⁴⁸⁰ მაგალითად ავსტრიაში დაზარალებულს, რომელმაც არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, შეუძლია უფასოდ ისარგებლოს როგორც სათარჯიმნო, ისე

⁴⁷⁷ Victims' Directive, Art.7 (7), Recital 35; *European Commission*: DG Justice Guidance Document related to the Transposition and Implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 Establishing Minimum Standards on the Rights, Support and Protection of Victims of Crime, and Replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 - 19/12/2013, p. 22; *Kamber, K.*: Prosecuting Human Rights Offences: Rethinking the Sword Function of Human Rights Law, Leiden, 2017, p. 207.

⁴⁷⁸ Victims' Directive, Art. 7 (8); *European Commission*: DG Justice Guidance Document related to the Transposition and Implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 Establishing Minimum Standards on the Rights, Support and Protection of Victims of Crime, and Replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 - 19/12/2013, p. 22.

⁴⁷⁹ *Victim Support Europe*: Handbook For Implementation of Legislation and Best Practice for Victims of Crime in Europe, Brussels, 2013, p. 9,

http://victimsupporteurope.eu/activeapp/wp-content/files_mf/1385974688NewVersionVSEHandbookforImplementation.pdf, [16.06.2020].

⁴⁸⁰ *EPRS*: The Victims' Rights Directive 2012/29/EU: European Implementation Assessment, 2017, p. 57, <https://www.statewatch.org/news/2017/dec/ep-study-victims-directive.pdf>, [18.05.2020].

მთარგმნელობითი მომსახურებით. დაზარალებულს შეუძლია მიიღოს მნიშვნელოვანი ღოკუმენტების თარგმანიც. მნიშვნელოვან ღოკუმენტებად კი ავსტრიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მიიჩნევს დანაშაულის შეტყობინების დასტურს, გამოძიების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას თავისი დასაბუთებით და სასამართლო განაჩენის ასლს. პროცესში შეიძლება სხვა აქტებიც იქნეს მნიშვნელოვნად მიჩნეული, თუმცა დაზარალებულმა ეს უნდა დაასაბუთოს.⁴⁸¹ გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დაზარალებულს, რომელმაც არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა და რომელსაც სურს დანაშაულის შესახებ განაცხადის გაკეთება, შეუძლია მიიღოს საჭირო დახმარება, განაცხადის მისთვის გასაგებ ენაზე გაკეთებისთვის.⁴⁸² ამასთან, მას აქვს უფლება მიიღოს დანაშაულის შეტყობინების დამადასტურებელი ცნობის თარგმანი. გარდა ამისა, მოთხოვნის შემთხვევაში, დაზარალებულს შეუძლია მისთვის გასაგებ ენაზე მიიღოს გადაწყვეტილება პროცესის შეწყვეტის შესახებ, ინფორმაცია სასამართლო სხდომების დროისა და ადგილის შესახებ, პირის მიმართ ბრალის წაყენების შესახებ, პროცესის მიმდინარეობის შესახებ.⁴⁸³ ამასთან გერმანული ენის არმცოდნე სუბსიდიურ ბრალმდებელს უფლება აქვს მიიღოს საქმის მასალების თარგმანი, თუ ეს აუცილებელია მისთვის მინიჭებული უფლებებით სარგებლობისთვის.⁴⁸⁴ ესპანეთში დაზარალებულს სათარჯიმნო და მთარგმნელობითი მომსახურების მიღებაზე უარის შემთხვევაში, მოცემული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებაც აქვს მინიჭებული.⁴⁸⁵

⁴⁸¹ öStPO, §§ 56, 66; *Sautner, L.*: Opferrechte im Strafprozess in Österreich, ნაშრომში: *Sautner, L., Jesionek, U.* (Hrsg.): Opferrechte in Europäischer, Rechtsvergleichender und Österreichischer Perspektive, Viktimologie und Opferrechte: Schriftenreihe der Weisser Ring, Forschungsgesellschaft Bd. 8, Innsbruck, 2017, S. 112; *Schöch, H.*: Opferrechte im Strafprozess in Deutschland, ნაშრომში: *Sautner, L., Jesionek, U.* (Hrsg.): Opferrechte in Europäischer, Rechtsvergleichender und Österreichischer Perspektive, Viktimologie und Opferrechte: Schriftenreihe der Weisser Ring, Forschungsgesellschaft Bd. 8, Innsbruck, 2017, S. 127.

⁴⁸² dStPO, §158 Abs.4; Gesetz zur Stärkung der Opferrechte im Strafverfahren (3. Opferrechtsreformgesetz), Art. 1 Abs. 4.

⁴⁸³ dStPO, §406d Abs. 1.

⁴⁸⁴ dStPO, §397 Abs. 3; *Schöch, H.*: Opferrechte im Strafprozess in Deutschland, ნაშრომში: *Sautner, L., Jesionek, U.* (Hrsg.): Opferrechte in Europäischer, Rechtsvergleichender und Österreichischer Perspektive, Viktimologie und Opferrechte: Schriftenreihe der Weisser Ring, Forschungsgesellschaft Bd. 8, Innsbruck, 2017, S. 138-139.

⁴⁸⁵ იხ. ესპანეთში სათარჯიმნო და მთარგმნელობითი მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით: <https://e-justice.europa.eu/content_rights_of_victims_of_crime_in_criminal_proceedings-171-ES-maximizeMS-en.do?clang=en&idSubpage=5&member=1>, [23.06.2020].

3.5.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა

სათარჯიმნო და მთარგმნელობითი მომსახურების მიღების უფლებაც საქართველოსთვისაც მნიშვნელოვან უფლებას წარმოადგენს, ვინაიდან დღეს საქართველო გამოირჩევა როგორც ტურისტებისთვის მიმზიდველი სახელმწიფო. შესაბამისად, არსებობს ალბათობა იმისა, რომ საქართველოში ქართული ენის არმცოდნე პირი გახდეს დანაშაულის მსხვერპლი. გარდა ამისა, საქართველოში, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში კომპაქტურად ცხოვრობენ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები (სამცხე-ჯავახეთში სომხები, ხოლო ქვემო ქართლში აზერბაიჯანელები), რომელთა უმეტესობა სათანადოდ არ ფლობს სისხლის სამართლის პროცესის ენას. ამასთან, საქართველოში მაღალია იმიგრანტთა რაოდენობა (მაგალითად, რუსეთის, ირანის, თურქეთის აზერბაიჯანის, ინდოეთის მოქალაქეები).⁴⁸⁶ შესაბამისად, აუცილებელია, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულება ხელმისაწვდომი იყოს ყველა ზემოჩამოთვლილი პირისთვის. ენის ბარიერის აღმოფხვრის გარეშე კი, აღნიშნულის მიღწევა პრაქტიკაში შეუძლებელია. სწორედ ამიტომ, აუცილებელია, რომ დაზარალებულისთვის სისხლის სამართლის პროცესში უზრუნველყოფილი იყოს სათარჯიმნო და მთარგმნელობითი მომსახურების მიღების უფლება.

მნიშვნელოვანია იმის განხილვა, თუ რა ნორმებს შეიცავს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ქართული ენის არმცოდნე პირების უფლებების დასაცავად.

სსსკ-ის მე-7 თავში, რომელშიც განმტკიცებულია დაზარალებულთან დაკავშირებული ნორმები, ვერ ვხვდებით ცალკე ნორმას, სათარჯიმნო და მთარგმნელობითი მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით. სსსკ-ის 53-ე მუხლში მოცემულია თარჯიმნის გამოძახებასთან დაკავშირებული ზოგადი წესი. მოცემული მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, თუ პროცესის მონაწილემ არ იცის ან სათანადოდ არ იცის ქართული ენა, მაშინ მას მიეჩინება თარჯიმანი. შესაბამისად, ქართული

⁴⁸⁶ მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი, 2019, გვ. 38, <https://migration.commission.ge/files/mp19_web3.pdf>, [12.07.2021].

ენის არმცოდნე დაზარალებულსაც შეუძლია ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით. გარდა ამისა, სსსკ-ის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოწმემ, რომელმაც არ იცის ან სათანადოდ არ იცის სისხლის სამართლის პროცესის ენა, შეუძლია ჩვენება მისცეს მშობლიურ ან მისთვის სასურველ სხვა ენაზე და სახელმწიფოს ხარჯზე ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით. შესაბამისად, როცა დაზარალებული მოწმის სახით აძლევს ჩვენებას, მასაც შეუძლია ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით.

სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი აწესრიგებს საპროცესო დოკუმენტების თარგმნის საკითხს. მოცემული ნორმის მიხედვით, პროცესში მაშინ იძახებენ თარჯიმანს, როცა საჭიროა სისხლის სამართლის პროცესის ენაზე ითარგმნოს ტექსტი. სსსკ-ის მე-11 მუხლის მიხედვით, სისხლის სამართლის პროცესის ენა არის ქართული ენა. მოცემული ორი ნორმიდან გამომდინარეობს, რომ საპროცესო დოკუმენტების თარგმნა ხდება მხოლოდ უცხო ენიდან ქართულ ენაზე არა და პირიქით. შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით ქართული ენის არმცოდნე დაზარალებულს არ აქვს უფლება, რომ სახელმწიფოს ხარჯზე მოითხოვოს მისთვის გასაგებ ენაზე მნიშვნელოვანი საპროცესო დოკუმენტების თარგმნა. აქედან გამომდინარე, საქართველოში ჩამოყალიბებული პრაქტიკაც შესაბამისია. მაგალითად, დანაშაულის შესახებ განაცხადის გაკეთებისას ქართული ენის არმცოდნე პირს მიეჩინება თარჯიმანი, თუმცა შეტყობინების დასტური არ გაიცემა დაზარალებულისთვის გასაგებ ენაზე. გარდა ამისა, როდესაც დაზარალებულად ხდება პირის ცნობა და დგება დაზარალებულისთვის უფლებების გაცნობის ოქმი, დაზარალებულს ასევე მიეჩინება თარჯიმანი, თუმცა არც მოცემული საპროცესო დოკუმენტების თარგმნა არ ხდება დაზარალებულისთვის გასაგებ ენაზე. დაზარალებული ოქმზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ თარჯიმნის მეშვეობით გაეცნო უფლებებს,⁴⁸⁷ თუმცა როგორც უკვე ნაშრომის თავი IV-ის § 3.1.2-ში იყო საუბარი, ხელმოწერას ფორმალური ხასიათი აქვს. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ის, რომ როდესაც დაზარალებულს დასჭირდება მისთვის მინიჭებული უფლებების დეტალურად შესწავლა, იგი მისთვის გადაცემული ოქმიდან ვერაფერს ამოიკითხავს, რის გამოც დასჭირდება დოკუმენტის თარგმნა და მოუწევს მთარგმნელობითი მომსახურების

⁴⁸⁷ ინტერვიუ ადვოკატ ლევან დვალისვილითან, 27/02/2019.

ხარჯების თვითონ გაწევა.⁴⁸⁸ შესაბამისად, სახელმწიფოს ხარჯზე მთარგმნელობითი მომსახურების მიღების შეუძლებლობა კიდევ უფრო ამძიმებს დაზარალებულის სამართლებრივ მდგომარეობას. თუ დაზარალებული დანაშაულით არ იღებს მატერიალურ ზიანს, როგორც წესი, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზიანის დაძლევისთვის მას უხდება დიდი ფინანსური ხარჯის გაწევა და ამ დროს სახელმწიფო მას კი არ ეხმარება, არამედ აიძულებს, რომ მთარგმნელობითი მომსახურების ხარჯებიც თვითონ გაწიოს, რაც თავისთავად გამოიწვევს დაზარალებულის მეორეულ ვიქტიმიზაციას.

სახელმწიფოს ასეთი პოლიტიკა რა თქმა უნდა დისკრიმინაციულია. იგი ცალსახად უარეს მდგომარეობაში აყენებს ქართული ენის არმცოდნე დაზარალებულს და არ აძლევს შესაძლებლობას, რომ პროცესში აქტიურად მიიღოს მონაწილეობა და ისარგებლოს მისთვის მინიჭებული უფლებებით.⁴⁸⁹ „სახელმწიფო ენის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის მიხედვით, სამართალწარმოების განხორციელებისას სახელმწიფო ენის არმცოდნე პირს მიეჩინება თარჯიმანი. თარჯიმნის მიჩენაში, მოაზრებული უნდა იყოს დოკუმენტების თარგმნაც, ვინაიდან სწორედ ნორმის ამგვარი განმარტებით იქნება შესაძლებელი სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის ეფექტური მონაწილეობა.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ სსსკ-მა გაითვალისწინოს ორგანული კანონის ჩანაწერი, რომელიც იერარქიულად მასზე მაღლა დგას და დაზარალებულისთვის უზრუნველყოს მთარგმნელობითი მომსახურებაც, რაც იქნება მისი უფლებებით სარგებლობის წინაპირობა. გარდა ამისა, აუცილებელია, სხვა სახელმწიფოების მსგავსად, საქართველოშიც განისაზღვროს ის დოკუმენტები, რომლის თარგმნის მოთხოვნის უფლებაც ექნება დაზარალებულს.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილებები და დაზარალებულს მიენიჭოს

⁴⁸⁸ ინტერვიუ ადვოკატ ლევან დვალისვილთან, 27/02/2019.

⁴⁸⁹ შეად. *NCVLI: Interpreters: A Requirement for Meaningful Exercise of Victims' Rights by Non-English Speaking Vicitms*, Victim Law Article, 2013, p. 2, <<https://law.lclark.edu/live/files/20788-interpreters-a-requirement-for-meaningful-exercise>>, [23.06.2020].

სათარჯიმნო და მთარგმნელობითი მომსახურების მიღების უფლება სახელმწიფოს ხარჯზე.

3.6. სასამართლო სხდომებზე დასწრების უფლება

3.6.1. საერთაშორისო სტანდარტი

საერთაშორისო აქტები სასამართლო სხდომებზე დასწრების უფლებას, როგორც ცალკე უფლებას არ იცნობენ. თუმცა ყველა მნიშვნელოვანი აქტი მოითხოვს, რომ პროცესში დაცული იყოს დაზარალებულის ღირსება. ამასთან, მოითხოვენ, რომ არ მოხდეს დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაცია. სწორედ ამ მოთხოვნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან უფლებას წარმოადგენს სასამართლო სხდომებზე დასწრების უფლება.

3.6.2. აშშ-ს კანონმდებლობა და პრაქტიკა

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებითი სამართლის ქვეყნებში, მაგალითად აშშ-ში, დაზარალებული მხოლოდ მას შემდეგ დაიშვებოდა პროცესზე, რაც მონმედ დაიკითხებოდა. თუმცა 1980-იან წლებში აღნიშნული მიდგომა უთანასწორო და უსამართლო მიდგომად იქნა მიჩნეული და დღეს დაზარალებულს მინიჭებული აქვს სასამართლო სხდომებზე დასწრების უფლება.⁴⁹⁰ აშშ-ში, ფედერალურ დონეზე დაზარალებულს უფლება აქვს დაშვებულ იქნეს ყველა საჯარო სხდომაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სასამართლო ნათელი და დამაჯერებელი მტკიცებულების განხილვის შემდეგ გადაწყვეტს, რომ სხვა მონმეების ჩვენების მოსმენის შემდეგ მისი ჩვენება არსებითად შეიცვლება.⁴⁹¹ შესაბამისად, სასამართლოს უნდა გააჩნდეს ნათელი და დამაჯერებელი მტკიცებულება, რომლიდანაც გამოიკვეთება, რომ დაზარალებულის მიერ ჩვენების შეცვლა არა მხოლოდ შესაძლებელია, არამედ დიდი ალბათობით

⁴⁹⁰ *U.S Department of Justice, OVS: The Crime Victim's Right to be Present*, Legal Series, Bulletin 3, 2001, p. 1, <https://www.ncjrs.gov/ovc_archives/bulletins/legalseries/bulletin3/ncj189187.pdf>, [23.06.2020].

⁴⁹¹ CVRA, Subsection a (3); *NCVLI: Fundamentals of Victims' Rights: A Summary of 12 Common Victims' Rights*, Victim Law Bulletin, 2011, p. 3, <<https://law.lclark.edu/live/files/11823-fundamentals-of-victims-rights-a-summary-of-12>>, [23.06.2020].

მოსალოდნელია.⁴⁹² გარდა ამისა, აშშ-ში დაზარალებულის უფლებების აქტი მოითხოვს, რომ სასამართლოებმა ძალისხმევა არ დაიშურონ, პროცესებზე დაზარალებულის სრული დასწრების უზრუნველსაყოფად. ამისთვის მათ უნდა გამოიყენონ ყველა გონივრული შესაძლებლობა.⁴⁹³ რაც შეეხება უშუალოდ ცალკეულ შტატებს, ზოგიერთ შტატში დაზარალებულს შეუზღუდავად შეუძლია ისარგებლოს სასამართლო სხდომებზე დასწრების უფლებით,⁴⁹⁴ ზოგიერთი შტატი დასწრების უფლებას ზღუდავს, თუ იგი ხელს შეუშლის ბრალდებულის კონსტიტუციური უფლებების, მათ შორის, სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობას,⁴⁹⁵ ზოგიერთი შტატი მაშინ ზღუდავს, როცა დასწრებამ შეიძლება ჩვენების სისწორეზე იმოქმედოს, ზოგიერთი შტატი მაშინ აძლევს დაზარალებულს დასწრების უფლებას, თუ ეს პრაქტიკულია, ზოგიერთი შტატი დასწრების საკითხის გადაწყვეტას სასამართლოს დისკრეციად ტოვებს და მხოლოდ ერთი შტატი, მხოლოდ მას შემდეგ აძლევს დაზარალებულს პროცესზე დასწრების უფლებას, როცა იგი ჩვენებას მისცემს.⁴⁹⁶ თუმცა მეცნიერები ემხრობიან სასამართლო სხდომებზე დასწრების უფლების შეუზღუდავად მოქმედებას, ანუ დაზარალებულს უნდა მიენიჭოს ყველა სხდომაზე დასწრების უფლება.⁴⁹⁷ აღნიშნულ მიდგომას ამყარებს შემდეგი არგუმენტები:

ა) მართლმსაჯულების განხორციელების ინტერესი

როგორც წესი სასამართლო სხდომა ტარდება საჯაროდ. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, საჯარო სხდომების უფლება არის

⁴⁹² *NCVLI: Fundamentals of Victims' Rights: A Summary of 12 Common Victims' Rights*, Victim Law Bulletin, 2011, p. 3, <<https://law.lclark.edu/live/files/11823-fundamentals-of-victims-rights-a-summary-of-12>>, [23.06.2020].

⁴⁹³ იქვე.

⁴⁹⁴ იქვე, pp. 3-4; ასევე იხ. Alaska Const., Art. I, § 24; Ariz. Const., Art. 2, § 2.1 (A); Colo. Const., Art. II, § 16a; Idaho Const., Art. I, § 22; La. Const. Art. I, § 25; Mich. Const. Art. I, § 24; Miss. Const. § 26A; Mont. Const. Art. I, § 32; Nev. Const. Art. I, § 8 (2); N.M. Const. Art. II, § 24 (5); Okla. Const. Art. II, § 23 (A); Or. Const. Art. I, § 42; S.C. Const. Art. I, § 24; Tenn. Const. Art. I, § 35; Utah Const. Art. I, § 28 (1b).

⁴⁹⁵ *NCVLI: Fundamentals of Victims' Rights: A Summary of 12 Common Victims' Rights*, Victim Law Bulletin, 2011, pp. 3-5, <<https://law.lclark.edu/live/files/11823-fundamentals-of-victims-rights-a-summary-of-12>>, [23.06.2020]; ასევე იხ. Ala. Const. Art. I, § 6.01 (a), Fla. Const. Art. I, § 16 (b), Ind. Const. Art. I, § 13 (b); Kan. Const. Art.15, § 15; Neb. Const. Art. I, § 28 (1).

⁴⁹⁶ *NCVLI: Fundamentals of Victims' Rights: A Summary of 12 Common Victims' Rights*, Victim Law Bulletin, 2011, pp. 3-5, <<https://law.lclark.edu/live/files/11823-fundamentals-of-victims-rights-a-summary-of-12>>, [23.06.2020].

⁴⁹⁷ *Beloff, D.E., Cassell P.G.: The Crime Victim's Right to Attend the Trial: The Reascendant National Consensus*, LCLR, Vol. 9, Iss. 3, p. 481.

ბრალდებულისა და საზოგადოების საზიარო უფლება, რომელიც უნდა იყოს სამართლიანობის გარანტი.⁴⁹⁸ საჯარო სხდომებს დიდი მნიშვნელობა აქვს დაზარალებულისთვის. როგორც წესი, იგი და მისი ოჯახის წევრები დაინტერესებულნი არიან პროცესის მსვლელობით. ეს ინტერესი სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, ვინაიდან ყველა ადამიანში ჩადებულია ლტოლვა იმისკენ, რომ ნახოს თუ როგორ ხორციელდება მართლმსაჯულება.⁴⁹⁹ გარდა ამისა, დაზარალებულს დანაშაულის შედეგად ადგება ზიანი და მხოლოდ ეს ზიანიც საკმარისია ამ ინტერესის ქონისთვის. დაზარალებული უბრალოდ იმსახურებს უყუროს იმ ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ პროცესს, რომელმაც იგი მსხვერპლად აქცია. დაზარალებულისა და მისი ოჯახის წევრების ცხოვრებაში დანაშაული წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას. სწორედ ამიტომ, მათ ბრალდებულზე არანაკლები ლეგიტიმური ინტერესი გააჩნიათ საქმის სამართლიანად განხილვისა. სწორედ ამ ლოგიკით დაზარალებულს აქვს მთლიან პროცესზე დასწრების მოთხოვნის უფლება.⁵⁰⁰ დღეს ერთხმად აღიარებულია, რომ მართლმსაჯულების სამართლიანად და მიუკერძოებლად განხორციელებისთვის აუცილებელია, რომ დაზარალებულს პროცესებზე დასწრება არ აეკრძალოს მხოლოდ იმიტომ, რომ იგი შეიძლება მოწმედ იქნეს დაკითხული.⁵⁰¹ მიუხედავად იმისა, რომ დღეს შეჯიბრებითი სისტემის ქვეყნებში დაზარალებული პროცესში არ წარმოადგენს მხარეს, მასაც იდენტური მიზეზები აქვს, რომ საკუთარი თვალთ ნახოს, თუ როგორ ხორციელდება მართლმსაჯულება.⁵⁰²

ბ) სამართლიანი პროცესი

ბრალდებულები აცხადებენ, რომ ჯვარედინი დაკითხვა უფრო ეფექტურად წარმართება, თუ დაზარალებული არ მოისმენს სხვა მოწმეების დაკითხვას. შეიძლება აღნიშნული მსჯელობა ლოგიკას მოკლებული არ იყოს, მაგრამ იგი ვერ გაამართლებს

⁴⁹⁸ *Press-Enter. Co. v. Super. Ct.*, 464 U.S. 501, 509 (1984); *Belof, D.E., Cassell P.G.*: The Crime Victim's Right to Attend the Trial: The Reascendant National Consensus, LCLR, Vol. 9, Iss. 3, pp. 521-524.

⁴⁹⁹ *Richmond Newspapers, Inc. v. Virginia*, 448 U.S. 555, 571 (1980); *Gannett Co. v. DePasquale*, 443 U.S. 428 (1979).

⁵⁰⁰ *Belof, D.E., Cassell P.G.*: The Crime Victim's Right to Attend the Trial: The Reascendant National Consensus, LCLR, Vol. 9, Iss. 3, p. 534.

⁵⁰¹ იქვე, p. 535.

⁵⁰² იქვე.

დაზარალებულის გარიყვას. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს თქმით, მონმის ჯვარედინი დაკითხვისას კონფრონტაციის დათქმა, რომელიც ჩადებულია აშშ-ს კონსტიტუციაში, ნიშნავს ეფექტური ჯვარედინი დაკითხვის უზრუნველყოფას. იგი არ გულისხმობს, რომ ჯვარედინი დაკითხვა უნდა იყოს იმ მოცულობითა და იმ გაგებით ეფექტური, როგორსაც ბრალდებული ისურვებს.⁵⁰³

სამართლიანი პროცესის დათქმამაც რთულია გაამართლოს დაზარალებულის გარიყვა. როდესაც აშშ-ს კონსტიტუცია იქმნებოდა, დაზარალებულს კერძო დევნის განხორციელების უფლება ჰქონდა და ამით იგი პროცესში ჩართული იყო, ამიტომაც ისტორიული კუთხით თუ შევხედავთ, დავინახავთ, რომ სამართლიანი სასამართლო არ მოითხოვს, რომ დაზარალებული არ ესწრებოდეს სასამართლო პროცესებს.⁵⁰⁴

ჩვენების მიცემამდე მონმისთვის სასამართლო სხდომებზე დასწრების უფლების მიცემა არ წარმოადგენს სამართლიან პროცესზე უარის თქმას. სამართლიანი პროცესის პრინციპი არ გულისხმობს სამართლებრივი პროცედურების რაფინირებას იმ დონეზე, რომ იგი გახდეს უფრო სამართლიანი ან უფრო ზუსტი, არამედ იგი კრძალავს მართლმსაჯულების განხორციელებისთვის დადგენილი სტანდარტებიდან უხემ გადახვევას.⁵⁰⁵ აშშ-ს მერილენდის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ აშშ-ს კონსტიტუციაში არაფერი ამართლებს პროცესებზე დაზარალებულის დაუსწრებლობას. აშშ-ს კონსტიტუციური ცვლილებებით ბრალდებულისთვის უზრუნველყოფილია სწრაფი მართლმსაჯულება, საჯარო სხდომები და მონმებთან კონფრონტაციის უფლება, თუმცა არც ერთი დოკუმენტი არ შეიცავს ისეთ დათქმას, რომელმაც შეიძლება შეზღუდოს დაზარალებულის პროცესზე დასწრების უფლება.⁵⁰⁶ ჩრდილო კაროლინას უზენაესმა სასამართლომ კი დაადგინა, რომ სამართლიანი პროცესი ავტომატურად არ მოითხოვს იმ

⁵⁰³ United States v. Owens, 484 U.S. 554, 559 (1988); Delaware v. Van Arsdall, 475 U.S. 673, 679 (1986); *Belooof, D.E., Cassell P.G.*: The Crime Victim's Right to Attend the Trial: The Reascendant National Consensus, LCLR, Vol. 9, Iss. 3, p. 535.

⁵⁰⁴ *Belooof, D.E., Cassell P.G.*: The Crime Victim's Right to Attend the Trial: The Reascendant National Consensus, LCLR, Vol. 9, Iss. 3, p. 535.

⁵⁰⁵ Bell v. Duckworth, 861 F.2d 169, 170 (7th Cir. 1988); *Belooof, D. E., Cassell P.G.*: The Crime Victim's Right to Attend the Trial: The Reascendant National Consensus, LCLR, Vol. 9, Iss. 3, pp. 521-524.

⁵⁰⁶ Wheeler v. State, 596 A.2d 78,88 (Md. 1991); *Belooof, D. E., Cassell P.G.*: The Crime Victim's Right to Attend the Trial: The Reascendant National Consensus, LCLR, Vol. 9, Iss. 3, pp. 521-524.

მონწევების განცალკევებას, რომლებმაც ერთი დამიჯვე ფაქტობრივი გარემოებების შესახებ უნდა მისცენ ჩვენება. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ ზოგადად სასამართლო პროცესი და სისხლის სამართლის საქმის განხილვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენაა, ამიტომ სხდომები უნდა მიმდინარეობდეს საჯაროდ. საზოგადოებასა და განსაკუთრებით მხარეებს გააჩნიათ უფლება, რომ ნახონ და მოისმინონ, თუ როგორ მიმდინარეობს პროცესი.⁵⁰⁷ სასამართლომ იმ საქმეში, რომელშიც ბრალდებულს ემუქრებოდა სიკვდილით დასჯა, მიიჩნია, რომ მოკლეული პოლიციელის შვილის პროცესზე დასწრება არ არღვევდა ბრალდებულის კონსტიტუციურ უფლებებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ „სამართლიანი პროცესი არ მოითხოვს, რომ სიკვდილით დასჯის საქმეში ბრალდებულს მიენიჭოს უფლება, რომ სასამართლო სხდომის დარბაზში არ იქნენ ის პირები დაშვებულნი, რომელთა ყოფნამაც შეიძლება ნათეს მსაჯულებს გაახსენოს მსხვერპლი. სისხლის სამართლის პროცესი არის საჯარო, შესაბამისად, ყველა მოქალაქეს, მათ შორის დაზარალებულის ოჯახსაც აქვს პროცესზე დასწრების უფლება“.⁵⁰⁸

სხდომებზე დაზარალებულის დასწრების წინააღმდეგ ყველაზე ხშირად იმ არგუმენტს იყენებენ, რომ თუ დაზარალებული დაესწრება პროცესს, იგი მოისმენს სხვა მონწევების ჩვენებას და ბრალდებულის საწინააღმდეგოდ შეცვლის ჩვენებას. მართლაც შესაძლებელია, რომ დაზარალებულის იზოლაცია გარკვეულ საქმეებში საჭირო იყოს, მაგრამ ეს სულაც არ მოითხოვს პროცესებზე დაზარალებულის დასწრების შეზღუდვას. სავსებით შესაძლებელია, რომ დაზარალებული პირველ მონმედ იქნეს გამოძახებული და ამით მიეცეს შესაძლებლობა, რომ მთლიან პროცესს ადევნოს თვალი. აღნიშნული მიდგომა გაზიარებულ იქნა აშშ-ში და დაზარალებული იკითხება როგორც პირველი მონმე, განსაკუთრებით მაშინ, როცა არსებობს ჩვენების შეცვლის რისკი.⁵⁰⁹ ასევე გაზიარებულ იქნა ნორვეგიაში, სადაც შეიცვალა მონმეთა დაკითხვის რეგითობა.⁵¹⁰

⁵⁰⁷ State v. Harrell, 312 S.E.2d 230, 236 (N.C. Ct. App. 1984), *Belof, D.E., Cassell P.G.*: The Crime Victim's Right to Attend the Trial: The Reascendant National Consensus, LCLR, Vol. 9, Iss. 3, pp. 521-524.

⁵⁰⁸ Willis v. Kemp, 838 F.2d 1510, 1523 (11th Cir. 1988); *Belof, D.E., Cassell P.G.*: The Crime Victim's Right to Attend the Trial: The Reascendant National Consensus, LCLR, Vol. 9, Iss. 3, pp. 527-529.

⁵⁰⁹ *Belof, D.E., Cassell P.G.*: The Crime Victim's Right to Attend the Trial: The Reascendant National Consensus, LCLR, Vol. 9, Iss. 3, pp. 540-541.

⁵¹⁰ *Antonsdóttir, H.F.*: 'A Witness in My own Case': Victim-survivors' Views on the Criminal Justice Process in Iceland, Fem. Leg. Stud., Vol. 26, Iss. 3, 2018, p. 316.

სასამართლო სხდომებზე დაზარალებულის დასწრების ოპონენტები დამატებით იმ არგუმენტით ცდილობენ თავიანთი პოზიციის გამყარებას, რომ დაზარალებულმა ნათესავებს მსჯულების წინაშე შეიძლება დაინდოს ემოციური ქცევა და ამით ხელსაყრელ ბრალდებულის უფლებები. თუმცა ისიც აშკარაა, რომ ისინი არ ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ დაზარალებულის უფლება დაესწროს სასამართლო სხდომებს, თავის თავში არ მოიცავს უფლებას, რომ ხელი შეუშალოს სასამართლო სხდომების მიმდინარეობას ან მოიქცეს იმგვარად, რომ სასამართლოს ერთიანობას შეუქმნას საფრთხე. მაგალითად, ბრალდებულს აქვს უფლება, რომ დაესწროს მთლიან სასამართლო პროცესს, თუმცა მოცემული უფლება არ ანიჭებს ბრალდებულს უფლებას, რომ ხელი შეუშალოს პროცესის მიმდინარეობას.⁵¹¹ შესაბამისად, იგივე წესი უნდა მოქმედებდეს დაზარალებულის მიმართ. მას უნდა ჰქონდეს პროცესებზე შეუზღუდავად დასწრების უფლება, თუმცა ეს არ უნდა ნიშნავდეს სასამართლოსთვის ხელის შეშლის უფლების დანერგვას. აუცილებელია, რომ დაზარალებულის მიმართაც გავრცელდეს ის წესები და სანქციები, რომლებიც მოქმედებს სასამართლოში წესრიგის დარღვევის შემთხვევაში.⁵¹²

გ) მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება

სასამართლო პროცესებზე დასწრება დაზარალებულს უადვილებს დანაშაულით მიყენებული ფსიქოლოგიური ტრავმების დაძლევას და პირიქით, თუ დაზარალებულს არ ეძლევა სასამართლო სხდომებზე დასწრების შესაძლებლობა, ამან შეიძლება გამოიწვიოს მისი მეორეული ვიქტიმიზაცია.⁵¹³ დაზარალებულის პროცესზე დაუშვებლობა ლახავს მის ღირსებას. მაგალითად, რთული წარმოსადგენია, რომ დედა, რომელსაც მოუკლეს შვილი, სასამართლო დარბაზის გარეთ იჯდეს პროცესის მიმდინარეობისას.⁵¹⁴

⁵¹¹ *Illinois v. Allen*, 397 U.S. 337 (1970); *Sacomanno v. Scully*, 758 F.2d 62, 64–65 (2d Cir. 1985); *Foster v. Wainwright*, 686 F.2d 1382, 1387 (11th Cir. 1982); *Belof, D.E., Cassell P.G.*: The Crime Victim’s Right to Attend the Trial: The Reascendant National Consensus, LCLR, Vol. 9, Iss. 3, p. 538.

⁵¹² *Belof, D.E., Cassell P.G.*: The Crime Victim’s Right to Attend the Trial: The Reascendant National Consensus, LCLR, Vol. 9, Iss. 3, p. 538.

⁵¹³ *NCVLI*: Interpreters: A Requirement for Meaningful Exercise of Victims’ Rights by Non-English Speaking Victims, Victim Law Article, 2013, p. 2, <<https://law.lclark.edu/live/files/20788-interpreters-a-requirement-for-meaningful-exercise>>, [23.06.2020].

⁵¹⁴ *Belof, D.E., Cassell P.G.*: The Crime Victim’s Right to Attend the Trial: The Reascendant National Consensus, LCLR, Vol. 9, Iss. 3, p. 536.

დაზარალებულის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას ის გარემოებაც ამძიმებს, რომ ბრალდებულსა და მისი ოჯახის წევრებს შეუძლიათ პროცესზე დასწრება, ხოლო მათ არა. დანაშაულის ჩადენით მსხვერპლი სუბორდინაციულ, უთანასწორო, ე.წ. „ერთით ქვევით“ პოზიციაში ვარდება და სწორედ ამ უთანასწორობიდან მომდინარეობს მისი ფსიქოლოგიური ტრავმა. ხოლო როდესაც მართლმსაჯულების სისტემაც ისევ „ერთით ქვევით“ პოზიციაში ამყოფებს, ანუ როცა პროცესიდან რიყავს, ამით მართლმსაჯულების სისტემაც დაზარალებულის მიმართ უთანასწორო დამოკიდებულებას ავლენს და იწვევს მის მეორეულ ვიქტიმიზაციას. სექსუალური ხასიათის დანაშაულის მსხვერპლების თქმით, ამგვარი მოპყრობა მეორედ გაუპატიურების ტოლფასია.⁵¹⁵ აშშ-ს ფედერალური სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართლიანობა გულისხმობს როგორც ბრალდებულის, ისე დაზარალებულის მიმართ სამართლიანობას, ამიტომ აუცილებელია რეალური ბალანსის დამყარება.⁵¹⁶ შესაბამისად, ის მიდგომა, რომ ბრალდებული შეიძლება ესწრებოდეს სხდომებს, ხოლო დაზარალებული არა, ეწინააღმდეგება სამართლიანობასა და თანასწორობას. ამიტომ დაზარალებული დაშვებულ უნდა იქნეს სასამართლო სხდომებზე.⁵¹⁷

დ) სიმართლის დადგენის გამარტივება

თუ დაზარალებული დაესწრება პროცესს, ჭეშმარიტების დადგენა გამარტივდება. ზოგჯერ პროკურორისთვის დაზარალებულის სხდომაზე ყოფნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. აშშ-ში სასამართლოები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ დაზარალებული შეიძლება ძალიან საჭირო იყოს პროკურორისთვის. დაზარალებული მას სხვადასხვა მიმართულებით შეიძლება დაეხმაროს. ხშირად პროკურორს დღეში რამდენიმე პროცესი აქვს და საქმის ფაქტობრივი გარემოებები შეიძლება გონებიდან ამოუვარდეს. ამ დროს კი დაზარალებულს შეუძლია დაეხმაროს ფაქტების გახსენებაში.

⁵¹⁵ იქვე, pp. 536-537.

⁵¹⁶ Payne v. Tennessee, 501 U.S. 808, 827 (1991); Morris v. Slappy, 461 U.S. 1, 14 (1983); *Belof, D. E., Cassell P.G.: The Crime Victim's Right to Attend the Trial: The Reascendant National Consensus*, LCLR, Vol. 9, Iss. 3, p. 538.

⁵¹⁷ *Belof, D.E., Cassell P.G.: The Crime Victim's Right to Attend the Trial: The Reascendant National Consensus*, LCLR, Vol. 9, Iss. 3, p. 538.

ბრალდებულის გარდა, დაზარალებულზე უკეთესად არავინ იცის საქმის ფაქტობრივი გარემოებები.⁵¹⁸

3.6.3. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა

სსსკ-ის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით დაზარალებულზე ვრცელდება მონშის მიმართ არსებული ნორმები, სსსკ-ის 118-ე მუხლის მიხედვით კი მონშეს მხოლოდ მას შემდეგ შეუძლია სასამართლო სხდომებზე დასწრება, რაც იგი ჩვენებას მისცემს, იქამდე იგი სხდომებზე არ დაიშვება. საქართველოში სასამართლო სხდომის დაწყებისას მოსამართლე კითხულობს, ხომ არ იმყოფებიან დარბაზში დასაკითხ პირთა სიაში მყოფი პირები. თუ იმყოფებიან, მაშინ საკუთარი ნებით უნდა დატოვონ დარბაზი ან მხარემ უნდა უზრუნველყოს დარბაზიდან გაყვანა. სხდომაზე დაუკითხავი მონშის დაუსწრებლობას იმხელა მნიშვნელობა აქვს, რომ დაკითხვამდე მისი დარბაზში დასწრება წარმოადგენს მისი დასაკითხ მონშეთა სიიდან ამოშლის საფუძველს. ამის დასტურს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე საქმე, რომელშიც პირი ამოშლილ იქნა მონშეთა სიიდან, ვინაიდან იგი ესწრებოდა წინა სხდომებს.⁵¹⁹

პრაქტიკაში ხშირია, როცა დაზარალებულს ბოლო მონშედ იძახებენ, ამიტომ იგი ფაქტიურად პროცესიდან გამოთიშული რჩება. აღნიშნული გამომდინარეობს ბრალდების მხარის სტრატეგიიდან. იგი თავდაპირველად მიზანმიმართულად აწარმოებს სხვა მონშეების დაკითხვას, რათა შემდეგომ დაზარალებულის ჩვენება შეუსაბამოს სხვა მონშეების ჩვენებას და ამით გამორიცხოს მონშეების ჩვენებებს შორის შეუსაბამოები.⁵²⁰

აშშ-ს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სასამართლო სხდომებზე დაზარალებულის დასწრება არათუ ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პრინციპებს, არამედ თვითონ მოცემული პრინციპები მოითხოვს პროცესზე დაზარალებულის დასწრებას. ნაშრომში აღნიშნული არგუმენტების გარდა, საქართველოში დაზარალებულის პროცესზე დასწრება აუცილებელია კიდევ ერთი გარემოების გამო, კერძოდ სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების გამო. სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი

⁵¹⁸ *Belooof, D.E.: Victims' Rights: A Documentary and Reference Guide, California, 2012, p. 48.*

⁵¹⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე საქმე, გამოძიების დროს საქმის N 009161018001, ბრალდებული გ.მ. და სხვა.

⁵²⁰ ინტერვიუ ადვოკატ ლევან დვალისვილითან, 27/02/2019.

ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაზარალებულს გამოძიების ეტაპზე აქვს საქმის მასალების გაცნობის უფლება, ხოლო იმავე მუხლის იმავე ნაწილის „კ“ ქვეპუნქტით უფლება აქვს წინასასამართლო სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 10 დღისა გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს. სსსკ დაზარალებულს არ აძლევს უფლებას უკვე სასამართლო სხდომების მიმდინარეობისას გაეცნოს საქმის მასალებს და მიიღოს ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობის შესახებ. შესაბამისად, დაზარალებული წინასასამართლო და საქმის არსებითად განხილვის სხდომების მიმდინარეობისას ინფორმაციულ ვაკუუმში რჩება, რაც ხელს უშლის მისი საჭიროებების დაკმაყოფილებას. როგორც მრავალგზის აღინიშნა, დაზარალებულს გააჩნია ინფორმაციის მიღების საჭიროება. აღნიშნული საჭიროების გარდა უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი კანონმდებლობით დაზარალებულს სამოქალაქო სამართალწარმოების გზით შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. სარჩელის მოსამზადებლად კი მას როგორც წესი სჭირდება სისხლის სამართლის საქმეში არსებული მასალები. ამასთან, მან ზუსტად უნდა იცოდეს რომელი საპროცესო დოკუმენტი გამოადგება თავისი მოთხოვნის გასამყარებლად. თუ იგი პროცესიდან გამორიყული იქნება, მაშინ თავისთავად ვერ განსაზღვრავს, თუ რომელი დოკუმენტი უნდა გამოიყენოს. სხდომებზე დასწრების გარეშე, იგი ვერც მოსამართლესთან (სამოქალაქო სამართალწარმოების დროს) ვერ დააყენებს შუამდგომლობას საპროცესო დოკუმენტის გამოთხოვის შესახებ, ვინაიდან არ ეცოდინება, გამოადგება თუ არა საქმის მოსაგებად.

შესაბამისად, განხილული არგუმენტები იძლევა საფუძველს იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობაშიც შევიდეს ცვლილება და დაზარალებულს მიენიჭოს სასამართლო სხდომებზე დასწრების უფლება.

4. სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის უფლებები

4.1. საერთაშორისო სტანდარტი

ვიქტიმოლოგიური კვლევების თანახმად, დაზარალებულები, რომლებსაც სისხლის სამართლის პროცესში ეძლევათ გამოხატვის შესაძლებლობა, რომლებსაც უსმენენ და რომელთა აზრსაც იზიარებენ, უფრო მეტად კმაყოფილები არიან პროცესით. მათ

უჩნდებათ განცდა, რომ პროცესი სამართლიანად მიმდინარეობს (პროცედურული სამართლიანობა).⁵²¹ აღნიშნული დასკვნები გათვალისწინებულ იქნა საერთაშორისო აქტებში. მაგალითად გაეროს 1985 წლის დეკლარაცია მოითხოვს, რომ მსხვერპლის ხედვები გათვალისწინებულ იქნეს პროცესის სათანადო სტადიებზე.⁵²²

2012 წლის დირექტივის მესამე თავი ეძღვნება სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის მონაწილეობას. აღსანიშნავია, რომ დირექტივა მხოლოდ სათაურში იყენებს სიტყვა მონაწილეობას. იგი სხვა ადგილებში აღარ განმარტავს, თუ რა იგულისხმება მონაწილეობაში.⁵²³ თუმცა თვითონ დირექტივისა და დირექტივის იმპლემენტაციის დოკუმენტიდან ჩანს, რომ მონაწილეობა გულისხმობს არა ერთ კონკრეტულ უფლებას, არამედ აერთიანებს დაზარალებულის სხვადასხვა უფლებას, მაგალითად უფლებას, რომ მოუსმინონ, ასევე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებაზე უარის გასაჩივრების უფლებას, იურიდიული დახმარების უფლებას, სისხლის პროცესის მიზნებისათვის ჩამორთმეული ქონების უკან დაბრუნების უფლებას და სისხლის სამართლის პროცესშივე დამნაშავესგან კომპენსაციის მიღების უფლებას.⁵²⁴

სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის უფლებების კუთხით დირექტივაში განმტკიცებული უფლებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია დირექტივის მე-10 მუხლში მოცემული უფლება - დაზარალებულის უფლება, რომ მოუსმინონ. აღნიშნულის თანახმად, დაზარალებულს უნდა შეეძლოს შესაბამის ორგანოებისთვის რიგი ინფორმაციის მიწოდება, მტკიცებულებების წარდგენა და მისი ხედვების წარმოჩინება.⁵²⁵ დირექტივის პრეამბულის 41-ე პუნქტის თანახმად, დაზარალებულის უფლება, რომ მოუსმინონ უზრუნველყოფილად უნდა იქნეს ჩათვლილი, როცა დაზარალებულს აქვს შესაძლებლობა, რომ გეპირსიტყვიერად გააკეთოს განცხადებები ან წერილობით მისცეს

⁵²¹ *Moffett, L.*: Victim Personal Statements in Managing Victims' Voice in Sentencing in Northern Ireland: Taking a more Procedural Justice Approach, NILQ, Vol. 68, Iss. 4, 2017, pp. 557-558.

⁵²² Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power, Art. 6 (b).

⁵²³ *Heffernan, L.*: The Participation of Victims in the Trial Process, NILQ, Vol. 68, Iss. 4, 2017, p. 496.

⁵²⁴ იქვე.

⁵²⁵ *European Commission*: DG Justice Guidance Document related to the Transposition and Implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 Establishing Minimum Standards on the Rights, Support and Protection of Victims of Crime, and Replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 - 19/12/2013, p. 29.

ახსნა-განმარტებები. დირექტივის იმპლემენტაციის დოკუმენტის თანახმად, დაზარალებულის უფლება, რომ მოუსმინონ, სხვადასხვა სახელმწიფოში სხვადასხვა მასშტაბით შეიძლება იყოს განმტკიცებული. მაგალითად იგი შეიძლება გულისხმობდეს კომუნიკაციის უფლებას, რომელიც მიიჩნევა საბაზისო უფლებად ან მოიცავდეს უფრო ქმედით უფლებებს, მაგალითად, უფლებას, რომ გარკვეული მტკიცებულებები მხედველობაში იქნეს მიღებული ან უფლებას, რომ ზოგიერთი მტკიცებულება იქნეს მოპოვებული ან უფლებას, რომ პროცესში მისცეს ჩვენება.⁵²⁶

ქმედითი უფლებებიდან ყველაზე პრობლემურს წარმოადგენს ჩვენების მიცემა (როგორც წესი პროცესში დაზარალებულს მონმის სახით ჩვენების მიცემის ვალდებულება ეკისრება), ვინაიდან ჩვენების მიცემამ შეიძლება გამოიწვიოს დაზარალებულის ტრავმირება, ამიტომ დირექტივის მე-18 მუხლი მოითხოვს, რომ დაკითხვისა და ჩვენების მიცემის დროს დაზარალებული დაცულ იქნეს მეორეული და ხელახალი ვიქტიმიზაციისგან, დაშინებისგან ან დამნაშავეს მხრიდან შურისძიებისგან და აცილებულ იქნეს ემოციური ან ფსიქოლოგიური ზიანის რისკებიც კი.⁵²⁷ აღნიშნული მოთხოვნა წარმოადგენს დირექტივის პირველი მუხლის მოთხოვნის კონკრეტიზაციას, რომლის თანახმად, დაზარალებულს უნდა ეპყრობოდნენ პატივისცემით, თანაგრძნობით, პროფესიონალურად და არადისკრიმინაციულად. დირექტივა ასევე მოითხოვს, რომ ჩვენების მიცემისას დაცული იყოს დაზარალებულის ღირსება და პირადი ცხოვრება.⁵²⁸ ამ მოთხოვნით დირექტივა იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომას, რომელმაც აღიარა სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის დაცვის საჭიროება, განსაკუთრებით სექსუალური ხასიათის დანაშაულის დროს (დაკითხვისას დაზარალებულის ღირსების დაცვის აუცილებლობაზე ასევე საუბრობს ევროპის საბჭოს 1985 წლის რეკომენდაცია⁵²⁹).⁵³⁰ დირექტივამ დაზარალებულის დაცვისას ასევე გაითვალისწინა ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლება და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფოებმა დაზარალებულის უფლებების განმტკიცებისას არ უნდა

⁵²⁶ *Heffernan, L.*: The Participation of Victims in the Trial Process, NILQ, Vol. 68, Iss. 4, 2017, p. 498.

⁵²⁷ Victims' Directive, Art. 18.

⁵²⁸ Victims' Directive, Art. 21.

⁵²⁹ Recommendation No. R (85) 11, par. 8.

⁵³⁰ *Heffernan, L.*: The Participation of Victims in the Trial Process, NILQ, Vol. 68, Iss. 4, 2017, p. 499.

ხელყონ ბრალდებულის უფლებები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კი აღნიშნავს, რომ სამართლიანი სასამართლოს პრინციპი მოითხოვს, რომ საჭიროების შემთხვევაში ბრალდებულის ინტერესები დაბალანსდეს მონმისა და მსხვერპლი-მონმის ინტერესებთან.⁵³¹

საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ დირექტივის მოთხოვნები დაკმაყოფილებული იქნება, თუ დაზარალებულს მიეცემა შესაძლებლობა, რომ მას მოუსმინონ სისხლის სამართლის პროცესის რომელიმე სტადიაზე. ამგვარი ინტერპრეტაცია სრულიად მისაღებია, ვინაიდან მართლმსაჯულების ევროპულმა სასამართლომაც აღიარა, რომ წევრ სახელმწიფოებს გააჩნიათ დისკრეცია, თუ როგორ მოახდენენ უფლებების იმპლემენტაციას.⁵³²

4.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა

საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულისთვის დირექტივის მოთხოვნა უზრუნველყოფილია მონმის სახით ჩვენების მიცემის, პროკურორის მიერ დაზარალებულთან კონსულტაციების გავლითა და დაზარალებულის მიერ ზიანის შესახებ ჩვენების მიცემის გზით. მოცემულ თავში ყველა უფლებას ცალ-ცალკე შევხებით.

4.2.1. მონმის სახით ჩვენების მიცემა

როგორც უკვე აღინიშნა, პროცესში მონაწილეობის ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს მტკიცებულების წარდგენის შესაძლებლობა. შეჯიბრებით სისტემაში დაზარალებული არ წარმოადგენს მხარეს, შესაბამისად, მას არ შეუძლია თავად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულებები. თუმცა პროცესში უმნიშვნელოვანეს მტკიცებულებას წარმოადგენს თავად დაზარალებულის ჩვენება. ამ დროს იგი გვევლინება როგორც მონმე და მასზე ვრცელდება მონმის ყველა უფლება და ვალდებულება.⁵³³ ჩვენების მიცემით დაზარალებული მონაწილეობას ღებულობს სიმაართლის დადგენაში.

⁵³¹ ECtHR, *SN v Sweden*, Appl. No. 34209/96, 2/07/2002, § 47; ECtHR, *Vrochenko v. Estonia*, Appl. No. 59632/09, 18/07/2013, §56; *Heffernan, L.*: The Participation of Victims in the Trial Process, NILQ, Vol. 68, Iss. 4, 2017, p. 498.

⁵³² *Heffernan, L.*: The Participation of Victims in the Trial Process, NILQ, Vol. 68, Iss. 4, 2017, p. 498.

⁵³³ სსკ, 49-ე მუხლი, 56-ე მუხლის პირველი ნაწილი.

თუმცა შეჯიბრებით სისტემაში პრობლემურია ჩვენების მიცემის ფორმა, კერძოდ ჯვარედინი დაკითხვა. თანამედროვე კვლევები ადასტურებს, რომ ჩვენების მიცემა დაზარალებულის რეაბილიტაციაზე მეტად, მის ტრავმირებას იწვევს.⁵³⁴ ამიტომ ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია დირექტივის მე-18 მუხლი, ვინაიდან იგი მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენლებს მუდმივად ახსენებს დაზარალებულის ღირსების დაცვისა და მისი დაცვისთვის სათანადო ღონისძიებების გატარების აუცილებლობას.⁵³⁵ აღსანიშნავია, რომ დაზარალებულის დაკითხვა მოწმის სახით საქართველოშიც პრობლემურ საკითხს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ ნაშრომში ცალკე თავი ეთმობა დაზარალებულის მიმართ დაცვის ღონისძიებების გამოყენების საკითხს, სადაც დეტალურადაა საუბარი იმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს ჩვენების მიცემისას დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება.⁵³⁶

4.2.2. პროკურორის მიერ დაზარალებულთან კონსულტაციის გავლა

სსსკ-ის თანახმად, პროკურორი ვალდებულია დაზარალებულთან გაიაროს კონსულტაცია ორი მნიშვნელოვანი საპროცესო გადაწყვეტილების მიღებამდე: პირველი, საპროცესო შეთანხმების დადებამდე, მეორე, განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.⁵³⁷ სსსკ-ის მოცემული ნორმების მიზანია დაზარალებულის პოზიციის გარკვევა.⁵³⁸ სიტყვა კონსულტაციიდან უკვე ჩანს, რომ დაზარალებულის შეხედულებას არ აქვს მბოჭავი ძალა, ანუ დაზარალებულის უარის შემთხვევაში პროკურატურას მაინც შეუძლია საპროცესო შეთანხმების გაფორმება. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ დაზარალებულს ვეტოს უფლება უნდა გააჩნდეს, თუმცა რთულია მოცემული მიდგომის გაზიარება, ვინაიდან მართლმსაჯულების განხორციელებისას გასათვალისწინებელია როგორც საჯარო, ისე კერძო ინტერესი. ვეტოს უფლების მინიჭებით ხდება საჯარო

⁵³⁴ *Heffernan, L.*: The Participation of Victims in the Trial Process, NILQ, Vol. 68, Iss. 4, 2017, pp. 498-499.

⁵³⁵ იქვე.

⁵³⁶ ნაშრომის თავი IV, § 6.

⁵³⁷ სსსკ, 217-ე მუხლი, 168² მუხლის მე-3 ნაწილი; *აჭუბარდია, ი.*: საპროცესო შეთანხმება, ნაშრომში *ფაფიაშვილი, ლ.* (რედ.): საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი: კერძო ნაწილი, 2017, გვ. 557; *თოლორაია, ლ.*: ნაშრომში: *გიორგაძე, გ.* (რედ.): სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, 2015, გვ. 492.

⁵³⁸ *მეზერიშვილი, ნ.*: ნაშრომში: *გიორგაძე, გ.* (რედ.): სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, 2015, გვ. 648.

ინტერესის უგულებელყოფა, რამაც შეიძლება წარმოშვას დისბალანსი და საფრთხე შეუქმნას სამართლებრივ წესრიგს.⁵³⁹ შესაბამისად, სრულიად მისაღებია, რომ საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას ხდება დაზარალებულის პოზიციის გათვალისწინება, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პრეროგატივა ისევ პროკურორს რჩება.⁵⁴⁰ აღსანიშნავია, რომ შეჯიბრებითი სისტემის მქონე ქვეყნებშიც, საპროცესო შეთანხმების დადებისას ან სხვა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას დაზარალებულთან ხდება მხოლოდ და მხოლოდ კონსულტაცია, საბოლოო სიტყვა მაინც პროკურატურას ეთქმის.⁵⁴¹ აქვე უნდა ითქვას, რომ სსსკ-ის მიხედვით, დაზარალებულს არ გააჩნია საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გამოტანილი განაჩენის გასაჩივრების უფლება, თუმცა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიხედვით, საკითხის ამგვარი მოწესრიგება სრულ შესაბამისობაშია სამართლიანი სასამართლოს პრინციპთან.⁵⁴²

საქართველოში მიმდინარე პრაქტიკა უჩვენებს, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას, როგორც წესი, გათვალისწინებულია დაზარალებულის პოზიცია⁵⁴³ და

⁵³⁹ *O'Hear, M.M.*: Plea Bargaining and Victims: From Consultation to Guidelines, Marq. L. Rev., Vol. 91, Iss. 1, 2007, p. 324.

⁵⁴⁰ *კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის*: საპროცესო შეთანხმების გამოყენება საქართველოში, 2012, გვ. 21, <http://coalition.ge/files/coalition_criminal_law_wg_research_geo_9th_forum..pdf>, [24.06.2020].

⁵⁴¹ *U.S Department of Justice, OVC*: New Directions from the Field: Victims' Rights and Services for the 21st Century, 1998, p. 10, <https://www.ncjrs.gov/ovc_archives/directions/pdfxt/direct.pdf>, [24.06.2020]; *U.S Department of Justice, OVC*: Victim Input Into Plea Agreements, Bulletin #7, pp. 1-2, <https://www.ncjrs.gov/ovc_archives/bulletins/legalseries/bulletin7/ncj189188.pdf>, [24.06.2020]. *Victorian Law Reform Commission*: The Role of Victims in the Decision to Prosecute, par. 5.68-5.76, <<https://www.lawreform.vic.gov.au/content/5-role-victims-decision-prosecute#footnote-244421-61>>, [24.06.2020]; *Manikis, M.*: Recognizing Victims' Role and Rights during Plea Bargaining: A Fair Deal for Victims of Crime, *Crim. Law. Q.*, Vol. 58, Iss. 3-4, 2012, p. 414; *NCVLI*: A Primer on the Right to Confer, 2014, pp. 1-2, <<https://law.lclark.edu/live/files/16341-11-0813-644-pub-toolkit-on-conferralpdf>>, [24.06.2020]; *Gegan, S.E., Rodriguez, N.E.*: Victims' Roles in the Criminal Justice System: A Fallacy of Victim Empowerment?, *JCRED*, Vol. 8, Iss. 1, 1992, p. 232.

⁵⁴² საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N1/1/403, 427, საქმეზე „კანადის მოქალაქე ჰუსეინ ალი და საქართველოს მოქალაქე ელენე კირაკოსიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 19/12/2008.

⁵⁴³ ნაშრომზე მუშაობისას თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოთხოვილ იქნა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ სასამართლო განაჩენები, რომელთა უმრავლესობაშიც მითითებულია, რომ პროკურორმა გაიარა დაზარალებულთან კონსულტაცია. ზოგიერთ განაჩენში არ არის აღნიშნული მითითება გაკეთებული, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ საპროცესო შეთანხმების დადება მოხდა დაზარალებულის პოზიციის გარკვევის გარეშე. როგორც პრაქტიკოსი იურისტები აღნიშნავენ, ამ დროს სასამართლოში მტკიცებულების სახით წარდგენილია დაზარალებულის დასტური, რომ მას ბრალდებულის მიმართ არავითარი პრეტენზია არ გააჩნია .

დაზარალებულის თანხმობის გარეშე არ მტკიცდება საპროცესო შეთანხმება.⁵⁴⁴ როგორც წესი, სასამართლო ითხოვს დაზარალებულთან გასაუბრების ოქმს ან ნოტარიული წესით დამოწმებულ თანხმობას, სადაც აღნიშნულია, რომ დაზარალებულს პრეტენზია არ გააჩნია და არც მომავალში ექნება. თუ საპროცესო შეთანხმება არ გაფორმდა, სასამართლო ამ აქტებს მაინც ითვალისწინებს სასჯელის შემსუბუქების კუთხით. განრიდების გაფორმების მიმართაც ასევე დადებითი პრაქტიკაა. როგორც წესი, გათვალისწინებულია დაზარალებულის პოზიცია.⁵⁴⁵

თუმცა პრაქტიკაში მაინც არის რიგი პრობლემები. მაგალითად, ავტოსაგზაო შემთხვევების დროს, ბრალდებულის მხარე დაზარალებულს ნაწილობრივ აძლევს თანხას და სთხოვს, რომ ჩვენებაში დაუფიქსიროს, რომ პრეტენზია არ გააჩნია. თუმცა მას შემდეგ, რაც დაზარალებული ჩვენებაში დააფიქსირებს, რომ პრეტენზია არ გააჩნია, ხშირად ბრალდებულის მხარე ზიანს აღარ ანაზღაურებს, რაც იწვევს დაზარალებულის სამართლიან გულისწყრომას. აღნიშნული პრობლემის თავიდან აცილებისთვის, აუცილებელია, რომ დაზარალებულს განემარტოს რა რისკები ახლავს თან პრეტენზიის

⁵⁴⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენები (დაპტრიხული სახით), რომლებშიც მითითებულია, რომ პროკურორმა დაზარალებულთან გაიარა კონსულტაცია: განაჩენი საქმეზე N1/-----16, 22/04/2016 (მოსამართლე შორენა გუნცაძე); განაჩენი საქმეზე N1/-----17, 22/06/2017 (მოსამართლე ვახტანგ მრელაშვილი); განაჩენი საქმეზე N1/-----16, 2/03/2016 (მოსამართლე შორენა გუნცაძე); განაჩენი საქმეზე N1/-----20, 28/01/2020 (მოსამართლე ზვიად შარაძე); განაჩენი საქმეზე N1/-----20, 28/01/2020 (მოსამართლე ეკატერინე კულუაშვილი); განაჩენი საქმეზე N1/-----20, 27/01/2020 (მოსამართლე: ზვიად შარაძე); განაჩენი საქმეზე N1/-----20, 22/01/2020 (მოსამართლე: არსენ კალატოზიშვილი); განაჩენი საქმეზე N1/-----18, 21/09/2018 (მოსამართლე: გიორგი კერატიშვილი); განაჩენი საქმეზე N1/-----18, 30/06/2018 (მოსამართლე: მაკა გველესიანი); განაჩენი საქმეზე N1/-----18, 27/03/2018 (მოსამართლე: გიორგი კერატიშვილი); განაჩენი საქმეზე N1/-----16, 23/01/2018 (მოსამართლე: ბადრი კოჭლამაზაშვილი); თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენები (დაპტრიხული სახით), რომლებშიც არ არის მითითება პროკურორის მიერ დაზარალებულთან კონსულტაციის გავლის შესახებ: განაჩენი საქმეზე N1/-----18, 28/09/2018 (მოსამართლე: ნატო ხუჯაძე); განაჩენი საქმეზე N1/-----18, 13/02/2019 (მოსამართლე: ნათია გუდაძე); განაჩენი საქმეზე N1/-----18, 15/02/2019 (მოსამართლე: იზა კვლენჯერიძე); განაჩენი საქმეზე N1/-----18, 7/03/2019 (მოსამართლე: ბესიკ ბუგაიანიშვილი); განაჩენი საქმეზე N1/-----18, 26/03/2019 (მოსამართლე: ნათია გუდაძე); განაჩენი საქმეზე N1/-----18, 03/05/2019 (მოსამართლე: იზა კვლენჯერიძე); განაჩენი საქმეზე N1/-----20, 29/01/2020 (მოსამართლე: ნინო ჩახნაშვილი); განაჩენი საქმეზე N1/-----20, 30/01/2020 (მოსამართლე: არსენ კალატოზიშვილი); განაჩენი საქმეზე N1/-----2020, 31/01/2020 (მოსამართლე: გიორგი ქაშაკაშვილი); განაჩენი საქმეზე N1/-----20, 31/01/2020 (მოსამართლე: რომან ხორავა); განაჩენი საქმეზე N1/-----20, 31/01/2020 (მოსამართლე: ნინო ჩახნაშვილი).

⁵⁴⁵ ინტერვიუ ადვოკატ ლევან დვალისძე-შვილთან, 27/02/2019; საქართველოს მთავარი პროკურატურის 2018 წლის 11 აპრილის წერილის N 13/26513 თანახმად, 2018 წლის პირველი სამი თვის სტატისტიკის მიხედვით, განრიდებულ იქნა 484 პირი, დაზარალებული ფიქსირდება 375 შემთხვევაში და 369 შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნა დაზარალებულის პოზიცია.

უქონლობას. განმარტება განსაკუთრებით მაშინ არის აუცილებელი, როცა დაზარალებულს ადვოკატი არ ჰყავს. ვინაიდან სსსკ პროკურატურას არ უკრძალავს საპროცესო შეთანხმების გაფორმებას დაზარალებულის თანხმობის გარეშე, პრეტენზიის უქონლობის დაფიქსირება შესაძლოა სამოქალაქო წესით ზიანის მიღებისას ხელისშემშლელი აღმოჩნდეს.⁵⁴⁶

4.2.3. ზიანის შესახებ ჩვენების მიცემის უფლება

როგორც უკვე მრავალჯერ აღინიშნა, საერთო სამართლის ქვეყნების სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულს არ ჰქონდა პროცესში აქტიური მონაწილეობის შესაძლებლობა, რაც მის იმედგაცრუებასა და უკმაყოფილებას იწვევდა.⁵⁴⁷ სწორედ ამიტომ, საჭირო გახდა დაზარალებულისთვის ხმის უფლების მინიჭება.⁵⁴⁸ აღნიშნულის უზრუნველსაყოფად პირველად, 1976 წელს აშშ-ში, კალიფორნიის შტატში დაინერგა ზიანის შესახებ ჩვენების ინსტიტუტი,⁵⁴⁹ რომლის მიზანს წარმოადგენდა სასამართლოსთვის დაზარალებულის მიერ განცდილი ფიზიკური, ფსიქოლოგიური თუ ფინანსური ზიანის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.⁵⁵⁰ ზიანის შესახებ ჩვენებამ დიდი მონონება დაიმსახურა და იგი მალევე გავრცელდა აშშ-ს ყველა შტატში. 1987 წელს იგი ახალ ზელანდიაშიც დაინერგა, ხოლო შემდეგ ავსტრალიაში, კანადაში, გაერთიანებულ სამეფოსა და ირლანდიაში.⁵⁵¹ რაც შეეხება კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებს, იქ ზიანის

⁵⁴⁶ ინტერვიუ ადვოკატ ლევან დვალიშვილთან, 27/02/2019.

⁵⁴⁷ *Davis, R.C., Smith, B.E.*: Victim Impact Statements and Victim Satisfaction: An Unfulfilled Promise? *JCJ*, Vol. 22, Iss. 1, 1994, p. 1.

⁵⁴⁸ *Rock, P.*: „Hearing Victims of Crime“: The Delivery of Impact Statements as Ritual Behavior in Four London Trials for Murder and Manslaughter, ნაშრომში: *Bottoms, A., Roberts, J.V.* (eds.): *Hearing the Victim: Adversarial Justice, Crime Victims and the State*, London, New York, 2010, p. 200.

⁵⁴⁹ *U.S Department of Justice, OVC*: Impact Statements: A Victim's Right to Speak: A Nation's Responsibility to Listen, 1994, <https://www.ncjrs.gov/ovc_archives/reports/impact/welcome.html>, [24.06.2020].

⁵⁵⁰ *Miller, K.L.*: Purposing and Repurposing Harms: The Victim Impact Statement and Sexual Assault, *QHR*, Vol. 23, Iss. 11, 2013, p. 1445.

⁵⁵¹ *Robert, J.V., Manikis, M.*: Victim Personal Statements: A Review of Empirical Research, Report for the Commissioner for Victims and Witness in England and Wales, Oxford, 2011, p. 5; *Ruparelia, R.*: All that Glitters is not Gold: The False Promise of Victim Impact Statements, ნაშრომში: *Sheehy, E.A.* (ed.): *Sexual Assault in Canada: Law Legal Practice and Women's Activism*, Ottawa, 2012, p. 666; *AFPAD*: Guide de Déclaration de la Victime: Une Mesure Importante pour Témoigner des Multiples Impacts du Crime, Laval, 2019, p. 7, <http://afpad.ca/wp-content/uploads/2019/05/AFPAD_GUIDE_declaration_des_victimes.pdf>, [24.06.2020]; *Cyr, K.*: Empowerment et Système de Justice Pénal: L'expérience des Victimes d'actes Criminels, Montréal, 2008, p. 38; *Kirchengast, T.*: Victim

შესახებ ჩვენების ინსტიტუტი ნაკლებად მოქმედებს, აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნების სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულს ისედაც უფრო ძლიერი სამართლებრივი მდგომარეობა უკავია და ზიანის შესახებ ჩვენება აღარ მიიჩნევა საჭიროდ.⁵⁵²

ზიანის შესახებ ჩვენების შემოღებას ზოგიერთი მეცნიერი აკრიტიკებდა და მას კანონის უზენაესობისა და ობიექტურობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად განიხილავდა. ისინი მიიჩნევდნენ, რომ რაციონალურობა წარმოადგენს თვითნებობის წინააღმდეგ ბრძოლის უმნიშვნელოვანეს მექანიზმს, ამიტომ სისხლის სამართლის პროცესში არ უნდა ყოფილიყო ემოციები დაშვებული. თუმცა მეცნიერთა მეორე ნაწილი ამტკიცებდა, რომ ემოციები წარმოადგენს პროცესის განუყოფელ ნაწილს და მოსამართლე, უნდა მას თუ არა, მაინც ექცევა ემოციების გავლენის ქვეშ, ამიტომ, უკეთესი იყო სისხლის სამართლის პროცესში დაშვებულიყო ემოციები.⁵⁵³

ზიანის შესახებ ჩვენების კრიტიკოსები ასევე მიიჩნევდნენ, რომ ზიანის შესახებ ჩვენება გამოიწვევდა სასჯელის დამძიმებას, რაც თავისთავად დამნაშავეს მდგომარეობას გააუარესებდა. აღნიშნული წინააღმდეგობების მიუხედავად, ზიანის შესახებ ჩვენების ინსტრუმენტმა საერთო სამართლის ქვეყნებში მარტივად მოიკიდა ფეხი. მოსამართლეები მიუთითებენ, რომ ზიანის შესახებ ჩვენება მოსამართლეს ან ნაფიც მსაჯულს აწვდის ინფორმაციას დაზარალებულის მიერ განცდილი ზიანის შესახებ, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც დანაშაულის ელემენტების განსაზღვრის, ისე ადეკვატური სასჯელის შეფარდებისთვის.⁵⁵⁴ კვლევებიც ადასტურებს, რომ ზიანის შესახებ ჩვენების

Influence, Therapeutic Jurisprudence and Sentencing Law in the New South Wales Court of Criminal Appeal, FJLR, Vol. 10, Iss. 1, 2007, p. 143; *Braun, K.*: Giving Victims a Voice: On the Problems of Introducing Victim Impact Statements in German Criminal Procedure, Ger. Law J., Vol. 14, Iss. 9, 2013, p. 1890.

⁵⁵² *Booth, T., Bosma, A. K., Lens, K. M. E.*: Accommodating the Expressive Function of Victim Impact Statements: The Scope For Victims' Voice in Dutch Courtrooms, Br. J. Criminol., Vol. 58, Iss. 6, 2018, p. 1480.

⁵⁵³ *Barbot, J., Dodier, N.*: Rethinking the Role of Victims in Criminal Proceedings, RFSP, Vol. 64, Iss. 3, 2014, pp. 27-28; *Bandes, S.A.*: Repellent Crime and Rational Deliberation: Emotion and the Death Penalty, Vt. Law Rev., Vol. 33, 2009, p. 494; *Booth, T.*: 'Cooling out' Victims of Crime: Managing Victim Participation in the Sentencing Process in a Superior Sentencing Court, Aust. N. Z. J. Criminol., Vol. 45, Iss. 2, 2012, p. 214.

⁵⁵⁴ *Sheley, E.*: Victim Impact Statements and Expressive Punishment in the Age of Social Media, Wake For. Law Rev., Vol. 52, 2017, pp. 159-160; *Barbot, J., Dodier, N.*: Rethinking the Role of Victims in Criminal Proceedings, RFSP, Vol. 64, Iss. 3, 2014, pp. 32-33; *Payne v. Tennessee*, 501 U.S. 808, 825, 831, (1991); *Bandes, S.A.*: Repellent Crime and Rational Deliberation: Emotion and the Death Penalty, Vt. Law Rev., Vol. 33, 2009, pp. 498- 499, 501.

მიცემა არ იწვევს დამნაშავესთვის არაადეკვატური და უსამართლო სასჯელის შეფარდებას.⁵⁵⁵

პრაქტიკაში ზიანის შესახებ ჩვენებას დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია როგორც დაზარალებულისთვის, ისე მართლმსაჯულებისათვის და მთლიანად საზოგადოებისათვის.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ზიანის შესახებ ჩვენებით სასამართლოს მიეწოდება ინფორმაცია დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის შესახებ. მოსამართლე ვერ შეძლებს ბრალდებულის ქმედების სათანადოდ შეფასებას, თუ მას არ ეცოდინება, თუ რა ზიანი მიაღდა დაზარალებულს მოცემული ქმედებით. სწორი გადწყვეტილება მოითხოვს სწორი და სრული ინფორმაციის ქონას.⁵⁵⁶

ზიანის შესახებ ჩვენების მეორე მნიშვნელოვან სარგებელს წარმოადგენს დაზარალებულისთვის ხმის უფლების მიცემა და ამით პროცესში მისი ჩართვა. როდესაც დაზარალებული სასამართლოში ჰყვება მისთვის მიყენებული ზიანის შესახებ, ამით ფაქტიურად ხდება მისი ვიქტიმიზაციის აღიარება, საზოგადოებისა და მართლმსაჯულების ორგანოების მიერ მისი ტანჯვისა და ტკივილის აღიარება და ამ ფორმით საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის დაზარალებულის, როგორც ადამიანის მნიშვნელობის ხაზგასმა. აღიარებას კი თან სდევს თერაპიული ძალა. თვითონ დაზარალებულები აცხადებენ, რომ როდესაც განცდილ ტკივილზე ღიად საუბრობენ, უადვილდებათ ცხოვრების გაგრძელება და თუ მოსამართლე აღიარებს და გაითვალისწინებს მათ ჩვენებას, მაშინ ეს დაზარალებულებს „სულზე მალამოდ ეფინება“ (დაზარალებულის სიტყვების მიხედვით). მართლაც მრავალი კვლევა ადასტურებს, რომ ზიანის შესახებ ჩვენების მიცემით დაზარალებულს უბრუნდება ღირსების განცდა და თავს აღარ გრძნობს უუნაროდ და შერცხვენილად.⁵⁵⁷

პრაქტიკაში შეიძლება ზოგიერთ დაზარალებულს საერთოდ არ უნდოდეს დანაშაულზე სასამართლოში ღიად ლაპარაკი და ზიანის შესახებ ჩვენების მიცემამ მასზე

⁵⁵⁵ *Smith B.L., Watkins E., Morgan, K.*: The Effect of Victim Participation on Parole Decisions: Results from a Southeastern State, *Crim. Justice Policy Rev.*, Vol. 8, Iss. 1, 1997, p. 58.

⁵⁵⁶ *Cassell, P.G.*: In Defense of Victim Impact Statements, *Ohio State J. Crim. Law*, Vol. 6, Iss. 2, 2009, p. 620.

⁵⁵⁷ იქვე, pp. 621-622; *Roberts, J.V., Erez, E.*: Communication at Sentencing: The Expensive Function of Victim Impact Statement, ნაშრომში: *Bottoms, A., Roberts, J.V.* (eds.): *Hearing the Victim: Adversarial Justice, Crime Victims and the State*, London, New York, 2010, p. 240; *Cyz, K.*: *Empowerment et Système de Justice Pénal: L'expérience des Victimes d'actes Criminels*, Montréal, 2008, p. 38.

უარყოფითად იმოქმედოს, ამიტომ ზიანის შესახებ ჩვენების მიცემა წარმოადგენს დაზარალებულის უფლებას და არა ვალდებულებას.⁵⁵⁸ სწორედ ამითაც განსხვავდება ზიანის შესახებ ჩვენება მონმის ჩვენებისგან. თუ სისხლის სამართლის პროცესი დაზარალებულს ავალდებულებს გამოცხადდეს სასამართლოში და მისცეს ჩვენება, ზიანის შესახებ ჩვენების მიცემაზე გადაწყვეტილებას თვითონ დაზარალებული იღებს.

ზიანის შესახებ ჩვენების სხვა სარგებელს წარმოადგენს დამნაშავესთვის იმ ზიანის აღწერა, რომელიც მან დაზარალებულს მიაყენა. როგორც წესი, დაზარალებული ჩვენებას სასამართლოში ღია სხდომაზე აძლევს, რომელსაც ესწრება ბრალდებულის. როდესაც დაზარალებული საუბრობს განცდილ ზიანზე, ეს ბრალდებულს შეიძლება დაეხმაროს მისი ქმედების გააზრებაში, რაც მისი რეაბილიტაციისთვის პირველ ნაბიჯს წარმოადგენს. დაზარალებულებიც აცხადებენ, რომ მათ სურთ, რომ დამნაშავემ გააცნობიეროს მისი ქმედებით გამოწვეული შემზარავი შედეგები, რათა მომავალში აღარ ჩაიდინოს დანაშაული.⁵⁵⁹

ზიანის შესახებ ჩვენების კიდევ ერთ დადებით მხარეს წარმოადგენს ის, რომ იგი ამალღებს სისხლის სამართლის პროცესის სამართლიანობის განცდას. მისი დამსახურებით სისხლის სამართლის პროცესი იძენს ისეთ სახეს, სადაც არა მხოლოდ ბრალდებულს, არამედ დაზარალებულსაც უსმენენ. ეს კი ზრდის პროცესის სანდოობის ხარისხს.⁵⁶⁰

მას შემდეგ, რაც საქართველოს სისხლის სამართლის პროცესმა აღიარა შეჯიბრებითი მოდელი, საქართველოს კანონმდებლობაშიც განმტკიცდა ზიანის შესახებ ჩვენების მიცემის უფლება. სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაზარალებულს უფლება აქვს ზიანის შესახებ ჩვენება მისცეს როგორც არსებით სხდომაზე, ისე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების სხდომაზე და სასჯელის შეფარდების სხდომაზე. ჩვენების მიცემა შესაძლებელია როგორც წერილობით, ისე ზეპირად. აღსანიშნავია, რომ სხვა სახელმწიფოებში არსებობს პრაქტიკა ზიანის შესახებ ჩვენების

⁵⁵⁸ Cassell, P.G.: In Defense of Victim Impact Statements, Ohio State J. Crim. Law, Vol. 6, Iss. 2, 2009, p. 622.

⁵⁵⁹ იქვე, pp. 623-624.

⁵⁶⁰ იქვე, pp. 624-625.

მიცემა ვიდეო რგოლის გაშვების გზით.⁵⁶¹ საქართველოს სასამართლოებიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სასამართლოთა უმრავლესობაში ჯერჯერობით დაზარალებულს არ მიუცია ზიანის შესახებ ჩვენება ვიდეო რგოლის გამოყენებით.⁵⁶² ზოგიერთი სასამართლო კი არ აწარმოებს მოცემული საკითხის სტატისტიკურ აღწერას, შესაბამისად უცნობია, გამოუყენებია თუ არა დაზარალებულს ვიდეო რგოლი ზიანის შესახებ ჩვენების მიცემისას.⁵⁶³

საქართველოს სასამართლოებში დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, დაზარალებული ზიანის შესახებ ჩვენებას აძლევს მოწმის სახით დაკითხვასთან ერთად. კერძოდ, მოწმის სახით ჩვენების მიცემის შემდეგ, პროკურორი დაზარალებულს უსვამს დამაზუსტებელ კითხვას განცდილი ზიანის შესახებ. მოსამართლე კი, როგორც წესი, ყოველთვის ითვალისწინებს დაზარალებულს ჩვენებას.⁵⁶⁴ შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა დაზარალებულის მონაწილეობითი უფლებების უზრუნველყოფის მხრივ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს.

⁵⁶¹ *Cassell, P.G., Erez, E.*: Victim Impact Statements and Ancillary Harm: The American Perspective, *Can. Crim. Law Rev.*, Vol. 15, 2011, p. 163; *Austin, R.*: Documentation, Documentary, and the Law: What Should Be Made of Victim Impact Videos? *Cardozo L. Rev.*, Vol. 31, Iss. 4, 2010, p. 980.

⁵⁶² ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 07 ივლისის წერილი N 262; ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 13 ივლისის წერილი N 2287; ახალციხის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 13 ივლისის წერილი N 119; ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 13 ივლისის წერილი N 400 გ/კ; ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 12 ივლისის წერილი N68; გორის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 16 ივლისის წერილი N გ/ვ 1557; გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 14 ივლისის წერილი N 87; თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2021 წლის 09 ივლისის წერილი N 72/გ; ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 16 ივლისის წერილი N 9-130; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 08 ივლისის წერილი N 581; რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 07 ივლისის წერილი N 914/გ; სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის წერილი N 754; ფოთის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 14 ივლისის წერილი N 436; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 16 ივლისის წერილი N 9313-1; ცაგერის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 09 ივლისის წერილი N 423; საშურის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის წერილი N 4492; ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის წერილი N 925/10; მცხეთისა და სიღნაღის რაიონულ სასამართლოებს არ გაუციათ განცხადებაზე პასუხი. შესაბამისად, უცნობია მოცემულ სასამართლოებში არსებული პრაქტიკა.

⁵⁶³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის წერილი N 1/6739; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 08 ივლისის წერილი N 1-04133/2015; თელავის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 09 ივლისის წერილი N 517; ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 12 ივლისის წერილი N 879; საჩხერის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 21 ივლისის წერილი N 2777; სენაკის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის წერილი N 995; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 14 ივლისის წერილი N 406-2/10.

⁵⁶⁴ ინტერვიუ თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის მოსამართლე ლავრენტ მალლაკელიძესთან, 02/02/2020.

5. მაკონტროლებელი უფლებები

5.1. საერთაშორისო სტანდარტი

დაზარალებულს გააჩნია პროცესში აქტიური მონაწილეობის ინტერესი, რომელიც პროცესში შეიძლება დაკმაყოფილდეს მისთვის მაკონტროლებელი უფლებების მინიჭებით. აღნიშნულში მოიაზრება ისეთი უფლებები, რომლითაც დაზარალებულს ეძლევა შესაძლებლობა ზეგავლენა მოახდინოს კონკრეტული საპროცესო შედეგების დადგომაზე.⁵⁶⁵ ევროპის საბჭომ 1985 წლის რეკომენდაციით სახელმწიფოებს მოუწოდა დაზარალებულისთვის მიენიჭებინათ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან არდანწყების შესახებ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება,⁵⁶⁶ ამით ევროპის საბჭომ მხარი დაუჭირა დაზარალებულისთვის მაკონტროლებელი უფლების მინიჭებას, ვინაიდან მოცემული უფლებით დაზარალებულს შეუძლია გავლენა მოახდინოს პროცესის შედეგებზე. 1985 წლის რეკომენდაციის შემდეგ 2012 წლის დირექტივაში განმტკიცდა მოცემული უფლება.⁵⁶⁷ ამით დირექტივამ სამ მნიშვნელოვან საკითხს გაუსვა ხაზი: პირველი ის, რომ დანაშაული წარმოადგენს დაზარალებულის უფლებების დარღვევას, ამიტომ აუცილებელია, რომ მას მიენიჭოს ისეთი ქმედითი მექანიზმი, რომლითაც შეძლებს უფლებებში აღდგენას. სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება დაზარალებულისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ დევნის დაწყების შემდეგ შეიძლება მოხდეს ბრალდებულის მსჯავრდება და მისთვის სასჯელის შეფარდება, რის მიმართაც დაზარალებულს განსაკუთრებული ინტერესი აქვს. ეს ინტერესი პირველ რიგში გამოიხატება კომპენსაციის მიღებაში, ვინაიდან როგორც წესი გამამტყუნებელი განაჩენი ქმნის კომპენსაციის მიღების საფუძველს. გარდა ამისა, პირის მსჯავრდებასა და მისთვის სასჯელის შეფარდებას დიდი მნიშვნელობა აქვს დაზარალებულის ფსიქოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის და სამართლიანობის გრძნობის დაბრუნებისთვის.⁵⁶⁸

⁵⁶⁵ *Kleinert, T.*: Persönliche Betroffenheit und Mitwirkung: Eine Untersuchung zur Stellung des Deliktsopfers im Strafrechtssystem, Berlin, 2008, S. 40.

⁵⁶⁶ Recommendation, No. R (85) 11, par. 7.

⁵⁶⁷ Victims' Directive, Art. 11.

⁵⁶⁸ *Tian, L.*: Victims' Opportunities to Review a Decision not to Prosecute made by the Crown Prosecutor, Western Graduate & Postdoctoral Studies, 2013, p. 54; *Werner, K.*: Der Einfluss des Verletzten auf Vefahrenseinstellungen der Staatsanwaltschaft, Göttingen, 1986, S. 72.

დირექტივამ მოცემული ნორმის შემოღებით ასევე ხაზი გაუსვა მის მიზანს, რომელიც მიმართულია დაზარალებულის სისხლის სამართლის პროცესის ცენტრალურ ფიგურად გადაქცევისკენ. აღნიშნულის მიღწევა კი შესაძლებელია მისთვის მაკონტროლებელი უფლებების მინიჭებით. მესამე საკითხი, რომელსაც ხაზი გაესვა, არის ის, რომ დაზარალებულის ამ ფორმითა და ამ მოცულობით პროცესში ჩართულობა არ ლახავს ბრალდებულის უფლებებს. პირიქით, სამართლიანი პროცესი მოითხოვს, ბრალდებულისა და დაზარალებულის უფლებების დაბალანსებას.⁵⁶⁹

5.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა

საქართველოში გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების გასაჩივრების უფლება მოქმედებს 2014 წლიდან.⁵⁷⁰ დაზარალებულს ასევე შეუძლია გაასაჩივროს დაზარალებულად ცნობაზე უარი და დაზარალებულად ცნობის გაუქმების გადაწყვეტილება. ვინაიდან მოცემული უფლებები რიგი თავისებურებებით გამოირჩევა, მნიშვნელოვანია მათი დეტალურად განხილვა.

5.2.1. პროკურორის დადგენილებების გასაჩივრების უფლება

5.2.1.1. დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით დადგენილებების გასაჩივრების უფლება

2014 წლის 24 ივლისს სსსკ-ში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, დაზარალებულს მიენიჭა დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით პროკურორის დადგენილებების გასაჩივრების უფლება. სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილების თავდაპირველი რედაქციის შესაბამისად, დაზარალებული უფლებამოსილი იყო ზემოაღნიშნული დადგენილებები ერთჯერადად გაესაჩივრებინა ზემდგომ

⁵⁶⁹ ECtHR, *Mihova v. Italy*, Appl. No. 25000/07, 30/03/2010, § 7; ECtHR, *Doorson v the Netherlands*, Appl. No. 20524/92, 26/03/1992, § 70; ECtHR, *Oneryildiz v Turkey*, Appl. No. 48939/99, 30/11/ 2004, § 96; ECtHR, *Giuliani and Gaggio v Italy*, Appl. No. 23458/02, 24/03/2011, § 306; *Moffett, L.: Meaningful and Effective? Considering Victims' Interests through Participation at the International Criminal Court*, CrimLF, Vol. 26, Iss. 2, 2015, p. 262; *Vitkauskas, D., Dikov, G.: Protecting the Right to a Fair Trial under the European Convention on Human Rights*, Council of Europe Human Rights Handbooks, Strasbourg, 2012, p. 7.

⁵⁷⁰ სსსკ, 106-ე მუხლის 1¹ ნაწილი, 168-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

პროკურორთან. თუ ზემდგომი პროკურორი მოთხოვნას არ დააკმაყოფილებდა, მაშინ მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მსხვერპლებს შეეძლოთ ზემდგომი პროკურორის დადგენილების გასაჩივრება პირველი ინსტანციის სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება აღარ ექვემდებარებოდა გასაჩივრებას. 2018 წლის 21 ივლისის სსსკ-ში შევიდა ცვლილება, რომლის თანახმად 2019 წლის 1 ივლისიდან სასამართლოში პროკურორის აღნიშნული გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლება, გარდა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მსხვერპლებისა, ასევე მიენიჭათ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე დანაშაულების მსხვერპლებს,⁵⁷¹ ანუ მათ, ვის მიმართაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილია სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ზოგიერთი დანაშაული, მაგალითად, წამება, დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა და სხვა.⁵⁷² მალევე, კერძოდ 2018 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით (ამ დროს ჯერ კიდევ არ იყო ძალაში შესული სსსკ-ის 2018 წლის 21 ივლისის ცვლილება) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და მე-6 ნაწილის ის დანაწესი, რომლითაც მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მსხვერპლებს ენიჭებოდათ ზემდგომი პროკურორის დადგენილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნული მუხლები განიხილა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე და 14-ე მუხლების⁵⁷³ მიმართებით. მისი მოსაზრებით, ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულებს მიეკუთვნება საკმაოდ მრავალრიცხოვანი დანაშაულის შემადგენლობა, რომელთა დიდი ნაწილი მნიშვნელოვან მორალურ, ფიზიკურ თუ ქონებრივ ზიანს აყენებს დაზარალებულს. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლთან (სამართლიანი სასამართლოს უფლება) მიმართებით, თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, მძიმე და ნაკლებად მძიმე დანაშაულის მსხვერპლებისთვის დაზარალებულად ცნობის შესახებ ან დაზარალებულად ცნობის

⁵⁷¹ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ 2018 წლის 21 ივლისის კანონი, პირველი მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილები, მე-3 მუხლი.

⁵⁷² „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-19 მუხლის პირველი პუნქტი (2018 წლის 27 დეკემბრის რედაქცია).

⁵⁷³ საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქცია (13/10/2017), 31-ე და მე-11 მუხლები.

შესახებ პროკურორის დადგენილების გაუქმების შესახებ პროკურორის დადგენილების გასაჩივრების შეზღუდვა მიიჩნია არაკონსტიტუციურ შეზღუდვად, ვინაიდან იგი არ ითვალისწინებს დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ხარისხს და დაზარალებულისთვის კანონით მინიჭებული უფლებებით სარგებლობის მნიშვნელობას.⁵⁷⁴ საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლთან (თანასწორობის უფლება) მიმართებით საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია პირი დაცული იყოს დიფერენცირებისგან და სხვა არსებითად თანასწორ პირთა ჯგუფების მსგავსად მიუწვდებოდეს ხელი კანონიერი უფლებების დაცვის ეფექტურ სამართლებრივ საშუალებებზე.⁵⁷⁵ შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების დამსახურებით ყველა დანაშაულის მსხვერპლს, განურჩევლად იმისა, თუ რა სიმძიმის დანაშაული იქნება მის მიმართ ჩადენილი, შეუძლია მიმართოს სასამართლოს დაზარალებულად ცნობის მოთხოვნით.⁵⁷⁶

5.2.1.2. გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილების და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის დადგენილების გასაჩივრება

გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილების მიმართაც გამოიყენება იგივე საპროცესო წესები, რომელიც მოქმედებდა დაზარალებულად ცნობაზე უარის შესახებ პროკურორის დადგენილების გასაჩივრებისას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებამდე. სსკ-ის 106-ე მუხლის 1¹ ნაწილის თანახმად, დაზარალებულს უფლება აქვს, გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. თუ ზემდგომი პროკურორი მოთხოვნას არ დააკმაყოფილებს, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მსხვერპლებს, სსკ-ს 126¹ და 11¹ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის მსხვერპლებსა (ოჯახში

⁵⁷⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება N2/12/1229, 1242, 1247, 1299 საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – ხვიჩა ყირმიზაშვილი, გია ფაცურია და გვანცა გავნიაშვილი და “შპს ნიკანი” საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, 14/12/2018, §§ 29-30.

⁵⁷⁵ იქვე, §§ 57-59.

⁵⁷⁶ თანდილაშვილი, ბ.: დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა და ევროპული სტანდარტები, ნაშრომში: თუმანიშვილი, გ., ჯიშკარიანი, ბ., შრამი, ე. (რედ.): ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, თბილისი, 2019, გვ. 325-327.

ძალადობა, ოჯახური დანაშაული)⁵⁷⁷ და იმ დანაშაულის მსხვერპლებს, რომლის მიმართაც ჩადენილია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე დანაშაულები, შეუძლიათ ზემდგომი პროკურორის დადგენილება გაასაჩივრონ პირველი ინსტანციის სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას. სსსკ-ის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, მსგავსი წესი მოქმედებს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის დადგენილების გასაჩივრების მიმართ, თუმცა ამ შემთხვევაში სასამართლოში გასაჩივრების უფლება აქვთ მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მსხვერპლებსა და იმ მსხვერპლებს, რომელთა მიმართაც ჩადენილია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის ქვემდებარე დანაშაული.

დაზარალებულის უფლებების დაცვის კუთხით მნიშვნელოვანია, რომ ქართული სისხლის სამართალი იზიარებს ევროპულ დონეზე მიმდინარე პოლიტიკას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სსსკ-ში განმტკიცებული გასაჩივრების მექანიზმი ხასიათდება რიგი ხარვეზებით, რომლებიც ქვემოთ იქნება განხილული.

5.2.1.2.1. პროკურორის დადგენილების გასაჩივრება ზემდგომ პროკურორთან

2012 წლის დირექტივის თანახმად, საჩივარი განხილულ უნდა იქნეს მიუკერძოებელი, ობიექტური და დამოუკიდებელი ორგანოს ან პირის მიერ. ამასთან აღნიშნულ ორგანოს ან პირს მონაწილეობა არ უნდა ჰქონდეს მიღებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებაში. საქართველოს პროკურატურაში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისად, პროკურორის ნებისმიერი გადაწყვეტილება, როგორც წესი, წინასწარ არის შეთანხმებული ზემდგომ პროკურორთან.⁵⁷⁸ აქედან გამომდინარე, რთული წარმოსადგენია, რომ ზემდგომმა პროკურორმა, რომელმაც არაფორმალურად მონაწილეობა მიიღო სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების

⁵⁷⁷ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2019 წლის 20 სექტემბრის კანონი.

⁵⁷⁸ *საია*: დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში (საქართველოში არსებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და საერთაშორისო მიდგომები), 2016, გვ. 10, <<https://gyla.ge/files/news/2016%20წლის%20გამოცემა/dazaralebulis%20uflebebi.pdf>>, [26.06.2020].

მიღებაში, ობიექტურად განიხილოს საჩივარი და საჭიროების შემთხვევაში შეცვალოს გადანყვეტილება.⁵⁷⁹

5.2.1.2.2. ზემდგომი პროკურორის დადგენილების გასაჩივრება სასამართლოში

სსსკ-ის 106 მუხლის 1¹ ნაწილისა და 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლოში გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილების და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის დადგენილების გასაჩივრების უფლება გააჩნიათ *inter alia* განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მსხვერპლებს (და არა ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის მსხვერპლებს). აღნიშნული რეგულირება ბუნდოვანია მაშინ, როცა დირექტივის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი, რომელიც გახდა სსსკ-ში პროკურორის დადგენილების გასაჩივრების მექანიზმის შემოღების საფუძველი,⁵⁸⁰ არ განასხვავებს დაზარალებულთა კატეგორიას, რომელსაც უნდა მიეცეთ გასაჩივრების უფლება. დირექტივის იმპლემენტაციის დოკუმენტიც მიუთითებს, რომ გასაჩივრების მექანიზმი ვრცელდება იმ დაზარალებულებზე, რომლებსაც სისხლის სამართლის საქმეში გააჩნიათ პროცესუალური სტატუსი.⁵⁸¹ შესაბამისად დირექტივის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პროკურორის დადგენილების გასაჩივრების უფლების მინიჭებისთვის ერთადერთ კრიტერიუმს წარმოადგენს დაზარალებულის სტატუსის ქონა. სწორედ ამიტომ, იმ ევროპულ სახელმწიფოებში, სადაც მოქმედებს შეჯიბრებითი სისტემა, ყველა დაზარალებულს მიენიჭა გასაჩივრების უფლება (მაგ: ირლანდია, ინგლისი და უელსი).⁵⁸²

⁵⁷⁹ თანდილაშვილი, ბ.: დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა და ევროპული სტანდარტები, ნაშრომში: თუმანიშვილი, გ., ჯიშკარიანი, ბ., შრამი, ე. (რედ.): ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, თბილისი, 2019, გვ. 328.

⁵⁸⁰ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე განმარტებითი ბარათი (კანონის პროექტი: 15/04/2014), გვ. 10, <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/12985?>>, [26.06.2020].

⁵⁸¹ *European Commission*: DG Justice Guidance Document related to the Transposition and Implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 Establishing Minimum Standards on the Rights, Support and Protection of Victims of Crime, and Replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 - 19/12/2013, p. 30.

⁵⁸² *Kirchengast, T.*: Victims and the Criminal Trial, London, 2016, pp. 67-71; ინგლისსა და უელსში პროკურორის დადგენილების გასაჩივრებასთან დაკავშირებით:

მხოლოდ დირექტივის იმავე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს სპეციალურ წესს, რომლის თანახმად, თუ სისხლის სამართლის პროცესში პირი დაზარალებულად მხოლოდ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შემდეგ ჩაერთვება, მაშინ სულ მცირე მძიმე დანაშაულის მსხვერპლებს უნდა მიეცეთ სისხლისსამართლებრივი დევნის არ დაწყების/შენწყვეტის შესახებ დადგენილების გასაჩივრების შესაძლებლობა. საქართველოში დაზარალებულად ცნობა შესაძლებელია უკვე გამოძიების დაწყებისთანავე. სსსკ-ის თანახმად, დაზარალებული უკვე გამოძიების დაწყებისთანავე სარგებლობს რიგი უფლებებით, მაგალითად, მას შეუძლია მიიღოს გამოძიების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია და გაეცნოს საქმის მასალებს, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს.⁵⁸³ შესაბამისად ბუნდოვანია, თუ რა სამართლებრივი საფუძვლით იქნა საქართველოში შემოღებული დირექტივის სპეციალური ნორმა.

2012 წლის დირექტივით გათვალისწინებული მძიმე დანაშაულის განმარტებისას სახელმწიფოებს მხედველობაში უნდა მიეღოს ევროკავშირის სისხლის სამართლის კანონმდებლობა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სტანდარტები.⁵⁸⁴ აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ” ხელშეკრულების 83-ე მუხლი აკეთებს ჩამონათვალს იმ დანაშაულებისა, რომელიც ევროკავშირის მიზნებისათვის მიიჩნევა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებად (და არა მძიმე დანაშაულად), მათ შორის მოიაზრება ტერორიზმი, ადამიანით ვაჭრობა, ქალებისა და ბავშვების სექსუალური ექსპლუატაცია, კორუფცია, ორგანიზებული დანაშაული, ფულის გათეთრება და სხვა. რაც შეეხება მძიმე დანაშაულის ცნებას, ევროკავშირის დონეზე მისი ერთიანი ცნება არ არის ჩამოყალიბებული და არც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობაში არ

https://www.cps.gov.uk/sites/default/files/documents/publications/VRR_leaflet.pdf, [26.06.2020]. *Irish Council for Civil Liberties*, Guide for Lawyers to the Victims Directive & the Criminal Justice (Victims of Crime) Act 2017, p. 22, <https://www.iccl.ie/wp-content/uploads/2018/11/5871-EU-Victims-Day-Proof-updated-v2.pdf>, [26.06.2020].

⁵⁸³ სსსკ, 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტი.

⁵⁸⁴ *European Commission*: DG Justice Guidance Document related to the Transposition and Implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 Establishing Minimum Standards on the Rights, Support and Protection of Victims of Crime, and Replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 - 19/12/2013, p. 30.

არის განმტკიცებული მძიმე დანაშაულის ცნება.⁵⁸⁵ თუმცა ცხადია, რომ დაზარალებულის კონტექსტში მძიმე დანაშაულის განსაზღვრისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ქმედებით გამოწვეულ ზიანზე და დაზარალებულისა და საზოგადოების მიმართ გამოვლენილ უარყოფით შედეგებზე. შესაბამისად, გასაჩივრებისას მნიშვნელოვანი უნდა იყოს ზიანი და არა ქმედებისთვის განსაზღვრული სასჯელი. პრაქტიკაში შესაძლებელია, რომ ქმედების კვალიფიკაცია შეიცვალოს და ამით დაზარალებულს არ უნდა შეეზღუდოს გასაჩივრების უფლება.

ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ღირეფტივა განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს განსაკუთრებული დაცვის საჭიროების მქონე დანაშაულის მსხვერპლებზე. მათ მიეკუთვნებიან ისეთი დანაშაულის მსხვერპლები, როგორებიცაა ადამიანით ვაჭრობა, ტერორიზმი, ორგანიზებული დანაშაული, ახლო ურთიერთობებში ჩადენილი ძალადობა, სექსუალური ძალადობა ან ექსპლუატაცია, გენდერული ძალადობა, სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულები. განსაკუთრებული დაცვის საჭიროების მქონე მსხვერპლებად ასევე მიიჩნევიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და ბავშვები. მათ მიმართ არსებობს უფრო დიდი რისკი იმისა, რომ გახდნენ მეორეული და ხელახალი ვიქტიმიზაციის მსხვერპლნი.⁵⁸⁶ შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ დაზარალებულთა მოცემულ ჯგუფს არ შეეზღუდოს პროკურორის დადგენილების გასაჩივრების უფლება.

საინტერესოა საქართველოში რომელი დანაშაული ითვლება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულად. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, განსაკუთრებით მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადოდ. შესაბამისად, ისეთი დანაშაულები, როგორიცაა წამება, დამამცირებელი მოპყრობა, გაუპატიურება, ოჯახში ძალადობა, ადამიანით ვაჭრობა, ან საკუთრების

⁵⁸⁵ *European Parliament: Developing a Criminal Justice Area in the European Union*, Bursseles, 2014, p. 12, <[http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/etudes/join/2014/493043/IPOL-LIBE_ET\(2014\)493043_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/etudes/etudes/join/2014/493043/IPOL-LIBE_ET(2014)493043_EN.pdf)>, [26.06.2020].

⁵⁸⁶ *თანდილაშვილი, ბ.*: სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებები ევროპული და ქართული კანონმდებლობის მიხედვით, DGStZ, No. 2, 2017, გვ. 55, <<http://www.dgstz.de/storage/documents/HLIlfKfFRj6fKu2z37r81AsxGIkyisXchAZW9ySTc.pdf>>, [16.06.2020].

წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები, თუ ისინი არ არის ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში (ზოგიერთ შემთხვევაში დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენის შემთხვევაშიც გათვალისწინებული სასჯელი ათ წელს არ აღემატება), მიეკუთვნებიან ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულთა კატეგორიას, შესაბამისად, ზემოაღნიშნული დანაშაულის მსხვერპლები მოკლებულნი არიან სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას. მაგალითად სსკ-ის 137-ე მუხლის პირველი ნაწილით გაუპატიურებისათვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით ექვსიდან რვა წლამდე, ხოლო იმავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, იგივე ქმედება ჩადენილი არაერთგზის ან იმ პირის მიერ, რომელსაც წარსულში ჩადენილი ჰქონდა სსკ-ის 138-141-ე მუხლებით (სექსუალური ხასიათის დანაშაულები) გათვალისწინებული დანაშაული, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან ცამეტ წლამდე. შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით პროკურორის დადგენილების გასაჩივრებისთვის მნიშვნელოვანია არა თვითონ დაზარალებულის მიმართ განხორციელებული ქმედება და ქმედებით გამოწვეული ზიანი, არამედ დამნაშავის კრიმინალური წარსული.

საქართველოს კანონმდებლობის გაანალიზება ცხადყოფს, რომ „განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის“ მსხვერპლთა კატეგორიაში ვერ ხვდებიან ის დანაშაულის მსხვერპლები, რომელთა დაცვასაც ევროკავშირის დონეზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ამგვარი რეგულირება კი ვერ უზრუნველყოფს დაზარალებულის ინტერესების სათანადო დაცვას. აღნიშნულის გამოხატულებას წარმოადგენს სასამართლო პრაქტიკაც. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოში გასაჩივრების მექანიზმი 2014 წლიდან მოქმედებს, საქართველოს საქალაქო და რაიონულ სასამართლოებში⁵⁸⁷ როგორც დაზარალებულად ცნობასთან, ისე დევნის შეწყვეტასთან დაკავშირებით 2014 წლიდან 2020 წლის იანვრის ჩათვლით მთლიან ჯამში შესულია 37 საჩივარი,⁵⁸⁸ რომელთაგანაც მხოლოდ ერთი

⁵⁸⁷ მოცემულ სტატისტიკაში არ არის ასახული თბილისის საქალაქო სასამართლოში შეტანილი საჩივრები, ვინაიდან სასამართლოში არ ხდება აღნიშნული ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავება.

⁵⁸⁸ საია: დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში (საქართველოში არსებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და საერთაშორისო მიდგომები), 2016, გვ. 15, <<https://gyla.ge/files/news/2016%20წლის%20გამოცემა/dazaralebulis%20uflebebi.pdf>>, [26.06.2020]; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 04 აპრილის წერილი N 1-0192/8777; რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 02 აპრილის წერილი N 179/გ; ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 10 აპრილის წერილი N 275გ/ვ; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 05 აპრილის წერილი N 4320; ფოთის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 04 აპრილის წერილი N 2482; ამბროლაურის რაიონული

სასამართლოს 2018 წლის 03 აპრილის წერილი N 76; ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 02 აპრილის წერილი N 0927; ახალციხის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 04 აპრილის წერილი N 85; ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 05 აპრილის წერილი N 2634; გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 03 აპრილის წერილი N 46; გორის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 10 აპრილის წერილი N გ/ფ-3721; გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 02 აპრილის წერილი N 1288; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 03 აპრილის წერილი N 224; ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 05 აპრილის წერილი N 9-73; თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2018 წლის 11 აპრილის წერილი N 3456; თელავის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 02 აპრილის წერილი N 220; ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 11 აპრილის წერილი N 391; სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 03 აპრილის წერილი N 486; საჩხერის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 11 აპრილის წერილი N 1184; სენაკის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 04 აპრილის წერილი N 373; ცაგერის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 11 აპრილის წერილი N 177; ხაშურის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 05 აპრილის წერილი N 2360-1518; ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 05 აპრილის წერილი N 414/8; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 27 იანვრის წერილი N 3-0409/3435960; რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 24 იანვრის წერილი N 104/გ; ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 03 თებერვლის წერილი N 121 გ/კ; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 29 იანვრის წერილი N 775-2; ფოთის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 28 იანვრის წერილი N 69; ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 24 იანვრის წერილი N 36; ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 28 იანვრის წერილი N 0239; ახალციხის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 30 იანვრის წერილი N 16; ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 31 იანვრის წერილი N 23; გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 23 იანვრის წერილი N 21; გორის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 29 იანვრის წერილი N გ/ფ-280; გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 18 თებერვლის წერილი N 18; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 24 იანვრის წერილი N 47; ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 30 იანვრის წერილი N 9-10; თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2020 წლის 28 იანვრის წერილი N 9/გ; თელავის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 27 იანვრის წერილი N 31; მცხეთის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 24 თებერვლის წერილი N 33; ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 29 იანვრის წერილი N 124; სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 10 თებერვლის წერილი N 155; საჩხერის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 30 იანვრის წერილი N 298; სენაკის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 30 იანვრის წერილი N 64; სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 24 იანვრის წერილი N 338; ცაგერის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 28 იანვრის წერილი N 90; ხაშურის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 30 იანვრის წერილი N 931; ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 30 იანვრის წერილი N 93/3.

დაკმაყოფილდა,⁵⁸⁹ დანარჩენ შემთხვევაში ზოგი განუხილველი დარჩა,⁵⁹⁰ ზოგს კი უარი ეთქვა დაკმაყოფილებაზე.⁵⁹¹

მოცემული სტატისტიკა დამატებით ორ გარემოებაზეც მიუთითებს: პირველი ის, რომ დაზარალებული არ არის ინფორმირებული მოცემული უფლების შესახებ. ამის საფუძველს კი ხარვეზიანი კანონმდებლობა წარმოადგენს, რომელიც გამომძიებელსა და პროკურორს არ ავალდებულებს მსხვერპლის ინფორმირებას მისი უფლებების შესახებ მასთან პირველივე კონტაქტისთანავე (ამ საკითხზე ვრცლად ნაშრომის თავი IV-ის § 3.1-ში). მეორე მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს ის, რომ გასაჩივრების მექანიზმი პრაქტიკაში არ მუშაობს. სასამართლოებიდან მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წლიდან მოყოლებული დაკმაყოფილდა მხოლოდ ერთი საჩივარი. მოცემული სტატისტიკა რა თქმა უნდა კითხვებს აჩენს და სხვა პრობლემების არსებობაზე მიუთითებს. ასეთი ერთი-ერთი პრობლემა შეიძლება იყოს მსხვერპლის მიერ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესების დაუცველობა, რაც იწვევს საჩივრის განუხილველად დატოვებას, თუმცა დადგენილი წესების დაუცველობის პრობლემას ისევ მიყვავართ დაზარალებულის არაინფორმირებულობასთან და სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის იგნორირებამდე.

⁵⁸⁹ *საია*: დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში (საქართველოში არსებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და საერთაშორისო მიდგომები), თბილისი, 2016, გვ. 15, <<https://gyla.ge/files/news/2016%20წლის%20გამოცემა/dazaralebulis%20uflebebi.pdf>>, [26.06.2020]; ბათუმის საქალაქო სასამართლოში არ ხდება დადგენილებების გასაჩივრების შესახებ ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავება. სასამართლოს მიერ მოწოდებულ იქნა ინფორმაცია მხოლოდ შეტანილ საჩივართა რაოდენობასთან დაკავშირებით, ამიტომ უცნობია, თუ რამდენი მათგანი დაკმაყოფილდა.

⁵⁹⁰ ფოთის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 04 აპრილის წერილი N 2482; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 03 აპრილის წერილი N 224, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 24 იანვრის წერილი N 47; ფოთის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 28 იანვრის წერილი N 69; *საია*: დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში (საქართველოში არსებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და საერთაშორისო მიდგომები), თბილისი, 2016, გვ. 15, <<https://gyla.ge/files/news/2016%20წლის%20გამოცემა/dazaralebulis%20uflebebi.pdf>>, [26.06.2020].

⁵⁹¹ გორის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 10 აპრილის წერილი N 3721; რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 24 იანვრის წერილი N 104/გ; ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 28 იანვრის წერილი N 0239; ახალციხის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 30 იანვრის წერილი N 16; გორის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 29 იანვრის წერილი N გ/ფ-280; თელავის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 27 იანვრის წერილი N 31; ხაშურის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 30 იანვრის წერილი N 931.

საკითხის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ აუცილებელია სსსკ-ში განხორციელდეს ცვლილება და გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის დადგენილების გასაჩივრების შესაძლებლობა მიენიჭოს ყველა დაზარალებულს, განურჩევლად იმისა, თუ რომელი დანაშაულის მსხვერპლია და რა ზომის სასჯელია გათვალისწინებული მოცემული ქმედებისთვის.

6. დაცვითი უფლებები

6.1. საერთაშორისო სტანდარტი

1980-იანი წლებიდან მოყოლებული საერთაშორისო დონეზე მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს დაზარალებულის დაცვა. აღნიშნულს მოწმობს 1985 წლის გაეროს დეკლარაცია, რომელიც სახელმწიფოებს მოუწოდებს, უზრუნველყონ მსხვერპლის უსაფრთხოება და მისი პირადი ცხოვრების დაცვა.⁵⁹² ასევე აღსანიშნავია როგორც ევროპის საბჭოს 1985 და 2006 წლების რეკომენდაციები,⁵⁹³ ისე ევროკავშირის 2001 წლის ჩარჩო გადაწყვეტილება⁵⁹⁴ და 2012 წლის დირექტივა.⁵⁹⁵ თითოეული ზემოაღნიშნული აქტი სახელმწიფოებს მოუწოდებს ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომელიც პრაქტიკაში უზრუნველყოფს დაზარალებულის ეფექტურ დაცვას.

აღსანიშნავია, რომ დირექტივა სხვა აქტებისგან განსხვავებით, დაზარალებულის დაცვის კუთხით უფრო დეტალურ მითითებებს იძლევა და ნოვაციურ მიდგომებს ავითარებს. დირექტივის ზოგადი მოთხოვნაა, რომ დაზარალებული დაცულ იქნეს მეორეული და ხელახალი ვიქტიმიზაციისგან, დაშინებისა და შურისძიებისგან. აღნიშნულის მიღწევა კი შესაძლებელი იქნება, თუ სისხლის სამართლის პროცესი განხორციელდება კოორდინირებულად, თუ დაზარალებულს მოეპყრობიან პატივისცემით და თუ დაზარალებულს ექნება მართლმსაჯულების სისტემაში ჩართული უწყებების მიმართ

⁵⁹² Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power, General Assembly of the United Nation, Art. 6 (d).

⁵⁹³ Recommendation No. R (85) 11, par. 15, 16; Recommendation Rec (2006) 8, par. 10.

⁵⁹⁴ Framework Decision 2001/220/JHA, Art. 8.

⁵⁹⁵ Victims' Directive, Art. 18-24.

ნდობა. ღირექტივის თანახმად, დაზარალებულის მეორეული და ხელახალი ვიქტიმიზაციის რისკების შემცირება შესაძლებელი იქნება, თუ თავიდან იქნება აცილებული მართლმსაჯულების ორგანოებთან ზედმეტი, არასაჭირო ურთიერთობა. პრაქტიკაში აღნიშნულის უზრუნველყოფა შესაძლებელი იქნება დაზარალებულის გამოკითხვის/დაკითხვის რაოდენობის შემცირებით ან დაზარალებულის სასამართლომდე დაკითხვით, რომელიც ჩაიწერება ვიდეოზე და შემდეგ გამოყენებული იქნება სასამართლო სხდომაზე. გარდა ამისა, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში ჩართული უწყებები უნდა შეეცადონ, რომ დაზარალებულისთვის მინიმუმამდე დაიყვანონ პროცესში მონაწილეობის შედეგად გამომწვეული ფსიქოლოგიური და ემოციური ზიანი. ღირექტივის თანახმად, პრაქტიკაში მოცემული ზიანის აცილება შესაძლებელი იქნება სხვადასხვა ღონისძიებების გამოყენებით. მაგალითად, დაზარალებულს უნდა ჰქონდეს საშუალება, რომ პოლიციაში გამოკითხვისას და სასამართლოშიც ფსიქოლოგიური მხარდაჭერისთვის თან ახლდეს მისთვის სასურველი ადამიანი. ამასთან, მას უნდა ჰქონდეს ამ ადამიანის თავად შერჩევის შესაძლებლობა. გარდა ამისა, ზოგიერთი დაზარალებულისთვის შეიძლება ძალიან ტრავმირებადი იყოს პოლიციისთვის მისი ინტიმური ცხოვრების შესახებ დეტალების განდობა. მაგალითად, სექსუალური ხასიათის დანაშაულის მსხვერპლების ფსიქოლოგიური მდგომარეობა შეიძლება გაუარესდეს, თუ გამომძიებელი იმავე სქესის იქნება, რაც დამნაშავეა. შესაბამისად, შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, დაზარალებულს უნდა ჰქონდეს გამომძიებლის სქესის არჩევის საშუალება. ამან შეიძლება დაზარალებული უფრო დაამშვიდოს და უკეთესი ჩვენება მიაცემინოს.⁵⁹⁶

გარდა ამისა, ღირექტივა მოითხოვს, რომ ეროვნულ დონეზე დადგენილ იქნეს სხვადასხვა ღონისძიებები, რათა დაზარალებულს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობით, განსაკუთრებით დამნაშავესთან შეხვედრით, არ მიაღვეს ფსიქოლოგიური ზიანი. სწორედ ამიტომ ღირექტივა სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ სასამართლოებისა და პოლიციის შენობებში შექმნან ისეთი ინფრასტრუქტურული გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დაზარალებულისა და დამნაშავეს შეხვედრის თავიდან

⁵⁹⁶ *Victim Support Europe: EU Handbook for Policy and Best Practice in relation to Victims of Crime*, 2012, pp. 21-22, <http://victimssupporteurope.eu/activeapp/wp-content/files_mf/1353929035EUHandbook.pdf>, [26.06.2020].

აცილებას. მაგალითად, სახელმწიფოებმა დაზარალებულისთვის უნდა უზრუნველყონ ცალკე შესასვლელები და მოსაცდელი ადგილები. გარდა ამისა, უშუალოდ სასამართლო პროცესის დროსაც მაქსიმალურად უნდა იქნეს აცილებული კონტაქტი დამნაშავეს, დაზარალებულსა და მათი ოჯახის წევრებს შორის.⁵⁹⁷

აღსანიშნავია, რომ 2012 წლის დირექტივა შეიცავს ნორმას დაზარალებულის პირადი ცხოვრების დაცვის შესახებ. იგი სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ სისხლის სამართლის პროცესში უზრუნველყონ დაზარალებულის პირადი ცხოვრების დაცვა.⁵⁹⁸ დირექტივის იმპლემენტაციის დოკუმენტი სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ შეიმუშაონ რეგულაციები ისეთი ინფორმაციის გაუმჟღავნელობასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება დაზარალებულის პირად ცხოვრებას, მის პერსონალურ მონაცემებს, მისი და მისი ოჯახის წევრების სურათებს ან დანაშაულის დეტალებს. ბრალდებულისთვის დაზარალებულის პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის მხოლოდ ის ნაწილი უნდა გახდეს ხელმისაწვდომი, რომელიც უკიდურესად აუცილებელია საქმისთვის.⁵⁹⁹ თუმცა, ამავე დროს აუცილებელია, რომ დაზარალებულის პირადი ცხოვრების დაცვისას არ მოხდეს ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლებისა და გამოხატვის თავისუფლების ხელყოფა.⁶⁰⁰ დირექტივა მოცემული ნორმით რეალურად ამყარებს ევროპის საბჭოს 1985 და 2006 წლების რეკომენდაციებს, რომლებიც მოითხოვენ, რომ დანაშაულის გამოძიებისა და სასამართლო განხილვასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებისას ყურადღება გამახვილდეს დაზარალებულის დაცვის საჭიროებაზე და არ მოხდეს ისეთი ინფორმაციის გასაჯაროება, რომელიც ხელყოფს მის პირად ცხოვრებას ან ღირსებას.⁶⁰¹ აღნიშნული სამართლებრივი აქტები ასევე მოითხოვს, რომ სისხლის სამართლის პროცესში დაცული იქნეს დაზარალებულის პერსონალური მონაცემები.⁶⁰²

⁵⁹⁷ Victims' Directive, Recital 53, Art. 18-20.

⁵⁹⁸ იქვე, Art. 21 (1).

⁵⁹⁹ *European Commission*: DG Justice Guidance Document related to the Transposition and Implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 Establishing Minimum Standards on the Rights, Support and Protection of Victims of Crime, and Replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 - 19/12/2013, p. 43.

⁶⁰⁰ Victims' Directive, Recital 54, Art. 21.

⁶⁰¹ Recommendation No. R(85) 11, par. 15.

⁶⁰² Rec(2006)8, par. 10.8-10.9.

6.1.1. ინდივიდუალური შეფასება

2012 წლის დირექტივის ნოვაციას წარმოადგენს დაზარალებულის ინდივიდუალური შეფასების ინსტიტუტის შემოტანა. დირექტივის თანახმად, სისხლის სამართლის პროცესში ზოგიერთი დაზარალებული იმყოფება მეორეული და ხელახალი ვიქტიმიზაციის, დაშინებისა და შურისძიების მომეტებული რისკის ქვეშ. როგორც წესი, აღნიშნული რისკი გამომდინარეობს დაზარალებულის პიროვნული მახასიათებლებიდან ან დანაშაულის ბუნებიდან. დირექტივის მიხედვით, მოცემული რისკის შეფასება შესაძლებელია მხოლოდ დაზარალებულის ინდივიდუალური შეფასებით, რომელიც უნდა განხორციელდეს შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე. დირექტივა მოითხოვს, რომ მოხდეს ყველა დაზარალებულის ინდივიდუალური შეფასება, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა მეორეული და ხელახალი ვიქტიმიზაციის, დაშინებისა და შურისძიების საფრთხე და განისაზღვროს, თუ რომელი ღონისძიებები უნდა იქნეს გამოყენებული.⁶⁰³

ინდივიდუალური შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს დაზარალებულის ისეთი პიროვნული მახასიათებლები, როგორცაა ასაკი, სქესი და გენდერული იდენტობა, ეთნიკური მიკუთვნებულობა, რასა, რელიგია, სექსუალური ორიენტაცია, ჯანმრთელობის მდგომარეობა, შეზღუდული შესაძლებლობები, ბინადრობის სტატუსი, კომუნიკაციის პრობლემები, დამნაშავესთან არსებული ურთიერთობა ან მასზე დამოკიდებულება და წარსულში მსხვერპლად ქცევის შემთხვევა. ინდივიდუალური შეფასებისას ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული დანაშაულის ბუნება, მაგალითად, ჩადენილია თუ არა დანაშაული სიძულვილის მოტივით, ან დისკრიმინაციული მოტივით, ან ადგილი ხომ არ ჰქონდა სექსუალურ ძალადობას ან მჭიდრო ურთიერთობებში ჩადენილ ძალადობას. ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს დაზარალებულის საცხოვრებელი ადგილი, კერძოდ, ხომ არ ცხოვრობს დაზარალებული ისეთ ადგილას, სადაც მაღალია დანაშაულთა ჩადენის რისკი ან ისეთ ადგილას, რომელსაც აკონტროლებენ კრიმინალური დაჯგუფებები. ასევე მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, არის თუ არა დაზარალებულის საცხოვრებელი ქვეყანა ის ქვეყანა, სადაც დანაშაული იქნა ჩადენილი.⁶⁰⁴

⁶⁰³ Victims' Directive, Recital 55; *Jähnke, B., Schramm, E.*: *Europäisches Strafrecht*, Berlin, 2017, S. 410.

⁶⁰⁴ Victims' Directive, Recital 56, Art. 22 (1, 2); *Ministère de la Justice de la République Française*: *Evaluation of Victims*, 2013, p. 13, <http://www.justice.gouv.fr/publication/evvi_guide_en.pdf>, [26.06.2020].

ღირექტივა მიიჩნევს, რომ ზოგიერთი დაზარალებული მეორეული და ხელახალი ვიქტიმიზაციის, დაშინებისა და შურისძიების უფრო მაღალი რისკის მატარებელია. ასეთ დაზარალებულებად მოიაზრებს ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულის, მჭიდრო ურთიერთობებში ჩადენილი ძალადობის, სექსუალური ძალადობის ან სექსუალური ექსპლუატაციის, სქესობრივი მოტივით ჩადენილი დანაშაულის ან სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლებს, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მსხვერპლებსა და ბავშვ მსხვერპლებს. სწორედ ამიტომ, ღირექტივა მოითხოვს, რომ ინდივიდუალური შეფასებისას განსაკუთრებული გულმოდგინებით მოხდეს რისკების შეფასება და დადგინდეს, ხომ არ არის საჭირო დაცვის ღონისძიებების გამოყენება.⁶⁰⁵

თუ ინდივიდუალური შეფასებით დადგინდება, რომ დაზარალებული საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას, მაშინ სისხლის სამართლის პროცესში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შესაბამისი ღონისძიებები. კონკრეტულ შემთხვევაში გამოსაყენებელი ღონისძიება უნდა განისაზღვროს ინდივიდუალური შეფასებისა და დაზარალებულის შეხედულების შესაბამისად, თუმცა მოცემული ღონისძიებების გამოყენებისას არ უნდა დაირღვეს ბრალდებულის უფლებები.⁶⁰⁶ გამოძიებისას დაზარალებული უნდა დაიკითხოს ისეთ ადგილას, რომელიც მოცემულ მიზანზე იქნება ადაპტირებული, დაკითხვა (გამოკითხვა) უნდა განახორციელოს შესაბამისი ცოდნის მქონე პირებმა, ყველა დაკითხვა უნდა ჩაატაროს ერთმა და იმავე პირმა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს ეწინააღმდეგება ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას. სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლები უნდა დაიკითხონ იმავე სქესის მქონე პირის მიერ, თუ ეს მათი სურვილი იქნება და თუ ეს არ დააზიანებს სისხლის სამართლის პროცესს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაკითხვას ატარებს პროკურორი ან მოსამართლე.⁶⁰⁷

სასამართლო განხილვის დროს კი იმ დაზარალებულებისთვის, რომლებიც საჭიროებენ დაცვის ღონისძიებებს, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შემდეგი ღონისძიებები:

⁶⁰⁵ Victims' Directive, Recital 57, Art. 22 (3).

⁶⁰⁶ იქვე, Recital 58.

⁶⁰⁷ იქვე, Art. 23 (2); *Victim Support Europe: EU Handbook for Policy and Best Practice in relation to Victims of Crime*, 2012, p. 22,

<http://victimsupporteurope.eu/activeapp/wp-content/files_mf/1353929035EUHandbook.pdf>, [26.06.2020].

ჩვენების მიცემის დროს შესაძლებელი უნდა იყოს დამნაშავესა და დაზარალებულს შორის ვიზუალური კონტაქტის თავიდან აცილება, ამისთვის კი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კომუნიკაციის ტექნოლოგიები. გარდა ამისა, დაზარალებულს უნდა შეეძლოს კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით ჩვენების მიცემა ისე, რომ არ იმყოფებოდეს სასამართლო სხდომის დარბაზში. ასევე მსხვერპლს დაკითხვისას არ უნდა დაესვას მის პირად ცხოვრებაზე ისეთი კითხვები, რომელიც არ არის სისხლის სამართლის საქმესთან კავშირში. ასევე შესაძლებელი უნდა იყოს სხდომის დახურვა.⁶⁰⁸

ღირეფტივამ ცალკე მუხლი დაუთმო ბავშვი მსხვერპლის დაცვის საკითხს. ღირეფტივა საჭიროდ მიიჩნევს, რომ განხორციელდეს გამოძიების ეტაპზე ჩატარებული ყველა დაკითხვის აუდიო-ვიდეო ჩანერა და სწორედ ეს ჩანაწერი იქნეს პროცესში მტკიცებულებად გამოყენებული. გარდა ამისა, თუ პროცესში ვერ მონაწილეობს ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი, მაშინ ბავშვს სახელმწიფომ უნდა დაუნიშნოს წარმომადგენელი. გარდა ამისა, თუ ინტერესთა კონფლიქტის გამო, პროცესში ვერ მონაწილეობს მისი კანონიერი წარმომადგენელი, მაშინ ბავშვს უნდა ჰქონდეს თავისი სახელით იურიდიული კონსულტაციის მიღებისა და წარმომადგენლის ყოლის უფლება.⁶⁰⁹

ღირეფტივის დებულებების ანალიზის შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ღირეფტივამ გაითვალისწინა დაზარალებულის ინდივიდუალურობა და სწორედ ამიტომ აღიარა მათ შორის განსხვავება. ღირეფტივამ ფაქტიურად დაადასტურა, რომ ყველა დაზარალებული ერთნაირი არ არის, პირიქით ისინი არიან ცალკეული ინდივიდები, განსხვავებული მოთხოვნებითა და საჭიროებებით. სწორედ ამიტომ თითოეული დაზარალებული საჭიროებს განსხვავებულ მიდგომასა და დახმარებას.⁶¹⁰

ღირეფტივის ნოვაცია მისასაღმებელია, ვინაიდან შეფასების მექანიზმი მომდინარეობს ვიქტიმოლოგიური თეორიიდან, რომელიც ავლენს დაზარალებულის საჭიროებებს და რომელიც მიმართულია დაზარალებულის დაცვის მაქსიმალურად

⁶⁰⁸ Victims' Directive, Art. 23 (3).

⁶⁰⁹ იქვე, Art. 24.

⁶¹⁰ *Hilf, M.J.*: Neue Maßstäbe durch die Eu-RL über Mindeststandards für die Rechte, die Unterstützung und den Schutz von Opfern von Straftaten? ნაშრომში: *Sautner, L., Jesionek, U.* (Hrsg.): Opferrechte in Europäischer, Rechtsvergleichender und Österreichischer Perspektive, Viktimologie und Opferrechte: Schriftenreihe der Weisser Ring, Forschungsgesellschaft Bd. 8, Innsbruck, 2017, S. 23.

უზრუნველყოფისკენ. თუმცა ღირეფტივის ნორმებს მეცნიერებაში გარკვეული კრიტიკა მოჰყვა. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ინდივიდუალური შეფასების პრაქტიკაში მუშაობა სირთულეს წარმოადგენს, ვინაიდან ძალიან რთულია ყველა დაზარალებულის შეფასება. იგი გამოიწვევს შეფასებაზე პასუხისმგებელი ორგანოების ძალიან დიდ ადმინისტრაციულ და მატერიალურ ხარჯს.⁶¹¹ გარდა ამისა, არსებობს ალბათობა, რომ თავდაპირველი შეფასებისას, ანუ ძირითადად დანაშაულის შეტყობინებისას, სათანადოდ არ გამოვლინდეს დაზარალებულის საჭიროებები და დაზარალებული დარჩეს დაცვის ღონისძიებების გარეშე. ხოლო თუ დაზარალებული სამართალდამცავ ორგანოს მოსთხოვს ჩაატაროს დამატებითი შეფასება, ამან შეიძლება მოითხოვოს დიდ რესურსი და გამოიწვიოს სხვა პროცედურების შეფერხება, რამაც საბოლოოდ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს დაზარალებულის მიმართ პოლიციელების დამოკიდებულებაზე.⁶¹² მეცნიერებაში ასევე კრიტიკა გამოიწვია ღირეფტივაში ინდივიდუალური შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმის უქონლობამ. როგორც წესი, შეფასების საფუძველზე უნდა დადგინდეს, რამდენად სჭირდება დაზარალებულს დაცვის ღონისძიებები. შესაბამისად, ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ თუ დაზარალებულს არ მიენიჭება განსაკუთრებული საჭიროების მქონე დაზარალებულის სტატუსი, მას უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება, რომელსაც ღირეფტივა არ ანიჭებს.⁶¹³

მეცნიერებაში ღირეფტივის კრიტიკის მიუხედავად, ინდივიდუალური შეფასება მაინც დაინერგა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. მაგალითად, ინგლისსა და უელსში, რომელიც ღირეფტივის მიღების დროისთვის ევროკავშირის წევრი იყო, ინდივიდუალური შეფასება ხორციელდება დანაშაულის შესახებ განცხადების გაკეთებისას, მაგრამ შესაძლებელია დაზარალებული მოგვიანებით ან განმეორებით შეფასდეს, რის შესაძლებლობასაც

⁶¹¹ *Bock, S.*: Das europäische Opferrechtspaket: Zwischen Substantiellem Fortschritt und Blindem Aktionismus, ZIS, No. 4, 2013, S. 209.

⁶¹² *Groenhuijzen, M.S.*: The Development of International Policy in relation to Victims of Crime, IRV, 2014, Vol. 20, Iss. 1, p. 37.

⁶¹³ *Bock, S.*: Das europäische Opferrechtspaket: Zwischen Substantiellem Fortschritt und Blindem Aktionismus, ZIS, No. 4, 2013, S. 209; *Hilf, M.J.*: Neue Maßstäbe durch die Eu-RL über Mindeststandards für die Rechte, die Unterstützung und den Schutz von Opfern von Straftaten? ნაშრომში: *Sautner, L., Jesionek, U.* (Hrsg.): Opferrechte in Europäischer, Rechtsvergleichender und Österreichischer Perspektive, Viktimologie und Opferrechte: Schriftenreihe der Weisser Ring, Forschungsgesellschaft Bd. 8, Innsbruck, 2017, S. 24.

დირექტივაც უშვებს. შეფასებას ახორციელებს პოლიცია, რომელიც შემდეგ დაზარალებულს ამისამართებს მსხვერპლის მხარდამჭერ ორგანიზაციებთან. ესპანეთშიც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს დაზარალებულის ინდივიდუალურ შეფასებას, რათა გამოვლინდეს, ესაჭიროება თუ არა დაზარალებულს მხარდაჭერა და რომელი ტიპის მხარდაჭერაა საჭირო.⁶¹⁴

6.1.2. დაზარალებულის დაცვა vs. ბრალდებულისთვის სამართლიანი სასამართლოს უზრუნველყოფა

როგორც დირექტივაში აღინიშნა, დაზარალებულის მიმართ დაცვის ღონისძიებების გამოყენებით არ უნდა მოხდეს ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვა.

ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლება გარანტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით. აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის „d“ ქვეპუნქტი დაცვის მხარეს ანიჭებს უფლებას, რომ „თვითონ დაკითხოს ან დააკითხვინოს მისი ბრალდების მოწმეები“. ამასთან, კონვენციის მე-6 მუხლი მოითხოვს, რომ თანასწორობის პრინციპის დაცვის უზრუნველსაყოფად, ყველა მტკიცებულება წარმოდგენილ და გამოკვლეულ იქნეს ბრალდებულის თანდასწრებით, ღია სასამართლო სხდომაზე, პაექრობის გზით.⁶¹⁵ თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს თანახმად, შეიძლება დაიშვას გამონაკლისები, ანუ სასამართლო განხილვებამდე მიცემული ჩვენება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ეროვნული სასამართლოების მიერ, თუ ჩვენების მიცემისას დაცული იქნება ბრალდებულის უფლებები. კერძოდ, „დაცვის მხარეს უნდა ჰქონდეს ადეკვატური და სათანადო შესაძლებლობა, რომ დაკითხოს ბრალდების მხარის მოწმე, ამ უკანასკნელის მიერ ჩვენების მიცემის დროს ან მოგვიანებით,

⁶¹⁴ *Ministère de la Justice de la République Française: Evaluation of Victims*, 2013, p. 13, <http://www.justice.gouv.fr/publication/evvi_guide_en.pdf>, [26.06.2020]; *Pardo-Valcarce Foundation: Comparative Legal Research: Rights and Protection of Vulnerable Victims in Criminal Proceedings*, Madrid, pp. 4-11, <<https://www.trust.org/contentAsset/raw-data/9df0da37-8b5f-46c8-a940-225b4dcde0c4/file>>, [26.06.2020].

⁶¹⁵ ECtHR, *Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom*, Appl. No. 26766/05, 22228/06, 15/12/2011, § 118; ECtHR, *Vidal v. Belgium*, Appl. No. 123251/86, 22/04/1992, § 33; *Hoyano, L.C.H.: Striking a Balance between the Rights of Defendants and Vulnerable Witnesses? Will Special Measures Directions Contravene Guarantees of a Fair Trial?* *Crim. Law Rev.*, 2001, p. 953.

სასამართლო განხილვის ეტაპზე⁶¹⁶. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სამართლიანი სასამართლოს პრინციპის გარანტიები ვრცელდება არა მხოლოდ ბრალდებულზე, არამედ პროცესის სხვა მონაწილეებზეც. აღნიშნული პრინციპი მოითხოვს, რომ სისხლის სამართლის პროცესში მოხდეს ბრალდებულისა და მოწმის ინტერესების დაბალანსება.⁶¹⁷ შესაბამისად, კონვენცია მოითხოვს, რომ პროცესში დაცული იყოს დაზარალებულის ინტერესებიც და საჭიროების შემთხვევაში, ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლების შეზღუდვის ხარჯზე მოხდეს დაზარალებულის მიმართ დაცვის ღონისძიებების გამოყენება.

მოწმის მიმართ დაცვის ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით როგორც ადამიანის უფლებათა ევროპულ კომისიას,⁶¹⁸ ისე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიღებული აქვს რიგი გადაწყვეტილებები. მაგალითად კომისიამ მოწმის დაკითხვაზე იმსჯელა სექსუალური ხასიათის დანაშაულის საქმეებში. კომისიის თანახმად, გაუპატიურებისა და სხვა სექსუალური ხასიათის დანაშაულის მიმართ მიმდინარე პროცესი ხასიათდება თავისებურებით. როგორც წესი, სექსუალური ხასიათის დანაშაულის მსხვერპლის მიერ სისხლის სამართლის პროცესი მძიმე და სტრესულ მოვლენად აღიქმება, ვინაიდან მას უწევს ბრალდებულთან კონტროლტაცია. იმის შეფასებისას კი, პროცესში დაცული არის თუ არა ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლება, ყოველთვის უნდა მოხდეს დაზარალებულის პირადი ცხოვრების უფლების გათვალისწინებაც. შესაბამისად, კომისია მიიჩნევს, რომ სექსუალური ძალადობის საქმეებში დაზარალებულის დაცვის მიზნით შესაძლებელია დაცვის გარკვეული

⁶¹⁶ ECtHR, Al-Khawaja and Tahery v. the United Kingdom, Appl. No. 26766/05, 22228/06, 15/12/2011, §118; ECtHR, A.G. v Sweden, Appl. No. 315/09, 10/01/2012; ECtHR, Trampevski v. the former Yugoslav Republic of Macedonia, Appl. No. 4570/07, 10/07/2012, § 44; ECtHR, Doorson v the Netherlands, Appl. No. 20524/92, 26/03/1992, §§ 72-75; ECtHR, Kostovski v. Netherlands, Appl. No. 11454/85, 20/11/1989, §§. 41-44; ECtHR, Unterpertinger v. Austria, Appl. No. 9120/80, 24/11/1986, §§ 31-32; ECtHR, Saidi v. France, Appl. No. 14647/89, 20/09/1993, § 43; ECtHR, Lucà v. Italy, Appl. No. 33354/96, 27/02/2001, § 39; ECtHR, Solakov v. "The Former Yugoslav Republic Of Macedonia", Appl. No. 47023/99, 31/01/2002, § 57; ადამიანის უფლებათა ცენტრი: მოწმის დაკითხვის ახალი წესის კვლევა, თბილისი, 2017, გვ. 12, <[http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/angarishebi/hrdc/research-geo%20\(1\).pdf](http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/angarishebi/hrdc/research-geo%20(1).pdf)>, [26.06.2020].

⁶¹⁷ ECtHR, Doorson v the Netherlands, Appl. No. 20524/92, 26/03/1992, §§ 72-75; ECtHR, Asch v. Austria, Appl. No. 12398/86, 26/04/1991, §§ 26-27; ECtHR, Delta v. France, Appl. No. 11444/85, 19/12/1990, §§ 34-37.

⁶¹⁸ სანამ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ერთიან ორგანოდ ჩამოყალიბდებოდა, იქამდე საქმეების განხილველ ორგანოთა შორის იყოს ადამიანის უფლებათა კომისია.

ლონისძიებების გატარება იმ პირობით, რომ მოცემული ღონისძიებები ხელს არ შეუშლის დაცვის მხარის მიერ მისი უფლებების ადეკვატურად და ეფექტურად განხორციელებას.⁶¹⁹ კომისიამ ასევე დასძინა, რომ დემოკრატიული საზოგადოების მთავარი მიზანია მართლმსაჯულების სამართლიანად განხორციელება, ამიტომ ბრალდებულის უფლებების შემზღვეველი ღონისძიებების გატარება უნდა იყოს უკიდურესად აუცილებელი. თუ ნაკლებად შემზღვეველი ღონისძიების გატარებით შეიძლება მიზნის მიღწევა, მაშინ გამოყენებულ უნდა იქნეს ეს უკანასკნელი.⁶²⁰

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ასევე იმსჯელა დაცვის ცალკეული ღონისძიებების კონვენციის მე-6 მუხლთან შესაბამისობაზე. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, სამართლიანი სასამართლოს პრინციპი უზრუნველყოფილი რჩება, თუ სასამართლო სხდომებამდე ჩატარებულ ჯვარედინ დაკითხვაში სრულად მონაწილეობს დაცვის მხარე.⁶²¹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ისეთ შემთხვევებსაც შეეხო, სადაც დაცვის მხარეს არ მიეცა მონაწილის ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობა. საქმეში *Unterpertinger v. Austria*, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევად მიიჩნია, როცა დაცვის მხარეს პროცესის არცერთ ეტაპზე არ მიეცა მონაწილის ჩვენების გამოკვლევის შესაძლებლობა. სასამართლომ ასევე კონვენციის დარღვევა დაადგინა საქმეში *ჭაჭაშვილი გერმანიის წინააღმდეგ*, რომელშიც ბრალდებულის მსჯავრდება ეფუძნებოდა იმ მონაწილის ჩვენებას, რომელთა დაკითხვაც განხორციელდა გამოძიების ეტაპზე, დაცვის მხარის მონაწილეობის გარეშე. სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებულის მხრიდან, საქმისწარმოების რომელიმე ეტაპზე დაკითხვის შეუძლებლობა, საქმის სასამართლო განხილვას მთლიანობაში უსამართლოს ხდის.⁶²² თუმცა სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში, დაცვის მხარის პროტესტის მიუხედავად, შესაძლებელია ჯვარედინი დაკითხვის წესიდან გადახვევა, თუმცა ამ შემთხვევაში მხოლოდ

⁶¹⁹ *Hoyano, L.C.H.*: Striking a Balance between the Rights of Defendants and Vulnerable Witnesses? Will Special Measures Directions Contravene Guarantees of a Fair Trial? *Crim. Law Rev.*, 2001, pp. 955-956.

⁶²⁰ იქვე, p. 956; ECtHR, *Van Mechelen and Others v. Netherlands*, Appl. No. 55/1996/674/861-864, 23/04/1997, §§ 58-60.

⁶²¹ Recommendation No. R (97) 14, par. 25-27.

⁶²² ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, *ჭაჭაშვილი გერმანიის წინააღმდეგ*, საჩივარი N 9154/10, 15/12/2015, §§161-165.

დებონირებული ჩვენება არ უნდა გახდეს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველი.⁶²³ საქმეში *M.K. v. Austria* კომისიამ გაიზიარა ავსტრიის სასამართლოების უარი, რომ მოწმედ გამოეძახა ორი ბავშვი, რომლებიც საავადმყოფოში ფსიქიატრიულ მკურნალობას გადიოდნენ, როგორც სექსუალური ძალადობის მსხვერპლები. ფსიქიატრის თქმით, ისინი ჩვენების მიცემით მიიღებდნენ გამოუსწორებელ ზიანს. ავსტრიის სასამართლოებმა ფსიქიატრის ჩვენებისა და სხვა მტკიცებულებების საფუძველზე, რომლებიც ადასტურებდნენ სექსუალურ ძალადობის ფაქტს, დაადგინა, რომ დაზარალებულების მოწმეებად გამოუძახებლობა არ არღვევდა ბრალდებულის უფლებებს.⁶²⁴ ადამიანის უფლებათა სასამართლომ ლაივ ლინკების გამოყენებით ჯვარედინ დაკითხვაზეც იმსჯელა. მან კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა დაადგინა, როცა ჯვარედინი დაკითხვის დროს მოწმე და დაცვის მხარე იმყოფებოდნენ ცალ-ცალკე ოთახებში და კომუნიკაცია ხდებოდა მხოლოდ აუდიო ლინკის, ანუ ხმის გადამცემი საშუალების გამოყენებით და დაცვის მხარეს არ ჰქონდა შესაძლებლობა, რომ თვალყური ედევნებინა მოწმის ქცევით.⁶²⁵ ამის საპირისპიროდ, სასამართლომ კონვენციის დარღვევა არ დაადგინა იმ საქმეში, სადაც ბრალდებული თვითკურად არ ესწრებოდა მისი ადვოკატის მიერ მოწმის დაკითხვას, თუმცა შეეძლო პროცესისთვის თვალყური ედევნებინა ვიდეო მონიტორის საშუალებით, ამასთან ჰქონდა შესაძლებლობა, რომ ადვოკატის მეშვეობით დამატებითი კითხვები დაესვა მოწმისთვის.⁶²⁶ მოწმის ვიზუალური დაფარვის მიზნით ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ასევე დასაშვებად მიიჩნევს სასამართლო სხდომის დარბაზში მოწმის დაკითხვის ადგილას ეკრანის განთავსებას.⁶²⁷ ასევე აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭომ მის

⁶²³ *Wasek-Wiaderek, M.*: The Principle of „Equality of Arms“ in Criminal Procedure under Article 6 of the European Convention on Human Rights and Its functions in Criminal Justice of Selected European Countries, Leuven 2000, p. 27; ECtHR, *Lucà v. Italy*, Appl. No. 33354/96, 27/02/2001, §§ 40-44; ECtHR, *AM v. Italy*, Appl. No. 37019/97, 14/12/1999; ECtHR, *Windisch v. Austria*, Appl. No. 12489/86, 27/09/1990.

⁶²⁴ *Hoyano, L.C.H.*: Striking a Balance between the Rights of Defendants and Vulnerable Witnesses? Will Special Measures Directions Contravene Guarantees of a Fair Trial? *Crim. Law Rev.*, 2001, p. 961.

⁶²⁵ იქვე, p. 964.

⁶²⁶ იქვე; ECtHR, *Hols v. Netherlands*, Appl. No. 25206/94, 19/10/1996.

⁶²⁷ *Hoyano, L.C.H.*: Striking a Balance between the Rights of Defendants and Vulnerable Witnesses? Will Special Measures Directions Contravene Guarantees of a Fair Trial? *Crim. Law Rev.*, 2001, p. 964.

მიერ მიღებულ რეკომენდაციაში დაადასტურა, რომ კონვენცია არ მოითხოვს მოწმისა და ბრალდებულის პირისპირ შეხვედრას.⁶²⁸

ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ ასევე იმსჯელა შუამავლის მეშვეობით მოწმის დაკითხვაზე. მაგალითად, *Baegen v. Netherlands* საქმეში, სადაც მოწმის ვინაობა ბრალდებულისთვის უცნობი იყო, კომისიამ დაადგინა, რომ მომჩივანი, ანუ ბრალდებული ვერ იტყოდა, რომ მას არ ჰქონდა მოწმის დაკითხვის შესაძლებლობა, ვინაიდან მას შეეძლო მაგისტრატი მოსამართლისთვის წარედგინა მოწმისთვის დასასმელი კითხვები. შესაბამისად, შუამავლის მეშვეობით მოწყვლადი მოწმის დაკითხვა დასაშვებია, თუ მისი ქცევა კონტროლდება სასამართლოს მიერ.⁶²⁹

რაც შეეხება სასამართლო სხდომის დახურვას, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს სხდომის დახურვის შესაძლებლობას. ეს შესაძლებლობა ვრცელდება მოწმეების მიმართაც, როცა საქმე ეხება მათი პირადი ცხოვრების პატივისცემას. მაგალითად, კომისიამ დაადასტურა, რომ ინცესტთან დაკავშირებულ საქმეში დასაშვებია იყო სასამართლო სხდომის დახურვა.⁶³⁰

საერთაშორისო რეგულაციების საფუძველზე დღეს ბევრ სახელმწიფოში მოქმედებს დაზარალებულის დაცვის ღონისძიებები. მაგალითად, აშშ-ში ფედერალურ დონეზე დაზარალებულს მინიჭებული აქვს უფლება, რომ სათანადოდ იქნეს დაცული ბრალდებულისგან. გარდა ამისა, თითქმის ყველა შტატის კანონმდებლობაში დაზარალებულს აქვს მინიჭებული უფლება, რომ სისხლის სამართლის პროცესის მიმდინარეობისას მისი უსაფრთხოება იქნეს გათვალისწინებული. მაგალითად 15 შტატში დაზარალებულს კონსტიტუციური უფლება აქვს, რომ სათანადოდ იქნეს დაცული ბრალდებულისგან. კალიფორნიის კონსტიტუციის მიხედვით, დაზარალებულს უფლება აქვს სათანადოდ იქნეს დაცული ბრალდებულისგან და იმ ადამიანებისგან, რომლებიც

⁶²⁸ Recommendation No. R(97)13 of the Committee of Ministers to Member States Concerning Intimidation of Witnesses and the Rights of the Defence, par. 9, 27; Recommendation Rec(2005)9 of the Committee of Ministers to Member States on the Protection of Witnesses and Collaborators of Justice. par. 17.

⁶²⁹ ECmHR, *Baegen v. Netherlands*, Appl. No. 51/1994/498/580, 27/10/1995, § 78; *Hoyano, L.C.H.*: Striking a Balance between the Rights of Defendants and Vulnerable Witnesses? Will Special Measures Directions Cotravene Guarantees of a Fair Trial? *Crim. Law Rev.*, 2001, p. 965.

⁶³⁰ ECtHR, *Hols v. Netherlands*, Appl. No. 25206/94, 19/10/1996; ECmHR, *Kremers v. Netherlands*, Appl. No. 25208/94, 19/10/1995.

მოქმედებენ ბრალდებულის სახელით, ასევე გირაოს შეფარდებისას და ბრალდებულის პატიმრობისგან გათავისუფლებისას გათვალისწინებულ იქნეს დაზარალებულისა და მისი ოჯახის უსაფრთხოება.⁶³¹ გარდა ამისა, აშშ-ში ყურადღება ექცევა დაზარალებულის პირადი ცხოვრების დაცვასაც. ფედერალურ დონეზე დაზარალებულს უფლება აქვს, რომ მას ეპყრობოდნენ სამართლიანად და პატივს სცემდნენ მის ღირსებასა და პირად ცხოვრებას. შტატების დონეზეც განმტკიცებულია მოცემული უფლება. მაგალითად, კალიფორნიის კანონმდებლობის მიხედვით, დაზარალებულს უფლება აქვს, რომ მას ეპყრობოდნენ სამართლიანად და პატივს სცემდნენ მის პირად ცხოვრებასა და ღირსებას. მსგავს ჩანაწერებს შეიცავს ინდიანასა და არიზონას კონსტიტუციებიც.⁶³²

კანადაშიც დაზარალებულის უფლებების შესახებ კანონი დაზარალებულს ანიჭებს უფლებას, რომ მისი უსაფრთხოება და პირადი ცხოვრება დაცულ იქნეს მართლმსაჯულების სისტემაში ჩართული უწყებების მიერ. ასევე ანიჭებს უფლებას, რომ დაცულ იქნეს დაშინებისა და შურისძიებისგან, უფლებას, რომ საზოგადოებისთვის არ მოხდეს მისი ვინაობის გამხელა და უფლებას, რომ მონმის სახით ჩვენების მიცემისას მოითხოვოს ფიცის დადება.⁶³³ ბრიტანეთშიც დაზარალებულის კოდექსით გათვალისწინებულია მონწყვლადი დაზარალებულის (მონმის) მიმართ დაცვის ღონისძიებების გამოყენება. ამ ღონისძიებებს მიეკუთვნა სასამართლო სხდომის დარბაზში ეკრანის განთავსება, რათა მონმე ვერ დაინახოს ბრალდებულმა და სასამართლო სხდომაზე დამსწრეებმაც; ჩვენების მიცემა ვიდეო ლინკის გამოყენებით, რომლის მეშვეობითაც მონმეს შეუძლია პირდაპირი ტრანსლაციით, სასამართლო სხდომის სხვა დარბაზიდან ან თუნდაც სხვა შენობიდან მისცეს ჩვენება; სასამართლო სხდომის დახურვა, რომელიც გამოიყენება სექსუალური ხასიათის დანაშაულის და ადამიანით ვაჭრობის საქმეების განხილვის დროს ან როცა სასამართლოს მოსაზრებით, ბრალდებულის გარდა სხვა პირმა შეიძლება დააშინოს მონმე; მოსამართლეებისა და ადვოკატების მიერ პარიკის მოხსნა და მანტიის გახდა, რათა მონმისთვის ნაკლებად შემაშინებელი იყოს პროცესის

⁶³¹ *Cassell, P.G.: Crime Victims' Rights*, ნაშრომში: *Luna, E. (ed.): Reforming Criminal Justice: Academy for Justice: A Report on Scholarship and Criminal Justice Reform*, pp. 244-245.

⁶³² იქვე.

⁶³³ იხ. კანადაში დაზარალებულის დაცვასთან დაკავშირებით: <<https://www.justice.gc.ca/eng/cj-jp/victims-victimes/rights-droits/protection.html>>, [26.06.2020]; Canadian Victims Bill of Rights Act, par. 9-13.

ოფიციალობა; ვიდეოზე სასამართლო განხილვამდე ჩანერილი ჩვენება, რომლის დემონსტრირებაც ხდება სასამართლო სხდომაზე და ბოლო ღონისძიებას წარმოადგენს კომუნიკაციის პრობლემების მქონე მოწმის დაკითხვა შუამავლის მეშვეობით. შუამავლის ფუნქციაში შედის მოწმისთვის დასმული კითხვების ახსნა და პასუხის გაცემაში დახმარება, ისე რომ არ შეცვალოს ჩვენების არსი.⁶³⁴ აღსანიშნავია, რომ დიდ ბრიტანეთში ჩატარებული კვლევის მიხედვით, დაზარალებულთა უმეტესობა, რომელთა მიმართაც გამოყენებულ იქნა დაცვის ღონისძიებები, გამოხატავს კმაყოფილებას. დაზარალებულის დასაცავად ყველაზე ხშირად გამოყენებულ ღონისძიებას წარმოადგენს სასამართლო სხდომის დარბაზში ეკრანის დამონტაჟება, რომლის მეშვეობითაც ბრალდებული ვეღარ ხედავს დაზარალებულს. აღსანიშნავია, რომ დაზარალებულთა 85%, რომლებმაც ისარგებლეს აღნიშნული ღონისძიებით, თვლის, რომ მოცემული ღონისძიება მათ ძალიან დაეხმარა ჩვენების მიცემაში.⁶³⁵

6.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა

საერთაშორისო რეგულაციებისა და პრაქტიკის მიმოხილვის შემდეგ უნდა განვსაზღვროთ, თუ რამდენად იცავს საქართველოს კანონმდებლობა დაზარალებულს მეორეული და ხელახალი ვიქტიმიზაციისგან, დაშინებისა და შურისძიებისგან.

სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „8“ ქვეპუნქტის თანახმად დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენება, თუ საფრთხე ემუქრება როგორც მის, ისე მისი ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და საკუთრებას. სსსკ-ის 68-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაცვის სპეციალურ ღონისძიებებში იგულისხმება შემდეგი ღონისძიებები: მიკვლევის საწინააღმდეგო ღონისძიების გატარება - აღნიშნული გულისხმობს საჯარო რეესტრის ან

⁶³⁴ იხ. გაერთიანებულ სამეფოში დაცვის ღონისძიებებთან დაკავშირებით: <<https://www.cps.gov.uk/legal-guidance/special-measures>>, [26.06.2020]; Code of Practice for Victims of Crime of England and Wales, Chapter 1, Enhanced Entitlements; 1.13-1.15, p.15; იხ. გაერთიანებულ სამეფოში არასრულწლოვანი მოწმის დაცვასთან დაკავშირებით: <<https://www.theguardian.com/society/2002/nov/20/publicvoices2>>, [26.06.2020].

⁶³⁵ *Victim Support: Victim of the System: The Experiences, Interests and Rights of Victims of Crime in the Criminal Justice Process*, 2017, p. 39, <<https://www.victimsupport.org.uk/sites/default/files/Victim%20of%20the%20System%20report.pdf>>, [26.06.2020].

სხვა საჯარო ხასიათის დოკუმენტში პირის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის ამოღებას; ვინაობის შეცვლა და ახალი დოკუმენტის გაცემა; უსაფრთხოების ზომების მიღება (პირადი დაცვა, განგაშზე გამოძახება და სხვა); საცხოვრებელი ადგილის დროებით ან სამუდამოდ შეცვლა და სხვა სახელმწიფოში გაყვანა (რელოკაცია). დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებისთვის აუცილებელია საქართველოს გენერალური პროკურორის ან მისი მოადგილის თანხმობა. დაზარალებულის მიმართ დაცვის ღონისძიებების გამოყენების შესაძლებლობა თავისთავად მისასალმებელია, ვინაიდან იგი დაზარალებულს იცავს ხელახალი ვიქტიმიზაციისგან, დაშინებისა და შურისძიებისგან. თუმცა მოცემული ღონისძიებები არ არის ორიენტირებული მეორეული ვიქტიმიზაციის, როგორც ფსიქოლოგიური ტრავმის თავიდან აცილებაზე. სსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტში პირდაპირ არის მითითებული, რომ დაცვის სპეციალური ღონისძიებების მიზანია პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონების დაცვა. შესაბამისად, ისინი მიმართულია დაზარალებულის მიმართ ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებისკენ, ანუ ისევ კერძო პირისგან მოსალოდნელი საფრთხის აცილებისკენ და არა იმ საფრთხისკენ, რომელიც მართლმსაჯულების განხორციელებისას ახლავს თან. გარდა ამისა, ის გარემოება, რომ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებაზე აუცილებელია გენერალური პროკურორის ან მისი მოადგილის თანხმობა, ხაზს უსვამს პრაქტიკაში მის საგამონაკლისო გამოყენებას. სამუხაროდ საქართველოს გენერალური პროკურატურა არ აწარმოებს მონაცემთა სტატისტიკურ აღწერას,⁶³⁶ რის გამოც შეუძლებელი ხდება იმის თქმა, თუ პრაქტიკაში რა სიხშირით გამოიყენება დაზარალებულის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიებები.

საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს დაზარალებულის ინდივიდუალური შეფასების მექანიზმს. მართალია ინდივიდუალური შეფასება ხორციელდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში,⁶³⁷ მაგრამ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-14 და 27-ე მუხლების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ხორციელდება მხოლოდ

⁶³⁶ საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 10 აპრილის წერილი N 13/21177.

⁶³⁷ *Shalikhshvili, M.*: The Juvenile Justice Code is Two Years Old, *South Caucasus Law Journal*, 09/2018-2019, p. 171, <<http://lawlibrary.info/ge/books/giz2019-ru-en-south-caucasus-law-journal-IX.pdf>>, [26.06.2020].

არასრულწლოვანი ბრალდებულის ინდივიდუალური შეფასება. თუმცა ინდივიდუალური შეფასების უქონლობის მიუხედავად, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი ითვალისწინებს არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვისას დაცვის ღონისძიებების გამოყენებას.⁶³⁸ აღნიშნულ ღონისძიებებს მიეკუთვნება: არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა ტექნოლოგიური კომუნიკაციების გამოყენებით, მაგალითად, გამოსახულების ან/და ხმის შემცველი მონყობილობების გამოყენებით, არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვა გაუმჭვირვალე ეკრანის გამოყენებით ან მოწმის დისტანციური დაკითხვა; არასრულწლოვანი მოწმის სასამართლო სხდომამდე დაკითხვა და დაკითხვის ვიდეო გადაღება - მოცემულ შემთხვევაში აუცილებელია, რომ დაკითხვას ესწრებოდეს ბრალდებულის ადვოკატი; სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვა; ბრალდებულის დროებით სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანა, თუ არასრულწლოვანი მოწმე უარს ამბობს ბრალდებულის თანდასწრებით ჩვენების მიცემაზე ან თუ არსებული გარემოებები ცხადყოფს, რომ შეიძლება არასრულწლოვანმა მოწმემ ბრალდებულის თანდასწრებით არ თქვას სიმართლე ან მოხდეს მისი მეორეული ვიქტიმიზაცია. მოცემულ შემთხვევაშიც აუცილებელია საქმის სასამართლო განხილვაში ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობა. სამწუხაროდ საქართველოს სასამართლოების უმრავლესობა დაცვის ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით არ აწარმოებს მონაცემების სტატისტიკურ აღწერას, შესაბამისად, უცნობია, მოცემულ სასამართლოებში რამდენი არასრულწლოვანი დაზარალებულის მიმართ იქნა გამოყენებული დაცვის ღონისძიებები.⁶³⁹ მხოლოდ 5 სასამართლოში: ფოთის საქალაქო სასამართლოში,

⁶³⁸ ამკ, 24-ე მუხლი.

⁶³⁹ ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 14 აპრილის წერილი N 1150; ახალციხის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 08 აპრილის წერილი N 47; ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 16 აპრილის წერილი N 264 გ/კ; ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 14 აპრილის წერილი N 37; გორის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 08 აპრილის წერილი N გ/ფ -1071; გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 15 აპრილის წერილი N 52; ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 16 აპრილის წერილი N 9-74; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 12 აპრილის წერილი N 249; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 14 აპრილის წერილი N 1/2757; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 08 აპრილის წერილი N 1-0454/10055; თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2021 წლის 12 აპრილის წერილი N 43/გ; თელავის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 16 აპრილის წერილი N 228; ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 15 აპრილის წერილი N 621; რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 13 აპრილის წერილი N 444/გ; საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 12 აპრილის წერილი N 3-239-21; სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 13 აპრილის წერილი N 445; საჩხერის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 21 აპრილის წერილი N 1676; სენაკის რაიონული

ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში, მცხეთის რაიონულ სასამართლოში, ცაგერის რაიონულ სასამართლოში და ხაშურის რაიონულ სასამართლოში ხდება მონაცემების სტატისტიკური აღწერა. სასამართლოებიდან მონოდეგული ინფორმაციის თანახმად, 2015 წლიდან 2021 წლის 1 აპრილამდე, მხოლოდ მცხეთისა და ხაშურის რაიონულ სასამართლოებში იქნა გამოყენებული დაცვის ღონისძიებები, კერძოდ, ამკ-ს 24-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მცხეთის რაიონულ სასამართლოში 25 საქმეზე სრულად დაიხურა სხდომა, ხოლო 2 საქმეზე გამოყენებულ იქნა ამკ-ს 24-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიება,⁶⁴⁰ რომელიც გულისხმობს ბრალდებულის დროებით სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანას, „თუ არასრულწლოვანი მოწმე უარს ამბობს ბრალდებულის თანდასწრებით ჩვენების მიცემაზე ან თუ არსებული გარემოებები ცხადყოფს, რომ შეიძლება არასრულწლოვანმა მოწმემ ბრალდებულის თანდასწრებით არ თქვას სიმართლე ან მოხდეს მისი მეორეული ვიქტიმიზაცია.“ ხაშურის რაიონულ სასამართლოშიც 2021 წლის მარტში, 2 საქმეზე იქნა გამოყენებული ამკ-ს 24-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიება.⁶⁴¹ დანარჩენ სამ სასამართლოში მოცემულ პერიოდში ამკ-ს 24-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებები არ გამოყენებულა.⁶⁴² სამწუხაროდ, სასამართლოებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, შეუძლებელია განისაზღვროს, პრაქტიკაში რამდენად ეფექტურად მუშაობს ამკ-ს 24-ე მუხლი.

ამისდა მიუხედავად, მისასაღმებელია, რომ საქართველოში არასრულწლოვანი დაზარალებულის (მოწმის), როგორც მოწყვლადი მსხვერპლის კატეგორიას მიკუთვნებული პირის მიმართ მოქმედებს დაცვის ღონისძიებები, თუმცა სამწუხაროა, რომ საქართველოს კანონმდებლობით სხვა მოწყვლადი მსხვერპლების მიმართ არ არის

სასამართლოს 2021 წლის 15 აპრილის წერილი N 302; სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 12 აპრილის წერილი N 1038; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 16 აპრილის წერილი N 183-2/10; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 15 აპრილის წერილი N2336-2; ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 07 აპრილის წერილი N 722/106; გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში საერთოდ არ განიხილება სისხლის სამართლის საქმეები (გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 07 აპრილის წერილი N 66).

⁶⁴⁰ მცხეთის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 18 აგვისტოს წერილი N 67.

⁶⁴¹ ხაშურის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 16 აპრილის წერილი N 2499.

⁶⁴² ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 12 აპრილის წერილი N 178; ფოთის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 14 აპრილის წერილი N 254; ცაგერის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 12 აპრილის წერილი N 240.

უზრუნველყოფილი დაცვის სხვადასხვა ღონისძიება.⁶⁴³ ერთადერთი ნორმა, რომელიც დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციისა და მისი პირადი ცხოვრების დაცვას ემსახურება არის სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი, რომლის საფუძველზეც დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვა. თავისთავად სხდომის დახურვის მოთხოვნის შესაძლებლობა მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს, თუმცა პრაქტიკაში რთულია, რომ მხოლოდ მოცემულმა ღონისძიებამ უზრუნველყოს დაზარალებულის ყველა მიმართულებით დაცვა. გარდა ამისა, ამკ-ს 24-ე მუხლის მსგავსად, სასამართლოების უმრავლესობაში არ წარმოებს სტატისტიკური აღწერა სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის საფუძველზე სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ.⁶⁴⁴ იმ 5 სასამართლოშიც (ფოთის საქალაქო სასამართლო,

⁶⁴³ მართალია სსსკ-ის 114-ე მუხლი იცნობს პირის გამოძიების ეტაპზე დაკითხვის შესაძლებლობას, თუმცა გამოძიების ეტაპზე პირის დაკითხვა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ არსებობს მისი სიცოცხლის მოსპობის ან ჯანმრთელობის გაუარესების რეალური საფრთხე, რამაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის მოწმედ დაკითხვას სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს; თუ იგი დიდი ხნით ტოვებს საქართველოს; თუ არსებითად განსახილველად საქმის სასამართლოში წარმართვისთვის აუცილებელი მტკიცებულებების სხვა წყაროებიდან მოპოვება არაგონივრულ ძალისხმევას საჭიროებს ან თუ ეს აუცილებელია დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, მოცემული ნორმა არ არის მიმართული იმისკენ, რომ დაზარალებულს (მოწმეს) გაუმარტივოს ჩვენების მიცემა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მისი მეორეული ვიქტიმიზაცია. გარდა ამისა, სსსკ-ის 243-ე მუხლი იძლევა საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე ჩვენების აუდიო ან ვიდეოჩანაწერის მოსმენის შესაძლებლობას, თუმცა ისიც გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოწმე გარდაიცვალა, საქართველოში არ იმყოფება, მისი ადგილსამყოფელი უცნობია ან ამოწურულია მისი წარდგენის ყველა გონივრული შესაძლებლობა. შესაბამისად, არც მოცემული ნორმა ვრცელდება მოწყვლად მსხვერპლებზე.

⁶⁴⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 12 აპრილის წერილი N 3-239-21; თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 14 აპრილის წერილი N 1/2757; ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 16 აპრილის წერილი N 183-2/10; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 08 აპრილის წერილი N 1-0454/10055; რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 13 აპრილის წერილი N 444/გ; ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 16 აპრილის წერილი N 264 გ/კ; ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 15 აპრილის წერილი N2336-2; ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 14 აპრილის წერილი N 1150; ახალციხის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 08 აპრილის წერილი N 47; ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 14 აპრილის წერილი N 37; გორის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 08 აპრილის წერილი N გ/ფ -1071; გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 15 აპრილის წერილი N 52; ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 16 აპრილის წერილი N 9-74; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 12 აპრილის წერილი N 249; თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2021 წლის 12 აპრილის წერილი N 43/გ; თელავის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 16 აპრილის წერილი N 228; ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 15 აპრილის წერილი N 621; სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 13 აპრილის წერილი N 445; საჩხერის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 21 აპრილის წერილი N 1676; სენაკის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 15 აპრილის წერილი N 302; სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 12 აპრილის წერილი N 1038; ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 07 აპრილის წერილი N 722/106; გალი-გულრიფშისა და

ამბროლაურის რაიონული სასამართლო, მცხეთის რაიონული სასამართლო, ცაგერის რაიონული სასამართლო და ხაშურის რაიონული სასამართლო), რომელშიც ხდება აღნიშნული საკითხის სტატისტიკური დამუშავება, 2015 წლიდან 2021 წლის 1 აპრილამდე არ გამოყენებულა სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ღონისძიება.⁶⁴⁵ ამიტომ აუცილებელია, რომ საქართველოში ამოქმედდეს დაზარალებულის ინდივიდუალური შეფასების მექანიზმი, ამასთან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მსგავსად, სრულწლოვანთა მართლმსაჯულებაშიც განისაზღვროს დაცვის სხვადასხვა ღონისძიება და მათი გამოყენება მოხდეს იმ დაზარალებულების მიმართ, რომლებიც ინდივიდუალური შეფასების შედეგად, გამოვლინდებიან, როგორც მონყვლადი მსხვერპლები.

გარდა ამისა, აუცილებელია, რომ ყურადღება მიექცეს სასამართლო შენობის ინფრასტრუქტურას, კერძოდ, დაზარალებულისთვის უზრუნველყოფილ უნდა იქნეს განცალკევებული შესასვლელი და მოსაცდელი, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბრალდებულისა და დაზარალებულის შეხვედრა და ამით თავიდან იქნეს აცილებული დაზარალებულის დაშინება ან მასზე რაიმე ფორმით ზემოქმედება.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ დაზარალებულს ჰქონდეს უფლება, რომ პოლიციაში და სასამართლოში თან ახლდეს მისთვის სასურველი ადამიანი, რომელიც შეძლებს მის გამხსნევებასა და ემოციურ მხარდაჭერას. მნიშვნელოვანია, რომ მაგალითად, საგამოძიებო ორგანოში ჩვენების მიცემისას არ უთხრან მას უარი თანხმლები პირის ყოლაზე, ვინაიდან ეს უფრო დაამძიმეს დაზარალებულის მდგომარეობას, რამაც შემდეგ შეიძლება არაზუსტი ჩვენების მიცემა გამოიწვიოს.

რაც შეეხება დაზარალებულის პირადი ცხოვრების დაცვას, სსსკ-7 მუხლის თანახმად, გამოძიების პროცესში მხარეს არ აქვს უფლება, თვითნებურად და უკანონოდ ჩაერიოს სხვის პირად ცხოვრებაში. ასევე საპროცესო მოქმედების ჩამტარებელმა არ უნდა

ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში საერთოდ არ განიხილება სისხლის სამართლის საქმეები (გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 07 აპრილის წერილი N 66).

⁶⁴⁵ ფოთის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 14 აპრილის წერილი N 254; ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 12 აპრილის წერილი N 178; მცხეთის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 18 აგვისტოს წერილი N 67; ცაგერის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 12 აპრილის წერილი N 240; ხაშურის რაიონული სასამართლოს 2021 წლის 16 აპრილის წერილი N 2499.

გამჟღავნოს ცნობები პირადი ცხოვრების შესახებ, ასევე არ უნდა გამჟღავნოს პირადი ხასიათის ისეთი ცნობები, რომელთა საიდუმლოდ დაცვა პირს საჭიროდ მიაჩნია. იმ შემთხვევაში კი, თუ მოხდება პირადი ცხოვრების შესახებ ცნობების ან/და პერსონალური მონაცემების უკანონო გამჟღავნება და პირს ამით მიადგება ზიანი, პირს შეუძლია სამოქალაქო სამართალწარმოების გზით იდავოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. თავისთავად მოცემული ჩანაწერი მნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი დაზარალებულზეც ვრცელდება, შესაბამისად როგორც დაცვის მხარე, ისე საგამოძიებო ორგანო ვალდებული არიან პატივი სცენ მის პირად ცხოვრებას. სსსკ-ის გარდა, დაზარალებულის პირადი ცხოვრება დაცულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონით. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, განსაკუთრებულ კატეგორიის მონაცემს მიეკუთვნება მონაცემი, რომელიც დაკავშირებულია პირის რასობრივ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან, პოლიტიკურ შეხედულებასთან, რელიგიურ ან ფილოსოფიურ მრწამსთან, პროფესიულ კავშირში განწევრიანებასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, ნასამართლეობასთან, ადმინისტრაციულ პატიმრობასთან, პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდებასთან, პირთან საპროცესო შეთანხმების დადებასთან, განრიდებასთან, დანაშაულის მსხვერპლად აღიარებასთან ან დაზარალებულად ცნობასთან. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს ასევე მიეკუთვნება ბიომეტრიული და გენეტიკური მონაცემები, რომლებიც ზემოაღნიშნული ნიშნებით ფიზიკური პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. ზოგადი წესის თანახმად, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აკრძალულია. მათი დამუშავება მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება, ისიც მხოლოდ მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობით. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მონაცემთა სუბიექტი თანხმობას განაცხადებს მონაცემთა დამუშავებაზე, დაუშვებელია მონაცემთა სუბიექტის თანხმობის გარეშე მონაცემთა გასაჯაროება და მესამე პირისთვის გამჟღავნება.⁶⁴⁶ აღნიშნული წესის დარღვევის შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს ჯარიმას 1000 ლარის ოდენობით, ხოლო იმ პირისთვის, რომელიც ერთი წლის განმავლობაში განმეორებით დაარღვევს კანონს და განმეორებით შეეფარდება ადმინისტრაციული სახდელი,

⁶⁴⁶ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-6 მუხლი.

გათვალისწინებულია ჯარიმა 5 000 ლარის ოდენობით.⁶⁴⁷ თუ დაზარალებული ჩათვლის, რომ დაირღვა მისი უფლებები, მას შეუძლია მიმართოს სახელმწიფო ინსპექტორს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას კანონის დარღვევის შესახებ.⁶⁴⁸ სისხლის სამართლის პროცესისთვის პერსონალური მონაცემების დაცვის მოცემულ მექანიზმს დიდი მნიშვნელობა აქვს. მისი ეფექტურობა განსაკუთრებით სქესობრივი დანაშაულის დროს ვლინდება, როდესაც რისკის ქვეშ დგას დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და სქესობრივი ცხოვრების შესახებ მონაცემების გამჟღავნება ან სხვა არასწორი ფორმით გამოყენება, რომელიც შეიძლება მიზნად ისახავდეს დაზარალებულის დისკრედიტაციას, მოსამართლის ან საზოგადოების წინაშე რეპუტაციის შელახვას.

საქართველოს კანონმდებლობის ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ დღეს არსებული ნორმები იძლევა დაზარალებულის პირადი ცხოვრების დაცვის შესაძლებლობას, თუმცა პროცესის მონაწილეების, განსაკუთრებით პროცესის მხარეებისთვის უფრო მაღალი პასუხისმგებლობის დაკისრებისა და დაზარალებულისთვის უფრო მეტი სიცხადისთვის და განჭვრეტადობისთვის სასურველი იქნება თუ დაზარალებულის უფლებათა კატალოგშიც განმტკიცდება, რომ დაზარალებულს აქვს პირადი ცხოვრების დაცვის უფლება. აღნიშნული საპროცესო ნორმის დანაწესით კიდევ ერთხელ გაესმევა ხაზი პირადი ცხოვრების დაცვის მნიშვნელობას.

7. მხარდაჭერის მიღების და წარმომადგენლობითი უფლებები

7.1. მხარდაჭერის სერვისებზე წვდომის უფლება

7.1.1. საერთაშორისო სტანდარტი

დაზარალებულის საჭიროებების სრულად დაკმაყოფილებისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს დაზარალებულისთვის მხარდაჭერის უზრუნველყოფა. სწორედ ამიტომ მხარდაჭერის შესახებ დებულებები ასახულ იქნა დანაშაულისა და ხელისუფლების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის

⁶⁴⁷ იქვე, 45-ე მუხლი.

⁶⁴⁸ „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-14 მუხლი.

მართლმსაჯულების განხორციელებისა და მხარდაჭერის შესახებ კონვენციის პროექტში,⁶⁴⁹ ასევე ევროპის საბჭოს 2006 წლის რეკომენდაციასა⁶⁵⁰ და ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს 2011 წლის კონვენციაში (სტამბოლის კონვენცია).⁶⁵¹ ევროკავშირის დონეზე მხარდაჭერის უფლება თავდაპირველად განმტკიცებულ იქნა 2001 წლის ჩარჩო გადანყვეტილებაში,⁶⁵² ხოლო შემდეგ უფრო დეტალური ასახვა ჰპოვა 2012 წლის დირექტივაში.⁶⁵³ დღესდღეობით სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს დაზარალებულის მხარდაჭერის შესახებ სახელმძღვანელო აქტს.

დირექტივაში დაზარალებულის მხარდაჭერას მიეძღვნა მე-8 და მე-9 მუხლები. მე-8 მუხლით გარანტირებულია მხარდაჭერის სერვისებზე წვდომის უფლება. მოცემული მუხლის მიზანია, რომ დაზარალებულებსა და მათი ოჯახის წევრებს ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე ჰქონდეთ წვდომა მხარდაჭერის სერვისებზე.⁶⁵⁴ დირექტივის თანახმად, დაზარალებულის მხარდაჭერას, როგორც წესი, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დანაშაულით მიყენებული ტრავმების დაძლევისთვის და სისხლის სამართლის პროცესში უპრობლემოდ მონაწილეობისთვის. მხარდაჭერის გარეშე, დანაშაულით მიყენებული ზიანის დაძლევა, როგორც წესი, რთულ და გრძელ პროცესს წარმოადგენს. გარდა ამისა, მხარდაჭერის მიღების შემდეგ დაზარალებულმა შეიძლება გადანყვეტოს დანაშაულის შესახებ განაცხადის გაკეთება და მართლმსაჯულების ორგანოებთან თანამშრომლობა.⁶⁵⁵ სწორედ ამიტომ დირექტივა მოითხოვს, რომ ყველა მხარდამჭერი სერვისი იყოს უფასო, კონფიდენციალური, დაზარალებულის საჭიროებებზე

⁶⁴⁹ The Draft UN Convention on Justice and Support for Victims of Crime and Abuse of Power (Draft), Art. 8.

⁶⁵⁰ Recommendation Rec (2006) 8, par. 5.

⁶⁵¹ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, მე-18 და 28-ე მუხლები.

⁶⁵² Framework Decision 2001/220/JHA, Art. 6, 13.

⁶⁵³ Victims' Directive, Article 8, 9.

⁶⁵⁴ *European Commission*: DG Justice Guidance Document related to the Transposition and Implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 Establishing Minimum Standards on the Rights, Support and Protection of Victims of Crime, and Replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 - 19/12/2013, p. 24

⁶⁵⁵ იქვე: *Blackstock, J.*: Protecting Victims: EU Competences and Mechanisms for Safeguards, Symposium: "Legal Perspectives on the Victim", Nottingham Trent University, 2012, p. 10; *Mills, L.G.*: The Justice of Recovery: How the State Can Heal the Violence of Crime, *Hasting L.J.*, Vol. 57, Iss. 3, 2005, p. 492.

მორგებული და ევროპის მასშტაბით ხელმისაწვდომი. მხარდაჭერის სერვისებში დასაქმებულნი უნდა იყვნენ დატრენინგებული, კვალიფიციური პირები ან მოხალისეები. გარდა ამისა, მხარდამჭერ სერვისებში დაცული უნდა იყოს დაზარალებულის პერსონალური მონაცემები.⁶⁵⁶ დირექტივის მე-9 მუხლის თანახმად კი, მხარდაჭერის სერვისებს უნდა შეეძლოთ დაზარალებულის განსხვავებული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. შესაბამისად, სულ მცირე, მათ უნდა უზრუნველყონ ინფორმაციის მიწოდება დაზარალებულის უფლებებისა და მათი რეალიზების შესახებ; სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისა და სასამართლო განხილვებთან დაკავშირებით; კომპენსაციის მიღების შესახებ; მეორეული და ხელახალი ვიქტიმიზაციის, დაშინებისა და შურისძიების თავიდან აცილებისთვის; ემოციური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა; დახმარება კომპენსაციის მიღებისთვის საჭირო პროცედურებში; დახმარება პრაქტიკულ საკითხებთან დაკავშირებით, მაგალითად, ვის უნდა დაუკავშირდეს დაზარალებული დაზღვევის საკითხებზე, დასაქმებასთან ან დაბინავებასთან დაკავშირებით და სხვა.⁶⁵⁷

მხარდაჭერა შესაძლებელი უნდა იყოს დანაშაულის ჩადენიდანვე რაც შეიძლება მალევე, განურჩევლად იმისა, მსხვერპლმა განაცხადა თუ არა დანაშაულის შესახებ. გარდა ამისა, მხარდაჭერის მიღება შესაძლებელი უნდა იყოს როგორც სისხლის სამართლის პროცესის დაწყებამდე, ისე მისი მიმდინარეობისას და დასრულების შემდეგაც.⁶⁵⁸ მხარდაჭერით უზრუნველყოფისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს დაზარალებულის ინდივიდუალური მახასიათებლები და საჭიროებები.⁶⁵⁹

დირექტივა სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ დაარსონ სპეციალიზირებული მხარდაჭერის სერვისები, რომელმაც შეიძლება იფუნქციონირონ როგორც ზოგადი პროფილის მქონე მხარდამჭერის სამსახურების ნაწილად, ისე დამოუკიდებელ ორგანიზაციად. სპეციალიზირებულმა მხარდამჭერმა სერვისებმა უნდა უზრუნველყონ იმ

⁶⁵⁶ *Victim Support Europe*: EU Handbook for Policy and Best Practice in relation to Victims of Crime, 2012, p. 15, <http://victimsupporteurope.eu/activeapp/wp-content/files_mf/1353929035EUHandbook.pdf>, [26.06.2020].

⁶⁵⁷ იქვე, pp. 14-15.

⁶⁵⁸ Victims' Directive, Recital 37.

⁶⁵⁹ *European Commission*: DG Justice Guidance Document related to the Transposition and Implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 Establishing Minimum Standards on the Rights, Support and Protection of Victims of Crime, and Replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 - 19/12/2013, p. 25.

დაზარალებულთა საჭიროებების დაკმაყოფილება, რომლებსაც მძიმე ზიანი მიაღწია დანაშაულის შედეგად და რომლებიც ხელახალი ვიქტიმიზაციის, შურისძიებისა და დაშინების მაღალი რისკის ქვეშ არიან. მაგალითად, ასეთ მსხვერპლებს შეიძლება მიეკუთვნებოდნენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლები ან ახლო ურთიერთობაში ჩადენილი ძალადობის მსხვერპლები. დირექტივის თანახმად, სპეციალიზირებულმა სერვისებმა, სულ მცირე, უნდა მოიცვან თავშესაფრები, გადაუდებელი სამედიცინო დახმარება, დაზარალებულის გადამისამართება სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზაზე და სხვა.⁶⁶⁰

სისხლის სამართლის პროცესის მიზნებისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს დაზარალებულისთვის მხარდამჭერი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის მიწოდება. ამას ადასტურებს ბრიტანელი მკვლევარების მიერ ჩატარებული კვლევა, რომლის მიხედვით, დაზარალებულის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საჭიროებას წარმოადგენს მხარდამჭერი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის მიღება.⁶⁶¹ დირექტივის მე-4 მუხლიც მოითხოვს, რომ დაზარალებულს სამართალდამცავ ან სხვა კომპეტენტურ ორგანოსთან პირველივე კონტაქტისთანავე მიეწოდოს ინფორმაცია ხელმისაწვდომი მხარდამჭერი ორგანიზაციების შესახებ. დირექტივის მოთხოვნების დაკმაყოფილების საუკეთესო გზას წარმოადგენს ის, რომ პოლიციამ დაზარალებულს ყოველთვის მიაწოდოს ინფორმაცია მხარდამჭერი სერვისების შესახებ.⁶⁶² აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში მხარდამჭერი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია პოლიციის შენობებში ბუკლეტების სახით (მაგალითად საფრანგეთი),⁶⁶³ ასევე

⁶⁶⁰ Victims' Directive, Recital 37, 38; *FRA: Victims of Crime in the EU: The Extent and Nature of Support for Victims*, Luxembourg, 2014, p. 24; აღსანიშნავია, რომ სპეციალიზირებული მხარდამჭერი ორგანიზაციების შექმნის აუცილებლობაზე გერმანიაში ჯერ კიდევ 2001 წელს კეთდებოდა დიდი აქცენტი. ამასთან დაკავშირებით იხ.: *Balß, R., Baurmann, M.C., Lieser, U., Rein, D., Voß, H.G. W.: Opfer und Zeugen bei der Polizei*, BKA, München, 2001, S. 6.

⁶⁶¹ *Lindgren, M., Nikolić-Ristanović, V.: Crime Victims: International and Serbian Perspective*, Belgrade, 2011, pp. 110-111.

⁶⁶² *Victim Support Europe: EU Handbook for Policy and Best Practice in relation to Victims of Crime*, 2012, p. 30, <http://victimsupporteurope.eu/activeapp/wp-content/files_mf/1353929035EUHandbook.pdf>, [26.06.2020].

⁶⁶³ ავტორმა საფრანგეთში, პარიზის პოლიციაში მოიპოვა ბროშურა, სადაც მოცემულია მხარდამჭერი სერვისების ნუსხა, თავიანთი საკონტაქტო ინფორმაციით.

ხელმისაწვდომია ელექტრონული ფორმითაც, რაც დაზარალებულს უმარტივებს მხარდამჭერი ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის მიღებას.⁶⁶⁴

ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს მხარდამჭერ ორგანიზაციებთან დაზარალებულის რეფერირება. დირექტივა სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ ხელი შეუწყონ პოლიციის ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ დაზარალებულის მხარდაჭერის სერვისებთან გადამისამართებას, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ყველა დაზარალებულის წვდომა მხარდამჭერ სერვისებზე.⁶⁶⁵ დირექტივის იმპლემენტაციის დოკუმენტის მიხედვით, უმჯობესია, რომ პოლიციამ დაზარალებულს აუხსნას, თუ რა სერვისებია ხელმისაწვდომი და მოახდინოს მისი რეფერირება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაზარალებულს არ სურს რეფერირება.⁶⁶⁶ ასევე აუცილებელია, რომ პოლიციაში არსებული ბუკლეტები შეიცავდეს ინფორმაციას მხარდამჭერი სერვისების შესახებ. დაზარალებულისთვის მხარდამჭერ სერვისებზე ინფორმაციის მიწოდება და მისთვის ავტომატურ რეფერირებაზე უარის თქმის საშუალების მიცემა უნდა წარმოადგენდეს პოლიციისთვის სავალდებულო ქმედებას, როდესაც ის არეგისტრირებს დაზარალებულის შეტყობინებას დანაშაულის შესახებ.⁶⁶⁷

დღეს ევროპაში რეფერირების სისტემა ძირითადად ორ კატეგორიად იყოფა: რეფერირება დაზარალებულის თანხმობით („opt-in“) და ავტომატური რეფერირება („opt-

⁶⁶⁴ იხ. გერმანიაში მხარდამჭერი სერვისების შესახებ ინფორმაციის ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით:

<https://www.bmjbv.de/DE/Themen/OpferschutzUndGewaltpraevention/OpferhilfeundOpferschutz/Opferhilfe_nod_e.html>, [26.06.2020], <<https://weisser-ring.de/hilfe/wissenswertes/opferrechte>>[26.06.2020]; იხ. ფინეთში მხარდამჭერი სერვისების შესახებ ინფორმაციის ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით: <<https://www.riku.fi/en/other+languages/>>, [26.06.2020]; იხ. საფრანგეთში მხარდამჭერი სერვისების შესახებ ინფორმაციის ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით: <http://www.justice.gouv.fr/publication/guide_victimnes.pdf>[26.06.2020], <<https://www.france-victimnes.fr>>[26.06.2020]; იხ. კანადაში მხარდამჭერი სერვისების შესახებ ინფორმაციის ელექტრონული ფორმით ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით: <<https://cavac.qc.ca>>, [26.06.2020]; Gallo, C., Sandeberg, A.A., Svensson, K.: Victim Support, the State and Fellow Human Beings, IRV, Vol. 25, Iss. 1, 2019, p. 92.

⁶⁶⁵ *Victim Support Europe*: EU Handbook for Policy and Best Practice in relation to Victims of Crime, 2012, p. 16, <http://victimsupporteurope.eu/activeapp/wp-content/files_mf/1353929035EUHandbook.pdf>, [26.06.2020].

⁶⁶⁶ *European Commission*: DG Justice Guidance Document related to the Transposition and Implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 Establishing Minimum Standards on the Rights, Support and Protection of Victims of Crime, and Replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 - 19/12/2013, p. 24.

⁶⁶⁷ *Victim Support Europe*: EU Handbook for Policy and Best Practice in relation to Victims of Crime, 2012, p. 30, <http://victimsupporteurope.eu/activeapp/wp-content/files_mf/1353929035EUHandbook.pdf>, [26.06.2020].

out“). ქვეყნების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ავტომატური რეფერირება უფრო ეფექტურია, ვიდრე რეფერირება დაზარალებულის თანხმობით.⁶⁶⁸ დაზარალებულის თანხმობის სისტემის ნაკლოვანება გარკვეული მიზეზებით აიხსენება. პირველ რიგში არსებობს რისკი იმისა, რომ პოლიციელმა დაზარალებულის მახასიათებლებისა და მონაცემებიდან გამომდინარე, თვითონ გადანყვიტოს, ჰკითხოს თუ არა დაზარალებულს მხარდამჭერ სერვისებთან რეფერირების შესახებ, რაც თავისთავად შეამცირებს რეფერირებას და გაზრდის იმის ალბათობას, რომ დაზარალებულს, რომელსაც რეალურად სჭირდება მხარდაჭერა, ამ უკანასკნელის გარეშე დარჩება. გარდა ამისა, პრაქტიკაში შესაძლებელია, რომ დაზარალებულს ისეთ სიტუაციაში მოუწიოს დანაშაულის შესახებ განაცხადის გაკეთება, რომ პოლიციელს გამოჩნდეს დაზარალებულისთვის მხარდამჭერ ორგანიზაციებთან გადამისამართების შესახებ კითხვის დასმა. ასევე შესაძლებელია, რომ პოლიციელი არ ფლობდეს სრულყოფილ ინფორმაციას მხარდამჭერი სერვისების შესახებ ან პოლიციელის მიერ კითხვის დასმის სტილმა, შეიძლება განაპირობოს დაზარალებულის პასუხი, მაგალითად „უძველესებით არა დანაშაულით მიყენებულ ტრავმებს?“ ან “არ გჭირდებათ არა მხარდაჭერის სერვისებთან წვდომა?“. ასეთი ფორმულირებით დასმულმა კითხვამ შეიძლება წინასწარ განსაზღვროს დაზარალებულის უარყოფითი პასუხი და არ მოხდეს მისი რეფერირება. გარდა ამისა, თუ დაზარალებულის რეფერირება დამოკიდებული იქნება ცალკეული პოლიციელების გადანყვიტებებზე, მაშინ რეფერირების პრაქტიკა განსხვავებული იქნება მთელი ევროკავშირის მასშტაბით, სადაც ევროპის რომელიღაც ქვეყნებში უფრო ბევრი დაზარალებული იქნება გადამისამართებული, ხოლო ზოგიერთ ქვეყანაში ნაკლები, რის გამოც ზოგ დაზარალებულს ექნება წვდომა მხარდაჭერის სერვისებზე, ზოგს, არა. ესეთი მიდგომა კი დირექტივის მოთხოვნებთან ვერ მოვა შესაბამისობაში, ვინაიდან იგი მოითხოვს ყველა დაზარალებულისთვის თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფას და ყველა დაზარალებულისთვის თანაბარი უფლებების მინიჭებას.⁶⁶⁹ ავტომატური რეფერირების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ პოლიცია ყველა დაზარალებულს ამისამართებს

⁶⁶⁸ იქვე, p. 16.

⁶⁶⁹ იქვე, p. 17.

მსხვერპლის მხარდამჭერ სერვისებზე და ამით ყველასთვის უზრუნველყოფს თანაბარ ხელმისაწვდომობას, მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა ან დანაშაულის ჩადენის ადგილისა. გარდა ამისა, ავტომატური რეფერირებით უზრუნველყოფილია მხარდაჭერის სერვისებზე სწრაფი წვდომა. რეფერირების შემდეგ, დაზარალებულს შეუძლია მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება მხარდაჭერის შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ ამ შემთხვევაში უშუალოდ დაზარალებული იღებს გადაწყვეტილებას და არა პოლიციის მუშაკი. იმ ქვეყნებში, სადაც ბევრ დაზარალებულს აქვს წვდომა მხარდამჭერ სერვისებზე, ძირითადად მოქმედებს ავტომატური რეფერირების სისტემა, სადაც პოლიცია დანაშაულის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ, ავტომატურად უგზავნის მხარდამჭერ სერვისებს დაზარალებულის საკონტაქტო მონაცემებსა და დანაშაულთან დაკავშირებულ ძირითად ინფორმაციას. დაზარალებულს ეცნობება რეფერირების შესახებ და ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას რეფერირებასა ან მხარდამჭერი ორგანიზაციის შემოთავაზებაზე. პოლიციიდან რეფერირების შეტყობინების მიღების შემდეგ, მხარდამჭერმა სერვისმა რაც შეიძლება მალევე უნდა შესთავაზოს დაზარალებულს მხარდაჭერა. თუ დაზარალებული უარს იტყვის მხარდაჭერაზე, მაშინ დაზარალებულის ყველა პერსონალური მონაცემი უნდა წაიშალოს მსხვერპლის მხარდამჭერი სერვისების მონაცემთა ბაზიდან.⁶⁷⁰

7.1.2 საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა

2018 წლის მაისში სსსკ-ში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში გამოჩნდა ახალი მონაწილე: მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი.⁶⁷¹ დღეის მდგომარეობით კოორდინატორის სამსახური მოქმედებს როგორც პროკურატურაში, ისე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში.⁶⁷²

საქართველოს პროკურატურაში აღნიშნული სამსახური 2011 წლიდან მოქმედებს. მის ფუნქციას წარმოადგენს დაზარალებულისა და მოწმის ინტერესების დაცვა და მხარდაჭერა, თუმცა სამსახურის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების არ

⁶⁷⁰ იქვე, pp. 17-18.

⁶⁷¹ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2018 წლის 04 მაისის კანონი.

⁶⁷² სსსკ, 58² მუხლი.

არსებობის პირობებში, საქმიანობის განხორციელება პრაქტიკაში რიგ სირთულეებთან იყო დაკავშირებული, მაგალითად სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობისას, ან საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების განხორციელებისას კოორდინატორი ვერ ახორციელებდა დაზარალებულის ან მონმის ეფექტურ მხარდაჭერას. ამიტომაც საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით სსსკ-ში განმტკიცდა მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორის საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმები.⁶⁷³

რაც შეეხება შსს-ს, კოორდინატორის სამსახური ამოქმედდა 2019 წლის 22 ივლისს. მის პრიორიტეტს წარმოადგენს ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის, დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილი დანაშაულის, სექსუალური ძალადობის, ადამიანთ ვაჭრობის მსხვერპლებთან და მონმეებთან, შშმ პირებთან, არასრულწლოვნებთან და მათ წარმომადგენლებთან მუშაობა.⁶⁷⁴

სსსკ-ის 58¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორის საქმეში ჩართვის მიზანია მონმისთვის და დაზარალებულისთვის სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის გამარტივება, დანაშაულის შედეგად გამოწვეული სტრესის შემცირება, ხელახალი ვიქტიმიზაციისა და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება და გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე მათი ინფორმირებულობის უზრუნველყოფა. სსსკ-ის 58² მუხლში კი დეტალურად არის განწერილი როგორც პროკურატურის მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ფუნქციები, ისე შსს-ს მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ფუნქციები. ორივე მათგანის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს მონმისა და დაზარალებულისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, უფლებებისა და მოვალეობების გასაგებ ენაზე განმარტება, მონმის ან დაზარალებულის ემოციური მხარდაჭერის მიზნით იმ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებზე დასწრება, რომელშიც მონაწილეობს მონმე ან დაზარალებული, ასევე ინფორმაციის მიწოდება საჭირო

⁶⁷³ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე განმარტებითი ბარათი (კანონის პროექტი: 26/02/2018), <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/176070>>, [27.06.2020].

⁶⁷⁴ შსს-ში მოქმედ მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურთან დაკავშირებით: <<https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministroshi-motsmisa-da-dazaralebulis-koordinators-samsakhuri-amogmedda/12861>>, [27.06.2020].

იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო ან/და სხვა მომსახურების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის ორგანოსთან/ორგანიზაციასთან დაკავშირებაში დახმარება. ამასთან სსსკ-ის 182-ე მუხლის 4² ნაწილით განისაზღვრა, რომ დახურულ სასამართლო სხდომაზე მონმისა და დაზარალებულის მონაწილეობით მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესს, მონმისა ან დაზარალებულის სურვილის შემთხვევაში, ესწრება პროკურატურის მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორი.

ვინაიდან კოორდინატორის საქმიანობა შემოიფარგლება მხოლოდ და მხოლოდ მონმის ან დაზარალებულის ემოციური მდგომარეობის შემსუბუქებაში და მათი მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებაში, კოორდინატორს არ აქვს უფლება სამართლებრივი დახმარება გაუწიოს დაზარალებულს. სსსკ-ის 58² მუხლის მე-2 ნაწილი კოორდინატორს უკრძალავს საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებების მიმდინარეობისას მონმისთვის ან დაზარალებულისთვის კითხვების დასმას ან სხვაგვარი ფორმით მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში ჩარევას.

საქართველოში სახელმწიფოს ხარჯზე დაზარალებულის მხარდამჭერი სამსახურის დაარსება მისასალმებელია. ამით საქართველო იზიარებს დასავლური სახელმწიფოების გამოცდილებას, რომლებშიც ასევე მოქმედებს მსგავსი სამსახურები.⁶⁷⁵

საქართველოში განხორციელებული რეფორმები დაზარალებულის მხარდამჭერის კუთხით დიდ პროგრესს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ პროკურატურის ფარგლებში მოქმედი კოორდინატორის სამსახურით 2011 წლის სექტემბრიდან 2020 წლის ჩათვლით ისარგებლა 35 371 დაზარალებულმა,⁶⁷⁶ ხოლო შსს ფარგლებში მოქმედი კოორდინატორის სამსახურით 2019 წლის 22 ივლისიდან 2020 წლის 01 აპრილამდე ისარგებლა 795 მონმემ და დაზარალებულმა.⁶⁷⁷

⁶⁷⁵ იხ. აშშ-ში მოქმედ მხარდამჭერ სერვისებთან დაკავშირებით: <<https://www.justice.gov/usao-dc/victim-witness-assistance-unit-0>>, [27.06.2020], <<https://www.justice.gov/usao-id/page/file/1089096/download>>, [27.06.2020]; კანადაში მოქმედ მხარდამჭერ სერვისებთან დაკავშირებით: <<https://www.attorneygeneral.jus.gov.on.ca/english/ovss/VWAP-English.html>>, [27.06.2020]; გაერთიანებულ სამეფოში მოქმედ მხარდამჭერ სერვისებთან დაკავშირებით: <<https://www.cps.gov.uk/victims-witnesses>>, [27.06.2020].

⁶⁷⁶ საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 10 აპრილის წერილი N13/21177; საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 28 ივლისის წერილი N13/45795.

⁶⁷⁷ შსს-ს 2020 წლის 14 მაისის წერილი N MIA 2 20 01043700.

მიუხედავად აღნიშნული მიღწევისა, საქართველოში მაინც პირველ პრობლემას წარმოადგენს, ის, რომ ყველა დაზარალებულს არ მიუწვდება ხელი მხარდაჭერაზე. ამას მოწმობს რაოდენობრივი თანაფარდობა დაზარალებულად ცნობილი პირებსა⁶⁷⁸ და მხარდაჭერის მიმღებ პირთა შორის⁶⁷⁹. აღნიშნული თანაფარდობა ასახულია ქვემოთდებარე ცხრილში:

წელი	დაზარალებულად ცნობილ პირთა რაოდენობა	მხარდაჭერის მიმღებ დაზარალებულთა რაოდენობა	რაოდენობათა თანაფარდობა
2015	12 308	2507	20,4%
2016	12 865	2099	16,3%
2017	12 641	3986	31,5%
2018	13 847	3958	28,6%
2019	13 849	3884 ⁶⁸⁰	28%
2020	15 285	1365	9%

⁶⁷⁸ საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 19 აპრილის წერილი N 13/23048; საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 28 ივლისის წერილი N 13/45795.

⁶⁷⁹ საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის 10 აპრილის წერილი N13/21177; საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 28 ივლისის წერილი N13/45795; შსს-ს 2020 წლის 14 მაისის წერილი N MIA 2 20 01043700.

⁶⁸⁰ 2019 წლის მონაცემებში გაერთიანებულია პროკურატურისა და შსს-ს მონაცემები, კერძოდ, პროკურატურაში მოქმედი მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურით 2019 წელს ისარგებლა 3020-მა დაზარალებულმა, შსს-ში მოქმედი მონმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურით კი 2019 წლის 22 ივლისიდან 2020 წლის 1 აპრილამდე ისარგებლა 864-მა დაზარალებულმა/მონმემ, აქედან სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში გაეწია დახმარება 795 დაზარალებულს/მონმეს, ხოლო სისხლის სამართალწარმოების ფარგლებს გარეთ (სახელმწიფო სერვისებით სარგებლობასთან დაკავშირებით) 69 მონმეს/დაზარალებულს/მსხვერპლს. ავტორმა დამატებით ორჯერ მიმართა შსს-ს, რომ გაემიჯნა, მოცემული 864 დაზარალებული/მონმიდან რამდენი იყო უშუალოდ დაზარალებული. ავტორმა შსს-სგან მიიღო წერილები (2021 წლის 16 აპრილის წერილი N MIA 4 21 00954657, 2021 წლის 23 ივლისის წერილი N MIA 0 21 01933312), თუმცა მასში აღნიშნული მონაცემები არ იყო მოცემული. შესაბამისად, ავტორისათვის შეუძლებელი იყო განესაზღვრა 864 დაზარალებული/მონმისგან რამდენი იყო დაზარალებული, ამიტომ ობიექტურობისა და საუკეთესო სურათის წარმოსაჩენად, მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ყველა მათგანი ჩაეთვალა დაზარალებულად და აესახა ზემოთ მოცემულ სტატისტიკაში. ამასთან, ყველა 864 დაზარალებული/მონმე იმიტომ არის ასახული 2019 წლის სტატისტიკაში, რომ ავტორისათვის შეუძლებელი იყო იმის გამოიკვანა, თუ უშუალოდ რამდენმა მათგანმა ისარგებლა 2019 წელს და რამდენმა 2020 წელს.

ჯამში	80 795	17 799	22%
-------	--------	--------	-----

ცხრილიდან ნათლად იკვეთება, რომ 2015 წლიდან 2020 წლის ჩათვლით დაზარალებულად ცნობილი პირებიდან საშუალოდ 22%-მა ისარგებლა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურით, რაც ვერ ჩაითვლება მაღალ მაჩვენებლად.

აღნიშნული პრობლემის საფუძველს წარმოადგენს მხარდამჭერი სერვისების სიმცირე, მხარდაჭერის სერვისებთან დაკავშირებით დაზარალებულის ინფორმირება და მათი რეფერირება. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, არც დანაშაულის შეტყობინების გაკეთებისას და არც დაზარალებულად ცნობისას დაზარალებულს არ ეცნობება, რომ მას აქვს მხარდაჭერის მიღების უფლება, ასევე არ ხდება მისი დაუყონებლივი რეფერირება. სამწუხაროდ არც ბუკლეტებით და არც ელექტრონული ფორმით არ არის ხელმისაწვდომი ინფორმაცია მხარდამჭერი სერვისების შესახებ. გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევა, როცა ოჯახში ძალადობისა ან ოჯახური დანაშაულის⁶⁸¹ მსხვერპლი აძლევს ჩვენებას. ჩვენების მიცემამდე დაკითხვის ჩამტარებელი პირი ვალდებულია მას შესთავაზოს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან კონსულტაციის გავლა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე (მისცეს თუ არა ჩვენება ბრალდებულის წინააღმდეგ, რომელიც მისი ახლო ნათესავია) 3-დღიანი მოსათვინებელი ვადის მიცემა.⁶⁸² თუმცა ნორმიდან ჩანს, რომ კოორდინატორთან კონსულტაციის გავლის შეთავაზება ხდება მხოლოდ მოწყვლადი მსხვერპლების მხოლოდ ერთ კატეგორიასთან და ისიც მხოლოდ ჩვენების მიცემის საკითხთან დაკავშირებით.

სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულს არც იმის უფლება აქვს მინიჭებული, რომ მოითხოვოს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურში ჩართვა. აღნიშნულზე გადაწყვეტილებას იღებს გამომძიებელი ან პროკურორი, ისიც მხოლოდ მას შემდეგ, რაც მსხვერპლს მიენიჭება დაზარალებულის სტატუსი. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ როგორც უსტატუსო მსხვერპლი, ისე

⁶⁸¹ ოჯახურ დანაშაულში იგულისხმება სსკ-ს 11¹ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები.

⁶⁸² „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2019 წლის 20 სექტემბრის კანონი, პირველი მუხლის პირველი ნაწილი.

მსხვერპლი, რომელსაც რეალურად ესაჭიროება მხარდაჭერა, მაგრამ პროკურორი ან გამომძიებელი თვლის, რომ არ ესაჭიროება მხარდაჭერა, მხარდაჭერის გარეშე დარჩეს. ასეთი მიდგომა დაზარალებულის კუთხით გაუმართლებელია და ხელს უშლის მის რესოციალიზაციას.⁶⁸³

საქართველოში მხარდაჭერის სერვისებზე წვდომის უფლების რეალიზებას აფერხებს ის გარემოებაც, რომ საქართველოში არ არსებობს ერთი ზოგადი პროფილით მომუშავე მხარდამჭერი ორგანიზაცია. არსებობს სპეციალიზირებული ორგანიზაციები, მაგალითად ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი,⁶⁸⁴ ან წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი,⁶⁸⁵ რომლებიც ახორციელებენ დაზარალებულის სხვადასხვა მიმართულებით მხარდაჭერას, თუმცა მათი რესურსებიდან გამომდინარე, წარმოუდგენელია ყველა დაზარალებულის მხარდაჭერა. შესაბამისად, ყველა დაზარალებულისთვის მხარდაჭერის სერვისებზე წვდომის უფლების სრულყოფილად უზრუნველყოფისათვის აუცილებელია, რომ სახელმწიფოში ამოქმედდეს ბევრი მხარდამჭერი ორგანიზაცია. თუმცა დღეს არსებულ პირობებშიც შესაძლებელია დაზარალებულის უკეთესი მხარდაჭერა. ამისთვის აუცილებელია, რომ სსსკ-ით განისაზღვროს, რომ დაზარალებულს აქვს მხარდამჭერი სერვისების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება, რაც იქნება საფუძველი იმისა, რომ დანაშაულის შეტყობინებისას მოხდეს დაზარალებულის ინფორმირება დღესდღეობით საქართველოში მოქმედი მხარდამჭერი სერვისების შესახებ და მოხდეს ავტომატური რეფერირება, ვინაიდან ავტომატური რეფერირება არ არის დამოკიდებული გამომძიებელზე თუ პროკურორზე, რაც თავიდანვე გამოირიცხავს შერჩევით რეფერირებას.

⁶⁸³ შუად. შუაბე, ი.: გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2011, გვ. 214, <<http://lawlibrary.info/ge/books/giz2011-ge-BVerfGE.pdf>>, [27.06.2020].

⁶⁸⁴ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ვებ-გვერდი: <<http://atipfund.gov.ge/geo#none>>, [27.06.2020].

⁶⁸⁵ წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრის ვებ-გვერდი: <<http://gcrt.ge/ka/>>, [27.06.2020].

7.2. ადვოკატის ყოლის უფლება

7.2.1. საერთაშორისო სტანდარტი

შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულისთვის ადვოკატის ყოლის უფლების მინიჭებაში დიდ წვლილი შეიტანა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ, რომელიც მიუხედავად მისი შეჯიბრებითი მოდელისა, დაზარალებულს აძლევს უფლებას, რომ საკუთარი ხედვებისა და მოსაზრებების წარმოსაჩენად იყოლიოს კანონიერი წარმომადგენელი.⁶⁸⁶ აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნულ სასამართლოში დაზარალებული არ წარმოადგენს პროცესის მხარეს, ანუ მას არ უკავია იგივე სამართლებრივი მდგომარეობა, რაც პროკურატურას ან ბრალდებულს.⁶⁸⁷ შესაბამისად, მოცემული რეგულაციის განმტკიცებით სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ რეალურად გადაუხვია ინკვიზიციური და შეჯიბრებითი მოდელების ნორმატიული თეზისებიდან და უზრუნველყო პროცესში დაზარალებულის ინტერესების სათანადო გათვალისწინება, ისე რომ ხელი არ შეშლოდა ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.⁶⁸⁸ ამით სასამართლომ საერთო სამართლის ქვეყნებს მისცა მაგალითი, რომ დაზარალებულისთვის ადვოკატის ყოლის უფლების მინიჭება არ წარმოადგენს საერთო სამართლის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი სისხლის სამართლის პროცესისთვის შეუთავსებელ მექანიზმს. აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში ადვოკატის ყოლის უფლებას მიიჩნევდა, როგორც დაზარალებულის პროცესში მესამე მხარედ ჩართვას, შესაბამისად, თვლიდა, რომ იგი შეუთავსებელი იყო შეჯიბრებითი მოდელის არსთან და მიზნებთან.⁶⁸⁹

⁶⁸⁶ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება, 68-ე მუხლის მე-3 პუნქტი; *Baumgartner, E.*: Aspects of Victim Participation in the Proceedings of the International Criminal Court, *Int. Rev. Red Cross*, Vol. 90, No. 870, 2008, p. 411; *Kirchengast, T.*: *Victimology and Victim Rights: International Comparative Perspective*, London, New York, 2017, p. 82.

⁶⁸⁷ იქვე, p. 81.

⁶⁸⁸ *Kirchengast, T.*: *Victim Lawyers, Victim Advocates, and the Adversarial Criminal Trial*, *New Criminal Law Review: An International and Interdisciplinary Journal*, Vol. 16, No. 4, 2013, p. 592.

⁶⁸⁹ *Kirchengast, T.*: *Participation of Victims of Crime in New South Wales Court Processes*, A Study Commissioned by Victims Services, NSW, Final Report, 2014, p. 143; *Garkawe, S.*: *The Role of the Victim during Criminal Court Proceedings*, *UNSW Law Journal*, Vol. 17, No. 2, 1994, p. 605.

ადვოკატის ყოლის უფლებაზე ასევე ამახვილებს ყურადღებას დაზარალებულის უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის პროექტის, რომელიც დაზარალებულს შესაძლებლობას აძლევს, რომ მისი ხედვები და ინტერესები წარმოდგენილ იქნეს მისი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით.⁶⁹⁰ კონვენციის პროექტი განსხვავებას არ აკეთებს ინკვიზიციურ და შეჯიბრებით მოდელს შორის. მისი ამოსავალი წერტილი არის დაზარალებულის საჭიროებები, რომელიც განურჩევლად მოდელის სახეობისა, ყოველთვის და ყველგან იგივე რჩება. ყოველივე აქედან გამომდინარე, დღეს ადვოკატის ყოლის უფლება გასცდა კონტინენტური ევროპის სამართლის საზღვრებს და საერთო სამართლის ქვეყნების უმეტესობაც დაზარალებულს ნებას რთავს, რომ სასამართლოში წარმოდგენილ იქნეს ადვოკატის მიერ. თუმცა ის, თუ პროცესის რომელ ეტაპზე და რა მოცულობით უნდა იყოს ჩართული, ყველა მათგანში სხვადასხვანაირად რეგულირდება და დამოკიდებულია დაზარალებულისთვის მინიჭებული უფლებების მასშტაბებზე.⁶⁹¹

ნაშრომში გაანალიზებული იქნება რამდენიმე სახელმწიფოში მოქმედი მოდელი, რომელიც შემდეგ დაგვეხმარება საქართველოსთვის საუკეთესო მოდელის შემუშავებაში.

7.2.1.1. წმინდა შეჯიბრებითი ქვეყნები

აშშ-ში დაზარალებულს შეუძლია ჰყავდეს ადვოკატი. ადვოკატის მომსახურებით მას შეუძლია ისარგებლოს როგორც გამოძიების, ისე საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე.⁶⁹² ადვოკატის ყოლის უფლების ამოსავალ წერტილს სამართლიანი სასამართლოს პრინციპი წარმოადგენს, რომელიც მოითხოვს, რომ უფლებები ისე იქნეს განმარტებული, რომ მათ არსებობას აზრი არ დაეკარგოს.⁶⁹³ პირველად აშშ-ს ფედერალურმა სასამართლომ 1932 წელს, საქმეში *Powell v. Alabama* დაადგინა, რომ სამართლიანი

⁶⁹⁰ The Draft UN Convention on Justice and Support for Victims of Crime and Abuse of Power (Draft), Art. 5 (2c).

⁶⁹¹ *Kirchengast, T.*: Victim Lawyers, Victim Advocates, and the Adversarial Criminal Trial, *New Criminal Law Review: An International and Interdisciplinary Journal*, Vol. 16, No. 4, 2013, p. 576; *Kirchengast, T.*: *Victimology and Victim Rights: International Comparative Perspective*, London, New York, 2017, p. 81.

⁶⁹² *NCVLI: Crime Victims Have the Right to Retained Counsel's Presence during Investigative Interviews*, Victim Law Position Paper, 2014, p. 1, <<https://law.lclark.edu/live/files/17836-victim-law-position-paperright-to-counsel-in>>, [27.06.2020].

⁶⁹³ *Armstrong v. Manzo*, 380 U.S. 545, 552 (1965).

პროცესი მოიცავს ადვოკატის ყოლის უფლებას,⁶⁹⁴ ხოლო შემდეგ საქმეში *Mathews v. Eldridge*, განაცხადა, რომ სამართლიანი პროცესი არის მოქნილი მექანიზმი და ისეთ საპროცესო გარანტიების არსებობას მოითხოვს, როგორც შეეფერება კონკრეტულ ფაქტობრივ და სამართლებრივ მდგომარეობას. იმის განსასაზღვრად კი, არსებული საპროცესო გარანტიები შეესაბამება თუ არა კონსტიტუციას, საჭიროა როგორც საჯარო, ისე კერძო ინტერესების გაანალიზება.⁶⁹⁵ აშშ-მა 2004 წელს დაზარალებულის უფლებების აქტის მიღებით დაადასტურა, რომ დაზარალებულს პროცესში პირადი ინტერესები გააჩნია. მართალია დაზარალებულის უფლებების აქტი ცალკე არ გამოყოფს ადვოკატის ყოლის უფლებას, თუმცა დაზარალებულს მოცემული აქტით მინიჭებული აქვს მრავალი უფლება, რომელთა განხორციელებაც მას შეუძლია ადვოკატის მეშვეობით. ამ გზით მას შეუძლია ჩაერთოს სისხლის სამართლის საქმის მსვლელობაში; მას აქვს ინფორმაციის მიღების უფლება; პირადი ცხოვრების დაცვის უფლება; უფლება, რომ ეპყრობოდნენ პატივისცემითა და ღირსებით; უფლება, რომ დროულად მიიღოს ზუსტი შეტყობინებები მნიშვნელოვანი საპროცესო ღონისძიებების შესახებ; უფლება, რომ საქმესთან დაკავშირებული საკითხები განიხილოს გამომძიებელთან და პროკურორთან; უფლება, რომ საოლქო სასამართლოში მოუსმინონ; უფლება, რომ დაცული იყოს ბრალდებულისგან; სასამართლო სხდომებზე დასწრების უფლება და რესტიტუციის მიღების უფლება. ყოველივე ამ უფლებებით მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში.⁶⁹⁶ თუმცა მოცემული უფლებების რეალიზება, როგორც წესი, მოითხოვს სპეციალურ იურიდიულ ცოდნას, რომელიც შეიძლება გააჩნდეს მხოლოდ დაზარალებულის ადვოკატს. შესაბამისად, თუ დაზარალებულს არ ეყოლება ადვოკატი, არსებობს რისკი იმისა, რომ მოხდეს მოცემული უფლებების დარღვევა და პროცესში, მისი როგორც დამოუკიდებელი მონაწილის ხმა

⁶⁹⁴ *Powell v. Alabama*, 287 U.S. 45, (1932).

⁶⁹⁵ *Mathews v. Eldridge*, 424 U.S. 319, 334 (1976).

⁶⁹⁶ *Kirchengast, T.*: Victim Lawyers, Victim Advocates, and the Adversarial Criminal Trial, *New Criminal Law Review: An International and Interdisciplinary Journal*, Vol. 16, No. 4, 2013, pp. 578, 582.

დაიკარგოს.⁶⁹⁷ გარდა ამისა, მართლმსაჯულების სისტემაც უკეთესად იფუნქციონირებს, როცა დაზარალებული იურიდიულ რჩევას ან დახმარებას მიიღებს თავისი ადვოკატისგან.⁶⁹⁸

ირლანდიაში სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლს შეუძლია ჰყავდეს წარმომადგენელი, როდესაც მიმდინარეობს სასამართლო განხილვა დაზარალებულის სქესობრივი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის მტკიცებულებად დასაშვებობის შესახებ.⁶⁹⁹

შოტლანდიამ კიდევ უფრო მეტად დაიცვა დაზარალებულის ინტერესები. მან აღიარა სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლები, როგორც რისკის ქვეშ მყოფი პირები და დაცვის მხარეს შეუზღუდა შესაძლებლობა, რომ ჯვარედინად დაკითხოს მოცემული მსხვერპლები მათი ხასიათისა და სქესობრივი ცხოვრების შესახებ.⁷⁰⁰

ინგლისსა და უელსში 2006 წლიდან მკვლევლობის საქმეებში, გარდაცვლილი მსხვერპლის ოჯახის წევრებს უფლება აქვთ, რომ სახელმწიფოს ხარჯზე სასამართლოში წარმოდგენილნი იყვნენ ადვოკატის მიერ, რომელიც მათ დაეხმარება ზიანის შესახებ ჩვენების მიცემაში.⁷⁰¹ აღნიშნული მექანიზმი მოქმედებს სახელმწიფო პროგრამის - „დაზარალებულის ადვოკატის“ (Victim Advocate) ფარგლებში, რომელიც დამატებით ითვალისწინებს 15 საათამდე პერსონალურ და სოციალურ საკითხებზე უფასო იურიდიულ კონსულტაციას და წინასასამართლო ეტაპზე მხარდაჭერას.⁷⁰²

⁶⁹⁷ იქვე; *NCVLI: Crime Victims Have the Right to Retained Counsel's Presence during Investigative Interviews*, Victim Law Position Paper, 2014, p. 2, < <https://law.lclark.edu/live/files/17836-victim-law-position-paperright-to-counsel-in> >, [27.06.2020].

⁶⁹⁸ *ABA: Formal Opinion N95-396*, 1995, p. 4, < https://www.americanbar.org/content/dam/aba/administrative/professional_responsibility/formal_opinion_95_396.pdf >, [27.06.2020].

⁶⁹⁹ *Sex Offenders Act 2001 of Ireland*; *Doak, J.: Victims' Rights in Criminal Trials: Prospects for Participation*, *J.Law & Soc.*, Vol. 32, No. 2, 2005, pp. 296-297.

⁷⁰⁰ *Sexual Offences (Procedure and Evidence) Act 2002 of Scotland, Section 7*; *Kirchengast, T.: Victimology and Victim Rights: International Comparative Perspective*, London, New York, 2017, p. 84.

⁷⁰¹ *Kirchengast, T.: Victim Lawyers, Victim Advocates, and the Adversarial Criminal Trial*, *New Criminal Law Review: An International and Interdisciplinary Journal*, Vol. 16, No. 4, 2013, pp. 587-589.

⁷⁰² *Reeves, D.H., Dunn, P.: The Status of Crime Victims and Witnesses in the Twenty-First Century*, ნაშრომში: *Bottoms, A., Roberts, J.V. (eds.): Hearing the Victim: Adversarial Justice, Crime Victims and the State*, London, New York, 2010, p. 61.

7.2.1.2. ნახევრად შეჯიბრებითი სისტემის მქონე ქვეყნები (სკანდინავიის ქვეყნები)

მნიშვნელოვანია სკანდინავიის სახელმწიფოების გამოცდილებაც. დღეს სკანდინავიის ქვეყნების სისხლის სამართლის პროცესი წარმოადგენს შეჯიბრებითი და ინკვიზიციური სისტემის ჰიბრიდს, რაც სისხლის სამართლის პროცესს მოქნილ მექანიზმად აქცევს. როგორც დასავლეთ (დანია, ისლანდია და ნორვეგია), ისე აღმოსავლეთ (ფინეთი, შვედეთი) სკანდინავიის ქვეყნებში სქესობრივი და სხვა მძიმე დანაშაულის მსხვერპლებს უფლება აქვთ, რომ სახელმწიფოს ხარჯზე ჰყავდეთ დამოუკიდებელი კანონიერი მრჩეველი. თითოეულ სახელმწიფოში დამოუკიდებელი კანონიერი მრჩევლის როლი განსხვავდება დაზარალებულის სტატუსისა და უფლების შესაბამისად.⁷⁰³

ისლანდიაში დაზარალებულს გააჩნია მონმის სტატუსი, სქესობრივი ან სხვა მძიმე დანაშაულის შემთხვევაში, დაზარალებულს შეუძლია ჰყავდეს დამოუკიდებელი კანონიერი მრჩეველი. მნიშვნელოვანია, რომ თუ დაზარალებული ისურვებს დამოუკიდებელი კანონიერი მრჩევლის ყოლას, სახელმწიფო ვალდებულია, რომ იგი დაუნიშნოს. არასრულწლოვანი დაზარალებულებისთვის კი სავალდებულოა დამოუკიდებელი კანონიერი მრჩევლის დანიშვნა. მრჩევლის ფუნქციაა მისი დაცვის ქვეშ მყოფის ინტერესების დაცვა, მისი მხარდაჭერა და კომპენსაციის მიღებისთვის საქმის მომზადება. გამოძიების ეტაპზე მრჩეველს ყოველთვის შეუძლია დაესწროს მისი კლიენტის დაკითხვას (გამოკითხვას). მას არ შეუძლია დაზარალებულს დაუსვას კითხვები, მაგრამ შეუძლია გამოძიებელს შესთავაზოს კონკრეტული კითხვების დასმა. გამოძიების ეტაპზე მრჩეველს წვდომა აქვს მხოლოდ იმ მასალებზე, რომლებიც ეხება მის კლიენტს და რომელთა გაცნობაც აუცილებელია კლიენტის ინტერესების დასაცავად. როგორც წესი, ასეთი მასალები არის დაზარალებულის გამოკითხვის ოქმი და სამედიცინო ჩანაწერები. თუ საქმეზე დაიწყება დევნა, მაშინ მრჩეველს უფლება აქვს დაესწროს სასამართლოს ყველა სხდომას. მას არ შეუძლია კითხვები დაუსვას მონმეებს, მაგრამ შეუძლია მიმართოს მოსამართლეს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს, ბრალდებულსა და სხვა მონმეებს დაუსვას კითხვები შესაბამის საკითხთან დაკავშირებით. მრჩეველს მხოლოდ ზეპირსიტყვიერი

⁷⁰³ *Antonsdóttir, H.F.*: 'A Witness in My own Case': Victim-survivors' Views on the Criminal Justice Process in Iceland, *Fem. Leg. Stud.*, Vol. 26, Iss. 3, 2018, pp. 310-314.

გამოსვლის უფლება აქვს სამოქალაქო სარჩელთან დაკავშირებით და ყველა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხება მის კლიენტს. აღსანიშნავია, რომ მრჩევლისთვის შეზღუდული უფლებამოსილების მინიჭების საფუძველს წარმოადგენს თანასწორობის პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს შეჯიბრებით პროცესს.⁷⁰⁴

ნორვეგიაშიც დაზარალებული შეიძლება წარმოდგენილ იქნეს დამოუკიდებელი კანონიერი მრჩევლით, რომელიც ფართო უფლებამოსილებებით სარგებლობს. მას შეუძლია წარადგინოს მტკიცებულებები და კითხვები დაუსვას ბრალდებულსა და მოწმებს.⁷⁰⁵

შვედეთის სისხლის სამართლის პროცესი წარმოადგენს ინკვიზიციური და შეჯიბრებითი სისტემის ჰიბრიდს: სასამართლო განხილვებამდე ეტაპი არის ინკვიზიციური, ხოლო სასამართლო განხილვა მიმდინარეობს შეჯიბრებითი სისტემით. დაზარალებულს შეუძლია სუბსიდიურ ბრალმდებლად ჩაერთოს და წარმოდგენილ იქნეს ადვოკატით. თუმცა სქესობრივი ან სხვა მძიმე დანაშაულის მსხვერპლებს, რომლებიც არ გამოდიან სუბსიდიურ ბრალმდებლად, მაინც აქვთ სახელმწიფოს ხარჯზე კანონიერი მრჩევლის ყოლის უფლება. კანონიერი მრჩეველი იცავს დაზარალებულის ინტერესებს წინასასამართლო და არსებით სხდომაზე. მას შეუძლია სხდომებზე ილაპარაკოს დაზარალებულის სახელით, გააპროტესტოს საპროცესო მოქმედებები, ჯვარედინი წესით დაკითხოს ბრალდებული, გამოიძახოს მოწმეები, მიმართოს სასამართლოს ბრალდებულის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით და წარადგინოს მისი ხედვები სასჯელის ზომასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, კანონიერი მრჩეველი კოორდინირებას უწევს დაზარალებულსა და პოლიციას შორის ურთიერთობას, დაზარალებულს ეხმარება კომპენსაციის მოთხოვნაში, ასევე კომპენსაციის მოთხოვნით გამოდის სასამართლოში. სასამართლო ძირითადად სქესობრივი დანაშაულების დროს უნიშნავს დაზარალებულს კანონიერ მრჩევლს, თუმცა შესაძლებელია, რომ სხვა მძიმე დანაშაულის შემთხვევაშიც დანიშნოს.⁷⁰⁶

⁷⁰⁴ იქვე, pp. 311-312.

⁷⁰⁵ იქვე, p. 315.

⁷⁰⁶ *Kirchengast, T.*: Victim Lawyers, Victim Advocates, and the Adversarial Criminal Trial, *New Criminal Law Review: An International and Interdisciplinary Journal*, Vol. 16, No. 4, 2013, pp. 583-586.

მოცემული სახელმწიფოების კანონმდებლობა და პრაქტიკა ცხადყოფს, რომ დაზარალებულის უფლება, რომ ჰყავდეს ადვოკატი, არ მოდის შეჯიბრებით სისტემასთან შეუსაბამობაში. მთავარია, რომ ადვოკატს იმ მოცულობის უფლებები ჰქონდეს მინიჭებული, რომ არ მოხდეს ბრალდებულის უფლების ხელყოფა. ნორვეგიის მაგალითის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მტკიცებულებების წარდგენა და მოწმეების დაკითხვაც კი არ ეწინააღმდეგება შეჯიბრებით სისტემას და არ არღვევს ბრალდებულის უფლებებს, თუ მას პროცესში უნარჩუნდება ისეთი უფლებები, როგორცაა თავის დაცვის უფლება და უფლება რომ მოუსმინონ. გასაზიარებელია ნორვეგიელი მეცნიერის *ენ რობერსტადის* შეხედულება, თანასწორობის პრინციპის განმარტებასთან დაკავშირებით, რომელიც მის ტრადიციულ განმარტებას⁷⁰⁷ აკრიტიკებს და მას „ბალანსის ილუზიას“ უწოდებს. *რობერსტადის* თანახმად, აღნიშნული ინტერპრეტაცია ემყარება იმ მიდგომას, რომ სისხლის სამართლის პროცესი წარმოადგენს დუელს, სპორტის თამაშს ან ბრძოლას, რომელშიც ორივე გუნდს უნდა ჰყავდეს მოთამაშეთა თანაბარი რაოდენობა, უნდა იყვნენ თანაბრად ძლიერები, ბოლოს კი გამოვლინდეს გამარჯვებული. სინამდვილეში კი სისხლის სამართლის პროცესის მიზანია მივიდეს სწორ გადაწყვეტილებამდე და პროცესში დაცული იყოს ყველა მონაწილის უფლება. შესაბამისად, თანასწორობის პრინციპი არ გამორიცხავს

⁷⁰⁷ შეჯიბრებითი სისტემის ტრადიციულ განმარტებასთან დაკავშირებით იხ.: *Freedman, M.H.*: Our Constitutionalized Adversary System, Chap. L. Rev., Vol. 1, Iss. 1 1998, p. 57, <https://scholarlycommons.law.hofstra.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1433&context=faculty_scholarship>, [27.06.2020]; *ჭეგერი, მ.*: ადვერსალური და ინკვიზიტორი ელემენტები ევროპული სახელმწიფოების სისხლის სამართლის პროცესის კანონმდებლობაში, როგორც სისხლის საპროცესო სამართლის ევროპეიზაციის გამონწვევა, DGStZ, No. 2, 2016, გვ. 7, <<http://www.dgstz.de/storage/documents/HkehsGzPtS4vG6aO31E7hkwZaPnC2cM0pqnRMdj0.pdf>>, [27.06.2020]; *Laxminarayan, M., Henrichs, J., Pemberton, A.*: Procedural and Interactional Justice: A Comparative Study of Victims in the Netherlands and New South Wales, Eur. J. Criminol., Vol. 9, Iss. 3, 2012, p. 265; *Wilson, L.A.*: The Rights of Victims vs the Rights of the Accused: Striking a Balance between the Rights of Victims and Accused Persons in the International Criminal Justice Setting, U. W Austl. L. Rev., Vol. 38, Iss. 2, 2015, pp. 153-154; *Caenegem, W.V.*: Advantages and Disadvantages of the Adversarial System in Criminal Proceedings, Bond University, Law Faculty Publications, Paper 224, 1999, pp. 69-71; *Eser, A.*: Adversatorische und Inquisitorische Verfahrensmodelle: Ein Kritischer Vergleich mit Strukturalternativen, ნაშრომში: *Schroeder, F.C., Kudratov, M.* (Hrgs.): Die Strafprozessuale Hauptverhandlung zwischen Inquisitorischem und Adversatorischem Modell: Eine Rechtsvergleichende Analyse am Beispiel des Deutschen und des Zentralasiatischen Strafprozessrechts, Frankfurt, 2014, S.12.

დაზარალებულის პროცედურული უფლებების გაძლიერებას, თუ პროცესში უზრუნველყოფილია ბრალდებულის უფლებები.⁷⁰⁸

7.2.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და შეჯიბრებითი სისხლის სამართლის პროცესის მქონე ქვეყნების ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ დაზარალებულისთვის ადვოკატის ყოლის უფლების მინიჭება არ მოდის შეჯიბრებით მოდელთან წინააღმდეგობაში, თუ დადგენილია ადვოკატის უფლებათა მასშტაბი და ამავდროულად ბრალდებულისთვის გარანტირებულია სამართლიანი სასამართლოს უფლება. შესაბამისად, საქართველოშიც, როგორც შეჯიბრებითი პროცესის მქონე სახელმწიფოში სრულიად შესაძლებელია საკანონმდებლო დონეზე ადვოკატის ყოლის უფლების განმტკიცება. ამასთან აუცილებელია, რომ ადვოკატისთვის მინიჭებული უფლებები იყოს იმ მოცულობის, რა მოცულობაც საჭიროა იმისთვის, რომ დაზარალებულმა რეალურად შეძლოს სსსკ-ით მინიჭებული უფლებებით სარგებლობა.

დაზარალებულს სსსკ-ით მინიჭებული აქვს არაერთი უფლება, რომელთა რეალიზება პრაქტიკაში დიდ სირთულეს წარმოადგენს. შესაბამისად, თუ მოხდება საკანონმდებლო დონეზე ადვოკატის ყოლის უფლების განმტკიცება, შესაძლებელი გახდება მოცემული პრობლემების აღმოფხვრა, რასაც დადებითი გავლენა ექნება არა მხოლოდ დაზარალებულზე, არამედ მთლიანად მართლმსაჯულების სისტემაზე. მოცემული პრობლემური უფლებებიდან აღსანიშნავია დაზარალებულად ცნობა, უფლებების განმარტების უფლება, საქმის მასალების გაცნობის უფლება, საპროცესო შეთანხმებისა და განრიდების გაფორმებისას დაზარალებულთან კონსულტაციის გავლის უფლება, ზიანის შესახებ ჩვენების მიცემის უფლება და პროკურორის ზოგიერთი დადგენილების გასაჩივრების უფლება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლების გამოძიების ეტაპზე გამოკითხვისას და საქმის

⁷⁰⁸ *Antonsdóttir, H.F.*: ‘A Witness in My own Case’: Victim-survivors’ Views on the Criminal Justice Process in Iceland, *Fem. Leg. Stud.*, Vol. 26, Iss. 3, 2018, p. 316; *Pizzi, W.T.*: Victims’ Rights: Rethinking Our “Adversary System”, *Utah L. Rev.*, No. 2, 1999, pp. 359-360.

არსებითად განხილვის სხდომაზე ჯვარედინი დაკითხვისას მეორეული ვიქტიმიზაციის მომეტებულ რისკს.

პრაქტიკაში დიდ პრობლემას წარმოადგენს პირის დაზარალებულად ცნობა. პრობლემის არსი ერთიანი სტანდარტის არარსებობა წარმოადგენს, რომელიც პროკურორს აძლევს კანონის არასწორად განმარტების შესაძლებლობას და ამით დაზარალებულის უფლებების შელახვის შესაძლებლობას. ამას მოწმობს ერთი-ერთი მსხვერპლის საქმე,⁷⁰⁹ რომელშიც პროკურორი უარს აცხადებდა პირის დაზარალებულად ცნობაზე, მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტიზის შედეგები ცნობილი იყო და სახეზე იყო ზიანი. ამ დროს მხოლოდ დაზარალებულის იურისტი შვილის დიდი ძალისხმევით შედეგად შესაძლებელი გახდა პირის დაზარალებულად ცნობა,⁷¹⁰ ანუ დაზარალებულის უფლებების რეალიზება ხშირად მოითხოვს იურიდიულ ცოდნას, რათა პროკურორს მიუთითონ მის არასწორ ქმედებებზე და მიღებულ იქნეს სწორი საპროცესო გადაწყვეტილება.

დაზარალებულად ცნობას ებმის დაზარალებულისთვის უფლებების განმარტების უფლება. საგამოძიებო ორგანოში დაზარალებულისთვის უფლებების განმარტება ხდება წერილობით. დაზარალებულს გასაცნობად აძლევენ უფლებების განმარტების ოქმს, რომელზეც იგი მექანიკურად აწერს ხელს, ვინაიდან, მისთვის, როგორც იურიდიული ცოდნის არმქონე პირისთვის, სრულიად გაუგებარი, თუ რა წერია ოქმში. როგორც უკვე ნაშრომის თავი IV-ის § 3.1.2-ში აღინიშნა, უფლებების განმარტების ოქმში ხანდახან პროკურორი თვითნებურად უთითებს, რომ დაზარალებულს არ სურს მიიღოს ინფორმაცია საპროცესო ღონისძიებების ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ, რაც იწვევს პროცესიდან მის სრულ გარიყვას. აღნიშნული პრობლემა ადმოფხვრილი იქნება, თუ დაზარალებულის ინტერესებს დაიცავს მისი ადვოკატი.

საქმის მასალების გაცნობასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ საქართველოს საგამოძიებო ორგანოებში არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო პრაქტიკა. ზოგი გამომძიებელი დაზარალებულის ადვოკატს⁷¹¹ რთავს ნებას, რომ გაეცნოს საქმის მასალებს,

⁷⁰⁹ საქართველოს შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს IV განყოფილებაში მიმდინარე საქმე ნომერი N002081019002, დაზარალებული ნ.ლ.

⁷¹⁰ ინტერვიუ თაღლითობის მსხვერპლ ნ.ლ.-თან, 30/03/2020.

⁷¹¹ დაზარალებულს შეუძლია ჰყავდეს ადვოკატი, თუმცა მისი მოქმედების არეალი ძალიან შეზღუდულია.

ზოგი კი მხოლოდ უშუალოდ დაზარალებულს რთავს საქმის მასალების გაცნობის ნებას.⁷¹² აღსანიშნავია, რომ საქმის მასალების გაცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც პროცესში მონაწილეობისთვის, ისე სამოქალაქო წესით კომპენსაციის მოთხოვნისთვის. დაზარალებული, რომელიც როგორც წესი, არ არის იურისტი. შესაბამისად, იგი ვერ შეძლებს საპროცესო დოკუმენტების გაანალიზებას და ფაქტიურად შეიძლება დარჩეს კომპენსაციის გარეშე. შესაბამისად, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელია, რომ საკანონმდებლო დონეზე მიენიჭოს დაზარალებულს ადვოკატის ყოლის უფლება და დადგინდეს მისი უფლებების მასშტაბები.

ასევე მნიშვნელოვანია ადვოკატის ყოლა, მაშინ როცა ხდება საპროცესო შეთანხმების გაფორმებასთან ან განრიდების გამოყენებასთან დაკავშირებით დაზარალებულთან კონსულტაცია. დაზარალებულმა შეიძლება სრულფასოვნად ვერ გააანალიზოს მოცემული საპროცესო ღონისძიებების მნიშვნელობა და შემდგომში დარჩეს უკმაყოფილო. ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს, როდესაც ბრალდებული დაზარალებულს ზიანის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული თანხის რაღაც ნაწილს აძლევს და ჰპირდება, რომ დანარჩენს შემდგომში გადაუხდის. დაზარალებული თანხმდება შეთავაზებას და სანოტარო წესით აცხადებს, რომ ბრალდებულის მიმართ პრეტენზია არ გააჩნია. ზოგიერთ შემთხვევაში ბრალდებული დაზარალებულს აღარ უხდის დარჩენილ თანხას.⁷¹³ გარდა ამისა, საპროცესო შეთანხმების გაფორმებასთან ან განრიდების გამოყენებასთან დაკავშირებით დაზარალებულთან კონსულტაციის დროს, დაზარალებულს არ უნდა ჰქონდეს მოლოდინი, რომ პროკურატურისგან მიიღებს სათანადო რჩევებს, ვინაიდან პროკურორის მთავარ ფუნქციას არ წარმოადგენს დაზარალებულის უფლებების დაცვა. იგი ახორციელებს საჯარო უფლებამოსილებას, ამიტომ იგი ვალდებულია ყოველთვის გაითვალისწინოს საჯარო ინტერესი და ასევე ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლება. მიუხედავად იმისა, რომ პროკურორი ვალდებულია დაიცვას დაზარალებულის ინტერესებიც, არსებობს სიტუაციები

⁷¹² ინტერვიუ ადვოკატ ლევან დვალისძე-გიორგიანთან, 23/10/2019.

⁷¹³ ინტერვიუ ადვოკატ ლევან დვალისძე-გიორგიანთან, 23/10/2019.

როდესაც საჯარო და კერძო ინტერესები ერთმანეთთან მოდის კოლიზიაში.⁷¹⁴ შესაბამისად, თუ დაზარალებულს ეყოლება ადვოკატი, მაშინ იგი შეძლებს მისი ინტერესების სათანადოდ დაცვას.

ამასთან, ზიანის შესახებ ჩვენების მიცემის უფლების პრაქტიკაში სრულფასოვნად განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია ადვოკატის რჩევები, რომელმაც იცის, თუ რაზე უნდა გაამახვილოს დაზარალებულმა ყურადღება და რომელი დეტალების წარმოჩინება არის საჭირო, იმისთვის, რომ დაზარალებულის ჩვენება რეალურად გათვალისწინებულ იქნეს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას. ხანდახან არაადეკვატური სასჯელის შეფარდების მიზეზი შეიძლება სასჯელის დანიშვნის სხდომაზე პროკურორის თავშეკავებულობის შედეგი იყოს.⁷¹⁵ შესაბამისად, თუ დაზარალებულს ეყოლება ადვოკატი, გაიზრდება ადეკვატური სასჯელის შეფარდების ალბათობაც.

გარდა ამისა, სპეციალურ იურიდიულ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს დაზარალებულად ცნობასა და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა/არდაწყების შესახებ პროკურორის დადგენილების გასაჩივრების უფლების რეალიზება. იურიდიული ცოდნის გარეშე ფაქტიურად წარმოუდგენელია საჩივრის შედგენა და შესაბამის უწყებაში წარდგენა.

ზემოაღნიშნული საკითხების განხილვის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ განურჩევლად იმისა, თუ პირი რომელი დანაშაულის მსხვერპლი გახდა, ადვოკატის ყოლის უფლების საკანონმდებლო დონეზე რეგულირება დადებით ნვლილს შეიტანს დაზარალებულის მიერ სსსკ-ით მინიჭებული უფლებების რეალიზებაში.

ამავდროულად, ცალკე უნდა იქნეს განხილული სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლის საკითხი, მისი მეორეული ვიქტიმიზაციის საფრთხეები და ამ საფრთხის თავიდან აცილებისთვის ადვოკატის ყოლისა და მისთვის ქმედითი უფლებების მინიჭების საკითხი. როგორც შეჯამებითი ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზი ცხადყოფს, სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლისთვის ადვოკატის ყოლა და მისი მონაწილეობა

⁷¹⁴ შეად. *Pizzi, W.T.*: Victims' Rights: Rethinking Our "Adversary System", Utah L. Rev., No. 2, 1999, p. 352; *Braun, K.*: Legal Representation for Sexual Assault Victims: Possibilities for Law Reform?, Curr. Issues Crim. Justice, Vol. 25, No. 3, 2014, pp. 823- 824.

⁷¹⁵ შეად. *Garkawe, S.*: The Role of the Victim during Criminal Court Proceedings, UNSW Law Journal, Vol. 17, No. 2, 1994, pp. 606-607.

მსხვერპლის პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის მტკიცებულებად გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის განხილვისას და მსხვერპლის ჯვარედინ დაკითხვისას, არ არღვევს ბრალდებულის უფლებებს, შესაბამისად, არ ირღვევა არც თანასწორობის პრინციპი.⁷¹⁶ სწორედ ამიტომ უნდა განვიხილოთ, ხომ არ არის საჭირო საქართველოში მოცემული მოდელის დანერგვა და რა არგუმენტები გაამართლებს დაზარალებულის ადვოკატისთვის მოცემული უფლების მინიჭებას.

საქართველოში სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლის მეორეული ვიქტიმიზაციის საფრთხე წარმოიშობება გამოძიების ეტაპზევე, კერძოდ მისი გამოკითხვის დროს. როდესაც დანაშაულის ჩადენის ბრალდებით ხდება პირის დაკავება, პროკურატურას აქვს 48 საათი იმისთვის, რომ პირს წაუყენოს ბრალი, ხოლო შემდეგი 24 საათი აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზნით სასამართლოში წარსადგენად. შესაბამისად, საგამოძიებო ორგანოს ბრალის წასაყენებლად საკმარისი მტკიცებულებების მოსაპოვებლად შეზღუდული დრო აქვს. როგორც წესი, მას სჭირდება ისეთი მტკიცებულებები, როგორცაა მონმეების გამოკითხვის ოქმები, შემთხვევის ადგილის დათვალიერების, ჩხრეკა-ამოღების, საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების ოქმები და სხვადასხვა საპროცესო დოკუმენტაცია. ამ დროს ბუნებრივია დაზარალებულის გამოკითხვას ერთ-ერთი არსებითი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან იგი გახდა დანაშაულის მსხვერპლი და ყველაზე მეტ ინფორმაციას ის ფლობს. შესაბამისად, გამომძიებელი მუდამ დაინტერესებულია დაზარალებულის რაც შეიძლება სწრაფად გამოკითხვით, რათა მიიღოს საჭირო ინფორმაცია. ამიტომ დაზარალებული იკითხება დაუყონებლივ და ხანდახან ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც მისი ფსიქო-ემოციური ფონი არ არის მზად გამოკითხვისთვის. გამოკითხვა მიმდინარეობს სტრესის ქვეშ, დაზარალებულისთვის უცხო გარემოში უცხო ადამიანების მიერ. დაზარალებული ისედაც აღელვებულია, არ იცის ვის ენდოს, არის სულ მარტო, ყოველგვარი მხარდაჭერისა და იურიდიული დახმარების გარეშე.⁷¹⁷ ასეთ პირობებში გამოკითხვა შეიძლება დანაშაულით განცდილი სტრესის გაგრძელება იყოს და მოხდეს დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაცია. ეს რომ არ მოხდეს, მიზანშეწონილი იქნება, თუ

⁷¹⁶ Braun, K.: Legal Representation for Sexual Assault Victims: Possibilities for Law Reform?, Curr. Issues Crim. Justice, Vol. 25, No. 3, 2014, p. 820.

⁷¹⁷ ინტერვიუ ადვოკატ ლევან დვალისძე-ვილთან, 27/02/2019.

კანონმდებლობით სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლს მიენიჭება უფლება, რომ საგამოძიებო უწყებასთან პირველივე კონტაქტისთანავე ისარგებლოს ადვოკატის ყოლის უფლებით. მნიშვნელოვანია, რომ დაზარალებულისთვის მოხდეს მოცემული უფლების განმარტება და მას დაუყონებლივ, სახელმწიფოს ხარჯზე დაენიშნოს ადვოკატი და მხოლოდ ადვოკატთან ერთად მოხდეს მისი გამოკითხვა.

გარდა ამისა, შეჯიბრებით პროცესში მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება ჯვარედინ დაკითხვას, რომელიც მონოდებულია არასანდო და არაკეთილსინდისიერი მონშის გამოვლენისკენ. დაზარალებულისთვის კი ჯვარედინი დაკითხვა შეიძლება ძალიან ტრავმირებადი იყოს, ამიტომ შეიძლება სჭირდებოდეს დამატებითი მხარდაჭერა.⁷¹⁸ სქესობრივი დანაშაულის შემთხვევაში მსხვერპლს უწევს მისი პირადი ცხოვრების დეტალების შესახებ საუბარი. ბევრი მსხვერპლი დამამცირებლად მიიჩნევს სქესობრივი ცხოვრების შესახებ ჩვენების მიცემას ღია სხდომაზე, რომელსაც ბრალდებულის ესწრება, ამიტომ ჯვარედინი დაკითხვა მისთვის არის შემაშინებელი და ტრავმირებადი. 1987 წელს გამოკითხულ იქნა გაუპატიურებისა და ყაჩაღობის 200 მსხვერპლი. ისინი აცხადებენ, რომ დანაშაულიდან ერთი წლის შემდეგაც კი მათთვის შიშის მომგვრელი მოვლენა იყო ჯვარედინი დაკითხვა და რისკი იმისა, რომ სასამართლოში მათ არ დაუჯერებდნენ.⁷¹⁹ გარდა ამისა, მოუმზადებელ მსხვერპლს უწევს დაცვის მხარის ისეთ ადვოკატთან კონფრონტაცია, რომელიც დაკითხვისთვის შეიძლება თვეების განმავლობაში ემზადებოდა და საქმის ყველა დეტალი აქვს გავლილი.⁷²⁰ თუ დაზარალებულს ეყოლება ადვოკატი, იგი მსხვერპლს მისცემს რჩევებს და დაეხმარება ზუსტი ჩვენების მიცემაში.

ამასთან, ჯვარედინი დაკითხვა იმართება აგრესიულად, განსაკუთრებით მაშინ, როცა დაცვის მხარე ამტკიცებს, რომ დაზარალებული თანახმა იყო სქესობრივი აქტის დამყარებაზე. ამ დროს დაცვის მხარის ადვოკატი ყურადღებას ამახვილებს დაზარალებულის პიროვნებაზე, მის ბუნებასა და პიროვნულ თვისებებზე, რითაც ცდილობს

⁷¹⁸ *Wilson, L.A.*: The Rights of Victims vs the Rights of the accused: Striking a Balance Between the Rights of Victims and Accused Persons in the International Criminal Justice Setting, U. W Austl. L. Rev., Vol. 38, Iss. 2, 2015, p. 154.

⁷¹⁹ *Braun, K.*: Legal Representation for Sexual Assault Victims: Possibilities for Law Reform?, Curr. Issues Crim. Justice, Vol. 25, No. 3, 2014, p. 821; *Resick, P.A.*: Psychological Effects of Victimization: Implications for the Criminal Justice System, Crime Delinq., Vol. 33, Iss. 4, 1987, pp. 468–478.

⁷²⁰ *Hoyano, L.C.H.*: Reforming the Adversarial Trial for Vulnerable Witnesses, Crim. Law Rev., Vol. 2, 2015, p. 123.

მის დისკრედიტაციას. კვლევები ადასტურებს, რომ ხშირად ჯვარედინი დაკითხვისას დაცვის მხარის მიერ მსხვერპლის სქესობრივი ცხოვრების შესახებ კითხვების დასმა მსხვერპლის რეპუტაციის შელახვას ემსახურება. შესაბამისად, თუ დაზარალებულს ჯვარედინი დაკითხვისას ეყოლება ადვოკატი, მაშინ დაზარალებულის დაკითხვა ნაკლებად ტრავმირებადი იქნება.⁷²¹ ასევე კვლევებით დასტურდება, რომ დაზარალებულისთვის იმის ცოდნა, რომ მას იცავს ადვოკატი, უკვე დამამშვიდებელია და თავს უფრო დაცულად გრძნობს.⁷²² ადვოკატის ყოლის შემთხვევაში, ჯვარედინი დაკითხვა იქნება ნაკლებად ტრავმირებადი და მოხდება მხოლოდ დასაშვები და სათანადო კითხვების დასმა. იმ ქვეყნებში ჩატარებული კვლევა, სადაც დაზარალებულს ჰყავს ადვოკატი, ცხადყოფს, რომ უკვე ადვოკატის ყოლის ფაქტი საკმარისია დაცვის მხარის ადვოკატისთვის, რომ დაზარალებულის მიმართ ნაკლებად მტრული დამოკიდებულება გამოავლინოს. ამასთან, პროცესზე დაზარალებულის ადვოკატის ყოფნა დაზარალებულისადმი ყველას უფრო სერიოზულად განაწყობს.⁷²³

მართლმსაჯულების სისტემის ზოგიერთი წარმომადგენელი თქვობს, რომ სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლებს არ სჭირდებათ ადვოკატის ყოლა და მათი უფლებების დაცვა შეუძლიათ მსხვერპლის მხარდამჭერს, მოსამართლეებსა და პროკურორებს. თუმცა როგორც უკვე აღინიშნა, სასამართლოსა და პროკურატურის მთავარ ფუნქციას არ წარმოადგენს დაზარალებულის უფლებების დაცვა. ორივე მათგანი საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელია, ამიტომ ვალდებულნი არიან გაითვალისწინონ საჯარო ინტერესი და დაიცვან ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლება. შესაბამისად, ისინი ყოველთვის სათანადოდ ვერ

⁷²¹შეად. *Braun, K.*: Legal Representation for Sexual Assault Victims: Possibilities for Law Reform?, *Curr. Issues Crim. Justice*, Vol. 25, No. 3, 2014, pp. 821-822; *Bacik, I., Maunsell, C., Gogan, S.*: *The Legal Process and Victims of Rape*, Dublin, 1998, p. 17.

⁷²² *Braun, K.*: Legal Representation for Sexual Assault Victims: Possibilities for Law Reform?, *Curr. Issues Crim. Justice*, Vol. 25, No. 3, 2014, pp. 821-822; *Bacik, I., Maunsell, C., Gogan, S.*: *The Legal Process and Victims of Rape*, Dublin, 1998, p. 17.

⁷²³შეად. *Braun, K.*: Legal Representation for Sexual Assault Victims: Possibilities for Law Reform?, *Curr. Issues Crim. Justice*, Vol. 25, No. 3, 2014, pp. 822-823; *Temkin, J.*: *Rape and the Legal Process*, Oxford, 2nd Edition, 2002, p. 293; *Rape Crisis Scotland: Independent Legal Representation For Complainers in Sexual Offence Trials*, Glasgow, 2010, p. 7, <<https://www.rapecrisisscotland.org.uk/publications/IndLegalRepReport-2010.pdf>>, [28.06.2020].

გაითვალისწინებენ დაზარალებულის ინტერესებს.⁷²⁴ პრაქტიკაში არის შემთხვევები, როდესაც ჯვარედინი დაკითხვისას მოსამართლე არ ერევა, როდესაც დაცვის მხარე სვამს არასაჭირო, სტერეოტიპულ და დამამცირებელ კითხვებს.⁷²⁵ რაც შეეხება პროკურატურას, მას გააჩნია პასუხისმგებლობა და ვალდებულებები, როგორც სასამართლოს, ისე მისი დამსაქმებლის - სახელმწიფოს წინაშე, რაც ფაქტიურად წარმოადგენს ხდის პროკურორის მიერ დაზარალებულის ინტერესების სათანადოდ დაცვას. ვინც საზოგადოების სახელით ახორციელებს სისხლისსამართლებრივ დევნას, არ აქვს უფლება ისე მოიქცეს, ვითომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში წარმოადგენდეს კერძო პირის ინტერესებს.⁷²⁶ შესაბამისად, პროკურატურამ ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს საჯარო ინტერესი. ხშირად პროკურორისთვის სირთულეს წარმოადგენს საჯარო და კერძო ინტერესების დაბალანსება. მაგალითად, შოტლანდიაში ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ პროკურორი ხშირად არ იცავს დაზარალებულს დაცვის მხარის მიერ განხორციელებული პერსონალური შეტევებისგან. აღნიშნული დამოკიდებულება იმით იქნა ახსნილი, რომ თუ პროკურორი ბევრჯერ გააპროტესტებს დასმულ შეკითხვებს, ამან შეიძლება ნათეს მსაჯულები დააეჭვოს და აფიქრებინოს, რომ პროკურატურა რაღაცას მალავს. პროკურორის ამგვარი ქმედების მეორე ახსნას წარმოადგენს ის, რომ დაზარალებულის მიმართ დაცვის მხარის დამორგუნველმა კითხვებმა შეიძლება ნათეს მსაჯულებში დაზარალებულისადმი გამოიწვიოს სიმპათია და აამაღლოს ბრალდებულის მსჯავრდების შანსები.⁷²⁷

ასევე ვერ შეითავსებს დაზარალებულის მხარდამჭერი დაზარალებულის წარმომადგენლის ფუნქციას, ვინაიდან, როგორც წესი, მას არ აქვს უფლება, რომ სასამართლოში დაზარალებულის დაკითხვისას გააპროტესტოს დასმული კითხვა. მისი ფუნქცია მხოლოდ დაზარალებულის ინფორმირებითა და ემოციური მხარდაჭერით

⁷²⁴ შეად. *Braun, K.*: Legal Representation for Sexual Assault Victims: Possibilities for Law Reform?, *Curr. Issues Crim. Justice*, Vol. 25, No. 3, 2014, pp. 823- 824.

⁷²⁵ იქვე.

⁷²⁶ შეად. *Garkawe, S.*: The Role of the Victim during Criminal Court Proceedings, *UNSW Law Journal*, Vol. 17, No. 2, 1994, p. 606.

⁷²⁷ შეად. *Braun, K.*: Legal Representation for Sexual Assault Victims: Possibilities for Law Reform?, *Curr. Issues Crim. Justice*, Vol. 25, No. 3, 2014, p. 824.

შემოიფარგლება.⁷²⁸ საქართველოს კანონმდებლის თანახმად, მონმის და დაზარალებულის კოორდინატორის ფუნქციაში არ შედის იურიდიული დახმარების გაწევა. მას არ აქვს უფლება, რომ საგამოძიებო მოქმედებისა და საპროცესო მოქმედების მიმდინარეობისას მონმეს და დაზარალებულს დაუსვას კითხვები ან სხვაგვარად ჩაერიოს მტკიცებულებათა მოპოვების პროცესში.⁷²⁹

ადვოკატის ყოლა სასარგებლო იქნება თვითონ მართლმსაჯულების სისტემისთვის. როგორც უკვე აღინიშნა, დაზარალებულისთვის ჯვარედინი დაკითხვა და თვითონ პროცესში მონაწილეობაც ტრავმირებადი მოვლენაა, რის გამოც ბევრი დაზარალებული არ აცხადებს დანაშაულს პოლიციაში, რაც თავისთავად უარყოფითად აისახება მართლმსაჯულების ფუნქციონირებაზე. თუ დაზარალებულს ეყოლება ადვოკატი, იგი თავს დაცულად იგრძნობს, აღარ შეეშინდება მართლმსაჯულების სისტემასთან ურთიერთობის და დანაშაულსაც განაცხადებს პოლიციაში.⁷³⁰ გარდა ამისა, სქესობრივ დანაშაულებში, როგორც წესი, რთულია ბრალდებულის მსჯავრდება, ვინაიდან დაზარალებულს ჯვარედინი დაკითხვის აგრესიულ და სტრესულ პირობებში უჭირს ყველა დეტალის გახსენება და ხანდახან მისი ჩვენება ურთიერთსაწინააღმდეგოც კი არის,⁷³¹ რის გამოც მოსამართლეს არ აქვს საკმარისი მტკიცებულებები, რომ გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი. ადვოკატის ყოლის შემთხვევაში, დაზარალებული შეძლებს უფრო ზუსტი ჩვენების მიცემას, რაც განაპირობებს ბრალდებულის მსჯავრდებასაც.⁷³²

საქართველოს კანონმდებლობაში ადვოკატის ყოლის უფლების განმტკიცებას მივყავართ იურიდიული დახმარების საკითხთან. საერთო სამართლის ქვეყნებში მოქმედებს სახელმწიფოს სერვისები ან არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც დაზარალებულს უფასოდ უწევენ იურიდიულ დახმარებას.⁷³³

⁷²⁸ იქვე, pp. 824-825.

⁷²⁹ სსკ, 58²-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

⁷³⁰ შეად. *Braun, K.*: Legal Representation for Sexual Assault Victims: Possibilities for Law Reform?, *Curr. Issues Crim. Justice*, Vol. 25, No. 3, 2014, p. 825.

⁷³¹ *Ellison, L.*: *The Adversarial Process and the Vulnerable Witness*, Oxford, 2001, p. 21.

⁷³² *Braun, K.*: Legal Representation for Sexual Assault Victims: Possibilities for Law Reform?, *Curr. Issues Crim. Justice*, Vol. 25, No. 3, 2014, pp. 825-826.

⁷³³ ორგანიზაციათა ვებ-გვერდები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნებში მსხვერპლებს უწევენ უფასო იურიდიულ დახმარებას: <<https://lscva.org/about-us>>, [28.06.2020]; <<https://www.legalaid.on.ca/documents/legal-aid-ontarios-domestic-violence-strategy/>>, [28.06.2020];

რაც შეეხება საქართველოს, მოცემულ საკითხს არეგულირებს საქართველოს კანონი „იურიდიული დახმარების შესახებ“. აღნიშნული კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაზარალებულს შეუძლია ისარგებლოს იურიდიული დახმარებით, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ, სახელმწიფო ხარჯზე დაცვის განხორციელების შემთხვევებში. ნორმის დანაწესიდან ჩანს, რომ იურიდიული დახმარება ხელმისაწვდომია მხოლოდ მაშინ, თუ ხორციელდება დაზარალებულის სახელმწიფოს ხარჯზე დაცვა. მოქმედი სსსკ სავალდებულო წესით, დაზარალებულის სახელმწიფო ხარჯზე დაცვას არ იცნობს. სახელმწიფოს ხარჯზე დაცვა მოქმედებდა 1998 წლის კოდექსის პირობებში და გაგრძელდა 2016 წლის 20 თებერვლამდე, ვინაიდან მოქმედი სსსკ-ის 332-ე მუხლის თანახმად, ზემოაღნიშნულ თარიღამდე დაზარალებულის მოწმის სახით დაკითხვა წარმოებდა 1998 წლის კოდექსის (გარდა 305-ე მუხლის მე-6 ნაწილისა) დადგენილი წესით.⁷³⁴ შესაბამისად, დღეს სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულისთვის არ არის ხელმისაწვდომი იურიდიული დახმარება. მას შეუძლია იურიდიული დახმარების სამსახურიდან მიიღოს მხოლოდ იურიდიული კონსულტაცია.⁷³⁵ სრულწლოვანი დაზარალებულისგან განსხვავებით, იურიდიული დახმარების უფლება აქვს არასრულწლოვან დაზარალებულს.⁷³⁶ სტატისტიკური მონაცემების საერთო სურათის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ამკ-ს მოქმედების დღიდან უფრო და უფრო მეტ არასრულწლოვან დაზარალებულს ენიშნება სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატი. სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

https://www.citizensinformation.ie/en/justice/legal_aid_and_advice/legal_aid_board.html], [28.06.2020];


<https://www.mygov.scot/legal-advice/>], [28.06.2020].

⁷³⁴ სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის 2021 წლის 13 აპრილის წერილი N LA 0 21 00008341.

⁷³⁵ საქართველოში მოქმედი იურიდიული დახმარების სამსახურის ვებ-გვერდი: <http://www.legalaid.ge/ka/services/176/legal-consultation>], [28.06.2020].

⁷³⁶ ამკ, მე-15 მუხლის პირველი ნაწილი.

არასრულწლოვანი დაზარალებულისთვის
სახელმწიფოს ხარჯზე დანიშნულ ადვოკატთა
რაოდენობა



თავისთავად მისასაღმებელია, რომ არასრულწლოვან დაზარალებულს აქვს იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება, თუმცა აუცილებელია, რომ საქართველოში სრულწლოვანი დაზარალებულისთვისაც იყოს უფასო იურიდიული დახმარება ხელმისაწვდომი. იურიდიული დახმარება წარმოადგენს სხვა უფლებების გამოყენების წინაპირობას, იგი უზრუნველყოფს ფუნდამენტურ სამართლიანობას და ნდობას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის მიმართ,⁷³⁷ თუ დაზარალებულისთვის იურიდიული დახმარება არ იქნება ხელმისაწვდომი, მაშინ გამოდის, რომ მხოლოდ მდიდარ დაზარალებულებს ექნებათ ადვოკატის მომსახურებით სარგებლობის შესაძლებლობა, რაც თავისთავად დისკრიმინაციული მიდგომა იქნება.⁷³⁸

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაზარალებულისთვის ადვოკატის ყოლის უფლების მინიჭებით, პროცესში შესაძლებელი იქნება დაზარალებულის ინტერესების ადეკვატური დაცვა და პროცესში დაზარალებულის სათანადო ინტეგრაცია. ამასთან, ადვოკატის ყოლის უფლება არ წარმოადგენს შეჯიბრებითი სისხლის სამართლის

⁷³⁷ UNODC: United Nations Principles and Guidelines on Access to Legal Aid in Criminal Justice Systems, New York, 2013, p. 8.

⁷³⁸ Garkawe, S.: The Role of the Victim during Criminal Court Proceedings, UNSW Law Journal, Vol. 17, No. 2, 1994, p. 607.

პროცესისთვის შეუთავსებელ მექანიზმს. საერთაშორისო სისხლის სამართალი იძლევა საფუძველს იმ დასკვნისთვის, რომ თავისუფლად შესაძლებელია ინკვიზიციური და შეჭიბვრებითი მოდელების ნორმატიული თეზისებიდან გადახვევა და მართლმსაჯულების განხორციელებისას დაზარალებულის ინტერესების სათანადოდ გათვალისწინება.⁷³⁹ ნაშრომში განხილული ქვეყნების მაგალითიდანაც ჩანს, რომ დაზარალებულის ადვოკატს ხელი არ შეუძლია მართლმსაჯულების ფუნქციონირებაში. პირიქით, იგი ხელს უწყობს სამართლებრივი წესრიგის დამყარებას და საქმეზე ჭეშმარიტების დადგენასაც. შესაბამისად, საქართველოში მოცემული მექანიზმის დანერგვით შესაძლებელი იქნება როგორც დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობის გაძლიერება, ისე ეფექტიანი გამოძიებისა და მართლმსაჯულების განხორციელება.

8. სამოქალაქო სამართლებრივი მოთხოვნების განხორციელების უფლებები

8.1. კომპენსაციის უფლება

8.1.1. კომპენსაციის მიღება დანაშაულისგან

8.1.1.1. საერთაშორისო სტანდარტი

ყოველ წელს დაახლოებით ერთი მილიარდი ადამიანი ხდება დანაშაულის მსხვერპლი.⁷⁴⁰ მათი უმეტესობა ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლია, რის გამოც ისინი განიცდიან მძიმე ფიზიკურ, ფსიქიკურ თუ მატერიალურ ზიანს.⁷⁴¹ მათ უწევთ მკურნალობისთვის ხარჯის გაწევა, ზოგს ჰოსპიტალიზაციაც ესაჭიროება, ზოგიერთი ვეღარ ახერხებს მუშაობის გაგრძელებას და რჩება შემოსავლის გარეშე. თუ მსხვერპლი გარდაიცვლება, ოჯახს უწევს დაკრძალვის ხარჯების გაწევა, ხოლო თუ გარდაცვლილი მსხვერპლი ოჯახის მარჩენალიც იყო, მაშინ ოჯახი ფინანსური შემოსავლის გარეშეც რჩება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ფინანსური კომპენსაცია წარმოადგენს დაზარალებულის

⁷³⁹ *Kirchengast, T.*: Victim Lawyers, Victim Advocates, and the Adversarial Criminal Trial, *New Criminal Law Review: An International and Interdisciplinary Journal*, Vol. 16, No. 4, 2013, p. 576.

⁷⁴⁰ *Groenhuijsen, M.S.*: For a Real Human Justice, ნაშრომში: *De La Cuesta, J.L.* (ed.): For a Real Human Justice /Pro una Justicia Realmente Humana, Vatican City, 2014, p. 65.

⁷⁴¹ *Groenhuijsen, M.S.*: The Development of International Policy in relation to Victims of Crime, *IRV*, 2014, Vol. 20, Iss. 1, pp. 37-38.

ერთ-ერთ საბაზისო საჭიროებას.⁷⁴² დაზარალებულები მოელიან, რომ ისინი მიყენებული ზიანისთვის დამნაშავესგან ან სახელმწიფოსგან მიიღებენ ფინანსურ კომპენსაციას.⁷⁴³ წინააღმდეგ შემთხვევაში, მათთვის დიდ სირთულეს წარმოადგენს, ნორმალურად, ღირსების შესაბამისად ცხოვრება.

ამასთან, კომპენსაცია მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ფინანსური დანახარჯების ანაზღაურებისთვის, არამედ დაზარალებულის აღიარებისა და მისთვის სამართლიანობის განცდის დაბრუნებისთვის⁷⁴⁴ და ამით მისი მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებისთვის. ბევრი დაზარალებულისთვის სიმბოლური თანხის გადახდაც კი უკვე მანუგეშებელია და მას ეხმარება დანაშაულით მიყენებული ტრავმების დაძლევაში.⁷⁴⁵

დამნაშავესგან კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებით ნორმებს შეიცავს არაერთი საერთაშორისო აქტი. მაგალითად გაეროს 1985 წლის დეკლარაციის თანახმად, დამნაშავემ დაზარალებულს, მის ოჯახსა ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს უნდა აუნაზღაუროს მისი ქმედებით გამოწვეული ზიანი. აღნიშნული შეიძლება გამოიხატოს წართმეული ქონების უკან დაბრუნებაში, მიყენებული ზიანისთვის ფულის გადახდაში ან ვიქტიმიზაციის შედეგად განეული ხარჯების ანაზღაურებაში.⁷⁴⁶ ამასთან, გაეროს 1985 წლის დეკლარაცია სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ დამნაშავეს მიერ კომპენსაციის გადახდას მიეცეს სასჯელის სახე.⁷⁴⁷ ევროპის საბჭოს 1985 წლის რეკომენდაციაც მიიჩნევს, რომ სისხლის სამართლის საქმის განმხილველ სასამართლოს უნდა შეეძლოს დამნაშავესთვის კომპენსაციის გადახდის ვალდებულების დაკისრება.⁷⁴⁸ ამასთან, კომპენსაციის გადახდა შეიძლება განსაზღვროს როგორც სასჯელი, ჩინაცვლოს სასჯელს ან სასჯელთან ერთად

⁷⁴² Communication from the Commission to the European Parliament, the Council, the Economic and Social Committee and the Committee of the Regions: Stengthening Victims' Rights in the EU, COM (2011) 274 final, 18/05/2011, p. 2.

⁷⁴³ *Blackstock, J.*: Protecting Victims: EU Competences and Mechanisms for Safeguards, Symposium: "Legal Perspectives on the Victim", Nottingham Trent University, 2012, p. 11.

⁷⁴⁴ *Patsourakou, S.N.*: Die Stellung des Verletzten im Strafrechtssystem: Eine Rechtsdogmatische, Rechtsphilosophische und Rechtspolitische Analyse, Mönchengladbach, 1994, S. 175.

⁷⁴⁵ *Blackstock, J.*: Protecting Victims: EU Competences and Mechanisms for Safeguards, Symposium: "Legal Perspectives on the Victim", Nottingham Trent University, 2012, p. 11.

⁷⁴⁶ Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power, Art. 8.

⁷⁴⁷ იქვე, Art. 9.

⁷⁴⁸ Recommendation No. R (85) 11, par. 10.

განსაზღვროს დამატებით ვალდებულებად.⁷⁴⁹ ამასთან, რეკომენდაცია უთითებს, რომ თუ კომპენსაცია განისაზღვრება როგორც სასჯელი, მაშინ მისი გადახდევინება უნდა მოხდეს ისე, როგორც ხდება ჯარიმის გადახდევინება და აღნიშნულ სასჯელს ყველა სხვა სასჯელთან შედარებით უპირატესობა უნდა მიენიჭოს.⁷⁵⁰

დამნაშავის მიერ კომპენსაციის გადახდაზე ასევე საუბრობს ევროპის საბჭოს 2006 წლის რეკომენდაცია, რომლის თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა დაადგინონ ისეთი პროცედურები, რომლითაც დაზარალებული შეძლებს დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიღებას. აღნიშნულში მოიაზრება დამნაშავისგან სამოქალაქო სამართალწარმოების გზით კომპენსაციის მიღების შესაძლებლობაც.⁷⁵¹

დამნაშავისგან კომპენსაციის მიღების შესახებ რეგულაციებს შეიცავდა ევროკავშირის 2001 წლის ჩარჩო გადანყვეტილებაც. აღნიშნულის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დაზარალებულისთვის შესაძლებელი უნდა ყოფილიყო სისხლის სამართლის პროცესში დამნაშავისგან კომპენსაციის მიღება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კომპენსაციის მიღებისთვის სხვა ფორმა იყო გათვალისწინებული. 2012 წლის დირექტივაც იმავე შინაარსის ნორმას შეიცავს, ანუ დირექტივაც დამნაშავისგან კომპენსაციის მიღების პრიორიტეტულ მექანიზმად მიიჩნევს სისხლის სამართლის პროცესს, თუმცა გამონაკლისის წესით, ასევე უშვებს სამოქალაქო სამართალწარმოების ან სხვა სამართლებრივი გზით კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას.⁷⁵²

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო ინსტრუმენტები დამნაშავისგან კომპენსაციის მიღების საუკეთესო მოდელად სისხლის სამართლის პროცესს ხედავენ, თუმცა არ გამორიცხავენ სხვა სამართლებრივ მექანიზმებსაც. ამასთან, ითვალისწინებენ კომპენსაციის გადახდის შესახებ სასამართლო გადანყვეტილების სასჯელად მიჩნევის შესაძლებლობას. ისინი სახელმწიფოებს არ აიძულებენ, რომ ზემოაღნიშნული გადანყვეტილება აუცილებლად სასჯელის სახედ მიიჩნიონ, თუმცა კვლევები ადასტურებს,

⁷⁴⁹ იქვე, par. 11.

⁷⁵⁰ იქვე, par. 14.

⁷⁵¹ Recommendation Rec (2006) 8, par. 7.

⁷⁵² Victims' Directive, Art. 16; *European Commission*: DG Justice Guidance Document related to the Transposition and Implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 Establishing Minimum Standards on the Rights, Support and Protection of Victims of Crime, and Replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 - 19/12/2013, p. 36.

რომ როდესაც კომპენსაციის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება მსხვერპლს უწევს, პრაქტიკაში დიდი პრობლემები წარმოიქმნება და ნორმის ეფექტურობას კითხვის ნიშნის ქვეშ სვამს.⁷⁵³ და პირიქით, ქვეყნების გამოცდილება (მაგალითად, დიდი ბრიტანეთი) ადასტურებს, რომ როცა კომპენსაციის გადახდა მიიჩნევა სასჯელად და მის აღსრულებაზე სახელმწიფოა პასუხისმგებელი, აღსრულება უფრო ეფექტურია და დაზარალებულიც უფრო კმაყოფილი რჩება.⁷⁵⁴

8.1.1.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, დაზარალებულს შეუძლია დამნაშავესგან სამოქალაქო სამართალწარმოების გზით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. მან სამოქალაქო სარჩელით უნდა მიმართოს სასამართლოს.⁷⁵⁵

აღნიშნული წესი საქართველოში მოქმედებს 2010 წლიდან, ანუ მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. იქამდე დაზარალებულს შეეძლო სისხლის სამართლის პროცესშივე სამოქალაქო სარჩელის წარდგენა და ამით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.⁷⁵⁶

სამოქალაქო სამართალწარმოების გზით ზიანი ანაზღაურება საქართველოში დიდ პრობლემას წარმოადგენს, რასაც ადასტურებს მიმდინარე სტატისტიკა. მაგალითად, 2016-2019 წელს რეგისტრირებულია 196 476 დანაშაული, აქედან გახსნილია 83 926 დანაშაული,⁷⁵⁷ ხოლო 2010 წლიდან 2020 წლის 22 იანვრის ჩათვლით დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით საქართველოს 8 სასამართლოში⁷⁵⁸

⁷⁵³ Groenhuijsen, M.S.: The Development of Victimology and Its Impact on Criminal Justice Policy in the Netherlands, ნაშრომში: Fattah, E., T. Peters, T. (eds.): Support for Crime Victims in a Comparative Perspective: A Collection of Essays Dedicated to the Memory of Prof. Frederic McClinktock, Leuven, 1998, pp. 37-54.

⁷⁵⁴ იქვე.

⁷⁵⁵ სსკ, 92-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

⁷⁵⁶ 1998 წლის სსკ, 31-43-ე მუხლები; *მაქაშვილი, უ.*: სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის პროცესში, უფროსი მართლმცოდნეობა, No. 3, 2007, გვ. 80.

⁷⁵⁷ შსს, საქართველოში 2016-2017 წლებში რეგისტრირებული და გახსნილი დანაშაულის სტატისტიკა: <<https://info.police.ge/uploads/5a90003a68923.pdf>>, [28.06.2020]; შსს, საქართველოში 2018-2019 წლებში რეგისტრირებული და გახსნილი დანაშაულის სტატისტიკა: <<https://info.police.ge/uploads/5e3a6b603887b.pdf>>, [28.06.2020].

⁷⁵⁸ საქართველოს სასამართლოთა უმეტესობაში არ ხდება დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით შესული სარჩელების სტატისტიკურ დამუშავება, მხოლოდ 8 სასამართლოსგან იქნა მოწოდებული ინფორმაცია შესული სარჩელების რაოდენობისა და მათი დაკმაყოფილების შესახებ. ეს

შეტანილ იქნა მხოლოდ 171 სარჩელი,⁷⁵⁹ რომელთაგანაც დაზარალებულის სასარგებლოდ 102 საქმე გადაწყდა: 75 სარჩელი სრულად დაკმაყოფილდა, 16 - ნაწილობრივ, ხოლო 11 საქმე დამთავრდა მორიგებით. 2020 წლის თებერვლის მდგომარეობით კი ბათუმის საქალაქო სასამართლოში, სამტრედიისა და ახალქალაქის რაიონულ სასამართლოებში ყველაში ერთად მთლიან ჯამში განიხილებოდა 15 საქმე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.⁷⁶⁰ სტატისტიკის ანალიზის შედეგად გამოდის, რომ 10 წლის განმავლობაში გაცემული კომპენსაცია შეადგენს 4 წლის განმავლობაში რეგისტრირებული დანაშაულის 0.05%, ხოლო გახსნილი დანაშაულის 0,12%. შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამოქალაქო წესით ზიანის ანაზღაურება საქართველოში არ მუშაობს. ფაქტიურად დაზარალებული ვერ იღებს კომპენსაციას. აღნიშნულ ვითარებას თავისი ახსნა გააჩნია. პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოში ძალიან მძიმე სოციალური მდგომარეობაა და დაზარალებულისთვის სირთულეს წარმოადგენს ადვოკატის მომსახურების ხარჯის გადახდა. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში დაზარალებულთა უმრავლესობამ არ იცის, თუ რა უფლებები აქვს

სასამართლოებია: ამბროლაურის რაიონული სასამართლო, ახალქალაქის რაიონული სასამართლო, ბათუმის საქალაქო სასამართლო, გურჯაანის რაიონული სასამართლო, ზუგდიდის რაიონული სასამართლო, ოზურგეთის რაიონული სასამართლო, სამტრედიის რაიონული სასამართლო და საჩხერის რაიონული სასამართლო. შესაბამისად, ნაშრომში მოცემული სტატისტიკა ეყრდნობა მხოლოდ აღნიშნული სასამართლოებიდან მოწოდებულ ინფორმაციას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომის ავტორი შეეცადა სასამართლოებიდან გამოეთხოვა ინფორმაცია 2010 წლიდან 2020 წლის იანვრის ჩათვლით შესულ სარჩელებთან დაკავშირებით, თუმცა ზოგიერთი სასამართლოს მიერ 2013-2015 წლებამდე განხილული საქმეები უკვე არქივში ინახება, შესაბამისად, სასამართლოებმა ვერ შეძლეს 2013-2015 წლებამდე შესული სარჩელების შესახებ ინფორმაციის მოწოდება. ამიტომ, როდესაც ნაშრომში მითითებულია 2010 წლიდან 2020 იანვარამდე შესული სარჩელებისა და მათი დაკმაყოფილების რაოდენობა, იგი მცირედად აცდენილია რეალურ, ზუსტ რაოდენობას, თუმცა ეს სხვაობა მინიმალურია და გავლენას ვერ ახდენს ზოგად სურათზე.

⁷⁵⁹ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 03 თებერვლის წერილი N 121გ/კ; ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 24 იანვრის წერილი N 36; ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 28 იანვრის წერილი N 0239; გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 18 თებერვლის წერილი N 18; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 24 იანვრის წერილი N 47; ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 29 იანვრის წერილი N 124; სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 10 თებერვლის წერილი N 155; საჩხერის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 30 იანვრის წერილი N 298.

⁷⁶⁰ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 03 თებერვლის წერილი N 121გ/კ; ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 26 თებერვლის წერილი N 185გ/კ; ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 17 თებერვლის წერილი N 68; ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 17 თებერვლის წერილი N 0462; გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 20 თებერვლის წერილი N 24; ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 20 თებერვლის წერილი N 92; ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 18 თებერვლის წერილი N 257; სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 17 თებერვლის წერილი N 196; საჩხერის რაიონული სასამართლოს 2020 წლის 17 თებერვლის წერილი N 482.

მინიჭებული, არც ის იცის, რომ შეუძლია სასამართლოს მიმართოს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. გარდა ამისა, თუ დაზარალებული სასამართლოს მიმართავს, საქმის განხილვა შეიძლება რამდენიმე წელი გაგრძელდეს, ვინაიდან საქართველოში სასამართლოები გადატვირთულია და იგი წლებია რაც დიდ გამონვევას წარმოადგენს.⁷⁶¹ ამასთან, მნიშვნელოვანია დანაშაულის შემდეგ მსხვერპლის ფსიქოლოგიური მდგომარეობაც. ხშირად დანაშაულის მსხვერპლს აღარ სურს დამნაშავესთან ურთიერთობა, ვინაიდან მასთან შეხვედრით შეიძლება დამძიმდეს მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა.⁷⁶² ამიტომ შეიძლება სწორედ ამ მიზეზით თქვას დაზარალებულმა უარი სამოქალაქო სამართალწარმოების გზით კომპენსაციის მოთხოვნაზე.

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების გზით დამნაშავესგან კომპენსაციის მიღება არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს, საქართველოში არსებული ვითარება ცხადყოფს, რომ 2010 წლიდან მოქმედი ნორმა არაეფექტურია და იგი თავის მიზანს ვერ პასუხობს. ამიტომ აუცილებელია საქართველომ გაითვალისწინოს საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც კომპენსაციის მიღებისთვის საუკეთესო სამართლებრივ მექანიზმს სისხლის სამართლის პროცესს ხელავენ. ეს მექანიზმი წარმატებით მოქმედებს შეჯიბრებითი სისტემის მქონე ისეთ ქვეყნებში, როგორცაა აშშ,⁷⁶³ კანადა,⁷⁶⁴ დიდი ბრიტანეთი,⁷⁶⁵ ახალი ზელანდია⁷⁶⁶ და ავსტრალია.⁷⁶⁷ თითოეულ

⁷⁶¹ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო: მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის პრობლემა: მისი გამომწვევი მიზეზები და პრობლემის მოგვარების გზები, თბილისი, 2017, გვ. 4, <<http://hcoj.gov.ge/files/მართლმსაჯულების%20ხელმისაწვდომობის%20პრობლემა.pdf>>, [28.06.2020]; ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI): საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა თბილისის საქალაქო სასამართლოში - 2015-2018 წლების პრაქტიკა, 2019, გვ. 4, <<https://idfi.ge/public/upload/Deadline%20Compliance%20in%20Tbilisi%20City%20Court.pdf>>, [28.06.2020].

⁷⁶² შალიკაშვილი, მ.: ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი, 2011, გვ. 130-131.

⁷⁶³ იხ. აშშ-ში კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებით: <<https://www.justice.gov/usao-ak/restitution>>, [28.06.2020]; <<https://victimsofcrime.org/help-for-crime-victims/get-help-bulletins-for-crime-victims/restitution>>, [28.06.2020].

⁷⁶⁴ იხ. კანადაში კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებით: <<https://www.justice.gc.ca/eng/cj-jp/victims-victimes/factsheets-fiches/restitution-dedommage.html>>, [28.06.2020].

⁷⁶⁵ იხ. გაერთიანებულ სამეფოში კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებით: <<http://www.legislation.gov.uk/ukpga/2000/6/part/VII/crossheading/restitution-orders/made>>, [28.06.2020].

⁷⁶⁶ Sentencing Act 2002 of New Zealand.

⁷⁶⁷ იხ. ავსტრალიაში კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებით: <<https://www.lawreform.vic.gov.au/content/10-compensation-and-restitution#footnote-252101-90>>, [28.06.2020]; <<https://www.legaldid.wa.gov.au/find-legal-answers/crime/going-court-criminal-charge/possible-outcomes-criminal-offences/court-orders>>, [28.06.2020].

სახელმწიფოში მოქმედი სისტემა ერთმანეთისგან განსხვავდება, ზოგიერთი ითვალისწინებს ყველა სახის ზიანის ანაზღაურებას, ზოგიერთი ითვალისწინებს მხოლოდ ზოგიერთი სახის ზიანის ანაზღაურებას.⁷⁶⁸ ასევე განსხვავებები არსებობს სასამართლოს გადანაცვეტილების აღსრულების კუთხით, ზოგიერთი სასამართლო გადანაცვეტილების აღსრულებას დაზარალებულს ანდობს (მაგალითად, ავსტრალია, კანადა),⁷⁶⁹ ზოგან კი სასამართლოს გადანაცვეტილება (ე.წ. კომპენსაციის ბრძანება) მიიჩნევა სასჯელის სახედ და მის აღსრულებას უზრუნველყოფს სახელმწიფო (მაგალითად, ახალი ზელანდია,⁷⁷⁰ დიდი ბრიტანეთი⁷⁷¹).⁷⁷²

საქართველოშიც 2013 წელს იყო პროცესში კომპენსაციის მინიჭების ინსტიტუტის დანერგვის მცდელობა, თუმცა აღნიშნულმა კანონპროექტმა წარმატება ვერ მოიპოვა.⁷⁷³ დღეს კი მისი დანერგვა აუცილებლობას წარმოადგენს. საქართველოს სასამართლოებში არსებული მდგომარეობიდან (სასამართლოების გადატვირთულობა) და მძიმე სოციალური ფონიდან გამომდინარე, მართებული იქნება, თუ დაზარალებულს სისხლის სამართლის პროცესში ყველა სახის ზიანზე შეეძლება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. ასევე მართებული იქნება, თუ ზიანის ანაზღაურების შესახებ სასამართლო გადანაცვეტილება მიჩნეულ იქნება სასჯელის სახედ და თვითონ სახელმწიფო უზრუნველყოფს მის აღსრულებას. აუცილებელია, რომ საქართველოში დაზარალებულს ჩამოვაშოროთ

⁷⁶⁸ იხ. დაზარალებულისთვის კომპენსაციის მინიჭებასთან დაკავშირებით:

<https://www.lawreform.vic.gov.au/content/10-compensation-and-restitution>, [28.06.2020].

⁷⁶⁹ იხ. ავსტრალიაში დაზარალებულის კომპენსაციის შესახებ სასამართლო გადანაცვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით: <https://www.legalaid.wa.gov.au/find-legal-answers/crime/going-court-criminal-charge/possible-outcomes-criminal-offences/court-orders>, [28.06.2020]; Government of Canada: OFOVC: Canadian Victims Bill of Rights: Getting Fair Outcomes for Victims in Canada's Criminal Justice System, Ottawa, 2017, p. 9, <https://victimsfirst.gc.ca/res/pub/gfo-ore/pdf/CVBR.pdf>, [28.06.2020]; იხ. კანადაში მოქმედ კომპენსაციის ბრძანებასთან დაკავშირებით: <https://www.justice.gc.ca/eng/cj-jp/victims-victimes/factsheets-fiches/restitution-dedommage.html>, [28.06.2020].

⁷⁷⁰ იხ. დაზარალებულისთვის კომპენსაციის მინიჭებასთან დაკავშირებით:

<https://www.lawreform.vic.gov.au/content/10-compensation-and-restitution>, [28.06.2020].

⁷⁷¹ Jung, H.: Die Compensation Order in Grossbritannien, ნაშრომში: Eser, A., Kaiser, G., Madlener, K. (Hrsg.): Neue Wege der Wiedergutmachung im Strafrecht: Internationales Strafrechtlich-Kriminologisches Kolloquium in Freiburg, Freiburg, 1992, S. 98.

⁷⁷² იხ. კომპენსაციის შესახებ სასამართლო გადანაცვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებით: <https://victimsofcrime.org/help-for-crime-victims/get-help-bulletins-for-crime-victims/restitution>, [28.06.2020].

⁷⁷³ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ ცვლილებების შეტანის შესახებ 2013 წლის 19 ნოემბრის საქართველოს კანონის პროექტი, პირველი მუხლის მე-4 ნაწილი.

ზედმეტი პრობლემები, რომელიც ზიანის ანაზღაურების შესახებ გადანყვეტილებას ახლავს თან. ეს შეიძლება იყოს ფინანსური პრობლემები - მას შეიძლება დასჭირდეს ადვოკატის აყვანა, რაც დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული; დროის ფაქტორი - თუ დაზარალებული ადვოკატის გარეშე ახორციელებს აღსრულებას, ეს მისგან დიდ დროის რესურსს მოითხოვს, რამაც შეიძლება პრობლემები შეუქმნას სამსახურში და უარყოფითად აისახოს მის შრომისუნარიანობაზე. აუცილებელია, რომ აღსრულების საკითხში ჩაერთოს სახელმწიფო და თვითონ იზრუნოს მის მოგვარებაზე, მით უმეტეს მაშინ, როდესაც საქართველო წარმოადგენს სოციალურ სახელმწიფოს და იგი გამოხატავს ნებას, რომ გვერდში დაუდგეს და იზრუნოს საზოგადოების იმ წევრებზე, რომლებიც სხვა წევრებთან შედარებით უარეს მდგომარეობაში იმყოფებიან.⁷⁷⁴ იმ შემთხვევაში კი, თუ საქმეზე არ დაიწყება სისხლისსამართლებრივი დევნა ან არ მოხდება პირის მსჯავრდება, მაშინ დაზარალებულს ისევ უნდა ჰქონდეს უფლება, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების გზით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

8.1.2. სახელმწიფო კომპენსაცია

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებელი დაზარალებულს ანიჭებს დამნაშავესგან კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას, პრაქტიკაში მისი მიღწევა საკმაოდ რთულია. ხშირად ვერ ხერხდება დამნაშავეს გამოვლენა ან თუ მისი ვინაობა ცნობილია, იგი გადახდისუნაროა.⁷⁷⁵ შესაბამისად გამოდის, რომ თუ დაზარალებული რეალურად ვერ იღებს კომპენსაციას, მაშინ მხოლოდ და მხოლოდ დამნაშავესგან კომპენსაციის მიღების მექანიზმი არ არის საკმარისი დაზარალებულის საჭიროებებზე პასუხის გასაცემად. აღნიშნული ვითარება კი სახელმწიფოს ავალდებულებს შეიმუშავოს ისეთი მექანიზმი, რომლითაც მოხდება დაზარალებულის საჭიროებების დაკმაყოფილება, ვინაიდან თუ არ მოხდება დაზარალებულის დაკმაყოფილება, იგი გახდება მეორეული ვიქტიმიზაციის

⁷⁷⁴ საქართველოს კონსტიტუცია, მე-5 მუხლი.

⁷⁷⁵ *Katsoris, N.C.*: The European Convention on the Compensation of Victims of Violent Crimes: A Decade of Frustration, *Fordham Int. Law J.*, Vol. 14, Iss. 1, 1990, p. 190; *Scott, R.E.*: Compensation for Victims of Violent Crimes: An Analysis, *Wm. & Mary L. Rev.*, Vol. 8, Iss. 2, 1967, p. 278; *Research & Evaluation Center of John Jay College of Criminal Justice*: Compensating Victims of Crime, New York, 2014, p. 2, <http://www.njjn.org/uploads/digital-library/jf_johnjay3.pdf>, [28.06.2020]; *კრისტი, ნ.*: ტკივილის საზღვრები: სასჯელის როლი სასჯელალსრულების პოლიტიკაში, 2017, გვ. 129.

მსხვერპლი და ამით *inter alia* საფრთხე შეექმნება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ფუნქციონირებასაც და კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება სოციალური სახელმწიფოს პრინციპის პრაქტიკაში განხორციელება.

მოცემული მდგომარეობიდან გამოსავალი შეიძლება სახელმწიფო კომპენსაციის პროგრამის დაარსება იყოს. ამიტომ მიზანშეწონილია სახელმწიფო კომპენსაციის, როგორც სამართლებრივი მექანიზმის განხილვა და მისი მნიშვნელოვანი მახასიათებლების გაანალიზება.

8.1.2.1. სახელმწიფო კომპენსაციის დაარსება და განვითარება

დაზარალებულის კომპენსაციის საკითხი ჯერ კიდევ ხამურაბის კანონებით იყო მოწესრიგებული (ძვ.წ. 1728/1686). აღნიშნულის თანახმად, თუ პირი ყაჩაღობას ჩაიდენდა და მას შეიპყრობდნენ, მაშინ მას სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა. ხოლო თუ დამნაშავეს ვერ დაიჭერდნენ, მაშინ დაზარალებულს, ღმერთის ხსენებით, დეტალებში უნდა აღენერა მიყენებული ზიანი და სახელმწიფოს ან იმ პროვინციის გუბერნატორს, რომელშიც მოხდა დანაშაული, უნდა აენაზღაურებინა ზიანი.⁷⁷⁶ თუმცა საუკუნეების განმავლობაში ხამურაბის კანონებით დადგენილი სტანდარტი მივიწყებული იყო. დაზარალებულს არათუ სახელმწიფოსგან, არამედ დამნაშავესგანაც აღარ შეეძლო კომპენსაციის მიღება. აღნიშნულმა საკითხმა მხოლოდ მე-20 საუკუნის 50-იან წლებში, სისხლის სამართლის ბრიტანელი რეფორმატორის, *მარჯერი ფრაის* დამსახურებით წამოიწია წინ.⁷⁷⁷ იგი თავდაპირველად მიიჩნევდა, რომ დაზარალებულისთვის კომპენსაცია დამნაშავეს უნდა გადაეხადა და ხაზს უსვამდა ამ გზით დამნაშავეს რეაბილიტაციის შესაძლებლობას. თუმცა მოგვიანებით *ფრაიმ* განაცხადა, რომ დამნაშავეს რეაბილიტაციისთვის სახელმწიფოს უნდა აეღო პასუხისმგებლობა და სწორედ სახელმწიფოს უნდა გადაეხადა დაზარალებულისთვის კომპენსაცია. ამასთან, იგი მიიჩნევდა, რომ სახელმწიფო კომპენსაციის გადახდა მნიშვნელოვანი იყო საზოგადოებრივი კეთილდღეობის

⁷⁷⁶ *Patsourakou, S.N.*: Die Stellung des Verletzten im Strafrechtssystem: Eine Rechtsdogmatische, Rechtsphilosophische und Rechtspolitische Analyse, Mönchengladbach, 1994, S. 172.

⁷⁷⁷ *Schilling, B.*: Die Rolle des Opfers in der Englischen Strafprozeßordnung, ნაშრომში: *Kühne, H.H.* (Hrsg.): Opferrechte im Strafprozeß: Ein Europäischer Vergleich, Kehl, 1988, S. 55.

უზრუნველსაყოფად. ფრანს კამპანის შედეგად 60-იან წლებში სახელმწიფო კომპენსაციის პროგრამები ამოქმედდა საერთო სამართლის ქვეყნებში, კერძოდ, 1963 წელს ახალ ზელანდიაში, 1964 წელს დიდ ბრიტანეთში, 1965 კალიფორნიაში და შემდეგ 90-იანი წლების შუა პერიოდში აშშ-ს ყველა შტატში, 1967 წელს კი ავსტრალიასა და კანადაში.⁷⁷⁸ იგი 70-იან წლებში უკვე კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებშიც გავრცელდა. გერმანიაში 1976 წელს მიიღეს კანონი მსხვერპლის კომპენსაციის შესახებ⁷⁷⁹, ამავე წელს ამოქმედდა ჰოლანდიაში სახელმწიფო კომპენსაციის პროგრამა,⁷⁸⁰ საფრანგეთში იგი ტერორიზმის მსხვერპლებისთვის 1986 წელს, ხოლო სხვა დანაშაულის მსხვერპლებისთვის 1990 წელს გავრცელდა.⁷⁸¹ დღეს სახელმწიფო კომპენსაციის პროგრამები მოქმედებს მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოში.⁷⁸²

ძირითადად სახელმწიფო კომპენსაციის ფართოდ გავრცელება ორი სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარეობს:

1. სახელმწიფო წარმოადგენს ერთადერთ სუბიექტს, რომელსაც გააჩნია დანაშაულთან ბრძოლის მონოპოლია. იგი მის მოქალაქეებს უკრძალავს თვითიუსტიციას. შესაბამისად, სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს დანაშაულის პრევენცია და როდესაც იგი საკუთარი ძალებით ვერ უზრუნველყოფს მოქალაქის დაცვას

⁷⁷⁸ *Daly, K., Prietti-Scifoni, G.*: Reparation and Restoration, ნაშრომში: *Tonry, M.* (ed.): The Oxford Handbook of Crime and Criminal Justice, Oxford, 2012, p. 215; *Hall, M.*: Victims and Policy Making: A Comparative Perspective, Abingdon, New York, 2010, p. 169; *Barkan, S.E., Bryjak, G.J.*: Fundamentals of Criminal Justice: A Sociological View, 2nd Edition, Burlington, 2011, p. 173; *Rico, J.M.*: L'indemnisation des Victimes d'actes Criminels: Étude Comparative, Acta Criminologica, Vol. 1, No. 1, 1968, p. 287; *Parizeau, A.*: Le Dédommagement des Victimes, Criminologie, Vol. 13, No. 1, 1980, p. 38; *Lamborn, L.L.*: The United Nations Declaration on Victims: Incorporating „Abuse of Power“, Rutgers Law J., Vol 19, p. 60; *Forster, C., Parkinson, P.*: Compensating Child Sexual Assault Victims within Statutory Schemes: Imagining a more Effective Compensatory Framework, UNSW Law Journal, Vol. 23, Iss. 2, 2000, p. 174; *Greer, D.S.*: A Transatlantic Perspective on the Compensation of Crime Victims in the Unites States, J. Crim. Law Criminol., Vol. 85, Iss. 2, 1994, p. 333; *Holder, R.L., Daly, K.*: Recognition, Reconnection and Renewal: The meaning of Money to Sexual Assault Survivors, IRV, Vol. 24, Iss. 1, 2018, p. 26.

⁷⁷⁹ *Borrée, I., Friedrich, J., Wüsten, B.*: Das Kaum Bekannte Opferentschädigungsgesetz: Die Leistungen und Ihre Gewährung – Praxisprobleme und Novellierungsbedarf, Soziale Sicherheit, No. 2, 2014, S. 69; Bundesministerium für Arbeit und Soziales: Entschädigung für Opfer von Gewalttaten, 2019, S. 4, <http://www.bmas.de/SharedDocs/Downloads/DE/PDF-Publikationen/a719-hilfe-fuer-opfer-von-gewalttaten-256.pdf?__blob=publicationFile&v=6>, [28.06.2020].

⁷⁸⁰ *Wemmers, J.A.*: Victims in the Criminal Justice System, Amsterdam, 1996, p. 3.

⁷⁸¹ *Viney, G.*: Les Différentes Voies de Droit Proposées aux Victimes, Archives de Politique Criminelle, Vol. 24, Iss. 1, p. 37.

⁷⁸² *Mulder, J.D.W.E.*: Compensation: The Victim's Perspective, Oisterwijk, 2013, p. 6; *Couvrat, P.*: La Protection des Victimes d'infractions. Essai d'un Bilan, No. 4, 1983, p. 592.

დანაშაულისგან, მას დაზარალებულის მიმართ წარმოეშევა რიგი ვალდებულებები. მათში *inter alia* მოიაზრება კომპენსაციის გადახდის ვალდებულებაც.⁷⁸³ აღსანიშნავია, რომ ამ თეორიის საფუძველზე ჯერ კიდევ 1884 წელს ითხოვდა იტალიელი კრიმინოლოგი ენრიკო ფერი დაზარალებულისთვის სახელმწიფო კომპენსაციის მინიჭებას.⁷⁸⁴

2. სოციალური სახელმწიფოს პრინციპი სახელმწიფოებს ავალდებულებს სოციალური კეთილდღეობის უზრუნველყოფას.⁷⁸⁵ სოციალური სახელმწიფო ადამიანს თავის თავის იმედად კი ტოვებს, არამედ მას ეხმარება. იგი საზოგადოების ერთი ნაწილის ხარჯზე ზრდის მეორე ნაწილის სოციალურ შესაძლებლობებს. სწორედ სოციალური სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარეობს „სოციალური სოლიდარობის“ იდეა, რომელიც საზოგადოებას ავალდებულებს გარკვეული პასუხისმგებლობების აღებასა და გარშემო მყოფი საზოგადოებისთვის ანგარიშის განევას.⁷⁸⁶ ვინაიდან დაზარალებული იმყოფება სხვა მოქალაქეებთან შედარებით მონეულად და მძიმე მდგომარეობაში, მისთვის კომპენსაციის მინიჭება უნდა მოხდეს მთლიანი საზოგადოების მიერ.⁷⁸⁷

⁷⁸³ *Buck, K.*: State Compensation to Crime Victims and the Principle of Social Solidarity, *Eur. J. Crime Crim. Law. Crim. Justice*, Vol. 13, Iss. 2, 2005, p. 150; *Scott, R.E.*: Compensation for Victims of Violent Crimes: An Analysis, *Wm. & Mary L. Rev.*, Vol. 8, Iss. 2, 1967, p. 279; *FRA*: Victims of Crime in the EU: The Extent and Nature of Support for Victims, Luxembourg, 2014, p. 27; Opinion of Advocate General Lenz on *Cowan v. Trésor public*, C-186/87, 2/02/1989.

⁷⁸⁴ *Sautner, L.*: *Viktimologie: Die Lehre von Verbrechenopfern*, Wien, 2014, S. 5-6.

⁷⁸⁵ *Degenhart, C.*: *Staatsrecht I: Staatsorganisationsrecht: Mit Bezügen zum Europarecht*, 28. Auflage, Hemsbach, 2012, S. 230-231; *Kleinert, T.*: *Persönliche Betroffenheit und Mitwirkung: Eine Untersuchung zur Stellung des Deliktsofners im Strafrechtssystem*, Berlin, 2008, S. 45.

⁷⁸⁶ *ლოლაძე, ბ.*: სოციალური სახელმწიფო – საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის? ნაშრომში: *კორკელია, კ.* (რედ.): ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამონგვევები, თბილისი, 2012, გვ. 121-122; *Daimagüler, M.G.*: *Der Verletzte im Strafverfahren: Handbuch für die Praxis*, München, 2016, S. 281.

⁷⁸⁷ *Buck, K.*: State Compensation to Crime Victims and the Principle of Social Solidarity, *Eur. J. Crime Crim. Law. Crim. Justice*, Vol. 13, Iss. 2, 2005, p. 151; *Katsoris, N.C.*: The European Convention on the Compensation of Victims of Violent Crimes: A Decade of Frustration, *Fordham Int. Law J.*, Vol. 14, Iss. 1, 1990, p. 189.

8.1.2.2. საერთაშორისო სტანდარტი

8.1.2.2.1. ევროპის საბჭო

8.1.2.2.1.1 ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლთა კომპენსაციის შესახებ ევროპული კონვენცია

XX საუკუნის 60-იან წლებში ევროპის საბჭოს რამდენიმე წევრმა სახელმწიფომ დაარსა დაზარალებულის კომპენსაციის ფონდი, ვინაიდან სახელმწიფოებში მწვავედ იდგა დაზარალებულის კომპენსაციის საჭიროების საკითხი. აღნიშნული განვითარების ფონზე, დანაშაულთან დაკავშირებული პრობლემების შემსწავლელმა ევროპულმა კომიტეტმა 70-იან წლებში დაიწყო კომპენსაციის საკითხზე მუშაობა. მან 1977 წელს შეიმუშავა სახელმწიფო კომპენსაციის პრინციპები, რომელიც იმავე წელს დამტკიცებულ იქნა მინისტრთა კომიტეტის რეზოლუციით.⁷⁸⁸ რეზოლუცია წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებდა სახელმწიფო კომპენსაციის პროგრამების შემოღებას, რომელიც აანაზღაურებდა მხოლოდ იმ განზრახი დანაშაულის შედეგად მიყენებულ ზიანს, რომლის კომპენსაციაც სხვა წყაროებიდან ვერ ხერხდებოდა. შედეგად, რამდენიმე სახელმწიფომ, მათ შორის საფრანგეთმა და გერმანიამ დაარსეს სახელმწიფო კომპენსაციის პროგრამები, თუმცა მათი პოლიტიკა არ იყო შეჯერებული. ევროპაში სტუდენტების, მიგრანტებისა და ტურისტების აქტიურმა მიმოსვლამ წარმოშვა სახელმწიფოებში სახელმწიფო კომპენსაციის პროგრამების პარამონიზაციის საჭიროება. სწორედ ამიტომ, 1981 წელს დანაშაულთან დაკავშირებული პრობლემების შემსწავლელი ევროპული კომიტეტის სპეციალურმა კომიტეტმა შეიმუშავა ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლთა კომპენსაციის შესახებ კონვენციის პროექტი. სპეციალური კომიტეტი კონვენციაზე მუშაობისას ეყრდნობოდა 1977 წლის რეზოლუციას. კონვენციის პროექტი მოწონებულ იქნა დანაშაულთან დაკავშირებული პრობლემების შემსწავლელი ევროპული კომიტეტის მიერ და 1983 წლის ივნისში, მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებულ იქნა ძალადობრივი დანაშაულის

⁷⁸⁸ Resolution 77 (27) of Committee of Ministers on Compensation of Victims of Crime.

მსხვერპლთა კომპენსაციის შესახებ ევროპული კონვენცია.⁷⁸⁹ აღნიშნული კონვენცია ძალაში შევიდა 1988 წელს.⁷⁹⁰

კონვენციის მიზანი იყო ევროპის სახელმწიფოებში დაზარალებულის კომპენსაციის პროგრამების ჰარმონიზაცია, რისთვისაც კონვენციაში ჩამოყალიბდა დაზარალებულის კომპენსაციის სახელმძღვანელო პრინციპები.⁷⁹¹ კონვენციის პრემბულაშივე მითითებულია, რომ დაზარალებულისთვის კომპენსაციის გადახდა გამომდინარეობს თანასწორობის პრინციპიდან და სოციალური სოლიდარობიდან.⁷⁹² კონვენციის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას ითვალისწინებს მხოლოდ განზრახ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულებისთვის. მოცემულ დანაშაულთა მსხვერპლებს შეუძლიათ კომპენსაცია მიიღონ შემოსავლის დანაკარგისთვის, სამედიცინო ხარჯებისთვის, დასაფლავების ხარჯებისთვის,⁷⁹³ ხოლო გარდაცვლილ მსხვერპლზე დამოკიდებულ პირს ასევე შეუძლია მოითხოვოს კომპენსაცია გარდაცვლილის შემოსავლის დანაკარგზე.⁷⁹⁴ კონვენცია სახელმწიფოებს არ ავალდებულებს საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის მსხვერპლებისთვის კომპენსაციის გაცემას. აღსანიშნავია, რომ კონვენცია ითვალისწინებს კომპენსაციის ოდენობის შემცირების ან კომპენსაციის მინიჭებაზე უარის თქმის

⁷⁸⁹ European Convention on the Compensation of Victims of Violent Crimes; *Katsoris, N.C.*: The European Convention on the Compensation of Victims of Violent Crimes: A Decade of Frustration, Fordham Int. Law J., Vol. 14, Iss. 1, 1990, pp. 186, 192-194.

⁷⁹⁰ იხ. ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლთა კომპენსაციის შესახებ ევროპული კონვენციის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით: <<https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/116>>, [28.06.2020]; *UN ODCCP: Handbook on Justice for Victims on the Use and Application of the Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power*, New York, 1999, p. 45.

La Strada International and Animus Association Foundation: Justice At Last: European Action for Compensation for Victims of Crime, Amsterdam, 2018, p. 7,

<[https://www.kok-gegen-menschenhandel.de/fileadmin/user_upload/medien/KOK_informiert/Justice at Last Working Paper - Victims Needs - La Strada International and Animus Foundation 2018 - Diliana Markova.pdf](https://www.kok-gegen-menschenhandel.de/fileadmin/user_upload/medien/KOK_informiert/Justice_at_Last_Working_Paper_-_Victims_Needs_-_La_Strada_International_and_Animus_Foundation_2018_-_Diliana_Markova.pdf)>, [28.06.2020].

⁷⁹¹ *Katsoris, N.C.*: The European Convention on the Compensation of Victims of Violent Crimes: A Decade of Frustration, Fordham Int. Law J., Vol. 14, Iss. 1, 1990, p. 186.

⁷⁹² *Goel, A., Goel, S.*: Compensatory Jurisprudence for Victims of Crime in India: A Comparative Analysis of the Legislative and Judicial Precedents in the Backdrop of International Norm and Standards, Crime, Punishment and the Law - An International Journal, Vol. 2, 2009, p. 19.

⁷⁹³ European Convention on the Compensation of Victims of Violent Crimes, Art. 4.

⁷⁹⁴ *CDPC: Report on the Standing and Right of Victims in Criminal Proceedings*, Strasbourg, 2010, p. 4.

საფუძვლებსაც. ასეთ საფუძვლებს წარმოადგენს დანაშაულის ჩადენამდე და დანაშაულის ჩადენის შემდეგ დაზარალებულის ქცევა, დაზარალებულის მონაწილეობა ორგანიზებულ დანაშაულში ან კრიმინალური დაჯგუფების წევრობა. გარდა ამისა, დაზარალებულს კომპენსაციის მიღებაზე შეიძლება უარი ეთქვას, თუ კომპენსაციის მინიჭება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგსა და სამართლიანობის განცდას.⁷⁹⁵ მნიშვნელოვანია, რომ კონვენცია სახელმწიფო კომპენსაციას ხედავს, როგორც უკანასკნელ საშუალებას, ანუ სახელმწიფო კომპენსაციის გაცემა მხოლოდ მაშინ უნდა მოხდეს, როდესაც სხვა წყაროებიდან ვერ ხერხდება დაზარალებულისთვის კომპენსაციის მინიჭება.⁷⁹⁶ საბოლოოდ, მოცემული კონვენციის მიღება დაზარალებულის უფლებების კუთხით უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან სწორედ იგი წარმოადგენს დაზარალებულის მიმართ მბოჭავი ხასიათის მქონე პირველ ევროპულ ინსტრუმენტს.⁷⁹⁷

8.1.2.2.2. გაერო

8.1.2.2.2.1. გაეროს 1985 წლის დეკლარაცია

ევროპის საბჭოს კონვენციის შემდეგ, გაეროს 1985 წლის დეკლარაციაშიც განმტკიცდა დებულებები სახელმწიფო კომპენსაციის შესახებ, თუმცა კონვენციისგან განსხვავებით, იგი აღნიშნულ საკითხზე მხოლოდ ორ მუხლს შეიცავს.⁷⁹⁸ შესაბამისად, დეკლარაციაში სახელმწიფო კომპენსაციის მინიჭების პირობები არ არის ისე დეტალურად განხილული, როგორც ეს კონვენციაშია. ამის საფუძველი თავისთავად ის არის, რომ კონვენცია ეძღვნება მხოლოდ კომპენსაციის საკითხს, ხოლო დეკლარაცია სხვადასხვა საკითხებს ფარავს.

გაეროს 1985 წლის დეკლარაციაც სახელმწიფო კომპენსაციის მინიჭებას მაშინ მიიჩნევს საჭიროდ, როდესაც დამნაშავესგან ან სხვა წყაროებიდან ვერ ხერხდება ზიანის ანაზღაურება. ისიც სახელმწიფო კომპენსაციის მინიჭებისთვის სათანადო მსხვერპლად

⁷⁹⁵ European Convention on the Compensation of Victims of Violent Crimes, Art. 7, 8.

⁷⁹⁶ იქვე, Art. 2.

⁷⁹⁷ CDPC: Report on the Standing and Right of Victims in Criminal Proceedings, Strasbourg, 2010, p. 4.

⁷⁹⁸ Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power, Art. 12-13.

განიხილავს ერთის მხრივ მსხვერპლს, რომელსაც „მძიმე დანაშაულის“⁷⁹⁹ შედეგად მიაღდა ფიზიკური ზიანი ან დანაშაულის შედეგად გაუარესდა მისი ფიზიკური ან ფსიქიკური მდგომარეობა, მეორეს მხრივ ოჯახს, კერძოდ დანაშაულის შედეგად გარდაცვლილი პირის ან დაინვალიდებული პირის კმაყოფაზე მცხოვრებ პირს.⁸⁰⁰

გაეროს 1985 წლის დეკლარაციის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი სახელმწიფოებს მოუწოდებს დაზარალებულის კომპენსაციის ეროვნული ფონდების დაარსებას, გაძლიერებასა და გაფართოებას. იგი ასევე მხარს უჭერს სხვადასხვა სახის ფონდების დაარსებასაც, მაგალითად ისეთი შემთხვევებისთვის, როცა სახელმწიფოს, რომელშიც პირი იქცა დანაშაულის მსხვერპლად, არ შეუძლია კომპენსაციის გადახდა.⁸⁰¹ ამგვარი ჩანაწერით დეკლარაცია ხაზგასმით მიუთითებს დაზარალებულის მიმართ სოციალური სოლიდარობის გამოვლენის აუცილებლობაზე. დეკლარაციის თანახმად, სახელმწიფომ არ უნდა დახუჭოს თვალი დაზარალებულისთვის მიყენებულ ზიანზე, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ არ ჩაუდენია დანაშაული.⁸⁰²

8.1.2.2.3. ევროკავშირი

8.1.2.2.3.1. ღირეფტივა დაზარალებულის კომპენსაციის შესახებ

ევროპის საბჭოსა და გაეროს შემდეგ, 2004 წელს ევროკავშირმაც მიიღო ღირეფტივა დაზარალებულის კომპენსაციის შესახებ.⁸⁰³ აღნიშნული ღირეფტივის ამოსავალი წერტილი იყო ევროკავშირში თავისუფალი მიმოსვლის უფლება. ვინაიდან ევროკავშირში ევროკავშირის მოქალაქეებისთვის გარანტირებულია თავისუფალი მიმოსვლა, ამ უფლების რეალიზაციის დროს ისინი უნდა სარგებლობდნენ დაცვის იმავე ხარისხით,

⁷⁹⁹ დეკლარაციაში არ არის განმარტებული, თუ რა იგულისხმება მძიმე დანაშაულში, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ სხვა საერთაშორისო რეგულაციებსა და სახელმწიფოებში დამკვიდრებულ პრაქტიკას, კომპენსაციის მიზნებისათვის მძიმე დანაშაულში უნდა მოვიაზროთ განზრახ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაული.

⁸⁰⁰ *Goel, A., Goel, S.: Compensatory Jurisprudence for Victims of Crime in India: A Comparative Analysis of the Legislative and Judicial Precedents in the Backdrop of International Norm and Standards, Crime, Punishment and the Law - An International Journal, Vol. 2, 2009, p. 19.*

⁸⁰¹ Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power, Art. 12.

⁸⁰² *Groenhuijsen, M.S.: The Development of International Policy in relation to Victims of Crime, IRV, 2014, Vol. 20, Iss. 1, pp. 37-38.*

⁸⁰³ Council Directive 2004/80/EC of 29 April 2004 relating to Compensation to Crime Victims.

როგორც მოქმედებს იმ ქვეყნაში მცხოვრები პირების მიმართ, რომელშიც ისინი მოგზაურობენ თუ უბრალოდ გადაადგილდებიან. შესაბამისად, აღნიშნული დირექტივის მიზანი იყო ტრანსსასაზღვრო სიტუაციებში დაზარალებულებისათვის უზრუნველყო მართლმსაჯულებაზე წვდომა და მისთვის გაემარტივებინა კომპენსაციის მიღება.⁸⁰⁴ ამიტომ ევროკავშირმა წევრ სახელმწიფოებს მოსთხოვა შემოეღოთ, ან სადაც უკვე მოქმედებდა, ერთმანეთთან შესაბამისობაში მოეყვანათ სახელმწიფო კომპენსაციის პროგრამები, რომლითაც დაზარალებულებს შეეძლებოდათ სამართლიანი და ადეკვატური კომპენსაციის მიღება.⁸⁰⁵

ევროპის საბჭოს კონვენციის მსგავსად, დირექტივაც შემოიფარგლა განზრახ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულთა მსხვერპლებით. დირექტივა არ განმარტავს, თუ რომელი დანაშაული მიიჩნევა ძალადობრივად. საქმეში *ევროპული კომისია იტალიის რესპუბლიკის წინააღმდეგ* გენერალურმა ადვოკატმა აღნიშნა, რომ ცნება „ძალადობრივი“ რთულია განსამარტია და იმისთვის, რომ დანაშაული მიჩნეულ იქნეს ძალადობრივად, მნიშვნელოვანია დანაშაულით გამოწვეული ფიზიკური, მატერიალური თუ არამატერიალური ზიანი და მისი შედეგების მასშტაბები.⁸⁰⁶ სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, რომ კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა გაავრცელონ ყველა ძალადობრივ დანაშაულზე და არ შეუზღუდონ ზოგიერთი დანაშაულის მსხვერპლს (მაგალითად, გაუპატიურების მსხვერპლებს) კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა.⁸⁰⁷

დირექტივა მოითხოვს, რომ დაზარალებულს მიეცეს სამართლიანი და ადეკვატური კომპენსაცია. დირექტივაში არ არის განმარტებული, თუ რა იგულისხმება „სამართლიან“ და „ადეკვატურ“ კომპენსაციაში, თუმცა საერთაშორისო რეგულაციების გათვალისწინებით, კომპენსაციამ (რესტიტუციამ) მსხვერპლი უნდა აღადგინოს იმ მდგომარეობაში, რომელშიც იმყოფებოდა დანაშაულის ჩადენამდე, შესაბამისად, კომპენსაცია უნდა იყოს დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანისა და დანაშაულის სიმძიმის შესაბამისი. ადეკვატურობის

⁸⁰⁴ იქვე, Recital 2, 7; ECJ, *European Commission v Italian Republic*, C-601/14, 11/10/2016, § 45; ECJ, *Cowan v Trésor public*, C-186/87, 2/02/1989, § 17.

⁸⁰⁵ *Victim Support Europe: EU Handbook for Policy and Best Practice in relation to Victims of Crime*, 2012, pp. 46-47, <http://victimsupporteurope.eu/activeapp/wp-content/files_mf/1353929035EUHandbook.pdf>, [26.06.2020].

⁸⁰⁶ Opinion of Advocate General Bot on *European Commission v Italian Republic*, Case C-601/14, 12/04/2016, § 69.

⁸⁰⁷ ECJ, *European Commission v Italian Republic*, C-601/14, 11/10/2016, §§ 46, 49.

გამოთვლისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზიანი, მიუღებელი შემოსავალი, მიუღებელი სოციალური სარგებელი (მაგალითად, განათლება), მორალური ზიანი, იურიდიული დახმარებისთვის ან სამედიცინო, ფსიქოლოგიური ან სხვა მომსახურებისთვის განეული ხარჯი.⁸⁰⁸

8.1.2.2.3.2. დირექტივა ტრეფიკინგის წინააღმდეგ

სახელმწიფო კომპენსაციის კუთხით მნიშვნელოვან სამართლებრივ ინსტრუმენტს წარმოადგენს დირექტივა ტრეფიკინგის პრევენციის, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის შესახებ.⁸⁰⁹ აღნიშნული აქტი ევროკავშირმა მიიღო 2011 წელს. მასში ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის დადგენილია ტრეფიკინგის პრევენციის, მასთან ბრძოლისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის მინიმალური სტანდარტი. დირექტივის მე-17 მუხლი სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის უზრუნველყონ სახელმწიფო კომპენსაციის პროგრამებზე წვდომა. სახელმწიფოები ასევე ვალდებული არიან ტრეფიკინგის მსხვერპლთათვის უზრუნველყონ დაუყონებლივი წვდომა კანონიერ წარმომადგენელზე, რათა იგი მსხვერპლს დაეხმაროს კომპენსაციის მიღებაში.⁸¹⁰

8.1.2.2.3.3. დირექტივა ტერორიზმის წინააღმდეგ

2017 წლის 15 მარტს ევროკავშირმა მიიღო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დირექტივა.⁸¹¹ დირექტივის მე-5 თავში განმტკიცებულია დებულებები ტერორიზმის მსხვერპლის უფლებების, მისი დაცვისა და მხარდაჭერის შესახებ, რომელთა თანახმად, სახელმწიფოები ვალდებული არიან დაარსონ კონფიდენციალური, უფასო და მარტივად

⁸⁰⁸ *Victim Support Europe: EU Handbook for Policy and Best Practice in relation to Victims of Crime*, 2012, pp. 46-47, <http://victimsupporteurope.eu/activeapp/wp-content/files_mf/1353929035EUHandbook.pdf>, [26.06.2020].

⁸⁰⁹ Directive 2011/36/EU of the European Parliament and of the Council of 5 April 2011 on Preventing and Combating Trafficking in Human Beings and Protecting Its Victims, and Replacing Council Framework Decision 2002/629/JHA.

⁸¹⁰ *Millet, J.:* Strengthening Victims' Rights: From Compensation to Reparation: For a New EU Victims' Rights Strategy 2020-2025, Report of the Special Adviser, J. Millet, to the President of the European Commission, 2019, p. 6.

⁸¹¹ Directive (EU) 2017/54 of the European Parliament and of the Council of 15 March 2017 on Combating Terrorism and Replacing Council Framework Decision 2002/475/JHA and Amending Council Decision 2005/671/JHA.

ხელმისაწვდომი მხარდაჭერის სერვისები. მოცემული სერვისები დაზარალებულებს უნდა დაეხმარონ კომპენსაციაზე განაცხადების გაკეთებაშიც.⁸¹²

8.1.2.2.4. საერთაშორისო პრაქტიკა

დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მოქმედებს სახელმწიფო კომპენსაციის პროგრამები, მათ შორის ევროკავშირის წევრ ყველა სახელმწიფოში და ასევე ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა უმეტესობაში. სახელმწიფო კომპენსაციის პროგრამებს იცნობს საერთო სამართლის ქვეყნებიც, მაგალითად აშშ, დიდი ბრიტანეთი, კანადა, ავსტრალია და ახალი ზელანდია.⁸¹³ მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ქვეყნის პროგრამა ხასიათდება თავისებურებებით, ყოველი მათგანი ცდილობს პასუხი გასცეს ძირითად კითხვებს: რომელ დაზარალებულს უნდა მიენიჭოს კომპენსაცია; რა სახის კომპენსაცია უნდა მიენიჭოს; რა სახის ზიანისთვის და რა სახის დანაშაულისთვის უნდა მიენიჭოს კომპენსაცია; რა შემთხვევებში შეიძლება შეიზღუდოს ან უარი ეთქვას დაზარალებულს კომპენსაციაზე.⁸¹⁴

სახელმწიფოებში გათვალისწინებულია საერთაშორისო რეგულაციების სტანდარტი და როგორც წესი, კომპენსაცია გაიცემა განზრახ ჩადენილი ძალადობრივი დანაშაულისთვის. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს დანაშაული ჩადენილია პირდაპირი თუ არაპირდაპირი განზრახვით, ორივე შემთხვევაში შესაძლებელია კომპენსაციის გაცემა.⁸¹⁵ თუმცა არიან სახელმწიფოები, სადაც გაუფროთხილებელი დანაშაულის მსხვერპლებსაც შეუძლიათ სახელმწიფო კომპენსაციის მიღება. ამ ქვეყნებს მიეკუთვნებიან *inter alia*

⁸¹² იქვე, Recital 28, Art. 24, 26; *Millet, J.*: Strengthening Victims' Rights: From Compensation to Reparation: For a New EU Victims' Rights Strategy 2020-2025, Report of the Special Adviser, J. Millet, to the President of the European Commission, 2019, p. 6.

⁸¹³ *Miers, D.*: Offender and State Compensation for Victims of Crime: Two Decades of Development and Change, IRV, Vol. 20, Iss. 1, 2014, p. 154.

⁸¹⁴ იქვე, p. 156.

⁸¹⁵ *Gelhausen, R., Weiner, B.*: OEG: Opferentschädigungsgesetz Kommentar, 6. Auflage, München, 2015, S. 33.

საფრანგეთი,⁸¹⁶ პოლონეთი,⁸¹⁷ ფინეთი,⁸¹⁸ შვედეთი,⁸¹⁹ გაერთიანებული სამეფო (ჩრდილოეთ ირლანდია⁸²⁰ ინგლისი და უელსი,⁸²¹ შოტლანდია.⁸²²).

რაც შეეხება უშუალოდ „ძალადობრივ დანაშაულს“ უნდა აღინიშნოს, რომ ძალადობრივი დანაშაული არ წარმოადგენს წმინდა იურიდიულ ცნებას, ამიტომ არ არსებობს რაიმე კატალოგი ძალადობრივი დანაშაულებისა. არც ევროპის საბჭოს კონვენცია და არც ევროკავშირის 2014 წლის დირექტივა არ განმარტავს, თუ რა იგულისხმება ძალადობრივ დანაშაულში. მოცემული საკითხის მონესრიგება ცალკეული სახელმწიფოების კომპეტენციაა და გამომდინარეობს თითოეულ სახელმწიფოში დასჯადად გამოცხადებული ქმედებების ბუნებიდან. თუმცა ყველა სახელმწიფოში ძალადობრივ დანაშაულად მიიჩნევა ისეთი დანაშაულები, როგორცაა მკვლელობა, სექსუალური ხასიათის დანაშაული ან თავდასხმა.⁸²³ გერმანიამ 2019 წლის 19 დეკემბერს მიიღო ახალი კანონი, რომლის თანახმად, ძალადობრივ დანაშაულში ფიზიკური ძალადობის გარდა, ფსიქიკურ ძალადობასაც მოიაზრებს.⁸²⁴

⁸¹⁶ იხ. საფრანგეთში სახელმწიფო კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებით:

<https://e-justice.europa.eu/content_if_my_claim_is_to_be_considered_in_this_country-491-fr-en.do?clang=fr>, [29.06.2020].

⁸¹⁷ იხ. პოლონეთში სახელმწიფო კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებით:

<https://e-justice.europa.eu/content_if_my_claim_is_to_be_considered_in_this_country-491-pl-en.do?member=1>, [29.06.2020].

⁸¹⁸ იხ. ფინეთში სახელმწიფო კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებით:

<https://e-justice.europa.eu/content_if_my_claim_is_to_be_considered_in_this_country-491-fi-en.do?member=1>, [29.06.2020].

⁸¹⁹ იხ. შვედეთში სახელმწიფო კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებით:

<https://e-justice.europa.eu/content_if_my_claim_is_to_be_considered_in_this_country-491-se-en.do?member=1>, [29.06.2020].

⁸²⁰ იხ. ჩრდილოეთ ირლანდიაში სახელმწიფო კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებით:

<https://e-justice.europa.eu/content_if_my_claim_is_to_be_considered_in_this_country-491-ni-en.do?member=1>, [29.06.2020].

⁸²¹ იხ. ინგლისსა და უელსში სახელმწიფო კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებით:

<https://e-justice.europa.eu/content_if_my_claim_is_to_be_considered_in_this_country-491-ew-en.do?member=1>, [29.06.2020].

⁸²² იხ. შოტლანდიაში სახელმწიფო კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებით:

<https://e-justice.europa.eu/content_if_my_claim_is_to_be_considered_in_this_country-491-sc-en.do?member=1>, [29.06.2020].

⁸²³ *Millet, J.*: Strengthening Victims' Rights: From Compensation to Reparation: For a New EU Victims' Rights Strategy 2020-2025, Report of the Special Adviser, J. Millet, to the President of the European Commission, 2019, p. 14.

⁸²⁴ Gesetz zur Regelung des Sozialen Entschädigungsrechts, Art. 1, §13; იხ. გერმანიაში დაზარალებულის კომპენსაციასთან დაკავშირებით:

პრაქტიკაში შესაძლებელია სადავო გახდეს, არის თუ არა კონკრეტული დანაშაული ძალადობრივი. ამისთვის სასამართლოებს უნევთ განმარტების გაკეთება. მაგალითად გერმანიის ფედერალური სოციალური სასამართლოს განმარტების თანახმად, ძალადობრივ დანაშაულად მიიჩნევა „მტრული განზრახვის გამოვლენა სხვა პირის სხეულის მიმართ, რათა მასზე აისახოს ძალადობის შედეგი“.⁸²⁵

მსოფლიოს მასშტაბით სახელმწიფო კომპენსაციის პროგრამებიდან ძირითადად გამორიცხულია საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამის საფუძველი ის არის, რომ აღნიშნული სახის ზიანისთვის კომპენსაციის მიღება შეიძლება სადაზღვეო კომპანიებიდან. გარდა ამისა, საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებზე შეიძლება იმდენი განაცხადი შევიდეს, რომ პროგრამა ეფექტურად ვეღარ იმუშავებს.⁸²⁶ გამონაკლისი მხოლოდ ევროკავშირის ზოგიერთ სახელმწიფოში არსებობს. კერძოდ, ბელგიაში, უნგრეთში, იტალიაში, ლუქსემბურგში, მალტაში, პოლონეთსა და შვედეთში შესაძლებელია მოპარული ან დაზიანებული ქონებისთვის კომპენსაციის მიღება, ხოლო ფინეთსა და საფრანგეთში აღნიშნულისთვის კომპენსაცია გაიცემა შებლუდული სახით.⁸²⁷

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო კომპენსაციის მიღება შეუძლია მხოლოდ ისეთ დაზარალებულს, რომელმაც ეს დაიმსახურა. მასში მოიაზრება ისეთი დაზარალებული, რომელიც პოლიციასთან და პროკურატურასთან თანამშრომლობს. შესაბამისად, სახელმწიფო კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა აქვთ მხოლოდ იმ დაზარალებულებს, რომლებიც დანაშაულის შესახებ ატყობინებენ პოლიციას.⁸²⁸ დამსახურებულ დაზარალებულში ასევე მოიაზრება „უდანაშაულო“ დაზარალებული. მას წვლილი არ უნდა უძღვოდეს დანაშაულის ჩადენაში. კომპენსაციისთვის მნიშვნელოვანია,

<<https://www.sueddeutsche.de/politik/opfer-gewalt-entschaedigung-meinung-1.4702990>>, [29.06.2020].

⁸²⁵ *Daimagüler, M.G.*: Der Verletzte im Strafverfahren: Handbuch für die Praxis, München, 2016, S. 283; *Gelhausen, R., Weiner, B.*: OEG: Opferentschädigungsgesetz Kommentar, 6. Auflage, München, 2015, S. 23.

⁸²⁶ *Miers, D.*: Offender and State Compensation for Victims of Crime: Two Decades of Development and Change, IRV, Vol. 20, Iss. 1, 2014, p. 156.

⁸²⁷ *Millet, J.*: Strengthening Victims' Rights: From Compensation to Reparation: For a New EU Victims' Rights Strategy 2020-2025, Report of the Special Adviser, J. Millet, to the President of the European Commission, 2019, p. 14.

⁸²⁸ *Victim Support Europe*: EU Handbook for Policy and Best Practice in relation to Victims of Crime, 2012, p. 47, <http://victimsupporteurope.eu/activeapp/wp-content/files_mf/1353929035EUHandbook.pdf>, [26.06.2020].

არის თუ არა დაზარალებული მორალურად იმის ღირსი, რომ მიყენებული ზიანისთვის დახმარება მიიღოს გადასახადების გადამხდელებისგან (ძირითადად ყველა სახელმწიფოში გადასახადებიდან იხდება კომპენსაცია, გამონაკლისია მაგალითად აშშ, სადაც სახელმწიფო კომპენსაცია ხორციელდება სისხლის სამართლის საქმეებზე გადახდილი გირაოდან და სასჯელის სახით ჯარიმის შეფარდებიდან).⁸²⁹

ასევე აღსანიშნავია, რომ დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში, მის ახლო ნათესავებს (მეუღლე, შვილები, რიგ შემთხვევებში მშობლები) შეუძლიათ კომპენსაციის მიღება.⁸³⁰ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში შესაბამისი სახელმწიფოს მოქალაქეების გარდა, კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა ასევე აქვთ მოქალაქეობის არმქონე პირებსაც და ევროკავშირის სხვა წევრი სახელმწიფოს მოქალაქეებსაც, თუმცა მათზე ვრცელდება განსხვავებული რეგულაციები.⁸³¹

მნიშვნელოვანი საკითხია, თუ რა სახის ზიანისთვის შეიძლება კომპენსაციის მიღება. იგი სხვადასხვაგვარად არის მონესრიგებული სხვადასხვა ქვეყანაში. ზოგიერთი სახელმწიფო ანაზღაურებს სამედიცინო ხარჯებს და მკურნალობის პერიოდში მიუღებელ შემოსავალს. ზოგიერთი სახელმწიფო ანაზღაურებს ფსიქოლოგიურ ზიანს, რაშიც ძირითადად მოიაზრება გრძელვადიანი ფსიქოტერაპიები ან ახალ საცხოვრებელზე ადაპტაცია. ქვეყნების უმეტესობა თვარავს დაკრძალვის ხარჯებსაც.⁸³²

⁸²⁹ *Miers, D.*: Offender and State Compensation for Victims of Crime: Two Decades of Development and Change, IRV, Vol. 20, Iss. 1, 2014, p. 156.

⁸³⁰ იხ. გერმანიაში სახელმწიფო კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებით: <https://e-justice.europa.eu/content_if_my_claim_is_to_be_considered_in_this_country-491-de-en.do?member=1>, [29.06.2020]; იხ. ბელგიაში სახელმწიფო კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებით: <https://e-justice.europa.eu/content_if_my_claim_is_to_be_considered_in_this_country-491-be-en.do?member=1>, [29.06.2020]; იხ. საფრანგეთში სახელმწიფო კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებით: <https://e-justice.europa.eu/content_if_my_claim_is_to_be_considered_in_this_country-491-fr-en.do?clang=fr>, [29.06.2020].

⁸³¹ *Gelhausen, R., Weiner, B.*: OEG: Opferentschädigungsgesetz Kommentar, 6. Auflage, München, 2015, S. 55-56; იხ. ჩეხეთში სახელმწიფო კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებით: <https://e-justice.europa.eu/content_if_my_claim_is_to_be_considered_in_this_country-491-cz-en.do?member=1>, [29.06.2020]; იხ. ლუქსემბურგში სახელმწიფო კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებით: <https://e-justice.europa.eu/content_if_my_claim_is_to_be_considered_in_this_country-491-lu-en.do?member=1>, [29.06.2020].

⁸³² *Millet, J.*: Strengthening Victims' Rights: From Compensation to Reparation: For a New EU Victims' Rights Strategy 2020-2025, Report of the Special Adviser, J. Millet, to the President of the European Commission, 2019, p. 14.

ბოლოს კი უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოთა უმეტესობაში სახელმწიფო კომპენსაციის მინიჭება წარმოადგენს „უკანასკნელ საშუალებას“, ანუ სახელმწიფო კომპენსაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა დაზარალებული სხვა გზით ვერ ახერხებს ფინანსური დახმარების მიღებას. აღნიშნულის მიზეზს წარმოადგენს ის, რომ სახელმწიფოს არ აქვს იმდენი ფინანსური რესურსი, რომ თავიდანვე თვითონ გაუწიოს ყველა დაზარალებულს დახმარება.⁸³³

8.1.2.3 საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა

საერთაშორისო რეგულაციების ანალიზი ცხადყოფს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები არა მხოლოდ მხარს უჭერენ, არამედ მოითხოვენ კიდევაც სახელმწიფოების მიერ სახელმწიფო კომპენსაციის პროგრამების დაარსებას. ხოლო სახელმწიფოების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სახელმწიფოები აცნობიერებენ, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო კომპენსაციის პროგრამას დაზარალებულის ფინანსური საჭიროების დაკმაყოფილებისთვის.

სამწუხაროდ საქართველოში არ მოქმედებს სახელმწიფო კომპენსაციის პროგრამები.⁸³⁴ საქართველო არ არის ევროპის საბჭოს 1983 წლის კონვენციაზე მიერთებული.⁸³⁵ აღნიშნულის საფუძველს სავარაუდოდ საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა წარმოადგენს, თუმცა მხოლოდ აღნიშნული საფუძველით დაზარალებულის საჭიროებების უგულებელყოფა ვერ იქნება გამართლებული, ვინაიდან სახელმწიფო კომპენსაციის პროგრამების შემოღების საჭიროება საქართველოს

⁸³³ იქვე.

⁸³⁴ საქართველოს კანონმდებლობა („პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-51-ე მუხლები, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 71-72-ე მუხლები) საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ პირებს (მაგ. პოლიციელსა და მოსამართლეს) ანიჭებს კომპენსაციის მიღების შესაძლებლობას, მაშინ, როცა ზიანი დადგა სამსახურეობრივი მოვალეობის განხორციელებისას, თუმცა აღნიშნული რეგულაცია ვერ ჩაითვლება სახელმწიფო კომპენსაციად, ვინაიდან მას სრულიად განსხვავებული ბუნება და მახასიათებლები აქვს.

⁸³⁵ იხ. ძალაღობრივი დანაშაულის მსხვერპლთა კომპენსაციის შესახებ ევროპული კონვენციის ხელმოწერილი ქვეყნების სია:

<https://www.coe.int/en/web/conventions/full-list/-/conventions/treaty/116/signatures?p_auth=ZNHppMjE>, [29.06.2020].

კონსტიტუციიდან, საერთაშორისო დონეზე აღებული ვალდებულებებიდან და საქართველოს მიერ გამოცხადებული მიზნებიდან გამომდინარეობს.

ჯერ კიდევ 1995 წელს, საქართველოს კონსტიტუციის მიღებით, საქართველომ გამოხატა ნება, რომ ჩამოყალიბებულიყო სოციალურ სახელმწიფოდ. ამის დასტურს წარმოადგენს კონსტიტუციის პრეამბულაში ჩანერილი სიტყვები: „ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი, რომელთა ურყევი ნებაა, დავამკვიდროთ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესნობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო...“. 2017 წლის 13 ოქტომბერს განხორციელებული ცვლილებების შედეგად კი, საქართველოს კონსტიტუციაში ცალკე მუხლი დაეთმო სოციალური სახელმწიფოს პრინციპს. ამით კიდევ უფრო მეტად გაესვა ხაზი საქართველოს მიზნებსა და ღირებულებებს. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე“. სოციალური სახელმწიფო მიმართულია იმისკენ, რომ შექმნას თავისუფალი და ღირსეული საზოგადოება, რომლის მიღწევაც საზოგადოების წევრებისათვის სათანადო მატერიალური მდგომარეობის შექმნის გარეშე წარმოუდგენელია.⁸³⁶ ამასთან, სოციალური თანასწორობის საფუძველზე სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს საზოგადოებრივი პირობებით წარმოქმნილი უთანასწორობის შემცირებასა და აღმოფხვრაზე. სოციალურმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოქალაქეების დაცვა „ცხოვრების ცვალებადი შემთხვევებისგან“, ⁸³⁷ ანუ იგი ვალდებულია რომ საჭირო დროს მის მოქალაქეს გვერდში დაუდგეს. ამასთან, სოციალური სოლიდარობა სახელმწიფოს ავალდებულებს, საზოგადოების ძლიერი წევრების ხარჯზე დაეხმაროს შედარებით მონყვლად და მძიმე მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებს.⁸³⁸ შესაბამისად, სოციალური სახელმწიფოს პრინციპი

⁸³⁶ *ლოლაძე, ბ.*: სოციალური სახელმწიფო – საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის? ნაშრომში: *კორკელია, კ.* (რედ.): ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, თბილისი, 2012, გვ. 118-120.

⁸³⁷ *გალიშვილი, თ.*: სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, მისი ელემენტები და ადამიანის ღირსების უფლება – საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის საფუძველი, სამართლის ჟურნალი, N1, 2012, გვ. 269-270.

⁸³⁸ *Buck, K.*: State Compensation to Crime Victims and the Principle of Social Solidarity, Eur. J. Crime Crim. Law. Crim. Justice, Vol. 13, Iss. 2, 2005, p. 151; *Katsoris, N.C.*: The European Convention on the Compensation of Victims of Violent Crimes: A Decade of Frustration, Fordham Int. Law J., Vol. 14, Iss. 1, 1990, p. 189.

ქმნის საფუძველს იმისა, რომ დაზარალებულებს, როგორც იმ პირებს, რომელთა მიმართაც ვერ მოხდა დანაშაულის პრევენცია და რომლებსაც სწორედ ამ არასასურველი სოციალური მოვლენის შედეგად მიაღვათ ზიანი, მიენიჭოთ სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლება.

კონსტიტუციური საფუძვლების გარდა, სახელმწიფო კომპენსაციის პროგრამების დაარსების აუცილებლობაზე საერთაშორისო ვალდებულებებიც მიუთითებს. საქართველო 1992 წელს განწვერიანდა გაეროში,⁸³⁹ ხოლო 1999 წელს ევროპის საბჭოში, რომლითაც აიღო ვალდებულება, ჩამოაყალიბოს დემოკრატიული სახელმწიფო, სადაც დაცული იქნება ადამიანის უფლებები.⁸⁴⁰ შესაბამისად, გაეროში განწვერიანების დღიდანვე საქართველოს მიმართ გავრცელდა გაეროს 1985 წლის დეკლარაცია, რომელიც სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ დაარსონ სახელმწიფო კომპენსაციის პროგრამები. გარდა ამისა, სახელმწიფო კომპენსაციის პროგრამის დაარსების რეკომენდაცია 2014 წელს გასცა ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუციებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა და ევროპის საბჭომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ ერთობლივი მოსაზრების წარმოდგენისას.⁸⁴¹ ერთობლივი მოსაზრების 78-ე პუნქტში აღინიშნა: *„კომპენსაციასთან დაკავშირებით, როდესაც იგი არ არის სრულად ხელმისაწვდომი დამნაშავის ან სხვა წყაროებიდან, სახელმწიფოები უნდა ცდილობდნენ ფინანსური კომპენსაციის უზრუნველყოფას მსხვერპლისათვის, რომელმაც მიიღო ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება მძიმე დანაშაულის შედეგად, და მათი ოჯახის წევრებისათვის, კერძოდ, იმ პირის კმაყოფაზე მყოფი პირებისათვის, რომელიც გარდაიცვალა ან ფიზიკურად თუ ფსიქიკურად არაქმედუნარიანი გახდა ვიქტიმიზაციის გამო“*. შესაბამისად, სასურველი იქნება, თუ საქართველო გაითვალისწინებს აღნიშნულ რეკომენდაციებს, მოახდენს 1983 წლის კონვენციის რატიფიცირებას და

⁸³⁹ იხ. გაეროში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებით:

<http://www.ungeorgia.ge/geo/გაერო_საქართველოში/საქართველო_და_გაერო#.XYewqi2B2u4>, [29.06.2020].

⁸⁴⁰ Statute of the Council of Europe, Art. 2; Charter of the United Nations and Statute of the International Court of Justice, Preamble.

⁸⁴¹ ეუთო, ევროპის საბჭო: ერთობლივი მოსაზრება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ: მოსაზრება-Nr.: CRIM -GEO/257/2014 [RJU], ვარშავა, სტრასბურგი, 2014, §§ 77-78, <<https://rm.coe.int/16806f32a2>>, [29.06.2020].

სახელმწიფო კომპენსაციის პროგრამას დაარსებს კონვენციითა და გაეროს დეკლარაციით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

ევროპის საბჭოს გარდა, საქართველოს სხვა ორგანიზაციების მიმართაც აქვს ვალდებულებები. 2014 წელს, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების დადებით საქართველომ ივალდებულა, მოახდინოს ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირით დადგენილ სტანდარტებთან. მოცემული სტანდარტებიდან ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს სწორედ დაზარალებულის უფლებები წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ გაითვალისწინოს ევროკავშირის რეგულაციები სახელმწიფო კომპენსაციის შესახებ.⁸⁴²

და ბოლოს, საქართველოში 2004 წელს დანყებული სისხლის სამართლის რეფორმა მიმართულია საერთაშორისო და ევროპული სტანდარტების დამკვიდრებისკენ,⁸⁴³ თუმცა ფაქტია, რომ 2004 წლიდან დღემდე დაზარალებულს მიმართ არსებული პოლიტიკა არ შეესაბამება საერთაშორისო დონეზე არსებულ სტანდარტებსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში არსებულ პრაქტიკას. 2009 წელს შეჯიბრებითი სისტემის განმტკიცებით ჩვენ საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში მოქმედი სტანდარტების დანერგვისკენ ავიღეთ გეზი, თუმცა ჯერჯერობით ჩვენს კანონმდებლობაში მოცემული სტანდარტები არ არის სრულად გაზიარებული. აღსანიშნავია, რომ სწორედ შეჯიბრებითი სამართლის ქვეყნებში (ახალი ზელანდია, დიდი ბრიტანეთი, აშშ და კანადა), დაინერგა სახელმწიფო კომპენსაციის პროგრამა. შესაბამისად თუ საქართველოს უნდა რომ იყოს შეჯიბრებითი სისტემის მქონე ნამდვილი ევროპული სახელმწიფო, იგი ვალდებულია დაზარალებულისთვის, სახელმწიფო კომპენსაციის პროგრამის დაარსების გზით, უზრუნველყოს ღირსეულად ცხოვრების შესაძლებლობა და დაიცვას იგი მეორეული ვიქტიმიზაციისგან.

⁸⁴² ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანების და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, მე-13 მუხლი; TFEU, Art. 82 (2c).

⁸⁴³ თანდილაშვილი, *ბ.*: სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებები ევროპული და ქართული კანონმდებლობის მიხედვით, DGStZ, No. 2, 2017, გვ. 51, <<http://www.dgstz.de/storage/documents/HLlfKffRj6fKu2z37r81AsxGIkyisXchAZW9ySTc.pdf>>, [16.06.2020].

8.2. ჩამორთმეული ქონების უკან დაბრუნების უფლება

8.2.1. საერთაშორისო სტანდარტი

ჩამორთმეული ქონების უკან დაბრუნების უფლება ევროკავშირის დონეზე თავდაპირველად განმტკიცებულ იქნა 2001 წლის ჩარჩო გადანაცვტილების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტში, შემდეგ კი მან ასახვა ჰპოვა 2012 წლის დირექტივის მე-15 მუხლში. მოცემული მუხლის თანახმად, მას შემდეგ რაც კომპეტენტური ორგანო მიიღებს გადანაცვტილებას ჩამორთმეული ქონების უკან დაბრუნების შესახებ, დაზარალებულს ქონება დაუყონებლივ უნდა გადაეცეს. გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევა, როცა მოცემული ქონების დატოვება საჭიროა სისხლისსამართლებრივი დევნის მიზნებისთვის. ამასთან, დირექტივა მოითხოვს, რომ ქონების უკან დაბრუნების წესები და პირობები სახელმწიფოებმა თვითონ განსაზღვრონ. დირექტივის იმპლემენტაციის დოკუმენტი სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრონ, თუ როდის და რა პირობების დაკმაყოფილების შემდეგ შეეძლება დაზარალებულს ქონების უკან დაბრუნება. ასევე უნდა განისაზღვროს დროის მონაკვეთი, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება ქონების უკან დაბრუნება. დაზარალებულისთვის ქონების უკან დაბრუნების პროცედურა უნდა იყოს უფასო და ნებისმიერი ხარჯი, რომელიც წარმოიშვება ქონების უკან დაბრუნებით, უნდა განიოს სახელმწიფომ.⁸⁴⁴

8.2.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა

აღსანიშნავია, რომ დირექტივის მოცემული მოთხოვნა საქართველოს კანონმდებლობით სრულად დაკმაყოფილებულია. საქართველოში დაზარალებულისთვის ქონების უკან დაბრუნების უფლება განმტკიცებულია სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში. აღნიშნულის თანახმად, დაზარალებულს უფლება აქვს დაიბრუნოს გამოძიებისა და სასამართლო განხილვისას საქმის საჭიროებისთვის ჩამორთმეული მისი კუთვნილი ქონება. სსსკ-ის 260-ე მუხლის პირველი

⁸⁴⁴ *European Commission*: DG Justice Guidance Document related to the Transposition and Implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 Establishing Minimum Standards on the Rights, Support and Protection of Victims of Crime, and Replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 - 19/12/2013, p. 36.

ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად კი მოსამართლე ვალდებულია განაჩენის გამოტანისას გადაწყვიტოს ნივთიერ მტკიცებულებათა ბედი. როგორც წესი, პრაქტიკაში მოსამართლე განაჩენში უთითებს, რომ ჩამორთმეული ქონება დაუბრუნდეს მის კანონიერ მესაკუთრეს ან მესაკუთრის წარმომადგენელს. თუ სისხლისსამართლებრივი დევნა არ დაიწყო ან შეწყდა, მაშინ ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას ახორციელებს საგამოძიებო ორგანო.⁸⁴⁵

8.3. განუული ხარჯების ანაზღაურების უფლება

8.3.1. საერთაშორისო სტანდარტი

განუული ხარჯების ანაზღაურების შესახებ დებულებები გვხვდება ევროკავშირის 2001 წლის ჩარჩო გადაწყვეტილებაში. აღნიშნულის მე-7 მუხლის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებულნი იყვნენ იმ დაზარალებულებისთვის, რომლებსაც სისხლის სამართლის პროცესში ჰქონდათ მხარის ან მოწმის სტატუსი, ანაზღაურებინათ სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობისთვის განუული ხარჯები. 2012 წლის დირექტივაც იმავე შინაარსს იმეორებს, იმ განსხვავებით, რომ იგი ხარჯების ანაზღაურების შესაძლებლობას უბრუნველყოფს არა მხოლოდ იმ დაზარალებულებისთვის, რომლებსაც მინიჭებული აქვთ მხარის ან მოწმის სტატუსი, არამედ იმ დაზარალებულებისთვისაც, რომლებსაც თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, მინიჭებული აქვთ სხვა სტატუსი.⁸⁴⁶ მოცემული ნორმის მიზანია, რომ დაზარალებულს მისი ფინანსური მდგომარეობის გამო არ შეეზღუდოს სისხლის სამართლის პროცესში აქტიური მონაწილეობა. დირექტივის იმპლემენტაციის დოკუმენტის თანახმად, სახელმწიფოები ვალდებულნი არიან აანაზღაურონ მხოლოდ და მხოლოდ ის აუცილებელი ხარჯი, რომლის განუვის გარეშეც დაზარალებული ვერ შეძლებდა პროცესზე დასწრებას და პროცესში აქტიურ მონაწილეობას. ამასთან, სახელმწიფოებს არ მოეთხოვებათ ხარჯების ანაზღაურება, როცა დაზარალებულის მონაწილეობა მხოლოდ დანაშაულის შესახებ

⁸⁴⁵ ინტერვიუ თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლავრენტ მალლაკელიძესთან, 02/02/2020.

⁸⁴⁶ Victims' Directive, Art. 15; *European Commission*: DG Justice Guidance Document related to the Transposition and Implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 Establishing Minimum Standards on the Rights, Support and Protection of Victims of Crime, and Replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 - 19/12/2013, p. 35.

განაცხადის გაკეთებით შემოიფარგლება და პროცესში არ არის აქტიურად ჩართული. დირექტივის პრეამბულის 47-ე პუნქტის თანახმად, სახელმწიფოები არ არის ვალდებული ანაზღაურონ იურიდიული მომსახურების ხარჯებს.⁸⁴⁷

დირექტივა სახელმწიფოებს მოუწოდებს ეროვნულ დონეზე დაადგინონ ხარჯების ანაზღაურების პირობები, მაგალითად, რა ვადაში შეუძლია დაზარალებულს ანაზღაურების მოთხოვნა, ასევე დაადგინონ საცხოვრებლისა და მგზავრობისთვის, გაცდენილი სამუშაოსთვის (მიუღებელი შემოსავლისთვის) გათვალისწინებული ანაზღაურებადი თანხის ლიმიტები.⁸⁴⁸

დირექტივაში მოცემულ უფლებაზე დაზარალებულის ინფორმირების შესახებაც არის რეგულაცია ჩადებული, კერძოდ, დირექტივის პრეამბულის 23-ე პუნქტი სახელმწიფოებს ავალდებულებს, დაზარალებულს ხარჯების ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია მიანოდონ კომპეტენტურ ორგანოსთან (როგორც წესი სამართალდამცავი ორგანო გვევლინება კომპეტენტურ ორგანოდ, ვინაიდან დაზარალებული დანაშაულის შესახებ განაცხადს სწორედ პოლიციაში აკეთებს) პირველივე კონტაქტისთანავე.

8.3.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა

საქართველო მეტწილად იზიარებს საერთაშორისო მოთხოვნებს. სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დაზარალებულს უფლება აქვს მიიღოს პროცესში მონაწილეობის შედეგად განეული ხარჯების ანაზღაურება, თუმცა 1998 წლის სსსკ-გან განსხვავებით, მოქმედი სსსკ დეტალურად არ აწესრიგებს საპროცესო/სასამართლო ხარჯების გადახდევინების საკითხს.⁸⁴⁹ მოცემული საკითხი არც სპეციალური სამართლებრივი აქტით რეგულირდება. 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის გარდა, სსსკ-ში კიდევ ორი ნორმა შეეხება ხარჯების ანაზღაურებას. კერძოდ, სსსკ-ის 91-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, მსჯავრდებულის ან მისი ადვოკატის

⁸⁴⁷ Victims' Directive, Recital 47; European Commission, DG Justice Guidance Document related to the Transposition and Implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 Establishing Minimum Standards on the Rights, Support and Protection of Victims of Crime, and Replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 - 19/12/2013, p. 35.

⁸⁴⁸ Victims' Directive, Recital 47.

⁸⁴⁹ 1998 წლის სსსკ, 104-ე, 217-ე, 218-ე მუხლები.

მიერ დაზარალებულის მოწვევის ხარჯი ეკისრება მსჯავრდებულს, ასევე სსსკ-ის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, სასამართლო განაჩენის დადგენისას წყვეტს, ვის და რა ოდენობით უნდა დაეკისროს საპროცესო ხარჯების ანაზღაურება.⁸⁵⁰

რაც შეეხება დაზარალებულის ინფორმირებას პროცესში მონაწილეობისთვის განეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ, დანაშაულის მსხვერპლს მოცემული უფლება წერილობით განემარტება მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდება მისი დაზარალებულად ცნობა,⁸⁵¹ ანუ მისი ინფორმირება არ ხდება საგამოძიებო ორგანოებთან პირველივე კონტაქტისთანავე, რაც იწვევს მოცემულ საკითხთან დაზარალებულის ინფორმაციულ ვაკუუმში ყოფნას.

იმისთვის, რომ საქართველოს კანონმდებლობა მოცემულ ნაწილში სრულად შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს, აუცილებელია, რომ დაზარალებულის ინფორმირება ხდებოდეს თავიდანვე დანაშაულის შეტყობინებისთანავე. გარდა ამისა, განეული ხარჯების ანაზღაურების საკითხის უფრო მეტი გამჭვირვალობისა და დაზარალებულის სათანადო ინფორმირების უზრუნველსაყოფად, სასურველი იქნება, თუ კანონმდებლობა უფრო დეტალურად მოაწესრიგებს ხარჯების ანაზღაურების საკითხს, მაგალითად, თუ დადგინდება მგზავრობისთვის ან ღამისთევისთვის ანაზღაურებადი თანხის მაქსიმალური ოდენობა და სხვა.

9. აღდგენით მართლმსაჯულებაზე წვდომის უფლება

დღეს თანამედროვე მსოფლიოში აღდგენითი მართლმსაჯულება დაზარალებულის ინტერესების დაკმაყოფილების კუთხით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მექანიზმად მიიჩნევა. თუ დაზარალებული ტრადიციულ სისხლის სამართლის პროცესში გარიყულია და თავს ვერ გრძნობს აღიარებულად,⁸⁵² აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართ დაზარალებულთა უმრავლესობას სხვა დამოკიდებულება აქვთ. მათი თქმით,

⁸⁵⁰ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის წერილი N 247/752-03-ო.

⁸⁵¹ საქართველოს შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს IV განყოფილება, დაზარალებულის უფლებების განმარტების ოქმი N 0014128319 საქმეზე N002081019002.

⁸⁵² *Herman S.*: Parallel Justice for Victims of Crime, Washington, DC, 2010, p. 40.

აღდგენითი მართლმსაჯულება მათ ეხმარება დანაშაულით მიღებული ტრავმების დაძლევაში.⁸⁵³ სწორედ ამიტომ, აღდგენით მართლმსაჯულებაზე ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება საერთაშორისო დონეზე. ევროკავშირმა აღნიშნულ საკითხს ცალკე მუხლები დაუთმო როგორც 2001 წლის ჩარჩო გადანყვეტილებაში, ისე 2012 წლის დირექტივაში.

9.1. აღდგენითი მართლმსაჯულების მიმოხილვა

როგორც უკვე მრავალჯერ აღინიშნა, დანაშაულის მსხვერპლად ქცევა უმძიმესი მოვლენაა და იგი ხშირად ადამიანის ცხოვრებას ძირფესვიანად ცვლის. მნიშვნელობა არ აქვს „ნაკლებად მძიმე“ თუ „მძიმე“ დანაშაულია ჩადენილი, მას მაინც ახლავს ტრავმა. დანაშაულის შემდეგ დაზარალებულს ეუფლება ისეთი ემოციები, როგორცაა შიში, უსუსურობის განცდა, საკუთარი თავისა და მისი ახლობლების მიმართ ბრაზი, რწმენის დაკარგვა და საკუთარი თავის დადანაშაულება.⁸⁵⁴ აღნიშნული ვითარება წარმოშობს დაზარალებულის მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს სისხლის სამართლის პროცესმა. ჯეფრი მარფის⁸⁵⁵ თანახმად, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ძირითად ფუნქციას სწორედ დაზარალებულის უფლებებში აღდგენა წარმოადგენს. კერძოდ, თუ დანაშაულის ჩადენით დამნაშავე ამბობს, რომ მას სძულს დანაშაულის მსხვერპლი, რომ დანაშაულის მსხვერპლი მასზე ნაკლები ღირებულების მქონეა, სისხლის სამართლის პროცესის განხორციელებით უნდა გამოამკარავდეს, რომ დანაშაულის მსხვერპლიც სრულფასოვანი და იმავე ღირებულების მქონე მოქალაქეა.⁸⁵⁶ თუმცა ფაქტია, რომ ტრადიციული სისხლის სამართლის პროცესი აღნიშნულ ფუნქციას ნაკლებად ახორციელებს. იგი დაზარალებულზე მეტად,

⁸⁵³ *EFRJ*: Practice Guide for Restorative Justice Services: The Victims' Directive Challenges and Opportunities for Restorative Justice, Leuven, 2016, p. 6, < <https://www.euforumrj.org/sites/default/files/2019-11/practice-guide-with-cover-page-for-website.pdf> >, [29.06.2020]; *Mills, L.G.*: The Justice of Recovery: How the State Can Heal the Violence of Crime, Hasting L.J., Vol. 57, Iss. 3, 2005, p. 463.

⁸⁵⁴ *Zehr, H., Stutzman Amstutz L., MacRae A., Pranis K.*: The Big Book of Restorative Justice, New York, 2015, p. 136.

⁸⁵⁵ ჯეფრი მარფი არის სამართლისა და ფილოსოფიის დარგში მოღვაწე ამერიკელი მეცნიერი. მისი მოძღვრებები დანაშაულისა და სასჯელის შესახებ დიდ როლს თამაშობს სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარებაში.

⁸⁵⁶ *Dearing, A.*: Justice for Victims of Crime: Human Dignity as the Foundation of Criminal Justice in Europe, Cham, 2017, p. 341.

ბრალდებულზე ორიენტირებული სისტემაა, სადაც სათანადოდ არ არის გათვალისწინებული დაზარალებულის საჭიროებები და მოთხოვნები.⁸⁵⁷ ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემა იმდენად არაადეკვატური და ფრაგმენტულია, რომ დაზარალებულის პატივსა და ღირსებასაც კი ლახავს.⁸⁵⁸

დაზარალებულის მიმართ ასეთმა მოპყრობამ გამოიწვია XX საუკუნის 70-იან წლებში დანაშაულის მსხვერპლის მხარდამჭერი მოძრაობების ჩამოყალიბება.⁸⁵⁹ ისინი ითხოვდნენ სისხლის სამართლის პროცესში დანაშაულის მსხვერპლისთვის სათანადო უფლებების მინიჭებას.⁸⁶⁰ ამავდროულად დაიწყო ტრადიციული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის ალტერნატივის ძიებაც და ძიების პროცესში ხელახლა იქნა აღმოჩენილი აღდგენითი მართლმსაჯულება, რომელიც ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში მოქმედებდა, თუმცა სისხლის სამართლის ინსტიტუციონალიზაციის შედეგად საუკუნეების განმავლობაში აღარ ფუნქციონირებდა.⁸⁶¹ აღდგენითმა მართლმსაჯულებამ სწრაფად მოიკიდა ფეხი საერთო სამართლის სისტემის ისეთ ქვეყნებში, როგორცაა კანადა, აშშ, ავსტრალია, ახალი ზელანდია და ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნები.⁸⁶² მოგვიანებით იგი კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებშიც გავრცელდა და დღეს აღდგენითი მართლმსაჯულება დაზარალებულის ინტერესების დაცვის უმნიშვნელოვანეს მექანიზმს წარმოადგენს.⁸⁶³

⁸⁵⁷ *Buczma, S., Kierzyńska, R.*: Protection of Victims of Crime in the View of the Directive 2012/29/EU Establishing Minimum Standards on the Rights, Support and Protection of Victims of Crime in the European Union and the Directive 2011/99/EU on the European Protection Order, Judicial Academy of the Slovak Republic, p. 1, <http://www.ja-sr.sk/files/Kierzyńska_Buczma_Protection%20of%20victims.pdf>, [29.06.2020].

⁸⁵⁸ *Herman S.*: Parallel Justice for Victims of Crime, Washington, DC, 2010, pp. VIII- IX.

⁸⁵⁹ *Beloff, D.E.*: Victims' Rights: A Documentary and Reference Guide, California, 2012, pp. 20-24.

⁸⁶⁰ *Vanfraechem I., Bolívar D.*: Restorative Justice and Victims of Crime, ნაშრომში: *Vanfraechem, I., Bolívar, D., Aersten, I.* (eds.): Victims and Restorative Justice, Abingdon, New York, 2017, pp. 49-51.

⁸⁶¹ *Kasper, J., Schlickum, G., Weiler, E.*: Der Täter-Opfer-Ausgleich, München, 2014, S. 1- 4; *Zehr, H.*: The Little Book of Restorative Justice, New York, 2015, p. 18.

⁸⁶² *Deymié, B.*: Justice Restaurative: Le Dialogue avant la Peine, Revue Projet, Vol. 366, Iss. 5, 2018, pp. 79-80; *Cario, R.*: Justice Restaurative: Principes et Promesses, Les Cahier Dynamiques, Vol 59, Iss. 1, 2014, p. 24; *Moyersoen, J.*: Chronique d'une Justice Restaurative au-delà des Frontières, Les Cahier Dynamiques, Vol. 59, Iss. 1, 2014, p. 96; *Zehr, H.*: The Little Book of Restorative Justice, New York, 2015, pp. 18-19.

⁸⁶³ *Kilchling, M.*: Opferrechte und Restorative Justice, ნაშრომში: *Sautner, L., Jesionek, U.* (Hrsg.): Opferrechte in Europäischer, Rechtsvergleichender und Österreichischer Perspektive, Viktimologie und Opferrechte: Schriftenreihe der Weisser Ring, Forschungsgesellschaft Bd. 8, Innsbruck, 2017, S. 64.

ტრადიციული სისხლის სამართლისგან განსხვავებით, აღდგენითი მართლმსაჯულება დანაშაულს განიხილავს, როგორც ურთიერთობების ხელყოფას, რომელიც იწვევს არა მსჯავრდებას, არამედ ვალდებულებების დაკისრებას. გარდა ამისა, თუ ტრადიციული სისხლის სამართალი ხორციელდება სახელმწიფოს მიერ და მიმართულია პირის მსჯავრდებისკენ, აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობენ ისინი, ვისაც უშუალოდ შეეხო დანაშაული, კერძოდ, დაზარალებული, დამნაშავე და ზოგიერთ შემთხვევაში საზოგადოების წევრები. გარდა ამისა, აღდგენითი მართლმსაჯულება მიმართულია ზიანის გამოსწორებისკენ. და ბოლოს, თუ ტრადიციული სისხლის სამართალი ფოკუსირებულია იმაზე, რომ დამნაშავემ მიიღოს ის, რაც დაიმსახურა, აღდგენითი მართლმსაჯულება ფოკუსირებულია დაზარალებულის საჭიროებებზე და დამნაშავის მიერ პასუხისმგებლობის აღებაზე.⁸⁶⁴ შესაბამისად, აღდგენითი მართლმსაჯულების ფუნდამენტურ პრინციპებს წარმოადგენს მონაწილეობა (კომუნიკაცია),⁸⁶⁵ ნებაყოფლობითობა,⁸⁶⁶ პასუხისმგებლობის აღება, რეპარაცია.⁸⁶⁷

თანამედროვე კვლევები ადასტურებენ აღდგენითი მართლმსაჯულების დადებით გავლენას დანაშაულის მსხვერპლზე. პროცესის შემდეგ დანაშაულის მსხვერპლებს უმცირდებათ ან უქრებათ შიში, უბრუნდებათ უსაფრთხოებისა და დაცულობის განცდა, გრძნობენ მხარდაჭერას, ეცვლებათ წარმოდგენა საკუთარ თავზე, უბრუნდებათ აღიარებისა და ღირსების შეგრძნება, აქვთ კმაყოფილებისა და სამართლიანობის განცდა. საბოლოო ჯამში ისინი უფრო ძლიერდებიან და უმარტივდებათ დანაშაულის შედეგად მიღებული ტრავმების დაძლევა.⁸⁶⁸

⁸⁶⁴ Zehr, H.: *The Little Book of Restorative Justice*, New York, 2015, p. 30.

⁸⁶⁵ Kasper, J., Schlickum, G., Weiler, E.: *Der Täter-Opfer-Ausgleich*, München, 2014, S. 20.

⁸⁶⁶ იქვე, S. 43-44; Zehr, H.: *The Little Book of Restorative Justice*, New York, 2015, p. 57.

⁸⁶⁷ Béal, C.: *Justice Restaurative et Justice Pénale*, Rue Descartes, Vol. 93, Iss. 1, 2018, p. 60.

⁸⁶⁸ APAV: *IVOR Report: Implementing Victim-Oriented Reform of the Criminal Justice System in the European Union*, 2016, p. 55; Vanfraechem I., Bolívar D.: *Restorative Justice and Victims of Crime*, ნაშრომში: Vanfraechem, I., Bolívar, D., Aersten, I. (eds.): *Victims and Restorative Justice*, Abingdon, New York, 2017, pp. 49, 53-54; EFRJ: *Practice Guide for Restorative Justice Services: The Victims' Directive Challenges and Opportunities for Restorative Justice*, Leuven, 2016, p. 6, <<https://www.euforumrj.org/sites/default/files/2019-11/practice-guide-with-cover-page-for-website.pdf>>, [29.06.2020]; Gavrielides, T.: *The Victims' Directive and What Victims Want from Restorative Justice*, *Victims & Offenders*, Vol. 12, Iss. 1, 2015, pp. 8-11.

დღეს აღდგენითი მართლმსაჯულება აერთიანებს მრავალ პროგრამას,⁸⁶⁹ მათ შორის ყველაზე გავრცელებულია მედიაცია, აღდგენითი კონფერენციები, წრიული პროცესები და ზიანის ანაზღაურების (რეპარაციის) პროგრამები. იგი როგორც უკვე აღინიშნა, მოქმედებს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ევროკავშირის წევრ სახელმწიფოში, მაგალითად, გერმანიაში, ავსტრიაში, საფრანგეთში, ფინეთში, დანიაში, შვედეთსა და ბელგიაში.⁸⁷⁰

9.2. საერთაშორისო სტანდარტი

9.2.1. 2001 წლის ჩარჩო გადანყვეტილება

აღდგენითი მართლმსაჯულების პოპულარიზაციამ ბიძგი მისცა საერთაშორისო დონეზე მის მონესრიგებას. აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ პირველი ჩანაწერი უკვე 1985 წლის გაეროს დეკლარაციაში გამოჩნდა. მას მოჰყვა არაერთი რეზოლუცია თუ რეკომენდაცია. მათ შორის აღსანიშნავია გაეროს 2002 წლის რეზოლუცია სისხლის

⁸⁶⁹ Zehr, H.: *The Little Book of Restorative Justice*, New York, 2015, pp. 13-20.

⁸⁷⁰ იხ. გერმანიაში აღდგენითი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით: <https://e-justice.europa.eu/content_rights_of_victims_of_crime_in_criminal_proceedings-171-DE-maximizeMS-en.do?clang=en&idSubpage=1&member=1>, [29.06.2020]; Meyer-Großner, L., Schmidt, B.: *Strafprozessordnung mit GVG und Nebengesetzen: Beckliche Kurzkommentare*, 61. Auflage, München, 2018, S. 815, 853-854; Satzger, H., Schluckebier, W., Widmaier, G.: *Strafprozessordnung mit GVG und EMRK Kommentar: Heymanns Kommentare*, 3. Auflage, Köln, 2018, S. 991, 1012-1013; ÖStPO, § 204; იხ. ავსტრიაში აღდგენითი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით: <https://e-justice.europa.eu/content_rights_of_victims_of_crime_in_criminal_proceedings-171-AT-maximizeMS-en.do?clang=en&idSubpage=5&member=1>, [29.06.2020]; Bachinger, L.M., Pelikan, C.: *Victims' Experiences in Victim-Offender Mediation in Austria: the 'Real' Story*, ნაშრომში: Vanfraechen, I., Bolívar, D., Aersten, I. (eds.): *Victims and Restorative Justice*, Abingdon, New York, 2017, p. 87; იხ. საფრანგეთში აღდგენითი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით: <https://e-justice.europa.eu/content_rights_of_victims_of_crime_in_criminal_proceedings-171-FR-maximizeMS-en.do?clang=en&idSubpage=5&member=1>, [29.06.2020]; იხ. ფინეთში აღდგენითი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით: <https://e-justice.europa.eu/content_rights_of_victims_of_crime_in_criminal_proceedings-171-FI-maximizeMS-en.do?clang=en&idSubpage=1&member=1#n10>, [29.06.2020]; Gade, C.B.N.: "Restorative Justice": History of the Term's International and Danish Use, ნაშრომში: Nyland A., Ervasti K., Adrian L. (eds.): *Nordic Mediation Research*, Cham, 2018, pp. 32-37, <<https://link.springer.com/content/pdf/10.1007%2F978-3-319-73019-6.pdf>>, [29.06.2020]; იხ. შვედეთში აღდგენითი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით: <https://e-justice.europa.eu/content_rights_of_victims_of_crime_in_criminal_proceedings-171-SE-maximizeMS-en.do?clang=en&idSubpage=5&member=1>, [29.06.2020]; იხ. ბელგიაში აღდგენითი მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით: <https://e-justice.europa.eu/content_rights_of_victims_of_crime_in_criminal_proceedings-171-BE-maximizeMS-en.do?clang=en&idSubpage=1&member=1>, [29.06.2020].

სამართლის საქმეებში აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამების ძირითადი პრინციპების შესახებ⁸⁷¹ და ევროპის საბჭოს 1999 წლის რეკომენდაცია სისხლის სამართლის საქმეებში მედიაციის შესახებ.⁸⁷² რაც შეეხება ევროკავშირს, აღდგენითი მართლმსაჯულების შესახებ პირველი ჩანაწერი 2001 წლის ჩარჩო გადანყვეტილებაში გაჩნდა. გაეროსა და ევროპის საბჭოს აქტებისგან იგი იმით განსხვავდებოდა, რომ მას არა სარეკომენდაციო ხასიათი, არამედ შესასრულებლად სავალდებულო ხასიათი ჰქონდა. სწორედ ამიტომ, მისი მიღება საერთაშორისო და ევროპულ დონეზე მიიჩნევა უმნიშვნელოვანეს ნაბიჯად.⁸⁷³

ჩარჩო გადანყვეტილებაში აღდგენით მართლმსაჯულებას მიეძღვნა პირველი და მე-10 მუხლები. პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტში მოცემული იყო აღდგენითი მართლმსაჯულების განმარტება, ხოლო მე-10 მუხლში განმტკიცდა აღდგენითი მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებული დებულებები.

9.2.1.1. აღდგენითი მართლმსაჯულების განმარტება და გამოწვევები

ჩარჩო გადანყვეტილების პირველი მუხლის „ე“ ქვეპუნქტი შემდეგნაირად განმარტავდა აღდგენით მართლმსაჯულებას: „სისხლის სამართლის საქმეებში მედიაცია გავებულ უნდა იქნეს, როგორც სისხლის სამართლის პროცესამდე ან პროცესის ეტაპზე, დაზარალებულისა და დამნაშავეს სწრაფვა, მესამე კომპეტენტური პირის შუამავლობით, მოლაპარაკების გზით შეთანხმების მიღწევისკენ“.

მიუხედავად იმისა, რომ ჩარჩო გადანყვეტილებამ შემოიტანა აღდგენითი მართლმსაჯულების განმარტება, თანამედროვე მეცნიერებაში მიიჩნევა, რომ იგი ბევრი ნაკლოვანებით ხასიათდებოდა. პირველ ნაკლს წარმოადგენდა ის, რომ ჩარჩო გადანყვეტილება ფოკუსირებული იყო „სისხლის სამართლის საქმეებში მედიაციაზე“. აღდგენითი მართლმსაჯულების სხვა ფორმები კი მაგალითად, კონფერენციები არ იყო

⁸⁷¹ ECOSOC Resolution 2002/12 Basic principles on the Use of Restorative Justice Programmes in Criminal Matters.

⁸⁷² Recommendation No. R (99) 19 of the Committee of Ministers to Member States Concerning Mediation in Penal Matters; *Kilchling, M.*: Opferrechte und Restorative Justice, Opferrechte, *Sautner, L., Jesionek, U.* (Hrsg.): Opferrechte in Europäischer, Rechtsvergleichender und Österreichischer Perspektive, Viktimologie und Opferrechte: Schriftenreihe der Weisser Ring, Forschungsgesellschaft Bd. 8, Innsbruck, 2017, S. 65.

⁸⁷³ *Lauwaert, K.*: European Criminal Justice Policies on Victims and Restorative Justice, ნაშრომში: *Vanfraechem, I., Bolívar, D., Aersten, I.* (eds.): Victims and Restorative Justice, Abingdon, New York, 2017, p. 245; *Borgers, M.*: Implementing Framework Decisions, *Common Mark. Law Rev.*, Vol. 44, 2007, p. 1361.

მოაზრებული. მეორე ნაკლს წარმოადგენდა ის, რომ მედიაციის გამოყენება შეიძლებოდა მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესამდე ან პროცესის ეტაპზე. შესაბამისად, იგი არ უშვებდა სასჯელის აღსრულების ეტაპზე მედიაციის განხორციელების შესაძლებლობას. მესამე ნაკლი იყო ის, რომ ჩარჩო გადანყვეტილება მედიაციას მიიჩნევდა, როგორც მოლაპარაკების გზით „შეთანხმების მიღწევისკენ სწრაფვას“. აღსანიშნავია, რომ „შეთანხმების მიღწევის“ მიდგომა სათანადოდ ვერ ასახავს მედიაციის მრავალფეროვან შინაარსს. წარმატებულ მედიაციად შეიძლება ჩაითვალოს მედიაციის ისეთი ფორმა, რომელიც შემოიფარგლება დაზარალებულსა და დამნაშავეს შორის კომუნიკაციით. მაგალითად, როცა დამნაშავე დაზარალებულის წინაშე აღიარებს დანაშაულში მონაწილეობას, როცა იგი პასუხს სცემს დაზარალებულის კითხვებს. შესაბამისად, აუცილებელი არ არის, რომ მედიაციის პროცესი ყოველთვის ითვალისწინებდეს წერილობით შეთანხმებას.⁸⁷⁴

9.2.1.2. 2001 წლის ჩარჩო გადანყვეტილებით დადგენილი სტანდარტი

ჩარჩო გადანყვეტილების მე-10 მუხლის პირველი პუნქტი წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებდა მედიაციის წახალისებას იმ დანაშაულების მიმართ, რომელსაც ისინი აღნიშნული ღონისძიების გამოყენებისთვის სათანადოდ მიიჩნევდნენ.

აღნიშნულმა რეგულაციამ მეცნიერებსა და პრაქტიკოსებში ასევე გამოიწვია კრიტიკა. მაგალითად, *კილხლინგი* მიიჩნევს, რომ მოცემული ჩანაწერი ზოგადი და ფორმალური ხასიათის უფრო იყო, ვიდრე შინაარსობრივად რამის მოქმედი.⁸⁷⁵ *ლაუვერტის* მოსაზრებით, სიტყვა „წახალისების“ გამოყენებამ გამოავლინა აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართ ჩარჩო გადანყვეტილების დადებითი შეხედულება, თუმცა მედიაციის მხოლოდ „წახალისებისა“ და „სათანადო დანაშაულების“ მიმართ გამოყენების რეკომენდაციით შემოფარგვლით, სახელმწიფოებს მიეცათ მოქმედების ფართო არეალი.

⁸⁷⁴ Lauwaert, K.: European Criminal Justice Policies on Victims and Restorative Justice, ნაშრომში: Vanfraechem, I., Bolívar, D., Aersten, I. (eds.): Victims and Restorative Justice, Abingdon, New York, 2017, p. 248.

⁸⁷⁵ Kilchling, M.: Opferrechte und Restorative Justice, ნაშრომში: Sautner, L., Jesionek, U. (Hrsg.): Opferrechte in Europäischer, Rechtsvergleichender und Österreichischer Perspektive, Viktimologie und Opferrechte: Schriftenreihe der Weisser Ring, Forschungsgesellschaft Bd. 8, Innsbruck, 2017, S. 67.

მათ მიეცათ შესაძლებლობა მხოლოდ მინიმალური მოცულობით გამოეყენებინათ აღდგენითი მართლმსაჯულება, ისიც ნაკლებად მძიმე დანაშაულების მიმართ, რაც გამოიწვევდა ზოგიერთი დანაშაულის საერთოდ გამორიცხვას.⁸⁷⁶

რაც შეეხება ჩარჩო გადაწყვეტილების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტს, მის თანახმად, სახელმწიფოებს უნდა გაეთვალისწინებინათ დაზარალებულსა და დამნაშავეს შორის მედიაციის ფარგლებში მიღწეული შეთანხმება. აღნიშნული ფრაზა ცხადყოფდა, რომ მედიაციის შედეგის მიმართ უნდა ყოფილი სერიოზული დამოკიდებულება. იგი ასევე მიუთითებდა იმაზე, რომ წევრ სახელმწიფოებს სისხლის სამართლის პროცესში მედიაციისთვის უნდა მიეჩინათ სათანადო ადგილი.⁸⁷⁷

9.2.2. 2012 წლის დირექტივა

2001 წლის ჩარჩო გადაწყვეტილებისგან განსხვავებით, 2012 წლის დირექტივაში აღდგენით მართლმსაჯულებას უფრო დიდი ყურადღება დაეთმო. იგი აღიარებს დაზარალებულისთვის აღდგენითი მართლმსაჯულების სარგებლიანობას,⁸⁷⁸ უფრო მეტიც, დირექტივაში აღდგენითი მართლმსაჯულების განმტკიცებით, მოხდა მნიშვნელოვანი აქცენტის დასმა: აღდგენითი მართლმსაჯულება აღარ წარმოადგენს დამნაშავეზე ორიენტირებულ ინსტრუმენტს, როგორც ეს მართლმსაჯულების სისტემაში უმეტესწილად იყო გაგებული, არამედ გახდა დაზარალებულის სასარგებლო მექანიზმი.⁸⁷⁹ დირექტივა ფართოდ განმარტავს აღდგენით მართლმსაჯულებას (მე-2 მუხლი); მოითხოვს დაზარალებულის ინფორმირებას აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისების შესახებ (მე-4 მუხლი); სახელმწიფოსგან მოითხოვს აღდგენითი მართლმსაჯულების განხორციელებისას ისეთი პირობების შექმნას, რომ გამოირიცხოს დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაცია (მე-12 მუხლი); ასევე მოითხოვს სახელმწიფოების მხრიდან მხარდაჭერას, რომ საქმე გადამისამართდეს აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისებთან

⁸⁷⁶ Lauwaert, K.: European Criminal Justice Policies on Victims and Restorative Justice, ნაშრომში: Vanfraechem, I., Bolívar, D., Aersten, I. (eds.): Victims and Restorative Justice, Abingdon, New York, 2017, pp. 248-249.

⁸⁷⁷ იქვე.

⁸⁷⁸ Victims' Directive, Recital 46.

⁸⁷⁹ Kilchling, M.: Opferrechte und Restorative Justice, ნაშრომში: Sautner, L., Jesionek, U. (Hrsg.): Opferrechte in Europäischer, Rechtsvergleichender und Österreichischer Perspektive, Viktimologie und Opferrechte: Schriftenreihe der Weisser Ring, Forschungsgesellschaft Bd. 8, Innsbruck, 2017, S. 67.

(მე-12 მუხლი); მოითხოვს აღდგენითი მართლმსაჯულების განმახორციელებელი პრაქტიკოსების დატრენინგებას (25-ე მუხლი);⁸⁸⁰ ასევე მოითხოვს აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისებს შორის თანამშრომლობასა და კოორდინაციას (26-ე მუხლი).⁸⁸¹ ასევე მნიშვნელოვანია, რომ დირექტივა აღდგენით მართლმსაჯულებას განიხილავს როგორც სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ალტერნატივას, ისე მის შემავსებელ ნაწილს.⁸⁸²

თუმცა უნდა აღინიშნოს, დირექტივა სახელმწიფოებს არ ავალდებულებს აღდგენითი მართლმსაჯულების შემოღებას.⁸⁸³ იგი დაზარალებულისთვის არ ადგენს აღდგენით მართლმსაჯულებაზე წვდომის უფლებას, დირექტივა ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ იმაზე, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენებისას აუცილებელია დაზარალებულის დაცვა. აქედან გამომდინარე, იგი შემოიფარგლება მხოლოდ დაცვის ღონისძიებების უფლების განმტკიცებით.⁸⁸⁴ თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მოცემული მუხლი დირექტივის მე-3 თავშია განთავსებული, რომელშიც განმტკიცებულია სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულისთვის მისანიჭებელი უფლებები, გასაკვირია, მე-12 მუხლი, რომელიც არ ადგენს აღდგენით მართლმსაჯულებაზე წვდომის უფლებას, რატომ მოხვდა დირექტივის მე-3 თავში.⁸⁸⁵ ის, რომ დირექტივამ დაზარალებულს არ მიანიჭა აღდგენით მართლმსაჯულებაზე წვდომის უფლება, ხშირად დირექტივის მარცხადაც კი აღიქმება.⁸⁸⁶ დღეს როგორც მეცნიერები, ისე აღდგენითი

⁸⁸⁰ *EFRJ*: Practice Guide for Restorative Justice Services: The Victims' Directive Challenges and Opportunities for Restorative Justice, Leuven, 2016, p. 6, <<https://www.euforumrj.org/sites/default/files/2019-11/practice-guide-with-cover-page-for-website.pdf>>, [29.06.2020].

⁸⁸¹ იქვე, p. 17.

⁸⁸² *Blackstock, J.*: Protecting Victims: EU Competences and Mechanisms for Safeguards, Symposium: "Legal Perspectives on the Victim", Nottingham Trent University, 2012, p. 8.

⁸⁸³ *European Commission*: DG Justice Guidance Document related to the Transposition and Implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 Establishing Minimum Standards on the Rights, Support and Protection of Victims of Crime, and Replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804 - 19/12/2013, pp. 32-33.

⁸⁸⁴ *APAV*: IVOR Report: Implementing Victim-Oriented Reform of the Criminal Justice System in the European Union, Lisbon, 2016, p. 195, <<https://www.apav.pt/ivor/images/ivor/PDFs/IVOR-Report-WebVersion.pdf>>, [10.05.2020].

⁸⁸⁵ იქვე.

⁸⁸⁶ *EFRJ*: Briefing Paper about the Regulation of Restorative Justice in the Directive 2012/29/EU, Leuven, 2016, p. 12, <<https://www.euforumrj.org/sites/default/files/2020-01/efrj-briefing-paper-rj-in-the-victims-directive.pdf>>, [30.06.2020].

მართლმსაჯულების მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციები მიიჩნევენ, რომ დაცვის ღონისძიებების უფლების მაგივრად, ევროპას რეალურად აღდგენით მართლმსაჯულებაზე წვდომის უფლება ესაჭიროება.⁸⁸⁷

ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, პრობლემურია დირექტივის ტონი აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართ. მე-12 მუხლი იწყება პირდაპირ დაცვის ღონისძიებებზე აქცენტის დასმით, რითაც იქმნება შთაბეჭდილება, რომ დაზარალებულის აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამებისგან დასაცავია.⁸⁸⁸ ამას ემატება დირექტივის პრეამბულის 46-ე პუნქტი, რომლის თანახმად, აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამები დაზარალებულისთვის შეიძლება ძალიან დიდი სარგებლის მომტანი იყოს, მაგრამ არ ავრცობს ამ საკითხს და პირდაპირ დაცვის ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე საუბრობს.⁸⁸⁹ შეიძლება ითქვას, რომ დირექტივა ასეთი ტონით აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართ უნდო დამოკიდებულებას გამოხატავს.⁸⁹⁰

9.2.2.1. აღდგენითი მართლმსაჯულების განმარტება

დირექტივის მე-2 მუხლის 1.დ. პუნქტის თანახმად, აღდგენითი მართლმსაჯულება არის ნებისმიერი პროცესი, სადაც დაზარალებულსა და დამნაშავეს შეუძლიათ, მათი თანხმობის შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმის მოგვარებაში აქტიურად მიიღონ მონაწილეობა მესამე, მიუკერძოებელი მხარის დახმარებით.

მოცემული განმარტების ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, დირექტივა აღიარებს აღდგენითი მართლმსაჯულების სხვადასხვა ფორმებს და იგი არ არის ფოკუსირებული მხოლოდ მედიაციაზე. გარდა ამისა, იგი აერთიანებს აღდგენითი

⁸⁸⁷ იქვე, 16; *Van Dijk, J.J.M.*: Victim- Centred Restorative Justice, *Restorative Justice: An International Journal*, Vol. 1, Iss. 3, 2013, p. 429.

⁸⁸⁸ *Kilchling, M.*: Opferrechte und Restorative Justice, ნაშრომში: *Sautner, L., Jesionek, U.* (Hrsg.): Opferrechte in Europäischer, Rechtsvergleichender und Österreichischer Perspektive, *Viktimologie und Opferrechte: Schriftenreihe der Weisser Ring, Forschungsgesellschaft* Bd. 8, Innsbruck, 2017, S. 71.

⁸⁸⁹ *EFRJ*: Briefing Paper about the Regulation of Restorative Justice in the Directive 2012/29/EU, Leuven, 2016, pp. 12-13, <<https://www.euforumrj.org/sites/default/files/2020-01/efrj-briefing-paper-rj-in-the-victims-directive.pdf>>, [30.06.2020].

⁸⁹⁰ *Lauwaert, K.*: European Criminal Justice Policies on Victims and Restorative Justice, ნაშრომში: *Vanfraechem, I., Bolívar, D., Aersten, I.* (eds.): *Victims and Restorative Justice*, Abingdon, New York, 2017, p. 260.

მართლმსაჯულების როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ ფორმებსაც. არაპირდაპირ მედიაში იგულისხმება დაზარალებულსა და დამნაშავეს შორის კომუნიკაცია მათი პირისპირ შეხვედრის გარეშე, მაგალითად წერილით ან აუდიო-ვიდეო ტექნიკური საშუალებებით. აღნიშნული ჩანაწერი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღევანდელი პრაქტიკის ფონზე, ვინაიდან არაპირდაპირი მედიაში ძალიან ხშირად გამოიყენება, მაგალითად მძიმე დანაშაულების შემთხვევაში, სადაც დაზარალებულის და დამნაშავეს პირისპირ შეხვედრა შეუძლებელია არ იყოს მიზანშეწონილი.⁸⁹¹

2001 წლის ჩარჩო გადაწყვეტილებისგან განსხვავებით, დირექტივა ასევე არ არის ფოკუსირებული შეთანხმების მიღწევის მოდელზე. შესაბამისად, დირექტივა აღიარებს ისეთ პროგრამებს, რომელიც ორიენტირებულია კომუნიკაციაზე და არ მთავრდება მხარეთა შეთანხმებით.⁸⁹²

მნიშვნელოვანია, რომ დირექტივა ტექსტში იხსენიებს მხოლოდ დაზარალებულს და დამნაშავეს, თუმცა აღნიშნული ჩანაწერი არ გამორიცხავს პროცესში სხვა მხარეების, მაგალითად, მხარდამჭერების ან საზოგადოების სხვა წევრების მონაწილეობას.⁸⁹³

აღდგენითი მართლმსაჯულების განმარტება, რომელიც მოცემულია დირექტივის მე-2 მუხლში, არ აღგენს აღდგენითი მართლმსაჯულების განხორციელებისთვის დროის ლიმიტს, შესაბამისად იძლევა შესაძლებლობას, რომ აღდგენითი მართლმსაჯულება განხორციელდეს სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე, გამოძიებიდან დაწყებული სასჯელის შეფარდების ჩათვლით და ასევე სასჯელის აღსრულების ეტაპზეც.⁸⁹⁴ დირექტივის იმპლემენტაციის დოკუმენტშიც აღნიშნულია, რომ აღდგენითი მართლმსაჯულება აერთიანებს სხვადასხვა პროგრამებს, რომელიც შეიძლება მიბმული იყოს სისხლის სამართლის პროცესს, მიმდინარეობდეს მის წინ, მასთან ერთად ან მის

⁸⁹¹ იქვე, 256.

⁸⁹² იქვე, 255; *EFRJ*: Practice Guide for Restorative Justice Services: The Victims' Directive Challenges and Opportunities for Restorative Justice, Leuven, 2016, p. 8, <<https://www.euforumrj.org/sites/default/files/2019-11/practice-guide-with-cover-page-for-website.pdf>>, [29.06.2020].

⁸⁹³ *EFRJ*: Practice Guide for Restorative Justice Services: The Victims' Directive Challenges and Opportunities for Restorative Justice, Leuven, 2016, p. 8, <<https://www.euforumrj.org/sites/default/files/2019-11/practice-guide-with-cover-page-for-website.pdf>>, [29.06.2020].

⁸⁹⁴ *EFRJ*: Briefing Paper about the Regulation of Restorative Justice in the Directive 2012/29/EU, Leuven, 2016, p. 9, <<https://www.euforumrj.org/sites/default/files/2020-01/efrj-briefing-paper-rj-in-the-victims-directive.pdf>>, [30.06.2020].

შემდეგ.⁸⁹⁵ აღნიშნული განსხვავდება 2001 წლის ჩარჩო გადაწყვეტილების მიდგომისგან, რომლის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეებში მედიაცია გამოიყენებოდა მხოლოდ სისხლის სამართლის პროცესამდე ან პროცესის ეტაპზე.⁸⁹⁶ უნდა აღნიშნოს, რომ ისეთ ევროპულ სახელმწიფოებში, როგორცაა დიდი ბრიტანეთი, გერმანია, ბელგია და საფრანგეთი აღდგენითი მართლმსაჯულების სერვისები უკვე მოქმედებს სასჯელის აღსრულების ეტაპზე.⁸⁹⁷

ღირეფტივა ასევე უშვებს აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენებას ყველა დანაშაულის მიმართ.⁸⁹⁸ იგი მხოლოდ და მხოლოდ აღნიშნავს იმ ფაქტორებს, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს აღდგენითი მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. ასეთ ფაქტორებს მიეკუთვნება დანაშაულის ხასიათი და სიმძიმე; მიღებული ტრავმის სიმძიმე; დაზარალებულის ფიზიკური, სექსუალური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის სისტემატიური (განმეორებადი) ხელყოფა; ძალების უთანასწორობა; ასაკი; სიმწიფე ან დაზარალებულის ინტელექტუალური შესაძლებლობები.⁸⁹⁹ მნიშვნელოვანია, რომ დაზარალებულს, მიუხედავად მისი მოწყვლადობისა, ჰქონდეს აღდგენით მართლმსაჯულებაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა. კვლევები ცხადყოფს, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების წარმატებით ჩატარებისთვის მნიშვნელობა აქვს უშუალოდ პროცესს და არა დანაშაულის სახეობას,

⁸⁹⁵ *European Commission*: DG Justice, Guidance Document related to the transposition and implementation of Directive 2012/29/EU of the European Parliament and of the Council of 25 October 2012 establishing minimum standards on the rights, support and protection of victims of crime, and replacing Council Framework Decision 2001/220/JHA, Ref. Ares (2013)3763804, 2013, pp. 32-33.

⁸⁹⁶ *Lauwaert, K.*: European Criminal Justice Policies on Victims and Restorative Justice, ნაშრომში: *Vanfraechem, I., Bolívar, D., Aersten, I.* (eds.): *Victims and Restorative Justice*, Abingdon, New York, 2017, p. 256.

⁸⁹⁷ *Kasper, J., Schlickum, G., Weiler, E.*: *Der Täter-Opfer-Ausgleich*, München, 2014, S. 53-54; *Kilchling, M.*: *Opferrechte und Restorative Justice*, ნაშრომში: *Sautner, L., Jesionek, U.* (Hrsg.): *Opferrechte in Europäischer, Rechtsvergleichender und Österreichischer Perspektive, Viktimologie und Opferrechte: Schriftenreihe der Weisser Ring, Forschungsgesellschaft Bd. 8*, Innsbruck, 2017, S. 77; *Deymié, B.*: *Justice Restaurative: Le Dialogue avant la Peine*, *Revue Projet*, Vol. 366, Iss. 5, 2018, p. 80.

⁸⁹⁸ *APAV*: *IVOR Report: Implementing Victim-Oriented Reform of the Criminal Justice System in the European Union*, Lisbon, 2016, p. 56, <<https://www.apav.pt/ivor/images/ivor/PDFs/IVOR-Report-WebVersion.pdf>>, [10.05.2020].

⁸⁹⁹ *EFRJ*: *Victims and Restorative Justice: Country Report*, Leuven, 2015, p. 142, <https://www.euforumrj.org/sites/default/files/2019-11/report_victimsandrij-2.pdf>, [30.06.2020].

დანაშაულის სამართლებრივ კვალიფიკაციას, დანაშაულის მსხვერპლთა კატეგორიას ან დანაშაულის მსხვერპლისთვის მიყენებული ზიანის სიმძიმეს.⁹⁰⁰

9.2.2.2. აღდგენითი მართლმსაჯულების მიმართ მოქმედი სტანდარტი

მიუხედავად იმისა, რომ დირექტივით დაზარალებულისთვის არ იქნა გარანტირებული აღდგენით მართლმსაჯულებაზე წვდომის უფლება, დირექტივა მოითხოვს, რომ თუ აღდგენითი მართლმსაჯულება შეთავაზებული იქნება დაზარალებულისთვის, მაშინ იგი უნდა პასუხობდეს დირექტივით დადგენილ სტანდარტებს, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენენ დაზარალებულის დაცვის მინიმალურ გარანტიებს.⁹⁰¹

დირექტივის მე-12 მუხლი სახელმწიფოებს ავალდებულებს, აღდგენითი მართლმსაჯულების მოქმედების შემთხვევაში, გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები, რათა თავიდან იქნეს აცილებული დაზარალებულის მეორეული და ხელახალი ვიქტიმიზაცია, დაშინება და შურისძიება. გარდა ამისა, დირექტივა მოითხოვს, რომ თუ დაზარალებული გადაწყვეტს აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამაში მონაწილეობას, მას წვდომა ჰქონდეს უსაფრთხო და კომპეტენტურ მომსახურებაზე.

დირექტივა მოითხოვს, რომ დაზარალებულის მონაწილეობა იყოს ნებაყოფლობითი, ამასთან გამოყოფს სამ მიმართულებას: პირველ რიგში სახეზე უნდა იყოს დაზარალებულის ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება აღდგენით მართლმსაჯულებაში მონაწილეობის შესახებ. მოცემული გადაწყვეტილება უნდა ემყარებოდეს ინფორმირებულ თანხმობას, რომელსაც თავის მხრივ წინ უნდა უსწრებდეს დაზარალებულისთვის სრული და მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდება პროცესის, პროცესის სავარაუდო შედეგებისა და შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, მის შესრულებაზე ზედამხედველობის პროცედურების შესახებ. გარდა ამისა, პროცესში

⁹⁰⁰ *EFRJ*: Briefing Paper about the Regulation of Restorative Justice in the Directive 2012/29/EU, Leuven, 2016, p. 14, <<https://www.euforumrj.org/sites/default/files/2020-01/efrj-briefing-paper-rj-in-the-victims-directive.pdf>>, [30.06.2020]; *Kasper, J., Schlickum, G., Weiler, E.*: Der Täter-Opfer-Ausgleich, München, 2014, S. 81-82.

⁹⁰¹ *EFRJ*: Practice Guide for Restorative Justice Services: The Victims' Directive Challenges and Opportunities for Restorative Justice, Leuven, 2016, p. 4, <<https://www.euforumrj.org/sites/default/files/2019-11/practice-guide-with-cover-page-for-website.pdf>>, [29.06.2020]; *Gavrielides, T.*: The Victims' Directive and What Victims Want from Restorative Justice, *Victims & Offenders*, Vol. 12, Iss. 1, 2015, p. 9.

მონაწილეების შესახებ თანხმობა შეიძლება ნებისმიერ დროს უკან იქნეს გამოთხოვილი, ანუ დაზარალებულს ნებისმიერ დროს უნდა შეეძლოს უარი თქვას პროცესის გაგრძელებაზე. და ბოლოს, აღდგენითი მართლმსაჯულების ფარგლებში მიღწეული ნებისმიერი შეთანხმება უნდა იყოს ნებაყოფლობითი.⁹⁰²

დირექტივა ასევე მოითხოვს კონფიდენციალურობის დაცვას. დირექტივის თანახმად, აღდგენითი მართლმსაჯულების ფარგლებში, არასაჯაროდ განხორციელებული საუბრები არ შეიძლება გამჟღავნდეს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ მხარეები ამაზე შეთანხმდებიან ან თუ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, გამჟღავნების მიმართ არსებობს უფრო დიდი საჯარო ინტერესი. დირექტივის პრეამბულის 46-ე პუნქტის თანახმად, თუ პროცესის დროს ადგილი ექნება მუქარის ან ძალადობის სხვა ფორმით გამოვლინებას, მაშინ აღნიშნული შეიძლება გახდეს გამჟღავნების საფუძველი. მოცემული დებულების მთავარი მიზანია დაიცვას დაზარალებული და არ მოხდეს დამნაშავის მიერ პროცესის გამოყენება დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციის, დაშინებისა და შურისძიების მიზნით.⁹⁰³

დირექტივა ასევე მოითხოვს, რომ დამნაშავემ აღიაროს საქმის ძირითადი ფაქტობრივი გარემოებები. ლიტერატურაში ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიციები არსებობს და ერთმანეთს უპირისპირდება სამართლებრივი და ფსიქოლოგიური ასპექტები. სამართლებრივი კუთხით, ფაქტიურად აზრი ეკარგება უდანაშაულობის პრეზუმფციასა და დუმილის უფლებას, თუ ბრალდებული არ უარყოფს, რომ იგი მონაწილეობდა დანაშაულში. ბრალის აღიარების შემთხვევაში, მედიაციის შედეგად მიღწეული შეთანხმება აუცილებლად უნდა იწვევდეს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას. ფსიქოლოგიური კუთხით, მხოლოდ ბრალდებულის მიერ ბრალის სრული აღიარების შემდეგ ექნება აზრი დაზარალებულისთვის აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობას. დირექტივამ შეარჩია შუალედური პოზიცია, იგი იმეორებს ევროპის საბჭოს 1999 წლის რეკომენდაციის პოზიციას, რომლითაც იგი არ

⁹⁰² Lauwaert, K.: European Criminal Justice Policies on Victims and Restorative Justice, ნაშრომში: Vanfraechem, I., Bolívar, D., Aersten, I. (eds.): Victims and Restorative Justice, Abingdon, New York, 2017, p. 257.

⁹⁰³ იქვე, p. 255; EFRJ: Briefing Paper about the Regulation of Restorative Justice in the Directive 2012/29/EU, Leuven, 2016, p. 15, <<https://www.euforumrj.org/sites/default/files/2020-01/efrj-briefing-paper-rj-in-the-victims-directive.pdf>>, [30.06.2020].

მოითხოვს ბრალის აღიარებას. მინიმალური მოთხოვნაა, რომ დამნაშავემ სრულად არ უარყოს ფაქტები. დაზარალებულსა და დამნაშავეს შორის კომუნიკაციის დანწყებისათვის საკმარისია, რომ დამნაშავემ სრულად ან ნახევრად აღიაროს მომხდარში მისი მონაწილეობა.⁹⁰⁴

ღირექტივის თანახმად, აღდგენითი მართლმსაჯულების ფარგლებში მიღწეული შეთანხმება შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს სისხლის სამართლის პროცესში. მოცემული დებულების მნიშვნელოვანი მიღწევა ისაა, რომ იგი აღდგენით მართლმსაჯულებას უკავშირებს სისხლის სამართლის პროცესს და თავიდან იცილებს აღდგენითი მართლმსაჯულების განვითარებას სისხლის სამართლის პროცესისგან დამოუკიდებლად.

ღირექტივაში ასევე ჩადებულია უსაფრთხოების მოთხოვნა. მე-12 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი მოითხოვს, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამები გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, თუ იგი შედის დაზარალებულის ინტერესში. გარდა ამისა, ღირექტივის პრეამბულის 46-ე პუნქტი აღნიშნავს, რომ აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამებმა პირველ რიგში უნდა გაითვალისწინონ დაზარალებულის ინტერესები და საჭიროებები. აღდგენითი მართლმსაჯულების ევროპული ფორუმის მოსაზრებით, დაზარალებულის ინტერესების დაცვა ღირექტივის მიზნებში შედის, თუმცა აღდგენითი მართლმსაჯულების პროცესში მხოლოდ დაზარალებულის საჭიროებებზე აპელირებით ირღვევა მართლმსაჯულების მთავარი პრინციპი - ნეიტრალურობა, ანუ დაბალანსებული მიდგომა დაზარალებულის, დამნაშავესა და საზოგადოების ინტერესებს შორის.⁹⁰⁵ კილხლინგი თვლის, რომ ჩანაწერი უხეშ შეუსაბამობაში მოდის მიუკერძოებლობის პრინციპთან.⁹⁰⁶ ლაუვერტის მოსაზრებით არ არის გასაკვირი, რომ დაზარალებულისთვის მიძღვნილ დოკუმენტში ყურადღება

⁹⁰⁴ Lauwaert, K.: European Criminal Justice Policies on Victims and Restorative Justice, ნაშრომში: Vanfraechem, I., Bolívar, D., Aersten, I. (eds.): Victims and Restorative Justice, Abingdon, New York, 2017, p. 258.

⁹⁰⁵ EFRJ: Briefing Paper about the Regulation of Restorative Justice in the Directive 2012/29/EU, Leuven, 2016, p. 15, <<https://www.euforumj.org/sites/default/files/2020-01/efrj-briefing-paper-rj-in-the-victims-directive.pdf>>, [30.06.2020].

⁹⁰⁶ Kilchling, M.: Opferrechte und Restorative Justice, ნაშრომში: Sautner, L., Jesionek, U. (Hrsg.): Opferrechte in Europäischer, Rechtsvergleichender und Österreichischer Perspektive, Viktimologie und Opferrechte: Schriftenreihe der Weisser Ring, Forschungsgesellschaft Bd. 8, Innsbruck, 2017, S. 72.

მახვილდება დაზარალებულზე, თუმცა თვლის, რომ სამწუხაროდ დირექტივის მე-12 მუხლი საფუძველს უყრის იდეას, რომ აღდგენითი მართლმსაჯულება განხილულ იქნეს როგორც მხოლოდ და მხოლოდ დაზარალებულის ინტერესების გამტარებელი ინსტრუმენტი.⁹⁰⁷ თუმცა ასევე შესაძლებელია, რომ დირექტივაში იმიტომ ჩაიდო მოცემული დებულება, რომ გამორიცხულიყო აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენება მხოლოდ და მხოლოდ დამნაშავეს რესოციალიზაციის მიზნებისთვის, რაც წლების განმავლობაში პრაქტიკაში დიდ პრობლემას წარმოადგენდა.⁹⁰⁸

9.3. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა

საქართველომაც ფეხი აუწყო საერთაშორისო დონეზე არსებულ ტენდენციას და სისხლის სამართალში დაინერგა აღდგენითი მართლმსაჯულება. არასრულწლოვანების მართლმსაჯულების სისტემაში მოქმედებს განრიდებისა და მედიაციის პროგრამის სახით,⁹⁰⁹ სრულწლოვანთა მართლმსაჯულება კი არ იცნობს მედიაციის პროგრამას. იგი იცნობს მხოლოდ განრიდების პროგრამას. განრიდება, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, გამოიყენება ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის შემთხვევაში.⁹¹⁰ სსსკ-ის 168¹ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, პროკურორს შეუძლია არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა პირის მიმართ, რომელიც შეასრულებს იმავე მუხლით დადგენილი პირობებიდან ერთ-ერთს. ასეთ ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს მისი ქმედებით მიყენებული ზიანის სრული ან ნაწილობრივი ანაზღაურება.⁹¹¹ დაზარალებულისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოცემული ნორმის არსებობას, ვინაიდან ზიანის ანაზღაურებით დამნაშავე აღიარებს მის

⁹⁰⁷ Lauwaert, K.: European Criminal Justice Policies on Victims and Restorative Justice, ნაშრომში: Vanfraechem, I., Bolívar, D., Aersten, I. (eds.): Victims and Restorative Justice, Abingdon, New York, 2017, p. 267.

⁹⁰⁸ Balß, R., Baurmann, M. C., Lieser, U., Rein, D., Voß, H.G. W.: Opfer und Zeugen bei der Polizei, BKA, München, 2001, S. 6.

⁹⁰⁹ ჩხეიძე, ი.: აღდგენითი მართლმსაჯულების ელემენტები საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში, მართლმსაჯულება და კანონი, #5(48)'15, 2015, გვ. 114; თანდილაშვილი, ბ.: სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებები ევროპული და ქართული კანონმდებლობის მიხედვით, DGStZ, No. 2, 2017, გვ. 55-56, <<http://www.dgstz.de/storage/documents/HLIfKffRj6fKu2z37r81AsxGIkyisXchAZW9ySTc.pdf>>, [16.06.2020].

⁹¹⁰ თოლორაია, ლ.: ნაშრომში: ვიორგაძე, ვ. (რედ.): სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, 2015, გვ. 487-488.

⁹¹¹ სსსკ, 168¹ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

ქმედებას, მიყენებულ ზიანზე იღებს პასუხისმგებლობას და ცდილობს დანაშაულამდე არსებული მდგომარეობის აღდგენას.⁹¹² დანაშაულამდე არსებული მდგომარეობის აღდგენით კი ხდება დაზარალებულის რესოციალიზაცია, შესაბამისად, ზიანის ანაზღაურება პირდაპირ კავშირშია დაზარალებულის რესოციალიზაციასთან.⁹¹³ 2018-2020 წლების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 168¹ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, მთლიან ჯამში განრიდებულ იქნა 706 პირი (2018 წელი - 199 პირი, 2019 წელი - 312, 2020 წელი - 195),⁹¹⁴ შესაბამისად, 3 წლის განმავლობაში 706 დაზარალებულს აუნაზღაურდა ზიანი. ვერ ვიტყვით, რომ ეს მაღალი მაჩვენებელია, თუმცა დადებითად უნდა შეფასდეს ის, რომ კანონმდებლობა იძლევა განრიდების სახით ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას.

საქართველოში განრიდება გამოიყენება მხოლოდ ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის შემთხვევაში.⁹¹⁵ საკითხის ასეთი მონესრიგება დაზარალებულის კუთხით პრობლემურია.⁹¹⁶ მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხილოთ გაუპატიურების შემთხვევა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, „მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისთვის ამ კოდექსით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება ათი წლით თავისუფლების აღკვეთას, აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით.“. ხოლო მე-4 ნაწილის მიხედვით, „განსაკუთრებით მძიმეა ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულია სასჯელის სახით

⁹¹² იხ. აღდგენითი მართლმსაჯულების მნიშვნელობასთან დაკავშირებით: <https://www.justice.gc.ca/eng/rp-pr/csj-sjc/jsp-sjp/rr00_16/p3.html>, [30.06.2020].

⁹¹³ ქეთათელაძე, მ.: განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში, თბილისი, 2017, გვ. 158-161, <<https://sdasu.edu.ge/media/1001542/2017/12/20/28062f3bb2d78ba94c4cd9a60f305075.pdf>>, [14.07.2021].

⁹¹⁴ საქართველოს გენერალური პროკურატურის 2021 წლის 28 ივლისის წერილი N13/45795.

⁹¹⁵ ლეონიძე, ი.: განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტის საკანონმდებლო რეგულირება სისხლის სამართლის პროცესში და მისი ფუნქციონირების ცალკეული სამართლებრივი ასპექტები, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწადური 2018-2019, გვ. 139, <<http://www.library.court.ge/upload/weliwdeuli2018-19-spec.pdf>>, [14.07.2021].

⁹¹⁶ შვად. უცხოურ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას განრიდების გამოყენებასთან დაკავშირებით: *Kilchling, M.*: Opferrechte und Restorative Justice, Opferrechte, ნაშრომში: *Sautner, L., Jesionek, U.* (Hrsg.): Opferrechte in Europäischer, Rechtsvergleichender und Österreichischer Perspektive, Viktimologie und Opferrechte: Schriftenreihe der Weisser Ring, Forschungsgesellschaft Bd. 8, Innsbruck, 2017, S. 54-55.

თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.“ სსკ-ის 137-ე მუხლის მიხედვით, თუ გაუპატიურება ჩადენილია პირველი ნაწილით, ანუ დამამძიმებელი გარემოებების გარეშე, მისთვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით ექვსიდან რვა წლამდე. შესაბამისად, მოცემული დანაშაული წარმოადგენს მძიმე დანაშაულს და მის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს განრიდება. ხოლო თუ ჩადენილია სსკ-ის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით - არაერთგზის, ან „ბ“ ქვეპუნქტის - იმის მიერ, ვისაც ადრე ჩადენილი ჰქონდა ამ კოდექსის 138–141-ე (სქესობრივი დანაშაულები) მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, მაშინ სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ვადით ათიდან ცამეტ წლამდე, შესაბამისად, სახეზე გვაქვს მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. აქედან გამომდინარეობს, რომ განრიდების გამოყენება დამოკიდებული ხდება ბრალდებულის პიროვნებაზე და მის კრიმინალურ წარსულზე და არა დაზარალებულისთვის მიყენებულ ზიანზე. შესაბამისად, სისტემა, რომელიც დანაშაულის მსხვერპლთა გარკვეულ ჯგუფს გამორიცხავს აღდგენითი მართლმსაჯულებიდან, ვერ დააკმაყოფილებს დაზარალებულის საჭიროებებს.⁹¹⁷

პრობლემატურია ასევე ის, რომ სრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში არ მოქმედებს აღდგენითი მართლმსაჯულების ისეთი ფორმები როგორცაა მედიაცია, აღდგენითი კონფერენციები, წრიული პროცესები, რომლებიც დაზარალებულს დაეხმარებოდა მისი საჭიროებების დაკმაყოფილებაში. მაგალითად მედიაციაში მონაწილეობით დაზარალებულს ეძლევა შესაძლებლობა დამნაშავეს აუხსნას, თუ რა ზიანი მიადგა მას დამნაშავეს ქმედების შედეგად, მას ასევე შეუძლია კითხვები დაუსვას დამნაშავეს, ამით გაიგოს უფრო მეტი დამნაშავეს შესახებ, რაც დაზარალებულს უმარტივებს დანაშაულის შემდეგ გაჩენილი შიშის დაძლევას. გარდა ამისა, მედიაცია დაზარალებულს საშუალებას

⁹¹⁷ შეად. *Kilchling, M.*: Opferrechte und Restorative Justice, Opferrechte, ნაშრომში: *Sautner, L., Jesionek, U.* (Hrsg.): Opferrechte in Europäischer, Rechtsvergleichender und Österreichischer Perspektive, Viktimologie und Opferrechte: Schriftenreihe der Weisser Ring, Forschungsgesellschaft Bd. 8, Innsbruck, 2017, S. 54-55, 76, 78; *Gavrielides, T.*: The Victims' Directive and What Victims Want from Restorative Justice, *Victims & Offenders*, Vol. 12, Iss. 1, 2015, p. 13.

აძლევს აქტიური მონაწილეობა მიიღოს სამართლიანობის აღდგენაში. ეს ყველაფერი კი მას ეხმარება ტრავმების დაძლევაში.⁹¹⁸

საქართველოში დაზარალებულისთვის მედიაციაში მონაწილეობის სარგებლიანობაზე მიუთითებს არასრულწლოვანთა და 18-21 წლის ასაკის პირთა მიმართ მედიაციის გამოყენების მაჩვენებელი, რომელიც 2016 წლიდან მოყოლებული იზრდება⁹¹⁹ (თუ არ ჩავთვლით 2020 წელს, რომელშიც კორონა ვირუსის გამო საქართველოში გარკვეული პერიოდის გამოცხადებულ იქნა საგანგებო მდგომარეობა, რომლის მოქმედების პერიოდშიც საქმეთა უმრავლესობაში შეჩერებულ იქნა განრიდება-მედიაციის პროგრამის გამოყენება.⁹²⁰).

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მსგავსად, სრულწლოვანთა მართლმსაჯულებაშიც დაინერგოს მედიაციის პროგრამა ან აღდგენითი მართლმსაჯულების სხვა ფორმებიც, რომელთა გამოყენებისას გათვალისწინებული იქნება დირექტივით დადგენილი სტანდარტები.

10. უფლებების დარღვევის გასაჩივრების უფლება

10.1. შეჯიბრებითი სისტემის მქონე ქვეყნები

როგორც უკვე მრავალჯერ აღინიშნა, შეჯიბრებით სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებული საუკუნეების განმავლობაში გარიყული იყო. მხოლოდ 1980-იანი წლებიდან დაიწყო საერთაშორისო დონეზე დაზარალებულზე ზრუნვა და წინ წამოინია მისთვის უფლებების მინიჭების საკითხმა. მრავალმა სახელმწიფომ მიიღო დაზარალებულის უფლებების ბილი და კოდექსები, რომლებშიც გაიწერა

⁹¹⁸ ერცენი, ი., *ჯავახიშვილი, ჯ., ჯავახიშვილი, ლ.*: აღდგენითი მართლმსაჯულების სახელმძღვანელო საუნივერსიტეტო და პროფესიული სწავლებისათვის, 2020, გვ. 86-87, <http://www.library.court.ge/upload/aRdgeniTimarTlmsajulebis_saxelmZRvanelo.pdf>, [10.06.2021].

⁹¹⁹ საქართველოს გენერალური პროკურატურა, 2018 წლის განრიდება-მედიაციის პროგრამის ანალიზი, 2019, გვ. 24; საქართველოს გენერალური პროკურატურა, არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის პროგრამის ანალიზი (2019 წლის მდგომარეობის მიხედვით), 2020, გვ. 24, <<https://pog.gov.ge/uploads/429f65a7-ganrideba-2019-weli-converted.pdf>>, [14.07.2021]; საქართველოში მედიაციის გამოყენებასთან დაკავშირებით: <<http://prevention.gov.ge/page/31/geo>>, [14.07.2021].

⁹²⁰ საქართველოს გენერალური პროკურატურა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, 2020, გვ. 7, <<https://pog.gov.ge/uploads/379733ef-2020-wlis-6-Tve-arasrulwlovanTa-marTlmsajuleba.pdf>>, [14.07.2021].

დაზარალებულის უფლებები. ამასთან, იმისთვის, რომ დაზარალებულის უფლებები არ დარჩენილიყო ილუზიური, შემუშავებულ იქნა უფლებების დარღვევის გასაჩივრების მექანიზმი.

აშშ-ში ფედერალურ დონეზე დაზარალებულის უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მოქმედებს ორი სამართლებრივი მექანიზმი. პირველი მექანიზმი მოქმედებს მაშინ, როცა იუსტიციის დეპარტამენტის თანამშრომელი (გამომძიებელი, პროკურორი თუ სხვა პირი, რომელსაც ევალება დაზარალებულის უფლებების დაცვა) დაარღვევს დაზარალებულის უფლებებს. ფედერალური დანაშაულის მსხვერპლებს შეუძლიათ საჩივრით მიმართონ იუსტიციის დეპარტამენტის იმ განყოფილებას, რომელსაც ეხება საჩივარში დასმული საკითხები, ანუ რომლის მოხელემაც სავარაუდოდ დაარღვია დაზარალებულის უფლებები. ეს განყოფილება ვალდებულია რეაგირება მოახდინოს საჩივარზე და შემდეგ რეაგირების შედეგები მოახსენოს დაზარალებულის უფლებების ომბუდსმენს, რომლის ოფისიც მოქმედებს იუსტიციის დეპარტამენტის ფარგლებში. დაზარალებულს შეუძლია პირდაპირ ომბუდსმენსაც მიმართოს. თუ ომბუდსმენი დაადგენს, რომ აღდგილი ჰქონდა დაზარალებულის უფლებების აქტივით გათვალისწინებული უფლების დარღვევას, მაშინ ომბუდსმენი მოითხოვს, რომ მოხელემ გაიაროს ტრენინგი დაზარალებულის უფლებებთან დაკავშირებით. თუ ომბუდსმენი დაასკვნის, რომ მოხელემ შეგნებულად და სრულიად უმიზეზოდ არ მისცა დაზარალებულს საშუალება, რომ ესარგებლა თავისი უფლებებით, მაშინ ომბუდსმენი გასცემს რეკომენდაციას, რომ მოცემულ მოხელეს დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა. დაზარალებულის უფლებების აქტი არ მოითხოვს, რომ მოხელემ დაზარალებულს კომპენსაცია გადაუხადოს ან რაიმე ფორმით გამოასწოროს დარღვევა, მაგრამ ომბუდსმენის გაიდლაინები საჩივრის განმხილველ გამომძიებლებს ავალდებულებს, რომ დაზარალებულისთვის

კმაყოფილების განცდის მინიჭებისთვის, სათანადოდ მოახდინონ საჩივარზე რეაგირება და დაადგინონ სიმართლე.⁹²¹

დაზარალებულის უფლებების აქტი დაზარალებულს ასევე აძლევს შესაძლებლობას, რომ თავისი უფლებების განხორციელება მოითხოვოს ფედერალურ საოლქო სასამართლოში. მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს თავისი უფლებების განხორციელების მოთხოვნით, მაგალითად, მოთხოვნით, რომ მას მოუსმინონ პროცესის შესაბამის სტადიებზე. თუ ფედერალური საოლქო სასამართლო არ დააკმაყოფილებს დაზარალებულის მოთხოვნას, დაზარალებულს შეუძლია პეტციით მიმართოს ფედერალურ სააპელაციო სასამართლოს. თუ ფედერალური სააპელაციო სასამართლო დააკმაყოფილებს პეტციას, მაშინ იგი ფედერალურ საოლქო სასამართლოს მოსთხოვს გაატაროს შესაბამისი ზომები იმისთვის, რომ დაზარალებულმა შეძლოს თავისი უფლებებით სარგებლობა.⁹²² აღნიშნული მექანიზმის ნათელ გამოვლინებას წარმოადგენს საქმე *კენა*,⁹²³ რომელშიც დაზარალებულს კალიფორნიის შტატის საოლქო სასამართლოში არ მიეცა შესაძლებლობა, რომ ზიანის შესახებ ჩვენება მიეცა სასჯელის დანიშვნის სხდომაზე. აშშ-ს მე-9 ოლქის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა დაზარალებულის უფლების დარღვევას, მან გააუქმა საოლქო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულისთვის დანიშნული სასჯელი და ამ უკანასკნელს მოსთხოვა, რომ მსჯავრდებულისთვის ახალი სასჯელი შეეფარდებინა მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაზარალებული მისცემდა ჩვენებას განცდილი ზიანის შესახებ.⁹²⁴ მოცემული

⁹²¹ GAO: Statement of Eileen R. Larence, Director Homeland Security and Justice, Crime Victims' Rights Act: Increasing Victim Awareness and Clarifying Applicability to the District of Columbia Will Improve Implementation of the Act, ნაშრომში: Crime Victims Rights Act of 2004: Hearing before the Subcommittee on Crime, Terrorism, and Homeland Security of the Committee on the Judiciary House of Representatives, One Hundred Eleventh Congress, First Session September 29, 2009, Serial No.111-75, Washington DC, 2010, pp. 13-14; იხ. აშშ-ში მოქმედ დაზარალებულის ომბუდსმენის სამსახურთან დაკავშირებით: <<https://www.justice.gov/usao/resources/crime-victims-rights-ombudsman>>, [30.06.2020].

⁹²² GAO: Statement of Eileen R. Larence, Director Homeland Security and Justice, Crime Victims' Rights Act: Increasing Victim Awareness and Clarifying Applicability to the District of Columbia Will Improve Implementation of the Act, ნაშრომში: Crime Victims Rights Act of 2004: Hearing before the Subcommittee on Crime, Terrorism, and Homeland Security of the Committee on the Judiciary House of Representatives, One Hundred Eleventh Congress, First Session September 29, 2009, Serial No.111-75, Washington DC, 2010, p. 14; *Belool, D.E.*: Victims' Rights: A Documentary and Reference Guide, California, 2012, pp. 226-228.

⁹²³ *Kenna v. United State District Court for the Central District of California*, 435 F.3d 1011 (9th Cir. 2006).

⁹²⁴ *O'Connell, M.*: Victims' Rights: Integrating victims in criminal proceedings, Commissioner for Victims' Rights, South Australia, p. 5, <<https://aija.org.au/wp-content/uploads/2017/08/OConnell2.pdf>>, [22.07.2020].

მექანიზმის განსაკუთრებული ბუნება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ითვალისწინებს დაზარალებულის უფლებებში აღდგენას და ამით იგი წარმოადგენს დარღვეული უფლების გასაჩივრების ეფექტურ მექანიზმს.

დიდ ბრიტანეთშიც დაზარალებულის კოდექსი ითვალისწინებს გასაჩივრების მექანიზმს. კერძოდ, თუ დაზარალებული თვლის, რომ მართლმსაჯულების სისტემაში მონაწილე რომელიმე უწყების (პოლიცია, პროკურატურა, სასამართლო) წარმომადგენელი მას არაპროფესიონალურად, დისკრიმინაციულად და გულგრილად მოექცა, შეუძლია საჩივრით მიმართოს იმავე უწყებას, რომელშიც არის შესაბამისი მოხელე დასაქმებული. მოცემული უწყება ვალდებულია, 10 სამუშაო დღის ვადაში დაუდასტუროს დაზარალებულს საჩივრის მიღება. ამასთან, შესაბამისი უწყება ვალდებულია აუხსნას დაზარალებულს საჩივრის განხილვის პროცედურები. უწყებამ დაზარალებულს უნდა მიანოდოს საკონტაქტო ინფორმაცია, რომელიც მას შეიძლება დასჭირდეს მის საჩივართან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებისთვის.⁹²⁵ უწყება ვალდებულია დაზარალებულს დროულად და ამომწურავად აცნობოს საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც შედგენილ უნდა იქნეს გასაგებ და მარტივ ენაზე.⁹²⁶ თუ დაზარალებული საჩივარზე მიღებულ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმება, მას შეუძლია მიმართოს საპარლამენტო და ჯანდაცვის სერვისების ომბუდსმენს.⁹²⁷ თუ საჩივარში დასმულ საკითხებზე ვრცელდება ომბუდსმენის კომპეტენცია, მაშინ იგი დაიწყებს გამოძიებას. ძირითადად გამოძიება გრძელდება 3-6 თვე. თუ რთული კატეგორიის საქმეა, შეიძლება უფრო დიდხანსაც გაგრძელდეს, თუმცა, როგორც წესი, გამოძიების ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება. თუ ომბუდსმენი სრულად ან ნაწილობრივ დააკმაყოფილებს საჩივარს, მაშინ იგი უფლების დამრღვევ უწყებას მისცემს რეკომენდაციას დარღვეული უფლების გამოსწორებაზე. რეკომენდაციები შეიძლება ითვალისწინებდეს შეცდომის აღიარებას; ბოდიშის მოხდას;

⁹²⁵ Code of Practice for Victims of Crime of England and Wales, Chapter 2: Adult Victims: Part B: Duties on Service Providers, Section 9 (9.3.), p. 57.

⁹²⁶ იქვე: იხ. გაერთიანებულ სამეფოში დაზარალებულის დარღვეული უფლების გასაჩივრებასთან დაკავშირებით: <<https://www.victimsupport.org.uk/more-us/contact-us/complaint-about-other-services>>, [30.06.2020].

⁹²⁷ იხ. გაერთიანებულ სამეფოში დარღვეული უფლების გასაჩივრების წესთან დაკავშირებით: <<https://www.gov.uk/your-rights-after-crime/make-a-complaint>>, [30.06.2020]; <<https://victimscotland.org.uk/make-a-complaint/>>, [30.06.2020].

დაზარალებულისთვის თანხის გადახდას; გარკვეული ღონისძიებების გატარებას, რათა შესაბამისმა უწყებამ სხვის მიმართ აღარ დაუშვას შეცდომა და ყველასთვის უკეთესი გახადოს მისი მომსახურება.⁹²⁸

დარღვეული უფლების გასაჩივრების მექანიზმი მოქმედებს კანადაშიც. თუ დაზარალებული ფიქრობს, რომ კანადის მართლმსაჯულების სისტემასთან ურთიერთობისას ფედერალური უწყებების მიერ ადგილი ჰქონდა მისი უფლებების დარღვევას, რომელიც მისთვის გარანტირებულია კანადაში დაზარალებულის უფლებათა ბილით, პირველ ეტაპზე მას შეუძლია მიმართოს იმ უწყებას, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია უფლება. მოცემული უწყება განიხილავს საჩივარს, დაზარალებულთან ერთად შეიმუშავებს რეკომენდაციებს დარღვეული უფლებების გამოსწორებაზე და ბოლოს კი დაზარალებულს ატყობინებს საჩივრის განხილვის შედეგებსა და რეკომენდაციებს. რეკომენდაციები შეიძლება შეიცავდეს დაზარალებულისთვის ბოდიშის მოხდას; დაზარალებულისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას; საჩივრის განხილვის პროცესის მიმოხილვას და დაზარალებულის თავდაპირველი მოთხოვნის ხელახლა განხილვას. თუ დაზარალებული არ იქნება კმაყოფილი საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილებით, მას შეუძლია კიდევ ერთხელ მოითხოვოს საჩივრის განხილვა. ამ დროს ფედერალური უწყება დაზარალებულს ატყობინებს, თუ ვის უნდა მიმართოს. თუ დაზარალებული არც ამ შემთხვევაში დაკმაყოფილდება საჩივარზე მიღებული გადაწყვეტილებით, მას შეუძლია მიმართოს დაზარალებულის ფედერალური ომბუდსმენის ოფისს, რომელიც უფლებამოსილია რეკომენდაციები გასცეს შესაბამისი ფედერალური უწყების მიმართ.⁹²⁹

ნაშრომში განხილული ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზიდან ჩანს, რომ შეჯიბრებითი სისხლის სამართლის პროცესის მქონე ქვეყნებში დაზარალებულის უფლებების დარღვევის შემთხვევაში ხორციელდება ორ ეტაპიანი ადმინისტრაციული სამართალწარმოება. პირველ ეტაპზე საჩივარს იხილავს უშუალოდ უფლების

⁹²⁸ *Parliamentary and Health Service Ombudsman of the United Kingdom*: Leaflet: How We Look into Complaints: What Happens When We Investigate, p. 7,

https://www.ombudsman.org.uk/sites/default/files/PHSO_Stage_Three_Information_leaflet_2019.pdf, [30.06.2020].

⁹²⁹ იხ. კანადაში დაზარალებულის დარღვეული უფლების გასაჩივრების მექანიზმთან დაკავშირებით: <https://www.justice.gc.ca/eng/cj-jp/victims-victimes/rights-droits/complaint-plainte.html>, [30.06.2020]; <https://www.victimfirst.gc.ca/mac-fup/faq-faq.html>, [30.06.2020].

სავარაუდოდ დამრღვევი უწყება, ხოლო მეორე ეტაპზე ერთგება დამოუკიდებელი ორგანო - ომბუდსმენის ოფისი. აღნიშნული მექანიზმის მიზანია, რომ პრაქტიკაში გამოირიცხოს საჩივარზე მიკერძოებული გადაწყვეტილების მიღება და მაქსიმალურად იქნეს დაცული დაზარალებულის ინტერესები.

10.2. საქართველოს კანონმდებლობა და პრაქტიკა

სსსკ-ის 57-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაზარალებულისთვის 57-ე მუხლით მინიჭებული უფლებებით სარგებლობაზე უარის თქმის შემთხვევაში, პროკურორს გამოაქვს დასაბუთებული დადგენილება. დაზარალებულს უფლება აქვს დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან. ნაშრომის თავი IV-ის § 5.2.1.2.1 ქვეთავში უკვე იქნა საუბარი იმაზე, რომ ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების მექანიზმი არაეფექტურია, ვინაიდან, როგორც წესი, პროკურორი ზემდგომ პროკურორთან შეთანხმების გარეშე არ იღებს გადაწყვეტილებებს, ანუ ზემდგომი პროკურორი არაფორმალურად მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ნაკლებად სავარაუდოა, რომ გასაჩივრების შემთხვევაში, შეცვალოს არაფორმალურად მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.⁹³⁰

მოცემული მექანიზმის გარდა, საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსითა და საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსით შესაძლებელია შესაბამისი მოხელის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყება,⁹³¹ თუმცა მოცემული კოდექსებით დადგენილი გასაჩივრების მექანიზმი დაზარალებულისთვის როგორც წესი უცნობია, ვინაიდან დაზარალებულებისთვის უცნობია ზოგადად კოდექსების არსებობა.⁹³² მათზე ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი არც პოლიციის შენობაში ბუკლეტების სახით, არც ელექტრონული ფორმით და არც დაზარალებულისთვის უფლებების განმარტების

⁹³⁰ თანდილაშვილი, ბ.: დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა და ევროპული სტანდარტები, ნაშრომში: თუმანიშვილი, გ., ჯიშარიანი, ბ., შრამი, ე. (რედ.): ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, თბილისი, 2019, გვ. 328.

⁹³¹ საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსი, მე-8 თავი; საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსი, თავი VI.

⁹³² ინტერვიუ ქურდობის მსხვერპლ, ე.ვ.-თან, 12/10/2018; ინტერვიუ სატრანსპორტო დანაშაულის მსხვერპლ მ.ლ.-თან, 02/10/2019; ინტერვიუ თალღითობის მსხვერპლ ნ.ლ.-თან, 30/03/2020.

ოქმში, შესაბამისად, თუ დაზარალებულს არ ყავს ადვოკატი (რაც ძალიან იშვიათ შემთხვევას წარმოადგენს), რეალურად წარმოუდგენელია, რომ მან შეძლოს პოლიციის ეთიკის კოდექსითა და საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსის შესაბამისი ნორმების დარღვევის საფუძველზე საჩივრის შეტანა. გარდა ამისა, მოცემული მექანიზმი იმიტომ არ არის ეფექტური, რომ მოხელის გადაცდომას იხილავს მხოლოდ ის ორგანო, რომელშიც თვითონ ეს მოხელეა დასაქმებული და დაზარალებულს არ ეძლევა შესაძლებლობა, რომ მოცემული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, სხვა, ინსტიტუციურად დამოუკიდებელ ორგანოში გაასაჩივროს.

შესაბამისად, აუცილებელია, რომ მსგავსად სხვა შეჯიბრებითი სისტემის მქონე ქვეყნებისა, საქართველოშიც შეიქმნას დარღვეული უფლების გასაჩივრების ერთიანი მექანიზმი, რომელიც დაზარალებულისთვის იქნება ხელმისაწვდომი და დადგენილი იქნება გასაჩივრების პროცედურის ცალკეული დეტალები. აუცილებელია, რომ საჩივრის განხილვაში მონაწილეობდეს არა მხოლოდ ის ორგანო, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია დაზარალებულის უფლება, არამედ მოცემული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გადაისინჯოს ინსტიტუციურად დამოუკიდებელ ორგანოში. მაგალითად შესაძლებელია, რომ საქართველოშიც შემოღებულ იქნეს დაზარალებულის ომბუდსმენის ოფისი. ასევე შესაძლებელია, გაფართოვდეს სახალხო დამცველის უფლებამოსილებები და საჩივრის განხილვის კომპეტენცია სწორედ მას მიენიჭოს.

რაც შეეხება დარღვეული უფლების სასამართლოში გასაჩივრების მექანიზმს, რომელიც მოქმედებს აშშ-ში, საქართველოში ამგვარი მექანიზმის დანერგვის საჭიროება არ დგას. როგორც ზიანის შესახებ ჩვენების მიცემის, ისე საპროცესო შეთანხმების დადებისა და განრიდების გამოყენებასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებულია ერთგვაროვანი დადებითი პრაქტიკა. სასამართლოში ფაქტიურად არ არსებობს შემთხვევა, რომ ადგილი ჰქონდეს დაზარალებულის მოცემული უფლებების დარღვევას. შესაბამისად, ამ ნაწილში საკანონმდებლო ცვლილება იქნება მხოლოდ ფორმალური ხასიათის და ვერ შეუწყობს ხელს დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

V. დასკვნა და რეკომენდაციები

კვლევამ გამოავლინა, რომ ვიქტიმოლოგიის განვითარებით ხელახლა იქნა აღმოჩენილი დანაშაულის მსხვერპლი. ვიქტიმოლოგიამ შეისწავლა ვიქტიმიზაციის პროცესი და გამოვლინდა, რომ დაზარალებულმა შეიძლება განიცადოს პირველადი, მეორეული, მესამეული, მეოთხეული და ხელახალი ვიქტიმიზაცია. პირველადი ვიქტიმიზაციის შემდეგ, შემდგომი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებისთვის კი აუცილებელია სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის საჭიროებების დაკმაყოფილება. კვლევამ ასევე გამოავლინა, რომ დაზარალებულს გააჩნია სხვადასხვა საჭიროებები, კერძოდ, პატივისცემით მოპყრობის საჭიროება, ინფორმაციის საჭიროება, სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის საჭიროება, დამნაშავეისთვის ადეკვატური სასჯელის შეფარდების საჭიროება, დაცვის საჭიროება, მხარდაჭერის საჭიროება, კომპენსაციის საჭიროება და აღდგენით მართლმსაჯულებაში მონაწილეობის საჭიროება.⁹³³

კვლევამ ასევე ცხადყო, რომ ვიქტიმოლოგების აქტიურობის შედეგად, საერთაშორისო დონეზე ყურადღება მიექცა დაზარალებულს და მიღებულ იქნა არაერთი საერთაშორისო აქტი, რომლებიც სახელმწიფოებისთვის აღგენენ სტანდარტებს დაზარალებულისთვის მისანიჭებელი უფლებების შესახებ.⁹³⁴

კვლევაში გაანალიზებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან და ცალკეულ ქვეყნებში ჩამოყალიბებულ პრაქტიკასთან. აღნიშნულის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა სუსტია და ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. დაზარალებული გამოძიების სანყის ეტაპზე - მანამ, სანამ ბრალდებულის მიმართ დაიწყება სისხლისსამართლებრივი დევნა - პროცესიდან ძირითადად გამორიყულია და უფუნქციო მონაწილის როლს თამაშობს. დამნაშავეისთვის ბრალის წაყენების შემდეგ და საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე მას

⁹³³ ნაშრომის თავი II.

⁹³⁴ ნაშრომის თავი III.

მინიჭებული აქვს რიგი უფლებები, თუმცა პრაქტიკაში უფლებათა ძირითადი ნაწილი სრულად ვერ ხორციელდება.⁹³⁵

მოცემული დასკვნის თვალსაჩინოდ წარმოჩენისთვის, მიზანშეწონილია კვლევის ცალკეული მიგნებები, დასკვნები და რეკომენდაციები ცალ-ცალკე დეტალურად იქნეს ჩამოყალიბებული:

1. კვლევამ ცხადყო, რომ სსსკ-ში განმტკიცებული დაზარალებულის ცნება და დაზარალებულის უფლებამონაცვლის ინსტიტუტი სრულ შესაბამისობაშია საერთაშორისო მოთხოვნებთან, თუმცა პრობლემას წარმოადგენს დაზარალებულად ცნობის მექანიზმი. იგი არ შეესაბამება სამართლებრივ სახელმწიფოში მოქმედ სამართლებრივ წესრიგსა და საერთაშორისო სტანდარტებს. აღნიშნული მექანიზმით საქართველო დაზარალებულს პროცესის დაწყებისთანავე უცხადებს უნდობლობას და ახდენს არა მხოლოდ მის მეორეულ, არამედ მეოთხეულ ვიქტიმიზაციასაც, ვინაიდან დაზარალებულად არ ცნობა პირდაპირ მიუთითებს დანაშაულის მსხვერპლად გახდომის ფაქტის უგულებელყოფაზე. გარდა ამისა, დაზარალებულად ცნობის მექანიზმი სსსკ-ის მე-3 მუხლის 22-ე ნაწილში მოცემულ დაზარალებულის ცნებას მკვდარ ნორმად ხდის, ვინაიდან ეს უკანასკნელი პრაქტიკაში ძირითადად არ გამოიყენება. სსსკ-ის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილში განმტკიცებული ნორმა თავისი ბუნდოვანებიდან გამომდინარე ვერ აკმაყოფილებს განჭვრეტადობის მოთხოვნას, რაც განაპირობებს პროკურატურის მახინჯ პრაქტიკას და დაზარალებულის უფლებების მასიურ დარღვევას. იგი ლახავს დაზარალებულის ღირსებას, ინფორმაციის მიღების უფლებას და ხელს უშლის სხვა უფლებების რეალიზებას. შესაბამისად, აუცილებელია, რომ გაუქმდეს დაზარალებულად ცნობის ინსტიტუტი და დაზარალებული ყოველგვარი ზედმეტი ფორმალური აღიარების გარეშე, ჩაერთოს სისხლის სამართლის პროცესში.⁹³⁶

2. კვლევამ გამოავლინა, რომ საერთაშორისო დონეზე დიდი აქცენტი კეთდება დაზარალებულის მიმართ ღირსებით, პატივისცემით, თავაზიანად, სამართლიანად და პროფესიონალურად მოპყრობაზე. ფაქტიურად არ არსებობს დაზარალებულთან

⁹³⁵ ნაშრომის თავი IV.

⁹³⁶ ნაშრომის თავი IV, § 1.

დაკავშირებით მიღებული საერთაშორისო სამართლებრივი აქტი, რომელიც არ შეიცავს პატივისცემითა და ღირსებით მოპყრობის უფლებას. მოცემულმა უფლებამ დასავლური სახელმწიფოების კანონმდებლობაშიც ჰპოვა ასახვა. რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას, სსსკ-ში პრინციპების დონეზე არის გარანტირებული დაზარალებულის ღირსებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა. სსსკ-ში არ არის ცალკე ნორმა, სადაც განმტკიცებული იქნებოდა დაზარალებულის უფლება, რომ მას ეპყრობოდნენ და ღირსებითა და პატივისცემით. ამასთან, საქართველოს პოლიციის ეთიკის კოდექსი, საქართველოს პროკურატურის მუშაკთა ეთიკის კოდექსი და საქართველოს სამოსამართლეო ეთიკის წესები შეიცავს გარკვეულ დებულებებს პატივისცემით მოპყრობასთან დაკავშირებით, თუმცა მოცემული ნორმები პრაქტიკაში სრულად ვერ უზრუნველყოფს დაზარალებულის მიმართ უპატივცემულო და უსამართლო მოპყრობის თავიდან აცილებას. შესაბამისად, აუცილებელია, რომ სსსკ-ით დადგინდეს დაზარალებულის უფლება, რომ მას ეპყრობოდნენ ღირსებითა და პატივისცემით.⁹³⁷

3. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ დაზარალებულს გააჩნია ინფორმაციის მიღების საჭიროება. თუ იგი სისხლის სამართლის პროცესში არ არის სათანადოდ ინფორმირებული, ხდება მისი მეორეული ვიქტიმიზაცია. საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, მისი ინფორმირება უნდა მოხდეს როგორც სამართალდამცავ ორგანოსთან პირველივე კონტაქტისთანავე, ისე პროცესის მიმდინარეობისას სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. სამართალდამცავ ორგანოსთან პირველი კონტაქტისას მას უნდა განემართოს პროცესში და პროცესს გარეთ მინიჭებული უფლებები. აღსანიშნავია, რომ სსსკ-ის 56-ე მუხლის 5¹ ნაწილის თანახმად, დაზარალებულს მხოლოდ მას შემდეგ განემართება უფლებები, რაც მას პროკურორი ცნობს დაზარალებულად. დროის კუთხით, დაზარალებულად ცნობა ძირითადად არ ხდება დანაშაულის შეტყობინებას, რის გამოც მსხვერპლი თვეების განმავლობაში რჩება ინფორმაციულ ვაკუუმში. თუ არ მოხდება მისი დაზარალებულად ცნობა, მაშინ სამუდამოდ დარჩება ინფორმაციულ ვაკუუმში. სიტუაციას ამძიმებს ის გარემოებაც, რომ დაზარალებულის უფლებების შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი არც ბროშურების და არც

⁹³⁷ ნაშრომის თავი IV, § 2.

ელექტრონული ფორმით, რაც კიდევ უფრო ამაღლებს ალბათობას იმისას, რომ დაზარალებული პროცესში ვერ გამოიყენებს თავის უფლებებს. შესაბამისად, დაზარალებულის პირველადი ინფორმირების ნაწილში საქართველო ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო მოთხოვნებს. ამიტომ აუცილებელია, რომ გაუქმდეს დაზარალებულად ცნობის ინსტიტუტი და დაზარალებულს, თავიდანვე, სამართალდამცავ ორგანოებთან პირველივე კონტაქტისთანავე განემარტოს როგორც საპროცესო, ისე პროცესის გარეთ მინიჭებული უფლებები. ასევე აუცილებელია, რომ უფლებების განმარტება მოხდეს როგორც გეპირად ისე წერილობით. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ დაზარალებულის უფლებები ხელმისაწვდომი იყოს ბროშურებისა და ელექტრონული ფორმით. მხოლოდ მოცემული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში იქნება შესაძლებელია დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება და მისი უფლებებში აღდგენა.⁹³⁸

4. კვლევამ ცხადყო, რომ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმესთან ინფორმირების კუთხით საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა უმეტესწილად აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს. სსსკ-ის 57-ე და 58-ე მუხლების შესაბამისად, უნდა მოხდეს დაზარალებულის ინფორმირება მისი უფლებებისა და საპროცესო მოქმედებების შესახებ. თუმცა პრობლემას წარმოადგენს, ის, რომ კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული, თუ ვინ უნდა მიაწოდოს დაზარალებულს ინფორმაცია სსსკ-ის 57-ე მუხლით გათვალისწინებული საპროცესო მოქმედებების შესახებ (სსსკ-ის 58-ე მუხლის შემთხვევაში ინფორმაციის მიწოდება ევალება პროკურატურას). შესაბამისად, აუცილებელია, რომ მოცემული ხარვეზი გამოსწორდეს და დადგინდეს, თუ ვინ არის ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელი პირი და ორგანო.⁹³⁹

5. კვლევაში გამოიკვეთა, რომ საერთაშორისო სტანდარტი ითვალისწინებს დაზარალებულისთვის დანაშაულის შესახებ შეტყობინების დამადასტურებელი ცნობის გაცემას. სსსკ-ში, კერძოდ, 101-ე მუხლის 2¹ ნაწილში ასახვა ჰპოვა მოცემულმა მოთხოვნამ, თუმცა კანონმდებლობით არ არის დარეგულირებული ცნობის გაცემის ცალკეული

⁹³⁸ ნაშრომის თავი IV, § 3; 3.1.

⁹³⁹ ნაშრომის თავი IV, § 3.2.

დეტალები, რაც პრაქტიკაში იწვევს რიგ პრობლემებს, კერძოდ, დაზარალებულთა უმრავლესობამ არ იცის, რომ მას აქვს ცნობის მიღების უფლება, შესაბამისად არ ითხოვენ ცნობას და საგამოძიებო ორგანოც თავისი ინიციატივით არ გასცემს ცნობას. გარდა ამისა, ზოგჯერ ცნობა არ გაიცემა დაუყოვნებლივ; ასევე არ არსებობს ცნობის ერთიანი ფორმა და ბოლოს, ქართული ენის არმცოდნე პირებისთვის არ ხდება მოცემული საპროცესო დოკუმენტის თარგმნა. დაზარალებულის საჭიროებებისა და საერთაშორისო სტანდარტების დაკმაყოფილების მიზნით, აუცილებელია, რომ საკანონმდებლო დონეზე დეტალურად მოწესრიგდეს დანაშაულის შესახებ შეტყობინების დამადასტურებელი ცნობის გაცემის საკითხი და აღმოიფხვრას პრაქტიკაში არსებული პრობლემები.⁹⁴⁰

6. კვლევამ ცხადყო, რომ საქმის მასალების გაცნობის უფლება წარმოადგენს ინფორმაციის მიღების უფლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოვლინებას. აღნიშნული უფლება მნიშვნელოვანია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის კუთხითაც. სსსკ-ის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაზარალებულს საქმის მასალების გაცნობის უფლება გააჩნია გამოძიების ეტაპზე, თუ ეს არ ეწინააღმდეგება გამოძიების ინტერესებს, ხოლო იმავე მუხლის იმავე ნაწილის „კ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაზარალებულს წინასასამართლო სხდომამდე 10 დღით ადრე შეუზღუდავად შეუძლია საქმის მასალების გაცნობა. სსსკ-ის ნაკლად ვერ ჩაითვლება, რომ იგი საქმის მასალების გაცნობის უფლებას ზღუდავს გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე. რა თქმა უნდა არის საქმეები, რომლებშიც ისეთი მტკიცებულებებია, რომ მათი გაცნობის შემთხვევაში შეიძლება დაზარალებულმა ბრალდებულს ზიანი მიაყენოს ან დაზარალებულმა მოწმეებზე იძალადოს, ან სხვაგვარად შეეწყმინას საფრთხე გამოძიებას. ამიტომ სსსკ-ის ეს ჩანაწერი სრულიად მისაღებია და იგი არ უნდა გაუქმდეს. გარდა ამისა, დღეს უკვე სსსკ-ის დადებით მხარედ მიიჩნევა, რომ დაზარალებულს შეუძლია საქმის მასალების ასლების მიღება.⁹⁴¹ თუმცა პრობლემაა ის, რომ დაზარალებულს საქმის მასალების გაცნობის უფლება აქვს მხოლოდ წინასასამართლო სხდომამდე 10 დღით ადრე, ამის შემდეგ მას პროცესში საერთოდ აღარ აქვს წვდომა მასალებზე, რაც მას ხელს უშლის სამოქალაქო

⁹⁴⁰ ნაშრომის თავი IV, § 3.3.

⁹⁴¹ ნაშრომის თავი IV, § 3.4

სამართალწარმოების გზით კომპენსაციის მიღებაში. ამიტომ აუცილებელია, კანონმდებლობით დაზარალებულს მიენიჭოს სასამართლო სხდომის ოქმების გაცნობის უფლება.⁹⁴²

7. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საერთაშორისო დონეზე დაზარალებულისთვის უზრუნველყოფილია სათარჯიმნო და მთარგმნელობითი მომსახურების მიღების უფლება. იგი სახელმწიფოებს ავალდებულებს სისხლის სამართლის პროცესის ენის არმცოდნე დაზარალებულისთვის სახელმწიფოს ხარჯზე მნიშვნელოვანი საპროცესო დოკუმენტების თარგმნასა და დაზარალებულის მონაწილეობით ჩატარებული საპროცესო მოქმედებების დროს თარჯიმნის მომსახურების უზრუნველყოფას. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაზარალებულს, როგორც პროცესის მონაწილეს შეუძლია ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით. თუმცა პრობლემაურია ის, რომ სსსკ არ ითვალისწინებს საპროცესო დოკუმენტების დაზარალებულისთვის გასაგებ ენაზე თარგმნას. სახელმწიფოს ასეთი პოლიტიკა დისკრიმინაციულია. იგი ცალსახად უარეს მდგომარეობაში აყენებს ქართული ენის არმცოდნე დაზარალებულს და არ აძლევს შესაძლებლობას, რომ პროცესში აქტიურად მიიღოს მონაწილეობა და ისარგებლოს მისთვის მინიჭებული უფლებებით. შესაბამისად, აუცილებელია, რომ დაზარალებულს მიენიჭოს მთარგმნელობითი მომსახურების უფლება და სსსკ-ში განისაზღვროს ის საპროცესო დოკუმენტები, რომელთაც თარჯიმნის მოთხოვნის უფლებაც ექნება დაზარალებულს.⁹⁴³

8. კვლევამ აჩვენა, რომ დაზარალებულისთვის მნიშვნელოვანია, რომ მას ჰქონდეს სასამართლო სხდომებზე დასწრების შესაძლებლობა. აშშ-ში მოქმედი სამართლისა და ჩამოყალიბებული პრაქტიკის მიხედვით, დაზარალებულის სასამართლო სხდომაზე დასწრება გამართლებულია სამართლიანი სასამართლოს პრინციპით, სიმართლის დადგენის გამარტივებით, მართლმსაჯულების განხორციელების მიმართ დაზარალებულის ინტერესით, დაზარალებულის სათანადო ინფორმირებისა და

⁹⁴² იქვე.

⁹⁴³ ნაშრომის თავი IV, § 3.5.

დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებით. სსსკ დაზარალებულს მხოლოდ მას შემდეგ ანიჭებს სხდომებზე დასწრების უფლებას, რაც იგი მოწმედ დაიკითხება. ჩამოყალიბებული პრაქტიკის მიხედვით კი დაზარალებული ხშირად ბოლო მოწმედ იკითხება. მოცემული საკანონმდებლო რეგულირება შეესაბამებაში მოდის დაზარალებულის საჭიროებებთან და იწვევს მის მეორეულ ვიქტიმიზაციას. მოცემული დანაწესი ასევე არ შეესაბამება შეჯიბრებითი სისტემის მქონე ქვეყნების პრაქტიკას. შესაბამისად, აუცილებელია, რომ სსსკ-ით დაზარალებულს მიენიჭოს სასამართლო სხდომებზე დასწრების უფლება.⁹⁴⁴

9. კვლევაში დაზარალებულის საჭიროებების გაანალიზებით გამოვლინდა, რომ დაზარალებულის ერთ-ერთ საჭიროებას წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობა.⁹⁴⁵ აუცილებელია, რომ მას პროცესში ჰქონდეს ხმის უფლება. სწორედ ამიტომ, ყველა მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტი სახელმწიფოებს მოუწოდებს, ეროვნულ დონეზე უზრუნველყონ პროცესში დაზარალებულის მონაწილეობა. სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობის უფლებების კუთხით საქართველოს კანონმდებლობა სრულ შესაბამისობაში მოდის საერთაშორისო სტანდარტებთან. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში უზრუნველყოფილია მონაწილეობის უფლებები. დაზარალებულს მოწმის ჩვენების სახით შეუძლია სასამართლოს მიანდოს ინფორმაცია დანაშაულის შესახებ. გარდა ამისა, საპროცესო შეთანხმების გაფორმებამდე და განრიდების გამოყენებამდე პროკურორი დაზარალებულთან გადის კონსულტაციას, რითაც დაზარალებულს ეძლევა შესაძლებლობა, რომ დაათვისდეს თავისი პოზიცია, რომლის გათვალისწინებაც როგორც წესი, ყოველთვის ხდება. პროცესში დაზარალებულის მონაწილეობა ასევე უზრუნველყოფილია ზიანის შესახებ ჩვენების მიცემის მექანიზმითაც, რომელიც საქართველოს პრაქტიკაში აქტიურად გამოიყენება, შესაბამისად წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საპროცესო უფლებას.⁹⁴⁶

10. კვლევამ ასევე ცხადყო, რომ დაზარალებულს გააჩნია პროცესში აქტიური მონაწილეობის ინტერესი, რომელიც პროცესში შეიძლება დაკმაყოფილდეს მისთვის

⁹⁴⁴ ნაშრომის თავი IV, § 3.6.

⁹⁴⁵ ნაშრომის თავი II, § 5.3.

⁹⁴⁶ ნაშრომის თავი IV, § 4.

მაკონტროლებელი უფლებების მინიჭებით.⁹⁴⁷ აღნიშნულში მოიაზრება ისეთი უფლებები, რომლითაც დაზარალებულს ეძლევა შესაძლებლობა ზეგავლენა მოახდინოს კონკრეტული საპროცესო შედეგების დადგომაზე. 2012 წლის დირექტივა სახელმწიფოებს მოუწოდებს, რომ დაზარალებულს მიენიჭოს სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტასთან ან არდანყებასთან დაკავშირებით შესაბამისი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება. საქართველოს კანონმდებლობა ამ ნაწილში ნაწილობრივ აკმაყოფილებს საერთაშორისო მოთხოვნებს. სსკ-ის 56-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილების მიხედვით დანაშაულის მსხვერპლს უფლება აქვს დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებით პროკურორის დადგენილებები ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან, ხოლო შემდეგ პირველი ინსტანციის სასამართლოში. რაც შეეხება გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილების გასაჩივრებას, ყველა დაზარალებულს შეუძლია დადგენილება ერთჯერადად გაასაჩივროს ზემდგომ პროკურორთან, ხოლო სასამართლოში გასაჩივრება უზრუნველყოფილია მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მსხვერპლებისთვის, სახელმწიფო ინსპექტორის ქვემდებარე დანაშაულის მსხვერპლებისთვის და სსკ-ის 126¹ და 11¹ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის მსხვერპლებისთვის (ოჯახში ძალადობა, ოჯახური დანაშაული). სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის დადგენილების გასაჩივრების მიმართ კი იგივე წესები მოქმედებს რაც გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ დადგენილების გასაჩივრების მიმართ, იმ გამონაკლისით, რომ სასამართლოში გასაჩივრება შეუძლიათ მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მსხვერპლებსა და სახელმწიფო ინსპექტორის ქვემდებარე დანაშაულის მსხვერპლებს. კვლევაში გამოვლინდა, რომ ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების მექანიზმი არაეფექტურია, ამიტომ აუცილებელია, რომ სსკ-ის 106-ე მუხლის 1¹ ნაწილში შევიდეს ცვლილება და სასამართლოში გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ პროკურორის დადგენილების და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ პროკურორის დადგენილების გასაჩივრების უფლება

⁹⁴⁷ ნაშრომის თავი II, § 5.3.

მიენიჭოს ყველა დაზარალებულს, განურჩევლად იმისა, თუ იგი რომელი დანაშაულის მსხვერპლი გახდა და რა ზომის სასჯელია მოცემული დანაშაულისათვის გათვალისწინებული. აღნიშნული ცვლილებით უზრუნველყოფილი იქნება დაზარალებულის კონსტიტუციური უფლებები და დაცული იქნება საერთაშორისო სტანდარტი.⁹⁴⁸

11. კვლევით გამოვლინდა, რომ დაზარალებულის ერთ-ერთ მთავარ საჭიროებას წარმოადგენს მისი დაცვა მეორეული და ხელახალი ვიქტიმიზაციისგან, დაშინებისა და შურისძიებისგან.⁹⁴⁹ შესაბამისად, საერთაშორისო დონეზე შეთანხმება მიღწეული იმასთან დაკავშირებით, რომ სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის მიმართ უზრუნველყოფილ იქნეს დაცვის ღონისძიებები. საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა დაზარალებულის დაცვის კუთხით საჭიროებს დახვეწას. აუცილებელია, რომ საქართველოში ამოქმედდეს დაზარალებულის ინდივიდუალური შეფასების მექანიზმი. გარდა ამისა, ღღის მდგომარეობით, სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის დაცვის ერთადერთ ღონისძიებას წარმოადგენს სხდომის სრულად ან ნაწილობრივ დახურვა, ამიტომ აუცილებელია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მსგავსად, სრულწლოვანთა მართლმსაჯულებაშიც დაზარალებულისათვის ხელმისაწვდომი იყოს დაცვის სხვა ღონისძიებებიც. მათი გამოყენება კი უნდა მოხდეს იმ დაზარალებულების მიმართ, რომლებიც ინდივიდუალური შეფასების შედეგად გამოვლინდებიან, როგორც მონყვლადი მსხვერპლები. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ ყურადღება მიექცეს სასამართლო შენობის ინფრასტრუქტურას, კერძოდ, დაზარალებულისათვის უზრუნველყოფილ უნდა იქნეს განცალკევებული შესასვლელი და მოსაცდელი სივრცე, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბრალდებულისა და დაზარალებულის შეხვედრა და ამით თავიდან იქნეს აცილებული დაზარალებულის დაშინება ან მასზე რაიმე ფორმით ზემოქმედება. ასევე მნიშვნელოვანია, რომ დაზარალებულს ჰქონდეს უფლება, რომ საგამოძიებო ორგანოსა და სასამართლოში თან ახლდეს მისთვის სასურველი ადამიანი, რომელიც შეძლებს მის გამხსნევებასა და ემოციურ

⁹⁴⁸ ნაშრომის თავი IV, § 5.

⁹⁴⁹ ნაშრომის თავი II, § 5.5.

მხარდაჭერას. რაც შეეხება დაზარალებულის პირადი ცხოვრების დაცვას, საქართველოს კანონმდებლობის ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ დღეს არსებული ნორმები იძლევა დაზარალებულის პირადი ცხოვრების დაცვის შესაძლებლობას, თუმცა პროცესის მონაწილეების, განსაკუთრებით პროცესის მხარეებისთვის უფრო მაღალი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის და იმისთვის, რომ დაზარალებულისთვის სისხლის სამართლის ნორმები უფრო ცხადი და განჭვრეტადი გახდეს, სასურველი იქნება, თუ დაზარალებულის უფლებათა კატალოგშიც განმტკიცდება, რომ დაზარალებულს აქვს პირადი ცხოვრების დაცვის უფლება. აღნიშნული საპროცესო ნორმით კიდევ ერთხელ გაესმევა ხაზი პირადი ცხოვრების დაცვის მნიშვნელობას.⁹⁵⁰

12. კვლევამ გამოავლინა, რომ დაზარალებულის ერთ-ერთ საჭიროებას წარმოადგენს მხარდაჭერის მიღება.⁹⁵¹ საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ეროვნულ დონეზე დაზარალებულისთვის გარანტირებული უნდა იყოს უფასო მხარდაჭერის სერვისებზე წვდომის უფლება და დაზარალებულს უნდა მიენდოს ინფორმაცია აღნიშნული უფლების შესახებ. გარდა ამისა, უნდა არსებობდეს სხვადასხვა პროფილით მომუშავე მხარდამჭერი ორგანიზაციები, რათა შესაძლებელი იყოს დაზარალებულის სხვადასხვა საჭიროებების დაკმაყოფილება. საერთაშორისო სტანდარტები ასევე მოითხოვს, რომ არსებობდეს მხარდამჭერ სერვისებთან რეფერირების ეფექტური მექანიზმი. საქართველოში საერთაშორისო მოთხოვნები ნაწილობრივ არის გათვალისწინებული. საქართველოში დაზარალებულის მხარდაჭერას უზრუნველყოფს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური, რომელიც მოქმედებს საქართველოს პროკურატურასა და შსს-ში. კვლევაში გამოვლინდა, რომ ორივე უწყების კოორდინატორის სამსახური მნიშვნელოვან როლს თამაშობს დაზარალებულის მხარდაჭერაში, თუმცა პრობლემატურია ის, რომ იგი ახორციელებს მხოლოდ დაზარალებულად ცნობილი მსხვერპლების მხარდაჭერას და ისიც შეზღუდული რაოდენობით. საქართველოში ასევე მცირე რაოდენობის მხარდამჭერი ორგანიზაციები მოქმედებს, შესაბამისად, საქართველოში არ არის ყველა დაზარალებულისთვის

⁹⁵⁰ ნაშრომის თავი IV, § 6.

⁹⁵¹ ნაშრომის თავი II, § 5.6.

მხარდამჭერ სერვისებზე წვდომა უზრუნველყოფილი. ასევე პრობლემას წარმოადგენს მხარდამჭერ სერვისებთან დაკავშირებით დაზარალებულის ინფორმირება და მათი რეფერირება. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, არც დანაშაულის შესახებ შეტყობინების გაკეთებისას და არც დაზარალებულად ცნობისას დაზარალებულს არ ეცნობება, რომ მას აქვს მხარდაჭერის მიღების უფლება, ასევე არ ხდება მისი ავტომატური რეფერირება. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან რეფერირება ხდება პროკურორის ან გამომძიებლის გადაწყვეტილებით, რაც სუსტ მდგომარეობაში აყენებს დაზარალებულს და მისთვის მხარდაჭერის მიღების დაბრკოლებას წარმოადგენს. აღნიშნულის საფუძველზე, აუცილებელია, რომ სსსკ-ით განისაზღვროს, რომ დაზარალებულს აქვს მხარდამჭერი სერვისების შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება, რაც იქნება საფუძველი იმისა, რომ დანაშაულის შესახებ განაცხადის გაკეთებისას მოხდეს მსხვერპლის ინფორმირება დღესდღეობით საქართველოში მოქმედ მხარდამჭერი სერვისების შესახებ და მოხდეს ავტომატური რეფერირება, ვინაიდან ავტომატური რეფერირება არ არის დამოკიდებული პოლიციელზე თუ პროკურორზე, რაც თავიდანვე გამორიცხავს შერჩევით რეფერირებას.⁹⁵²

13. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსა და შეჯიბრებითი სისხლის სამართლის პროცესის მქონე ქვეყნების ანალიზის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ დაზარალებულისთვის ადვოკატის ყოლის უფლების მინიჭება არ მოდის შეჯიბრებით მოდელთან წინააღმდეგობაში, თუ დადგენილია ადვოკატის უფლებათა მასშტაბი და ამავდროულად გარანტირებულია ბრალდებულის სამართლიანი სასამართლოს უფლება. შესაბამისად, საქართველოშიც, როგორც შეჯიბრებით პროცესის მქონე სახელმწიფოში სრულიად შესაძლებელია საკანონმდებლო დონეზე ადვოკატის ყოლის უფლების განმტკიცება. საქართველოში დაზარალებულისთვის ადვოკატის უფლების მინიჭება აუცილებლობასაც კი წარმოადგენს, ვინაიდან სწორედ მისი მემკვიდრით შეძლებს დაზარალებული ისეთი საპროცესო უფლებების ეფექტურად რეალიზებას, როგორცაა დაზარალებულად ცნობის უფლება, უფლებების განმარტების უფლება, საქმის მასალების გაცნობის უფლება, საპროცესო შეთანხმების გაფორმებამდე და განრიდების

⁹⁵² ნაშრომის თავი IV, § 7.1.

გამოყენებამდე დაზარალებულთან კონსულტაციის გავლის უფლება, ზიანის შესახებ ჩვენების მიცემის უფლება და პროკურორის ზოგიერთი დადგენილების გასაჩივრების უფლება. გარდა ამისა, სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლის ჯვარედინი დაკითხვისას ადვოკატის ყოლა შესაძლებელს გახდის დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებას. შესაბამისად, აუცილებელია, რომ სსსკ-ით დაზარალებულს მიენიჭოს ადვოკატის ყოლის უფლება. ასევე აუცილებელია, რომ დაზარალებულისთვის მინიჭებული უფლებები იყოს იმ მოცულობის, რა მოცულობაც საჭიროა იმისთვის, რომ დაზარალებულმა რეალურად შეძლოს სსსკ-ით მინიჭებული უფლებებით სარგებლობა. ამასთან დაზარალებულისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს იურიდიული დახმარება.⁹⁵³

14. დაზარალებულის საჭიროებების შესწავლით გამოვლინდა, რომ დაზარალებულს ესაჭიროება კომპენსაციის მიღება.⁹⁵⁴ საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს, რომ დაზარალებულისთვის კომპენსაციის მიღება შესაძლებელი იყოს როგორც დამნაშავესგან, ისე სახელმწიფოსგან. საერთაშორისო რეგულაციები არ ზღუდავს დამნაშავესგან კომპენსაციის მიღებას სამოქალაქო სამართალწარმოების გზით, თუმცა იგი უპირატესობას ანიჭებს, რომ კომპენსაციის მინიჭების საკითხის განხილვა მოხდეს თვითონ სისხლის სამართლის პროცესშივე.⁹⁵⁵ საქართველოში დაზარალებულს დამნაშავესგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია სამოქალაქო სამართალწარმოების გზით. აღნიშნული მექანიზმის ანალიზმა ცხადყო, რომ იგი პრაქტიკაში არ მუშაობს და საქართველოში უკანასკნელ 10 წელში დანაშაულის მსხვერპლთა უმრავლესობას არ მიუღია კომპენსაცია. შესაბამისად, აუცილებელია, რომ საქართველოში კომპენსაციის მიღება შესაძლებელი გახდეს სისხლის სამართლის პროცესშივე. ამასთან, ზიანის ანაზღაურების შესახებ გადანყვეტილება მიჩნეულ უნდა იქნეს სასჯელად, რათა სახელმწიფომ უზრუნველყოს მისი აღსრულება და დაზარალებულს ჩამოშორდეს ზედმეტი პრობლემები, რაც აღსრულებას ახლავს თან. იმ შემთხვევაში კი, თუ საქმეზე არ დაიწყება სისხლისსამართლებრივი დევნა ან არ მოხდება პირის მსჯავრდება,

⁹⁵³ ნაშრომის თავი IV, § 7.2.

⁹⁵⁴ ნაშრომის თავი II, § 5.7.

⁹⁵⁵ ნაშრომის თავი IV, § 8.1.1.1.

მაშინ დაზარალებულს ისევ უნდა ჰქონდეს უფლება, რომ სამოქალაქო სამართალწარმოების გზით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.⁹⁵⁶

15. საერთაშორისო რეგულაციების ანალიზი ცხადყოფს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები არა მხოლოდ მხარს უჭერენ, არამედ მოითხოვენ კიდევაც სახელმწიფოების მიერ სახელმწიფო კომპენსაციის პროგრამების დაარსებას. ხოლო სახელმწიფოების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სახელმწიფოები აცნობიერებენ, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო კომპენსაციის პროგრამას დაზარალებულის ფინანსური საჭიროების დაკმაყოფილებისთვის. საქართველოში არ მოქმედებს სახელმწიფო კომპენსაციის პროგრამები, შესაბამისად, ამ ნაწილში საქართველოს კანონმდებლობა ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო მოთხოვნებს. აუცილებელია, რომ საქართველოში დაინერგოს სახელმწიფო კომპენსაციის პროგრამები და სულ მცირე ძალადობრივი დანაშაულის მსხვერპლთათვის გახდეს ხელმისაწვდომი.⁹⁵⁷

16. კვლევამ ცხადყო, რომ ჩამორთმეული ქონების უკან დაბრუნების ნაწილში საქართველოს კანონმდებლობა სრულად აკმაყოფილებს საერთაშორისო მოთხოვნებს. სსსკ-ით დაზარალებულს მინიჭებული აქვს ჩამორთმეული ქონების უკან დაბრუნების უფლება. გარდა ამისა, პრაქტიკაშიც მოცემულ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს პრობლემები. შესაბამისად, ამ ნაწილში საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა არ საჭიროებს დახვეწას.⁹⁵⁸

17. კვლევამ გამოავლინა, რომ პროცესში მონაწილეობის შედეგად განეული ხარჯების ანაზღაურების კუთხით, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მეტწილად იზიარებს საერთაშორისო მოთხოვნებს. თუმცა იმისთვის, რომ საქართველოს კანონმდებლობა მოცემულ ნაწილში სრულად შეესაბამებოდეს საერთაშორისო სტანდარტებს, აუცილებელია, რომ მოცემული უფლების შესახებ დაზარალებულის ინფორმირება ხდებოდეს თავიდანვე, დანაშაულის შეტყობინებისთანავე. გარდა ამისა, განეული ხარჯების ანაზღაურების საკითხის უფრო მეტი გამჭვირვალობისა და დაზარალებულის სათანადო ინფორმირების უზრუნველსაყოფად, სასურველი იქნება, თუ

⁹⁵⁶ ნაპრომის თავი IV, § 8.1.1.

⁹⁵⁷ ნაპრომის თავი IV, § 8.1.2.

⁹⁵⁸ ნაპრომის თავი IV, § 8.2.

კანონმდებლობა უფრო დეტალურად მოაწესრიგებს ხარჯების ანაზღაურების საკითხს. მაგალითად, თუ დადგინდება მგზავრობისთვის ან ღამისთვისთვის ანაზღაურებადი თანხის მაქსიმალური ოდენობა და სხვა.⁹⁵⁹

18. დაზარალებულის საჭიროებების შესწავლით გამოვლინდა, რომ დაზარალებულს ესაჭიროება აღდგენით მართლმსაჯულებაში მონაწილეობა.⁹⁶⁰ საერთაშორისო დონეზე დადგენილ იქნა სტანდარტები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს აღდგენითი მართლმსაჯულების პროგრამები. საქართველოში სრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში აღდგენითი მართლმსაჯულება მოქმედებს შებლუდული ფორმით, კერძოდ იგი მოქმედებს განრიდების პროგრამის სახით, რომელიც გამოიყენება ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის შემთხვევაში. აქედან გამომდინარეობს, რომ ყველა დაზარალებულს არ აქვს განრიდების პროგრამით სარგებლობის შესაძლებლობა, რაც დაზარალებულის პერსპექტივიდან გაუმართლებელი მიდგომაა. სწორედ ამიტომ აუცილებელია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მსგავსად, სრულწლოვანთა მართლმსაჯულებაშიც დაინერგოს მედიაციის პროგრამა ან აღდგენითი მართლმსაჯულების სხვა ფორმებიც, რომელთა გამოყენებისას გათვალისწინებული იქნება დირექტივით დადგენილი სტანდარტები.⁹⁶¹

19. შეჯიბრებითი სისტემის მქონე ქვეყნების ანალიზმა ცხადყო, რომ პრაქტიკაში დაზარალებულის უფლებების რეალიზებისთვის, აუცილებელია უფლებათა დარღვევის გასაჩივრების ეფექტური მექანიზმის შემუშავება. ნაშრომში განხილული ქვეყნების კანონმდებლობის ანალიზიდან ჩანს, რომ შეჯიბრებითი სისტემის სამართლის პროცესის მქონე ქვეყნებში დაზარალებულის უფლებების დარღვევის შემთხვევაში ხორციელდება ორ ეტაპიანი ადმინისტრაციული სამართალწარმოება. პირველ ეტაპზე საჩივარს იხილავს უშუალოდ უფლების სავარაუდოდ დამრღვევი უწყება, ხოლო მეორე ეტაპზე ერთვება დამოუკიდებელი ორგანო - დაზარალებულის ომბუდსმენის ოფისი. აღნიშნული მექანიზმის მიზანია, რომ პრაქტიკაში გამოირიცხოს საჩივარზე მიკერძოებული გადანყვეტილების მიღება და მაქსიმალურად იქნეს დაცული დაზარალებულის ინტერესები. საქართველოში

⁹⁵⁹ ნაშრომის თავი IV, § 8.3.

⁹⁶⁰ ნაშრომის თავი II, § 5.8.

⁹⁶¹ ნაშრომის თავი IV, § 9.

უფლებების დარღვევის გასაჩივრების მექანიზმის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ დღეს მოქმედი მექანიზმი არაეფექტურია და ვერ უზრუნველყოფს დაზარალებულის უფლებებში აღდგენას. შესაბამისად, აუცილებელია, რომ საქართველოშიც შეიქმნას დარღვეული უფლების გასაჩივრების ერთიანი მექანიზმი, რომელიც დაზარალებულისთვის იქნება ხელმისაწვდომი და სადაც დადგენილი იქნება გასაჩივრების პროცედურის ცალკეული დეტალები. აუცილებელია, რომ საჩივრის განხილვაში მონაწილეობდეს არა მხოლოდ ის ორგანო, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია დაზარალებულის რომელიმე უფლება, არამედ მოცემული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გადაისინჯოს ინსტიტუციურად დამოუკიდებელ ორგანოში. მაგალითად შესაძლებელია, რომ საქართველოშიც შემოღებულ იქნეს დაზარალებულის ომბუდსმენის აპარატი. ასევე შესაძლებელია, რომ გაფართოვდეს სახალხო დამცველის უფლებამოსილებათა არეალი და სწორედ სახალხო დამცველს მიენიჭოს საჩივრის განხილვის კომპეტენცია.⁹⁶²

⁹⁶² ნაშრომის თავი IV, § 10.

ბიბლიოგრაფია

1. ქართულენოვანი ლიტერატურა

ადამიანის უფლებათა ცენტრი: მონმის დაკითხვის ახალი წესის კვლევა, თბილისი, 2017, <[http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/angarishebi/hridc/research-geo%20\(1\).pdf](http://humanrights.ge/admin/editor/uploads/pdf/angarishebi/hridc/research-geo%20(1).pdf)>.

ავტორთა კოლექტივი, ფალიაშვილი, ა., თალაკვაძე, ლ. (რედ.): საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბილისი, 1988.

აქუბარდია, ი.: საპროცესო შეთანხმება, ნაშრომში: ფაფიაშვილი, ლ. (რედ.): საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი: კერძო ნაწილი, თბილისი, 2017.

გოცირიძე, ე.: ნაშრომში: ტურავა, პ. (რედ.): საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013.

დგებუაძე, გ.: დანაშაულის ინდივიდუალური შერაცხვის მოდელი საერთაშორისო სისხლის სამართალში და მისი განვითარება ანგლოამერიკული და გერმანული სისხლის სამართლის სისტემების ზეგავლენით, თბილისი, 2017, <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/giorgi_dgebuadze.pdf>.

ერცენი, ი., ჯავახიშვილი, ჯ., ჯავახიშვილი, ლ.: აღდგენითი მართლმსაჯულების სახელმძღვანელო საუნივერსიტეტო და პროფესიული სწავლებისათვის, 2020, <http://www.library.court.ge/upload/aRdgeniTimarTlmsajulebis_saxelmZRvanelo.pdf>.

გაალიშვილი, თ.: სოციალური სახელმწიფოს პრინციპი, მისი ელემენტები და ადამიანის ღირსების უფლება - საარსებო მინიმუმის უზრუნველყოფის საფუძველი, სამართლის ჟურნალი, N1, 2012.

გაქაშვილი, უ.: სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის პროცესში, ჟურნალი მართლმსაჯულება, No. 3, 2007.

თანდილაშვილი, ბ.: სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებულის უფლებები ევროპული და ქართული კანონმდებლობის მიხედვით, DGStZ, No.2, 2017, <<http://www.dgstz.de/storage/documents/HLlfKffRj6fKu2z37r81AsxGikyisXchAZW9ySTc.pdf>>.

თანდილაშვილი, ბ.: დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა და ევროპული სტანდარტები, ნაშრომში: თუმანიშვილი, ვ., ჯიშკარიანი, ბ., შრამი, ე. (რედ.): ევროპული და საერთაშორისო სამართლის ზეგავლენა ქართულ სისხლის საპროცესო სამართალზე, თბილისი, 2019.

თანდილაშვილი, ბ.: ეფექტიანი გამოძიების სტანდარტები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გირგვლიანის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, DGStZ, No. 3, 2018, <<http://www.dgstz.de/storage/documents/4UjQJqPUJ23tBBvpa4QGCR56WKDn0Hxpg5jh8iK.pdf>>.

თოლორაია, ლ.: ნაშრომში: გიორგაძე, გ. (რედ.): სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბილისი, 2015.

თუმანიშვილი, გ.: სისხლის სამართლის პროცესი: ზოგადი მიმოხილვა, თბილისი, 2014.

თუმანიშვილი გ.: დაზარალებული თანამედროვე სისხლის საპროცესო სამართალში, სამართლის ჟურნალი, N2, 2009.

იბორია, ლ.: საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი: თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2013.

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI): საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების ვადების დაცვა თბილისის საქალაქო სასამართლოში - 2015-2018 წლების პრაქტიკა, 2019, <<https://idfi.ge/public/upload/Deadline%20Compliance%20in%20Tbilisi%20City%20Court.pdf>>

კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის: საპროცესო შეთანხმების გამოყენება საქართველოში, 2012, გვ. 21, <http://coalition.ge/files/coalition_criminal_law_wg_research_geo_9th_forum..pdf>.

კრისტი, ნ.: ტკივილის საზღვრები: სასჯელის როლი სასჯელალსრულების პოლიტიკაში, 2017.

ლეონიძე, ი.: განრიდებისა და მედიაციის ინსტიტუტის საკანონმდებლო რეგულირება სისხლის სამართლის პროცესში და მისი ფუნქციონირების ცალკეული სამართლებრივი ასპექტები, დავის ალტერნატიული გადაწყვეტა, წელიწდეული 2018-2019, <<http://www.library.court.ge/upload/weliwdeuli2018-19-spec.pdf>>.

ლოლაძე, ბ.: სოციალური სახელმწიფო – საფრთხე ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებებისათვის? ნაშრომში: კორკელია, კ. (რედ.): ადამიანის უფლებათა დაცვა: მიღწევები და გამოწვევები, თბილისი, 2012.

მეზერიშვილი, ნ.: ნაშრომში: გიორგაძე, გ. (რედ.): სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები, თბილისი, 2015.

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი, 2019, გვ. 38, <https://migration.commission.ge/files/mp19_web3.pdf>.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია: დაზარალებულის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში (საქართველოში არსებული კანონმდებლობა, პრაქტიკა და საერთაშორისო მიდგომები), თბილისი, 2016, <<https://gyla.ge/files/news/2016%20წლის%20გამოცემა/dazaralebulis%20uflebebi.pdf>>.

საქართველოს სახალხო დამცველის 2013 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, <<https://drive.google.com/file/d/19AjSGIOHEQkzJ0HV-rxQ56sXgFx0E6d7/view>>.

საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, <<https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf>>.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო: მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის პრობლემა: მისი გამომწვევი მიზეზები და პრობლემის მოგვარების გზები, თბილისი, 2017, <<http://hcoj.gov.ge/files/მართლმსაჯულების%20ხელმისაწვდომობის%20პრობლემა.pdf>>.

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 19 ოქტომბრის N 914 განკარგულების საფუძველზე შექმნილი სამუშაო ჯგუფი: საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმის სტრატეგია, თბილისი, 2005, <http://www.justice.gov.ge/Multimedia%2FFiles%2Fsabchoebi%20pdf%2Fstrategy_2005.pdf>.

საქართველოს გენერალური პროკურატურა, 2018 წლის განრიდება-მედიაციის პროგრამის ანალიზი, 2019.

საქართველოს გენერალური პროკურატურა, არასრულწლოვანთა განრიდება-მედიაციის პროგრამის ანალიზი (2019 წლის მდგომარეობის მიხედვით), 2020, <<https://pog.gov.ge/uploads/429f65a7-ganrideba-2019-weli-converted.pdf>>.

საქართველოს გენერალური პროკურატურა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, 2020, <<https://pog.gov.ge/uploads/379733ef-2020-wlis-6-Tve-arasrulwlovanTamarTlmsajuleba.pdf>>.

ქუთათელაძე, მ.: განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში, თბილისი, 2017, <<https://sdasu.edu.ge/media/1001542/2017/12/20/28062f3bb2d78ba94c4cd9a60f305075.pdf>>.

შალიკაშვილი, მ.: ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ, თბილისი, 2011.

შალიკაშვილი, მ.: კრიმინოლოგია, მესამე გამოცემა, თბილისი, 2017.

შალიკაშვილი, მ.: არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი, 2013.

შუაბე, ი.: გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, 2011.

ჩხეიძე, ი.: აღდგენითი მართლმსაჯულების ელემენტები საქართველოს სისხლის სამართლის პროცესში, მართლმსაჯულება და კანონი, #5(48)'15, 2015.

ხათიაშვილი, გ.: სისხლის სამართლის პროცესის ევროპეიზაცია და დაზარალებულის სამართლებრივი მდგომარეობა, საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, XII, 2019, <<https://clr.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2020/05/goga-khatiashvili-gv.52-75.pdf>>.

ჰეგერი, მ.: აღვერსალური და ინკვიზიციური ელემენტები ევროპული სახელმწიფოების სისხლის სამართლის პროცესის კანონმდებლობაში, როგორც სისხლის საპროცესო სამართლის ევროპეიზაციის გამონვევა, DGStZ, No. 2, 2016, <<http://www.dgstz.de/storage/documents/HkehsGzPtS4vG6aO31E7hkwZaPnC2cM0pqnRMdj0.pdf>>.

2. ინგლისურენოვანი ლიტერატურა

ABA: Formal Opinion N95-396, 1995, <https://www.americanbar.org/content/dam/aba/administrative/professional_responsibility/formal_opinion_95_396.pdf>.

Amir, M.: Victim Precipitated Forcible Rape, J. Crim. Law Criminol., Vol. 58, Iss. 4, 1968.

Antonsdóttir, H.F.: 'A Witness in My own Case': Victim-survivors' Views on the Criminal Justice Process in Iceland, Fem. Leg. Stud., Vol. 26, Iss. 3, 2018.

APAV: IVOR Report: Implementing Victim-Oriented Reform of the Criminal Justice System in the European Union, Lisbon, 2016, <<https://www.apav.pt/ivor/images/ivor/PDFs/IVOR-Report-WebVersion.pdf>>.

APAV: Project Victims in Europe: Implementation of the EU Framework Decision on the Standing of Victims in the Criminal Proceedings in the Member States of the European Union, 2009, <https://apav.pt/apav_v3/images/pdf_english/reportVinE.pdf>.

Austin, R.: Documentation, Documentary, and the Law: What Should Be Made of Victim Impact Videos? *Cardozo L. Rev.*, Vol. 31, Iss. 4, 2010.

Bacik, I., Maunsell, C., Gogan, S.: *The Legal Process and Victims of Rape*, Dublin, 1998.

Baumgartner, E.: Aspects of Victim Participation in the Proceedings of the International Criminal Court, *Int. Rev. Red Cross*, Vol. 90, No. 870, 2008.

Bachinger, L.M., Pelikan, C.: Victims' Experiences in Victim-Offender Mediation in Austria: The 'Real' Story, *ნაშრომები: Vanfraechen, I., Bolívar, D., Aersten, I. (eds.): Victims and Restorative Justice*, Abingdon, New York, 2017.

Bandes, S.A.: Repellent Crime and Rational Deliberation: Emotion and the Death Penalty, *Vt. Law Rev.*, Vol. 33, 2009.

Barbot, J., Dodier, N.: Rethinking the Role of Victims in Criminal Proceedings, *RFSP*, Vol. 64, Iss. 3, 2014.

Barkan, S.E., Bryjak, G.J.: *Fundamentals of Criminal Justice: A Sociological View*, 2nd Edition, Burlington, 2011.

Bassiouni, M.C.: International Recognition of Victims' Rights, *Hum. Rights Law Rev.*, Vol. 6, Iss. 2, 2006.

Bednarova, J.: The Heart of the Criminal Justice System: A Critical Analysis of the Position of the Victim, *IJC*, 2011.

Belooif, D.E.: *Victims' Rights: A Documentary and Reference Guide*, California, 2012.

Belooif, D.E.: The Third Model of Criminal Process: The Victim Participation Model, *Utah L. Rev.*, No. 2, 1999.

Belooif, D.E., Cassell P.G.: The Crime Victim's Right to Attend the Trial: The Reascendant National Consensus, *LCLR*, Vol. 9, Iss. 3.

Ben-David, S.: Needed: Victim's Victimology, *ნაშრომები: Friday, P.C., Kirchhoff, G.F. (eds.): Victimology at the Transition From the 20th to the 21st Century*, Festschrift for Hans Joachim Schneider, Düren, Maastricht, 2000.

Bahr, B., Melum, J.: EU's 'Victims' Directive' – A Legal Act for a Cultural Change?, *IJCA*, Vol. 9, Iss. 1, 2017.

Blackstock, J.: Protecting Victims: EU Competences and Mechanisms for Safeguards, Symposium: “Legal Perspectives on the Victim“, Nottingham Trent University, 2012.

Booth, T.: ‘Cooling out’ Victims of Crime: Managing Victim Participation in the Sentencing Process in a Superior Sentencing Court, Aust. N. Z. J. Criminol., Vol. 45, Iss. 2, 2012.

Booth, T., Bosma, A. K., Lens, K. M. E.: Accommodating the Expressive Function of Victim Impact Statements: The Scope For Victims’ Voice in Dutch Courtrooms, Br. J. Criminol., Vol. 58, Iss. 6, 2018.

Borgers, M.: Implementing Framework Decisions, Common Mark. Law Rev., Vol. 44, 2007.

Braun, K.: Victim Participation Rights: Variation Across Criminal Justice Systems, Cham, 2019.

Braun, K.: Giving Victims a Voice: On the Problems of Introducing Victim Impact Statements in German Criminal Procedure, Ger. Law J., Vol. 14, Iss. 9, 2013.

Braun, K.: Legal Representation for Sexual Assault Victims: Possibilities for Law Reform?, Curr. Issues Crim. Justice, Vol. 25, No. 3, 2014.

Brienen, M., Hoegen E., Groenhuijsen, M.S.: Evaluation and Meta-Evaluation of the Effectiveness of Victim-oriented Legal Reform in Europe, Criminologie, Vol. 33, No.1, 2000.

Brienen, M., Hoegen E.: Victim of Crime in 22 European Criminal Justice Systems: The Implementation of Recommendation (85)11 of the Council of Europe on the Position of the Victim in the Framework of Criminal Law and Procedure, Nijmegen, 2000.

Buczma, S., Kierzyńska, R.: Protection of Victims of Crime in the View of the Directive 2012/29/EU Establishing Minimum Standards on the Rights, Support and Protection of Victims of Crime in the European Union and the Directive 2011/99/EU on the European Protection Order, Judicial Academy of the Slovak Republic,
<http://www.ja-sr.sk/files/Kierzyńska_Buczma_Protection%20of%20victims.pdf>.

Burgess, A.C., Regehr, C., Roberts, A.R.: Victimology: Theories and Applications, 2nd Edition, Burlington, 2013.

Buck, K.: State Compensation to Crime Victims and the Principle of Social Solidarity, Eur. J. Crime Crim. Law. Crim. Justice, Vol. 13, Iss. 2, 2005.

Caenegem, W.V.: Advantages and Disadvantages of the Adversarial System in Criminal Proceedings, Bond University, Law Faculty Publications, Paper 224. 1999.

Cassell, P.G., Mitchell, N.J., Edwards, B.J.: Crime Victims' Rights during Criminal Investigations? Applying the Crime Victims' Rights Act before Criminal Charges Are Filed, *J. Crim. Law Criminol.*, Vol. 104, Iss. 1, 2014.

Cassell, P.G.: Treating Crime Victims Fairly: Integrating Victims into the Federal Rules of Criminal Procedure, *Utah L. Rev.*, No 4, 861, 2007.

Cassell, P.G.: In Defense of Victim Impact Statements, *Ohio State J. Crim. Law*, Vol. 6, Iss. 2, 2009.

Cassell, P.G., Erez, E.: Victim Impact Statements and Ancillary Harm: The American Perspective, *Can. Crim. Law Rev.*, Vol. 15, 2011.

Cassell, P.G.: Crime Victims' Rights, *ნაშრომები: Luna, E. (ed.): Reforming Criminal Justice: Academy for Justice: A Report on Scholarship and Criminal Justice Reform*, 2017.

Congressional Research Service: Crime Victims' Rights Act: A Sketch of 18 U.S.C §3771, 2015, <<https://fas.org/sgp/crs/misc/RS22518.pdf>>.

